ძველი ქართული ენიერების ძეგლები

X



თბილისი 1987

ოთარ ჭილაძის

პოეზია

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო

ლ ე ლ ა ხ ა ჩ ი ძ ე მ



მეცნიერება 1987

83. 3 Гр 1
ი 705

ნაშრომი მიზნად ისახავს X საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტის — იოანე მინჩხის შემოქმედების მონოგრაფიულ განხილვასა და მისი მემკვიდრეობის მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემას. იოანე მინჩხის პოეტურ თხზულებებს, რომელთა უდიდესი ნაწილი ახლადაა გამოვლენილი და პირველად ქვეყნდება, საფუძვლად უდევს გიორგი მთაწმიდლის ავტოგრაფულ ხელნაწერში (Paris, georg. 5) დაცული ტექსტები. ამასთანავე, გამოცემაში გათვალისწინებულია იოანე მინჩხის თხზულებების შემცველი ყველა ძირითადი ხელნაწერი.

გამოკვლევა ეძღვნება იოანე მინჩხის შემოქმედების მრავალმხრივ ანალიზს: შესწავლილია მინჩხის პოეტური ქმნილებების შემცველი მრავალი ხელნაწერი; გამოვლენილია პოეტის ადრევე ცნობილი თხზულებების ახალი ასპექტები; საგანგებოდ და მრავალმხრივ არის შესწავლილი იოანე მინჩხის აქამდე უცნობი მემკვიდრეობა, რომელიც შეუდარებლად ზრდის მის მნიშვნელობას ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის; ნაჩვენებია მისი დიდი წვლილი „ტრიოდიონის“ ქართული რედაქციის ფორმირებაში, შესწავლილია მინჩხის მიერ შემოღებული ორიგინალური რიტმულ-მელოდიური საზომები, მისი პოეზიისათვის დამახასიათებელი მხატვრული თავისებურებები, და ბოლოს, მინჩხის შემოქმედების გავლენა შემდგომდროინდელ ქართულ პოეზიაზე. ნაშრომში იოანე მინჩხის შემოქმედება შეფასებულია ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის კვლევის თვალსაზრისითაც.

სერიის სარედაქციო კოლეგია: ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი (მთ. რედაქტორი), ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე (პასუხისმგებელი მდივანი), შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი.

ტომის რედაქტორი ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი

რეცენზენტები: ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი რ. ბ ა რ ა მ ი ძ ე
ფილოლ. მეცნ. დოქტორი მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა

0 $\frac{4603010201}{М\ 607\ (06)—87}$ 109—87

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987

რედაქტორისაგან

ძველი ქართული ძეგლების სერიის X ტომში, წინა ტომებისაგან განსხვავებით, სადაც უმთავრესად უძველესი ქართული თარგმნითი ძეგლები იბეჭდებოდა, პირველად ქვეყნდება მონოგრაფიულად გამოკვლეული X საუკუნის შესანიშნავი ქართველი პოეტის იოანე მინჩხის ორიგინალური შემოქმედება.

X—XI საუკუნეების ჰიმნოგრაფიულმა მემკვიდრეობამ ბიზანტიური პოეზიის შესანიშნავ მთარგმნელთა მთელი პლეადის სახელები და თარგმანები შემოგვინახა, მაგრამ მათ შორის პოეტი — ჰიმნოდები, რომლებიც ორიგინალურ საგალობლებსაც წერდნენ, მხოლოდ ერთეულებია.

იოანე მინჩხს X საუკუნის ორიგინალურ პოეტთა შორისაც სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია როგორც პოეტურ თხზულებათა რაოდენობით, ასევე პოეტურ ფორმათა მრავალფეროვნებით. პოეტი იოანე მინჩხი პირველად აღმოაჩინა ივ. ჯავახიშვილმა სინის ქართულ ხელნაწერებში 1902 წელს, როდესაც ნ. მართან ერთად გაემგზავრა ექსპედიციით სინას მთაზე. სინური ხელნაწერებიდან (Sin. 5, Sin. 75) ივ. ჯავახიშვილმა სრულად გადმოიწერა მინჩხის საგალობლები მათი გამოქვეყნების მიზნით[1]. ამ დროიდან ქართველ მეცნიერთა ყურადღება იოანე მინჩხის შემოქმედებისადმი არ შენელებულა[2].

ლელა ხაჩიძის წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მინჩხის შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას. ამ რთული საქმის განხორციელებისათვის სადღეისოდ უკვე მომზადებული იყო ნიადაგი. თავიდანვე აშკარა იყო, რომ იოანე მინჩხი თავისი შემოქმედებით და მოღვაწეობის ხასიათით დაკავშირებული იყო X საუკუნის ტაო-კლარჯულ და სინა-საბაწმიდურ ჰიმნოგრაფიულ სკოლებთან, რომელთა მოღვაწეობაც შეაჯამა და დააგვირგვინა მიქაელ მოდრეკილმა თავის დიდებულ „მეხურ იადგარში"[3].

მინჩხის შესწავლისათვის აუცილებელი იყო ამ სკოლების ლიტერატურული პროდუქციის შესწავლა, მათი მუშაობის მეთოდების გათვალისწინება ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიასთან მიმართებით და ამასთან დაკავშირებით რიგი თეორიული და კონკრეტული საკითხების დამუშავება. იადგარებისა და სხვა უძველესი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული ძეგლების შესწავლისათვის ბევრი გააკეთეს ჩვენმა ცნობილმა მეცნიერებმა — კ. კეკელიძემ, პ. ინგოროყვამ, ე. გარიტმა და სხვა. ორ ათეულ წელზე მეტია ქართული ორიგინალური და ნათარგმნი ჰიმნოგრაფიის ფუნდამენტალურ პრობლემებზე მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანა-

---

1 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 145—165. აღწერილობა გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ მინჩხის მასალა ქართველი მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი იყო გამოქვეყნებამდეც.

2 იხ. აქვე, გვ. 8.

3 მიქაელ მოდრეკილის „მეხურ იადგარში" სხვა ქართველ პოეტებთან ერთად იოანე მინჩხიც არის შეტანილი.

შრომელთა ჯგუფი. მონოგრაფიულად დამუშავდა და გამოქვეყნდა რამდენიმე უნიკალური ძეგლი[4], რის შედეგადაც გამოიკვეთა V—X საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარების რთული და საინტერესო გზა (იერუსალიმური ლექციონარისა და უძველესი იადგარიდან მეხურ იადგარამდე), მდიდარი შემოქმედებითი ძიებებით. ასევე ბევრი გაკეთდა მეხელთა მომდევნო პერიოდის — ათონის ჰიმნოგრაფიული სკოლის შესასწავლად: შესწავლილია გიორგი მთაწმიდელის შედგენილი ზოგი ლიტურგიკული კრებული, მათი ბერძნულ-ქართული წყაროები და მიმართება წინაათონურ ანალოგიურ კრებულებთან[5].

ჩატარებულმა დიდმა სამუშაომ, როგორც უკვე ითქვა, ნიადაგი მოამზადა და ხელსაყრელი პირობები შექმნა ცალკეული ქართველი ჰიმნოდის მონოგრაფიული შესწავლისათვის, რაც პირველად განხორციელდა წინამდებარე ნაშრომში. იოანე მინჩხის შესწავლის შედეგები უთუოდ მნიშვნელოვანია. იოანე მინჩხი გამოჩნდა მთელი თავისი ბრწყინვალებით, გამოიკვეთა ახალი ასპექტები მისი შემოქმედებისა, გამოვლინდა და შესწავლილ იქნა დიდი რაოდენობით იოანე მინჩხის აქამდე უცნობი საგალობლები. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი Georg. 5, რომელიც, სხვა მასალასთან ერთად, შეიცავს თითქმის სრული სახით გიორგი მთაწმიდელის მიერ შედგენილ „მარხვანს", რომლის ერთ-ერთი წყარო იოანე მინჩხის საგალობელთა შემცველი წინაპერიოდის „მარხვანი" იყო. იოანე მინჩხის შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნები ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც საკუთრივ იოანე მინჩხისა და იადგართა მასალის შესწავლისათვის, ასევე ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებზე გიორგი მთაწმიდელის მუშაობის მეთოდების დამუშავებისათვის.

ორი ერთმანეთის მომდევნო პერიოდის ჰიმნოგრაფიული ძეგლების შედარებითმა შესწავლამ ავტორს შესაძლებლობა მისცა ზოგადი ხასიათის არაერთი საგულისხმო დაკვირვება გამოეთქვა, რაც უთუოდ შეუწყობს ხელს ქართული ჰიმონგრაფიის ისტორიის ზოგადი პრობლემების შესწავლასაც.

ე. მეტრეველი

---

[4] „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი" (ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით), 1971; „უძველესი იადგარი", 1980; „ნევმირებული ძლისპირნი"; 1982.

[5] გიორგის სექტემბრის „თვენი", ვრცელი გამოკვლევით მომზადებული ლ. ჯღამაიას მიერ, გადაეცა გამომცემლობას და გამოქვეყნდება 1987 წელს.

წინათქმა

ნაშრომი მიზნად ისახავს X საუკუნის დიდი ქართველი პოეტის — იოანე მინჩხის შემოქმედების მონოგრაფიულად შესწავლას. მასში განხილულია მინჩხის ტრადიციული, აქამდე ცნობილი მემკვიდრეობა და 77 უცნობი საგალობელი, რომლებიც გამოვლენილ იქნა ადგილობრივ და საზღვარგარეთ დაცულ ქართულ ხელნაწერებში. იოანე მინჩხის დღემდე უცნობი საგალობლები, რომლებიც პირველად ქვეყნდება, წინამდებარე ნაშრომში შესულია შემდეგი ნომრებით: №№ 4, 5, 6, 7, 9, 10, 11, 12, 14, 15, 16, 23, 24, 25, 28, 30, 31, 32, 39, 40, 43, 44, 46, 47, 48; 51, 53, 54, 55, 56, 57, 58, 60, 62, 63, 64, 65, 66, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 34, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 102, 105, 108. დღემდე არ იყო ცნობილი და პირველად ქვეყნდება გამოცემაში 20, 22, 35 და 61 ნომრებით აღნიშნული მინჩხის საგალობლების ცალკეული ნაწილებიც. იოანე მინჩხის შემოქმედების მონოგრაფიულად შესწავლა, მისი უცნობი საგალობლები ახლებურად განსაზღვრავს მისი შემოქმედების სახეს და მნიშვნელობას, აგრეთვე ორიგინალური ქართული ჰიმნოგრაფიის დონეს და შესაძლებლობებს. მინჩხის შემოქმედების ცალკეული ასპექტები ყურადღებას იმსახურებს ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის შესწავლისთვისაც.

საგანგებო კვლევა მოითხოვა მინჩხის ახლადგამოვლენილი საგალობლების შემცველმა ხელნაწერებმა, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერი — გეორგიკა 5. სპეციალური კვლევის საგნად იქცა აგრეთვე მინჩხის შემოქმედების გავლენა შემდგომდროინდელ ქართულ ჰიმნოგრაფიაზე, მისი საგალობლების რიტმულ-მელოდიური საზომები, მინჩხთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და ა. შ. ყოველივე ამის საფუძველზე შევეცადეთ განგვესაზღვრა იოანე მინჩხის ადგილი ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში.

იოანე მინჩხის შემოქმედებაში ასახულია ქართული ჰიმნოგრაფიის ძირითადი მიმართულებები, რომელთა ერთი ნაწილი ძველ ქართულ პოეზიაში თვით მინჩხის მიერაა შემოტანილი; ამის გამო ნაშრომში მინჩხის შემოქმედება განხილულია მთელი ქართული ჰიმნოგრაფიის, აგრეთვე ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის პრობლემებთან მჭიდრო კავშირში.

ნაშრომში წარმოდგენილია იოანე მინჩხის დღეისათვის ცნობილი მთელი მემკვიდრეობა. საგალობელთა ტექსტები დადგენილია მათი შემცველი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით.

თავი I

იოანე მინჩხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და მინჩხის საგალობლების პუბლიკაციების მიმოხილვა

ქართველ ჰიმნოგრაფთა შორის იოანე მინჩხი მიჩნეულია ყველაზე ნაყოფიერ ავტორად. მის აქამდე ცნობილ მემკვიდრეობას შეადგენდა 6 ჰიმნოგრაფიული კანონი და 41 მცირე ფორმის საგალობელი. ამ საგალობლების უმეტესი ნაწილი (4 კანონი და 39 სტიქარონი) გამოქვეყნებულია ივ. ჯავახიშვილის და პ. ინგოროყვას მიერ[1]. მინჩხის დღემდე ცნობილი მემკვიდრეობიდან არაა გამოქვეყნებული მისი 2 ჰიმნოგრაფიული კანონი.

იოანე მინჩხის საგალობლების ეს პუბლიკაციები არ წარმოადგენს მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემებს და ასეთად არც იყო გამიზნული.

არსებული პუბლიკაციების საფუძველზე კ. კეკელიძის, პ. ინგოროყვას და შემდგომი დროის მკვლევართა შრომებში იოანე მინჩხის შემოქმედებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები მოკლედაა განხილული ძველი ქართული ლიტერატურის ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით. გამოთქმულია საინტერესო და საყურადღებო მოსაზრებები, მაგრამ დღემდე იოანე მინჩხის შემოქმედება სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა.

ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ სამეცნიერო ლიტერატურაში იოანე მინჩხის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს და მისი საგალობლების არსებულ პუბლიკაციებს.

იოანე მინჩხის სახელი მეცნიერებისათვის ცნობილი გახდა ივ. ჯავახიშვილის მიერ, რომელმაც 1902 წელს სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერებზე მუშაობისას სინ. 2, სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში მიაკვლია უცნობი ქართველი ჰიმნოგრაფის — იოანე მინჩხის საგალობლებს. ეს იყო წმ. გიორგისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი (რომელსაც აკლდა VII—IX ოდები) და 26 მცირე ფორმის საგალობელი[2]. სინას მთაზე ყოფნისას ივ. ჯავახიშვილმა გადმოწერა მინჩხის ყველა ამ საგალობლის ტექსტი.

პირველი ცნობა ჯავახიშვილის ამ აღმოჩენის შესახებ დაცულია 1903 წელს გამოსულ ნ. მარის ნაშრომში „Предварительный отчет о работах на Синае, веденных в сотрудничестве с И. А. Джаваховым, и в Иерусалиме, в поездку 1902 г. (апрель—ноябрь)"[3]. ამ მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომი-

---

[1] მინჩხის საგალობლების ყველა შემდგომდროინდელი გამოცემა ივ. ჯავახიშვილისა და პ. ინგოროყვას პუბლიკაციებს ეყრდნობა.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 145—165.

[3] Сообщения Императорского Православного Палестинского Общества. XIV, ч. II, с. 1—51.

39-ე გვერდზე ნ. მარი მოკლედ ახასიათებს ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოვლენილ იოანე მინჩხის საგალობლებს: „На Синае были открыты И. А. Джаваховым песнопения грузинского церковного писателя Иоанна Минчхи, всего 27 больших и малых песнопений, среди них одно весьма пространное восхваление. Оно написано автором, как об этом сказано в заглавии, в честь великомученика Георгия Победоносца по поручению грузинского царя Георгия. Несколько его стихотворений оказались внесенными в сборник песнопений X века из Шатберда. Минчхи, неизвестный доселе древнегрузинский поэт, писатель не позднее первой половины X века. Песнопения Минчхи отличаются субъективным настроением, искренностью и простотой изложения, без всякой витиеватости. Все сочинения Иоанна Минчхи списаны И. А. Джаваховым“. ესაა სამეცნიერო ლიტერატურაში იოანე მიხჩხის შესახებ არსებული პირველი ცნობა. იგი ყურადღებას იმსახურებს სხვა თვალსაზრისითაც: როგორც ჩანს, 1903 წელს ნ. მარისათვის უკვე ცნობილი იყო X საუკუნის შატბერდულ ჰიმნოგრაფიულ კრებულში—მიქაელ მოდრეკილის იადგარში მინჩხის საგალობლების არსებობა. აქ აგრეთვე სწორადაა განსაზღვრული იოანე მინჩხის მოღვაწეობის ქრონოლოგია—X საუკუნის I ნახევარი. ყურადღებას იქცევს მინჩხის საგალობლების ხ. მარისეული დახასიათებაც.

სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში, რომელიც ნ. მარმა 1902 წელს შეადგინა, აღწერილია სინ. 56 ხელნაწერიც. ხელნაწერის აღწერილობის ბოლოს ნ. მარს აღნიშნული აქვს, რომ სინ. 56-ის 76-ე გვერდზე შესულია ფერისცვალებისადმი მიძღვნილი მინჩხის საგალობელი. აქვე მოტანილია ამ საგალობლის I ტროპარის ტექსტი[4]. მინჩხის ეს საგალობელი დღემდე გამოუქვეყნებელი იყო.

სინური ხელნაწერებიდან ივ. ჯავახიშვილის მიერ გადმოწერილი იოანე მინჩხის საგალობლები გამოქვეყნდა 1947 წელს „სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“. ამ დრომდე ივ. ჯავახიშვილის მიერ სინას მთაზე მოპოვებული ყველა მასალა დაცული იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, სადაც ჯავახიშვილის ნებართვით, მისით სარგებლობა შეეძლო ყველა დაინტერესებულ მკვლევარს.

1913 წელს პ. ინგოროყვამ გამოაქვეყნა „ძველ-ქართული სასულიერო პოეზიის“ I ტომი[5]. სხვა ქართველ ავტორთა საგალობლებთან ერთად, აქ გამოქვეყნებულია მიქაელ მოდრეკილის იადგარში მინჩხის სახელით წარწერილი 4 საგალობელი. ესაა თევდოსი მეფისა და ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონები, აღდგომის იამბიკური კანონი და აღდგომისავე სტიქარონი[6]. „ძველ-ქართულ სასულიერო პოეზიაში“ 2 ხელნაწერის — A 160-ისა და A 425-ის მიხედვით გამოქვეყნებულია წმ. შიოსადმი მიძღვნილი იოანე მინჩხის მცირე ფორმის საგალობელიც[7].

აქ გამოქვეყნებული ტექსტები იოანე მინჩხის საგალობლების პირველი პუბლიკაციაა, რომელიც დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. ამ საგა-

[4] Марр Н. Я. Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.—Л., 1940, с. 92. მინჩხის საგალობლის სწორედ ამ I ტროპარის ტექსტის მიხედვით დაადგინა პ. ინგოროყვამ გოლგოთურ ხელნაწერში — H 2337 მინჩხის ფერისცვალებისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონის არსებობა; პ. ინგოროყვა, თხზ., ტ. III, გვ. 522.

[5] პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, ტექსტები, VIII—X სს., ტფ., 1913.

[6] დას. ნაშრ., გვ. 11—38.

[7] იქვე, გვ. 361.

ლობლების ყველა შემდგომდროინდელ გამოცემას პ. ინგოროყვას აღნიშნული პუბლიკაცია უდევს საფუძვლად.

„ძველ-ქართულ სასულიერო პოეზიაში“ იოანე მინჩხის საგალობლები გამოქვეყნებულია ხელნაწერში არსებული რიტმული განკვეთის ნიშნების გათვალისწინებით, გამოყოფილია საგალობელთა სათაურები და ძლისპირ-ღმრთისმშობლისანები; საგალობლებთან მითითებულია, თუ რა სახითაა აღნიშნული ხელნაწერში მათი ავტორი, გახსნილია დაჭარაგმებული სიტყვები. რამდენიმე შემთხვევაში პ. ინგოროყვას მიერ გასწორებულია ხელნაწერში არსებული უნებლიე შეცდომები საგალობელთა რიტმულ დაყოფაში.

მიქაელ მოდრეკილის იადგარში შესულ მინჩხის საგალობლებს შორის პ. ინგოროყვას გამოქვეყნებული აქვს მინჩხის კანონებზე დართული „აქებდითსას“ ტექსტებიც.

მიქაელ მოდრეკილის იადგარში დაცულ ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილ იოანე მინჩხის საგალობლებად პ. ინგოროყვას გამოქვეყნებული აქვს კანონი: „უგალობდითსა. [ა]. არარაᲲ არს სახედ შ. — აღმოსცენდი ღმრთისა მიერ...“ და შესაბამისი მცირე ფორმის საგალობლები.

1923 წელს გამოვიდა კ. კეკელიძის კაპიტალური ნაშრომის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომი. სხვა ქართველ ავტორებთან ერთად, აქ მოკლედაა განხილული იოანე მინჩხის შემოქმედებაც[8]. ესაა მინჩხის შემოქმედების პირველი მეცნიერული ანალიზის ცდა, რომელშიც გათვალისწინებულია ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოვლენილი მასალები და პ. ინგოროყვას აღნიშნული პუბლიკაცია.

კ. კეკელიძე იოანე მინჩხს სინას მთაზე მოღვაწედ მიიჩნევს. ამით ხსნის იმ გარემოებას, რომ მიქაელ მოდრეკილის კრებულში მინჩხის მხოლოდ ოთხი საგალობელია შეტანილი. კ. კეკელიძის ვარაუდით „როგორცა ჩანს, იოანე მინჩხს უწერია საგალობლები მთელი წლისა იმ გეგმაზე, რა გეგმაზედაცაა აგებული საეკლესიო წელიწადი ი ე რ უ ს ა ლ ი მ ი ს კ ა ნ ო ნ შ ი...“[9].

იოანე მინჩხს კ. კეკელიძე აყენებს იმ გამოჩენილ ქართველ ჰიმნოგრაფთა ჯგუფში, რომლებსაც IX—X საუკუნეებში მიზნად დაუსახავთ ქართული ღვთისმსახურებისა და ჰიმნოგრაფიული კრებულების ნაციონალიზაცია. კერძოდ, იოანე მინჩხს იგი მიაწერს ქართული მარხვანისა და ზატიკის შედგენას[10].

კ. კეკელიძის ვარაუდით ტერმინები: „მინჩხნი, მინჩხისანი, თჳთნი, თჳთნი არიან მინჩხნი“ მინჩხის ავტორობას აღნიშნავს, ხოლო ტერმინი „მინჩხურნი“ — მინჩხის საგალობლების ფორმის მქონე ჰიმნებს. კ. კეკელიძის აზრით წმ. გიორგისადმი მიძღვნილ მინჩხის კანონში მოხსენებული მეფე გიორგი უნდა იყოს დასავლეთ საქართველოს მეფე — გიორგი II.

იოანე მინჩხის საგალობლების შემცველ სინურ ხელნაწერებს შორის კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ასახელებს სინ. 77 ხელნაწერსაც[11]. ჯავახიშვილისავე „აღწერილობის“ მიხედვით სინ. 5-სა და სინ. 75-ში კ. კეკელიძე უთითებს იოანე მინჩხის დიდმარხვის მოსამზადებელი კვირიაკეებისათვის განკუთვნილ საგალობლებს, სინ. 77-ში კი — დიდმარხვის 1, 2, 3, 4

---

[8] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I ტომი, ძველი მწერლობა, ტფ., 1923, გვ. 168—170.

[9] იქვე, გვ. 169.

[10] იქვე, გვ. 647.

[11] იქვე, გვ. 169

კვირიაკეების საგალობლებს[12]. სინ. 77 ხელნაწერი, როგორც იოანე მინჩხის საგალობლების შემცველი, მითითებულია ივ. ჯავახიშვილის 1947 წელს გამოსულ „სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაშიც“[13].

ხელნაწერი სინ. 77 წარმოადგენს საგალობლების კრებულს. იგი აღწერილი აქვს თვით ივ. ჯავახიშვილს[14]. ამ ხელნაწერში იოანე მინჩხის საგალობლები საერთოდ არ არის შესული. როგორც ივ. ჯავახიშვილის „სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ შესწავლამ გვიჩვენა, ის საგალობლები, რომლებთანაც „აღწერილობაში“ მითითებულია სინ. 77, სინამდვილეში სინ. 75 ხელნაწერში შესულ საგალობლებს წარმოადგენს. ამრიგად, ჯავახიშვილთან ეს უნდა იყოს უნებლიე შეცდომა, რომელიც მისი გამოუქვეყნებელი „აღწერილობიდან“ გადავიდა კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომში, შემდეგ კი ივ. ჯავახიშვილის „აღწერილობის“ პუბლიკაციაში[15].

მინჩხის შემოქმედების განხილვისას კ. კეკელიძე რამდენიმე წინადადებით ეხება მისი საგალობლების რიტმულ მხარესაც. მიქაელ მოდრეკილის კრებულში შესულ მინჩხის საგალობლებს კ. კეკელიძე იამბიკოებად და პროზით დაწერილად მიიჩნევს[16].

კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I გამოცემაში იოანე მინჩხის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები უცვლელად იქნა გადასული ამ ნაშრომის ყველა შემდგომდროინდელ გამოცემაში (1941, 1951, 1960, 1980 წწ.).

1947 წელს გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის „სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. ნაშრომი ავტორის გარდაცვალების შემდეგ მისი ავტოგრაფის მიხედვით დასაბეჭდად მოამზადა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან არსებულმა ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტმა. „აღწერილობაში“ სხვა სინურ ხელნაწერებთან ერთად, აღწერილია მინჩხის საგალობლების შემცველი 3 ქართული ხელნაწერი — სინ. 2, სინ. 5 და სინ. 75. მითითებულია ამ ხელნაწერებში შესული იოანე მინჩხის საგალობლები.

„აღწერილობას“ ერთვის სინურ ხელნაწერებში დაცული ტექსტები, რომლებიც მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო 1902 წ. სინური ხელნაწერებიდან გადმოწერა ივ. ჯავახიშვილმა. ამ ტექსტებს შორის i ადგილზე წარმოდგენილია იოანე მინჩხის საგალობლები. დღემდე ეს არის სინურ ხელნაწერებში შესული იოანე მინჩხის საგალობლების ერთადერთი პუბლიკაცია. იგი არ წარმოადგენს მინჩხის საგალობლების მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემას და ასეთად არც იყო გამიზნული.

ივ. ჯავახიშვილის ამ ნაშრომში გამოქვეყნებულია სინ. 2 ხელნაწერში დაცული იოანე მინჩხის წმ. გიორგისადმი მიძღვნილი კანონის I—VI ოდები და სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში შესული მინჩხის 25 მცირე ფორმის საგალობელი. ესაა აღნიშნულ სინურ ხელნაწერებში მინჩხის სახელით წარწერილი საგალობლების ძირითადი ნაწილი. აქ გამოქვეყნებული 25 მცირე ფორ-

---

12 იქვე.

13 გვ. 157—165.

14 იქვე, გვ. 123—124.

15 ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის „სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“ სინ. 77 ყველგან სინ. 75-ად უნდა გასწორდეს.

16 ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1923, გვ. 169.

მის საგალობლიდან 24 სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში მინჩხის სახელითაა წარწერილი, ხოლო საგალობლის „სანთელი იგი ზეცისაჲ“[17] მინჩხისადმი მიკუთვნება გაუმართლებელია. გამოცემაში გამოქვეყნებული ამ საგალობლის I ტროპარი სინამდვილეში მინჩხის წინა საგალობლის „ღმრთისმშობლისას“ წარმოადგენს, დანარჩენი ტროპარები კი სინ. 5-სა და სინ. 75-ში ავტორწაუწერლად შესული ცალკე სტიქარონია. ასევე გაუმართლებელია მინჩხის I სტიქარონის — „სიტყუაჲ დაუსაბამოჲ“-ს მომდევნო 2 „სხუანისა“[18] და აღვივსენითის — „მზისა მის ბრწყინვალისა...“[19]. მინჩხისადმი მიკუთვნება, რომლებიც სინ. 5-სა და სინ. 75-ში ცალკე საგალობლებს წარმოადგენს და მინჩხის სახელით არ არის წარწერილი.

ჯავახიშვილის პუბლიკაციაში იოანე მინჩხის 5 საგალობლის ტექსტი მოტანილია სინ. 5-ის მიხედვით, 13 — სინ. 75-ის მიხედვით, 7-ში კი გათვალისწინებულია ორივე ხელნაწერის ჩვენებები და გაკეთებულია ვარიანტები. გამოცემაში მინჩხის საგალობელთა ტექსტები გამართულია თანამედროვე პუნქტუაციის მიხედვით, გამოქვეყნებულია ხელნაწერში არსებული მითითებები საგალობელთა პოეტურ რაობაზე, ხმაზე და ავტორზე,' აგრეთვე საგალობლებზე დართული შენიშვნები; გამოცალკევებულია მინჩხის საგალობლების ტროპარები.

აქ გამოქვეყნებულ მინჩხის საგალობელთა ტექსტებში გვხვდება რიგი უზუსტობები, ზოგჯერ გამოტოვებულია ცალკეული ფრაზებიც. მინჩხის საგალობლების ეს ტექსტები შემდგომ დადგენას მოითხოვს. „აღწერილობაში“ მინჩხის საგალობლები გამოქვეყნებულია ხელნაწერებში არსებული რიტმული განკვეთის ნიშნების გათვალისწინების გარეშე. არის შემთხვევები, როცა ერთ ტროპარადაა გამოქვეყნებული მინჩხის ამა თუ იმ საგალობლის 2 ან მეტი ტროპარი; სრულად არაა მითითებული საგალობელთა სათაურები — საგალობლებთან არაა აღნიშნული მათთვის განკუთვნილი. დღეები და შესაბამისი განგებები, ასევე არასრულადაა შედგენილი ვარიანტები. მინჩხის საგალობლების ტექსტებში გაუხსნელადაა წარმოდგენილი მრავალრიცხოვანი ქარაგმები, შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს პუნქტუაციაც. პუბლიკაციაში მხოლოდ 8 შემთხვევაშია გამოყოფილი ძლისპირ-ღმრთისმშობლისანები მინჩხის სტიქარონების ძირითადი ტექსტებიდან, დანარჩენ შემთხვევებში ისინი საგალობლების ტექსტებშია ჩართული. რამდენჯერმე არეულია სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესული მინჩხის სტიქარონების მიმდევრობაც.

მინჩხის საგალობლების წინამდებარე გამოცემაში აღნიშნული პუბლიკაციის ყველა ეს ნაკლოვანება გასწორებულია.

1954 წელს გამოქვეყნდა პ. ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“. ნაშრომის II ნაწილში, ქართული ჰიმნოგრაფიის სხვა საკითხებთან ერთად, განხილულია იოანე მინჩხის შემოქმედების ზოგიერთი საკითხი. მინჩხის შემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები გაბნეულია ნაშრომის სხვადასხვა გვერდებზე. მათი თავმოყრის შემდეგ ნათელი ხდება, რომ მინჩხის შემოქმედების შესახებ პ. ინგოროყვას მოცემული აქვს საკმაოდ ფართო ინფორმაცია და საინტერესო დაკვირვებები.

---

[17] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 156—157.
[18] იქვე, გვ. 150—151.
[19] იქვე, გვ. 153—154.

პ. ინგოროყვა იოანე მინჩხს დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლად მიიჩნევს. იგი ყურადღებას ამახვილებს ზედწოდებაზე „ნეტარი“, რომელიც მინჩხის მიმართ ნახმარია მიქაელ მოდრეკილის იადგარსა და სინ. 5-ში. ამ ზედწოდებას პ. ინგოროყვა ხსნის მინჩხის ღვაწლით ქართულ ჰიმნოგრაფიაში. იმის საფუძველზე, რომ მიქაელ მოდრეკილის იადგარში მინჩხი მოიხსენიება სახელით „ივანე“ (და არა „იოვანე“), პ. ინგოროყვა მას საერო პირად მიიჩნევს.

მეტ ყურადღებას იმსახურებს პ. ინგოროყვას ის მოსაზრებები, რომლებიც ეხება იოანე მინჩხის საგალობლების პოეტურ საზომებს.

პ. ინგოროყვა იოანე მინჩხს მიიჩნევს ქართულ ჰიმნოგრაფიაში ახალი სალექსო ფორმის — „სპადუქნის“ ანუ „მორთულნის“ ავტორად. ჩვეულებრივი კანონისაგან განსხვავებით, რომელიც 9 სალექსო საზომსა და 9 მუსიკალურ კომპოზიციას შეიცავს, „სპადუქნი“ პ. ინგოროყვას განმარტებით წარმოადგენს კანონის თავისებურ სახეობას, რომელშიც 9 მუსიკალურ კომპოზიციასთან შეწყობილია 5 სალექსო საზომი[20]. იოანე მინჩხს ამ საზომით დაუწერია წმ. გიორგისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი[21]. პ. ინგოროყვას ვარაუდით ამ სალექსო საზომს ფართო გავრცელება მიუღია ქართულ ჰიმნოგრაფიაში. მიქაელის იადგარსა და ალავერდულ იორდანესეულ ძლისპირთა კრებულში (A 603) მინჩხის ამ საზომით დაწერილი წმ. გიორგისადმი მიძღვნილი კანონის I ტროპარები ძლისპირებადაა შეტანილი. ეს სალექსო საზომი შემდგომში გამოუყენებია მიქაელ მოდრეკილს და 2 ანონიმ ავტორს[22]. პ. ინგოროყვა მინჩხის მიერ შემოღებული „სპადუქნის“ ვარიაციად მიიჩნევს მიქაელ მოდრეკილის აღდგომის 2 კანონის პოეტურ საზომებს, რომლებიც I ხმაზეა დაწერილი[23]. აქვე პ. ინგოროყვა იძლევა ტერმინების — „სპადუქნი“ და „მორთულნის“ თავისებურ ინტერპრეტაციას. კერძოდ, „სპადუქნს“ იგი უკავშირებს ჩანგის მსგავს მუსიკალურ საკრავს.

ივ. ჯავახიშვილის „სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“ გამოქვეყნებული მინჩხის სტიქარონების უმეტესობას (17 სტიქარონს) პ. ინგოროყვა „თჳთ ძლისპირად“ მიიჩნევს. სახელდობრ, თჳთძლისპირადაა მიჩნეული მინჩხის ყველა ის სტიქარონი, რომლებიც ჯავახიშვილის პუბლიკაციაში ძლისპირებზე მითითებას არ შეიცავს და უშუალოდ ტროპარების სრული ტექსტებით იწყება. „თჳთ ძლისპირად“ მიჩნეული მინჩხის 17 სტიქარონიდან 7-ის დასაწყისი ტროპარები, როგორც პ. ინგოროყვა მიუთითებს, ძლისპირებადაა შეტანილი ძლისპირთა კრებულებში — K—22 და K—564[24].

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მინჩხის თჳთძლისპირ სტიქარონთა ნუსხაში პ. ინგოროყვას შეტანილი არა აქვს მინჩხის საგალობელი — „ქმაჲ დ. ამაო არს ცხორებაჲ ჩუენი. — რაჲ-მე შევწიროთ შენდა“. რომელიც დაწერილია მინჩხის ორიგინალურ ძლისპირზე. მინჩხის თჳთძლისპირ სტიქარონთა პ. ინგოროყვასეულ ნუსხაში შესული საგალობლები „სანთელი იგი ზეცისაჲ“ და „მარხვითა ვისწრაფოთ“ მინჩხს არ ეკუთვნის, ხოლო საგალობელი „ნუგეშინისმცემელი“ არ შეიძლება თჳთძლისპირი იყოს, რადგან

---

20 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 131.
21 იქვე, გვ. 133—134.
22 იქვე, გვ. 134—135.
23 იქვე, გვ. 136—137.
24 იქვე, გვ. 151.

თვით სიტყვა „ნუგეშინისმცემელი“ ამ სტიქარონის ძლისპირზე მითითებას წარმოადგენს, სტიქარონი კი იწყება შემდეგი სიტყვებით: „ღმერთი ცხადად მოვიდეს“. ეს შეცდომა პ. ინგოროყვასთან გადასულია ივ. ჯავახიშვილის აღწერილობიდან, სადაც ეს ძლისპირი სტიქარონის ტექსტშივეა ჩართული.

პ. ინგოროყვა სტილის მიხედვით მინჩხისეულად მიიჩნევს ავტორწაუწერელ ძლისპირს — „ყამნი ჩემნი“[25].

სინურ ხელნაწერებში შესულ იოანე მინჩხის საგალობლებთან დაკავშირებით პ. ინგოროყვა მოკლედ ეხება სინ. 5 ხელნაწერსაც[26].

მიქაელ მოდრეკილის იადგარში პ. ინგოროყვა იოანე მინჩხს აკუთვნებს 3 ჰიმნოგრაფიულ კანონს და 11 მცირე ფორმის საგალობელს, ხოლო ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილ კანონს და მასზე დართულ სტიქარონებს პ. ინგოროყვა მინჩხის მიერ ბერძნულიდან თარგმნილად მიიჩნევს. ამ კანონის ბერძნული ორიგინალის ავტორად იგი იოანე დამასკელს ასახელებს[27].

მინჩხის აღდგომის იამბიკურ კანონს პ. ინგოროყვა მის მიერვე დადგენილი „იამბიკურ გალობათა III ფორმის“ უძველეს ნიმუშად მიიჩნევს. პ. ინგოროყვას შენიშვნით, ეს საზომი „უდგება იოანე დამასკელის... სულიწმიდის იამბიკურ გალობათა ფორმას“[28].

აღნიშნულ ნაშრომში პ. ინგოროყვას აღნუსხული აქვს იმ დროისათვის ცნობილი მინჩხის ყველა საგალობელი და მათი შემცველი ხელნაწერები[29]. აქ პირველადაა დასახელებული მინჩხის ფერისცვალებისა და აღდგომის იამბიკური კანონის შემცველი ახალი ნუსხები — A 93 და H 2337. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პ. ინგოროყვას მიერ მინჩხის მანამდე უცნობი საგალობლის — მარიამის მიცვალების კანონის გამოვლენა H 2337-ში. ამავე ნაშრომში იგი იძლევა A 93-ისა და H 2337-ის აღწერილობას[30].

„გიორგი მერჩულეს“ II ნაწილში პ. ინგოროყვას რიტმული განკვეთის ნიშნების გათვალისწინებით მოტანილი აქვს „ძველ-ქართულ სასულიერო პოეზიასა“ და ივ. ჯავახიშვილის „სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“ გამოქვეყნებული მინჩხის საგალობლების ზოგიერთი ფრაგმენტი. საერთოდ, აღნიშნულ ნაშრომში პ. ინგოროყვა დიდ ადგილს უთმობს ქართული ჰიმნოგრაფიის რიტმულ კანონზომიერებებს.

მიუხედავად იმისა, რომ პ. ინგოროყვას ზემოთგანხილულ მოსაზრებათა ერთი ნაწილი დაზუსტებას მოითხოვს, აღნიშნულ ნაშრომში შესული საკითხები იოანე მინჩხის შემოქმედების მეცნიერული შესწავლის ახალ, მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს.

„გიორგი მერჩულეში“ იოანე მინჩხის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები უცვლელად იქნა გადასული პ. ინგოროყვას „თხზულებათა“ III ტომში[31].

1958 წელს გამოქვეყნდა კ. კეკელიძის რეცენზია პ. ინგოროყვას „გიორგი მერჩულეს“ შესახებ[32]. სხვა საკითხებთან ერთად, ამ ნაშრომში კ. კეკელიძემ

---

25 იქვე, გვ. 152.
26 იქვე, გვ. 370.
27 გვ. 493.
28 გვ. 316—317, გვ. 320.
29 გვ. 356—358.
30 გვ. 499—512. გვ. 517—531.
31 პ. ინგოროყვა, თხზულებანი, ტომი III, თბ., 1965.
32 კ. კეკელიძე, ახალი შრომა ძველი ქართული პოეზიის შესახებ, ლიტერატურული

ყურადღება გაამახვილა მინჩხის აღდგომის იამბიკურ კანონზე. პ. ინგოროყვას თვალსაზრისისაგან განსხვავებით, ხელნაწერში ამ საგალობლის ტექსტში არსებული რიტმული განკვეთის ნიშნები კ. კეკელიძის აზრით მუსიკალურ ნიშნებს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, კ. კეკელიძემ საერთოდ არ გაიზიარა ქართულ ჰიმნოგრაფიაში პ. ინგოროყვას მიერ დადგენილი რიტმული განკვეთის ნიშნების მნიშვნელობა.

ამავე რეცენზიაში კ. კეკელიძე ეხება მიქაელ მოდრეკილის იადგარში დადასტურებულ მინჩხის სახელის ფორმას — „ივანე" და მინჩხის ზედწოდებას „ნეტარი". კ. კეკელიძის სამართლიანი შენიშვნით, ზედწოდება „ნეტარი" წარმოადგენდა ოფიციალურ საეკლესიო ტიტულატურას და იგი საერო პირთა მიმართ არ იხმარებოდა. ძველ-ქართული წყაროებიდან კ. კეკელიძეს მოტანილი აქვს იმის უდავო მაგალითებიც, რომ ფორმები „ივანე" და „იოანე" ერთმანეთის მონაცელეა და რაიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა.

ამავე ნაშრომში კ. კეკელიძე იძლევა ტერმინ „სპადუქნის" პ. ინგოროყვასეული განმარტების კრიტიკას.

აღნიშნული რეცენზიის საპასუხო წერილში[33] პ. ინგოროყვამ უცვლელად გაიმეორა „გიორგი მერჩულეში" მინჩხის შესახებ გამოთქმული ყველა მოსაზრება. მან არ გაიზიარა კეკელიძის შენიშვნები მისი ნაშრომისა და კერძოდ, ნაშრომში იოანე მინჩხის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების შესახებ.

1956 წელს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკამ ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკიდან შეიძინა იერუსალიმური და სინური კოლექციების ქართულ ხელნაწერთა მიკროფირები, რის შემდეგაც ქართველ მეცნიერებს მათი გაღრმავებული შესწავლის საშუალება მიეცათ.

1969 წელს გამოქვეყნდა ლ. კვირიკაშვილის წერილი სინ. 2 ხელნაწერში დაცული იოანე მინჩხის წმ. გიორგისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონის შესახებ[34]. ეს კანონი ივ. ჯავახიშვილის „აღწერილობაში" ბოლონაკლულადაა წარმოდგენილი. სინ. 2-ის ფოტოპირის 24r—25r-ზე ლ. კვირიკაშვილმა მიაკვლია მინჩხის ამ კანონის ნაკლულ ბოლო ნაწილს, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა. ამრიგად, გაირკვა, რომ მინჩხის აღნიშნული კანონი ჩვენამდე სრული სახითაა მოღწეული.

ლ. კვირიკაშვილმა მინჩხის ამ კანონის გადამუშავებად მიიჩნია გიორგი მთაწმიდელის „თუენში" მიქელის სახელით წარწერილი წმ. გიორგისადმი მიძღვნილი კანონი. მან გაიზიარა პ. ინგოროყვას მიერ გამოთქმული ვარაუდი იმის შესახებ, რომ ამ „გადამუშავებული" კანონის ავტორს მიქაელ მოდრეკილი უნდა იყოს.

გიორგი მთაწმიდელის „თუენში" მიქელის სახელით წარწერილ ამ საგალობელს 1972 წელს შეეხო ლ. ჯღამაია[35]. მისი ვარაუდით ეს საგალობელი ბერძნულიდან უნდა იყოს თარგმნილი და ამდენად, იოანე მინჩხის წმ. გიორ-

---

ძიებანი, ტ. XI, თბ., 1958, გვ. 447—461. ავრ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბ., 1960, გვ. 103—119.

33 პ. ინგოროყვა, პასუხი აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს, მნათობი, 1959, № 3—№ 4.

34 ლ. კვირიკაშვილი, იოანე მინჩხის ერთი საგალობელი, საბჭოთა ხელოვნება, 1969, № 6.

35 ლ. ჯღამაია, მიქაელ მოდრეკილის საგალობლები, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 2, გვ. 65—66.

გისადმი მიძღვნილი კანონის გადამუშავებად ვერ ჩაითვლება. ამავე ნაშრომში პ. ინგოროყვას თვალსაზრისისაგან განსხვავებით, ლ. ჯღამაიას აღნიშნული აქვს, რომ მინჩხის მიერ შემოღებულ ახალ სალექსო ფორმას — „სპადუქნი“ ქართულ ჰიმნოგრაფიაში ფართო გავრცელება არ მიუღია[36].

ნაშრომში „მეათე საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები (ეზრა, კურდანაჲ)“[37] ლ. ჯღამაიამ მიქაელ მოდრეკილის იადგარში შესული ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი კანონი მინჩხის თარგმანად მიიჩნია[38]. ამ „თარგმანის“ ფართოდ გავრცელებას იგი ხსნის მინჩხის დიდი ავტორიტეტით თანამედროვეთა შორის. აქვე ლ. ჯღამაიას დასახელებული აქვს მინჩხის ამ „თარგმანის“ შემცველი ქართული ჰიმნოგრაფიული კრებულები[39].

1968 წელს ლ. ჯღამაიამ საგანგებოდ განიხილა მიქაელ მოდრეკილის იადგარში შესული იოანე მინჩხის საგალობლები[40]. მინჩხის თარგმანად მიჩნეული ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი კანონის ბერძნულ ორიგინალს მან მიაკვლია ვატიკანურ ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკულ კრებულში.

როგორც აღვნიშნეთ, მიქაელ მოდრეკილის იადგარში შესული ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი ეს კანონი მინჩხის თარგმანადაა დასახელებული პ. ინგოროყვას 1954 წელს გამოსულ ნაშრომში „გიორგი მერჩულე“. ამავე ნაშრომში პ. ინგოროყვა უთითებს ბერძნული ორიგინალის ავტორს — იოანე დამასკელს. ლ. ჯღამაიას აღნიშნულ ნაშრომებში პ. ინგოროყვას ამ მოსაზრებაზე შემდგომი გაღრმავება ჰპოვა.

აღნიშნულ ნაშრომში ლ. ჯღამაიამ გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ მინჩხის აღდგომის იამბიკური კანონი აგრეთვე ბერძნულიდან უნდა იყოს თარგმნილი. ამ ვარაუდს, ლ. ჯღამაიას აზრით, მხარს უჭერს ის გარემოება, რომ მინჩხის იამბიკური კანონის II ოდა — „მოიხილესა“ არაიამბიკური საზომითაა დაწერილი. ეს კი, მკვლევარის აზრით, იმით უნდა აიხსნას, რომ „... მინჩხმა ბერძნულიდან გადმოიღო იამბიკური საგალობელი, სადაც არ იყო ეს (II) გალობა. შემდეგ კი ძლისპირთა ქართულ კრებულებში შესული არაიამბური საზომის მიხედვით გაწყობილი „მოიხილესა“ დაუმატა...“[41].

1978 წელს ვ. გვახარიამ გამოაქვეყნა „მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები“ (3 ტომად). მიქაელის იადგარში დაცულ სხვა საგალობლებთან ერთად, აქ გამოქვეყნებულია იოანე მინჩხის 4 საგალობელიც. მინჩხის საგალობლების ამ პუბლიკაციაში გვხვდება რიგი ტექსტობრივი შეცდომები.

1979 წელს გამოქვეყნდა „სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ II ნაკვეთი. სხვა სინურ ხელნაწერებთან ერთად, აქ ერცლადაა აღწერილი მინჩხის საგალობლების შემცველი სინ. 2, სინ. 56, სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერები. ამ ხელნაწერების აღწერილობაში, რომელიც ლ. ჯღამაიას ეკუთვნის, ივ. ჯავახიშვილის მიერ (ამ ხელნაწერების მიხედვით) გამოქვეყნებულ მინჩხის მცირე ფორმის საგალობლებთან ერთად, მითითებულია მინჩხის 6 ახალი სტიქარონიც.

---

36 იქვე, გვ. 60.

37 მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 4, გვ. 51—63.

38 გვ. 54.

39 იქვე, გვ. 54—55.

40 ვსარგებლობთ მისი ხელნაწერი შრომით „იოანე მინჩხის საგალობლები მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიული კრებულის მიხედვით“, რისთვისაც ავტორს მადლობას მოვახსენებთ.

41 ლ. ჯ ღ ა მ ა ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ იოანე მინჩხის საგალობლების ძირითადი პუბლიკაციები. მინჩხის საგალობლების შემდგომდროინდელ პუბლიკაციებში[12] მისი საგალობლები გადმობეჭდილია პ. ინგოროყვას „ძველ-ქართული სასულიერო პოეზიიდან". ამიტომ მათზე აღარ შეეჩერდებით.

ამრიგად, იოანე მინჩხის შემოქმედების კვლევას ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული ისტორია აქვს, რომელიც დაიწყო 1902 წელს ივ. ჯავახიშვილის მიერ მისი საგალობლების გამოვლენასთან ერთად. მინჩხის შემოქმედების ცალკეული საკითხები განხილულია ნ. მარის, კ. კეკელიძის, პ. ინგოროყვას, ლ. ჯღამაიას და ლ. კვირიკაშვილის ნაშრომებში. ამ ნაშრომებში მინჩხის შემოქმედების შესახებ გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებები და ვარაუდები.

აღნიშნულ მკვლევართა ნაშრომებში იოანე მინჩხის საგალობლები ფრაგმენტულადაა განხილული, რაც მის შემოქმედებას მხოლოდ ნაწილობრივ აშუქებს.

როგორც ვაჩვენეთ, მინჩხის საგალობლების ძირითად პუბლიკაციებს წარმოადგენს პ. ინგოროყვას „ძველ-ქართულ სასულიერო პოეზიასა" და ივ. ჯავახიშვილის „სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში" გამოქვეყნებული ტექსტები. მინჩხის შემოქმედების შესწავლა ძირითადად ამ პუბლიკაციების საფუძველზე ხდებოდა.

იოანე მინჩხის დღეისათვის ცნობილი საგალობლების საგანგებო შესწავლამ, ერთი მხრივ, სამეცნიერო ლიტერატურაში მისი შემოქმედების შესახებ გამოთქმული მოსაზრებების შემოწმების საშუალება მოგვცა; მეორე მხრივ, გამოავლინა მინჩხის შემოქმედების ახალი ასპექტები, რომლებიც მის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ასახული არ ყოფილა.

ნაშრომის მომდევნო თავში, რომელიც იოანე მინჩხის შემოქმედების ტრადიციული, დღემდე ცნობილი მემკვიდრეობის ანალიზს ეთმობა, ყურადღებას გავამახვილებთ მისი შემოქმედების ამ ახალ პრობლემატიკაზე.

---

[42] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, გვ. 329—333; ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1973, გვ. 462—469; ქართული პოეზია, ტ. I, თბ., 1979; გვ. 64—69.

თავი II

იოანე მინჩხის შემოქმედების ტრადიციული ნაწილი

იოანე მინჩხის ტრადიციული, აქამდე ცნობილი მემკვიდრეობა მოიცავს 40 მცირე ფორმის საგალობელს და 6 ჰიმნოგრაფიულ კანონს. აქედან 30 მცირე ფორმის საგალობელი ცნობილია სინური კოლექციის 2 ქართული ხელნაწერით — სინ. 5 და სინ. 75; 3 ჰიმნოგრაფიული კანონი და 8 მცირე ფორმის საგალობელი შესულია მიქაელ მოდრეკილის იადგარში, აგრეთვე იერ. 42 და A 93 ხელნაწერებში; მინჩხის თითო კანონს შეიცავს სინ. 2, სინ. 56 და H 2337 ხელნაწერები; წმ. შიოსადმი მიძღვნილი მცირე ფორმის საგალობელი კი დაცულია A 160, A 425 და S 1133 ხელნაწერებში.

ამრიგად, სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია მინჩხის საგალობლების შემცველი 11 ხელნაწერი.

ამ ხელნაწერებს შორის იოანე მინჩხის საგალობლებს ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერები. სინ. 5 და სინ 75 იოანე მინჩხის შემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ მხრივაც, რომ წარმოაჩენს მინჩხის წვლილს ქართული მარხვანის — ამ უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკული კრებულის ჩამოყალიბების საქმეში. სინ. 5 და სინ. 75 ყურადღებას იმსახურებს ქართული მარხვანის ისტორიის და ბერძნული მარხვანების უძველესი კალენდარული ხსენებების დადგენის თვალსაზრისითაც. ეს ხელნაწერები და მათში დაცული იოანე მინჩხის საგალობლები დღემდე თითქმის სრულიად შეუსწავლელი იყო. ყოველივე ზემოთქმულის გამო ჩვენ მათ საგანგებოდ განვიხილავთ.

მიქაელ მოდრეკილის იადგარში დაცული იოანე მინჩხის საგალობლების შესახებ არსებობს გარკვეული სამეცნიერო ლიტერატურა. მინჩხის ამ საგალობლებს ჩვენ აგრეთვე საგანგებოდ განვიხილავთ, რადგან, როგორც ირკვევა: 1. სამეცნიერო ლიტერატურაში ყოველთვის სწორად არაა დადგენილი, თუ რომელი საგალობლები ეკუთვნის S 425-ში იოანე მინჩხს. 2. მიქაელ მოდრეკილის იადგარში დაცული იოანე მინჩხის საგალობლების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების ერთი ნაწილი უმართებულოა, მეორე ნაწილი კი შემდგომ კვლევასა და დაზუსტებას საჭიროებს.

ამავე ქვეთავში განვიხილავთ მიქაელ მოდრეკილის იადგარით ცნობილი იოანე მინჩხის საგალობლების შემცველ იერ. 42 და A 93 ხელნაწერებს, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, მაგრამ მინჩხის ამ საგალობლების კვლევისას გათვალისწინებული არ ყოფილა.

იოანე მინჩხის ტრადიციული მემკვიდრეობა გამოქვეყნებულთან ერთად მოიცავს გამოუქვეყნებელ საგალობლებსაც. ეს საგალობლები სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ მითითებულია. იმის გამო, რომ მინჩხის გამოუქვეყ-

ნებელი საგალობლები დღემდე სრულიად შეუსწავლელია და მისი შემოქმედების კვლევის თვალსაზრისით დიდ ყურადღებას იმსახურებს, ისინი ქვემოთ საგანგებოდაა განხილული, გამოვლენილია მათი შემცველი ახალი ნუსხები.

რამდენადაც წინამდებარე ნაშრომის II თავში ყურადღებას ვამახვილებთ იოანე მინჩხის ტრადიციული შემოქმედების ა ხ ა ლ პ რ ო ბ ლ ე მ ა ტ ი კ ა ზ ე, აქ აღარ განვიხილავთ სინ. 2 ხელნაწერში დაცულ იოანე მინჩხის წმ. გიორგისადმი მიძღვნილ კანონს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი (იხ. ნაშრომის I თავი, გვ. 11, 15, 16).

1. იოანე მინჩხის საგალობლები სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერებში — სინ. 5 და სინ. 75[1]

სინური კოლექციის ქართული ხელნაწერები — სინ. 5 და სინ. 75 და მათში დაცული იოანე მინჩხის საგალობლები დღემდე თითქმის სრულიად შეუსწავლელია. იოანე მინჩხის შემოქმედებისა და ქართული და ბერძნული მარხვანების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ეს ხელნაწერები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

სინ. 5 და სინ. 75 პირველად აღწერა ალ. ცაგარელმა. ცაგარლის აღწერილობაში ეს ხელნაწერები № 56 და № 25-ითაა შესული. სინ. 5-ს ცაგარელი მარხვანად მიიჩნევს და X—XI სს-ებით ათარიღებს. აქვე იგი პირველად აქვეყნებს ხელნაწერის საბაწმიდისათვის შემწირველის — გიორგი მორკნეველის ანდერძს[2]. სინ. 75 ცაგარელთან მცდარადაა განსაზღვრული. ხელნაწერი მიჩნეულია „ეამნად“ (Часослов) და დათარიღებულია XIV—XVI სს-ებით[3].

შემდგომში ეს ხელნაწერები აღწერა ივ. ჯავახიშვილმა. სინ. 5 ჯავახიშვილის განსაზღვრებით წარმოადგენს „ტრიოდიონს“ (Триодь)[4], სინ 75 კი მის მიერ სავსებით სამართლიანად „მარხვანადაა“ მიჩნეული[5]. ეს ხელნაწერები ჯავახიშვილის აღწერილობაში დათარიღებული არ არის.

სინ. 5 ხელნაწერს მოკლედ შეეხო პ. ინგოროყვაც, რომელმაც ამ ხელნაწერში გამოყო გიორგი საბაწმიდელ-სინელისა და სამოელ მგალობელის საგალობლები[6]. ამ ავტორების არსებობა ქართულ ჰიმნოგრაფიაში საერთოდ არ დასტურდება.

სინ. 5 და სინ. 75 დეტალურადაა აღწერილი ლ. ჯღამაიას მიერ სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის II ტომში[7]. აქ არა მარტო ნაჩვენებია სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესული ძირითადი პოეტური მასალა, არამედ ხშირ შემთხვევაში მითითებულია ამ მასალის შემცველი სხვა სინური ხელნაწერებიც; აღნიშნულია სინ. 5-ის გადაწერის ზუსტი თარიღი — 1052

---

[1] იხ. ლ. ხ ა ჩ ი ძ ე, იოანე მინჩხის საგალობლები სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერებში — სინ. 5 და სინ. 75, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1983, № 1, გვ. 106—124.

[2] Ц а г а р е л и А., Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, Православный Палестинский Сборник, т IV, вып. I, СПб., 1888, с. 222.

[3] იქვე, გვ. 207.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 14.

[5] იქვე, გვ. 120.

[6] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, გვ. 881; აგრ. თხზულებანი, ტ. III, გვ. 370.

[7] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, II, თბ., 1979, გვ. 8—27, 45—58.

წელი; გამოქვეყნებულია ამ ხელნაწერების ძირითადი ანდერძ-მინაწერები. სინ. 5-ისა და სინ. 75-ის უკანასკნელ აღწერილობაში ორივე მათგანი „მარხვანადაა“ მიჩნეული.

ამრიგად, სინ. 5 სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე მიჩნეული იყო „მარხვანად“ (ცაგარელი, ჯღამაია) და „ტრიოდიონად“ (ჯავახიშვილი). ეს განპირობებული უნდა იყოს ხელნაწერის 24r-ზე არსებული სათაურით: „წიგნი საგალობელი წმიდათა მარხვათაჲ, რომელსა ეწოდების ბერძულად ტრიოდი, რომელ არს სამფსალმუნეთა ხუედრად, სრული ყოვლითა განგებითა“. სინ. 5-ის განსაზღვრისას ივ. ჯავახიშვილი, როგორც ჩანს, სწორედ ამ სათაურს ითვალისწინებდა. აღნიშნული სათაურის შემდეგ ხელნაწერში იწყება მარხვანისათვის განკუთვნილი მასალა, რომელიც 305v-ზე მთავრდება დიდი შაბათის განგებით. ამის შემდეგ სინ. 5-ში იწყება ზატიკის მასალა, რომელიც აგრეთვე სრულადაა წარმოდგენილი — აღდგომის კვირიაკიდან ყოველთა წმიდათა კვირიაკის ჩათვლით (305v—385r). შემდეგ ხელნაწერში წარმოდგენილია სათვეო ნაწილი, რომელიც 20 ივლისის მასალაზე წყდება. ამის შემდეგ სინ. 5-ში შესულია საკითხავები აღდგომისა და მარტვილიის წინადღისათვის. ხელნაწერი მთავრდება გადამწერის — იოვანეს ანდერძით[8].

როგორც ქართული იადგარების შესწავლამ ცხადყო, სამარხვო ციკლის მასალა ცალკე კრებულად გამოყოფამდე იადგარის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. X—XI სს. მიჯნაზე უნდა მომხდარიყო იადგარის დიფერენციაცია, რის შედეგადაც, სხვა ნაწილებთან ერთად, მას გამოეყო „მარხვანის“ სახელით ცნობილი კრებულიც[9]. სინური კოლექციის ქართული იადგარებიდან მარხვანის მასალა ყველაზე განვითარებული და გავრცობილი სახით შესულია სინ. 59 და სინ. 64 ხელნაწერებში.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესული მარხვანი ბევრად აღემატება სინ. 59-სა და სინ. 64-ში მარხვანისათვის განკუთვნილ მასალას. როგორც ქვემოთ ვიჩვენებთ, სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცულ მარხვანს საფუძვლად უნდა ჰქონოდა პროტოტიპი, რომელზედაც ამ ხელნაწერებში დამატებულია მთელი რიგი საგალობლები. წინადროინდელ ტრადიციასთან შედარებით, სინ. 5-სა და სინ. 75-ში მარხვანის განვითარება გაცილებით შორსაა წასული, ვიდრე სინ. 5-შივე დაცული ზატიკის და სათვეო ნაწილის მასალისა[10].

ზატიკის მასალა სინური იადგარებიდან ყველაზე სრულად წარმოდგენილია სინ. 1, სინ. 14 და სინ. 64 ხელნაწერებში. თუ ერცელი ტიპის იადგარებში — სინ. 59-სა და სინ. 64-ში წინადროინდელ ტრადიციასთან (სინ. 1) შედარებით მარხვანისათვის განკუთვნილი მასალა გავრცობილი და განვითარებულია, ზატიკის მასალა ამავე ხელნაწერებში ერთი და იგივე სახითაა შესული

სინ. 5-ში დაცული ზატიკის პერიოდის მასალის სინურ იადგარებთან შედარებამ ცხადყო, რომ სინ. 5-ში უცვლელადაა გადასული 5 კალენდარული

---

8 სინ. 5 ამ იოვანეს მიერაა გადაწერილი. სხვა გადამწერის ხელი აქ არ ჩანს. დიმიტრი, რომელიც მოიხსენიება სინ. 5-ზე დართულ ანდერძში, ხელნაწერის გადამწერი არ არის. სინ. 5-ის გადამწერი — იოვანე, როგორც ჩანს, მას სხვა დამსახურებისა თუ მიზეზის გამო მოიხსენიებს. ამრიგად, სინ. 5-ის გადამწერთა რაოდენობა და ვინაობა უნდა შესწორდეს.

9 ლ. ხევსურიანი, უძველესი იადგარის ძირითადი ნუსხები, უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიეკმა და ლ. ხევსურიანმა. თბ., 1980, გვ. 693.

10 ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სინ. 5-ზე დართულ ანდერძებში იგი მარხვანადაა მოხსენიებული.

ხსენება (ახალკურიაკე, იოსებ არიმათიელის, განზოგებაჲ, აღმაღლებაჲ და მარტჷლიაჲ) და შესაბამისი პოეტური მასალა. სინური იადგარებში სადა დღეებზე შესული 4 ხსენება (დედათა მენელსაცხებლეთაჲ, განრღუეულისაჲ, მარტვილიის შემდგომი ორშაბათის მასალა და კურნებაჲ სილოამს ბრმისაჲ) სინ. 5-ში გადატანილია კვირა დღეებზე. X ს-ის სინური იადგარებისაგან განსხვავებით, სინ. 5-ში გამოყოფილია V და VII კვირიაკეების, აგრეთვე VII ხუთშაბათისა და მარტვილიის შაბათის ხსენებები და ამ დღეების პოეტური მასალა. სინური იადგარებისაგან განსხვავებით, სინ. 5-ში მარტვილიის შემდგომი კვირიაკე განკუთვნილია წმინდა მოწამეთა ხსენებისათვის[11]. სინ. 5-ში ამოღებულია სინურ იადგარებში შესული ელია წინასწარმეტყველისა და ჩვილ ყრმათა ხსენებები.

ამრიგად, ზატიკის მასალა, რომელიც X ს-ის იადგარებში განკითარებას არ განიცდის, სინ. 5-ში წარმოდგენილია ახალი სახით. აქ, ერთი მხრივ, გამოყენებულია სინური იადგარებიდან მომდინარე მასალა, მეორე მხრივ — შემოტანილია ახალი ხსენებები და საგალობლები.

სინ. 5-ში მთელი ეს მასალა კვირა დღეებზე და განსაკუთრებით მნიშვნელოვან დღესასწაულებზე (განზოგებაჲ, აღმაღლებაჲ, მეშვიდე ხუთშაბათს — კრებაჲ ბეთლემს და მარტვილიის შაბათზე) არის დადებული. სინ. 5-ში ზატიკის კვირა დღეების სისტემა უკვე ჩამოყალიბებულია და ძირითადად თანხვდება შემდგომდროინდელ ტრადიციას. ზატიკის სადა დღეების სამსაგალობლების სისტემა სინ. 5-ში ასახული არ არის. ეს მასალა პირველად გიორგი მთაწმიდელის მიერაა შემოტანილი.

ამრიგად, X—XI საუკუნეების სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერებში ზატიკისათვის განკუთვნილი მასალა მარხვანის მასალასთან შედარებით გაცილებით ნელა ვითარდება, რაც ამავე პერიოდის ბერძნულ ლიტურგიკულ პრაქტიკას უნდა შეესაბამებოდეს.

X ს-ის იადგარებთან (სინ. 1, სინ. 14, სინ. 59, სინ. 64...) შედარებით სინ. 5-ში დაცული სათვეო ნაწილის მასალა შემოკლებული და გამოკრებილია. სინ. 5-ში სათვეო ნაწილის კალენდარი ასეთია: აპრილსა კგ — დღესასწაული წმიდისა გიორგისი; აპრილსა კე — წმიდისა მარკოზ მახარებლისაჲ, აპრილსა ლ — წმიდათა მოციქულთა იაკობ და იოვანე, ძეთა ზებედესთაჲ; მაისსა ზ — ჯუარისაჲ; მაისსა ᲗᲐ — წმიდისა იოვანე მახარებლისაჲ; ივნისსა კდ — შობაჲ იოვანე ნათლისმცემელისაჲ; ივლისსა კ — ამაღლებაჲ ელია წინაჲსწარმეტყველისაჲ. ამავე პერიოდისათვის სინ. 1-ში გვაქვს 21 კალენდარული ხსენება, სინ. 59-ში — 29, სინ. 5-ში კი მხოლოდ 7. სინ. 5-ში შესული ეს ხსენებები დიდ და საუფლო დღესასწაულებს წარმოადგენს[12].

ამრიგად, სინ. 5 დღემდე მოღწეული სახით შეიცავს მარხვანისა და ზატიკის ახალ, გავრცობილ რედაქციას და გამოკრებილ სათვეო ნაწილს, რომელიც ბოლონაკლულადაა მოღწეული. შესაბამისად, სინ. 5-ის ტრადიციული კვალიფიკაცია „მარხვანად“ შესწორებას მოითხოვს.

---

11 ამ დღეზე სინურ იადგარებში დადებულია „წმიდისა მოწამისა ქრისტინაის“ ხსენება.

12 სინ. 5-ში დაცული ამ ხსენებებიდან წმინდა გიორგის ხსენება 23 აპრილს, ჯუარის გამოჩინებაჲ და იოვანეს შობა შესულია უძველეს იადგარშიეე. იხ. უძველესი იადგარი, გვ. 940.

დაზუსტებას საჭიროებს სინ. 5-ის დასაწყისი თავნაკლული ნაწილის რაობაც, რომელიც 2r—5v-ზეა მოთავსებული. ეს მასალა სინ. 5-ის უკანასკნელ აღწერილობაში ასეა განსაზღვრული: „... შეიცავს რვა ხმაზე გაწყობილ ძლისპირიან დასდებლებს, რომლებიც შინაარსით ქრისტესა და ღმრთისმშობლისადმია მიძღვნილი“[13]. სინამდვილეში ეს მასალა წარმოადგენს მარხვანში შესული სტიქარონების ღმრთისმშობლისანების სრულ ტექსტებს, რომლებიც 8 ხმაზეა გაწყობილი. ამ ღმრთისმშობლისებს ზოგჯერ წინ უძღვის რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარი მითითებები შესაბამის ძლისპირებზე. ეს მოვლენა ქართულ ხელნაწერებში იშვიათია და, ამდენად, ინტერესს იმსახურებს.

სინ. 75-ს, რომელიც საერთოდ თავბოლონაკლულია, ეს ნაწილი აკლია. იგი იწყება ხორციელის კვირიაკით და მთავრდება დიდი ხუთშაბათის განგებით. ამრიგად, დღემდე მოღწეული სახით სინ. 75 შეიცავს მხოლოდ მარხვანისათვის განკუთვნილ მასალას (თავბოლონაკლულს). ამიტომ დღეს ძნელია იმის თქმა, შეიცავდა თუ არა სინ. 75 სინ. 5-ის მსგავსად ზატიკსა და სათვეო ნაწილსაც.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში წარმოდგენილი მარხვანი ძირითადად ერთი რედაქციისაა. ეს მასალა ქმნის ერთგვარ გარდამავალ საფეხურს ქართული მარხვანის ფორმირებაში, სადაც ერთმანეთის გვერდით თანაარსებობს პალესტინური იადგარების მასალა და ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანები[14]. რამდენიმე შემთხვევაში სინ. 75 განსხვავდება სინ. 5-ისაგან პოეტური მასალის თვალსაზრისით. მაგ., სინ. 75 შეიცავს ათეულზე მეტ მცირე ფორმის საგალობელს, რომლებიც აღნიშნულია ტერმინით „ძუელნი“. ეს მასალა რიგ შემთხვევაში თანხვდება ჭილ-ეტრატის იადგარის შესაბამის მასალას[15]. სინ. 5-ში ეს მასალა ნაკლული არ არის. საინტერესოა, რომ მეოთხე ოთხშაბათის მწუხრზე სინ. 75-ში შესული „ძუელნი“ სტიქარონი და აღვივსენითსა სინ. 5-ში შეცვლილია მინჩხის სტიქარონებით[16]. სინ. 75-ის აღწერილობაში მითითებულია, რომ ხელნაწერში არ არის შესული აკათისტო; სინ. 5-თან შედარებით გაცილებით მოკლედაა წარმოდგენილი ხარების განგება და ა. შ.[17]. ამ შემთხვევებში სინ. 75 სინ. 5-თან შედარებით უფრო ძველ ვითარებას უნდა ასახავდეს.

სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში დაცულ მარხვანს პროტოტიპად უნდა ჰქონოდა ქართული მარხვანი, რომელიც ძირითადად ოთხი ავტორის შემოქმედებას შეიცავდა. ამის დაშვების შესაძლებლობას იძლევა სინ. 5-ში მოსამზადებელი კვირიაკეების მასალის შემდეგ დართული სათაური, სადაც მარხვანის მთელი მომდევნო პოეტური მასალის ავტორებად დასახელებული არიან ელია პატრიარქი, სტეფანე საბაწმიდელი, თეოდორე სტუდიელი და იოანე მინჩხი: „დასდებელნი წმიდათა მარხვათანი კჳრიაკეთა თქუმულნი არიან ელია პატრიაქისა იერუსალიმელისანი, სხუანი თქუმულნი წმიდისა სტეფანე საბაწმიდელისა, იოვანე დამასკელისა დისწულისანი, სხუანი თქუმულნი წმიდისა მამისა ჩუენისა თეოდორე ასტუდელისანი, სხუაჲ უფალო ღაღატყავ-აქებ-დითა თქუმულნია ნეტარისა მინჩხისა ქართველისანი“ (28v).

---

13 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, II, გვ. 8.

14 ეფ. მეტრეველი, წინასიტყვაობა, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, II, გვ. 5—6.

15 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, II, სინ. 75-ის აღწ., გვ. 57.

16 იქვე, გვ. 54.

17 იქვე, გვ. 57.

მოტანილი მასალის ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ სწორედ ამ სათაურით უნდა ყოფილიყო დაწყებული სინ. 5-ის სავარაუდო პროტოტიპი. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ მოსამზადებელი კვირიაკეები კონსტანტინოპოლურ ნიადაგზე იქნა აღმოცენებული და იერუსალიმური პრაქტიკა მათ არ იცნობს[18]. ამრიგად, ამ კვირიაკეების მასალა სინ. 5-ის ერთ-ერთ „კონსტანტინოპოლურ ელემენტს" წარმოადგენს და სინ. 5-ის შემდგენელის მიერ უნდა იყოს დამატებული პროტოტიპულ მასალაზე. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ზემოთმოტანილი სათაური სინ. 5-ში სწორედ მოსამზადებელი კვირიაკეების შემდეგაა მოთავსებული.

აღნიშნული სათაური განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ავტორთა დასახელების მხრივ. სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში მარხვანისათვის განკუთვნილი საგალობლების უმეტესი ნაწილი სახელწაუწერელია. ამ საგალობელთა ავტორების დადგენა შესაძლებელი ხდება სხვა ქართული მარხვანების გათვალისწინებით. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი — გეორგიკა 5, რომელიც პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაშია დაცული. ამ ხელნაწერში განსაცვიფრებელი სიზუსტითაა მითითებული საგალობლების თუ საგალობელთა ცალკეული ნაწილების ავტორები. სპეციალურმა კვლევამ ცხადყო, რომ სინ. 5-ის ტიპის მარხვანი გეორგ. 5-ის ერთ-ერთი უშუალო წყაროა (იხ. ამის შესახებ ქვემოთ). ამიტომ, გეორგ. 5-ს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მივაკუთვნოთ სინ. 5-ში სახელწაუწერლად შესული საგალობლების ავტორთა გამოელენაში.

სინ. 5-ის ზემოთმოტანილი სათაური იწყება ელია პატრიარქის მოხსენიებით: „დასდებელნი წმიდათა მარხვათანი კჳრიაკეთა თქუმულნი არიან ელია პატრიაქისა იერუსალიმელისანი..." ძველ ქართულ ტრადიციაში სიტყვა „კჳრიაკე" აღნიშნავს როგორც კვირა დღეს, ასევე მთელ შვიდეულს. სინ. 5-ში სახელწაუწერლად შესული ელია იერუსალიმელის საგალობლების დასადგენად ჩვენ ეს მასალა შევუდარეთ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანს — გეორგ. 5-ს. გაირკვა, რომ ელია იერუსალიმელს ეკუთვნის სინ. 5-ში სახელწაუწერლად შესული კვირა დღეების კანონები. ეს კანონები სინ. 5-ში დადებულია დიდმარხვის ყველა კვირა დღეზე — ხორცის აღების კვირიაკიდან მეექვსე კვირიაკის ჩათვლით (7 კანონი). ბზობის კვირიაკისათვის უნდა იყოს განკუთვნილი ელიას VIII კანონი, რომელიც სინ. 5-ში IV პარასკევს, სინ. 75-ში კი VI ხუთშაბათის მწუხრზეა დადებული. ელია იერუსალიმელის ყველა ეს კანონი ამავე დღეებზე (კვირა დღეებზე და ბზობის პარასკევზე) შესულია X საუკუნის სინურ იადგარებში — სინ. 1, სინ. 34, სინ. 59 და სინ. 64. სინ. 1-სა და სინ. 34-ში მარხვანისათვის განკუთვნილი მასალის ძირითად ნაწილს სწორედ ელია იერუსალიმელის აღნიშნული კანონები წარმოადგენს. სინ. 5-ში ელიას კანონები შესულია სინურ იადგარებში დაცული თარგმანით.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სხვა საგალობლებთან ერთად, ელია იერუსალიმელს ეკუთვნის მარხვანის კვირა დღეების კანონებიც, მაგრამ ეს კანონები მითითებული არ არის[19]. ამიტომ მოვიყვანთ მათ სრულ ნუსხას შესაბამის კვირიაკეებზე მითითებით:

---

[18] Карабинов И., Постная Триодь, СПб., 1910, с. 22—23.
[19] იქვე, с. 118.

კჳრიაკესა ჲორცითა აღებასა — „უგალობდითსა. ჴმაჲ ა. მარჯუენაჲ შენი უძ. — ვინ შემძლებელ არს მიწდომად...“

ყველიერისა კჳრიაკესა — „უგალობდითსა. ჴმაჲ ბ. ღელვათა და. — ამაღლდა ქრისტე ჯუარსა ზედა...“

მეორესა კჳრიაკესა — „უგალობდითსა. ჴმაჲ გ. რომელმან წამისყოფით. — უღმრთოებაჲ აღიღეს უარისმყოფელთა...“

მესამესა კჳრიაკესა — „უგალობდითსა. ჴმაჲ დ. ზღუსა მის მეწ. — კრებაჲ უარისმყოფელთა უშჯულოთაჲ...“

მეოთხესა კჳრიაკესა — „უგალობდითსა. ჴმაჲ ა გ´ი. ეტლთა სიმრავლე. — ძლიერმან ბრძოლასა უფალმან...“

მეხუთესა კჳრიაკესა — „უგალობდითსა. ჴმაჲ ბ´გი. უკულეველად. — შენ, რომელმან თავს-იდევ...“

მეექუსესა კჳრიაკესა — „უგალობდითსა. ჴმაჲ გ გ´ი. წამისყო. — სიბრძნეთა შენთა, ქრისტე...“

ამრიგად, საანალიზო სათაური ზუსტად მიუთითებს სინ. 5-ში დაცულ მარხვანში ელია პატრიარქის საგალობლებს — დიდმარხვის კვირა დღეებისათვის განკუთვნილ კანონებს.

როგორც აღვნიშნეთ, ელიას ეს კანონები სინ. 5-სა და სინ. 75-ში სახელწაუწერლადაა შესული. განსხვავებული სურათია ელია იერუსალიმელის VIII (დ გ´ი ხმაზე დადებულ) კანონში, რომელიც სინ. 5-ში VI პარასკევზეა დადებული, სინ. 75-ში კი — VI ხუთშაბათის მწუხრზე. ორივე ხელნაწერში ამ კანონის სათაურში მითითებულია ავტორი: „უგალობდითსა. ელია პატრიაქისნი, დ გ´ი. ეტლთა მფლობელი. — უგალობდეთ მეუფესა ქრისტესა სიხარულით...“ (სინ. 5, 240v); „უგალობდითსა. დ გ´ი. თქუმულნი ელია პატრიაქისნი. პანაშჯდად ბრძანეთ. ეტლთა მფლობელი. — უგალობდეთ ქრისტესა მეუფესა სიხარულით...“ (სინ. 75, 389r).

ამრიგად, სინ. 5-სა და სინ. 75-ში სახელწაუწერლადაა შესული ელია იერუსალიმელის ის კანონები, რომლებიც საანალიზო სათაურშივეა მითითებული; ესაა კჳრიაკეთა — კვირა დღეების კანონები, ხოლო იმ კანონთან, რომელიც სადა დღეზეა დადებული და ამდენად, საანალიზო სათაურით ელია პატრიარქისადმი მისი მიკუთვნება არ იგულისხმება, გვაქვს ზუსტი მითითება ავტორზე[20].

საანალიზო სათაურში ელია პატრიარქის შემდეგ დასახელებულია ორი ბერძენი ჰიმნოგრაფი — სტეფანე საბაწმიდელი და თეოდორე სტუდიელი: „... სხუანი თქუმულნი წმიდისა სტეფანე მონაზონისა საბაწმიდელისა, იოვანე დამასკელისა დისწულისანი, სხუანი თქუმულნი წმიდისა მამისა ჩუენისა თეოდორე ასტუდიელისანი...“

ქართულ მარხვანებში შესული სტეფანე საბაწმიდელის საგალობლები შესწავლილია ლ. ხევსურიანის მიერ, რომელმაც სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში გამოაკლინა სტეფანე საბაწმიდელის სახელწაუწერლად შესული სტიქარონები და სამსაგალობლები. სინ. 5-სა და სინ. 75-ში სტეფანეს სამსაგა-

---

20 საინტერესოა ის გარემობა, რომ სინ. 5-ში დიდმარხვის მოსამზადებელი პერიოდის — მეზვერისა და ფარისეველის და უძღები შვილის კვირიაკეებზე შესული კანონები ეკუთვნის არა ელიას, არამედ გიორგისა და იოსებს, რაც ნათლად მოწმობს იმას, რომ ეს მასალა გათვალისწინებული არ არის საანალიზო სათაურში. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ მოსამზადებელი კვირიაკეების მასალა შემდგომში უნდა იყოს დამატებული სინ. 5-ისა და სინ. 75-ისათვის სავარაუდო პროტოტიპზე.

ლობლები დადებულია დიდმარხვის სადა დღეებზე I ორშაბათიდან VI პარასკევის ჩათვლით[21]. ამრიგად, სინ. 5-სა და სინ. 75-ში გამოიყო სტეფანე საბაწმიდელის მარხვანისათვის განკუთვნილი სამსაგალობლების მთელი ციკლი, რომელიც ამ ხელნაწერებში ძირითადად მათი პროტოტიპიდან უნდა იყოს გადმოსული.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესულია აგრეთვე მთელი ციკლი მარხვანისათვის განკუთვნილი თეოდორე სტუდიელის სამსაგალობლებისა. ამ ხელნაწერებში თეოდორე სტუდიელის სამსაგალობლები ავრეთვე ძირითადად სახელწაუწერლადაა შესული. როგორც ლ. ხევსურიანმა გაარკვია „თეოდორე სტუდიელის რედაქციის მარხვის ციკლის შემოსვლა ქართულ სინამდვილეში X საუკ. ახალ იადგარებთან არის დაკავშირებული"[22].

ამრიგად, სტეფანე საბაწმიდელსა და თეოდორე სტუდიელს სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცულ მარხვანში ეკუთვნით სამსაგალობლების ორი სრული ციკლი. ეს საგალობლები, ისევე როგორც ელია იერუსალიმელის კვირა დღეებისათვის განკუთვნილი კანონები, სინ. 5-სა და სინ. 75-ში მათი პროტოტიპიდან უნდა იყოს გადმოსული.

საანალიზო სათაურში თეოდორე სტუდიელის შემდეგ დასახელებულია კიდევ ერთი ავტორი — იოანე მინჩხი: „... სხუაჲ უფალო ღაღატყაკ — აქებდითა თქუმულნია ნეტარისა მინჩხისა ქართველისანი". აღნიშნული სათაურის ხასიათის გათვალისწინებით, იოანე მინჩხი აქ წარმოდგენილი მარხვანის ისეთივე ძირითად ავტორადაა დასახული, როგორც დანარჩენი სამი ჰიმნოგრაფი. ელია იერუსალიმელის, სტეფანე საბაწმიდელისა და თეოდორე სტუდიელის მსგავსად, სინ. 5-სა და სინ. 75-ში სახელწარწერილთან ერთად შეიძლება შესული იყოს იოანე მინჩხის სახელწაუწერელი საგალობლებიც. აღნიშნულ სათაურში მინჩხი მოიხსენიება, როგორც მცირე ფორმის საგალობელთა — უფალო ღაღატყავისა და აქებდითსას ავტორი. სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცულ მარხვანში მინჩხი ძირითადად სწორედ ამ სახის საგალობლებითაა წარმოდგენილი.

საანალიზო სათაური სინ. 5-ში უცვლელად უნდა იყოს გადმოსული პროტოტიპიდან. სინ. 5-ისა და სინ. 75-ისათვის სავარაუდო ეს პროტოტიპი სწორედ საანალიზო სათაურით უნდა ყოფილიყო დაწყებული. სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცული მარხვანის პროტოტიპი ძირითადად აღნიშნულ სათაურში მოხსენებული ავტორების საგალობლებით უნდა ყოფილიყო შედგენილი. რამდენადაც სათაურში ზუსტადაა მითითებული ამ ავტორთა საგალობლები (კერძოდ, ელია იერუსალიმელს მიეწერება კვირა დღეების კანონები, სტეფანე საბაწმიდელსა და თეოდორე სტუდიელს უნდა ეკუთვნოდეთ მარხვანისათვის განკუთვნილი სამსაგალობლების 2 ფენა, იოანე მინჩხს კი — მარხვანის ამ რედაქციის მცირე ფორმის საგალობლები), შესაძლებელია, სინ 5-ისა და სინ. 75-ის პროტოტიპში ისინი სახელწაუწერლად ყოფილიყო შესული. აქით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სინ. 5-სა და სინ. 75-ში ამ საგალობელთა უმეტესობა აგრეთვე სახელწაუწერლადაა შესული. სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცული მარხვანი შეიცავს სხვა ბერძენ ავტორთა საგალობლებსაც. ეს საგალობლები, ისევე როგორც მოსამზადებელი კვირიაკეების მასალა, შემდგომში უნდა იყოს

---

21 ლ. ხევსურიანი, სტეფანე საბაწმიდელი და ქართული მარხვანები, წაკითხული მოხსენებად ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილების სხდომაზე 1982 წლის მარტში.

22 ლ. ხევსურიანი, უძველესი იადგარის ენების კვირა, უძველესი იადგარი, გვ. 775.

დამატებული სინ. 5-ისა და სინ. 75-ის პროტოტიპზე. როგორც ლ. ხევსურიანმა გაარკვია, სინ. 5-ში დაცული მარხვანი შეიცავს ექვთიმე მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ მასალასაც[23]. ამასთან ერთად, სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცულია ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანის" ექვთიმე მთაწმიდელისეული თარგმანი[24].

ამრიგად, იმ მასალაში, რომელიც შემდგომში იქნა დამატებული სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცული მარხვანის სავარაუდო პროტოტიპზე, შესულია ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანებიც.

საანალიზო სათაურის მიხედვით, სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერების პროტოტიპში მინჩხი ყველა უფალო ღაღატყავისა და აქებდითსას ავტორი უნდა ყოფილიყო. სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის სახელით წარწერილი საგალობლები კი ამ რეპერტუარის ერთ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. სინ. 5-სა და სინ. 75-ში მწუხრსა და ცისკარზე, ჩვეულებრივ, დადებულია რამდენიმე უფალო ღაღატყავსა და აქებდითსა. არის შემთხვევები, როცა მარხვანის ამა თუ იმ დღეზე დადებულია მინჩხის სახელით წარწერილი რამდენიმე მცირე ფორმის საგალობელი. მაგალითად, I ხუთშაბათის მწუხრზე სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესულია მინჩხის 2 საგალობელი — უფალო ღაღატყავსა და სტიქარონი. მინჩხის 2—2 საგალობელია შესული აგრეთვე II კვირიაკეზე, II ორშაბათს, III სამშაბათს, III ხუთშაბათს, IV სამშაბათს და V ოთხშაბათს, IV კვირიაკეზე კი მინჩხის 3 საგალობელია დადებული. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ი ო ა ნ ე მ ი ნ ჩ ხ ი ს წ ვ ლ ი ლ ი სინ. 5-ისა და სინ. 75-ის და, კ ე რ ძ ო დ, მ ა თ ი პ რ ო ტ ო ტ ი პ ი ს შ ე დ გ ე ნ ა შ ი გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს ა უ ნ დ ა ი ყ ო ს. ს ა ა ნ ა ლ ი ზ ო ს ა თ ა უ რ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ, სინ. 5-ისა და სინ. 75-ის პ რ ო ტ ო ტ ი პ შ ი ი ო ა ნ ე მ ი ნ ჩ ხ ს ე კ უ თ ვ ნ ო დ ა მ თ ე ლ ი ს ტ ი ქ ა რ ო ნ უ ლ ი ნ ა წ ი ლ ი.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის სახელით წარწერილი საგალობლების უმეტესობა (25 სტიქარონი) გამოქვეყნებულია ივ. ჯავახიშვილის „სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში". ეს პუბლიკაცია ნაშრომის I თავში განვიხილეთ (გვ. 8—10).

მინჩხის ამ საგალობელთა უმეტესობას პ. ინგოროყვა საკუთარი სალექსო საზომისა და მუსიკალური კომპოზიციის მქონე საგალობლებად მიიჩნევს[25].

სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის II ნაკვეთში, სადაც აღწერილია სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებიც, მითითებულია ამ ხელნაწერებში შესული იოანე მინჩხის 6 გამოუქვეყნებელი საგალობელი[26].

ამ ხელნაწერებზე ჩვენი მუშაობისას გამოვლინდა მინჩხის ერთი აქამდე უცნობი მცირე ფორმის საგალობელი, რომელიც არაა მითითებული არც

---

23 ლ. ხ ე ვ ს უ რ ი ა ნ ი, ექვთიმე მთაწმიდელის წელილი მარხვანის შედგენაში, წაკითხულია მოხსენებად 1979 წლის 17 მაისს კ. კეკელიძისადმი მიძღვნილ ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნ. სესიაზე.

24 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 32.

25 გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე, გვ. 685—691; გვ. 881; აგრ. თხზ., ტ. III, გვ. 147—153, გვ. 370.

26 გვ. 10, 11, 14, 15, 17.

ივ. ჯავახიშვილისა და პ. ინგოროყვას მიერ და არც სინურ ხელნაწერთა აღწერილობის II ნაკვეთში[27].

საგალობელი დადებულია დიდმარხვის პირველ ხუთშაბათს, მწუხრზე. მისი რაობის გათვალისწინება შეუძლებელია ამ დღის პოეტური მასალის სტრუქტურული ანალიზის გარეშე.

დიდმარხვის პირველი ხუთშაბათის მასალა სინას მთაზე დაცული ქართული იადგარებიდან[28] ასახულია მხოლოდ სინ. 59 და სინ. 64 კრებულებში[29]. ამ კრებულების დასდებელთა უმრავლესობა იდენტურია[30]. მათში წარმოდგენილ დიდმარხვის პირველი ხუთშაბათის საერთო მასალასთან თანხვედრას ამეღავნებს სინ. 5 და სინ. 75 კრებულების ერთი ფენი. სინ. 5-სა და სინ. 75-ში წარმოდგენილი დიდმარხვის პირველი ხუთშაბათის II ფენს წარმოადგენს ბერძნულ-სლავურ მარხვანებში იოსებ მგალობლის სახელით წარწერილი სამფსალმუნი[31]. ეს უკანასკნელი სინ. 5-სა და სინ. 75-ში I ადგილზეა წარმოდგენილი, ხოლო იადგარის თანხვედრი სამსაგალობელი მას მოსდევს „სხუანის" სახით.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში იადგარებისა და ბერძნული მარხვანის ფენებთან ერთად, დიდმარხვის პირველი ხუთშაბათის პოეტური მასალის მესამე მნიშვნელოვან ელემენტს ქმნის იოანე მინჩხის საგალობლები. პირველი ხუთშაბათის მწუხრი სინ. 5-სა და სინ. 75-ში წარმოდგენილია უფ. ღაღატყავითა და სტიქარონით. ამ უკანასკნელს სინ. 5-ში ავტორი სათაურშივე აქვს მითითებული: „სტიქარონი. ჰმაჲ ა გ~ი. მინჩხი. — ვისხნეთ ჩუენ ცათა შინა"[32]. რაც შეეხება უფ. ღაღატყავსას, აქ უფრო საინტერესო ვითარებაა. საგალობელი შედგება 5 ტროპარისაგან და სინ. 5-ში III ტროპარის გასწვრივ აშიაზე მიწერილია „მინჩხნი", IV-ს გასწვრივ კი — „მოვედით, ვადიდებდეთ სამოთხესა". სინ. 59 და სინ. 64 კრებულებთან მისმა შედარებამ გამოავლინა, რომ „უფ. ღაღატყავსას" პირველი 2 ტროპარი ძლისპირითურთ („მოგიცემიეს, ღმერთო") წარმოადგენს იადგარიდან გადმოსულ მასალას; კერძოდ, დიდმარხვის პირველი ხუთშაბათის უფ. ღაღატყავსას მთლიანად. იადგარისეულ სტიქარონზე დართული 3 ახალი ტროპარი კი სინ. 5-ის მოწმობით იოანე მინჩხს ეკუთვნის[33]. მინჩხის ეს აქამდე უცნობი სტიქარონი რიტმულად სავსებით შეესაბამება იადგარის ძლისპირს — „მოგიცემიეს, ღმერთო" და ბოლოს დართული უნდა ჰქონოდა იადგარისავე ღმრთისმშობლისა — „მოვედით, ვადიდებდეთ სამოთხესა", რომელიც ადგილის უქონლობის გამო, სინ. 5-ის გადამწერს აშიაზე მიუწერია. მისი ტექსტი დაიძებნა სინ. 5-ზე დართულ სტიქარონების ღმრთისმშობლისანების კრებულში[34].

---

27 ლ. ხ ა ჩ ი ძ ე, იოანე მინჩხის უცნობი საგალობელი, მრავალთავი, X, თბ., 1983, გვ. 122—128.

28 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I, თბ., 1978.

29 სინ. 59, 79v. სინ. 64, 94v (ესარგებლობთ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ფოტოპირებით).

30 სინურ ხელნაწერთა აღწერილობა, I, გვ. 207.

31 *Τριῴδιον κατανυκτικόν, ἐν Ῥώμῃ*, 1879, გვ. 181—183; Триодь постная, М., 1975, გვ. 117—118. სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში ეს ფენი სახელწაუწერელია.

32 სინ. 5, 69r.

33 მინჩხის ამ სტიქარონის ტექსტი წარმოდგენილია ქვემოთ მინჩხის საგალობლების ტექსტებს შორის გვ.

34 სინ. 5, 3v.

ამრიგად, დიდმარხვის I ხუთშაბათის მწუხრის იადგარისეული მასალისათვის იოანე მინჩხს დაურთავს სტიქარონი, რომელიც რიტმულად შეწყობილია იადგარისეულ ძლისპირ-ღმრთისმშობლისანს.

შინაარსობრივად, მინჩხის საგალობელში დომინირებს მოსეს მოტივი. მარხვის პერიოდში მოსეს, ისევე როგორც ელიასა და ქრისტეს ხშირი ხსენება, რა თქმა უნდა, მოულოდნელი არ არის. მაგრამ თუ 843 წ. საეკლესიო კრების შედეგებს გავითვალისწინებთ, რომელმაც დიდმარხვის I კვირიაკეს წინასწარმეტყველთა ხსენება დააკანონა და უპირველეს ყოვლისა მოსეს, აარონის და სამოელის ხსენება გახადა სავალდებულო[35], შესაძლებელია, მინჩხის სტიქარონის შექმნა ამითაც იყოს მოტივირებული.

ზემოთ აღწერილის ანალოგიური შემთხვევები სინ. 5-ში დასტურდება დიდმარხვის მეხუთე სამშაბათის უფ. ღაღატყავსასა და მეხუთე ოთხშაბათის აქებდითსაშიც. აქაც, ორივე შემთხვევაში, საგალობლების იადგაოისეული ფენი შევსებულია იადგარის, ძლისპირის საზომითვე დაწერილი მინჩხის ტროპარებით და გამოყენებულია იადგარისეული ღმრთისმშობლისა[36].

ამგვარი შემთხვევები მხარს უჭერს სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერების პროტოტიპში მინჩხის უშუალო მონაწილეობის შესახებ გამოთქმულ კარაუდს[37].

ახლადგამოვლენილი სტიქარონის ჩათვლით, სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის სახელით წარწერილია 31 მცირე ფორმის საგალობელი.

მინჩხის საგალობლებს სინ. 5-სა და სინ. 75-ში ახლავს შემდეგი მითითებები: „მინჩხნი, მინჩხურნი|მინჩხორნი, თჳთნი არიან მინჩხნი, თქუმულნი მინჩხისანი, მინჩხნი არიან. მინჩხ... მინჩხნია ესე". ყველა ეს ტერმინი მინჩხის ავტორობას აღნიშნავს (იხ. ამის შესახებ ნაშრომის VI თავი).

მინჩხის საგალობლებს სინ. 5-სა და სინ. 75-ში ავტორი ყოველთვის ერთნაირად არა აქვს მითითებული; საგალობელთა ერთი ნაწილის მინჩხისადმი მიკუთვნება ხერხდება ერთი მათგანის — სინ. 5-ის ან სინ. 75-ის მიხედვით. კერძოდ, სინ. 5-ში მინჩხის სახელით წარწერილია 24 საგალობელი, სინ. 75-ში — 22. აქედან ორივე ხელნაწერში მინჩხის ავტორობაზე მითითება გვაქვს 15 საგალობელთან. ამრიგად, სინ. 5-სა და სინ. 75-ში საკმაო რაოდენობით მოიპოვება ისეთი სახელწაუწერელი საგალობლები, რომლებიც მეორე მათგანში მინჩხის სახელითაა შესული. ეს გარემოება შესაძლებელს ხდის სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში მინჩხის სხვა სახელწაუწერელი საგალობლების არსებობის დაშვებასაც.

სინ. 5-ისა და სინ. 75-თვის საერთოა ორივე ხელნაწერის მიხედვით დადგენილი მინჩხის 27 საგალობელი. სინ. 5-ში სინ. 75-თან შედარებით მეტია მინჩხის 4 საგალობელი. 1 მათგანი წარმოადგენს ხორცის აღების შაბათის უფალო ღაღატყავსას. სინ. 75-ს ეს ნაწილი აკლია. სინ. 5-ში სინ. 75-თან შედარებით მეტია აგრეთვე მინჩხის მეხუთე სამშაბათის ერთი და მეხუთე ოთხშაბათის 2 საგალობელი. შესაბამისი მასალა სინ. 75-ში „ძუელნი" სტიქარონე-

---

35 Patmos Codex 266. იხ. Weilesz E., A History of Byzantine Music and Hymnography, Oxford, 1961, p. 134.

36 სინ. 75-ში ეს საგალობლები მხოლოდ იადგარისეული მასალითაა მოცემული.

37 ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, წინასიტყვაობა, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, II, გვ. 5.

ბითა და აღვივსენებითაა წარმოდგენილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში სინ. 75 უფრო ძველ ვითარებას უნდა ასახავდეს.

სინ. 5-ისა და სინ. 75-თვის საერთო 27 საგალობლიდან 25 შედგენილობის მხრივ იდენტურია. განსხვავებას გვიჩვენებს IV კვირიაკის 2 საგალობელი — უფალო ღაღატყავსა და აქებდითსა. სინ. 5-ში სინ. 75-თან შედარებით, ეს საგალობლები შეიცავს თითო „ზედმეტ“ ტროპარს, რომლებიც ამ საგალობლებში პირველ ადგილზეა მოთავსებული. აღნიშნული ტროპარების დასაწყისი სიტყვებია: „სიბრძნემან ღმრთისამან ინება...“ და „მიუწდომელ არს სიმდაბლე შენი...“ ეს ტროპარები ორივე შემთხვევაში რიტმულად შეესაბამება საგალობლების მომდევნო ტროპარებს, რომლებიც საერთოა სინ. 5-ისა და სინ. 75-თვის.

ჩვენი ვარაუდით, ამ შემთხვევაში სინ. 75 უფრო ახლოს უნდა იდგეს მინჩხისეულ ტრადიციასთან. სინ. 5-ში შესული „ზედმეტი“ ტროპარები შემდგომში უნდა იყოს დამატებული მინჩხის საგალობლებზე. ჩვენს ამ ვარაუდს მხარს უჭერს A 85-ში დაცული სტიქარონების ძლისპირების კრებული, სადაც ძლისპირებად გატანილია მინჩხის ამ საგალობლების მეორე ტროპარები: „სიბრძნე ღმრთისაჲ მოვიდა ზეცით“ და „ლბილ იყვნეს სიტყუანი შენნი“ (86v—87r). როგორც ჩანს, თავდაპირველად ეს საგალობლები იწყებოდა მეორე ტროპარებით, ვინაიდან ეს ტროპარები ძლისპირებს წარმოადგენდა.

სინ. 5-ისა და სინ. 75-ისათვის საერთო მინჩხის 27 საგალობელში ტექსტობრივი განსხვავებანი ვარიანტულია. ძირითადად თანხვდება საგალობელთა რიტმული დაყოფა და მათი ლიტურგიკული ფუნქცია. სინ. 5-სა და სინ. 75-თვის საერთო მინჩხის 27 საგალობლიდან 26 ორივე ხელნაწერში ერთსა და იმავე დღეებზეა დადებული. ამ მხრივ განსხვავებაა მინჩხის მხოლოდ ერთ საგალობელთან, რომელიც სინ. 5-ში მეოთხე ხუთშაბათის მწუხრზეა შესული, სინ. 75-ში კი — მეხუთე კვირიაკის მწუხრზე. როგორც ვხედავთ, განსხვავება აქაც უმნიშვნელოა.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის საგალობლებთან ყოველთვის აღნიშნულია მათი რაობა. კერძოდ, ამ 2 ხელნაწერისათვის საერთო 27 საგალობლიდან 11 უფალო ღაღატყავსაა, 6 აქებდითსა, 6 სტიქარონი და 4 აღვივსენითსა. 27-ვე საგალობლის რაობა თანხვედრია სინ. 5-სა და სინ. 75-ში. როგორც აღვნიშნეთ, სინ. 5-ში სინ. 75-თან შედარებით მეტია მინჩხის 4 მცირე ფორმის საგალობელი. აქედან ორი უფალო ღაღატყავსაა, ერთი — აქებდითსა, ერთი — აღვივსენითსა.

სინ. 75-ის ორთოგრაფიულ თავისებურებას წარმოადგენს „უი“ კომპლექსის ხმარება „ჳ“-ს მაგიერ, აგერთვე „ᲂ„-სა და „ეᲂ“-ს ხმარება „ე“-ს ნაცვლად. სინ. 75-თვის, განსაკუთრებით მეორე ხელით გადაწერილი ნაწილისათვის, დამახასიათებელია „უ“-ს მაგიერ „ო“-ს ხმარება.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცული მინჩხის საგალობლების ტექსტობრივი მიმართების ნათელსაყოფად სანიმუშოდ მოვიტანთ მინჩხის ერთ საგალობელს ამ ხელნაწერების მიხედვით. საფუძვლად ვიღებთ სინ. 5-ში (A) დაცულ ტექსტს. ვარიანტები მოყვანილია სინ. 75-ის (B) მიხედვით:

132г მეოთხესა კვრიაკესა. მწუხრი.
უფ. ღაღატყავსა. სხუანი. დ. მინჩხნი[1].
მკნეოთა ზედა.

მე, ვითარცა ხე[2] ზამთრისაჲ,
ფურცელდაცვენებული[3]-რაჲ
განვშიშულდი მადლისაგან ღმრთისა, რომელი
მომ[ე]ცა, რამეთუ ზუერსა მას
ცოდვისასა ვიუნჯებდ
და მოვაძულეე[4] ღმერთსა
დამბადებელსა თავი ჩემი.
და სირცხჳლეული[5]
აწ ცრემლით გევედრები[6]
სახიერსა
და ძჳრუკსენებელსა[7] ღმერთსა
და ვესავ წყალობასა შენსა[8]*.

არა ღირს ვარ მე წოდებად[9]
წინაშე შენსა, მამაო,
არცა ჯერ-არს ლოცვაჲ ჩემი მართალთა თანა,
რამეთუ სავსე ვარ ცოდვითა
და არაწმიდებითა
და ვერ მკადრე ვარ კმამაღლად
ვედრებას შენდა მომართ,
არამედ მდუმრიად,
სულოქუმით და ცრემლითა[10]
გევედრები
ურიცხუთა შეცოდებათა
და ბრალთა ჩემთა შენდობასა**.

უკუეთუ[11] მსაჯული იგი
უწყალოჲ[12] მწყალობელ[13] ექმნა
ქურივსა მას, რომელი მარადის აწყინებდა,
რავდენ უფროჲს მოწყალჱ[14] ღმერთი
სახიერ არს მათ ზედა,
რომელნი დღე[15] და ღამე
ევედრებიან მარადის.
აწ ჩუენცა, ძმანო,
უწყინოდ ვილოცვიდეთ
ღმრთისა მიმართ
და ვითხოვდეთ შენდობასა
ცოდვათასა და დიდსა წყალობასა.

ღმრთ. საღმრთოთა წერილთა

1—B. 2 ხეᲘ B. 3 ფორცელდაცვენებული A, ფურცელდაცვივნეიული B. 4 მოვაძულე B. 5. სირცხულეული B. 6 ვევედრები B. 7 ძეირუკსენებელსა B. 8 შენსა] მისსა B. 9 წოდებად] წარდგომად B. 10 ცრემლით B. 11 ოკ´ეთო B. 12 უწყალო A. 13 მოწყალე B. 14 მოწყალე A. 15 დღეᲘ B.

* ამის შემდეგ A-ში მიწერილია „საღმრთოთა წერილთა“ (ღმრთისმშობლ'ა).

** ამის შემდეგ B-ში მიწერილია „საღმრთოთა წერ“.

ტექსტობრივი თვალსაზრისით დაახლოებით ამგვარივე მიმართებაა სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცულ მინჩხის სხვა საგალობლებს შორისაც.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესული მინჩხის საგალობლები ყურადღებას იმსახურებს პოეტური საზომების თვალსაზრისით. ამ საგალობლების ძლისპირი-ულმრთისმშობლისანები და საერთოდ, პოეტური საზომები განხილულია ნაშრომის VI თავში.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესული მინჩხის საგალობლები ყურადღებას იქცევს შემდეგი თვალსაზრისით: ეს საგალობლები, როგორც წესი, შეესაბამებიან მარხვანში მათთვის მიკუთვნებულ ადგილს.

დიდმარხვის თითოეულ დღეს საკუთარი ლიტურგიკული განგება აქვს. მარხვანის თითოეული დღის პოეტურ მასალაში აისახება ამ განგების აუცილებელი ელემენტები: კალენდარი და ძველი და ახალი აღთქმის საკითხავების სისტემა. დროთა განმავლობაში მარხვანის ლიტურგიკის ამ ორივე ელემენტმა გარკვეული ცვლილებები და ევოლუცია განიცადა. ბერძნულ-სლავური მარხვანებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში ი. კარაბინოვი განიხილავს მარხვანის კალენდრის ევოლუციას, აგრეთვე გამოყოფს დიდმარხვისათვის განკუთვნილი სახარების საკითხავების 2 სისტემას: იერუსალიმურსა და კონსტანტინოპოლურს[38]. ქართული მარხვანები როგორც კალენდრის, ისე საკითხავების სისტემის თვალსაზრისით ბერძნული მარხვანის განვითარების სხვადასხვა ეტაპს ასახავენ.

დიდმარხვის თითოეული დღის მასალაში ხშირად აირეკლება შესაბამისი შვიდეულების ძირითადი ხსენებებიც. მაგ., დიდმარხვის IV შვიდეულის თითოეული დღის საგალობლებში ჩანს ჯვრის მოტივი; VI შვიდეულის სხვადასხვა დღეების საგალობლებში ხშირად მოიხსენება ლაზარეს აღდგინება, რომლის ხსენება ამავე (VI) შვიდეულის შაბათზეა დადებული.

ამას გარდა, მარხვანისათვის განკუთვნილ საგალობლებში აისახება მარხვის პერიოდისათვის დამახასიათებელი მოტივები, ტრადიციული სახეები და ხსენებები; აგრეთვე იმდროინდელ დოგმატიკურ აზროვნებაში მიმდინარე ცვლილებები, საეკლესიო კრებების დადგენილებები და ა. შ. საინტერესოა, რომ სინ. 5-სა და სინ. 75-ში მარხვანის თითოეული დღის მწუხრის განგებაში შესულია შემდეგი სახის მითითებები: „მსხუერპლ ღმრთისაჲ არს, ვ[იდრ]ე — შეურაცხყოს; დასდებელი: „მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალ“, რაც ამ დღეებისათვის განკუთვნილ ფსალმუნ-დასდებლებზე მითითებებს წარმოადგენს. კერძოდ, ამ შემთხვევაში მითითებულია 50-ე ფსალმუნის მე-19 მუხლი, ხოლო დასდებლად — ამავე ფსალმუნის დასაწყისი.

ავტორები, რომლებიც მარხვანისათვის წერენ, ითვალისწინებენ ზემოთჩამოთვლილ მოთხოვნებს. ამ რთულ „რეგლამენტაციას“ ემატება თითოეული საგალობლისათვის სავალდებულო რიტმულ-მელოდიური შესატყვისობა არჩეულ ძლისპირთან, რომელიც საგალობელში შინაარსეულადაც აისახება ხოლმე.

შუა საუკუნეების არაბერძენი ავტორის წინაშე იდგა კიდევ ერთი დიდი ამოცანა — ბერძნული ლიტურგიკული პოეზიის გათვალისწინების აუცილებლობა. ქართველი ავტორი, რომელიც მარხვანისათვის წერდა, კარგად უნდა ყოფილიყო დაუფლებული ბერძნული მარხვანების რეპერტუარს.

---

[38] Карабинов И., დას. ნაშრ., გვ. 22—23.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინება მოითხოვდა ღრმა, საფუძ-ლიან მომზადებას, შეიძლება ითქვას — ერთგვარ უნივერსალიზმს ლიტერ-გიკის დარგში.

იოანე მინჩხი მის წინაშე დასმულ რთულ ამოცანას — ქართული მარხვა-ნისათვის მთელი სტიქარონული ნაწილის შექმნას, როგორც ჩანს, კარგად მომზადებული შეხვდა.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესულ მინჩხის საგალობლებში, როგორც წესი, ასახულია მარხვანის სპეციფიკიდან გამომდინარე ზემოჩამოთვლილი მოთხოვ-ნები.

რა თქმა უნდა, მინჩხის თითოეულ საგალობელში ყველა ეს მოთხოვნა ერთდროულად არ არის ასახული, სხვადასხვა საგალობლებში სხვადასხვა მო-თხოვნებია განმსაზღვრელი. ამას გარდა, დღეს შესაძლებელია მხედველობიდან გამოგვრჩეს ზოგიერთი ისეთი მხარე, რასაც თავის დროზე აგრეთვე ითვა-ლისწინებდა ამ საგალობლების ავტორი.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესული მინჩხის თითოეული საგალობლის კვლე-ვისას, პირველ ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ დღეების სრუ-ლი პოეტური მასალა, რომლებისთვისაც ეს საგალობლებია დაწერილი. ამგვა-რი კვლევა მინჩხის შემოქმედების შესწავლასთან ერთად, ვფიქრობთ, საინტე-რესო შედეგებს იძლევა ბერძნული ჰიმნოგრაფიის ისტორიის ზოგიერთი სა-კითხის გასარკვევადაც.

სანიმუშოდ განვიხილოთ სინ. 5-სა და სინ. 75-ში IV კვირიაკეზე დადე-ბული მინჩხის საგალობლები.

ამ დღეზე სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესულია 10 საგალობელი — 2 კანონი და 8 მცირე ფორმის საგალობელი. აქედან მინჩხს ეკუთვნის 2 „უფალო ღა-ღატყავსა" და 8 მცირე ფორმის საგალობელი. ქვემოთ მოტანილ ცხრილში დასაწყისებით ვაჩვენებთ სინ. 5-სა და სინ. 75-ში ამ დღეზე შესულ ყველა საგალობელს:

მ ე ო თ ხ ე ს ა კ ვ რ ი ა კ ე ს ა, დ ა ს დ ე ბ ე ლ ნ ი

უ ფ. ღ ა ღ ა ტ ყ ა ვ ს ა. კ მ ა ჲ ა ბ ̄ ი. მ ი ნ ჩ ხ ნ ი. „სიბრძნემან ღმრთისამან ინება..."

ს ხ უ ა ნ ი. დ. „რაჟამს მოწყალე. — დიდად მოქადული — რაჲ ფარისეველი..."

ს ტ ი ქ ა რ ო ნ ი. ა ბ ̄ ი. „გიხაროდენთა ზედა. — მაცხოვარ, შენ სიტკბოებაო..."

კ ა ნ ო ნ ი. უ გ ა ლ ობ დ ი თ ს ა. ა კ მ ა ჲ. „დღესა მას ადგ. — დღესა მას ცხორე-ბისასა..."

ს ხ უ ა ნ ი. კ ა ნ ო ნ ი. უ გ ა ლ ობ დ ი თ ს ა. კ მ ა ჲ ა ბ ̄ ი. „ეტლთა სიმ. — ძლიერმან ბრძოლასა უფალმან..."

ა ქ ე ბ დ ი თ ს ა. მ ი ნ ჩ ხ ნ ი. „მიუწდომელ არს სიმდაბლე შენი..."

ა ღ ვ ი ვ ს ე ნ ი თ ი. დ. „კლდენი განსთქ. — მივჰბაძვიდეთ, მორწმუნენო..."

მ წ უ ხ რ ი

უ ფ. ღ ა ღ ა ტ ყ ა ვ ს ა. კ მ ა ჲ დ ბ ̄ ი. „უფალო, დაღაცათუ ქალწულისაგან. — უფალო, რომელმან ჯუარსა ზედა..."

ს ხ უ ა ნ ი. მ ი ნ ჩ ხ ნ ი. „მკნეოთა ზედა. — მე, ვითარცა ხე ზამთრისაჲ..."

ს ტ ი ქ ა რ ო ნ ი. „მძლე ექმენ შენ. — დასთრგუნე შენ, ქრისტე..."

მარხვანის კვირა დღეებზე ტრადიციისამებრ დადებულია შესაბამისი შვიდეულების ძირითადი ხსენებები. როგორც ცნობილია, დიდმარხვის IV შვიდეული ჯვართაყვანისცემის პერიოდს წარმოადგენს. ამიტომ ამ შვიდეულის თითოეული დღის პოეტური მასალის წამყვანი მოტივი არის ჯვრის თემა. სინ. 5-სა და სინ. 75-ში IV კვირიაკის მასალაში ამის შესახებ საგანგებო ლიტურგიკული შენიშვნაა დაცული: „მეოთხე მსგებსი ბარხვისა კჳრიაკესა. კსენებაჲ არს პატიოსნისა ჯუარისაჲ. ჯუარისაჲ ითქუმის მსგებსამდე“[39]. სინ. 5-სა და სინ. 75-ში IV კვირიაკეზე სახელწაუწერლად შესული I კანონი ჯვრის თემაზეა დაწერილი. ჯვრის თემაზეა დაწერილი ამავე დღის 2 სტიქარონი — რიგით III და VIII.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში IV კვირიაკეზე სახელწაუწერლად შესული II კანონის ავტორად სინ. 5-სა და სინ. 1-ში ელია პატრიარქია დასახელებული. როგორც ვიცოდნეთ, სინ. 5-ის ზემოთ განხილულ სათაურში კვირა დღეების — კვირიაკეების კანონების ერთადერთ ავტორად ელია პატრიარქია დასახული. ელიას ეს კანონი სინ. 5-სა და სინ. 75-ში მათი პროტოტიპიდან უნდა იყოს გადმოსული[40]. ელია პატრიარქის ამ კანონში ჯვრის თემა საერთოდ არ ჩანს. ი გ ი ი მ დ რ ო ს უ ნ დ ა ი ყ ო ს დ ა წ ე რ ი ლ ი, რ ო ც ა IV კ ვ ი რ ი ა კ ე დ ა ს ა ე რ თ ო დ IV შ ვ ი დ ე უ ლ ი ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ ი ყ ო ს გ ა ნ კ უ თ ვ ნ ი ლ ი ჯ ვ ა რ თ ა ყ ვ ა ნ ი ს ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს. ელიას ამ კანონში დამუშავებულია მეზვერისა და ფარისევლის თემა. საყურადღებოა, რომ ჭილ-ეტრატის იადგარში, სადაც დაცულია ქართული მარხვანის უძველესი რედაქცია — IV კვირიაკე და IV შვიდეული სწორედ მეზვერისა და ფარისევლის ხსენებისთვისაა განკუთვნილი. ეს შვიდეული ჭილ-ეტრატის იადგარშიც ჯვრის თემას საერთოდ არ იცნობს. კ. კეკელიძე ამის შესახებ წერდა: „აქ (ჭილ-ეტრატის იადგარში — ლ. ხ.) ჯერ კიდევ არაა გამოყოფილი მესამე კვრიაკე, როგორც საგანგებო, ჯვართაყვანისცემის კვრიაკე“[41]. როგორც აღვნიშნეთ, ეს კვრიაკე ჭილ-ეტრატის იადგარში მეზვერისა და ფარისევლის ხსენებისთვისაა განკუთვნილი.

საინტერესოა, რომ X საუკუნის სინელი მოღვაწე — იოანე-ზოსიმე საგანგებოდ აღნიშნავს დიდმარხვის IV კვირიაკის მასალის შინაარსს — სინ. 34-ში IV კვირიაკის მასალის სათაურში მისი ხელით მიწერილია „მეზუერისანი“, რასაც მოსდევს ამ დღის პოეტური მასალა[42].

ამრიგად, ირკვევა მეტად საინტერესო გარემოება — დიდმარხვის IV ე. წ. ჯვართაყვანისცემის შვიდეული თავდაპირველად არ იყო განკუთვნილი ჯვრის ხსენებისათვის, იგი შეიცავდა სულ სხვა — მეზვერისა და ფარისევლის ხსენებას[43]. ამას ადასტურებს ჭილ-ეტრატის იადგარი, იოანე-ზოსიმესა და გიორგი მთაწმიდელის შენიშვნები[44], აგრეთვე მარხვანისათვის განკუთვნილი სახარე-

---

39 სინ. 5, 192v; სინ. 75, 185v.

40 ელიას ეს კანონი ამავე თარგმანით შესულია სინ. 1, სინ. 34, სინ. 57 და სინ. 64 ხელნაწერებში.

41 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 596. დიდმარხვის კვირა დღეების წინამავალი შვიდეულის ნომრით ათვლა შემდგომდროინდელი ტრადიციაა. ამ ტრადიციითაა სახელდებული კეკელიძის მიერ IV კვირიაკე „მესამეღ“.

42 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I, გვ. 115.

43 კარაბინოვის ვარაუდით, ჯვრის ხსენება მარხვანში თვენებიდან უნდა იყოს შესული იხ. მისი Постная Триодь, с. 33.

44 ეს შენიშვნები დაცულია გეორგ. 5-ში შესაბამის მასალასთან.

ბის საკითხავების იერუსალიმური სისტემა, სადაც დიდმარხვის IV კვირიაკეზე დადებულია საკითხავი ლუკადან — 18,9—14 — მეზვერისა და ფარისეველის იგავი[45].

ბერძნულ ჰიმნოგრაფიაში კარგად ცნობილი ავტორის — ელია იერუსალიმელის ანუ ელია პატრიარქის ამ (IV) კვირიაკისათვის განკუთვნილი კანონი დაწერილია ძველი ტრადიციის მიხედვით — მეზვერისა და ფარისეველის თემაზე. ამრიგად, ელია პატრიარქის მოღვაწეობის დროისათვის — VIII საუკუნის II ნახევარში იერუსალიმში დიდმარხვის IV შვიდეული ძველ კალენდარს მისდევს. ელიასაგან განსხვავებით, IV შვიდეულისათვის განკუთვნილ თეოდორე სტუდიელის, იოსებ მგალობელის და სტეფანე საბაწმიდელის საგალობლებში უკვე ასახულია ჯვრის თემა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წყარო (ელიას საგალობლის ჩათვლით) დიდმარხვის III კვირიაკისა და საერთოდ III შვიდეულისათვის ადასტურებს უძღები შვილის ხსენებას.

როგორც ცნობილია, დიდმარხვის ე. წ. მოსამზადებელი კვირიაკეები — უძღები შვილის და მეზვერისა და ფარისეველისა — კონსტანტინოპოლურ ნიადაგზე აღმოცენდა და იერუსალიმური პრაქტიკა მათ არ იცნობს[46]. ეს ხსენებები ძველ, იერუსალიმურ ტრადიციაში, როგორც ირკვევა, დიდმარხვის III და IV შვიდეულებზე იყო დადებული. კალენდრის შეცვლა IV შვიდეულისათვის გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო. VIII—IX სს-ის ზოგიერთი ბერძენი ავტორის მარხვანისათვის განკუთვნილ საგალობლებში უკვე ასახულია ჯვრის თემა. ისევე, როგორც მოსამზადებელი კვირიაკეების გამოყოფა, ჯვართაყვანისცემის დაწესება დიდმარხვის IV შვიდეულზე კონსტანტინოპოლური ტრადიცია უნდა იყოს. კონსტანტინოპოლურ ტრადიციაში უნდა მომხდარიყო III შვიდეულის კალენდრის შეცვლაც, რომლის ტრადიციული — უძღები შვილის ხსენება ავრეთვე გადატანილ იქნა დიდმარხვის მოსამზადებელ კვირიაკეზე. ამ შვიდეულზე ახალი ხსენება — გრიგოლ პალამასი — გაცილებით გვიანაა დადებული. ი. კარაბინოვი გრიგოლ პალამას ხსენებას მარხვანში ყველაზე გვიანდროინდელად მიიჩნევს[47]. სრულიად ბუნებრივია, რომ III კვირიაკისათვის განკუთვნილი ელია იერუსალიმელის კანონი უძღები შვილის თემაზეა დაწერილი.

ქართული მასალების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: IV კვირიაკეზე დადებული იოანე მინჩხის საგალობლები ავრეთვე არ იცნობს ჯვრის თემას, ისინი მეზვერისა და ფარისეველის თემაზეა დაწერილი[48]. ამრიგად, ეს საგალობლები კალენდრის თვალსაზრისით ძველ ტრადიციას მისდევს: კერძოდ, იმავე ტრადიციას, რასაც ელია პატრიარქის აღნიშნული კანონი. დიდმარხვის IV შვიდეულის სადა დღეებზე სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში მინჩხის სახელით წარწერილია 3 მცირე ფორმის საგალობელი. არც-

---

45 Карабинов, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

46 იქვე, გვ. 22—23.

47 იქვე, გვ. 50.

48 ამ დღის დანარჩენ საგალობლებში ასეთი სურათია: II სტიქარონი კომპილაციურია, მისი I ტროპარი მეზვერისა და ფარისეველს თემაზეა დაწერილი, II—III ტროპარები კი — ჯვრის თემაზე მთლიანად მეზვერისა და ფარისეველს ხსენებისადმია მიძღვნილი VIII სტიქარონი, X სტიქარონში კი კალენდარული ხსენებები არ არის ასახული. ეს სტიქარონი ზოგადად შეიცავს მარხვის მოტივებს.

ერთ მათგანში ჯვრის თემა ასახული არ არის. ისინი მეზვერისა და ფარისეველის ხსენებას შეიცავს.

ელია იერუსალიმელის კანონის მსგავსად, უძღები შვილის თემაზეა დაწერილი III შვიდეულისათვის განკუთვნილი მინჩხის ყველა მცირე ფორმის საგალობელიც.

ამრიგად, დიდმარხვის III და IV შვიდეულებისათვის განკუთვნილი იოანე მინჩხის საგალობლები კალენდრის თვალსაზრისით ძველ ტრადიციას მისდევს. კერძოდ, იმავე ტრადიციას, რასაც III და IV კვირიაკეებისათვის განკუთვნილი ელია იერუსალიმელის კანონები.

IV კვირიაკეზე შესული ელია იერუსალიმელისა და იოანე მინჩხის საგალობლების შესწავლამ კიდევ ერთი საინტერესო გარემოება გამოავლინა: მინჩხის ამ საგალობლებში ნათლად იგრძნობა ელია იერუსალიმელის ამ დღის კანონის გავლენა. IV კვირიაკისათვის განკუთვნილი მინჩხის მცირე ფორმის საგალობლები დაწერილია ელია იერუსალიმელის კანონისათვის, ამიტომ თემატურად და მხატვრული სახეებით მჭიდროდაა დაკავშირებული მასთან. მინჩხის ამ საგალობლებში დამუშავებულია ის თემები, ეპიზოდები და პასაჟები, რაც ელია იერუსალიმელის აღნიშნულ კანონში. მიუხედავად ამისა, დამუშავების, მხატვრული ღირსებების თვალსაზრისით მინჩხის საგალობლები აშკარად აღემატება ელიას აღნიშნული კანონის ქართულ თარგმანს. მოვიტანთ რამდენიმე დამახასიათებელ ნიმუშს:

„მიყრდნობ�მიიძინა მჯსნელმან საფლავსა ახალსა და მცველნი განეწესნეს, ხოლო აღდგა ძილისაგან, ვითარცა არს მეუფემ საშინელი და დასცნა მან ურწმუნონი აღდგომისანი“ (ელია პატრიაქი, უგალობდითსა, II ტროპარი) შდრ.: „ვითარცა ღომმან მიიძინა ცხედარსა ზედა მიწისასა და მიწასა შინა მდებარენი, ვითარცა ძილისაგან აღადგინნა და თჳთ აღდგა, ვითარცა ღმერთ არს და დასცნა უვარისმყოფელნი მისნი და ადიდნა მოსავნი სახელსა მისისანი“ (მინჩხი, აქებდითსა, II ტროპარი).

„უფალო, ძალითა შენითა დიდებულითა აჩუენე საკჳრველებაჲ სასწაულთაჲ, ჯუარცუმასა შენსა ქუეყანაჲ შეიძრა საფუძველითურთ და მნათობთა წესი იცვალეს და კლდენი განსქდეს და მკუდარნი აღდგეს“ (ელია პატრიარქი, განძლიერდასა, I ტროპარი) შდრ. „... ამას ჟამსა უბიწონი ძალნი ძლიერთა ანგელოსთანი განკჳრდეს და ძრწოდეს ყოველნი დაბადებულნი, დღე ღამედ გარდაიქცა, რამეთუ მზე მგლოვარე იქმნა და დაბნელდა ნათელი მისი და ეზოჲ იგი ტაძრისაჲ მის განიპო და კლდენი განსქდეს“ (მინჩხი, უფ. ღაღატყავსა, II ტროპარი).

ელიას კანონის გავლენა განსაკუთრებით საგრძნობია მინჩხის პირველ 2 საგალობელში.

ამრიგად, სინ. 5-სა და სინ. 75-ში IV კვირიაკის მასალაში კალენდრის თვალსაზრისით გამოიყოფა 2 ფენა: I — უფრო ძველი, რომელიც მეზვერისა და ფარისევლის ხსენებას ასახავს, II — შემდგომდროინდელი, ჯვართაყვანისცემის შინაარსისა. მეზვერისა და ფარისევლის ხსენება ამ შვიდეულზე თავიდანვე უნდა ყოფილიყო დაწესებული, ჯვართაყვანისცემა კი შემდგომში უნდა იყოს მასზე დადებული. IV კვირიაკის პოეტური მასალის I ფენას ქმნის ელია იერუსალიმელისა და იოანე მინჩხის საგალობლები. ეს ვითარება სავსებით შეესაბამება სინ. 5-ში პროტოტიპიდან გადასულ სათაურს, რომლის მიხედვით კვირა დღეების კანონები ეკუთვნის ელია იერუსალიმელს, მარხვანის თითოეული დღის უფ. ღაღატყავსა და აქებდითსა კი — იოანე მინჩხს. ამრიგად,

სინ. 5-სა და სინ. 75-ში IV კვირიაკის მასალის I ფენა — ელიასა და მინჩხის საგალობლები მთლიანად გადმოსული უნდა იყოს ამ ხელნაწერების პროტოტიპიდან.

იოანე მინჩხი ამ დღის საგალობლებს წერს ძველი კალენდრის მიხედვით — მეზვერისა და ფარისეველის თემაზე. ამასთან, იგი ითვალისწინებს ამ დღისათვის განკუთვნილ ელია იერუსალიმელის კანონს.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში — გეორგ, 5-ში IV კვირიაკის მასალის ძველი და ახალი ფენა საგანგებოდაა გამიჯნული. აქ I ადგილზე წარმოდგენილია ელია იერუსალიმელის კანონი და მინჩხის საგალობლები, რომლებსაც მოსდევს ჯვრის თემისადმი მიძღვნილი მასალა, რომელიც საგანგებო სათაურითაა გამოყოფილი: „მასვე კჳრიაკესა თაყუანისცემაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ“ (94r).

გეორგ. 5-შივე წარმოდგენილ მარხვანის ახალ, გიორგის შემდგომდროინდელ რედაქციაში[49] IV კვირიაკის მასალიდან მთლიანადაა ამოღებული I ფენა — ელია იერუსალიმელისა და იოანე მინჩხის საგალობლები.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში IV კვირიაკის მასალის შესწავლით მიღებული დასკვნები დადასტურდა ამ ხელნაწერებში შესული სხვა ანალოგიური მასალების შემოწმებითაც.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში IV კვირიაკეზე შესული მინჩხის ერთ-ერთი საგალობლის ტექსტი ზემოთაა მოტანილი. ეს საგალობელი ამ დღის მწუხრის უფალო ღაღატყავსას წარმოადგენს. მასში დამუშავებულია მეზვერისა და ფარისევლის მოტივი, რაც შეესაბამება როგორც ძველ კალენდარს, ისე იერუსალიმური სისტემით ამ დღისათვის დაწესებულ საკითხავს ლუკას სახარებიდან — 18,9—14, რომელიც მეზვერისა და ფარისევლის იგავს წარმოადგენს.

საგალობელი იწყება საოცარი ძალის მხატვრული სახით, რომელსაც მოსდევს ცოდვის „ზუერის“ თავისებურად დამუშავებული თემა. საგალობლის II ტროპარის განწყობილებაც სავსებით შეესაბამება ამ დღისათვის დაწესებული სახარების მე-13 მუხლს: „ხოლო მეზუერე იგი შორს დგა ღა არა იკადრებდა თუალთაცა ზე ახილვად, არამედ იცემდა მკერდსა და იტყოდა: „უფალო, მილხინე მე ცოდვილსა ამას“ (ლუკა 18, 13)[50].

ლუკას სახარებაში მეზვერისა და ფარისევლის იგავს წინ უძღვის უწყალო მსაჯულისა და მავედრებელი ქვრივის ეპიზოდი (ლუკა 18, 1—7). სწორედ ამ ეპიზოდითაა შთაგონებული მინჩხის საგალობლის უკანასკნელი — III ტროპარი.

სახარების გავლენა მინჩხის საგალობლის სხვა ნაწილებშიც იგრძნობა. მაგ., საგალობლის II ტროპარის დასაწყისი 2 სტრიქონი ლუკას სახარებაში (15, 21) უძღები შვილის სიტყვებს წარმოადგენს.

ამრიგად, მინჩხის ეს საგალობელი დაწერილია დიდმარხვის IV კვირიაკის ძველი კალენდრისა და ამ დღის იერუსალიმური სისტემით დაწესებული სახარების საკითხავის გათვალისწინებით.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცული მინჩხის საგალობელთა უმეტესობა აგრეთვე ზუსტად შეესაბამება ამ ხელნაწერებში მათთვის განკუთვნილი დღეების ლიტურგიკულ შინაარსს.

---

[49] ამავე რედაქციისაა სინ. 70-ში დაცული მარხვანი.

[50] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945, გვ. 262.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მინჩხის ტროპარები გარკვეული დოგმატიკური მოსაზრებებით იადგარებიდან გადმოსულ ტრადიციულ საგალობლებზეა დართული. ამის ერთი ნიმუში ზემოთ განვიხილეთ.

ამრიგად, სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში შესული იოანე მინჩხის საგალობლები საგანგებოდ მარხვანისთვისაა დაწერილი. ამ საგალობლების უმეტესობა ზუსტად შეესაბამება მარხვანში მათთვის განკუთვნილ ადგილს — კალენდრის, სახარებისეული საკითხვების, შესაბამისი შვიდეულების ძირითადი ხსენებების და ა. შ. თვალსაზრისით. მინჩხის კვირა დღეებისათვის განკუთვნილ საგალობლებში გათვალისწინებულია ამავე დღეებზე განწესებული ელია იერუსალიმელის კანონებიც.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესული იოანე მინჩხის საგალობლები ძალზე მჭიდროდაა დაკავშირებული ამ ხელნაწერებისათვის სავარაუდო პროტოტიპთან, რომლის „რედაქტორი და შეიძლება შემდგენელიც იოანე მინჩხი იყოს"[51].

სინ. 5-ში მინჩხის სახელით წარწერილი უკანასკნელი საგალობელი V ოთხშაბათსაა დადებული[52]. დიდმარხვის მომდევნო პერიოდისათვის ამ ხელნაწერებში მინჩხის საგალობლები არ ჩანს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სინ. 5-ში დაცულ სათაურში, რომელიც პროტოტიპული მარხვანიდან უნდა იყოს მასში გადმოსული, იოანე მინჩხი ამ პროტოტიპული მარხვანის მთელი სტიქარონული ნაწილის ავტორად ივარაუდება. რამდენადაც აღნიშნული სათაური ყველა შემთხვევაში ძალზე ზუსტ ცნობებს უნდა შეიცავდეს — სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში შესაძლებელია მინჩხის სხვა სახელწოდებული საგალობლების არსებობაც დავუშვათ.

ამრიგად, სინური კოლექციის ქართული ხელნაწერების — სინ. 5-ისა და სინ. 75-ის შესწავლა ნათელყოფს იოანე მინჩხის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს სფეროს — მ ი ს წ ვ ლ ი ლ ს ქ ა რ თ უ ლ ი მ ა რ ხ ვ ა ნ ი ს უ ძ ვ ე ლ ე ს ი რ ე დ ა ქ ც ი ი ს ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ებ ებ ის ს ა ქ მ ე შ ი; მ ა რ ხ ვ ა ნ ი ს ა, რ ო მ ე ლ ი ც ი ა დ გ ა რ ი დ ა ნ პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ქ ნ ა გ ა მ ო ყ ო ფ ი ლ ი ც ა ლ კ ე ლ ი ტ უ რ გ ი კ უ ლ კ რ ებ უ ლ ა დ.

2. მიქაელ მოდრეკილის იადგარში დაცული იოანე მინჩხის საგალობლები

მიქაელ მოდრეკილის იადგარი (S 425) სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის ამ კრებულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მიქაელ მოდრეკილის იადგარში თავმოყრილია მისი შედგენის დროისათვის (978—988 წწ.) ქართულ ენაზე არსებული საგალობლები — ბერძნულიდან თარგმნილი და ორიგინალური. კრებულის შესადგენად მიქაელ მოდრეკილს ჩატარებული აქვს რთული რედაქტორული სამუშაო.

ქართველ ავტორთაგან მიქაელის იადგარში დაცულია იოანე მინჩხის, იოანე მტბევარის, სტეფანე სანანოძისძე-ჭყონდიდელის, ეზრას, იოანე ქონქოზისძის, კურდანაღს და თვით მიქაელ მოდრეკილის საგალობლები. ამ საგა-

---

51 ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, წინასიტყვაობა, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, II, გვ. 5.

52 სინ. 75-ში მეხუთე კვირიაკეზე.

ლობლების უმეტესობა (და მათი ავტორები) სწორედ მიქაელ მოდრეკილის იადგარით გახდა ცნობილი.

მიქაელ მოდრეკილის იადგარში დაცული ქართველ ავტორთა საგალობლები 1913 წელს გამოაქვეყნა პ. ინგოროყვამ[53]. მასვე ეკუთვნის მიქაელ მოდრეკილის იადგარში დაცული ჰიმნოგრაფიული მასალის მრავალმხრივი ანალიზი[54]. მიქაელის იადგართან დაკავშირებული ცალკეული საკითხები განხილულია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შრომებში. ხელნაწერი რამდენჯერმეა აღწერილი[55].

მიქაელ მოდრეკილის იადგარში მინჩხის სახელით წარწერილია 4 საგალობელი — თევდოსი მეფისა და ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი კანონები, აღდგომის იამბიკური კანონი და აღდგომისავე „უფ. ღაღატყავსა“.

მინჩხის ეს საგალობლები გამოქვეყნებულია პ. ინგოროყვას „ძველ-ქართულ სასულიერო პოეზიაში“. ეს პუბლიკაცია ნაშრომის I თავში განვიხილეთ. იქვე მოკლედ მიმოვიხილეთ მინჩხის ამ საგალობლების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა.

S 425-ში დაცული იოანე მინჩხის საგალობლების შესწავლამ ნათელყო, რომ მათი კვლევისა და შეფასებისათვის საჭიროა გათვალისწინდეს ამ საგალობლების ადგილი მიქაელ მოდრეკილის იადგარში, მათი სტრუქტურა, რიტმულ-მელოდიური საზომები; შემდგომი კვლევა მოითხოვა მიქაელის იადგარში მინჩხის სახელით ცნობილმა მცირე ფორმის საგალობლებმა და ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილმა კანონმა.

მინჩხის თევდოსი მეფისადმი მიძღვნილი კანონი და აღდგომის „უფ. ღაღატყავსა“ მხოლოდ მიქაელ მოდრეკილის იადგარმა შემოგვინახა. მათი შემცველი სხვა ხელნაწერები გამოვლენილი არ არის. მინჩხის დანარჩენი 2 კანონი (აღდგომისა და ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი) კი დაცულია A 93 და იერ. 42 ხელნაწერებში. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი იყო მინჩხის საგალობლების შემცველი ეს ნუსხები, მათში დაცული ტექსტები, რომლებიც საინტერესო ჩვენებებს შეიცავს, მინჩხის ამ კანონების კვლევისას გათვალისწინებული არ ყოფილა.

ამრიგად, მიქაელ მოდრეკილის იადგარში დაცული მინჩხის საგალობლების შესწავლამ რიგი ახალი საკითხები დააყენა. ამან განაპირობა მათი საგანგებო კვლევის აუცილებლობა.

მინჩხის 2 საგალობელი — თევდოსი მეფისა და ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი კანონები მიქაელ მოდრეკილის იადგარში დადებულია 19 და 20 იანვარს. ამ დღეებზეა განწესებული ხელნაწერში თევდოსი მეფისა და ექვთიმე დიდის (პალესტინელის) ხსენებები.

თევდოსი დიდის ხსენება ამავე დღეზე (19 იანვარს) შესულია ქართულ და სომხურ ლექციონარებში. იოვანე-ზოსიმეს კალენდარში 19 იანვართან ერთად ეს ხსენება გვხვდება 31 მაისსა და 29 ივლისსაც. ბერძნულ და სირიულ წყაროებში თევდოსის ხსენებისათვის განკუთვნილია სხვა თარიღები[56]. X საუ-

---

53 პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, I, ტექსტები, VIII—X სს.

54 იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩული; აგრ. თხზულებანი, III.

55 მისი უკანასკნელი ვრცელი აღწერილობა ეკუთვნის ელ. მეტრეველს: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაერცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, I, თბ., 1959, გვ. 544—567.

56 Garitte G., Le calendrier palestino-géorgien du Sinaïticus 34 (Xe siècle), Bruxelles, p. 135.

კუნის სინურ იადგარებში — სინ. 1, სინ. 14, სინ. 26 და სინ. 64 თევდოსის ხსენება 11 იანვარსაა დადებული. „თუენის“ I რედაქციასა და გიორგი მთაწმიდელის „თუენში“ ეს ხსენება აგრეთვე 11 იანვარსაა შესული[57]. ამრიგად, მიქაელ მოდრეკილის იადგარში თევდოსი დიდის ხსენებისათვის განკუთვნილი თარიღი — 19 იანვარი ძველ (იერუსალიმურ) ტრადიციას უნდა შეესაბამებოდეს.

მიქაელ მოდრეკილის იადგარში 19 იანვრის განგება წარმოდგენილია შემდეგი მასალით: „უფ. ღაღატყავსა. კმაჲ ა გუერდი. სუფევს ღმერთი წარმართთა. — სიბრძნით განმგებელო იესუ...“; „ოხითაჲ. კმაჲ ა გუერდი. გიხაროდენთა ზედა. — ვითარცა ებანი კმატკბილი...“; კანონი „უგალობდითსა. ეტლთა სიმრავლეჲ მ. — ქრისტეს მოყუარეო თევდოსი..“ და „აქებდითსა. რაჟამს იხილნა დამბა. — მწყემსო კეთილო...“. ეს მასალა იწყება ხელნაწერის 110r-ზე. ამ გვერდზე წარმოდგენილია უფ. ღაღატყავსას დასაწყისი ტროპარები. უფ. ღაღატყავსას შემდგომი ტროპარები, ოხითაჲ და კანონის დასაწყისი ოდები შესულია ხელნაწერის მომდევნო — 110v-ზე (თევდოსისადმი განკუთვნილი მთელი მასალა მთავრდება 111v-ზე). 110r-ს ქვედა ამიაზე დაცულია სინგურით შესრულებული მინაწერი „ქ. ივანე მინჩხისანი. ქრისტე. განუსუენე სულსა მისსა“. რადგანაც ეს შენიშვნა გაკეთებულია „უფ. ღაღატყავსას“ დასაწყისთან, ამიტომ „უფ. ღაღატყავსა“ და მისი მომდევნო „ოხითაჲ“, კანონთან ერთად მინჩხს უნდა ეკუთვნოდეს. ეს ტრადიციულადაც ასეა მიღებული.

მიქაელ მოდრეკილის მიერ შესრულებული ამ შენიშვნის მიხედვით, კრებულის გადაწერის დროისათვის (978—988 წწ.) იოანე მინჩხი გარდაცვლილად ივარაუდება. სწორედ ამ შენიშვნის მიხედვით იქნა დათარიღებული მისი მოღვაწეობა X საუკუნის I ნახევრით[58].

მინჩხის თევდოსი მეფისადმი მიძღვნილი საგალობლები მისთვის ჩვეული ოსტატობითაა შესრულებული. ამ საგალობლების ზოგიერთი მხატვრული თავისებურება განხილულია ჩვენს სადიპლომო ნაშრომში[59].

მინჩხის თევდოსი მეფისადმი მიძღვნილი კანონი 9 ოდისაგან შედგება, შეიცავს II ოდას — „მოიხილესა“.

კანონის თითოეულ ოდასთან დასაწყისი სიტყვებით მითითებულია შესაბამისი ძლისპირები. ესენია:

უგალობდითსა — ეტლთა სიმრავლეჲ მ; მოიხილესა — მივსცეთ ერნო დი; განძლიერდასა — რომელმან დაადუძნე; უფალო მესმასა — ესმა მოსვლაჲ უ; ღამითგანსა — რომელმან შეიმოსე ნათელი; ღაღატყავსა — შთაკრდომილი სიღრ; კურთხეულარსა — უფროჲსად აღმაღ; აკურთხევდითსა — შენ მხოლოსა დამ; ადიდებდითსა — ესაია მხიარულ იყავ. ქალ.

მინჩხის მიერ გამოყენებული ეს ძლისპირები („მოიხილესას“ ძლისპირის გარდა) შესულია ძლისპირთა I რედაქციაში[60]. აქ სრული ტექსტებითაა წარ-

---

57 როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, ეს ხსენება გვხვდება 17 იანვარსაც. იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 172.

58 Марр Н. Я., Предварительный отчет... გვ. 39; კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

59 ლ. ხაჩიძე, ფსალმუნთა ქართული ვერსია და ეროვნული კულტურული გარემო, თბ., 1979.

60 ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაერთო ელენე მეტრეველმა, თბ., 1971.

მოდგენილი შესაბამისი ღმრთისმშობლისანებიც, რომლებიც მინჩხის კანონში, ჩვეულებისამებრ, დასაწყისი სიტყვებითაა მითითებული. ეს ძლისპირები („მოიხილესას“ ძლისპირის ჩათვლით) შესულია ძლისპირთა III რედაქციაშიც[61]. ბერძნული ირმოლოგიონის ს. ევსტრატიადისის გამოცემაში ძლისპირთა ეს აკოლუთია იოანე ბერის სახელითაა წარწერილი[62].

მინჩხის თევდოსი მეფისადმი მიძღვნილი კანონი რიტმულად ზუსტად მისდევს ძლისპირთა I და III რედაქციაში სრული ტექსტებით წარმოდგენილ იოანე დამასკელის ამ ძლისპირებს. ამრიგად, მინჩხის ეს კანონი შექმნილია იოანე ბერის (დამასკელის) ქართულ ტრადიციაში კარგად ცნობილ ძლისპირებზე.

მინჩხის კანონს S 425-ში მოსდევს ხუთტროპარიანი „აქებდითსა“. ხელნაწერში იგი ავტორზე მითითების გარეშეა შესული. ეს „აქებდითსა“ პ. ინგოროყვას მიერ მინჩხის საგალობლადაა მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ მცირე ფორმის საგალობელი — „აქებდითსა“ ლიტურგიკული განგების ცალკე ელემენტს წარმოადგენს და მას შესაძლებელია კანონისაგან განსხვავებული ავტორი ჰყავდეს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მინჩხის თევდოსისადმი მიძღვნილი საგალობლების (უფ. ღაღატყავსა, ოხითაჲ, კანონი) შემდეგ წარმოდგენილი „აქებდითსა“ მართლაც იოანე მინჩხს უნდა ეკუთვნოდეს. მცირე ფორმის საგალობელი — „აქებდითსა“ მინჩხთან ჭშირად გვხვდება. მოსალოდნელია, რომ თევდოსის განგებისათვის განკუთვნილ ყველა საგალობელთან ერთად, იოანე მინჩხს უნდა ეკუთვნოდეს ამავე განგების „აქებდითსაც“.

თევდოსი მეფისადმი მიძღვნილი მინჩხის საგალობლები ცნობილია მხოლოდ მიქაელ მოდრეკილის იადგარით. მიქაელის იადგარში ეს მასალა ნევმირებული არ არის.

20 იანვარს მიქაელ მოდრეკილის იადგარში დადებულია ექვთიმე დიდის ხსენება. ეს ხსენება ამავე დღეზე შესულია ქართულ ლექციონარსა და X საუკუნის სინურ ხელნაწერებში — სინ. 1, სინ. 54 და სინ. 69[63]. ამავე თარიღზე ეს ხსენება დაცულია სინ. 14, სინ. 26 და სინ. 64 ხელნაწერებში. „თუენის“ I რედაქციასა და გიორგი მთაწმიდელის „თუენში“ ექვთიმე დიდის ხსენება აგრეთვე 20 იანვარზეა დადებული. ამრიგად, ექვთიმე დიდის (პალესტინელის) ხსენება ყველა ძველ ქართულ წყაროში დადებულია 20 იანვარს.

მიქაელ მოდრეკილის იადგარში 20 იანვრის განგება წარმოდგენილია 3 ჰიმნოგრაფიული კანონით და 7 მცირე ფორმის საგალობლით (3 „უფ. ღაღატყავსა“, 1 „ოხითაჲ“ და 3 „აქებდითსა“).

ხელნაწერის 111v-ზე იწყება ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი I კანონი[64]: „უგალობდითსა. კმაჲ ა. არარაჲ არს სახედ შ. — [აღმოსცენდი ღმრთისა მიერ...“], რომელიც მთავრდება 112r-ზე. ამავე გვერდზე წარმოდგენილია მომდევნო „უფ. ღაღატყავსას“ დასაწყისი. (ეს „უფ. ღაღატყავსაა“: კმაჲ ა. შენ, ღმრთისა სიტყუაო, შობილო. — ეჰა შუენიერსა დღესა...“). „უფ. ღაღატყავსა“ გრძელდება 112v-ზე. ამავე გვერდზე იწყება 20 იანვრის განგების

---

61 ნევმირებული ძლისპირნი (ხელნაწერი A 603), გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ, თბ., 1982.

62 *Εἱρμολόγιον ἐκδιδόμενον ὑπὸ Μητροπολίτου Λεοντοπόλεως Σωφρονίου Βύστρατιάδου*, Chennevières Sur-Marne, 1932.

63 G a r i t t e G., დასახ. ნაშრომი, გვ. 136

64 კანონს წინ უძღვის „უფ. ღაღატყავსა“ და „ოხითაჲ“.

II კანონი — „უგალობდითსა. კმაჲ დ. ზღუსა მის მეწამულისა ღელ. — ქრისტესა სიჩჩოჲთგან შენით...", რომელიც მთავრდება 113v-ზე. ამის შემდეგ, ხელნაწერში წარმოდგენილია ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი დანარჩენი ჰიმნოგრაფიული მასალა (3 მცირე ფორმის საგალობელი და 1 ჰიმნოგრაფიული კანონი).

112r-ს ქვედა აშიაზე ასომთავრულად, სინგურით მიწერილია — „მინჩხისანი".

სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე იოანე მინჩხს მიეწერება ხელნაწერის 111v—112r-ზე წარმოდგენილი კანონი — „უგალობდითსა. კმაჲ დ. არარაჲ არს სახედ შ. — აღმოსცენდი ღმრთისა მიერ..." და შესაბამისი მცირე ფორმის საგალობლები. ეს საგალობლები პ. ინგოროყვას მიერ „ძველ-ქართულ სასულიერო პოეზიაში" მინჩხის საგალობლებს შორისაა გამოქვეყნებული. შემდგომში პ. ინგოროყვამ, როგორც ჩანს, შეიცვალა შეხედულება ამ საგალობლის შესახებ. 1954 წელს გამოსულ ნაშრომში „გიორგი მერჩულე" (აგრ. „თხზულებათა" III ტომში) პ. ინგოროყვა ამ საგალობლის შესახებ წერს „როგორც ირკვევა ბერძნული წყაროებიდან გალობანი № 2 (იგულისხმება კანონი „აღმოსცენდი ღმრთისა მიერ" — ლ. ხ.) გადმოღებულია ბერძნულიდან, იოანე დამასკელის საგალობელთაგან"[65]. ამრიგად, პ. ინგოროყვას მიერ მინჩხი ამ კანონის მთარგმნელადაა მიჩნეული. პ. ინგოროყვას ეს ვარაუდი შემდგომში განმტკიცებულ იქნა ლ. ჯღამაიას მიერ, რომელმაც თარგმანად მიჩნეული ამ კანონის ბერძნულ ორიგინალს მიაკვლია ბერძნული თვენების ვატიკანურ გამოცემაში. ორიგინალში ეს საგალობელი მართლაც იოანე დამასკელის სახელით აღმოჩნდა წარწერილი. ლ. ჯღამაიამ გამოავლინა მინჩხის ამ „თარგმანის" შემცველი ქართული ჰიმნოგრაფიული კრებულები (სინ. 1, სინ. 14, სინ. 59, სინ. 64, იელისა და წვირმის იადგარები, იერ. 42)[66].

ამრიგად, მკვლევართა მიერ საფუძვლიანად იქნა შესწავლილი S 425-ში ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი საგალობელი, რომელიც ბერძნულიდანაა თარგმნილი. მაგრამ ამ საგალობლის კვლევისას მხედველობიდან იქნა გამორჩენილი შემდეგი გარემოება: იმ შემთხვევაში, როდესაც მიქაელ მოდრეკილის იადგარში საგალობელთა ავტორები ხელნაწერის აშიებზეა მითითებული, ეს მითითებები ყოველთვის საგალობლების დასაწყისების შემცველ გვერდებზეა გაკეთებული. ეს წესი მიქაელის იადგარში სისტემატურადაა გატარებული და გამონაკლისს არ იცნობს. ამ საერთო წესის მიხედვით ხელნაწერის 112r-ზე მიწერილი „მინჩხისანი" უნდა მიემართებოდეს საგალობელს, რომელიც ამ გვერდებზე იწყება. ხელნაწერის 112r-ზე, როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილია მცირე ფორმის საგალობლის — „უფ. ღაღატყავსას" („ეჰა შუენიერსა დღესა...") დასაწყისი (I ტროპარის ძირითადი ნაწილი), რომელიც გრძელდება ხელნაწერის მომდევნო 112v-ზე. ამ გვერდზე „უფ. ღაღატყავსას" შემდეგ იწყება ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი II კანონი (უგალობდითსა. კმაჲ დ. ზღუსა მის მეწამულისა ღელ. — ქრისტესა სიჩჩოჲთგან

---

65 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 0115, აგრ. თხზულებანი, III, კვ. 193.

66 აღნიშნული საკითხი განხილულია ლ. ჯღამაიას ხელნაწერ შრომაში „იოანე მინჩხის საგალობლები მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიული კრებულის მიხედვით". მინჩხი აღნიშნული კანონის მთარგმნელად დასახელებულია აგრეთვე ლ. ჯღამაიას გამოკვლევაში „მეათე საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები (ეზრა, კურდანაჲ), მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 4, გვ. 54.

შენით...“). აღნიშნული „უფ. ღაღატყავსა“ აკროსტიქულია. მისი ტროპარების პირველი ასოები ქმნის აკროსტიქს — „ეზრა“. „უფ. ღაღატყავსას“ I ტროპარის გასწვრივ მარცხენა ამიაზე აგრეთვე მიწერილია — „ეზრა“. სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ეზრა აღნიშნული „უფ. ღაღატყავისა“ და მომდევნო ჰიმნოგრაფიული კანონის ავტორია[67]. აღნიშნული „უფ. ღაღატყავსას“ ეზრასადმი მიკუთვნება სრულიად გამართლებული ჩანს. „უფ. ღაღატყავსას“ მომდევნო კანონის ეზრასადმი მიკუთვნება კი საფუძველსაა მოკლებული.

მცირე ფორმის საგალობელი — „უფ. ღაღატყავსა“ ლიტურგიკული განგების ცალკე ელემენტია და იგი სრულდება მწუხრზე; ხოლო ჰიმნოგრაფიული კანონი ცისკრის განგების ძირითად ელემენტს წარმოადგენს. ერთსა და იმავე კანონს სხვადასხვა კრებულებში ხშირად წინ უძღვის სხვადასხვა „უფ. ღაღატყავები“; არის შემთხვევები, როცა „უფ. ღაღატყავსასა“ და კანონს ერთი ავტორი ჰყავთ. ამრიგად, აღნიშნული „უფ. ღაღატყავსას“ ეზრასადმი მიკუთვნება არ ნიშნავს იმას, რომ „უფ. ღაღატყავსას“ მომდევნო კანონი აგრეთვე აუცილებლად იმავე ავტორს (ეზრას) ეკუთვნის. ანალოგიური მდგომარეობაა მიქაელ მოდრეკილის იადგარში „კურდანაჲ“-ს საგალობელთანაც. ეს საგალობელი „უფ. ღაღატყავსას“ წარმოადგენს. მას ავტორი მითითებული აქვს სათაურშიც და აკროსტიქშიც. კურდანაჲს „უფ. ღაღტყავსას“ მოსდევს კანონი „უგალობდითსა, ღმერთსა, რომელმან დაან. — რომელი ჯუარს ეცუა ნეფსით...“, რომელიც კურდანაჲსათვის არასოდეს მიუკუთვნებიათ. სამეცნიერო ლიტერატურაში კურდანაჲს სახელით ცნობილია მხოლოდ აღნიშნული „უფ. ღაღატყავსა“. ჩვენთვის საინტერესო საგალობლებშიც ეზრა ჰიმნოგრაფს უნდა ეკუთვნოდეს ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი აკროსტიქული „უფ. ღაღატყავსა“ და არა მომდევნო ჰიმნოგრაფიული კანონი.

ჩვენი ვარაუდი დაადასტურა იერ. 42 ხელნაწერმა. იერ. 42 სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი. იგი შესწავლილია კ. კეკელიძისა და ლ. ჯღამაიას ნაშრომებში[68]. ხელნაწერი X—XI საუკუნეების მიჯნითაა დათარიღებული. მასში წარმოდგენილია „თუენის“ I რედაქცია, რომლითაც ფართოდ უსარგებლია გიორგი მთაწმიდელს[69].

ექვთიმე დიდის ხსენება იერ. 42-ში დადებულია 20 იანვარს. ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილ სხვა საგალობლებთან ერთად, აქ წარმოდგენილია ბერძნულიდან თარგმნილი კანონი („აღმოსცენდი ღმერთისა მიერ...“) და სამეცნიერო ლიტერატურაში ეზრას სახელით ცნობილი კანონი. იერ. 42-ში ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი კანონი — „ქრისტესა სიჩჩოჲთგან შენით...“ არ შეიცავს S 425-ში ეზრას სახელით წარწერილ „უფ. ღაღატყავსას“. იერ. 42-ში მას წინ უძღვის სხვა „უფ. ღაღატყავსა“ — „ქმაჲ დ. თანასწორმან მამისა. — უდაბნოთა მათ უეალთა...“

---

67 პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 158—163, აგრ. გიორგი მერჩულე, გვ. 773, 865—866 და ა. შ.; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 177; ლ. ჯღამაია, მეათე საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები (ეზრა, კურდანაჲ), გვ. 51 და ა. შ.

68 კ. კეკელიძე, უცნობი რედაქცია ქართული ჰიმნოგრაფიული თუენისა, ეტიუდები, ტ. VIII, თბ., 1962, გვ 5—55; ლ. ჯღამაია, XI საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (გიორგი მთაწმიდლის „თუენი“), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1966, გვ. 83—138.

69 ლ. ჯღამაია, დასახ. ნაშრ., გვ. 83—138.

ამრიგად, იერ. 42-ის მოწმობით S 425-ში ეზრას სახელით წარწერილი „უფ. ღაღატყავსა“ არ წარმოადგენს ამავე ხელნაწერში მის შემდეგ მოთავსებული კანონის ორგანულ ნაწილს; ეს კანონი დამოუკიდებელი საგალობელია, რომელსაც სხვადასხვა კრებულებში სხვადასხვა მცირე ფორმის საგალობლები შეიძლება დაერთოს.

საგალობელთა ავტორებზე მითითების S 425-ში არსებული საერთო წესის მიხედვით კანონი „ქრისტესა სიჩჩოჲთგან შენით...“ იოანე მინჩხს უნდა ეკუთვნოდეს. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ იერ. 42-ში, ისევე როგორც S 425-ში, ეს კანონი შეიცავს მეორე ოდას — „მოიხილესა“, ხოლო კანონი „აღმოსცენდი ღმერთისა მიერ...“ იერ. 42-ში „მოიხილესას“ გარეშეა შესული. A 596-სა და X ს-ის სინურ იადგარებში ეს კანონი აგრეთვე II ოდის გარეშეა წარმოდგენილი. ქვემოთ ვაჩვენებთ, რომ იოანე მინჩხს საგანგებო მუშაობა აქვს ჩატარებული კანონების II ოდების — „მოიხილეთა“ რეპერტუარის შესაქმნელად. ამიტომ მინჩხის თითოეული კანონი ყველა ტრადიციაში შეიცავს II ოდას. ამ მხრივაც კანონი „ქრისტესა სიჩჩოჲთგან შენით...“ შეესაბამება მინჩხის შემოქმედების კანონზომიერებებს.

იერ. 42-ში ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილ ორიგინალურ კანონთან ავტორი მითითებული არ არის. ამ ხელნაწერში დაცული საგალობლების უმეტესობა აგრეთვე ავტორწაუწერელია. ყურადღებას იქცევს ხელნაწერის 252v-ს ქვედა აშიაზე ასომთავრულად მიწერილი „ის̄ბ“ [„იოსებ“]. ამ გვერდზე მოთავსებულია კანონის — „ქრისტესა სიჩჩოჲთგან შენით...“ V და VI ოდები („ღამითგანსა“ და „ღაღატყავსა“). კანონის შუა ნაწილთან მიწერილი ეს შენიშვნა შემდგომ კვლევას საჭიროებს. ჯერჯერობით შევნიშნავთ, რომ „იოსებ“ აღნიშნული კანონის ავტორი არ უნდა იყოს. იოსებ მგალობელის ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობაში ეს კანონი არ დასტურდება[70]. „იოსები“ არც ხელნაწერის გადამწერი ჩანს.

ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი კანონის — „ქრისტესა სიჩჩოჲთგან შენით...“ შესახებ არსებობს გარკვეული სამეცნიერო ლიტერატურა. როგორც აღვნიშნეთ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს კანონი ეზრას სახელითაა ცნობილი. ჩვენი ვარაუდით ამ კანონის ავტორი იოანე მინჩხი უნდა იყოს. თუ ჩვენი ვარაუდი საბოლოოდ გამართლდება, ამ კანონის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები მინჩხის შემოქმედებაზე გავრცელდება.

კანონი „ქრისტესა სიჩჩოჲთგან შენით...“ აკროსტიქულია. კანონის ტროპარების პირველი ასოები ქმნის წინადადებას „ქრისტე, ადიდე საურმაგ და ძეჲ მისი მირეან“. კანონს მოსდევს „აქებდითსა“, რომელიც აგრეთვე აკროსტიქულია. „აქებდითსას“ ტროპარების პირველი ასოები ქმნის აკროსტიქს „ამენ“. სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს მიღებულია ის აზრი, რომ კანონის აკროსტიქში მოხსენებული პირები — საურმაგ და მირეან საგალობლის დამკვეთნი უნდა იყვნენ[71].

კანონი გამოირჩევა მხატვრული ღირსებებით. აქ მრავლად გვხვდება ორიგინალური მხატვრული სახეები, შედარებები, ინტონაციები. კანონის სხვადა-

---

[70] *Τωμαδάκη Β. Ι.*, *Ἰωσὴφ ὁ ὑμνογράφος, βίος καὶ ἔργον, ἐν Ἀθήναις*, 1971.

[71] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 177; აგრ. ლ. ჯღამაია, მეათე საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები (ეზრა, კერდანაჲ), გვ. 54.

სხვა ოდებში ყურადღებას იქცევს მართლმადიდებლობის ხშირი ხსენება. საგალობელში აქცენტია გაკეთებული მართლმადიდებლობაზე, მის მნიშვნელობაზე, ექვთიმეს მოღვაწეობის მნიშვნელობაზე მართლმადიდებლობისათვის (უგალობდითსა — III ტროპარი; განძლიერდასა — I ტროპარი და ა. შ.). როგორც ჩანს, კანონის შექმნის დროისათვის შესაბამის წრეებში მართლმადიდებლობის დღესასწაული გარკვეული ყურადღებით სარგებლობდა, რასაც, შესაძლებელია, თავისი მიზეზები ჰქონდა. საგალობელში ხაზგასმულია ქრისტეს ორბუნებოვნებაც (იხ. უფ. მესმასა — I ტროპარი).

საგალობლის შესწავლა მოწმობს, რომ მისი ავტორი კარგად იცნობს ექვთიმე დიდის ცხოვრებას. მართლმადიდებლობისათვის ექვთიმეს მოღვაწეობის ზოგად მნიშვნელობასთან ერთად, საგალობელში შექებულია წმინდანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კონკრეტული ეპიზოდები — ნეალავრის აშენება, ჭაბუკის განკურნება და ა. შ.

კანონში ფართოდ გამოყენებული ალიტერაციები განხილულია ლ. ჯღამაიას ეზრასადმი მიძღვნილ გამოკვლევაში. ლ. ჯღამაიას ეკუთვნის ამ კანონის ახალი პუბლიკაციაც[72].

კანონის თითოეულ ოდასთან დასაწყისი სიტყვებით მითითებულია შემდეგი ძლისპირები:

უგალობდითსა — ზღუსა მის მეწამულისა ღელ; მოიხილესა — ისმენდინ ქ; განძლიერდასა — იხარებს ეკ; უფ. მესმასა — იხილა — რაჲ ეკლესიამან; ღამითგანსა — შენ, უფალო ნა; ღაღატყავსა — გალობით კმითა სიხა; კურთხეულარსა — საკუმილსა შინა აბრამეანნი ყ: აკურთხევდითსა — კელთა განა; ადიდებითსა — ლოდი საკი.

ეს ძლისპირები („მოიხილესას“ ძლისპირის გარდა) შესულია ძლისპირთა I რედაქციაში[73]. აქ სრული ტექსტებითაა წარმოდგენილი შესაბამისი ღმრთისმშობლისანებიც, რომლებიც კანონში მხოლოდ მითითებულია. აღნიშნული ძლისპირები („მოიხილესას“ ძლისპირის ჩათვლით) შესულია ძლისპირთა III რედაქციაშიც[74]. ბერძნული ირმოლოგიონის ს. ევსტრატიადისის გამოცემაში ძლისპირთა ეს აკოლუთია იოანე ბერის სახელითაა წარწერილი[75]. კანონი რიტმულად ზუსტად მისდევს ძლისპირთა I და III რედაქციაში სრული ტექსტებით შესულ იოანე დამასკელის ამ ძლისპირებს. მიქაელ მოდრეკილის იადგარში კანონის ტექსტი ნევმირებული არ არის.

ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: კანონში გამოყენებული ეს ძლისპირები დ ხმისაა. მიქაელ მოდრეკილის იადგარში აღნიშნულ კანონს ხმაზე მითითება არა აქვს, მის წინ მდგომი ეზრას „უფ. ღაღატყავსა“ კი ა ხმაზეა დადებული. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ აღნიშნული კანონი და S 425-ში მის წინ მდგომი „უფ. ღაღატყავსა“ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საგალობლებია.

საინტერესოა, რომ იერ. 42-ში გასწორებულია აღნიშნული შეუსაბამობა და კანონს წინ უძღვის შესაბამისი — დ ხმის „უფ. ღაღატყავსა“.

---

72 ლ. ჯ ღ ა მ ა ი ა, მეათე საუკუნის ქართველი პიმნოგრაფები (ეზრა, კურდანაი), გვ. 55—56, 60—63.

73 ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ელ. მეტრეველის გამოცემა.

74 ნევმირებული ძლისპირნი, გ. კოკნაძის გამოცემა.

75 Εἰρμολόγιον...

ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი ორიგინალური კანონის შესახებ ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული ვარაუდები, ეფიქრობთ, საკმაო საფუძველს იძლევა ამ კანონის მინჩხისადმი მიკუთვნებისათვის. საკითხის საბოლოოდ გადაჭრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ამ კანონის შემცველი სხვა ნუსხების გამოვლენას.

მიქაელ მოდრეკილის იადგარში მინჩხის სახელით წარწერილი 2 საგალობელი — იამბიკური კანონი და მცირე ფორმის საგალობელი — „უფ. ღაღატყავსა“ აღდგომის დღესასწაულისთვისაა განკუთვნილი.

აღდგომის მასალა S 425-ში წარმოდგენილია სათვეო ნაწილის შემდეგ (179r—262v-ზე). ეს მასალა შეიცავს ბერძენ და ქართველ ავტორთა 8 ხმაზე გაწყობილ საგალობლებს. აღდგომისათვის განკუთვნილი მასალა მთავრდება მიქაელ მოდრეკილის ცნობილი ანდერძით: „... შევკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვპოენ ენითა ქართველთაჲთა: მეხუთენი ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოველითა განგებითა, წესისაებრ საეკლესიოჲსა: ო˜ო ღ˜ღტყვითა, ოხითა, მოიხილითა და აქებდითითა ძლიერად და სიწმიდით და სიმართლით, სისწორითა კილოჲსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა...“[76].

მიქაელ მოდრეკილის ანდერძის მოტანილი ფრაგმენტის მიხედვით S 425-ში შესული აღდგომის საგალობლები გამართულია „წესისაებრ საეკლესიოჲსა“ — შეიცავს უფ. ღაღატყავსას, ოხითას, მოიხილესას და აქებდითსას ტექსტებს. საგალობლების ამ სახით გამართვაში მიქაელ მოდრეკილს დიდი წვლილი უნდა მიუძღვოდეს — S 425-ში შესული აღდგომის საგალობლები. სხვა ხელნაწერებში ხშირად აღნიშნული მცირე ფორმის საგალობლების გარეშეა შესული. ამრიგად, მიქაელ მოდრეკილის იადგარში აღდგომის კანონებზე დართული მცირე ფორმის საგალობლების ერთი ნაწილი მიქაელის მიერაა მოპოვებული. ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული S 425-ში დაცული აღდგომის საგალობლებისა და კერძოდ, მინჩხის აღდგომისათვის განკუთვნილი საგალობლების კვლევისას.

მინჩხის აღდგომის საგალობლები ყურადღებას იმსახურებს პოეტური საზომების თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, მინჩხის აღდგომის იამბიკური კანონის რიტმული თავისებურება ჰიმნოგრაფიის საკითხებზე კ. კეკელიძესა და პ. ინგოროყვას შორის არსებული დისკუსიის ერთ-ერთი ობიექტი იყო.

მინჩხის აღდგომის იამბიკური კანონი დ ხმაზეა დადებული. ხელნაწერში საგალობელს დართული აქვს შემდეგი სათაური: „უგალობდითსა. ყოველსა მუკლსა Ა˜ შეტყუებაᲐ აქუს ე˜-ჯერ ი˜ბ. იამბიკონნი, თქუმულნი ნეტარისა ივანე მინჩხისანი. Შ, ფრთხილო, გულისხმა-ყავ და ჩემ ცოდვილისათჳს ლოცავ-ყავ, მღდელო, ღმრთის მგალობელო“. ეს სათაური საგალობელზე მიქაელ მოდრეკილის მიერ უნდა იყოს დართული. ამრიგად, საგალობელს სათაურშივე აქვს მითითებული ავტორი და პოეტური საზომი. მიქაელის იადგარში დაცული იამბიკური კანონების სათაურებისათვის საერთოდ დამახასიათებელია საგალობლის ტროპარებში მარცვალთა რაოდენობის აღნიშვნა, აგრეთვე „Შ, ფრთხილო, გულისხმა-ყავ...“ სახის შენიშვნები.

მინჩხის კანონზე დართული სათაურის მიხედვით მისი თითოეული ტროპარი (მუკლი) 60 მარცვალს (შეტყუებას) შეიცავს. იამბიკოსათვის დამახასია-

---

[76] S 425, 262v.

თებელ მარცვალთა ამ რაოდენობას ქმნის 5 12-მარცვლიანი სტრიქონი (ე˘-ჯერ ი˘ბ). ამრიგად, სათაურის მიხედვით მინჩხის კანონის თითოეული ტროპარი ხუთ 12-მარცვლიან სტრიქონს უნდა შეიცავდეს. მაგრამ S 425-ში საგალობლის ტექსტში დასმული რიტმული განკვეთის ნიშნები არ შეესაბამება აღნიშნულ სათაურს. მაგ., კანონის I ოდის — „უგალობდითსას" თითოეული ტროპარი 6 სტრიქონისაგან შედგება. „უგალობდითსას" ტროპარების რიტმული ფორმულა ასეთია: 12; 12+3; 9; 7(6); 12; 7.

როგორც ვხედავთ, „უგალობდითსას" ტროპარების IV და VI სტრიქონები ნახევარტაეპებს ქმნის, II სტრიქონის უკანასკნელი სამმარცვლიანი სიტყვა III სტრიქონის ცხრამარცვლიან სიტყვასთან ერთად აგრეთვე 12 მარცვალს გვაძლევს, ტროპარების დანარჩენი სტრიქონები კი 12—12 მარცვალს შეიცავს.

ანალოგიური სურათია კანონის დანარჩენ ოდებშიც — ტროპარებში ხშირად გვხვდება ნახევარტაეპები, რომლებიც შესაბამის ნახევრებთან ერთად 12 მარცვალს ქმნიან და ამრიგად, ტროპარში მარცვალთა რაოდენობა ყველა შემთხვევაში 60-ის ტოლია. ასეთი ნახევარტაეპები დამახასიათებელია იამბიკური საზომისათვის.

პ. ინგოროყვამ მინჩხის ამ კანონზე დართული სათაურის თანახმად. კანონის თითოეული ტროპარი გამოაქვეყნა 5 12-მარცვლიან სტრიქონად. სტრიქონებს შორის მან აღნიშნა ხელნაწერში არსებული რიტმული განკვეთის ნიშნები. კ. კეკელიძემ მიუღებლად მიიჩნია მინჩხის აღნიშნული კანონის ამ სახით პუბლიკაცია. მისი აზრით, ხელნაწერში არსებული რიტმული განკვეთის ნიშნები მუსიკალურ ნიშნებს წარმოადგენს[77]. როგორც ცნობილია, კ. კეკელიძემ არ გაიზიარა პ. ინგოროყვას მიერ ქართულ ჰიმნოგრაფიულ მასალაზე სრული დამაჯერებლობით დადგენილი რიტმული განკვეთის ნიშნების მნიშვნელობა.

პ. ინგოროყვა მინჩხის ამ კანონის პოეტურ საზომს იამბიკურ გალობათა III ფორმად მიიჩნევს. ამ ფორმას იგი „მინჩხისეულს" უწოდებს, რაკგან „ყველაზე ადრინდელი ავტორი, რომელთანაც დამოწმებულია ეს ფორმა, არის ივანე მინჩხი"[78]. აქვე პ. ინგოროყვას მოტანილი აქვს კანონის თითოეული ოდის რიტმული ფორმულები. ამავე საზომის შესახებ პ. ინგოროყვა სხვაგან წერს: „... იამბიკურ გალობათა III ფორმა ... უდგება იოანე დამასკელის... პოეტური ძეგლის — სულიწმიდის იამბიკურ გალობათა ფორმას..."[79].

მინჩხის აღდგომის იამბიკური კანონის პოეტური საზომის შესახებ პ. ინგოროყვას მიერ გამოთქმული ეს მოსაზრებები დაზუსტებას საჭიროებს.

მინჩხის აღდგომის იამბიკური კანონის პოეტური საზომის დასადგენად აუცილებელია მასში გამოყენებული ძლისპირების გათვალისწინება. კანონის თითოეულ ოდასთან, ჩვეულებისამებრ, დასაწყისი სიტყვებით მითითებულია შემდეგი ძლისპირები:

უგალობდითსა — საღმრთომან ნისლ; მოიხილესა — მაყულოვნით გამო; განძლიერდასა — ლოცვამან ანა წინა; უფალო მესმასა — შენ, მეუფეო მეუ; ღამითგანსა — მოვედით დღეს, შვილნო; ღაღატყავსა — შენ, ქრისტჱ ღმერ-

---

77 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ახალი შრომა ძველი ქართული პოეზიის შესახებ, ლიტერატურული ძიებანი, ტ. XI, გვ. 447—461; აგრ. ეტიუდები, ტ. VI, გვ. 111.

78 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, გვ. 834; აგრ. თხზულებანი, III, გვ. 316.

79 იქვე, გვ. 838; აგრ. თხზ., III, გვ. 320.

თო ჩუენო, გა; კურთხეულ არსსა — მძლავრმან მიმ; აკურთხევდითსა — სამსახეობაჲ. სამებისაჲ სამთა მათ; ადიდებიდითსა — გიხაროდენ შენ, წმიდაო დედოფალო; დედათა დი.

ძლისპირთა ეს აკოლუთია ქართულ ძლისპირთა I რედაქციაში შესული არ არის. იგი დაცულია ძლისპირთა III რედაქციაში[80]. აქ მინჩხის საგალობელში დასაწყისი სიტყვებით მითითებული ძლისპირები და ღმრთისმშობლისანები სრული ტექსტებითაა წარმოდგენილი. ბერძნული ირმოლოგიონის ს. ევსტრატიადისის გამოცემაში ძლისპირთა ეს აკოლუთია („ეოიხილესას" ძლისპირის გარეშე) იოანე ბერის სახელითაა წარწერილი[81]. ეს იამბიკური ძლისპირები შეტანილია A 85-შიც.

იოანე დამასკელის ეს ძლისპირები, როგორც პ. ინგოროყვა აღნიშნავს, გამოყენებულია დამასკელისავე სულიწმიდის მოსვლის იამბიკურ საგალობელში. საგალობლის თარგმანი გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის[82]. ქართულ თარგმანში, ისევე როგორც ბერძნულ ორიგინალში, ეს ძლისპირები სრული ტექსტებითაა მოტანილი. ამრიგად, იოანე დამასკელის ეს იამბიკური ძლისპირები ქართულ ჰიმნოგრაფიაში კარგადაა ცნობილი.

იოანე დამასკელის ამ იამბიკური ძლისპირების A 603-სა და A 85-ში დაცული ტექსტებისა და მინჩხის აღდგომის იამბიკური კანონის შედარებამ გამოავლინა, რომ მინჩხის კანონის თითოეული ტროპარი რიტმულად ზუსტად თანხვდება A 603-სა და A 85-ში დაცულ შესაბამის ძლისპირებს. სანიმუშოდ მოვიტანთ მინჩხის იამბიკური კანონის I ტროპარს და A 603-ში დაცულ შესაბამის ძლისპირს რიტმული ფორმულების ჩვენებით[83]:

უგალობდითსა. — საღმრთომან ნისლ

„ჩემთვის დაადგრა ქალწულისა საშოსა	12	საღმრთომან ნისლმან დაფარა ენა მძიმე	12
მეორე მიზეზი ყოველთა მიზეზთაჲ, რამეთუ	12+3	და აღიტყუა იგი შჯულსა ღმრთივწერილსა, რამეთუ	12+3
მიხილა ქმნული ხატად თჳსა	9	განაგდო ნივთი უგულისკმოჲ	9
მტერისა დაცემული,	7	გონებისა თუალთაჲ	7
თანა მოდგამ მექმნა ვნებითა ვნებულსა	12	და მოიღო მან სულიერი გალობაჲ	12
და კუალად აღმადგინა"	7	პატივად ღმრთისა მიერ	7

ასეთივე სრული რიტმული შესაბამისობაა კანონის დანარჩენ ტროპარებსა და შესაბამის ძლისპირებს შორის.

ამრიგად, მინჩხის აღდგომის იამბიკური კანონი დაწერილია იოანე დამასკელის იამბიკური ძლისპირების ძველი ქართული თარგმანის მიხედვით ამიტომ იოანე მინჩხს ვერ მივიჩნევთ ამ კანონში გამოყენებული პოეტური საზომის შემომღებად. აქ არც იამბიკურ გალობათა რაიმე განსაკუთრებულ ფორმასთან გვაქვს საქმე. ი ო ა ნ ე მ ი ნ ჩ ხ ს ა ღ დ გ ო მ ი ს ი ა მ ბ ი კ უ-

---

80 ნეემირებული ძლისპირნი, გ. კიკნაძის გამოცემა.

81 Εἱρμολογίον...

82 ლ. ჯ ღ ა მ ა ი ა, იოანე მინჩხის საგალობლები მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიული კრებულის მიხედვით, გვ. 10.

83 A 603-სა და A 85-ში დაცული ეს ძლისპირები რიტმულად ზუსტად თანხვდება ერთმანეთს.

რი კანონი დაუწერია საყოველთაოდ გავრცელებული ჰიმნოგრაფიული ტრადიციის მიხედვით — შერჩეულ ძლისპირთან სრული რიტმული შესაბამისობის დაცვით.

მინჩხის აღდგომის იამბიკური კანონი 9 ოდისაგან შედგება; შეიცავს 11 ოდას — „მოიხილესა". ეს გალობა (მოიხილესა), როგორც აღვნიშნეთ, მინჩხის კანონების აუცილებელი ელემენტია.

საგალობელი ყურადღებას იქცევს მხატვრული თვალსაზრისით. იგი ნიმუშია მინჩხისეული „ფილოსოფიური ლირიზმისა", სადაც ღრმა თეოლოგიურ განსწავლულობასთან შერწყმულია უფაქიზესი ლირიკული განწყობილებები.

მინჩხის აღდგომის იამბიკური კანონი ლ. ჯღამაიას ვარაუდით ბერძნულიდან უნდა იყოს თარგმნილი. ლ. ჯღამაიას მიერ გამოთქმული ვარაუდი ემყარება კანონის II გალობის — „მოიხილესას" საზომს. ლ. ჯღამაიას აზრით ეს გალობა არაიამბიკური საზომითაა შესრულებული: „აღდგომის იამბიკურ საგალობელში „მოიხილესა" იმიტომ ხდება სადავო, რომ იგი (მოიხილესა) არაიამბიკური საზომითაა გაწყობილი, თუ საგალობელი მინჩხისეულია და არა თარგმნილი, მაშინ რატომ არ გააწყო მინჩხმა მ ო ი ხ ი ლ ე ს ა ც იამბით, მით უმეტეს, მისი ორიგინალური საგალობლებისათვის ეს გალობა დამახასიათებელია. ვფიქრობთ, რჩება ერთადერთი ახსნა: — მინჩხმა ბერძნულიდან გადმოიღო იამბიკური საგალობელი, სადაც არ იყო ეს გალობა. შემდეგ კი ძლისპირთა ქართულ კრებულებში შესულ არაიამბიკური საზომის მიხედვით გაწყობილი „მოიხილესა" დაუმატა..."[84].

სინამდვილეში კანონის „მოიხილესა" იამბური საზომითაა დაწერილი. უფრო მეტიც, იამბური საზომის თავისებურებები კანონის ამ გალობაში სრული სიზუსტითაა დაცული. მოვიტანთ კანონის II ოდის — „მოიხილესას" თითოეული ტროპარის რიტმულ ფორმულას: 5; 7; 12; 5; 7; 12; 4; 8.

როგორც ვხედავთ, მინჩხის აღდგომის კანონის „მოიხილესა" ტიპიური იამბიკური საზომითაა დაწერილი.

ამრიგად, ვარაუდი მინჩხის აღნიშნული კანონის ბერძნულიდან მომდინარეობის შესახებ არ მართლდება.

მინჩხის აღდგომის იამბიკურ კანონს პ. ინგოროყვა უთითებს A 93 ხელნაწერშიც. A 93 გადაწერილია 1093 წელს ოპიზის ნათლისმცემლის მონასტერში. ხელნაწერი შეიცავს გიორგი მთაწმიდელის რედაქციის „პარაკლიტონს". ხელნაწერის გადამწერის — ათანასე არვანდ-ყოფილის ანდერძის მიხედვით A 93-ის დედანი „გიორგი მთაწმიდელის ნუსხისაგან დაწერილი" იყო. ათანასე არვანდ-ყოფილი თავის მიერ გადაწერილ პარაკლიტონს უწოდებს „სრულსა და უკლებსა, ვითა ეთარგმნა წმიდასა მამასა გიორგი მთაწმიდელსა".

მინჩხის აღდგომის იამბიკური კანონი ამთავრებს A 93-ში აღდგომისათვის განკუთვნილ ა ხმის მასალას. ხელნაწერში იგი ავტორზე მითითების გარეშეა შესული. A 93-ში საგალობელს ერთვის შემდეგი სათაური: „სხუანი აღდგომისავე გალობანი. საღმრთომან ნის. — არა მთაწმიდელისანი არიან". ხელნაწერის გადამწერის — ათანასე არვანდ-ყოფილის მიერ დართულ ამ სათაურში ყურადღებას იქცევს შენიშვნა: „არა მთაწმიდელისანი არიან". ამ შენიშვნის მიხედვით, გიორგი მთაწმიდელის პარაკლიტონში — A 93-ის დედან-

---

[84] ლ. ჯ ღ ა მ ა ი ა, იოანე მინჩხის საგალობლები მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიული კრებულის მიხედვით, გვ. 11.

ში, მინჩხის ეს საგალობელი არ უნდა ყოფილიყო შესული. A 93-ში მინჩხის ეს საგალობელი ხელნაწერის გადამწერის მიერ ჩანს შეტანილი. ამიტომ უნდა აღენიშნა ათანასე არვანდ-ყოფილს, რომ მინჩხის ეს საგალობელი „არა მთაწმიდელისეულია", ე. ი. A 93-ის დედანში — გიორგი მთაწმიდელის პარაკლიტონში არ არის შესული.

ჩვენი ვარაუდი დაადასტურა ათ. 45 ხელნაწერმა. ეს ხელნაწერი გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ პარაკლიტონს წარმოადგენს. მასში მინჩხის აღდგომის იამბიკური კანონი მართლაც არ აღმოჩნდა შესული (იხ. ამის შესახებ ქვემოთ).

A 93-ზე დართულ ანდერძში ათანასე არვანდ-ყოფილი მიუთითებს, რომ მის მიერ გადაწერილი პარაკლიტონი სრულია და უკლები „ვითა ეთარგმნა წმიდასა მამასა გიორგი მთაწმიდელსა". ამიტომ მას საჭიროდ ჩაუთვლია არამთაწმიდელისეულ მასალასთან ზემოგანხილული შენიშვნის დართვა. მეორე მხრივ, საინტერესოა ის გარემოება, რომ მიუხედავად კრებულის მიზანდასახულობისა, ათანასეს საჭიროდ ჩაუთვლია გიორგი მთაწმიდელის პარაკლიტონიდან გადაწერილ ხელნაწერში იოანე მინჩხის ამ იამბიკური კანონის შეტანა.

მიქაელ მოდრეკილის იადგარსა და A 93-ში დაცული მინჩხის იამბიკური კანონის ტექსტების შედარებამ ნათელყო, რომ მათ შორის მცირე კარიანტული სხვაობები არსებობს, ძირითადად თანხვედრილია საგალობლის რიტმული დაყოფაც. ამ 2 ხელნაწერში რამდენჯერმე განსხვავებულია გალობათა ტროპარების რაოდენობა, კანონის რამდენიმე გალობასთან მითითებულია განსხვავებული ღმრთისმშობლისანები. A 93-ში მინჩხის იამბიკური კანონის ტექსტი კარგად ჩანს, რაც S 425-ში დაცული მინჩხის ამავე კანონის ტექსტის ძნელადგასარჩევი მონაკვეთების დაზუსტებისა და აღდგენის საშუალებას იძლევა.

მიქაელ მოდრეკილის იადგარში მინჩხის აღდგომის იამბიკურ კანონს მოსდევს 5 ტროპარიანი ავტორწაუწერელი „აქებდითსა". პ. ინგოროყვამ ეს „აქებდითსა" მინჩხის საგალობლად მიიჩნია და მის იამბიკურ კანონთან ერთად გამოაქვეყნა „ძველ-ქართულ სასულიერო პოეზიაში"[85]. საგალობელი მინჩხისეულადაა მიჩნეული „გიორგი მერჩულესა" და „თხზულებათა" III ტომშიც[86].

როგორც პ. ინგოროყვამ შენიშნა, აღნიშნული „აქებდითსა" აკროსტიქულია. მისი ტროპარების დასაწყისი ასოები ქმნის აკროსტიქს „აღდგა".

ჩვენი აზრით, ეს საგალობელი იოანე მინჩხს არ უნდა ეკუთვნოდეს. ამას მოწმობს რამდენიმე გარემოება: 1. როგორც ზემოთ აღენიშნეთ, მცირე ფორმის საგალობელი — „აქებდითსა" ციკლის განგების ცალკე ელემენტს წარმოადგენს და ხშირად მას კანონისაგან განსხვავებული ავტორი ჰყავს. მიქაელ მოდრეკილის ანდერძის ზემომოტანილი ფრაგმენტის თანახმად იგი, შესაძლებელია, მიქაელის მიერ იყოს დამატებული მინჩხის აღდგომის ამ კანონზე. 2. აღნიშნული „აქებდითსა" კანონისაგან განსხვავებით, არაიამბიკური საზომითაა დაწერილი. მისი თითოეული ტროპარის რიტმული ფორმულაა: 6; 10; 7; 10; 7; 11; 7; 7; 5; 13.

კანონზე დართული სათაურის მიხედვით კი მინჩხს ეკუთვნის „იამბიკონი". 3. A 93-ში მინჩხის აღდგომის იამბიკური კანონი „აქებდითსას" გარეშეა შესული. იგი დამოუკიდებელ საგალობელს წარმოადგენს.

---

85 გვ. 17—18.

86 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, გვ. 702, 872, 017; აგრ. თხზულებანი, III, გვ. 164, 357, 454.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე აღნიშნული „აქებდითსას“ მინჩხი-სადმი მიკუთვნება გაუმართლებლად მიგვაჩნია.

მიქაელ მოდრეკილის იადგარში იოანე მინჩხს ეკუთვნის აღდგომის მეორე საგალობელიც — „უფ. ღაღატყავსა. კმაჲ გ გუერდი. — რაჟამს მოხუედი...“ საგალობელი „სხუანს“ წარმოადგენს. იგი შესულია ხელნაწერის 509v—510r-ზე. 509v-ს ქვედა აშიაზე სინგურით მიწერილია „მინჩხი“.

ქართულ ჰიმნოგრაფიაში რიტმული განკვეთის ნიშნების მნიშვნელობა პ. ინგოროყვამ მინჩხის ამ საგალობელზე დაკვირვებისას შენიშნა. მინჩხის აღდგომის „უფ. ღაღატყავსასა“ ტექსტი რიტმული ფორმულებითურთ მას გამოქვეყნებული აქვს „ძველ-ქართულ სასულიერო პოეზიაში“, „გიორგი მერჩულესა“ და „თხზულებათა“ III ტომში[87].

S 425-ში საგალობელს ერთვის შემდეგი სათაური: „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე. უფ. ღაღატყავსა. კმაჲ გ გუერდი. სხუანი. ქრისტე, შეიწყალე სტეფანე. თჳთნი“. ეს სათაური საგალობელზე მიქაელ მოდრეკილის მიერ უნდა იყოს დართული. მასში ყურადღებას იქცევს შენიშვნა „ქრისტე, შეიწყალე სტეფანე“. პ. ინგოროყვას პუბლიკაციაში სათაურის ეს ნაწილი გამოტოვებულია. ეს შენიშვნა მართლაც გაუგებარი ჩანს. ვინ უნდა იყოს მინჩხის საგალობელთან მოხსენებული სტეფანე? მიქაელ მოდრეკილის იადგარში შესული სხვა მასალების შესწავლამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული შენიშვნა „ქრისტე, შეიწყალე სტეფანე“ ამ ხელნაწერში ფორმულადაა ქცეული. S 425-ში ეს ფორმულა ხშირად გვხვდება. ასე მაგ. „ქრისტე, შეიწყალე სტეფანე“ მიწერილია ხელნაწერის 34v-ზე, 104r-ზე, 126r-ზე, 224v-ზე, 263r-ზე და ა. შ. 104r-სა და 263r-ზე ეს ფორმულა საგალობელთა სათაურებშია შესული. აღნიშნული ფორმულა ყველგან მიქაელ მოდრეკილის ხელითაა შესრულებული. დასახელებულ საგალობელთა უმეტესობას S 425-ში მითითებული აქვს ავტორები. ასე რომ სტეფანეს ავტორობა გამორიცხულია. სტეფანე არც ხელნაწერის გადამწერია. მისი ვინაობის დადგენა შესაძლებელი ხდება ხელნაწერის 220r-ზე მიქაელის ხელითვე გაკეთებული შენიშვნით: „ქრისტე, სტეფანე — მოძღუარი ჩემი შეიწყალე“. შენიშვნა გაკეთებულია აღდგომის დ ხმის კანონის“ (უგალობდითსა. თჳთძლისპირნი. — მაღალმან უხილავისა...“) „განძლიერდასას“ გასწვრივ. ამრიგად, მ ი ქ ა ე ლ ი ს ი ა დ გ ა რ შ ი ა რ ა ე რ თ გ ზ ი ს მ ო ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ი ს ტ ე ფ ა ნ ე მ ი ქ ა ე ლ მ ო დ რ ე კ ი ლ ი ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი ა. ამიტომ მოიხსენიებს მას მიქაელი კრებულის სხვადასხვა ნაწილებში. როგორც ცნობილია, S 425-ში ხშირად გვხვდება თვით მიქაელის საკუთარი ფორმულაც „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ“.

ამრიგად, მინჩხის აღდგომის „უფ. ღაღატყავსაზე“ დართულ სათაურში სტეფანეს მოხსენიება ბუნებრივია მიქაელ მოდრეკილისათვის (მინჩხის „უფ. ღაღატყავსას“ პოეტური საზომის შესახებ იხ. ნაშრომის VI თავი).

3. იოანე მინჩხის გამოუქვეყნებელი საგალობლები

იოანე მინჩხის დღეისათვის ცნობილი მემკვიდრეობა მოიცავს მის გამოუქვეყნებელ საგალობლებსაც. ესაა ფერისცვალებისა და ღმრთისმშობლის მიძინებისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონები, სინ. 5 და სინ. 75 ხელ-

---

87 გვ. 19—21; გვ. 593—594; გვ. 55—56.

ნაწერებში შესული მინჩხის 6 მცირე ფორმის საგალობელი და წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი კანონის უკანასკნელი — VII—IX ოდები.

მინჩხის წმ. გიორგისადმი მიძღვნილი კანონის ნაკლული ბოლო, როგორც აღვნიშნეთ, გამოავლინა ლ. კვირიკაშვილმა. მანვე განიხილა საგალობლის ამ ნაწილის ტექსტიც[88].

მინჩხის დანარჩენი გამოუქვეყნებელი საგალობლები (ფერისცვალებისა და ღმრთისმშობლის მიძინების კანონები და 6 მცირე ფორმის საგალობელი) სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ მითითებულია. მათ შემცველ ხელნაწერთა დასახელების გარდა, ამ საგალობლების შესახებ დღემდე თითქმის არაფერია ცნობილი. ამიტომ მინჩხის ამ საგალობლებმა საგანგებო კვლევა მოითხოვა. სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში დაცული მინჩხის 6 აქამდე გამოუქვეყნებელი სტიქარონი ამ ხელნაწერებში დაცულ მინჩხის სხვა მცირე ფორმის საგალობლებთან ერთად ზემოთ განიხილეთ[89].

მინჩხის ფერისცვალებისადმი მიძღვნილი კანონი 1902 წლის სამეცნიერო ექსპედიციის დროს სინ. 56 ხელნაწერში გამოავლინა ნ. მარმა. ნაშრომში „Описание грузинских рукописей Синайского монастыря“ სინ. 56-ის აღწერილობის ბოლოს მითითებულია ამ ხელნაწერში დაცული მინჩხის ფერისცვალებისადმი მიძღვნილი საგალობელი და მოტანილია მისი I ტროპარის ტექსტი[90]. აქ გამოქვეყნებული ფრაგმენტის მიხედვით H 2337 ხელნაწერში ნ. ბ. ინგოროყვამ მიაკვლია სახელწაუწერლად შესულ მინჩხის ამ საგალობელს.

ამრიგად, დღეისათვის გამოვლენილია ფერისცვალებისადმი მინჩხის მიძღვნილი კანონის შემცველი 2 ხელნაწერი — სინ. 56 და H 2337. სხვა ცნობები მინჩხის ამ კანონის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არ გეხვდება.

სინ. 56 წარმოადგენს გიორგი მთაწმიდელის რედაქციის „თუენს“. ხელნაწერის უკანასკნელი აღწერილობით[91] იგი XI—XII საუკუნეებითაა დათარიღებული. ხელნაწერი შეიცავს ივნის-აგვისტოს თვეთა მასალას.

ფერისცვალების განგება სინ. 56-ში საკმაოდ ვრცელი რეპერტუარითაა წარმოდგენილი. ამ განგების ძირითადი — 6 აგვისტოს მასალა[92] იწყება მცირე ფორმის საგალობლებით, რომლებსაც მოსდევს 5 ჰიმნოგრაფიული კანონი. I კანონის („უგალობდითსა. ა. მხილველი ღმრთისაჲ. — განმხიარულებულნი ზეგარდამო...“) „უგალობდითსას“ გასწვრივ აშიაზე მიწერილია „მინჩხი“. ამრიგად, სინ. 56-ში 6 აგვისტოსათვის განკუთვნილ კანონებს შორის მინჩხის კანონს I ადგილი უჭირავს. სინ. 56-ში ამ კანონს მოსდევს „სხუანი ამისვე დღისანი. უგალობდითსა. დ. ზღუსა მის მეწ. — საუფლოსა ამას ღღესა...“ კანონის „უგალობდითსას“ გასწვრივ აშიაზე მიწერილია „მქ˝ლ“ [მიქაელ]. აღნიშნული კანონის ავტორი, შესაძლებელია, მიქაელ მოდრეკილი იყოს. ეს საკითხი ყურადღებას იმსახურებს და შემდგომ კვლევას მოითხოვს. 6 აგვისტოს III და IV კანონები სინ. 56-ში სახელწაუწერლადაა შესული, V კანონის გასწვრივ კი აშიაზე მითითებულია ავტორი — „იოვანე“.

სინ. 56-ში მინჩხის სახელით წარწერილი კანონი 9 ოდისაგან შედგება: შეიცავს II ოდას — „მოიხილესა“. კანონში მაღალმხატერულადაა ასახული

---

88 იხ. ამის შესახებ ნაშრომის I თავი, გვ. 15—16.

89 გვ. 21—54.

90 გვ. 92.

91 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, II, გვ. 208.

92 ფერისცვალების განგების (წინა ღღესასწაულის) მასალა შესულია 5 აგვისტოზეც.

მაცხოვრის ფერისცვალების ძირითადი სიუჟეტური ხაზი და ცალკეული ეპიზოდები.

მინჩხის ამ კანონში გამოყენებულია შემდეგი ძლისპირები:

უგალობდითსა — მხილველი ღმრთისაჲ; მოიხილესა — მოელოდა ვ; განძლიერდასა — შენ რომელმან პირველად; უფ. მესმასა — უსხეულოთა თანა; ღამითგანსა — ბრწყინვალედ; ღაღატყავსა — ცუდ იქმნა; კურთხეულარსა — გულის წყრომა; აკურთხევდითსა — სიბრძნე სიმარ; ადიდებდითსა — შენ რომელმან ღმერთი მიზეზი ყოველ.

ძლისპირთა ეს აკოლუთია („მოიხილესას" ძლისპირის გარდა) შესულია ქართულ ძლისპირთა I რედაქციაში[93]. აქ სრული ტექსტებითაა წარმოდგენილი მინჩხის კანონში დასაწყისი სიტყვებით მითითებული ძლისპირები და ღმრთისმშობლისანები. იგივე ძლისპირები („მოიხილესას" ძლისპირის ჩათვლით) შესულია ძლისპირთა III რედაქციაშიც[94]. ბერძნული ირმოლოგიონის ს. ევსტრატიადისის გამოცემაში ძლისპირთა ეს აკოლუთია კოზმა ბერის (იერუსალიმელის) სახელითაა წარწერილი[95].

მინჩხის კანონი რიტმულად შეესაბამება ძლისპირთა I და III რედაქციებში დაცულ შესაბამის ძლისპირთა ქართულ თარგმანებს. ამ თარგმანების საშუალებით შესაძლებელი ხდება მინჩხის კანონის ზოგიერთი ფრაგმენტის რიტმული საზომის დაზუსტება.

სინ. 56-ის როტოპირზე მინჩხის ამ საგალობლის ტექსტი ცუდად ჩანს. კანონის ერთი ნაწილი — „ღამითგანსა", „აკურთხევდითსას" ბოლო ტროპარები და „ადიდებდითსას" ძირითადი ნაწილი აქ თითქმის არ იკითხება. გაურკვეველია საგალობლის ზოგიერთი სხვა ფრაგმენტიც.

როგორც აღვნიშნეთ, ნ. მარის მიერ გამოქვეყნებული დასაწყისის მიხედვით, მინჩხის ამ საგალობელს პ. ინგოროყვამ მიაკვლია H 2337 ხელნაწერში.

H 2337 — ე. წ. „გოლგოთური კრებული" გადაწერილია 1049 წელს იერუსალიმში, გოლგოთის ტაძარში. ხელნაწერი აღწერილია პ. ინგოროყვასა[96] და ლ. მეფარიშვილის[97]. მიერ. H 2337 შეიცავს „თუენის" I რედაქციას. კერძოდ, მასში წარმოდგენილია ივლისისა და აგვისტოს თვეების მასალა. ხელნაწერს ერთვის გადამწერის — მიქაელის ანდერძი: „... დაესრულნეს თთუენი წელიწდისანი ბრძანებითა და მოღუაწებითა ღმერთშემოსილისა და სახიერისა მამისა და ტკბილისა მოძღურისა იოვანე გოლგოთელისაჲთა, ამენ. დაიწერნეს და განსრულდეს ქორონიკონსა სჲთ (=1049 წ.), ჭელითა საწყალობელისა... მიქაელისითა... შეიმოსა ჭელითა კურთხეულისა მამისა ნისთერეონისითა... პავლესთჳსცა ლოცვა ყავთ" (285r). ამრიგად, H 2337 გადაწერილია გოლგოთის ტაძარში იოვანე გოლგოთელის შეწევნით, ხელნაწერის შემმოსველია ნისთერეონი. მარხვანისათვის განკუთვნილი მინჩხის საგალობლების შემცველი სინ. 5 ხელნაწერი აგრეთვე გოლგოთაშია გადაწერილი 1052 წელს იოანე გოლგოთელის შეწევნით; სინ. 5-ის შემმოსველიც იგივე ნისთერეონია. ამრიგად, სინ. 5 და H 2337 ხელნაწერების შექმნაში მონაწილეობა მიუღიათ ერთსა და იმა-

---

93 ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ელ. მეტრეველის გამოცემა.

94 ნეემირებული ძლისპირნი, გ. კიკნაძის გამოცემა.

95 Εἱρμολόγιον...

96 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 042—051; თხზულებანი, III, გვ. 517—531.

97 ხელნაწერთა აღწერილობა, (H კოლექცია), თბ., 1949, გვ. 232—233.

ვე პირებს. სინ. 5 და H 2337 ქრონოლოგიურადაც ახლოსაა ერთმანეთთან. ორივე ხელნაწერი შეიცავს იოანე მინჩხის საგალობლებს. როგორც ჩანს, გოლგოთის ტაძრის იმდროინდელ ტრადიციაში მინჩხის საგალობლები ფართოდ იყო გავრცელებული.

H 2337-ში ფერისცვალების დღესასწაულის ძირითადი მასალა, ტრადიციისამებრ, 6 აგვისტოსაა წარმოდგენილი. ამ დღეზე H 2337-ში შესულია 8 მცირე ფორმის საგალობელი და 4 კანონი. სინ. 56-გან განსხვავებით, H 2337-ში სახელწაუწერლად შეტანილ მინჩხისა და მიქაელის კანონებს 6 აგვისტოს განგებაში ბოლო ადგილი უჭირავთ. H 2337-ში ეს კანონები აგრეთვე ერთმანეთის გვერდითაა წარმოდგენილი.

H 2337-ში მინჩხის საგალობლის ტექსტი კარგად ჩანს. ამიტომ მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება სინ. 56-ში დაცული მინჩხის ამ საგალობლის ტექსტის ძნელადგასარჩევი ადგილების აღდგენა. სინ. 56-სა და H 2337-ში დაცულ მინჩხის ამ საგალობლის ტექსტებს შორის განსხვავებანი ვარიანტულია.

მინჩხის ფერისცვალებისადმი მიძღვნილი კანონი შესული აღმოჩნდა იერ. 42 ხელნაწერში. აქ იგი სახელწაუწერლადაა წარმოდგენილი. მინჩხის კანონს უჭირავს ხელნაწერის 282v—284r. საინტერესოა, რომ იერ. 42-შიც მინჩხის კანონს მოსდევს სინ. 56-ში მიქაელის სახელით წარწერილი კანონი[98]. შესაძლებელია ეს გამოწვეული იყოს იმით, რომ აღნიშნული კანონები ფერისცვალების განგების ქართულ ფენას წარმოადგენს.

ამრიგად, იერ. 42 ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილ კანონთან ერთად, შეიცავს მინჩხის ფერისცვალებისადმი მიძღვნილ საგალობელსაც.

როგორც ცნობილია, იერ. 42 შეიცავს „თუენის" I რედაქციას. „თუენის" ამავე რედაქციისაა H 2337 ხელნაწერიც. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ „თუენის" I რედაქციით ფართოდ უსარგებლია გიორგი მთაწმიდელს თავისი „თუენის" შედგენისას[99]. სხვა მასალებთან ერთად, „თუენის I რედაქციიდან უნდა იყოს გადასული გიორგი მთაწმიდლის „თუენში" იოანე მინჩხის ფერისცვალების კანონიც. ეს საგალობელი გიორგი მთაწმიდელს „თუენში" ავტორზე ზუსტი მითითებით შეუტანია. აქაც გიორგი მთაწმიდელი იცავს ავტორებზე მითითების იმ საერთო წესს, რომელიც მის „თუენშია" გატარებული.

სინ. 56-ში მინჩხისა და მიქაელის სახელით წარწერილ საგალობლებს ჩვენ მივაკვლიეთ იერ. 107 ხელნაწერშიც. იერ. 107 გადაწერილია შედარებით გვიან — 1300 წელს. ხელნაწერი შეიცავს გიორგი მთაწმიდელის რედაქციის „თუენის" ივლისისა და აგვისტოს მასალას. ხელნაწერი მოკლედაა აღწერილი რ. ბლეიკის მიერ[100].

იერ. 107-ში მინჩხის ამ საგალობლის გამოვლენამ ნათელყო, რომ მინჩხის საგალობლები გიორგი მთაწმიდელის რედაქციის თუენებში თავის ადგილს ინარჩუნებს შედარებით გვიანდროინდელ ტრადიციებშიც. მაგრამ ამ გვიან-

---

[98] იერ. 42-ში ეს კანონიც სახელწაუწერლადაა შესული.

[99] ლ. ჯღამაია, XI საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (გიორგი მთაწმიდლის „თუენი"), გვ. 83—138.

[100] Blake R., Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque a Jérusalem, Revue de l'Orient Chrétien, 3e Série, t. IV (XXIV), p. 19.

დელობის გამო იერ. 107-ში ერთგვარი აღრევაა ფერისცვალებისადმი მიძღვნილი მინჩხისა და მიქაელის კანონების ავტორებზე მითითებაში.

იერ. 107-ის 213r-ზე იწყება სინ. 56-ში „მიქაელის“ სახელით წარწერილი კანონი. იერ. 107-ში კანონის „უგალობდითსა“ გასწვრივ აშიაზე მიწერილია „მინჩ“. აღნიშნულ კანონს იერ. 107-ში წინ უძღვის ფერისცვალებისადმი მიძღვნილი სხვა კანონი, რომელიც ხელნაწერში თავნაკლულადაა წარმოდგენილი — 212r—213r-ზე დაცულია კანონის VI ოდა — „ღაღატყავსა“ და შემდგომი ოდები. როგორც სინ. 56-თან შედარებამ გაარკვია, იერ. 107-ის 212r—212r-ზე დაცული კანონის ამ ოდების ტექსტი წარმოადგენს სინ. 56-ში მინჩხის სახელით წარწერილი კანონის ბოლო ნაწილს. ამრიგად, იერ. 107-ში ფერისცვალების განგების I კანონად შესული უნდა ყოფილიყო სინ. 55-ში, მინჩხის სახელით წარწერილი კანონი. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ იერ. 107-ში ფერისცვალებისადმი მიძღვნილი დანარჩენი მასალა ზუსტად მიჰყვება სინ. 56-ს. ამრიგად, იერ. 107-ში — გიორგი მთაწმიდელის რედაქციის „თუენის“ 1300 წელს გადაწერილ ნუსხაში დაცული ფერისცვალების მასალა ზუსტად მისდევს გიორგისავე რედაქციის XI—XII სს-ებით დათარიღებული ხელნაწერის — სინ. 56-ის შესაბამის მასალას. ამიტომ აქ არც მინჩხისა და მიქაელის კანონების გადანაცვლებაა მოსალოდნელი. სინ. 56-ში მიქაელის სახელით წარწერილ კანონთან მინჩხის ავტორობის აღნიშვნა იერ. 107-ის გადამწერის უნებლიე შეცდომა უნდა იყოს. შესაძლებელია ეს აღრევა მოხდა ტრადიციის გვიანდელობის გამოც.

ამრიგად, იერ. 107-ში მინჩხს უნდა მივაკუთვნოთ 212r—213r-ზე წარმოდგენილი თავნაკლული კანონი; ხოლო მისი მომდევნო კანონი, რომელსაც იერ. 107-ში მიწერილი აქვს „მინჩ“, სინამდვილეში მიქაელს უნდა ეკუთვნოდეს, როგორც ეს სინ. 56-შია აღნიშნული.

ამრიგად, მინჩხის ფერისცვალებისადმი მიძღვნილი კანონი საკმაოდ გავრცელებული ჩანს ძველ ქართულ ტრადიციაში. გიორგი მთაწმიდელის „თუენში“ იგი გადასული უნდა იყოს „თუენის“ I რედაქციიდან.

დღემდე გამოუქვეყნებელი და სრულიად შეუსწავლელია იოანე მინჩხის ღმრთისმშობლის შიძინებისადმი მიძღვნილი კანონიც. პ. ინგოროყვამ ამ კანონს მიაკვლია H 2337 ხელნაწერში. დღეისათვის საგალობელი მხოლოდ ამ ხელნაწერითაა ცნობილი.

მარიამის მიცვალება (მარიამობა) ფერისცვალებასთან ერთად აგვისტოს თვის მეორე უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია. მარიამის მიცვალება, ტრადიციისამებრ, H 2337-ში დადებულია 15 აგვისტოს[101]. აქ ამ დღეზე შესულია 16 მცირე ფორმის საგალობელი და 2 ჰიმნოგრაფიული კანონი. პ. ინგოროყვა მინჩხს აკუთვნებს 15 აგვისტოს II ჰიმნოგრაფიულ კანონს — „კმაჲ გ. რომელმან წამისყოფით. — ნათელო ბუნებითო...“

საინტერესოა, რომ მითითება ავტორზე „მინჩხ[უ]რნი“ H 2337-ში მიწერილია მინჩხისეულად მიჩნეული კანონის „უფ. ღაღატყავსას“ გასწვრივ, თვითონ კანონი კი ხელნაწერში სახელწაუწერლადაა შესული. აღნიშნული „უფ. ღაღატყავსა“ ხელნაწერში შემდეგი სიტყვებით იწყება: „სხუანი ყოლად წმიდისა ღმრთისმშობელისა მიცვალებისანი. ოდესცა გინდეს. უფ. ღაღატყავსა.

---

101 ამ დღესასწაულისათვის განკუთვნილი მასალა ხელნაწერში შესულია 14 და 16 აგვისტოზეც.

ქმაჲ გ. ვითარცა იგი პირველადვე უღაღადა. — მთაჲ იგი ცათა მობაძავი...“ საგალობელი 3 ტროპარისაგან შედგება. III ტროპარის შემდეგ მითითებულია ღმრთისმშობლისა „სათნო იყო სიკე“. „უფ. ღაღატყავსას“ შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, იწყება კანონი „ქმაჲ გ. რომელმან წამისყოფით. — ნათელო ბუნებითო...“ კანონი 9 ოდისაგან შედგება; შეიცავს II ოდას. კანონის შემდეგ ხელნაწერში წარმოდგენილია 3-ტროპარიანი „აქებდითსა“. დღესდღეობით გადაპრით არ ხერხდება იმის თქმა, ეკუთვნის თუ არა იოანე მინჩხს „უფ. ღაღატყავსასთან“ ერთად, აღნიშნული კანონიც. H 2337-ში „მინჩხურნი“ მიწერილია მხოლოდ „უფ. ღაღატყავსას“ გასწვრივ. საყურადღებოა, რომ H 2337-ში მინჩხის სახელით წარწერილი უფ. ღაღატყავსას ძლისპირი — „ვითარცა იგი პირველადვე უღაღადა“ — წარმოადგენს სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში დიდმარხვის II კვირიაკისათვის განკუთვნილი მინჩხის „უფ. ღაღატყავსას“ II ტროპარის დასაწყის სიტყვებს[102].

H 2337-ში მინჩხის სახელით წარწერილი „უფ. ღაღატყავსა“ ყურადღებას იქცევს მხატვრული ღირსებებით. ღვთისმშობლის მიცვალება მასში დასახულია საყოველთაო, კოსმიურ მოვლენად, რომელსაც თანაბრად ახლავს სევდა და საზეიმო განწყობილება. საგალობელში გვხვდება ღვთისმშობლის ეპითეტები, რომელთა ერთი ნაწილი ტრადიციულია, მეორე კი — ორიგინალური.

მხატვრული თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „უფ. ღაღატყავსას“ მომდევნო კანონი, მისი თითოეული ტროპარი. განსაკუთრებით ძლიერია კანონის ის ტროპარები, რომლებიც „პოეტური მისტიციზმის“ საუკეთესო მაგალითებს წარმოადგენს. ასე მაგ.

„შეჰმურვიდეს ღმრთისმეტყუელნი
სამკუდროჲთა მით წესითა,
ხოლო უსხეულონი
აგრილებდეს შიშით ფრთითა მათითა
და უღაღადებდეს:
„გიხაროდენ ღირსო
სასუფეველსა“.
(„განძლიერდასა“ II ტროპარი)

„გამოუთქუმელითა
ნათლითა განათლდა ღმრთისმშობელი,
რაჟამს მოვიდა თჳთ მაცხოვარი
და საუფლოთა მათ ნებთა
შეიწყნარა დღეს მშობელისა სული“
(„უფ. მესმასა“ II ტროპარი) და ა. შ.

ამგვარ შემთხვევებში პოეზიის გზით შეღწეულია მისტიციზმის ყველაზე ფარულ სფეროებში.

როგორც აღვნიშნეთ, კანონს მოსდევს 3 ტროპარიანი „აქებდითსა“. საინტერესოა, რომ მის I ტროპარში გამეორებულია წინამავალი კანონის ერთ-

---

102 მინჩხის ამ საგალობლის ტექსტი იხ. ქვემოთ, გვ. 169.

ერთი უძლიერესი მხატვრული სახე (იხ. „განძლიერდასას“ II ტროპარი), აგრეთვე ამ ტროპარის ბოლო ნაწილი:

„ზეცით მოიწინეს დღეს
ზეცისა მთავარნი ქერაბინნი
გარდაცვალებასა შენსა, ღმრთისმშობელო,
ფრთითა გაგრილობდეს შენ
და გალობით ესრეთ კმობდეს „ალელუა“
და გიღაღადებდეს „გიხაროდენ, სასუფეველსა“.

საინტერესოა ისიც, რომ „აქებდითსას“ ძლისპირი „ჯუარსა ზედა იხილეს“ სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში დიდმარხვის II კვირიაკისათვის განკუთვნილი მინჩხის „აქებდითსას“ II ტროპარის დასაწყისი სიტყვებია[103]. „აქებდითსა“ რიტმულადაც შეესაბამება ამ ტროპარს.

როგორც ვნახეთ, ანალოგიური მდგომარეობაა H 2337-ში „მინჩხურნით“ წარწერილ „უფ. ღაღატყავსაშიც“.

ამრიგად, შესაძლებელია იოანე მინჩხს ეკუთვნოდეს ღმრთისმშობლის მიძინების განგების მთელი კომპლექტი — „უფ. ღაღატყავსა“, კანონი და „აქებდითსა“. მაგრამ ჯერჯერობით ამისი გადაჭრით თქმა არ ხერხდება.

ამრიგად, იოანე მინჩხის ფერისცვალებისა და ღმრთისმშობლის მიცვალებისადმი მიძღვნილმა საგალობლებმა საკმაოდ ვრცელი ფილოლოგიური კვლევა მოითხოვა. საინტერესოა, რომ ეს საგალობლები აგვისტოს თვის ორ უმნიშვნელოვანეს დღესასწაულს ეძღვნება. ეს გარემოება ეხმაურება მინჩხის შემოქმედებაში იერუსალიმური ლიტურგიკული წელიწადის ასახვის შესახებ კ. კეკელიძის მიერ გამოთქმულ ვარაუდს[104].

იოანე მინჩხის ტრადიციული, აქამდე ცნობილი საგალობლების ზემოთმოყვანილი ანალიზი ემყარება ხელნაწერებიდან ჩვენს მიერ გადმოწერილ ტექსტებს. მინჩხის ტრადიციული მემკვიდრეობის შესწავლამ გამოავლინა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ყურადღებას იმსახურებს როგორც იოანე მინჩხის შემოქმედების, ისე ზოგადად ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიის კვლევისთვისაც.

სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებისა და მათში დაცული იოანე მინჩხის საგალობლების შესწავლამ ნათელყო, რომ მინჩხის ეს საგალობლები საგანგებოდ მარხვანისთვისაა დაწერილი. ისინი ზუსტად შეესაბამება სინ. 5-სა და სინ. 75-ში მათთვის განკუთვნილ ადგილს — კალენდრის, სახარებისეული საკითხავების, შესაბამისი შვიდეულების ძირითადი ხსენებების და ა. შ. თვალსაზრისით. გაირკვა ისიც, რომ დიდმარხვის კვირიაკეებისათვის განკუთვნილი იოანე მინჩხის საგალობლები დაწერილია ელია იერუსალიმელის საკვირაო კანონების გათვალისწინებით.

სინ. 5-ისა და სინ. 75-ის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათში დაცულ მარხვანს საფუძვლად უნდა ედოს „პროტოტიპული“ ქართული მარხვანი, რომელიც იადგარიდან პირველად იქნა გამოყოფილი ცალკე ლიტურგიკულ კრებულად. სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერების გარკვეული თვალსაზრისით შესწავლის შემდეგ, ვფიქრობთ, შესაძლებელი ხდება ამ I ქართული მარხვანის რეკონსტრუქცია.

---

103 მინჩხის ამ საგალობლის ტექსტი იხ. ქვემოთ, გვ.

104 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 172—173.

სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებისა და ზოგიერთი სხვა წყაროს შესწავლამ გამოავლინა დიდმარხვის III და IV კვირიაკეების უძველესი კალენდარული ხსენებები, რომლებიც ინტერესს იმსახურებს როგორც ქართული, ისე ბერძნული მარხვანების კვლევისათვის.

სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში გამოვლინდა იოანე მინჩხის აქამდე უცნობი მცირე ფორმის საგალობელი, რომელიც დოგმატიკური მოსაზრებებით უნდა იყოს დაწერილი.

ამ ხელნაწერების შესწავლამ ცხადყო, რომ მინჩხის სახელით წარწერილ საგალობლებთან ერთად, ისინი უნდა შეიცავდეს მინჩხის სახელწაუწერელ საგალობლებსაც. სინ. 5-ზე დართული მრავალმხრივ საინტერესო სათაურის მიხედვით, იოანე მინჩხი იადგარიდან ცალკე კრებულად გამოყოფილი I ქართული მარხვანის მთელი სტიქარონული ნაწილის შემქმნელად ივარაუდება.

არანაკლებ საინტერესო სურათი მოგვცა მიქაელ მოდრეკილის იადგარში დაცული იოანე მინჩხის საგალობლების შესწავლამ. სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ მიღებული აზრით, მიქაელ მოდრეკილის იადგარში იოანე მინჩხს მიეკუთვნება 3 ჰიმნოგრაფიული კანონი და 11 მცირე ფორმის საგალობელი. ამ საგალობლების ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ნათელყო, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მინჩხის სახელით ცნობილი ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი კანონი (უგალობდითსა. კმაჲ ა. არარაჲ არს სახედ შ. — აღმოსცენდი ღმრთისა მიერ...) სინამდვილეში მინჩხს არ უნდა ეკუთვნოდეს; მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, მიქაელ მოდრეკილის იადგარში მინჩხს უნდა მიეკუთვნოს ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი II კანონი (უგალობდითსა. ზღუსა მის მეწამულისა ღელ. — ქრისტესა სიჩჩოჲთგან შენით...), რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ეზრას სახელითაა ცნობილი.

მიქაელ მოდრეკილის იადგარში დაცული მინჩხის აღდგომის იამბიკური კანონის პოეტური საზომის შესწავლამ ნათელყო, რომ იგი დაწერილია ჰიმნოგრაფიაში საყოველთაოდ გავრცელებული წესის — ძლისპირ-დასდებლის შესატყვისობის დაცვით. ამით, ვფიქრობთ, საბოლოოდ გაირკვა სამეცნიერო ლიტერატურაში მინჩხის ამ კანონის პოეტური საზომის სადავო საკითხი (კ. კეკელიძე — პ. ინგოროყვა).

მინჩხის ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი და აღდგომის იამბიკური კანონების შესწავლამ ნათელყო, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრება მათი ბერძნულიდან მომდინარეობის შესახებ საფუძველსაა მოკლებული.

მიქაელ მოდრეკილის იადგარში დაცული ჰიმნოგრაფიული მასალისა და A 93-ის გათვალისწინებამ ნათელყო, რომ მინჩხის აღდგომის იამბიკურ კანონზე დართული „აქებდითსა", რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში მინჩხის სახელითაა ცნობილი, სინამდვილეში მას არ ეკუთვნის; გაირკვა მინჩხის აღდგომის „თჳთნი" სტიქარონის სათაურში მოხსენებული სტეფანეს ვინაობაც.

ნაშრომის ამავე ქვეთავში განხილულია მიქაელ მოდრეკილის იადგარში დაცული მინჩხის თითოეული საგალობლის პოეტური საზომები; გათვალისწინებულია A 93-ისა და იერ. 42-ის მონაცემები.

გამოქვეყნებულ საგალობლებთან ერთად, იოანე მინჩხის ტრადიციული მემკვიდრეობა მოიცავს მის გამოუქვეყნებელ საგალობლებსაც, რომლებიც აქამდე სრულიად შეუსწავლელი იყო. ამ საგალობლების კვლევისას ჩვენ გავითვალისწინეთ მათი შემცველი ყველა ნუსხა, რომლებიც სამეცნიერო ლი-

ტერატურაშია მითითებული, შევისწავლეთ ამ საგალობლების პოეტური საზომები. მინჩხის გამოუქვეყნებელი საგალობლების კვლევისას გამოვლინდა მათი შემცველი ახალი ნუსხები — იერ. 42 და იერ. 107. მათმა შესწავლამ ნათელყო, რომ გიორგი მთაწმიდელის „თუენში“ მინჩხის ფერისცვალებისადმი მიძღვნილი კანონი გადასული უნდა იყოს „თუენის“ I რედაქციიდან; გაირკვა იერ. 107-ში დაშვებული უზუსტობა მინჩხის ფერისცვალებისადმი მიძღვნილი კანონის ავტორზე მითითებაში.

H 2337-ში დაცული მარიამის მიძინებისადმი მიძღვნილი საგალობლების შესწავლის შედეგებმა საფუძველი მოგვცა ვარაუდისათვის, რომ იოანე მინჩხს შესაძლებელია ეკუთვნოდეს ამ დღესასწაულისათვის განკუთვნილი საგალობლების მთელი კომპლექსი — უფ. ღაღატყავსა, კანონი და აქებდითსა.

მინჩხის გამოუქვეყნებელი საგალობლების შემცველი ხელნაწერების შესწავლამ ნათელყო მისი შემოქმედების გავრცელება იერუსალიმურ ტრადიციაში.

ტრადიციული, აქამდე ცნობილი საგალობლები იოანე მინჩხის შემოქმედების ერთი ნაწილია. მინჩხის შემოქმედების მეორე, ძირითად ნაწილს წარმოადგენს მისი აქამდე დაფარული მემკვიდრეობა — 77 უცნობი საგალობელი. მინჩხის აქამდე უცნობი საგალობლები მის ტრადიციულ მემკვიდრეობას ერთიორად აღემატება და განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს მინჩხის შემოქმედების, აგრეთვე ქართული ჰიმნოგრაფიის რიგი საკითხების კვლევისათვის.

მინჩხის აქამდე უცნობი მემკვიდრეობის ძირითადი ნაწილი (70 უცნობი საგალობელი) გამოვლენილ იქნა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერში გეორგიკა 5. მინჩხის ამ საგალობლების კვლევამ მოითხოვა, პირველ ყოვლისა, მათი შემცველი ხელნაწერის — გეორგ. 5-ის შესწავლა. ამ ხელნაწერის საგანგებოდ შესწავლა განპირობებულია აგრეთვე მისი განსაკუთრებული მნიშვნელობით ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის.

თავი III

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი[1]

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეხუთე ნომრით (ძველად № 17) შესული ხელნაწერი — გეორგიკა 5. პირველი ცნობები მის შესახებ დაცულია ა. ხახანაშვილის ნაშრომში „პარიზის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები"[2], რომელიც ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების აღწერილობას წარმოადგენს. აქ გეორგ. 5 ძველი ნუმერაციით (№ 17) არის შესული. ხელნაწერი „სვინაქსარ-მარხვანად" მოიხსენიება და მის შემადგენლობაში მითითებულია 217 ფურცელი[3]. ეს ცნობები ხახანაშვილის უშუალო დაკვირვების შედეგი არ უნდა იყოს, რადგანაც როგორც თვითონვე მიუთითებს, ხელნაწერი წიგნსაცავში ვერ უპოვიათ.

შემდგომში გეორგ. 5 მოკლედ აღწერა ფ. მაკლერმა[4]. ფ. მაკლერი გეორგ. 5-ს სვინაქსარად მიიჩნევს და XVI—XVII სს-ებით ათარიღებს. მაკლერის აღწერილობის დროისათვის, ისევე როგორც დღეს, ხელნაწერში 292 ფურცელი ყოფილა.

გეორგ. 5 აღწერილია ე. თაყაიშვილის ნაშრომში „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი". ე. თაყაიშვილმა განსაზღვრა ხელნაწერის რაობა, სტრუქტურა და ქრონოლოგია, გამოაქვეყნა მასში დაცული მნიშვნელოვანი ანდერძ-მინაწერები. თაყაიშვილის ნაშრომში გეორგ. 5-ის აღწერილობას უჭირავს 32—40 გვერდები. დღემდე გამოქვეყნებული აღწერილობებიდან ეს არის ამ ხელნაწერის ერთადერთი მეცნიერული აღწერილობა, მაგრამ ხელნაწერი თაყაიშვილს სპეციალურად არ უკვლევია. ამიტომ, მიუხედავად ავტორის ყურადსაღები დაკვირვებებისა, მის მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება შემდგომ კვლევას საჭიროებს. მით უფრო, რომ ეს ხელნაწერი თავისი მნიშვნელობის გამო, მრავალმხრივ შეიძლება იქნას შესწავლილი[5].

ხელნაწერი წარმოადგენს მ ა რ ხ ვ ა ნ ს — ძირითადი ნაწილი იმ მასალისა, რაც მის 292 ფურცელზეა შემონახული (ხელნაწერი ნაკლულია), გან-

---

[1] იხ. ლ. ხ ა ჩ ი ძ ე, გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანის პარიზული ნუსხა, კრებ.: ივირონი — 1000, თბ., 1983, გვ. 264—287.

[2] ჟურნალი „მოამბე", № 1, 1898.

[3] იქვე, გვ. 2.

[4] M a c l e r F., Catalogue des manuscrits arméniens et géorgiens da la Bibliothèque nationale, Paris, 1908, p. 171.

[5] გეორგ. 5-ის შესწავლისას ვისარგებლეთ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული როტაპირებითა და მიკროფირით.

კუთვნილია მარხვის პერიოდისათვის. ხელნაწერი პალიმფსესტია. მისი ძველი ფენა წარმოადგენს იერუსალიმურ ლექციონარს, რომლის ერთი ნაწილი გაშიფრული აქვს ბ. უტიეს. არსებობს ხელნაწერის გამოუქვეყნებელი ერცელი აღწერილობა, რომელიც ელ. მეტრეველს ეკუთვნის.

გეორგ. 5 ერთ დროს და ერთი პირის მიერ არ არის გადაწერილი. იგი შედარებით გვიან უნდა იყოს აკინძული. ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა მიუთითა, რომ „ამ წიგნში სამი სხვადასხვა დროს გადაწერილი ხელნაწერია მოქცეული ერთ ყდაში"[6]. მართლაც, ხელნაწერში ნათლად გამოიყოფა სამი ხელი. I ხელით დაწერილია ხელნაწერის უმთავრესი ნაწილი — 1—216 გვერდები, II ხელით — 217—222 გვერდები, III ხელი კი 223 გვერდიდან იწყება და ბოლომდე (292 გვ.) მიდის. ხელნაწერის I ნაწილი (1—216 გვერდები) შესრულებულია XI საუკუნის ათონური ხელწერით. ამ ნაწილის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ესაა თავბოლონაკლული ხელნაწერი, რომელიც გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანს წარმოადგენს. ე. თაყაიშვილი ამ ნაწილის შესახებ წერდა: „პირველი ნაწილი ხელნაწერისა (1—216 ფურცელი ანუ პირველა ვმ რვეული) შეიცავს დიდ-მარხვანს, გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილს, და ამ დიდ-მარხვანში მოიპოვება ანდრია კრიტელის დიდი კანონიც... ხელნაწერი თვით გიორგის ზედამხედველობით უნდა იყოს გადაწერილი და ბ ო ლ ო შ ი ა ნ დ ე რ ძ ი ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, მ ი ს ი ხ ე ლ ი თ ა რ ი ს დ ა წ ე რ ი ლ ი"[7].

გეორგ. 5 ინტერესს იმსახურებს იმ მხრივაც, რომ შეიცავს ანდრია კრიტელის „დიდი გალობანის" სამ ძველ-ქართულ თარგმანს: ექვთიმე მთაწმიდელისეულს, გიორგი მთაწმიდელისეულს და არსენ ბერისას[8]. ამ სამი თარგმანიდან პირველი ორი (ექვთიმესა და გიორგის მიერ შესრულებული) გეორგ. 5-ის პირველ ნაწილშია შესული. ხელნაწერის 127r—138v-ზე მოტანილია „გალობანის" ექვთიმესეული თარგმანი, რომელსაც მოსდევს სინგურით შესრულებული გიორგი მთაწმიდელის ანდერძი: „სახელითა ღმრთისაჲთა ესევე დიდნი გალობანი ანდრეა კრიტელისა თქუმულნი და ჩუენ გიორგი მთაწმიდელისა მიერ მეორეს გუერდსა აღწერილნი". გეორგ. 5-ში ესაა გიორგის ანდერძი, რომელსაც მოსდევს „დიდნი გალობანის" მისეული თარგმანი. „გალობანის" ბოლოს — 154v—155r-ზე მოტანილია სინგურით შესრულებული გიორგი მთაწმიდელის II ანდერძი, რომლის პირველი ნაწილი ასომთავრულით, ძირითადი ნაწილი კი ნუსხურითაა ნაწერი. ესაა ძალზე საინტერესო დოკუმენტი, რომელიც სპეციალურ შესწავლას მოითხოვს გიორგი და ექვთიმე მთაწმიდელების მთარგმნელობითი მეთოდის, საანალიზო ხელნაწერის ხასიათის, ექვთიმესადმი გიორგის დამოკიდებულების, მუსიკალური და პოეტური ტერმინოლოგიის თვალსაზრისით შესწავლისათვის და ა. შ. ჩვენ ამ ანდერძიდან განვიხილავთ მხოლოდ ერთ ადგილს[9]: „... ვინაჲთგან კულა სახიერებამან ღმრთისამან ღირს-მყო მე გლახაკი გიორგი ხუცეს-მონაზონი მარხვათა და ზატიკთა სრულებით თარგმნად და წიგნი შეჰმზადა განმანათლებელი კათოლიკე

---

6 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული სიიდუმლო. დამწერლობის ნიშანი. პარიზი, 1933 გვ. 32.

7 იქვე. ხაზგასმა ჩვენია — ლ. ხ.

8 იქვე, გვ. 33, გვ. 36.

9 გიორგი მთაწმიდელის ეს ანდერძები პირველად გამოქვეყნებულია ე. თაყაიშვილის მიერ დას. ნაშრომში, გვ. 33.

ეკლესიისაჲ, რომელ ჭეშმარიტად სწორი ამისი არცა ბერძენთა თანაღა იპოვების, არცა ქართველთა, მაშა შეუძლებელ იყო ჩუენგან ნაკლულევანებისა რაჲსმე დატეობაჲ...“ შემდეგ გიორგი მთაწმიდელი მსჯელობს „დიდნი გალობანის“ ექვთიმესეულ და საკუთარ თარგმანებზე.

გიორგი მთაწმიდელის ანდერძის მოტანილი ფრაგმენტიდან ნათელი ხდება, რომ გიორგის „სრულებით“ უთარგმნია მარხვანი და ზატიკი. ისიც ნათელია, რომ მარხვანსა და ზატიკზე მუშაობისას, რომლებიც ერთ წიგნად ყოფილა („და წიგნი შეჰმზადა განმანათლებელი კათოლიკე ეკლესიისაჲ...), გიორგი მთაწმიდელი თავისი მთარგმნელობითი მეთოდის ერთგული რჩება — იგი იყენებს არა ერთ რომელიმე დედანს (ბერძნულს თუ ქართულს), არამედ მასალას კრებს რამდენიმე მათგანიდან. სწორედ ამას უნდა მიანიშნებდეს სიტყვები: „... ჭეშმარიტად სწორი ამისი არცა ბერძენთა თანაღა იპოვების, არცა ქართველთა...“ მუშაობის ამგვარი მეთოდი დამახასიათებელია გიორგი მთაწმიდელისათვის (იხ. ამის შესახებ ქვემოთ). გიორგი მთაწმიდელის მარხვანი მოთავსებულია გეორგ. 5-ის I ნაწილში. ანდერძის მიხედვით, აქვე უნდა იყოს მოთავსებული გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ზატიკნიც. გეორგ. 5-ის I ნაწილის შესწავლამ გვიჩვენა, რომ გიორგის რედაქციის მარხვანი 1—214r-ზეა მოთავსებული. 212v-ზე მოტანილია დიდი შაბათის მწუხრის განგება. ჩვეულებრივ, ამ განგებით მთავრდება დიდმარხვის პერიოდი[10]. გეორგ. 5-ის I ნაწილში კი 214r-დან სათაურით „ბრწყინვალესა აღვსებასა“ იწყება აღდგომის პერიოდის მასალა — 4 სტიქარონი, რომელთა ბოლოს 215r-ზე მოდის ასომთავრულით შესრულებული სათაური: „კჳრიაკესა ცისკრად წარდგომაჲ რავდენიცა გინდეს, პირველისა კმისა აღდგომისა წარდგომათაგან [ბრძან]ე, ხოლო იბაკოჲ ესე“ და მოტანილია 3 მცირე ფორმის საგალობელი. ამ საგალობელთა შემდეგ მოდის სრული (8 ოდიანი) კანონი, რომელსაც „უგალობდითსას“ გასწვრივ მიწერილი აქვს ავტორი — „ი[ოან]ე“[11]. კანონის ბოლოს დართულია შენიშვნა, რომელიც გიორგი მთაწმიდელს უნდა ეკუთვნოდეს: „იგივე გალობანი ჩუენისა უნდოჲსა გულისკმის-ყოფისაებრ ორნივე წინაშე დაუსხმანიღა, რომელნიცა ჯერ-გიჩნდენ, გალობდით“ და მოტანილია იგივე კანონის სხვა თარგმანი. ეს ახალი თარგმანი თავად გიორგი მთაწმიდელის მიერ უნდა იყოს შესრულებული. გიორგი მთაწმიდელის მიერ ამ საგალობლის ხელახლა თარგმნა მისი მნიშვნელობით უნდა აიხსნას. ესაა იოანე დამასკელის ბერძნულ და ქართულ ტრადიციაში დაკანონებული აღდგომის კანონი, რომელიც გიორგის შემდეგ, ბერძნულ ორიგინალთან ზედმიწევნით მიახლოვების მიზნით „უსაკუთრესითა სიტყჳთა“ უთარგმნია ეფრემ მცირეს. ეს თარგმანიც გეორგ. 5-ის II ნაწილშია დაცული. საგალობელთა ძველი თარგმანების გვერდით საკუთარი თარგმანების მოტანა დამახასიათებელია გიორგი მთაწმიდელისათვის. ამის მაგალითებს ვხვდებით გიორგის „თუენშიც“ და გეორგ. 5-ში წარმოდგენილ მისი რედაქციის მარხვანშიც[12]. როგორც გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანის წყაროების კვლევამ გვიჩვენა, გიორგი ბერძნულს უდარებს და რედაქციას უკეთებს მარხვანში შესული მასალის დიდ ნაწილს. ამ სამუშაოს

---

10 თვით დიდი შაბათის მწუხრი, გეორგ. 5-ში აღდგომის შინაარსის სტიქარონებს შეიცავს.

11 სინ. 14-ში ამ კანონის ავტორად დასახელებულია იოანე დამასკელი, გვ. 161v.

12 ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანის“ შემთხვევაში.

იგი, ჩვეულებრივ, ყოველგვარი აღნიშვნის გარეშე ასრულებს. ამის გათვალისწინებით, იოანე დამასკელის აღდგომის ამ კანონზე დართული შენიშვნა, ვფიქრობთ, საკმარისია იმისათვის, რომ საგალობლის II თარგმანის ავტორად გიორგი მთაწმიდელი მივიჩნიოთ. აღდგომის ამ კანონის II თარგმანი მოულოდნელად წყდება VI ოდაზე — „ღაღატყავსა“: კერძოდ, მის პირველივე სტრიქონზე ისე, რომ ფრაზაც კი არ არის დამთავრებული. ამის შემდეგ გეორგ. 5-ში იწყება II ხელით დაწერილი სხვა ხასიათის მასალა[13].

გეორგ. 5-ის I ნაწილის ბოლო გვერდების შესწავლა ნათელს ხდის, რომ მარხვანის შემდეგ იგი შეიცავს აღდგომის კვირიაკის არასრულ მასალას. ამაზე საგანგებოდ მიუთითებს 2 სათაური („ბრწყინვალესა აღვსებასა“ და „კჳრიაკესა ცისკრად“...) და მათი მომდევნო აღდგომის საგალობლები, რომლებიც აღდგომის კვირიაკეზე სხვა ხელნაწერებშიც გვხვდება. მაგ. იოანე დამასკელის აღნიშნული კანონი აღდგომის კვირიაკეზე სახელწაუწერლად არის შესული სინ. 5, სინ. 1 და სინ. 14 ხელნაწერებში. ამ ხელნაწერებში შესულია კანონის მხოლოდ ის თარგმანი, რომელიც გეორგ. 5-ში I ადგილზეა წარმოდგენილი. როგორც აღვნიშნეთ, გეორგ. 5-ში ამ კანონის II თარგმანი მოულოდნელად წყდება. ამრიგად, გეორგ. 5-ის I ნაწილი ბოლონაკლულია. ეს ნაკლული ბოლო გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ზატიკი უნდა ყოფილიყო. გეორგ. 5-ის რედაქტორისათვის, რომელიც სამარხვო კრებულის შექმნას ისახავდა მიზნად, ბუნებრივია, რომ გიორგი მთაწმიდელის რედაქციის „მარხვან-ზატიკის“ მხოლოდ I ნაწილი იყო საჭირო. გეორგ. 5-ის I ნაწილის ბოლო გვერდებზე აღდგომის საგალობლების — ზატიკის ნაწილის შემორჩენა, როგორც ირკვევა, განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ ეს მასალა შესულია ხელნაწერის I ნაწილის 28-ე („კᲪ“) რვეულის შემადგენლობაში. ამავე რვეულის პირველ სამ ფურცელზე კი მოთავსებულია მარხვანის მასალა. გეორგ. 5-ის რედაქტორს ამ კრებულის შედგენის დროს, როგორც ჩანს, გიორგის რედაქციის მარხვანის შემცველი უკანასკნელი „რვეული“ არ დაუშლია, რადგან ამ შემთხვევაში კრებულის აკინძვა გაძნელდებოდა. ამან კი გამოიწვია ზატიკის შემცველი მასალის „გადაყოლა“ გიორგი მთაწმიდელის მარხვან-ზატიკიდან პარიზული ხელნაწერის — გეორგ. 5-ის შემადგენლობაში. ამრიგად, გეორგ. 5-ის 1—216v-ზე შემონახული მასალა სავსებით ადასტურებს გიორგი მთაწმიდელის ზემოთმოტანილ ანდერძში აღნიშნულ გარემოებას — გეორგ. 5-ის I ნაწილი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ერთი მთლიანი ხელნაწერი, რომელიც შეიცავდა გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანსა და ზატიკს[14].

გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანისა და ზატიკის არსებობა მისი ცხოვრებითაც“ დასტურდება. „ცხოვრების“ ავტორი — გიორგი მცირე გიორგი მთაწმიდელის სხვა თარგმანებთან ერთად ასახელებს მარხვანსა და ზატიკს:

---

13 ამ მასალის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ესაა ქართული მარხვანის გიორგი მთაწმიდელის შემდგომდროინდელი რედაქცია.

14 ამგვარი კომპოზიციის — მარხვან-ზატიკის შემცველი კრებულები ბერძნულ და სლავურ ტრადიციაში უხვად დასტურდება. იხ. Момина М., Постная и Цветная Триоди, сб., Методические рекомендации по описанию славяно-русских рукописей, часть II, М., 1976, с. 391.

გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანი Georg. 5-ში თავნაკლულია. ხელნაწერის ამ ნაწილში მოთავსებული უნდა ყოფილიყო დიდმარხვის მოსამზადებელი კვირიაკეების მასალა.

„... დიდნი მარხვანი და ზატიკნი, ეგრეთვე მრავალფერითა კეთილითა აღსავსე“[15]. კ. კეკელიძე გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ სწორედ ამ ადგილზე დაყრდნობით მიიჩნევდა, რომ „ექვთიმეს შემდეგ გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია „დიდნი მარხუანი და ზატიკნი“ ესე იგი მთლიანი რედაქცია მათი, როგორც მიღებული იყო მის დროს საბერძნეთში“[16]. ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანისა და ზატიკის არსებობა აქამდეც ივარაუდებოდა, მაგრამ მათი შემცველი ხელნაწერი (თუ ხელნაწერები) აქამდე დადგენილი არ ყოფილა. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანად მიჩნეული იყო სინური კოლექციის ხელნაწერი № 70[17]. გეორგ. 5-ის შესწავლამ ნათელყო, რომ სინ. 70 არ არის გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანი. ეს უნდა იყოს მარხვანის ახალი, გიორგი მთაწმიდელის შემდგომდროინდელი რედაქცია[18]. ე. თაყაიშვილმა გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანად სამართლიანად მიიჩნია გეორგ. 5-ის I ნაწილი. მაგრამ მისი მსჯელობა შემდგომ დასაბუთებას მოითხოვდა, ამიტომ მის მიერ გამოთქმული ეს ვარაუდი შეუმჩნეველი დარჩა. გეორგ. 5-ის I ნაწილის შესახებ ე. თაყაიშვილი წერდა: „ხელნაწერი გიორგის ზედამხედველობით უნდა იყოს გადაწერილი და ბ ო ლ ო შ ი ა ნ დ ე რ ძ ი ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი მ ი ს ი ხ ე ლ ი თ ა რ ი ს დ ა წ ე რ ი ლ ი“[19]. ჩვენს მიერ ჩატარებულმა შედარებამ ნათელყო, რომ ა ნ დ ე რ ძ ე ბ ი ს ა დ ა გ ე ო რ გ. 5-ის მ თ ე ლ ი I ნ ა წ ი ლ ი ს (1—216v) ხ ე ლ ი ე რ თ ი დ ა ი გ ი ვ ე ა. ესაა XI საუკუნის ათონური ხელწერა. გიორგ. 5-ის I ნაწილში არავითარი მითითება არ გვაქვს მის გადამწერზე, განსხვავებით ამავე ხელნაწერის III ნაწილისაგან, სადაც 248v-ზე მოხსენიებულია გადამწერი — „ოქროპირი“[20]. არ გვაქვს მითითებანი არც ხელნაწერის დედანზე. გიორგი მთაწმიდელის ანდერძებთან არ გვხვდება რაიმე შენიშვნები, რომლებიც გადამწერს შეიძლება გაეკეთებინა გიორგის მისამართით. ეს ანდერძები უშუალოდაა ჩართული ტექსტში. ყოველივე ზემოთქმულის გამო გეორგ. 5-ში დაცული გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანი მისივე ავტოგრაფი უნდა იყოს. ათონური კოლექციის ქართულ ხელნაწერთა შორის გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფად მიჩნეულია ათ. 45 ხელნაწერი[21]. გეორგ. 5-ის I ნაწილისა

---

15 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II (XI—XV სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევამ და ც. ჯღამაიამ ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967, გვ. 147.

16 ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 596.

17 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები..., გვ. 40; უძველესი იადგარი, გვ. 811, 812.

18 ნ. მარი ამ ხელნაწერის შეფასებისას ამოდის მასში დაცული ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანიდან“ და ამ უკანასკნელზე დართული არსენ იყალთოელის ანდერძიდან. ამიტომ ხელნაწერს მიიჩნევს ანდრია კრიტელის რედაქციის მარხვანად, რომელიც არსენის თარგმნილია: Описание грузинских рукописей Синайского монастыря, გვ. 196. ანდრია კრიტელის რედაქციის მარხვანის არსებობა მეცნიერებაში დადგენილი არ არის. არც „დიდნი გალობანის“ მონაცემების მთელ ხელნაწერზე განზოგადებაა გამართლებული.

19 პარიზის ნაციონალური... გვ. 36, ხაზგასმა ჩვენია — ლ. ხ.

20 ეს მინაწერი გამოქვეყნებული აქვს ე. თაყაიშვილსაც, დას. ნაშრომი, გვ. 36.

21 B l a k e R., Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au Mont Athos, Revue de l'Orient Chrétien, 3e Série, t. IX (XXIX), Nos 3 et 4, Paris, 1934, pp. 22. ივ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბ., 1982, გვ. 20.

და ათ. 45-ის პალეოგრაფიულმა შედარებამ საბოლოოდ ნათელყო, რომ პ ა რ ი ზ უ ლ ი ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი ს გ ე ო რ გ. 5-ის I ნ ა წ ი ლ ი (1—216v) გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ა ვ ტ ო გ რ ა ფ ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის გამოვლენას, ეფიქრობთ, დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ქართული ფილოლოგიისათვის, რადგან მის მიხედვით შეიძლება დეტალურად ვიმსჯელოთ გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანის რაობასა და თავისებურებებზე; შევისწავლოთ მისი გავრცელება და გავლენა მარხვანის შემდგომდროინდელ კრებულებზე; გიორგის მარხვანში წინადროინდელი ქართული ტრადიციების ასახვის საკითხი და სხვა. ამასთან, პარიზული ხელნაწერის I — ავტოგრაფული ნაწილი გიორგი მთაწმიდელის მუშაობის პრინციპებზე დაკვირვებისათვის საუკეთესო შესაძლებლობას გვაძლევს. ხელნაწერი ინტერესს იმსახურებს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის კვლევისათვის, ვინაიდან საშუალებას იძლევა ავტორი მოვუძებნოთ გიორგი მთაწმიდელის წინადროინდელ თუ მის თანამედროვე ჰიმნოგრაფთა საგალობლებს, რომლებიც სახელწაუწერლადაა შესული არა მარტო ქართული, არამედ ბერძნული და სლავური მარხვანების დღემდე მოღწეულ ხელნაწერებშიც.

გეორგ. 5-ში დაცული გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი ჩვენ რამდენიმე თვალსაზრისით შევისწავლეთ. კვლევამ ნათელყო მარხვანზე გიორგი მთაწმიდელის მუშაობის ძირითადი თავისებურებანი, რომლებიც შეესაბამება სამეცნიერო ლიტერატურაში სხვა წყაროებით დადგენილ გიორგი მთაწმიდელის მუშაობის მეთოდებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე კარგადაა ცნობილი გიორგი მთაწმიდელის თარგმანების „კრებითი" ხასიათი. მისი თანამედროვე ბიზანტიური ლიტურგიკული წიგნებიდან იგი სიტყვასიტყვით კი არ თარგმნის რომელიმე ერთ ნუსხას, არამედ მასალას კრებს ყველა წყაროდან. გიორგისეული ანდერძ-მინაწერები, რომლებსაც ის ურთავს მის მიერ ნათარგმნ ძეგლებს, იმ საერთო შთაბეჭდილებას გვიქმნის, რომ გიორგი მთაწმიდელი თავის თარგმანებში ცდილობს მთელი სისრულით გააცნოს ქართველ მკითხველს, მთელი სისრულით მოიცვას მისი თანამედროვე ბიზანტიური ლიტურგიკული პრაქტიკა.

ბერძნული წყაროების სიმრავლით გამოირჩევა გიორგი მთაწმიდელის „თუენი"[22], რომლის შესახებ ეფრემ მცირე წერდა: „... არა ერთისა, არამედ მრავალთა დედათაგან ერთად შეკრებილ არს და ერთსა წიგნსა შინა ბერძულად არა რომელსა იპოების ეგოდენი საგალობელი"[23].

გიორგი მთაწმიდელის მუშაობის II ძირითად თავისებურებას წარმოადგენს მის ნაშრომებში წინადროინდელი ქართული მასალების ფართოდ გამოყენება. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ გიორგი მთაწმიდელის „თუენის" ერთ მესამედს შეადგენს ქართული იადგარების მასალა; „თუენის" ერთ-ერთი უშუალო წყაროა ე. წ. „თუენის I რედაქციაც"[24]; „თუენში"

---

22 „თუენის" ბერძნული წყაროების შესახებ იხ. ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI საუკუნეში, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწ. პედინსტ. შრომები, IX, 1952, გვ. 183—218; აგრეთვე ც. ჯღამაია, XI საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (გიორგი მთაწმიდელის „თუენი"), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1966, გვ. 55—59.

23 იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 220.

24 ც. ჯ ღ ა მ ა ი ა, დას. ნაშრ., გვ. 83; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, უცნობი რედაქცია ქართული ჰიმნოგრაფიული თუენისა, ეტიუდები, ტ. VIII, თბ., 1962.

გიორგი მთაწმიდელს შეტანილი აქვს ქართულ ტრადიციაში არსებული ხსენებები და ქართველ ავტორთა საგალობლები[25]. საგულისხმოა გიორგი მთაწმიდელის დამოკიდებულება მეხელებისა და ექვთიმე ათონელის შემოქმედებისადმი[26].

ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის ნაშრომებში ფართოდაა გამოყენებული როგორც ბერძნული, ისე ქართული მასალა.

გიორგი ათონელის ამგვარი მუშაობა თავის დროზე ქართული ეკლესიის ინტერესებისათვის იყო გამიზნული, დღეს კი ქართველოლოგიის ინტერესებს გარდა, არანაკლებ მნიშვნელობას იძენს ბერძნული ჰიმნოგრაფიის კვლევისათვისაც.

როგორც ჩანს, აღნიშნული პრინციპით მოქმედებდა გიორგი მთაწმიდელი მარხვანზე მუშაობის დროსაც. გავიხსენოთ მისი ზემოთმოტანილი ანდერძის ფრაგმენტი: „... და წიგნი შეჰმზადა განმანათლებელი კათოლიკე ეკლესიისაჲ, რომელ ჭეშმარიტად სწორი ამისი არცა ბერძენთა თანაღა იპოვების, არცა ქართველთა, მაშა შეუძლებელ იყო ჩუენგან ნაკლულევანებისა რაჲსმე დატეობაჲ...“ აქ ნათლად ჩანს, რომ მარხვანზე მუშაობისას გიორგი მთაწმიდელი მასალას კრებს არა ერთი რომელიმე ბერძნული თუ ქართული წყაროდან, არამედ წყაროთა ჯგუფიდან; იგი ცდილობს მარხვანისათვის განკუთვნილი მთელი ბერძნული და ქართული მასალის გათვალისწინებას იმის სრული შეგნებით, რომ შეუძლებელია „ნაკლულევანებისა რაჲსმე“ დატოვება, რაიმეს გამორჩენა.

გიორგისეული მარხვანის ბერძნული წყაროების შესწავლა სპეციალურ კვლევას საჭიროებს. ცნობილია, რომ მისი მუშაობის მიზანი ქართული ლიტურგიკული ძეგლების ბერძნულთან შემდგომი დაახლოვება იყო. მარხვანზე მუშაობის დროსაც, გიორგი მთაწმიდელისათვის ამოსავალი იქნებოდა მისი თანამედროვე ბიზანტიური ლიტურგიკული პრაქტიკა.

დღეს ჩვენ არა გვაქვს საშუალება გიორგი მთაწმიდელის მარხვანის მის თანამედროვე ბერძნულ მარხვანებთან შედარებისა, რადგან ბერძნული მარხვანების არსებული გამოცემები ხელნაწერთა შედარებით გვიანდელ ტრადიციას ეწყარება. გიორგი მთაწმიდელის მარხვანში დაცულია ბერძნული მარხვანის გაცილებით ძველი სახე, ვიდრე ჩვენს ხელთ არსებული ბერძნული მარხვანების გამოცემებში. მიუხედავად ამისა, დღეისათვის გამოცემულ ბერძნულ მარხვანებში მაინც დაიძებნება გიორგი მთაწმიდელის მარხვანში შესული მასალების ანალოგიები (იხ. ამის შესახებ გვ. 68—69).

როგორც საგანგებო კვლევამ აჩვენა, გიორგი მთაწმიდელის მარხვანის ერთ-ერთი ძირითადი ქართული წყაროა სინ. 5/სინ. 75 ხელნაწერების ან მათში დაცული მარხვანის ტიპის კრებული, რომელიც გიორგი მთაწმიდელის მოღვაწეობის დროისათვის ქართული მარხვანის ძირითადი სახეობა უნდა ყოფილიყო. ამიტომ გიორგის მიერ მისი ფართოდ გამოყენება სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერია. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მარხვანის ამ რედაქციიდან აღებულ მასალას გიორგი მთაწმიდელი ხშირ შემთხვევაში ხელახლა ადარებს ბერძნულთან, გვაძლევს ამ თარგმანების ახალ რედაქციას; იმ შემთხვევაში კი, როცა სინ. 5-ის ტიპის მარხვანში შესული მასალა აკმაყოფი-

---

25 ელ. მეტრეველი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI საუკუნეში, გვ. 187—188.

26 ელ. მეტრეველი, „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის, კრებ. შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966, გვ. 160—177.

ლებს მის მოთხოვნებს — მას ეს მასალა უცვლელად ან მცირე ცვლილებით გადააქვს მარხვანის საკუთარ რედაქციაში.

გიორგი მთაწმიდელის მარხვანისა და სინ. 5-ში დაცული მარხვანის ტიპის კრებულის დამოკიდებულების ნათელსაყოფად მოვიტანთ ერთი დღის, კერძოდ — ხორცის აღების კვირიაკის მასალას:

ჯორციელის კვრიაკე

გეორგ. 5-ის I ნაწილი	სინ. 5
[კანონი]. უგალობდითსა. „მარჯუენე შენი. — ვინ შემძლებელ არს...“ კანონი სრულია. დასაწყისთან აშიაზე მიწერილია ავტორი — „ელია“.	[კანონი] უგალობდითსა. კმაჲ ა. „მარჯუენეჲ შენი უძ. — ვინ შემძლებელ არს...“ კანონი სრულია.
ესენებაჲ მეორედ მოსლვისა უფლისაჲ. [სტიქარონი] კმაჲ ა. „შენ სიტყუაჲ დაუ. — რაჟამს მოხჳდე განკითხვად...“	... დასდებელნი მეორედ მოსლვისათჳს უფლისა ჩუენისა. თქუმულნი სტეფანე მონაზონისანი. უფ. ღალატყავსა. კმაჲ ა. „შენ სიტყუა დაუ. — რაჟამს მოხჳდე განკითხვად...“
სხუანი. ბ გ´ი. „უფსკრულმან. — ოდეს მოხჳდე დიდებით...“ იბაკონი კმაჲ გ გ´ი. „მჯდომარე. — რაჟამს მსაჯული იგი...“	სხუანი ბ გ´ი. „დასაბამად ქმნა ღმერთმან. — ოდეს მოხჳდე დიდებით...
[კანონი] უგალობდითსა. კმაჲ დ გ´ი. „უგალობდეთ უფალსა, რომელმან გა. — დღესა მას საშინელსა...“ კანონი სრულია. დასაწყისთან აშიაზე მიწერილია ავტორი — „თ[ეოდორ]ე“.	[კანონი] უგალობდითსა. კმაჲ დ გ´ი „უგალობდეთ უფალსა. — დღესა მას საშინელსა...“ კანონი სრულია, ერთვის „აქებდითსა“.
სხუანი გალობანი მეორედ მოსლვისანი. კმაჲ დ გ´ი. „ეტლთა მფლობელი. — კრებული წმიდათა ''ენთაჲ...“ კანონი სრულია. დასაწყისთან აშიაზე მიწერილია ავტორი — „იოსებ“.	—
—	[სტიქარონი] სხუანი. კმაჲ ბ. „შჯულმან მან წინაჲსწ. — გამოგჳბრწყინდა ძმანო...
	სხუანი დ გ´ი „ჰ სასწაული საკჳველთაჲ...“

მწუხრი

[სტიქარონი]. კმაჲ ა. „შენ სიტყუაჲ დაუ. — ზეცისა მის სუფევისა...	—
სხუანი. „წმიდანო მარტჳლნ. — გიღაღადებ ქრისტე...“	უფ. ღალატყავსა. კმაჲ ა. „ქრისტე კაცთმოყუარე. — გიღაღადებ ქრისტე...“
სხუანი. ბ. „მამისაგან შობ. — რაბამი დასაბამი...“	—
წარდგომანი. გ გ´ი. „მჯდომარე. — განღებულ არს სალმრთოჲსა...“	—

გეორგ. 5-ის I ნაწილი	სინ. 5
—	სხუანი. ბ გ ი. გერნი. „გულისკმა-ვჰყოფ...“ ლიტანიისად გინათუ იბაკოდ „გიხაროდენთა ზედა. — განვიწმიდნეთ თავნი ჩუენნი...“

როგორც ვხედავთ, ამ დღის|განსაკუთრებით ცისკრის განგების|მასალის უმეტესი ნაწილი თანხვედრილია გიორგი მთაწმიდელის მარხვანსა და სინ. 5-ში. როგორია ტექსტობრივ-რედაქციული მიმართებანი ამ საერთო მასალას შორის?

გეორგ. 5-ში I ადგილზე წარმოდგენილი ელია იერუსალიმელის კანონი (იხ. ცხრილი) ტექსტობრივად თანხვდება ამ კანონის სინ. 5-ში შესულ თარგმანს. ანალოგიური მდგომარეობაა გეორგ. 5-ში კანონის მომდევნო I სტიქარონშიც. რაც შეეხება II სტიქარონს, გიორგის მარხვანში Sin. 5-თან შედარებით აქ გარკვეული ცვლილებები შეინიშნება: საგალობელს შეცვლილი აქვს ძლისპირი, გვაქვს ზოგიერთი ფრაზეოლოგიური განსხვავება. გეორგ. 5-ში სინ. 5-თან შედარებით ეს სტიქარონი შეიცავს 5 „ზედმეტ“ ტროპარს. ამათგან 3 ტროპარი სინ. 5-ში ცისკრის განგების უკანასკნელ სტიქარონად არის შესული (იხ. ცხრილი): აქაც გეორგ. 5-სა და სინ. 5-ს შორის მცირე ვარიანტული სხვაობები არსებობს. ამრიგად, გეორგ. 5-ში ხორციელის კვირიაკის ცისკრის II სტიქარონში გაერთიანებულია სინ. 5-ში შესული 2 სტიქარონი, შეცვლილია ძლისპირი და სინ. 5-თან შედარებით, შეინიშნება ვარიანტული სხვაობები. სინ. 5-თან შედარებით შემჩნეული ყველა ეს ცვლილება გიორგი მთაწმიდელს ბერძნული მასალის შესაბამისად უნდა მოეხდინა.

ელია იერუსალიმელის აღნიშნულ კანონს გარდა, ხორციელის კვირიაკეზე გეორგ. 5-ში შესულია მეორედ მოსვლის 2 კანონი — თეოდორე სტუდიელისა და იოსებ მგალობლის. იოსების სახელით წარწერილი კანონი სინ. 5-ში არ გვხვდება. ამ კანონის შეტანა გიორგი მთაწმიდელის მარხვანში მისი თანამედროვე ბიზანტიური პრაქტიკის გათვალისწინებით უნდა იყოს გამოწვეული.

რაც შეეხება თეოდორე სტუდიელის კანონს — გეორგ. 5-ში დაცული მისი თარგმანი სინ. 5-თან შედარებით, აშკარად რედაქციული მუშაობის კვალს ატარებს. სინ. 5-ში ამ კანონის ყოველი ოდა 3 და 4 ტროპარისაგან შედგება, გეორგ. 5-ში კანონის თითოეულ ოდაში ტროპარების რაოდენობა 7-მდე ან 8-მდეა შევსებული. გეორგ. 5-ში კანონის თითოეული ოდის ბოლო 2 ტროპარი შესაბამისად „სამებისანსა“ და „ღმრთისმშობლისას“ წარმოადგენს. თითოეულ ოდაში გეორგ. 5-ისა და სინ. 5-ის თანხვედრი ტროპარები ტექსტობრივად იდენტურნი არიან. ამავე დროს, სინ. 5-ისაგან განსხვავებით, გიორგი მთაწმიდელის მარხვანში კანონი შეიცავს II ოდას — „მოიხილესა“.

ამრიგად, საანალიზო კანონზე მუშაობისას გიორგი მთაწმიდელი იყენებს მის წინადროინდელ — სინ. 5-ში დაცულ თარგმანს; ამავე დროს მისი თანამედროვე ბერძნული მარხვანების მიხედვით იძლევა კანონის ძველი თარგმანის ახალ რედაქციას, ავსებს კანონის თითოეულ ოდას — 3—4 დასდებლიდან 7—8 დასდებლამდე; როგორც წესი, მის მიერ თითოეული გალობისათვის და-

მატებული დასდებლების ბოლო წყვილი წარმოადგენს „სამებისანსა“ და „ღმრთისმშობლისანს“; უმატებს კანონს II ოდას — „მოიხილესა“.

მწუხრის განგებაში გეორგ. 5-სა და სინ. 5-ს საერთო აქვს I სტიქარონი. ამ სტიქარონის გეორგ. 5-ში შესული ტექსტი თანხვდება სინ. 5-ში შესულ თარგმანს: ოღონდ სინ. 5-თან შედარებით, გეორგ. 5-ში შეცვლილია ძლისპირი. გეორგ. 5-ში ამ სტიქარონის ძლისპირია „წმიდანო მარტჳლნო“, სინ. 5-ში კი — „ქრისტე კაცთმოყუარე“ (იხ. ცხრილი). გეორგ. 5-ში შესული არ არის სინ. 5-ის ბოლო 2 სტიქარონი, გეორგ. 5-ში სინ. 5-თან შედარებით მეტია იბაკონი, მწუხრის 2 სტიქარონი და წარდგომანი.

გეორგ. 5-ისა და სინ. 5-ის მასალა ჩვენ შევუდარეთ მომდევნო — ყველიერის შვიდეულის მანძილზეც. გაირკვა, რომ ხორციელის კვირიაკის მასალის შედარებით მიღებული დასკვნები ტიპიურია მომდევნო მასალისთვისაც. სინ. 5 (ან მასში დაცული მარხვანის ტიპის კრებული) წარმოადგენს გეორგ. 5-ის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს. აქედან იღებს გიორგი მთაწმიდელი მისი თანამედროვე ბერძნული მარხვანების შესაბამის ქართულად უკვე თარგმნილ მასალას. იმ შემთხვევაში, როცა ეს მასალა აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს, იგი უცვლელად ან მცირეოდენი ცვლილებებით გადააქვს თავის მარხვანში. რიგ შემთხვევაში კი, ბერძნული მარხვანების შესაბამისად, ტრადიციულ მასალას იგი ახალ რედაქციას უკეთებს. გეორგ. 5-ში სინ. 5-თან შედარებით რიგ საგალობლებს შეცვლილი აქვთ ძლისპირი; გეორგ. 5-ში თითოეული დღის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს „წარდგომანი“.

მუშაობის ამგვარივე თავისებურებები: ძლისპირების ცვლა და „წარდგომანის“ სისტემატური შემოღება-დამკვიდრება დადასტურებულია გიორგი მთაწმიდელის „თუენშიც“. ასე, რომ ამ მხრივ მარხვანზე მუშაობის თავისებურებანი ზუსტად შეესაბამება გიორგი მთაწმიდელის მუშაობის დადგენილ კანონზომიერებებს[27].

ხორციელის კვირიაკეზე გეორგ. 5-ში შესული 3 კანონიდან ბერძნული მარხვანის არსებულ გამოცემებში[28] შესულია მხოლოდ თ[ეოდორ]ეს სახელით წარწერილი კანონი: „...ὁ κα·ὼν τοῦ Τριῳδίου. Ποίημα Θεοδώρου τοῦ Στουδίτου. Ὠδὴ ά. Ἦχος πλ. β΄. Βοηθὸς καὶ σκεπαστής — Τὴν ἡμέραν τὴν φρικτήν...“[29], კანონი 8 გალობისაგან შედგება, არა აქვს 11 გალობა — „მოიხილესა“. ბერძნულ მარხვანში კანონის თითოეული გალობა 8 ტროპარს შეიცავს. აქ ყველა გალობაში წარმოდგენილია გიორგი მთაწმიდელის მიერ სინ. 5-ის მასალაზე დამატებული ახალი ტროპარები. ამ ტროპარების ტექსტები და თანმიმდევრობა თანხვდება კანონის გეორგ. 5-ში წარმოდგენილ ქართულ თარგმანს. ზოგიერთი გალობა შეიცავს განსხვავებულ ძლისპირებს (მაგ. „უგალობდითსას“ ძლისპირი გეორგ 5-ში არის „უგალობდეთ უფალსა, რომელმან გა“... ბერძნულ მარხვანში კი „Βοηθὸς καὶ σκεπαστής“).

ამრიგად, თეოდორე სტუდიელის აღნიშნული კანონის ბერძნული ტექსტი დღემდე მოღწეული სახითაც სავსებით თანხვდება კანონის გეორგ. 5-ში წარმოდგენილ რედაქციას, რომელიც ეკუთვნის გიორგი მთაწმიდელს.

---

27 ს. ჯ ღ ა ბ ა ი ა, დას. ნაშრომი, გვ. 68—80, 24—44.

28 ჩვენ ვისარგებლეთ ბერძნული მარხვანის რომისა და ათენის გამოცემებით: „Τριῳδιον κατανυκτικόν“ ἐν Ρομα, 1879, ἐν Ἀθήναις, 1975, შემდგომში გვერდებს ვუთითებთ ამ გამოცემებიდან.

29 გვ. 34—41; გვ. 28—33.

რაც შეეხება ხორციელის კვირიაკეზე გეორგ. 5-ში წარმოდგენილ სტიქარონებს, მათი სრული შესატყვისები ბერძნული მარხვანის ამ გამოცემებში არ იძებნება; ეს იმით უნდა აიხსნას, რომ სტიქარონებმა, როგორც განგების შეღარებით ცვალებადმა ელემენტებმა, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში საგრძნობი ცვლილება განიცადა. მიუხედავად ამისა, ხორციელის კვირიაკეზე გეორგ. 5-ში წარმოდგენილი I და II სტიქარონები (იხ. ცხრილი) ძალიან მოგვაგონებს ბერძნული მარხვანის რომისა და ათენის გამოცემებში ამავე დღეზე შესულ კონტაკიონს. „Ὅταν ἔλθῃς, ὁ Θεός...“ და მის იკოსს „Τὸ φοβερόν σου κριτήριον...“[30].

გეორგ. 5-ის II სტიქარონში, როგორც აღვნიშნეთ, გაერთიანებულია სინ. 5-ში ცალ-ცალკე შესული 2 სტიქარონი. II მათგანის („ეჰა სასწაული საკვირველთაჲ...“) I ტროპარი ბერძნულ მარხვანში, გარკვეული ცვლილებებით, შესულია იდიომელად „Ἐξομολογήσομαί σοι.—Ὥποία ὥρα...“[31]. ამავე საგალობლის ბოლო ტროპარი უკავშირდება ბერძნულ მარხვანში კანონის ბომდეენო I იდიომელს: „Ἐννοῶ τὴν ἡμέραν ἐκείνην...“[32]. „გამოავლინედ“ (Ἐξαποστειλάριον)[33] არის შესული ბერძნულ მარხვანში გიორგისეული „წარდგომანის“ III ტროპარი. ამავე დროს, ბერძნული მარხვანის ამ გამოცემებში შესულია მთელი რიგი სტიქარონები, რომლებსაც შესატყვისები არ ეძებნებათ გეორგ. 5-ში. როგორც აღვნიშნეთ, ეს გარემოება სტიქარონების განსაკუთრებული ცვალებადობით უნდა იყოს გამოწვეული. გეორგ. 5-ისა და ბერძნული მარხვანის აღნიშნულ გამოცემებს შორის არსებული ცალკეული დამთხვევები მათში გიორგი ათონელის თანამედროვე ბერძნული წყაროების ანარეკლით უნდა აიხსნას.

გეორგ. 5-ში დაცულ გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანში დასტურდება მისი მუშაობისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი თავისებურება. ეს არის დიდი სიზუსტე საგალობლებისათვის ავტორების მითითებასა და მათი პირვანდელი სახით აღდგენაში. უზარმაზარ ჰიმნოგრაფიულ რეპერტუარში, ხელნაწერთა დიდძალი რაოდენობისა და ჩვენებების პირობებში, დროთა განმავლობაში დაკარგული და დავიწყებული ავტორების გამოსავლენად გაწეული დიდი შრომა გიორგი მთაწმიდელის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი თავისებურება და ღირსებაა. გიორგი მთაწმიდელის „თუენის“ შესწავლამ ამისი არაერთი მაგალითი გამოავლინა[34].

ბერძნულ-სლავურ მარხვანებსა და სინ. 5|სინ. 75 კრებულებთან შედარებით, გიორგი მთაწმიდელის მარხვანში ავტორი აქვს მითითებული კანონების, სამსაგალობლებისა და სტიქარონების დიდ უმეტესობას. იმ შემთხვევებში კი, როცა ცალკეულ საგალობელთა ავტორები აღნიშნულია გიორგი მთაწმიდელის წინადროინდელ ქართულ ხელნაწერებშიც, გიორგის მარხვანი, ჩვეულებრივ, თანხვდება მათ ჩვენებას. ჩვენს მიერ შესწავლილ მასალაში არის ისეთი შემთხვევებიც, როცა რამდენიმე ხელნაწერიდან მხოლოდ ერთში გვაქვს მითითე-

---

30 გვ. 38—39; გვ. 31.

31 გვ. 42; გვ. 34.

32 იქვე, გვ. 33—34.

33 იქვე, გვ. 33.

34 ელ. მეტრეველი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI საუკუნეში, გვ. 188.

ბა ამა თუ იმ საგალობლის ავტორზე. ასეთ შემთხვევებში გიორგი მთაწმიდელის მარხვანში, როგორც წესი, საგალობელთან იგივე ავტორია მიწერილი[35]. ასე მაგ. გიორგი მთაწმიდელის მარხვანში მეორე კვირიაკეზე დადებულია „ელიას“ სახელით წარწერილი კანონი „უგალობდითსა. ზღჳსა მის მეწა. — კრებაჲ უვარის-მყოფელთა...[36]; ეს კანონი შესულია სინ. 5, სინ. 75, სინ. 1, სინ. 59 და სინ. 64 ხელნაწერებში. ამ სინური ხელნაწერებიდან მხოლოდ სინ. 1-ში მოიხსენება კანონის ავტორად „ელია პატრეარქი“[37], დანარჩენ 4 ხელნაწერში კანონი ავტორწაუწერელია. ანალოგიური მდგომარეობაა დიდი ხუთშაბათის კანონთან „უგალობდითსა. კმაჲ ბ გ̄ი. ზღუაჲ მეწამული. — ღმრთისა სიბრძნემან...“, რომელიც პარიზულ ხელნაწერთან ეოთად, შესულია სინ. 5, სინ. 75, სინ. 1, სინ. 14 და სინ. 64 ხელნაწერებში. გეორგ. 5-სა და სინ. 1-ში კანონის ავტორად დასახელებულია კოზმა[38], დანარჩენ სინურ ხელნაწერებში კანონი ავტორწაუწერელია. კოზმას სახელითაა წარწერილი ეს კანონი ბერძნულ და სლავურ მარხვანებშიც[39].

გეორგ. 5-ის I ნაწილის შესწავლამ ნათელყო, რომ გიორგი მთაწმიდელი უდარებს და იკვლევს საგალობელთა ნაწილებს, მათ თითოეულ ტროპარსაც კი. გიორგის მარხვანში უხვადაა შესული ბერძნულიდან ნათარგმნი კომპილაციური საგალობლები, რომელთა ცალკეულ ნაწილებს მითითებული აქვს ბერძენი ავტორები. მაგ. გიორგი მთაწმიდელის მარხვანში პირველი ოთხშაბათის ცისკარზე დადებულია სამსაგალობელი, რომლის I ოდის (განძლიერდასა) დასაწყისთან მიწერილია „სტ“, V ტროპარის გასწვრივ კი — „იოსებ“[40]. ამრიგად, ამ სამსაგალობლის 1 ოდის დასაწყისი 4 ტროპარი ეკუთვნის სტეფანე საბაწმიდელს, ბოლო 4 ტროპარი კი — იოსებ მგალობელს. კომპილაციურია II ოთხშაბათის სამსაგალობლის I ოდაც[41]. ამ სახის კომპილაციები გიორგი მთაწმიდელის მარხვანში ხშირია.

ავტორთა აღნიშვნის თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს გიორგი მთაწმიდელის მარხვანში II კვირიაკეზე წარმოდგენილი კანონი — „უგალობდითსა. კმაჲ დ. ზღუაჲ უვალი. — მარხეაჲ ღმრთივდიდებული...“; კანონის 1 ოდის — „უგალობდითსას“ გასწვრივ აშიაზე მიწერილია „თეოფანე“ (76v), ამავე ოდის V ტროპარის გასწვრივ — „ელია“ (76v), VIII ტროპარის გასწვრივ კი — „თეოდორე“. კანონის მომდევნო ოდასთან (განძლიერდასა) მიწერილია „თეოფანე“. ამრიგად, აღნიშნული კანონის 1 ოდაში დასახელებულია 3 ავტორი. საგალობელში თეოფანეს ეკუთვნის 4 ტროპარი, ელიას და თეოდორეს — 3-3. კანონის შემდგომ ოდებში ჩნდება კიდევ ერთი ავტორი — „იოანე“. მისი ტროპარები ყოველთვის ნათლადაა გამოყოფილი კანონის ძირითადი ავტორის — თეოფანეს ტროპარებისაგან. ეს მაგალითიც ტიპიურია გიორგი მთაწმიდელის მარხვანისათვის. აღნიშნული კანონი შესულია სინ. 70-ში. კა-

---

35 რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის ავტორთა აღნიშვნის მხრივ გიორგის მარხვანსა და წინადროინდელ ქართულ ხელნაწერებს შორის განსხვავების შესაძლებლობაც, რაც გიორგი მთაწმიდელის ახლებური თვალსაზრისით, მის მიერ ბერძნულ მარხვანებთან ახლად ჩატარებული შედარებით უნდა აიხსნას.

36 75r—76r.

37 98v.

38 გეორგ. 5 — 202r; სინ. 1—117r.

39 გვ. 652, გვ. 38.

40 51v.

41 67v—68r.

ნონის 1 ოდა აქ 7 ტროპარისაგან შედგება. დასაწყისთან აშიაზე მიწერილია „თეოფანე“, V ტროპარის გასწვრივ კი — „თეოდორე“. საინტერესოა, რომ სინ. 70-ში კანონის ამ ოდაში ამოღებულია გეორგ. 5-ში „ელიას“ სახელით წარწერილი 3 ტროპარი[42].

გიორგი მთაწმიდელის მარხვანში აღნიშნულია არა მარტო კანონებისა და სამსაგალობლების, არამედ მცირე ფორმის საგალობლების — სტიქარონების კომპილაციურობაც. ასე მაგ. გეორგ. 5-ის 87v-ზე — მესამე ოთხშაბათის მწუხრზე დადებულია სტიქარონი — „ბ გ̾ი. ყოველი სასოებაჲ. — მზისა მის სიმართლისაჲ...“; საგალობელი 3 ტროპარისაგან შედგება. დასაწყისთან აშიაზე მიწერილია „იოანე“, III ტროპარის გასწვრივ კი „თეოდორე“. კომპილაციურია მესამე ხუთშაბათის მწუხრის სტიქარონი „ა გ̾ი. გიხაროდენთა ზედა. — ჭეშმარიტო სიტკბოებაო...“[43], რომლის დასაწყისი 2 ტროპარი გეორგ. 5-ის მიხედვით ეკუთვნის იოსებ მგალობელს, უკანასკნელი ტროპარი კი — თეოდორე სტუდიელს. კომპილაციური სტიქარონები გიორგი მთაწმიდელის მარხვანში სხვაგანაც დასტურდება.

უნდა აღინიშნოს, რომ საგალობელთა კომპილაციამ დიდი გაკრცელება ჰპოვა ბერძნულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში. დროთა განმავლობაში ხდებოდა საგალობელთა ცალკეული ნაწილების ავტორთა დავიწყება ან აღრევა, რის გამოც თვით ბერძნულ ხელნაწერებში დიდი მრავალფეროვნებაა. ბერძნული მარხვანის დღეისათვის არსებულ გამოცემებში[44] ჩვეულებრივ დაკარგულია მათი კომპილაციურობის გაგება. თავის დროზე რამდენიმე ავტორის კომპილაციით შედგენილი საგალობლები ახლა ძირითადად ერთ რომელიმე ავტორს მიეწერება ან საერთოდ ავტორწაუწერლადაა მოღწეული. ამდენად, გიორგი მთაწმიდელის მიერ ავტორთა გამოსავლენად ჩატარებული სამუშაო დღეისათვის დიდ მნიშვნელობას იძენს ბიზანტიური ლიტურგიკული პოეზიის კვლევისათვისაც.

გიორგი მთაწმიდელის მარხვანის წყაროების კვლევისას გამოვლინდა ისეთი შემთხვევები, როცა გიორგი, მისი თანამედროვე ბერძნული მარხვანების შესაბამისად, იძლევა ამა თუ იმ საგალობლის ახალ რედაქციას — ცვლის საგალობელში ტროპართა მიმდევრობას, ფრაზეოლოგიას, ურთავს ერთ ან რამდენიმე ახალ ტროპარს. მაგ. გეორგ. 5-ში მეხუთე სამშაბათს მოტანილია სამსაგალობელი („... მოიხილე დღეს ცაო და ვიტყოდი...“)[45]. ამ სამსაგალობლის გეორგ. 5-ში დაცული ტექსტის სინ. 5-თან შედარებამ გაარკვია, რომ გიორგი მთაწმიდელს სამსაგალობლის სინ. 5-ში დაცულ თარგმანში გარკვეული ცვლილებები შეუტანია — სამსაგალობლის თითოეულ ოდაში გადანაცვლებულია ტროპართა რიგი, დართულია ახალი ტროპარები და ღმრთისმშობლისანების სრული ტექსტები. გვაქვს ცალკეული ფრაზეოლოგიური ცვლილებებიც. სამსაგალობლის II ოდაში (მოიხილესა) დასტურდება გიორგი მთაწმიდელის მიერ ამ სამსაგალობლის სინ. 5-ში დაცულ თარგმანში შეტანილი ყველა ეს ცვლილება. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ კანონის ამ ოდაში მისი თანა-

---

42 როგორც გეორგ. 5-ის II—III ნაწილების შესწავლამ გვიჩვენა, სინ. 70 წარმოადგენა მარხვანის ახალ რედაქციას, რომელიც გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანთან კომპილაციითაა შედგენილი.

43 89r.

44 აგრეთვე სლავურ მარხვანებში.

45 121v—122r.

მედროვე ბერძნული მარხვანების შესაბამისად გიორგი მთაწმიდელს დაუმატებია 1 ახალი ტროპარი: „სამარადისოდ ლოცვითა, მარხვითა, მოღუაწებითა და ხედვითა საღმრთოდ ტრფიალებად ფრთოვან-ყოვნეთ სულნი ჩუენნი, ძმანო". ამ ტროპარის გასწვრივ გიორგი მთაწმიდელს მიუთითებია ავტორი — „იოსები". ამგვარი მაგალითები კარგად მოწმობს გიორგი მთაწმიდელის მიერ საანალიზო მარხვანში შესულ ავტორთა გამოსავლენად ჩატარებული მუშაობის ხასიათს.

ამ მხრივ საგულისხმოა შემდეგი მაგალითიც: გეორგ. 5-ის I ნაწილში ყველიერის კვირიაკის მწუხრზე დადებულია 6 სტიქარონის სრული ტექსტები. აქვე გიორგი მთაწმიდელს გაუკეთებია შემდეგი შენიშვნა: „სხუანი, კმაჲ დ. მინდა ცრემლთა. ესე სტიქარონთა ჰპოვნე"[46]. აქ მითითებული სტიქარონის სრული ტექსტი გიორგი მთაწმიდელის რედაქციის სტიქარონების კრებულში უნდა იყოს შესული[47]. მიუხედავად იმისა, რომ გიორგის მარხვანში ეს სტიქარონი მხოლოდ მითითებულია, მითითების გასწვრივ აშიაზე აღნიშნულია მისი ავტორი — „თეოდორე". ვფიქრობთ, ეს მაგალითი კარგად მოწმობს გიორგი მთაწმიდელისათვის დამახასიათებელ დიდ სიზუსტეს საგალობლებისათვის ავტორების მითითებაში.

გიორგი მთაწმიდელის მარხვანის ეს თავისებურება შეუდარებლად ზრდის მის მნიშვნელობას როგორც ქართული, ისე ბერძნული მარხვანებისა და ჰიმნოგრაფიის კვლევისათვის.

გიორგი მთაწმიდელის მარხვანში წარმოდგენილი ავტორების საგალობლები მრავალმხრივაა საყურადღებო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საანალიზო მარხვანში წარმოდგენილია გიორგი მთაწმიდელის დროისათვის ბერძნულ და ქართულ მარხვანებში ცნობილი ავტორებისა და საგალობლების უმეტესობა. ამგვარ სისრულემდე გიორგი მთაწმიდელი დროთა განმავლობაში, მიზანდასახული დიდი შრომის შედეგად უნდა იყოს მისული. წარმოვადგენთ გიორგი მთაწმიდელის მარხვანში მითითებული ავტორების ნუსხას და ყველა იმ ფორმას, რა სახითაც გიორგის მარხვანში მითითებულია ეს ავტორები:

თეოდორე სტუდიელი — თ᾽ე სტ; თ᾽ე

იოსებ მგალობელი — ᲘᲝᲡ, Ი, ᲘᲝᲡᲑ[48], ის᾽ბ; ი᾽ს; იო᾽სბ

სტეფანე საბაწმიდელი — სტ[49]

ელია იერუსალიმელი — ელია; ელ

თეოფანე აღმსარებელი — თეოფ᾽ნე; თ᾽ფ; თ᾽ფნე

ანდრია კრიტელი — ან; ანდ; ანდრეა; ანდრია; ანდრეა კრიტელი, რომელ იყო იერუსალემით[50].

იოანე დამასკელი — ი᾽ე

---

46 44r.

47 გიორგი მთაწმიდელის მარხვანში სტიქარონებზე ამგვარი მითითებანი სხვაგანაც გვხვდება (მაგ. 3r, 3v და ა. შ.). როგორც ჩანს, გიორგი მთაწმიდელს ხელთ ჰქონდა მითითებული სტიქარონების წყარო.

48 აღნიშვნის თავისებურების გამო ეს 3 მონოგრამა მოგვაქვს ნუსხურადვე.

49 საანალიზო მარხვანში ამ მონოგრამით სტეფანე საბაწმიდელის საგალობლების აღნიშვნა გარკვეულ იქნა ლ. ხევსურიანის მიერ.

50 უკანასკნელი ფრაზა გეორგ. 5-ში დაცულია ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანის" სათაურში. გვ. 127r.

კოზმა მაიუმელი — კ᾽ო; კზ᾽მნ; კ᾽ზ; კ᾽ოზ
ქრისტეფორე — ქ᾽ეფორე
ანტონ — ან᾽ტი
რომანოზ ტკბილმგალობელი — რ᾽ომ; რომანოზ; რ᾽ო
გიორგი — გ᾽ი; გე[51]
მარკოზ — მარ᾽კზ
ბ[ასილი] —
მინჩხი — Შ, მინჩხი, მინჩ[52]

უნდა აღინიშნოს, რომ საგალობელთა ავტორების მონოგრამებით აღნიშვნა სლავურ ხელნაწერებშიც დასტურდება[53]. ამ მხრივაც, გიორგი მთაწმიდელი, ისევე როგორც სლავური ხელნაწერები, ბერძნული მარხვანების ტრადიციას უნდა მისდევდეს[54]. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში წარმოდგენილი თითოეული ამ ავტორის შემოქმედება საგანგებო კვლევას მოითხოვს და აპრიორულადაც მეტად საინტერესო შედეგებს გვპირდება. შედეგები შესაძლებელია თანაბრად მნიშვნელოვანი იყოს როგორც ქართული, ისე ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის. ამგვარი კვლევის მკვიდრ საფუძველს წარმოადგენს გეორგ. 5-ში შესული გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანის სისრულე და მასში წარმოდგენილ ავტორთა მემკვიდრეობის დიდი სიზუსტით გამოვლენა გიორგი მთაწმიდელის მიერ.

ამრიგად, პარიზული ხელნაწერი — გეორგიკა 5 და კერძოდ, მისი I ნაწილი (1—216v) მრავალმხრივ იმსახურებს ყურადღებას. ეს ნაწილი შეიცავს გიორგი მთაწმიდელის რედაქციის თითქმის სრულ მარხვანს და მისივე რედაქციის ზატიკის დასაწყისს, რაც თავდაპირველად — გეორგ. 5-ის შედგენამდე ერთ წიგნად — მარხვან-ზატიკად უნდა არსებულიყო. გეორგ. 5-ის მნიშვნელობას განუზომლად ზრდის ის გარემოება, რომ როგორც ირკვევა, მისი I ნაწილი წარმოადგენს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფს. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანი — ქართული ჰიმნოგრაფიის ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი აქამდე სრულიად შეუსწავლელი იყო, არც მისი შემცველი ხელნაწერები ყოფილა დადგენილი. ამ პირობებში გიორგი მთაწმიდელის ა ვ ტ ო გ რ ა ფ უ ლ ი მარხვანის გამოვლენა საუკეთესო საშუალებას იძლევა ქართული ჰიმნოგრაფიის, ქართული მარხვანის ისტორიის და გიორგი მთაწმიდელის მუშაობის თავისებურებების შესწავლისათვის.

გეორგ. 5-ში დაცული გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის შესწავლამ ნათელყო, რომ იგი ემყარება ქართულ და ბერძნულ წყაროთა მთელ ჯგუფს იმის სრული შეგნებით, რომ შეუძლებელია „ნაკლულეანებისა რაჲსმე“ დატოვება, რაიმეს გამორჩენა.

---

51 ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში გიორგის სახელით ცნობილია რამდენიმე ჰიმნოგრაფი. იხ. Карабинов И., Постная Триодь, с. 189.

52 გეორგ. 5-ში მინჩხის ავტორობის აღნიშნას ნაშრომის მომდევნო თავში განიხილავთ.

53 М о м и н а М., Постная и цветная Триоди, გვ. 407. აქ მითითებულია „სლავურ ხელ ნაწერებში ოსსებისა და თეოდორეს აღმნიშვნელი ნიშანი-მონოგრამები.“ იხ. აგრ. М о м и н а М., Песнопения древних славяно-русских рукописей, сб., Методические рекомендации... с. 450.

54 როგორც აღნიშნეთ, ჩვენ მუშაობა მოგვიხდა გეორგ. 5-ის როტოპირებსა და მიკროფირებზე, სადაც ტექნიკური მიზეზების გამო, ყველა ადგილი და ასია არ იკითხება; ამიტომ გიორგი მთაწმიდელის საანალიზო მარხვანში წარმოდგენილ ავტორთა ზემომოტანილი ნუსხა შესაძლებელია შემდგომმა კვლევამ გაფართოოს.

დღეისათვის გამოცემულ ბერძნულ მარხვანებში, მიუხედავად ქრონოლოგიური განსხვავებისა, დაიძებნება გიორგი მთაწმიდელის მარხვანში შესული მასალების ანალოგიები. საერთოდ კი, გიორგი მთაწმიდელის მარხვანში დაცულია ბერძნული მარხვანის გაცილებით ძველი სახე, ვიდრე ჩვენს ხელთ არსებულ ბერძნული მარხვანების გამოცემებში. კვლევამ ნათელყო, რომ გიორგი მთაწმიდელის მარხვანის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს სინ. 5-ის ან მასში დაცული მარხვანის ტიპის კრებული. მარხვანის ამ რედაქციიდან აღებულ მასალას გიორგი მთაწმიდელი ხშირ შემთხვევაში ხელახლა ადარებს ბერძნულთან, გვაძლევს ამ თარგმანების ახალ რედაქციას; იმ შემთხვევებში კი, როცა წინადროინდელი თარგმანები აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს — მას ეს მასალა უცვლელად ან მცირე ცვლილებებით გადააქვს მარხვანის საკუთარ რედაქციაში.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში 14 ბერძენი ავტორია დასახელებული. ხელნაწერის შესწავლამ ნათელყო, თუ რა სიზუსტით უთითებს გიორგი მთაწმიდელი მარხვანში შესული საგალობლების თუ საგალობელთა ცალკეული ნაწილების ავტორებს. ეს გარემოება ხელნაწერის მნიშვნელობას დიდად ზრდის და საშუალებას იძლევა ავტორი მოვუძებნოთ გიორგი მთაწმიდელის წინადროინდელ თუ მის თანამედროვე ჰიმნოგრაფთა იმ საგალობლებს, რომლებიც სახელწოდებულია შესული არა მარტო ქართული, არამედ ბერძნული და სლავური მარხვანების დღემდე მოღწეულ ხელნაწერებში. ზემოთჩამოთვლილ საკითხებთან ერთად, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის შესწავლამ გამოავლინა იოანე დამასკელის აღდგომის კანონის ახალი თარგმანი, რომელიც გიორგი მთაწმიდელს უნდა ეკუთვნოდეს.

გეორგ. 5-ში დაცული გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი, ზემოთნაჩვენებ საკითხებთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იოანე მინჩხის შემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით. ამ ხელნაწერში დაცული მინჩხის საგალობლები ახლებურად აშუქებენ მისი შემოქმედების მრავალ საკითხს, ახლებურად განსაზღვრავენ იოანე მინჩხის ადგილს ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში.

თავი IV

იოანე მინჩხის საგალობლები გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის მიხედვით

გეორგ. 5 იოანე მინჩხის საგალობლების შემცველი ახალი ნუსხაა. ამ ხელნაწერში მინჩხის საგალობლების არსებობა აქამდე ცნობილი არ იყო. იოანე მინჩხის საგალობლები შესულია გეორგ. 5-ის I ნაწილში.

როგორც ცნობილია, გიორგი მთაწმიდელის მოღვაწეობის ძირითად მიზანს ქართული ლიტურგიკული წიგნების ბერძნულთან შემდგომი დაახლოვება წარმოადგენდა. ამიტომ მის მიერ შედგენილ მრავალრიცხოვან ჰიმნოგრაფიულ კრებულებში ქართული მასალა შედარებით მცირე რაოდენობითაა შეტანილი. ეს მასალა ყოველთვის განსაკუთრებით თვალსაჩინო და მნიშვნელოვანია.

გეორგ. 5-ის I ნაწილში საოცარი სისრულითა და სიზუსტით აღბეჭდილი იოანე მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილი საგალობლები ნათლად წარმოაჩენს გიორგი მთაწმიდელის დამოკიდებულებას იოანე მინჩხის შემოქმედებისადმი.

როგორც ცნობილია, გიორგი ათონელი საგანგებოდ სწავლობდა თავის ნაშრომებში შესატან ჰიმნოგრაფიულ მასალას. გეორგ. 5-ის შესწავლამ ცხადყო, თუ რა სიზუსტით უთითებს იგი მარხვანში შეტანილი საგალობლებისა და საგალობლების ცალკეული ნაწილების ავტორებს. გიორგი მთაწმიდელის მუშაობის პრინციპების გათვალისწინებით, მისი ავტოგრაფით მოღწეული იოანე მინჩხის საგალობლების ტექსტები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მინჩხის თითოეული საგალობელი, ისევე როგორც მარხვანში შესული სხვა მასალა, გიორგი მთაწმიდელის მიერ საგანგებოდ შესწავლილი და დადგენილი უნდა იყოს.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი შეიცავს სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებით ცნობილ მინჩხის თითქმის მთელ შემოქმედებას. სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებსა და გეორგ. 5-ში დაცული ამ მასალის შედარებამ საინტერესო სურათი მოგვცა. ამიტომ გეორგ. 5-ში დაცულ მინჩხის იმ საგალობლებს, რომლებიც სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებითაა ცნობილი, ცალკე განვიხილავთ.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ მხრივ, რომ მასში დაცული აღმოჩნდა იოანე მინჩხის შემოქმედების აქამდე დაფარული ძირითადი ნაწილი — 70 უცნობი საგალობელი, რომლებიც ქართული ჰიმნოგრაფიისა და იოანე მინჩხის შემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით მრავალმხრივ ყურადღებას იმსახურებს.

გიორგი მთაწმიდელის მარხვანში დაცულ იოანე მინჩხის სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებით ცნობილ საგალობლებს და მის აქამდე უცნობ მემკვიდრეობას ცალ-ცალკე ქვეთავებად განვიხილავთ.

1. სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებით ცნობილი იოანე მინჩხის საგალობლები გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერების (ან მათში დაცული მარხვანის) ტიპის კრებულები გიორგი მთაწმიდელის მარხვანის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს. ამ ტიპის ქართულ მარხვანთან ერთად გიორგი მთაწმიდელს, როგორც ჩანს, ხელთ ჰქონდა სხვა ქართული წყაროებიც. სწორედ წყაროების სიმრავლე უნდა აძლევდეს მას საგალობელთა ტექსტების, საგალობლების თუ საგალობელთა ცალკეული ნაწილების დიდი სიზუსტით დადგენის საშუალებას.

გიორგი მთაწმიდელის წინადროინდელ ქართულ მარხვანებში ფართოდ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი იოანე მინჩხის შემოქმედება. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, იოანე მინჩხის განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული მარხვანის ფორმირებაში. სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებით ცნობილი მინჩხის საგალობლები საგანგებოდ მარხვანისთვისაა დაწერილი. იოანე მინჩხს მონაწილეობა უნდა მიეღო იადგარიდან ცალკე კრებულად გამოყოფილი I ქართული მარხვანის შედგენაშიც. ქართული მარხვანის ფორმირებაში იოანე მინჩხის განსაკუთრებული წვლილი, როგორც ჩანს, განსაკუთრებული სიზუსტით იქნა ასახული გიორგი მთაწმიდელის მიერ.

გეორგ. 5-ის I ნაწილში — გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში შესული აღმოჩნდა სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში მინჩხის სახელით წარწერილი 31 საგალობლიდან 30. სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის სახელით ცნობილი საგალობლებიდან გეორგ. 5-ში მხოლოდ II ორშაბათის „აღვივსენითსა“ არ ჩანს.

როგორც აღვნიშნეთ, მინჩხის საგალობლებს სინ. 5-სა და სინ. 75-ში ავტორი ყოველთვის ერთდროულად არა აქვს მითითებული. სინ. 5-ში მინჩხის სახელით წარწერილია 24 საგალობელი, სინ. 75-ში — 22. აქედან ავტორზე ერთდროული მითითება გვაქვს 15 საგალობელთან. ამრიგად, სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის 31 მცირე ფორმის საგალობლის გამოყოფა ორივე ხელნაწერის მონაცემების გათვალისწინებით ხერხდება. ნიშანდობლივია, რომ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში მინჩხის სახელით წარწერილია სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებით ცნობილი 30-ვე საგალობელი. ასეთი სიზუსტე, როგორც აღვნიშნეთ, გიორგი მთაწმიდელის ქართული წყაროების სიმრავლით უნდა აიხსნას. ეს ფაქტი კარგად მოწმობს, თუ რა ზედმიწევნით იცნობს გიორი მთაწმიდელი იოანე მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილ საგალობლებს.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში მინჩხის ავტორობა ძირითადად აღნიშნულია ასომთავრულით მანით — „შ“ — ავტორის სახელისა თუ ზედწოდების (მინჩხი) პირველი ასოთი. „მინჩხის“ აღმნიშვნელი ეს მონოგრამა გიორგი მთაწმიდელის მარხვანში, ჩვეულებრივ, მიწერილია აშიებზე — მინჩხის საგალობლების დასაწყისების გასწვრივ. საგალობელთა ავტორების მონოგრამებით აღნიშვნა, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, დამახასიათებელია გიორგი მთაწმიდელის მარხვანისათვის.

სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებით ცნობილი მინჩხის 30 საგალობლიდან გეორგ. 5-ში ამ მონოგრამითაა აღნიშნული ავტორობა 23 საგალობელთან, 5 საგალობელთან კი ტექნიკური მიზეზების გამო მინჩხის ავტორობის აღმნიშვნელი მონოგრამა არ ჩანს. ამ საერთო წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ხორცის აღების შაბათისათვის განკუთვნილი მინჩხის საგალობელი, რომელსაც ავტორი სათაურშივე აქვს მითითებული — „ჯორციელისა შაბათსა. მწუხრი. მინჩხი. ჴმაჲ ა. სასწაულთა მოქმედი...“ (5v) და ყველიერის კვირიაკისათვის განკუთვნილი საგალობელი „ჴმაჲ ბ. პირველითგან იყო...“, რომელსაც დასაწყისთან აშიაზე მიწერილი აქვს „მინჩ“ (39v).

აღნიშნული საგალობლები გეორგ. 5-ში შესული მინჩხის I და II სტიქარონებია. ამით უნდა იყოს გამოწვეული ხელნაწერში მათთვის ავტორობის სრულად მითითება.

მოვიტანთ გეორგ. 5-ში დაცული მინჩხის სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებით ცნობილი სტიქარონების ნუსხას გეორგ. 5-ში მათი შემცველი გვერდებისა და ავტორზე მითითებების ჩვენებით:

1. ჴმაჲ ა. „სასწაულთა მოქმედი...“ 5v—6r. მინჩხი.
2. ჴმაჲ გ. „ვითარცა იგი პირველადვე...“ 30av—30ar. მ.
3. სხუანი. „ჯუარსა ზედა იხილეს...“ 30ar—31av. მ.
4. ჴმაჲ ბ. „პირველითგან იყო...“ 39v—40r. მინჩ.
5 სხუანი. „ვერ გულისჴმა-ყვეს...“ 40r.
6. სხუანი ბ. თჳთნი. „მივხედნეთ შინაგანითა...“ 47v—48r. მ.
7. სხუანი [დ]. „მოგიცემიეს. — რაჟამს აღვიდა...“ 52v. მ.
8. სხუანი [ა გ᾽ი]. „შენდა მომართ მოვიე. — ვისხნეთ ჩუენ...“ 55r—55v. მ.
9. სხუანი გ. „ნუმცა ვემსგავსებით...“ 64r. მ.
10. სხუანი დ. „ამაო არს ცხორებაჲ ჩუენი...“ 66v. მ.
11. სხუანი. „რომელი მოხუედ ზეცით. — ცანი ეგე მაღალნი...“ 67r.
12. სხუანი [ბ გ᾽ი]. „უფალო, საკსენებელსა მოწ. — უფალო, ვისმე აუვარნე...“ 71r. მ.
13. ჴმაჲ დ. „ნათელმან დაუღამებელმან...“ 74v. მ.
14. სხუანი გ. „გულისჴმა ეყოთ...“ 79r. მ.
15. სხუანი [დ]. „ამაო არს ცხორებაჲ ჩუენი. — რაჲ-მე შევწიროთ...“ 82r. მ.
16. სხუანი. „სამგზის სანატრელ. — ჰბრძანე შენ, ქრისტე...“ 82r—82v. მ.
17. სხუანი ა გ᾽ი. „მე განვწირე სული ჩემი...“ 84v—85r.
18. სხუანი ბ გ᾽ი. „კაცთათჳს კაც იქმნ. — მამისა ნიჴი წარვიღე...“ 87r. მ.
19. სხუანი. „დაიძინა საფლავ. — ვიღჳძებდეთ უწყინოდ...“ 87r—87v. მ.
20. სხუანი. [გ გ᾽ი]. „ნუგეშინის მცემე. — ღმერთი ცხადად მოვიდეს...“ 89v. მ.
21. ჴმაჲ ა გ᾽ი. „სიბრძნე ღმრთისაჲ მოვიდა ზეცით...“ 92r—93r. მ.
22. სხუანი. „ლბილ იყვნეს სიტყუანი შენნი...“ 93r.
23. სხუანი დ. „მჴნეონი. — მე ვითარცა ხე ზამთრისაჲ...“ 97r. მ.
24. სხუანი ა გ᾽ი. „ლბილ იყვნეს სიტყ. — ვეკრძალნეთ ამპარტავნებასა...“ 100r—100v. მ.
25. სხუანი ბ. „შჯულმან მან. — რომელმან დაჰრთენ ცანი...“ 102v. მ.
26. სხუანი გ გ᾽ი. „მეუფეო ქრისტე...“ 107r. მ.

27. ქმაჲ ბ გ´ი. „ქაცთათჳს ქაც იქმნა...“ 115r—115v. მ.

28. სხუანი ა გ´ი. „სუფევესნი. — აღვახუნეთ პირნი ჩუენნი...“ 119r. მ.

29. სხუანი გ გ´ი. „ეამნი ჩუენნი ვითარცა — რაჲ ს. — უკუეთუმცა მოგიკსენე...“ 123r. მ.

30. სხუანი დ გ´ი. „ვითარმედ გხადოდით თქუენ. — რამეთუ არა ვის თანა წარჰვალს...“ 125r—125v.

ამ საგალობლების გეორგ. 5-სა და სინ. 5/სინ. 75-ში დაცული ტექსტების შედარებამ ნათელყო, რომ მათ შორის მცირე ვარიანტული სხვაობები არსებობს. სანიმუშოდ მოვიტანთ დიდმარხვის II პარასკევისათვის განკუთვნილ მინჩხის „აღვივსენითსას“ გეორგ. 5-ისა და სინ. 5-ის მიხედვით:

გეორგ. 5	სინ. 5
მეორესა ხუთშაბათსა. მწუხრი. სხუანი. [ბ გ´ი.]	მეორესა პარასკევსა. აღვივსენითი. ბ გ´ი.
ძლ. უფალო, საკსენებელსა მოწ.	ძლ. უფალო, საკსენებელსა მოწამეთ
უფალო, ვისმე აუვარნე დაფარულნი	უფალო, ვისმე აღუვარნე დაფარულნი
შინაგანისა ჩემისანი,	შინაგანისა ჩემისანი,
რომელნი ვერაჲ შესაძლებელ არიან	რომელნი ვერაჲ შესაძლებელ არიან
ცხადად საანჯმნო ყოფად	ცხადად საანჯმნო ყოფად
წინაშე კაცთა,	წინაშე კაცთა,
გარნა შენ, რომელმან უწყნი	გარნა შენვე, რომელმან უწყნი
საჲდუმლონი!	საჲდუმლონი!
უფალო, უწყნი შენნი სახიერებანი,	უფალო, უწყნი შენნი სახიერებანი,
რამეთუ ძჳრუკსენებელ ხარ.	რამეთუ ძჳრუკსენებელ ხარ.
დაღაცათუ რისხვით გუამხილნი ცოდვანი,	დაღაცათუ რისხვით გუამხილნი ცოდვანი,
არამედ სიტკბოებით	არამედ სიტკბოებით
ნუგეშინის გუცი.	ნუგეშინის გუცი.
და არაჲ მოგუაგი საქმეთაებრ,	არა მოგუაგი საქმეთაებრ,
მამაო ტკბილო.	მამაო ტკბილო.
უფალო, ხატად შენდა დაგიბადებიეთ	უფალო, ხატად შენდა დაგიბადებიეთ
ქელითა და არაჲ სიტყჳთა.	ქელითა და არა სიტყჳთა.
ნუ იხილავ ცოდვათა ჩუენთა მრავალთა,	ნუ იხილავ ცოდვათა ჩუენთა მრავალთა,
ნუცა აღსწერ საქმეთა	ნუცა აღსწონ საქმეთა
ჩუენთა ბოროტთა,	ჩუენთა ბოროტთა,
არამედ უგულებელს-ყვენ	არამედ უგულებელს-ყვენ
და დაივიწყენ.	და დაივიწყენ.
ქრისტემან დაადგინა ქერობინი	ქრისტემან დაადგინა ქერაბინი
დაცვად	დაცვად
გზისა მის ხისა ცხორებისა,	გზისა მის ხისა ცხორებისა,
ხოლო რაჟამს ამაღლდა ძელისა	ხოლო რაჟამს ამაღლდა ძელისა ჯუარსა
ჯუარსა	

გეორგ. 5	სინ. 5
მომცა ყოლად მფარველად, სასოდ და ძალად, ბეჭდად და საღმრთოდ საჭურველად მოსავთა თჳსთა.	მოგუცა ყოლად მფარველად, სასოდ და ძალად, ბეჭდად და საღმრთოდ საჭურველად მოსავთა მისთა. ო´ო მთისაგან

როგორც ვხედავთ, საგალობლის გეორგ. 5-სა და სინ. 5-ში დაცულ ტექსტებს შორის მხოლოდ რამდენიმე ვარიანტული სხვაობაა, თანხვედრილია საგალობლის რიტმული დაყოფაც. სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის ამ საგალობლის ბოლოს მითითებულია ღმრთისმშობლისა — „ო´ო მთისაგან"; გეორგ. 5-ში მასზე მითითება არ გვაქვს.

ასეთივე სახის მცირე ვარიანტული სხვაობები არსებობს სინ. 5 (სინ. 75)-სა და გეორგ. 5-ში მინჩხის სახელით წარწერილ სხვა საგალობლებს შორისაც.

ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცული მინჩხის საგალობლების რიტმულ დაყოფაში ზოგჯერ ერთგვარი უზუსტობები გვხვდება. ხელნაწერებში ამგვარი უზუსტობები საგალობელთა რიტმულ დაყოფაში ხშირია და ძირითადად გადამწერთა შეცდომებს წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის საგალობელთა ტექსტებში არსებული უნებლიე შეცდომები რიტმულ დაყოფაში გიორგი მთაწმიდელის მიერ ყველა შემთხვევაში გასწორებულია. ასე მაგ. V ოთხშაბათისათვის განკუთვნილი მინჩხის „აქებდითსას" I და III ტროპარების ბოლო სტრიქონებში სინ. 5-ში[1] არასწორადაა დასმული რიტმული განკვეთის ნიშნები: ეს სტრიქონები რიტმული განკვეთის ნიშნებით გაყოფილია 2—2 ნაწილად. სტიქარონის ძლისპირისა და სხვა ტროპარების მიხედვით აღნიშნული სტრიქონები მთლიანი უნდა იყოს. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში გასწორებულია აღნიშნული უზუსტობა.

ამგვარი მაგალითები კარგად მოწმობს, თუ რა სახის მუშაობა აქვს ჩატარებული გიორგი მთაწმიდელს მარხვანის და კერძოდ, მარხვანში შესული იოანე მინჩხის საგალობლების ტექსტების დადგენისა და დაზუსტებისათვის.

ინტერესს იმსახურებს შემდეგი გარემოებაც: სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში მინჩხის სახელით წარწერილი 9 საგალობელი გეორგ. 5-ში დასაწყისი (I) ტროპარების გარეშეა შესული. ეს საგალობლები ზემოთ მოტანილ ნუსხაში (გვ. 77—78) 1, 4, 5, 2, 3, 13, 21, 22 და 27 ნომრებითაა შესული. სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის ამ საგალობლების რიგით პირველი ტროპარებია[2]:

---

1 სინ. 75-ში ეს სტიქარონი შესული არ არის.

2 მოგვაქვს მათი დასაწყისი სიტყვები.

სინ. 5	სინ. 75
1. „სიტყუაჲ დაუსაბამოჲ, რომელი...“	— *
2. „პირველითგან იყო...“	—„—
3. „ჟერ თავს-იდევ ხილვად, სახიერო...“	—„—
4. „ვითარცა იგი პირველადვე, ქადაგებდეს...“	—„—
5. „რომელი უწინარეს...“	—„—
6. „ნათელი დაუღამებელი...“	—„—
7. „სიბრძნემან ღმრთისამან ინება...“	— სინ.75
8. „მიუწდომელ არს სიმდაბლე შენი...“	— სინ. 75
9. „კაცებაჲ რაჲ შეჲმოსა...“	„—„

№ 7 და № 8 საგალობლები პირველი ტროპარების გარეშეა შესული სინ. 75-შიც. ამ შემთხვევებში, როგორც აღვნიშნეთ, სინ. 75 უფრო ახლოს უნდა იდგეს მინჩხისეულ ტრადიციასთან. ძლისპირთა შემდგომდროინდელ კრებულებში (მაგ. A 85-ში) ძლისპირებად შესულია მინჩხის ამ საგალობლების სინ. 5-ში დაცული ტექსტების მეორე ტროპარები.

გეორგ. 5-ში I ტროპარების გარეშე შესული მინჩხის დანარჩენი 7 საგალობელიც მინჩხისეულ ტრადიციას უნდა მისდევდეს (იხ. ამის შესახებ ქვემოთ).

გიორგი მთაწმიდელის მიერ მინჩხის შემოქმედების ზედმიწევნით ცოდნას ნათლად მოწმობს შემდეგი გარემოებაც:

სინ. 5-ში, როგორც აღვნიშნეთ, მინჩხის 3 მცირე ფორმის საგალობელი დართულია იადგარისეულ სტიქარონებზე. ესენია I ხუთშაბათის, V სამშაბათისა და V ოთხშაბათისათვის განკუთვნილი მინჩხის მცირე ფორმის საგალობლები. მინჩხის ეს საგალობლები რიტმულად შეესაბამება იადგარისეული სტიქარონების ძლისპირებს და შეიცავს იადგარისავე ღმრთისმშობლისებს. იადგარისეულ სტიქარონებზე დართული მინჩხის მცირე ფორმის საგალობლები 3—3 ტროპარისაგან შედგება.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში აღნიშნული სამი კომპილაციური საგალობლიდან ს რ უ ლ ი ს ი ზ უ ს ტ ი თ ა ა გამოყოფილი მინჩხისეული ტროპარები და შესაბამის დღეებზე მინჩხის ავტორობის აღნიშვნით („Ш“ მონოგრამით) დამოუკიდებელ საგალობლებადაა შესული.

ამრიგად, გიორგი მთაწმიდელი ზედმიწევნით იცნობს მარხვანისათვის განკუთვნილ მინჩხის ყველა საგალობელს.

სტროფული შედგენილობის მხრივ ყურადღებას იქცევს გეორგ. 5-ში II ორშაბათის, II სამშაბათის, III სამშაბათისა და IV კვირიაკის მწუხრზე დადებული მინჩხის მცირე ფორმის საგალობლები. გეორგ. 5-ში მინჩხის სახელით წარწერილ ამ საგალობლებში გაერთიანებულია სინ. 5-სა და სინ. 75-ში ცალ-ცალკე შესული სტიქარონები. რადგანაც სინ. 5-სა და სინ. 75-ში ამ სტიქარონების ერთი ნაწილი სახელწაუწერლადაა შესული და ამდენად, მინჩხის უცნობ საგალობლებს წარმოადგენს, მათ მომდევნო ქვეთავში განვიხილავთ.

* ეს საგალობელი სინ. 75-ში საერთოდ არ არის ხელნაწერის დეფექტურობის გამო.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის სახელით წარწერილ მცირე ფორმის საგალობლებთან ყოველთვის აღნიშნულია მათი რაობა. კერძოდ, მინჩხის სახელით წარწერილი 13 მცირე ფორმის საგალობელი ამ ხელნაწერებში „უფ. ღაღატყავსას“ წარმოადგენს, 7 — „აქებდითსაა“, 5 — „აღვივსენითსა“, 6 — „სტიქარონი“. გეორგ. 5-ში, სინ. 5-სა და სინ. 75-გან განსხვავებით, მინჩხის ამ საგალობლებთან მათი რაობა აღნიშნული არ არის, რაც ერთგვარ გაუგებრობას ქმნის. ასე მაგ. დიდმარხვის I კვირიაკეზე გეორგ. 5-ში ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილია მინჩხის 2 სტიქარონი. მათი რაობა, ჩვეულებისამებრ, ხელნაწერში აღნიშნული არ არის. იქმნება შთაბეჭდილება, რომ დიდმარხვის I კვირიაკეზე მინჩხის ეს სტიქარონები ერთდროულად სრულდებოდა. მინჩხის ამ საგალობლების რაობის დადგენა შესაძლებელი ხდება სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებით, სადაც I მათგანი „უფ. ღაღატყავსად“, II კი — „აქებდითსად“ არის შესული. ამრიგად, გეორგ. 5-ში დიდმარხვის I კვირიაკეზე დადებული მინჩხის პირველი მცირე ფორმის საგალობელი, სინ. 5-სა და სინ. 75-ის მიხედვით, სრულდებოდა დიდმარხვის I შაბათის მწუხრზე, მეორე კი — I კვირიაკის ცისკარზე.

სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერების მიხედვით შესაძლებელი ხდება Georg. 5-ში შესული მინჩხის სხვა მცირე ფორმის საგალობლების ლიტურგიკული ფუნქციების დადგენაც.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში დაცული მინჩხის ტრადიციული (სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებით ცნობილი) სტიქარონების პოეტურ საზომებს ნაშრომის VI თავში განვიხილავთ.

ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი შეიცავს სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებით ცნობილ მინჩხის 30 მცირე ფორმის საგალობელს. მინჩხის ამ საგალობლების სინ. 5|სინ. 75-სა და გეორგ. 5-ში დაცულ ტექსტებს შორის მცირე ვარიანტული სხვაობები არსებობს.

სინ. 5-ში დაცული მინჩხის 9 მცირე ფორმის საგალობელი გეორგ. 5-ში შესულია I ტროპარების გარეშე, აქედან 2 საგალობელი I ტროპარების გარეშეა შესული სინ. 75-შიც. ამ შემთხვევაში გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფიული მარხვანი უფრო ახლოს უნდა იდგეს მინჩხისეულ ტოადიციასთან. გეორგ. 5-ში დაცული სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებით ცნობილი მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების შესწავლა ნათლად მოწმობს, თუ რა სიზუსტით იცნობს გიორგი მთაწმიდელი იოანე მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილ საგალობლებს.

2. იოანე მინჩხის უცნობი საგალობლები

გეორგ. 5-ში დაცული გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ მხრივ, რომ შეიცავს იოანე მინჩხის 70 უცნობ საგალობელს — მისი შემოქმედების აქამდე დაფარულ ძირითად ნაწილს.

მინჩხის ახლადგამოვლენილ საგალობლებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც მისი შემოქმედების, ისე ქართული ჰიმნოგრაფიის კვლევისათვის. ამ საგალობლების შესწავლა ახლებურად განსაზღვრავს იოანე მინჩხის ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ეს საგალობლები ახლებურად წარმოგვიდგენს ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის დონეს და შესაძლებლობებსაც.

გეორგ. 5-ით გამოვლენილი იოანე მინჩხის უცნობი საგალობლები შესული აღმოჩნდა რიგ სხვა ხელნაწერებში (იხ. ნაშრომის მომდევნო თავი). მინჩხის საგალობლების შემცველი ამ ხელნაწერების გამოვლენამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა გეორგ. 5-ში დაცული მინჩხის საგალობლების ტექსტების გაურკვეველი და ძნელადგასარჩევი ადგილები.

იოანე მინჩხის აქამდე უცნობი საგალობლები, რომლებიც ჩვენს მიერ იქნა გამოვლენილი გამოცემაში აწყობილია განსხვავებული შრიფტით.

იოანე მინჩხის ახლადგამოვლენილ მემკვიდრეობას შეადგენს 58 მცირე ფორმის საგალობელი, 2 ჰიმნოგრაფიული კანონი, 9 „მოიხილესა“ და 1 სამსაგალობელი. მინჩხის ეს მემკვიდრეობა, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს პოეტური ფორმების თვალსაზრისით. დღემდე სრულიად უცნობი იყო მინჩხის მიერ ჩატარებული საგანგებო სამუშაო კანონების II ოდების — „მოიხილეთა“ რეპერტუარის შესაქმნელად. აქამდე არ იყო ცნობილი მინჩხის შემოქმედებაში მარხვან-ზატიკისათვის დამახასიათებელი პოეტური ფორმის — სამსაგალობლის ანუ სამფსალმუნის არსებობაც.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში მინჩხის უცნობ საგალობლებს ავტორი ამ ხელნაწერში მინჩხის ავტორობის აღმნიშვნელი „ᲨᲬ“ მონოგრამით აქვს მითითებული. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, გეორგ. 5-ში ამ მონოგრამით აქვს მითითებული ავტორი სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებით ცნობილ მინჩხის 23 საგალობელსაც. მინჩხის ავტორობის აღმნიშვნელი ეს მონოგრამა გეორგ. 5-ში, ჩვეულებისამებრ, მიწერილია აშიებზე მინჩხის საგალობლების დასაწყისების გასწვრივ.

მინჩხის ახლადგამოვლენილ მემკვიდრეობას განვიხილავთ დასახელებული პოეტური ფორმების (მცირე ფორმის საგალობელი, კანონი, მოიხილესა, სამფსალმუნი) მიხედვით.

მინჩხის ახლადგამოვლენილი მემკვიდრეობის უმეტეს ნაწილს წარმოადგენს მცირე ფორმის საგალობლები. კერძოდ, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი შეიცავს მინჩხის 58 უცნობ სტიქარონს[3]. მარხვანისათვის განკუთვნილი იოანე მინჩხის მცირე ფორმის საგალობლები აქამდე ცნობილი იყო მხოლოდ სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებით. ამ ხელნაწერებში, როგორც აღვნიშნეთ, მინჩხის სახელით წარწერილია 31 მცირე ფორმის საგალობელი. სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებით ცნობილი მინჩხის 31 საგალობლიდან 30 შესულია გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანშიც. ამრიგად, გეორგ. 5-ში მინჩხის სახელით წარწერილია 88 მცირე ფორმის საგალობელი. მინჩხის მთელი შემოქმედების გათვალისწინება ცხადყოფს, რომ მცირე ფორმის საგალობლები მისთვის ყველაზე ახლობელ პოეტურ ფორმას წარმოადგენს.

მცირე ფორმის საგალობლები, როგორც ცნობილია, მწუხრისა და ცისკრის განგების აუცილებელი ჰიმნოგრაფიული მასალაა და „ჟამისწირვის პოეტურ ტროპარებთან ერთად... მარხვისა და ზატიკის კვირების სადა დღეების განგების ძირითადი ელემენტია“[4]. ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის მარხვანში შესული მინჩხის 88 მცირე ფორმის საგალობელი დიდმარხვის მთელი ლიტურგიის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს. გიორგი მთაწმიდე-

---

[3] „სტიქარონს“ ვხმარობთ მცირე ფორმის საგალობლის მნიშვნელობით.

[4] ელ. მეტრეველი, უძველესი იადგარის სტიქარონები, უძველესი იადგარი, გვ. 820-

ლის მარხვანი მინჩხის სტიქარონებთან ერთად, შეიცავს ბერძენ ავტორთა მცირე ფორმის საგალობლებსაც. სტიქარონთა რაოდენობის მხრივ, არც ერთი ბერძენი ავტორი გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში ისე ფართოდ არ არის წარმოდგენილი, როგორც იოანე მინჩხი.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში არის ისეთი შემთხვევები, როცა ერთმანეთს მოსდევს მინჩხის 2, 3 ან 4 მცირე ფორმის საგალობელიც კი. ასე მაგ. ხელნაწერის 47v-ზე — I ორშაბათის მწუხრზე ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილია მინჩხის 2 სტიქარონი: „სხუანი ბ. ვერ გულისკმა ყ. — ამაოებითა ამაო არს...“ და „სხუანი. ბ. თჳთნი. მივხედნეთ შინაგანითა...“ ორივე მათგანის გასწვრივ აშიაზე მიწერილია მინჩხის ავტორობის აღმნიშვნელი „ᲨᲘ“ მონოგრამა. ამ 2 სტიქარონიდან პირველი მინჩხის საგალობლებს შორის დღემდე არ იყო ცნობილი, მეორე კი მინჩხის სახელითაა წარწერილი სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებშიც, სადაც ეს საგალობელი ამავე დღესაა დადებული და ახლავს ანალოგიური შენიშვნა: „თჳთნი არიან მინჩხნი“. სინ. 5-სა და სინ. 75-ში, ჩვეულებისამებრ, მითითებულია საგალობლის რაობა — „მწუხრი. სტიქარონი“.

მინჩხის 2—2 სტიქარონი ერთმანეთის გვერდითაა შესული გეორგ. 5-ის 52v, 55r, 69r, 71r, 100r, 110v, 121r—121v და ა. შ. გვერდებზეც.

III კვირიაკის მწუხრზე — გეორგ. 5-ის 97r—97v-ზე ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილია მინჩხის 3 სტიქარონი: „სხუანი. დ. მკნეონი. — მე, ვითარცა ხე ზამთრისაჲ...“, „სხუანი. დ. სატფურებისა დღესა. — რომელნი შევეპყრენით...“ და „სხუანი ბ გუერდი. ნაცვალად კეთილთა. — სახე გჳჩუენა მკსნელმან...“ აქედან პირველი მინჩხის სახელითაა წარწერილი სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებშიც, დანარჩენი 2 კი მინჩხის აქამდე უცნობ საგალობლებს წარმოადგენს. ანალოგიური სურათი გეორგ. 5-ში ხშირია.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილია მინჩხის 3 აქამდე უცნობი მცირე ფორმის საგალობელი — ასე მაგ. I შაბათის მწუხრზე (27v—28r), IV პარასკევის მწუხრზე (113r—113v) და ა. შ.

გეორგ. 5-ის 79r—79v-ზე (II კვირიაკის მწუხრზე) ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილია მინჩხის 4 სტიქარონი. აქედან 1 მინჩხის სახელითაა წარწერილი სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერშიც, 3 კი აქამდე არ იყო ცნობილი.

ჩვეულებრივ, მ ი ნ ჩ ხ ი ს 2 ა ნ მ ე ტ ი მ ც ი რ ე ფ ო რ მ ი ს ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ი გეორგ. 5-ში ე რ თ მ ა ნ ე თ ი ს გ ვ ე რ დ ი თ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი ა დ ი დ მ ა რ ხ ვ ი ს კ ვ ი რ ი ა კ ე ე ბ ზ ე (კ ვ ი რ ა დ ღ ე ე ბ ზ ე) ა ნ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ე ბ ზ ე (IV ო თ ხ შ ა ბ ა თ ი, IV პ ა რ ა ს კ ე ვ ი და ა. შ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში მცირე ფორმის საგალობლები შესულია მათი პოეტური რაობის აღნიშვნის გარეშე. ამიტომ იმ შემთხვევებში, როცა ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილია მინჩხის რამდენიმე მცირე ფორმის საგალობელი, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ისინი გიორგი მთაწმიდელის მარხვანში ერთი და იმავე ფუნქციითაა შესული. გეორგ. 5-ში დაცული იოანე მინჩხის ახლადგამოვლენილი სტიქარონების შემცველი სხვა ხელნაწერების საშუალებით (იხ. ამის შესახებ ქვემოთ) ირკვევა, რომ გეორგ. 5-ში ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილი მინჩხის მცირე ფორმის საგალობლები ხშირად მწუხრისა და ცისკრის

განგების სხვაფასხვა ელემენტებს წარმოადგენს და ამრიგად, მათ განსხვაეებეული ლიტურგიკული ფუნქცია აქვთ.

მინჩხის ახლადგამოვლენილი სტიქარონების უმეტესობა 3 ან 4 ტროპარისაგან შედგება. ახლადგამოვლენილი 58 სტიქარონიდან 4-ზე მეტ (5—3) ტროპარს შეიცავს მინჩხის მხოლოდ 14 სტიქარონი. სიხ. ᲘᲐ და სიხ. 75 ხელნაწერებში მინჩხის სახელით წარწერილი სტიქარონების უმეტესობა აგრეთვე ტროპარების მცირე რაოდენობას შეიცავს. ამრიგად, მ ი ნ ჩ ხ ი ს ს ტ ი ქ ა- რ ო ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს მ რ ა ვ ა ლ ტ რ ო პ ა რ ი ა ნ ო ბ ა დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ე- ბ ე ლ ი ა რ ა რ ი ს.

მინჩხის ახლადგამოვლენილი სტიქარონების უმეტესობა (49 მცირე ფორმის საგალობელი) გიორგი მთაწმიდელის მარხვანში დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენს. ამ მხრივ გამონაკლისს ქმნის 5 შემთხვევა, როდესაც მინჩხის სტიქარონები დართულია სხვა ავტორთა სტიქარონებზე. I ასეთი შემთხვევა გვხვდება ხელნაწერის 69r-ზე. ამ გვერდზე გეორგ. 5-ში მოთავსებულია II ოთხშაბათის მწუხრის მცირე ფორმის საგალობელი „კმაᲐ Ა გ᾽ი. სუფევს ღმერთი წარმართ. — ვედრებითა მოციქულთაᲐთა...“ საგალობელი 9 ტროპარისაგან შედგება. საგალობლის დასაწყისთან აშიაზე მიწერილია იოსებ მგალობელის ავტორობის აღმნიშვნელი ნიშანი — მონოგრამა „ᲐᲚ“ საგალობლის VII ტროპარის გასწვრივ კი აშიაზე მიწერილია „Თ“ — მინჩხის ავტორობის აღმნიშვნელი მონოგრამა. როგორც ჩანს, საგალობლის დასაწყისი Ი ტროპარი უნდა ეკუთვნოდეს იოსებ მგალობელს, უკანასკნელი 3 ტროპარი კი — იოანე მინჩხს. მინჩხისეული ტროპარები რიტმულად შეესაბამება იოსების ტროპარებს და საგალობლის დასაწყისში მითითებულ ძლისპირს („სუფევს ღმერთი წარმართ[თა ზედა]“). ამრიგად, ამ შემთხვევაში მინჩხისეული საგალობელი იოსებ მგალობელის საგალობელზეა დართული.

ანალოგიური მდგომარეობაა IV პარასკევის მწუხრის საგალობელშიც: „სხუანი. გ გ᾽ი. მᲫდომარე ეტ. — რომელნი ღირს ვიქმნენით...“ (113r--113v). საგალობელი 7 ტროპარისაგან შედგება. საგალობლის დასაწყისთან აშიაზე მიწერილია „ი[ო]ს[ე]ბ“, IV ტროპარის გასწვრივ კი „Თ“. მინჩხისეული ტროპარები რიტმულად აქაც შეესაბამება იოსების ტროპარებს.

სხვა ავტორთა სტიქარონებზეა დართული გიორგი მთაწმიდელის მარხვანში V პარასკევის, ბზობის პარასკევისა და ბზობის შაბათისათვის განკუთვნილი მინჩხის სტიქარონებიც: „კმაᲐ Ა გ᾽ი. რაჟამს შევიდეს. — ღუაწლსა მას შინა ძლევისასა...“, „სხუანი. დ გ᾽ი. იშევ შენ. — იხარებს ბეთანია...“ და „კმაᲐ Ა. ზეცისა განწუ. — ასულო სიონისაო...“ საგალობლების ავტორები, რომლებსაც მინჩხის აღნიშნული სტიქარონები ერთვის, ამ 3 შემთხვევაში გეორგ. 5-ის როტოპირებზე არ ჩანს. მინჩხის ეს სტიქარონები რიტმულად აგრეთვე შეესაბამება მათ წინ მდგომ მცირე ფორმის საგალობლებს და შესაბამის ძლისპირებს.

გეორგ. 5-ში კომპილაციური სახით წარმოდგენილი მინჩხის და სხვა ავტორთა ზემოთგანხილული 5 საგალობელი ცალ-ცალკე საგალობლებად აღმოჩნდა შესული სიხ. 5 და სიხ. 75 ხელნაწერებში. სიხ. 5-სა და სიხ. 75-ში ყველა ეს საგალობელი სახელწაუწერლადაა შესული. საინტერესოა, რომ სიხ. 5-სა და სიხ. 75-ში ცალ-ცალკე საგალობლებად 5-ვე შემთხვევაში შეტანილი აღმოჩნდა აღნიშნული საგალობლების სწორედ ის ნაწილები, რომლებიც გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში გამიჯნულია მინჩხის ავტორო-

ბის აღმნიშვნელი „ᲨᲐ“ მონოგრამით. სინ. 5-სა და სინ. 75-ში ცალ-ცალკე შესულ მინჩხის და სხვა ავტორთა ამ საგალობლებს მითითებული აქვთ ერთი და იგივე ძლისპირები. სწორედ ამ ნიადაგზე უნდა მოეხდინა გიორგი მთაწმიდელს საგალობელთა აღნიშნული „წყვილების“ კომპილაცია.

ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რა ხედმიწევნით იცნობს გიორგი მთაწმიდელი იოანე მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილ შემოქმედებას.

სტროფული შედგენილობის მხრივ ყურადღებას იქცევს გეორგ. 5-ში მინჩხის სახელით წარწერილი მეორე ორშაბათის, მეორე სამშაბათის, მესამე სამშაბათისა და მეოთხე კვირიაკის მწუხრის საგალობლები. ამ საგალობლების სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში დაცული ტექსტები გეორგ. 5-ში შეცვლებულია ახალი ტროპარებით. ასე მაგ. დიდმარხვის II ორშაბათისათვის განკუთვნილი მინჩხის უფ. ღაღატყავსა „სხუანი. კმაᲲ გ. — ნუმცა ვემსგავსებით, ᲐᲑ ძმანო...“, სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში 4 ტროპარისაგან შედგება. საგალობლის IV ტროპარს წარმოადგენს ღმერთისმშობლისა. გეორგ. 5-ში სინ. 5— სინ. 75-თან თანხვედრი 3 ტროპარის შემდეგ ეს საგალობელი შეიცავს 3 ახალ ტროპარს, რომლებსაც ერთვის სინ. 5-ისა და სინ. 75-ის ღმერთისმშობლისა. გეორგ. 5-ში მინჩხის „უფ. ღაღატყავსაზე“ დართული 3 ახალი ტროპარის წარმომავლობა გაარკვია სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერების შესწავლამ. ამ ხელნაწერებში მინჩხის უფ. ღაღატყავსას — „ნუმცა ვემსგავსებით, ᲐᲑ ძმანო...“ მოსდევს „სტიქარონი გ. მასვე ზედა. ნუმცა ვემსგ. — მაცთური სანადიროᲲ...“ სტიქარონი 3 ტროპარისაგან შედგება, მას ძლისპირად მითითებული აქვს მინჩხის უფ. ღაღატყავსას დასაწყისი სიტყვები: „ნუმცა ვემსგ.“ ამ 2 საგალობელს საერთო აქვთ ღმერთისმშობლისაც. გეორგ. 5-ში II ორშაბათისათვის განკუთვნილი მინჩხის სტიქარონის 3 ახალი ტროპარი სინ. 5-სა და სინ. 75-ში სახელწაუწერლად შესული სწორედ ეს სტიქარონი აღმოჩნდა. ამრიგად, სინ. 5-სა და სინ. 75-ში სახელწაუწერლად შესული II ორშაბათის მწუხრის სტიქარონი „გ. ნუმცა ვემსგ. მაცთური სანადიროᲲ...“ იოანე მინჩხს ეკუთვნის. სინ. 5-სა და სინ. 75-ში ცალ-ცალკე შესული მინჩხის ეს 2 მცირე ფორმის საგალობელი გიორგი მთაწმიდელის მარხვანში გაერთიანებული უნდა იყვეს მათი პოეტური საზომის იგივეობის ნიადაგზე.

ანალოგიური მდგომარეობაა გეორგ. 5-ში დაცულ მინჩხის 2 სხვა მცირე ფორმის საგალობელშიც. კერძოდ, გეორგ. 5-ში II სამშაბათზე დადებულ მინჩხის საგალობელში: „კმაᲲ დ. რომელი მოხუედ ზეცით. — ცანი ეგე მაღალნი...“ გაერთიანებულია სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში შესული მინჩხის II ოთხშაბათის „აღვივსენითსა. რომელი მოხუედ ზეცით. — ცანი ეგე მაღალნი...“ და მის წინ მდგომი „აქებდითსა. დ. რომელი მოხუედ ზეცით. — დაამტკიცე გონებაᲲ...“ აღნიშნული „აქებდითსა“ სინ. 5-სა და სინ. 75-ში სახელწაუწერლადაა შესული. როგორც ვხედავთ, სინ. 5-სა და სინ. 75-ში ცალ-ცალკე შესულ მინჩხის აღვივსენითსას და აქებდითსას მითითებული აქვთ ერთი და იგივე ძლისპირი.

გეორგ. 5-ში III სამშაბათზე დადებულ მინჩხის საგალობელში „ა გ“. მე განვწირე სული ჩემი...“ გაერთიანებულია სინ. 5-სა და სინ. 75-ში III სამშაბათზე შესული მინჩხის სტიქარონი „მე განვწირე სული ჩემი“ და III ოთხშაბათის სახელწაუწერელი „აქებდითსა. სხუანი ა გ“. მე განვწირე სული ჩემი. — რაჟამს გამოშჩნდე...“ სინ. 5-სა და სინ. 75-ში ცალ-ცალკე შესულ

მინჩხის ამ მცირე ფორმის საგალობლებსაც ერთი და იგივე პოეტური საზომი აქვთ.

ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში II ორშაბათის, II სამშაბათისა და III სამშაბათისათვის განკუთვნილ მინჩხის საგალობლებში გაერთიანებულია სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში ცალ-ცალკე შესული მინჩხის 2—2 მცირე ფორმის საგალობელი. გიორგი მთაწმიდელს მათი კომპილაცია სინ. 5-სა და სინ. 75-ში ცალ-ცალკე შესული ამ სტიქარონების პოეტური საზომების იგივეობის საფუძველზე უნდა მოეხდინა.

სტროფული შედგენილობის მხრივ ყურადღებას იქცევს გეორგ. 5-ში IV კვირიაკეზე შესული მინჩხის საგალობელიც: „ა გ´ი. სუფევსნი. — აღვახუნეთ პირნი ჩუენნი, ძმანო...“ საგალობლის 3 ტროპარი სინ. 5-ში შესულია V სამშაბათის კომპილაციურ საგალობელში: „ა გ´ი. სუფევს ღმერთი წარ. — რომელმან მოგუეც...“. ამ კომპილაციური საგალობლის დასაწყისი ტროპარები სინ. 5-ში იადგარიდანაა გადმოსული. გეორგ. 5-ში აღნიშნული საგალობლიდან გამოყოფილია მინჩხის ტროპარები და დართულია 1 ახალი ტროპარი.

ამრიგად, დიდმარხვის II ოთხშაბათს, IV პარასკევს, V პარასკევს, ბზობის პარასკევს, ბზობის შაბათს, II ორშაბათს, II სამშაბათს, III სამშაბათს და IV კვირიაკეზე გიორგი მთაწმიდელის მარხვანში წარმოდგენილია კომპილაციური სტიქარონები. პირველ 5 შემთხვევაში მინჩხის სტიქარონები დართულია სხვა ავტორთა სტიქარონებზე, 4 შემთხვევაში კი გიორგი მთაწმიდელის მარხვანში გაერთიანებულია სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში ცალკე შესული მინჩხის 2—2 მცირე ფორმის საგალობელი[5].

სინ. 5-სა და სინ. 75-ში ცალ-ცალკე შესული სტიქარონების კომპილაცია თითოეულ შემთხვევაში ემყარება „დასაწყვილებელ“ სტიქარონებში გამოყენებულ ერთსა და იმავე ძლისპირებს. ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის მარხვანში დაცული აღნიშნული 9 კომპილაციური სტიქარონი სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში 18 სტიქარონადაა შესული. ამ 18 სტიქარონიდან სინ. 5-სა და სინ. 75-ში ავტორები მითითებულია 6 სტიქარონთან, დანარჩენი 12 სტიქარონი ამ ხელნაწერებში სახელოუწერელია. ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის მიხედვით ავტორი ეძებნება სინ. 5-სა და სინ. 75 ხელნაწერებში ავტორწაუწერლად შესულ 12 მცირე ფორმის საგალობელს. აქედან 9 იოანე მინჩხს ეკუთვნის.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში აღნიშნულ 9 კომპილაციურ საგალობელში მინჩხის ავტორობა („ᲨᲘ“) აღნიშნულია სწორედ იმ ტროპარების გასწვრივ, საიდანაც ეს საგალობლები დამოუკიდებლადაა შესული სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში. ეს გარემოება ნათლად მოწმობს, თუ რა სიზუსტით იცნობს გიორგი მთაწმიდელი იოანე მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილ საგალობლებს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოებაც: II ოთხშაბათის მწუხრზე (69r) გიორგი მთაწმიდელის მარხვანში დადებულია საგალობელი „სხუანი. რაჟამს შევიდეს მეუფე. — წევსცეთ, მაცხოვარ...“ საგალობლის დასაწყისის გასწვრივ აშიაზე მიწერილია მინჩხის ავტორობის აღმნიშვნელი მონოგრამა — „ᲨᲘ“. საგალობელი 3 ტროპარისაგან შედგება. იგი მინჩხის დღემდე უცნობ ერთ-ერთ სტიქარონს წარმოადგენს. ეს

---

5 როგორც ჩანს, საგალობელთა კომპილაცია საერთოდაა დამახასიათებელი გიორგი მთაწმიდელისათვის. გეორგ. 5-ის I ნაწილში დაცულია ბერძნულიდან თარგმნილი ბევრი საგალობელი, რომლებიც კომპილაციის წესითაა შედგენილი.

საგალობელი შეტანილი აღმოჩნდა სინ. 5 ხელნაწერშიც. სინ. 5-ში იგი „აღვივ-სენითადაა“ შესული. საგალობლის ტექსტი მოთავსებულია სინ. 5-ის 97r-ზე. ხელნაწერის 96v-ზე შესულია საგალობლის სათაური „აღვივსენითი. ა გ“. რაჟამს შევიდეს. მინჩხურნი“, რომელიც 96v-ს ბოლო სტრიქონს წარმოად-გენს. ეს სათაური ყოველგვარი ხაზგასმის გარეშე უშუალოდაა ჩართული წინა-მავალ ტექსტში. ამიტომ იგი შეუმჩნეველი დარჩა ხელნაწერისა და იოანე მინჩხის შემოქმედების ყველა მკვლევარს. სინ. 5-ში დაცული ეს სათაური ჩვენ ამ საგალობლის გეორგ. 5-ში გამოვლენის შემდეგ შევნიშნეთ. ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რა სიზუსტითაა მითითებული იოანე მინჩხის საგალობლები გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში.

გიორგი მთაწმიდელის მიერ იოანე მინჩხის შემოქმედების ზედმიწევნით ცოდნას ნათლად მოწმობს შემდეგი მაგალითიც: ვნების პარასკევზე გიორგი მთაწმიდელის მარხვანში დადებულია კოზმა იერუსალიმელის სამსაგალობე-ლი: „ბ გ“. ღამითგანსა. შენდა აღვიმსთობთ. — ზიარებითა საადუოლოთაჲ-თა...“ სამსაგალობლის I ოდა — „ღამითგანსა“ 4 ტროპარს შეიცავს; III ტროპარის დასაწყისის გასწვრივ აშიაზე მიწერილია მინჩხის ავტორობის აღ-მნიშვნელი „შ“ მონოგრამა. კოზმას ეს სამსაგალობელი შესულია სხვა ხელ-ნაწერებშიც (სინ. 1, სინ. 14, სინ. 64 და ა. შ.). ამ ხელნაწერებში მისი I ოდა — „ღამითგანსა“ მინჩხის ტროპარის გარეშეა შესული. ამრიგად, გიორგი მთაწმიდელს გარკვეული მოსაზრებით, კოზმა იერუსალიმელის აღნიშნულ სამ-საგალობელში ჩაურთავს მინჩხის 1 ტროპარი, რომლის გასწვრივ მას აღუ-ნიშნავს ავტორი (მინჩხი). მინჩხის შემოქმედების სრულყოფილი ცოდნა ამახე-შორს აღარ შეიძლება წავიდეს.

ნაშრომის II თავში ჩვენ განვიხილეთ სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში მინჩხის სახელით წარწერილი მცირე ფორმის საგალობლები. მინჩხის ეს სა-გალობლები, როგორც გაირკვა, საგანგებოდ მარხვანისთვისაა დაწერილი და სავსებით შეესაბამება სინ. 5-სა და სინ. 75-ში მათთვის განკუთვნილი დღეების ლიტურგიკულ შინაარსს.

ზემოთ ჩვენ თავი მოვუყარეთ იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლებსაც „მარხვანის“ სახელით ცნობილი კრებული უყენებდა შუა საუკუნეების პიმნო-გრაფს. ამ რთული „რეგლამენტაციის“ მიხედვით, როგორც ვიჩვენეთ, მარხვა-ნისათვის განკუთვნილ საგალობლებში უნდა აისახოს: დიდმარხვის თითოეული დღის ლიტურგიკული განგება-კალენდარი და ძველი და ახალი აღთქმის სა-კითხავები; შესაბამისი შვიდეულების ძირითადი ხსენებები; დიდმარხვის დღე-თა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე „სწორების“ (მსგეფსის) ხსენე-ბები; შესაბამისი ფსალმუნ-დასდებლები; შვიდეულის დღეების უცვლელი ხსენებები. ამას გარდა, მარხვანისათვის განკუთვნილ საგალობლებში აისახება მარხვის პერიოდისათვის დამახასიათებელი მოტივები, განწყობილებები, ტრა-დიციული სახეები და ხსენებები; საეკლესიო კრებების დადგენილებები, იმ-დროინდელ დოგმატიკურ აზროვნებაში მიმდინარე ცვლილებები, შესაბამისი ძლისპირ-ღმრთისმშობლისანები და ა. შ. შუა საუკუნეების არაბერძენი ავტო-რის წინაშე იდგა კიდევ ერთი დიდი ამოცანა — ეროვნულ ჰიმნოგრაფიასთან ერთად ბერძნული ლიტურგიკული პოეზიის გათვალისწინების აუცილებლობა.

როგორც გავარკვიეთ, სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში მინჩხის სახელით წარწერილი საგალობლები ზუსტად შეესაბამება მარხვანის შესაბამისი დღეე-

ბის ლიტურგიკულ შინაარსს. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ 'მემდგომ-დროინდელ ტრადიციაში — გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში მინჩხის ეს საგალობლები ძირითადად იმავე დღეებზეა შესული, რომლებზე-დაც სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში.

მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილი ახლადგამოვლენილი მცირე ფორ-მის საგალობლები რაოდენობრივად თითქმის 2-ჯერ აღემატება სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში მინჩხის სახელით წარწერილ სტიქარონებს. ამიტომ ბუნებ-რივია, რომ მარხვანების ზემოთნაჩვენები რთული „რეგლამენტაცია" მათში მეტი სიცხადით ვლინდება. მინჩხის თითოეულ ახლადგამოვლენილ სტიქარონ-ში ერთდროულად ასახულია მარხვანებისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ზემოთნაჩვენები მოთხოვნა. ამიტომ მისი თითოეული ახლადგამოვლენილი მცირე ფორმის საგალობელი ზუსტად შეესაბამება გიორგი მთაწმიდელის მარ-ხვანში მათთვის განწესებულ დღეებს. სანიმუშოდ განვიხილოთ გიორგი მთა-წმიდელის მარხვანში III კვირიაკის მწუხრზე დადებული მინჩხის ახლად-გამოვლენილი მცირე ფორმის საგალობელი — „სხუანი. ჴმაჲ ბ გ"ი. ნაცვალად კეთილ. — სახე გუჩუენა..." (იხ. საგალობელი № 47).

როგორც ზემოთ გავარკვიეთ, დიდმარხვის III (სინ. 5 და სინ. 75 ხელ-ნაწერებში — IV) შვიდეული თავდაპირველად შეიცავდა მეზვერისა და ფარი-სეველის ხსენებას. ჯვრის ტრადიციული ხსენება ამ შვიდეულზე 'მედარებით გვიან უნდა იყოს დადებული. დიდმარხვის ამ კვირიაკისათვის განკუთვნილი ელია იერუსალიმელის კანონი, აგრეთვე მინჩხის ზემოთგანხილული უფ. ღა-ღატყავსა (ჴმაჲ დ. მჴნეონთა ზედა. — მე, ვითარცა ხეჲ ზამთრისაჲ...") მეზვე-რისა და ფარისეველის ხსენებაზეა დაწერილი. მეზვერისა და ფარისეველის ხსე-ნებისთვისაა განკუთვნილი მინჩხის საანალიზო სტიქარონიც. სახარებისეული საკითხავების იერუსალიმური სისტემით ამ კვირიაკეზე დადებულია საკითხა-ვი ლუკადან: 18, 9—14 — მეზვერისა და ფარისეველის იგავი. მინჩხის სტიქა-რონი სწორედ ამ საკითხავის მიხედვითაა შექმნილი[6]. გასაკუთრებით ახლოს დგას მინჩხის საგალობლის II ტროპარი და ლუკას სახარების მე-18-ე თავის 13-ე მუხლი; მინჩხის საგალობლის I და III ტროპარებში კი მოცემულია მეზ-ვერისა და ფარისეველის იგავის ერთგვარი განზოგადება.

საკითხავის 14-ე მუხლის II ნაწილი: „... რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამა-ღლდეს"[7] მინჩხის საგალობელში ასეა გააზრებული: „მეზუერემან სიმდაბლი-თა მოიგო სამოთხე და ზუამით — ჯოჯოხეთი ფარისეველმან".

საგალობლის III ტროპარში მეზვერისა და ფარისეველის იგავი ორგანუ-ლადაა დაკავშირებული მარხვის მოტივებთან. განსაკუთრებული ლირიზმითა აღსავსე ამ ტროპარის II ნაწილი, რომელიც ამავე დროს მინჩხის საგალობ-ლის დასასრულს წარმოადგენს. ეს 4 სტრიქონი ერთდროულად ვამოხატავს სევდას და იმედს და მინჩხის ამ საგალობლის საზრისს შეიცავს.

ამრიგად, დიდმარხვის III კვირიაკისათვის განკუთვნილი მინჩხის ეს სტი-ქარონი, ისევე როგორც ამავე დღისათვის განკუთვნილი მისივე უფ. ღაღ-ატყავსა, დაწერილია დიდმარხვის III კვირიაკეზე იერუსალიმური სისტემით განწესებული სახარებისეული საკითხავის მიხედვით.

---

6 ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედ-ვით, გამოსცა ა. შანიძემ, ტბ., 1945, გვ. 261—262.

7 იქვე.

მინჩხის სხვა ახლადგამოვლენილი მცირე ფორმის საგალობლები ასევე ზუსტად ასახავს დიდმარხვის შესაბამისი დღეების ლიტურგიკულ შინაარსს.

ამრიგად, იოანე მინჩხის ახლადგამოვლენილი მცირე ფორმის საგალობლები, ისევე როგორც სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში მინჩხის სახელით წარწერილი სტიქარონები, ზუსტად შეესაბამებიან მარხვანში მათთვის განკუთვნილ დღეებს. ისინი საგანგებოდ მარხვანისთვისაა დაწერილი.

მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილი მცირე ფორმის საგალობლები დღემდე მხოლოდ სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებით იყო ცნობილი[8]. ამ ხელნაწერებში მინჩხის სახელით წარწერილი უკანასკნელი საგალობელი მეხუთე ორშაბათზეა დადებული. დიდმარხვის შემდგომი პერიოდისათვის სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის სახელით წარწერილი საგალობლები არ გვხვდება.

სინ. 5-ისა და სინ. 75-საგან განსხვავებით, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში ჩვენს მიერ გამოვლენილი მინჩხის მცირე ფორმის საგალობლები მოიცავს დიდმარხვის მთელ პერიოდს — ხორციელის შაბათიდან დიდი შაბათის ჩათვლით. კერძოდ, მინჩხის ახლადგამოვლენილი 58 მცირე ფორმის საგალობლიდან 22 გეორგ. 5-ში დიდმარხვის V ოთხშაბათის შემდგომ პერიოდზეა შესული.

ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანით გამოვლენილი სტიქარონები ცხადყოფს, რომ იოანე მინჩხს მცირე ფორმის საგალობლები უწერია დიდმარხვის მთელი პერიოდისათვის — ხორციელის შაბათიდან დიდი შაბათის ჩათვლით.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის სახელით წარწერილი და მისი ახლადგამოვლენილი მცირე ფორმის საგალობლები მოიცავს დიდმარხვის თითქმის მთელ განგებას.

დიდმარხვის დღეებზე ხშირად დადებულია მინჩხის 1-ზე მეტი მცირე ფორმის საგალობელი, კერძოდ, მინჩხის 2—2 სტიქარონია დადებული დიდმარხვის I ორშაბათს, I ხუთშაბათს, II ოთხშაბათს და ა. შ. მინჩხის 3—3 სტიქარონია დადებული I შაბათს, III ორშაბათს, IV ოთხშაბათს, IV პარასკევს და VI ოთხშაბათს; ყველიერის კვირიაკესა და IV კვირიაკეზე დადებულია მინჩხის 4—4 სტიქარონი, ხოლო II და III კვირიაკეებზე დადებულია 5—5. ამრიგად, მინჩხის სტიქარონები ყველაზე დიდი რაოდენობით შესულია დიდმარხვის კვირა დღეებზე. დიდმარხვის კვირა დღეებზე დადებული მინჩხის ეს სტიქარონები გიორგი მთაწმიდელის მარხვანში განაწილებულია ცისკრისა და მწუხრის განგებებზე. ასე მაგ. დიდმარხვის III კვირიაკისათვის განკუთვნილი მინჩხის 2 სტიქარონი გეორგ. 5-ში შესულია ამ დღის ცისკრის განგებაში, 3 — მწუხრზე. ცისკრისა და მწუხრის განგებებზეა განაწილებული ყველიერის კვირიაკის, II. III და IV კვირიაკეებისათვის განკუთვნილი მინჩხის სტიქარონებიც. საინტერესოა, რომ ცისკრის განგებაში მინჩხის სტიქარონები შესულია მხოლოდ დიდმარხვის კვირა დღეებსა და განსაკუთრებით მნიშვნელოვან დღესასწაულებზე — ბზო-

---

[8] სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის სახელით წარწერილი მცირე ფორმის საგალობლები ავტორზე ზუსტი მითითებებით დაცულია გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანშიც.

ბის პარასკევსა და დიდ შაბათს; დიდმარხვის დანარჩენ დღეებზე მინჩხის სტიქარონები მხოლოდ მწუხრის განგებებშია შესული.

ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოებაც: დიდმარხვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დღესასწაულებისათვის (კვირა დღეები, I შაბათი, ბზობის ხუთშაბათი, ბზობის პარასკევი და ა. შ.) განკუთვნილი მინჩხის სტიქარონები ტროპარების სიდიდითა და ტროპართა რაოდენობით აშკარად აღემატება მარხვანის სხვა დღეებისათვის განკუთვნილ მინჩხისავე სტიქარონებს. ასე მაგ. ბზობის ხუთშაბათის მწუხრისათვის განკუთვნილი მინჩხის მცირე ფორმის საგალობელი 8 ტროპარისაგან შედგება; თითოეული ტროპარი 17 სტრიქონს შეიცავს; 14 სტრიქონს შეიცავს ყველიერის კვირიაკის მწუხრისათვის განკუთვნილი მინჩხის მცირე ფორმის საგალობლის თითოეული ტროპარი და ა შ. ეს გარემოება დიდმარხვის აღნიშნული დღეების ლიტურგიის ხანგრძლივობით უნდა აიხსნას. როგორც ჩანს, ამ სტიქარონების შექმნისას იოანე მინჩხს გაუთვალისწინებია მარხვანის ლიტურგიის ეს თავისებურებაც.

დიდმარხვის ე. წ. მოსამზადებელი პერიოდიდან მინჩხის სტიქარონები დადებულია მხოლოდ ხორციელის შაბათსა და ყველიერის კვირიაკეზე. მოსამზადებელი პერიოდის სხვა დღეებზე გიორგი მთაწმიდელის მარხვანში მინჩხის საგალობლები შესული არ არის. ეს გარემოება სრულიად ბუნებრივი უნდა იყოს. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ მოსამზადებელი კვირიაკეები კონსტანტინოპოლურ ნიადაგზე იქნა აღმოცენებული და იერუსალიმური პრაქტიკა მათ არ იცნობს[9]. მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილი სტიქარონები კალენდრისა და სახარებისეული საკითხავების მიხედვით იერუსალიმური მარხვანების ტრადიციას მისდევს (იხ. ზემოთ). ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ დიდმარხვის მოსამზადებელ პერიოდს, რომელსაც იერუსალიმური ტრადიცია არ იცნობს, არ იცნობს არც იოანე მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილი საგალობლები.

ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის მოწმობით, იოანე მინჩხს მცირე ფორმის საგალობლები უწერია თითქმის მთელი მარხვანისათვის. დიდმარხვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დღესასწაულებისათვის მას შეუქმნია 4—4 ან 5—5 სტიქარონი, რომლებიც ამ დღეების ლიტურგიის ხანგრძლივობის შესაბამისად, გამოირჩევიან თავისი მოცულობით. ვვარაუდობთ, რომ იოანე მინჩხის სტიქარონებს შეიცავს დიდმარხვის იმ 11 დღის განგებაც, რომელთა მასალაში გეორგ. 5-ის ჩვენს ხელთ არსებულ როტოპირებსა და მიკროფირზე მინჩხის ავტორობის აღმნიშვნელი მონოგრამები არ ჩანს. ამ სტიქარონების ერთი ნაწილი შესაძლოა შემდგომმა კვლევამ გამოავლინოს.

სინ. 5-ში დაცულ მრავალმხრივ საინტერესო სათაურში, რომელიც უაღრესად ზუსტ ცნობებს შეიცავს, იოანე მინჩხი სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერების პროტოტიპული ქართული მარხვანის მთელი სტიქარონული ნაწილის ავტორადაა დასახული. ამ სათაურის მიხედვით, სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერები მინჩხის სახელით წარწერილ მცირე ფორმის საგალობლებთან ერთად უნდა შეიცავდეს მინჩხის სხვა, სახელწაუწერელ მცირე ფორმის საგალობლებსაც.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში ჩვენს მიერ გამოვლენილი მინჩხის 58 მცირე ფორმის საგალობელი სწორედ ამ „სხვა“ საგალობლებს

---

[9] Карабинов И., Постная триодь, с. 22—25.

წარმოადგენს. ეს საგალობლები სინ. 5-სა და სინ. 75-ში მართლაც სახელწაუწერლად აღმოჩნდა შესული (იხ. ამის შესახებ ქვემოთ).

ამრიგად, მინჩხის ახლადგამოვლენილი მცირე ფორმის საგალობლები ნათელყოფს მეტად საყურადღებო გარემოებას — იოანე მინჩხს ეკუთვნის იადგარიდან ცალკე კრებულად გამოყოფილი I ქართული მარხვანის მთელი სტიქარონული ნაწილი, რომელიც დამკვიდრდა შემდგომდროინდელ ტრადიციაში — სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებსა და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანში.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანისა და სინ. 5-ში პროტოტიპული ქართული მარხვანიდან გადასული სათაურის მიხედვით, ვფიქრობთ, შესაძლებელი ხდება იადგარიდან ცალკე კრებულად გამოყოფილი, ქართული ჰიმნოგრაფიისათვის მრავალმხრივ საყურადღებო I ქართული მარხვანის რეკონსტრუქცია. სინ. 5-ში დაცული სათაურის მიხედვით, პროტოტიპული ქართული მარხვანის კვირა დღეების კანონები ეკუთვნის ელია პატრიარქს, სამსაგალობლების 2 ციკლი — თეოდორე სტუდიელსა და სტეფანე საბაწმიდელს, სტიქარონები კი — იოანე მინჩხს. ჩვენ უკვე გავარკვიეთ აღნიშნულ პროტოტიპულ მარხვანში შესული ელია პატრიარქისა და იოანე მინჩხის საგალობლები, შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს სინ. 5-ისა და სინ. 75-ის პროტოტიპულ მარხვანში შესული თეოდორე სტუდიელისა და სტეფანე საბაწმიდელის სამსაგალობლები[10].

იადგარიდან ცალკე კრებულად გამოყოფილი I ქართული მარხვანის რეკონსტრუქცია ინტერესს იმსახურებს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის კვლევისათვისაც; კერძოდ, ბერძნული მარხვანების ერთ-ერთი თავდაპირველი ეტაპის შესწავლის თვალსაზრისით.

მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილი სტიქარონები, როგორც ვიჩვენეთ, ჰიმნოგრაფიისა და მარხვანის რთული „რეგლამენტაციის“ გათვალისწინებითაა შექმნილი, მაგრამ დიდი ტრადიციულობის გვერდით იოანე მინჩხის შემოქმედებას ახასიათებს დიდი ორიგინალურობაც. სწორედ ამ ორი ფაქტორის შერწყმით უნდა აიხსნას მინჩხის განსაკუთრებული ადგილი ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში.

იოანე მინჩხის შემოქმედების ორიგინალურობა მჟღავნდება ერთი მხრივ, არსებული მოტივებისა და მხატვრული სახეების თავისებური გადააზრებით, მეორე მხრივ — სრულიად ახალი სახისმეტყველების, განწყობილებებისა და მხატვრული ენის შექმნით.

მინჩხის შემოქმედების მხატვრული თავისებურებების კვლევა მომავლის საქმეა და ჩვენი ნაშრომის მიზანს ამჯერად არ წარმოადგენს. დავკმაყოფილდებით მხოლოდ რამდენიმე შენიშვნით, რომლებიც, ვფიქრობთ, არსებითია მინჩხის საგალობლების მხატვრული თავისებურებების კვლევისათვის.

IX—XI სს-ები — ქართული ჰიმნოგრაფიის აღზევების ხანა ბერძნულენოვანი ლიტერატურის ქართულად თარგმნის. ერთ-ერთი ყველაზე ინტენსიური პერიოდია. ბერძნულ კულტურასთან ზიარება, როგორც ცნობილია, ამ დროს მსოფლიო ცივილიზაციასთან ზიარებას ნიშნავდა. ამ დიდ საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა ათონის ქართულმა კოლონიამ. ექვთიმე და

---

10 თეოდორე სტუდიელისა და სტეფანე საბაწმიდელის მარხვანისათვის განკუთვნილ საგალობლებს სწავლობს ლ. ხევსურიანი.

გიორგი მთაწმიდელების მიერ ქართულ ენაზე ითარგმნა თითქმის მთელი ბიზანტიური მწერლობა. ამ გზას გაჰყვნენ ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და სხვები. ბიზანტიური ლიტერატურის თარგმანებს ქართული ლიტერატურისათვის განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს სხვა საკითხი.

ბერძნული ენისა და ბერძნულიდან თარგმანების ფართო გავრცელებამ გარკვეული ასახვა ჰპოვა ქართული ორიგინალური მწერლობისა და პირველ ყოვლისა, ჰიმნოგრაფიის ენაში. ბერძნული სინტაქსი, ბერძნული ენის კალკები, ფრაზის ბერძნულისეული წყობა ამ დროის ქართულ ჰიმნოგრაფიაში იშვიათი არ არის. ეს ტენდენცია შეიმჩნევა თვით გიორგი მთაწმიდელის ორიგინალურ საგალობლებშიც. ამ ფონზე იოანე მინჩხის საგალობლები უპირველეს ღირსებას მათი ენა — ბუნებრივი და აუმღვრეველი ძველი ქართული წარმოადგენს. უცხო ენის გავლენის არავითარი კვალი, არც ერთი ხელოვნური კონსტრუქცია არ აყენებს ჩრდილს ამ დიდ პოეზიას. ძველი ქართული ლექსიკა, სინტაქსი, ფრაზის ქართული წყობა იოანე მინჩხის საგალობლებს ძველი ქართული ენის ქრესტომათიულ ნიმუშებად ხდის. ეს ალბათ კარგად იყო საგრძნობი X საუკუნის ქართველი მკითხველისათვის. ნაოქვამის ნათელსაყოფად პარალელურად მოვიტანთ IV ხუთშაბათისათვის განკუთვნილი მინჩხის ახლადგამოვლენილი სტიქარონის დასაწყის ტროპარს და გიორგი მთაწმიდელის ცნობილ იამბიკოს[11].

სიმრგულედ მიმართ ცისად	განსაკრთომელთა ღმრთისა საქმეთა
ვერ ვიკადრებ მე თუალთა ახილვად	წიგნი,
ცოდვათა ჩემთა სიმრავლისაგან,	ემბაზით მადლთაჲ აღმომშობელი ჩუენი
ამისთჳსცა დავრდომილი	ოვტკივრად გაქუს ოფლით ნამუშაკევი.
ქუეყანასა თავდადებით	რომელთა გწყურის, სუემდით წყალსა
შეგივრდები, მრავალმოწყალე...	ცხოველსა,
	გარნა ჩემდადცა ოიხდით, რომლისასა
	იტყჳან თავნი სტიხოსთანი სახელსა.

გიორგი მთაწმიდელის საგალობელში აშკარად იგრძნობა მიმღეობური კონსტრუქციების სიჭარბე, ბერძნულიდანაა ნასესხები ლექსიკური ერთეული — „სტიხოსთანი“ (στίχος — ლექსი, სალექსო სტრიქონი), თვით აკროსტიქულობაც საგალობლისა, რაც მის ენას ასე ამძიმებს, ბერძნული ტრადიციის გავლენით უნდა აიხსნას. სულ სხვაა მინჩხის საგალობლის მოტანილი ფრაგმენტის ლაღი და ბუნებრივი ქართული. ამ მხრივ მინჩხის საგალობელი გაცილებით ახლოს დგას მიქაელ მოდრეკილის, იოანე მტბევარის და X საუკუნის სხვა ქართველ ჰიმნოგრაფთა ენასთან.

შთამბეჭდავია იოანე მინჩხის საგალობლების მხატვრული ენაც, რომლის ძირითად თავისებურებას ემოციათა უშუალობა, ბუნებრივობა და გადმოცემის ზომიერი, გაწონასწორებული ფორმა წარმოადგენს. თუ ამ თვალსაზრისით იოანე მინჩხის საგალობლებს შევუდარებთ ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შედევრს — ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანს“, მინჩხის საგალობლების ეს თავისებურება კიდევ უფრო ნათელი გახდება. „დიდნი გალობანში“ ავტო-

---

11 იამბიკო დართულია მის მიერ ნათარგმნ სახარებაზე. იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 233.

რის ინტიმური და მძაფრი ემოციები შესაბამისი ფორმითაა გადმოცემული. აქ ემოცია პირველადი სახითაა მოცემული, განცდების ნაკადი მკითხველში ერთგვარ ფიზიკურ ტკივილსაც კი იწვევს. ამ მხრივ ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანი“ ძველი აღთქმის წიგნების მხატვრულ ენასთან დგება[12]. იოანე მინჩხის მხატვრული სახეები, განწყობილებები, ემოციები არ ჩამორჩება ანდრია კრიტელისეულს, მაგრამ მათი ფორმა გადმოცემისა გაწონასწორებულია, გონისმიერი.

ემოციის ამგვარი უშუალობა და სემანტიკური სიღრმე მინჩხის საგალობლებს განუმეორებლობას ანიჭებს. ამავე ნიშნითაა აღბეჭდილი მინჩხის მრავალრიცხოვანი ორიგინალური მხატვრული სახეები, რომელთა კვლევისას მსედველობაში უნდა იქნეს მიღებული ჰიმნოგრაფიის ტრადიციულობა — მისი ძირითადი თავისებურება.

ჰიმნოგრაფია ლიტურგიკული პოეზიაა. ამიტომ ჰიმნოგრაფთა მიზანს, პირველ ყოვლისა, ლიტურგიის მოთხოვნილებების სრულად ასახვა წარმოადგენდა. ჰიმნოგრაფიის კვლევაც აქედან უნდა დაიწყოს. ზემოთ ჩვენ ვაჩვენეთ, თუ როგორაა ასახული ლიტურგიკული მოთხოვნები მინჩხის 2 საგალობელში. აქ არსებული ვითარება ტიპიურია მინჩხის მთელი შემოქმედებისა და საერთოდ, შუა საუკუნეების სასულიერო პოეზიისათვის.

ლიტურგიის გათვალისწინებასთან ერთად ჰიმნოგრაფთა ძირითად მიზანს საგალობლებში ბიბლიის და ცნობილ ჰიმნოდთა შემკვიდრეობის მაქსიმალური სისრულით შემოტანა წარმოადგენდა. ამ 2 ძირითად წყაროზე დაყრდნობით ამობს შუა საუკუნეების ჰიმნოგრაფი საკუთარ სათქმელს. ჰიმნოგრაფიის თანამედროვე აზრით გაგებული ორიგინალურობა მხოლოდ ამის მიღმა ძევს და მისი მიკვლევა საჭიროებს ქართული და ბერძნული ჰიმნოგრაფიის, ყველა ბიბლიური წიგნის (პირველ ყოვლისა „სახარებისა“ და „ფსალმუნის“) გათვალისწინებას. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ „მდიდარმა ჰიმნოგრაფიულმა ლიტერატურამ საუკუნეების მანძილზე მხატვრული სახეების საკუთარი სამყარო შექმნა“[13]. აქ ბევრი რამ დაშტამპულია, უცვლელი, ეტიკეტად ქცეული.

მინჩხის საგალობლების შესწავლა ცხადყოფს, თუ როგორ იცნობს მათი ავტორი ბიბლიასა და ბერძნულ ჰიმნოგრაფიას. ბიბლიურ წიგნთაგან მინჩხის საგალობლებში განსაკუთრებით ფართოდაა ასახული სახარება და ფსალმუნი. ჰიმნოგრაფიის საერთო წესის თანახმად, მინჩხის საგალობლებში ბიბლია შეტანილია ყოველგვარი მითითებების გარეშე, შერწყმულია ავტორის საკუთარ, ორიგინალურ ხმასთან. სანიმუშოდ განვიხილოთ I ხუთშაბათის მწუხრისათვის განკუთვნილი მინჩხის ახლადგამოვლენილი სტიქარონი „სხუანი. ქმაჲ ა გ̅ი. ლბილ იყუნეს სიტყუანი შენნი. — ნუმცა დავიყდუნეთ სულთა ჩუენთა...“ (იხ. საგალობელი № 12).

სტიქარონი 3 ტროპარისაგან შედგება. მისი თითოეული ტროპარი სახარებიდანაა ამოსული. მოვიტანთ მათ ტექსტებს და სახარების შესაბამის მუხლებს:

---

12 ძველი აღთქმის წიგნების მხატვრული ენის შესახებ იხ. Аверинцев С. С., Поэтика ранневизантийской литературы, М., 1977, с. 61—64.

13 ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ელ. მეტრეველის გამოცემა, გვ. 04.

„ნუმცა დავიყდუნვებთ სულთა ჩუენთა, უდბად ძილითა მით მძიმითა, სული გულს-მოდგინე არს, ხოლო ჯორცნი უძლურ და მოწყინე...“	„იღუძებდით და ილოცევდით, რაჲთა არა შეხვდეთ განსაცდელსა. სული ვიდრემე გულსმოდგინე არს, ხოლო ჯორცნი უძლურ“ (მარკოზ 14,38).
„ქრისტეს მოციქული ჩინებული... ... ესრეთ ნუგეშინის-სცემს ცოდვილთა, ვითარმედ: „სადა იპოვის ცოდვაჲ, მუნ უფროჲს გარდაემატის მადლი“.	ჰრომ. 5,20; 1 ტიმ. 1,14
„ჰმაჲ მღაღადებელი უდაბნოსა ვჴქადაგებდა სინანულსა, ეტყოდა, რაჲ ერსა გულფიცხელსა, უფლისა განმამწარებელსა: „ცოდვილნო, იქედნისა ნაშობნო, ვინ გიჩუენა რისხვისაგან სივლტოლაჲ? შეინანეთ, რამეთუ ახლოს არს სასუფეველი!“	მათ დღეთა შინა მოვიდა იოანე ნათლისმცემელი, ქადაგებდა უდაბნოსა მას ჰურიასტანისასა და იტყოდა: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ (მათე 3, 1—2). ... და ვითარცა იხილნა ფარისეველნი და სადუკეველნი, მომავალნი ნათლის-ღებად მისგან, ჰრქუა მათ: ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლაჲ მერმისა მისგან მომავალისა რისხვისა? (მათე 3,7).

როგორც ვხედავთ, სახარება მინჩხის ამ საგალობლის შთაგონების წყაროა. მარკოზის, იოანესა და მათეს სახარებათა სხვადასხვა მუხლები მინჩხის სტიქარონში შინაგან მთლიანობადაა ქცეული; პოეზიის ენაზეა გადატანილი სახარების სენტენციური ტონიც.

ყურადღებას იქცევს საგალობლის პირველივე მხატვრული სახე („ნუმცა დავიყდუნვებთ სულთა ჩუენთა. უდბად ძილითა მით მძიმითა...“), რომელშიც მარკოზის სახარების შესაბამისი მონაკვეთი გარდაქმნილი და გაცოცხლებულია მინჩხის მიერ. ამგვარ შემთხვევებში მინჩხის მხატვრული ოსტატობა ორიგინალურობის დონემდეა ასული.

სახარებიდან მომდინარეობს II კვირიაკისათვის განკუთვნილი მინჩხის უფ. ღაღატყავსას შემდეგი ფრაგმენტიც:

„ვითარცა იგი პირველადვე უღაღადა ღმრთისმშობელსა მართალმან სჯმეონ: „შენგან შობილი ესე სიტყუაჲ გამოჩნდეს მრავალთა დაცემად და აღდგინებად და თჳთ სულსაცა შენსა განვლოს მახჳლმან მწუხარებისამან...“	„და თჳთ შენსაცა სულსა განვიდეს მახჳლი, რაჲთა განჰსცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი“ (ლუკა 2,35).

უკანასკნელ 2 სტრიქონში მინჩხის მიერ დამატებული ერთადერთი სიტყვა „მწუხარებისამან“ სულ სხვა პოეტურ ხატს ქმნის.

დიდმარხვის თითოეული დღისათვის განწესებული საკითხავების გამო სახარება ასახულია მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილ ყველა მცირე ფორმის საგალობელში.

გენეტიკურად სახარებას უკავშირდება IV ხუთშაბათის მწუხრისათვის განკუთვნილი მინჩხის სტიქარონის (სხუანი. კმაჲ დ გ̅ი. ქრისტ̅ეს მოწამენი ყოველთა ად. — სიმრგულედ მიმართ ცისად...) I ტროპარის დასაწყისი:

„სიმრგულედ მიმართ ცისად
ვერ ვიკადრებ მე თუალთა ახილვად
ცოდვათა ჩემთა სიმრავლისაგან...“

შდრ. ლუკა 18,13 — „ხოლო მეზუერმ იგი შორს დგა და არა იკადრებდა თუალთაცა ზე ახილვად, არამედ იცემდა მკერდსა და იტყოდა: უფალო, მილხინე მე, ცოდვილსა ამას“. მიუხედავად საკმაო მსგავსებისა, ამ შემთხვევაში მინჩხი უფრო ახლოსაა ბერძენი ჰიმნოგრაფის — იოსებ მგალობლის შესაბამისი დღისათვის განკუთვნილ სტიქარონთან (მწუხრი. უფ. ღაღატყავსა), რომლის ქართული თარგმანი დაცულია Sin. 5 და Sin. 75 ხელნაწერებში.

აღნიშნული მხატვრული სახე მინჩხის საგალობლის ამავე (I) ტროპარში ასე ვითარდება:

„ამისთჳსცა დავრდომილი
ქუეყანასა თავდადებით
შეგივრდები, მრავალმოწყალე“

ეს უაღრესად ლირიკული მხატვრული სახე მინჩხის ორიგინალური შემოქმედების ნაყოფია. მასში გამოხატული ბავშვურად გულწრფელი ემოცია და ყესტი დიდი შემოქმედების ნიშნითაა აღბეჭდილი.

სახარების შემდეგი მინჩხის საგალობლებში ყველაზე ფართოდ ასახულია ფსალმუნი[14]. ფსალმუნი, ისევე როგორც სახარება, უშუალოდაა ჩართული მინჩხის საგალობლებში. ასე მაგ.

„შეგჳწყალენ ჩუენ, ღმერთო,
დიდითა წყალობითა შენითა
და მრავლითა მაგით მოწყალებითა
აჴოცენ ჩუენნი
უშჯულოებანი...“
(მესამესა კჳრიაკესა. მწუხრი.
სხუანი. დ.).

„მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა
წყალობითა შენითა და მრავლითა
მოწყალებითა შენითა აჴოცე
უშჯულოებაჲ ჩემი...“ (ფს. 50,3).

„შეყროლდეს წყლულებანი
სულისა ჩემისანი,
ქრისტე, ღმერთო ჩემო,
გევედრები, განმკურნე მე...“
(მეოთხესა ოთხშაბათსა. მწუხრი.
სხუანი. დ.).

„შეყროლდეს და დალპეს წყლულებანი
ჩემნი პირისაგან უგუნურებისა
ჩემისა...“ (ფს. 37,6).

---

[14] ფსალმუნის გავლენა თევდოსი მეფისადმი მიძღვნილ მინჩხის კანონზე განხილულია ჩვენს სადიპლომო ნაშრომში „ფსალმუნთა ქართული ვერსია და ეროვნული კულტურული გარემო“.

მინჩხის პოეტურ შესაძლებლობებზე მსჯელობისათვის ყურადღებას იქცევს უკანასკნელი მაგალითიც, სადაც 37-ე ფსალმუნის VI მუხლი მინჩხის მიერ სულის მდგომარეობადაა გარდაქმნილი, რითაც მიღწეულია სულ სხვა პოეტური ეფექტი.

ფსალმუნისათვის დამახასიათებელი უაღრესად ლირიკული და უშუალო ტონი კიდევ უფრო გამძაფრებულია II ოთხშაბათის მწუხრისათვის განკუთვნილ მინჩხის სტიქარონში (სხუანი. ა გ̅ი. რაჟამს შევიდეს მეუფე. — შევსცეთ მაცხოვარ...).

„შევსცეთ, მაცხოვარ,
მე, ვითარცა ცხოვარი,
და თჳთ განვავარდი
სამწყსოთა შენთაგან, სახიერ,
და შთავავარდი მე წყუდიადისა ბულსა.
შემიწყალე, მჴსნელო,
აღმომიყვანე,
და მომაქციე და განმაახლე“.

შევსცეთი მე, ვითარცა
ცხოვარი წყმედული;

მომიძიე მონაჲ შენი,
რამეთუ მცნებანი შენნი
მე არა დავივიწყენ“
(ფს. 118,176)

ფსალმუნური ემოცია აქ თითქოს ხელახლაა დაბადებული.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის შემთხვევები, როდესაც ფსალმუნიდან მომდინარე მოტივები მინჩხის საგალობლებში ფილოსოფიურ განზოგადებას აღწევს. ასე მაგ. ყველიერის კვირიაკის მწუხრისათვის განკუთვნილი მინჩხის მცირე ფორმის საგალობელი (იხ. ტექსტი № 6) იწყება შემდეგი სიტყვებით:

„დასაბამი სიბრძნისაჲ არს შიში ღმრთისაჲ,
ვითარცა თქუა დავით ღმრთისმგალობელმან...“

ამ შემთხვევაში მინჩხის მიერ დამოწმებულია 110-ე ფსალმუნის 10-ე მუხლის ძველ-ქართული თარგმანი: „... დასაბამი სიბრძნისაჲ არს შიში უფლისაჲ...“

ფსალმუნიდან მომდინარე ეს მოტივი ვითარდება მინჩხის აღნიშნული სტიქარონის I და II ტროპარებში. „შიში ღმრთისაჲ“-ს მოტივი მინჩხის სხვა საგალობლებშიც ფართოდაა ასახული.

ქრისტიანული აზროვნების ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოტივი მინჩხისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო იოანე ოქროპირის, გრიგოლ ნოსელისა და ბასილი კესარიელის შრომებითაც. მაგრამ ამ შემთხვევაში მინჩხისათვის, როგორც ჩანს, განმსაზღვრელია პირველწყარო — ფსალმუნი და „შიში ღმრთისაჲს“ ფსალმუნური გააზრება.

ცალკეული ორიგინალური მხატვრული სახეების შემცველ სტიქარონებთან ერთად, მინჩხის შემოქმედებაში ხშირად გვხვდება ისეთი მცირე ფორმის საგალობლებიც, რომლებიც მთლიანად მინჩხის ორიგინალურ მხატვრულ სახეებზეა აგებული.

სანიმუშოდ განვიხილოთ II ორშაბათის მწუხრისათვის განკუთვნილი მინჩხის ახლადგამოვლენილი მცირე ფორმის საგალობელი (№ 20). საგალობლის I ტროპარი უაღრესად რთულ სიმბოლიკას ეყრდნობა, მის I და II ნაწილებში ორი განსხვავებული პოზიციიდანაა დამუშავებული „სამჭედურის“ სიმბოლიკა. მიუხედავად აზრობრივი სირთულისა, მინჩხის საგალობლის ამ

ტროპარს ახლავს უფაქიზესი ლირიზმი, რაც მისი თეოლოგიური შინაარსის გახსნის შემდეგ ვლინდება. პოეტური ძალისხმევის იშვიათ ნიმუშებს წარმოადგენს მინჩხის ამ საგალობლის II და III ტროპარები, რომლებიც მინჩხის ორიგინალურ მხატვრულ სახეებს ეყრდნობა. საგალობლის III ტროპარში:

„დამიმონა მე ცოდვამან
და არღარა ძალ-მიც ყოფად კეთილისა,
რამეთუ თჳთ შევაპყარ თავი ჩემი,
ვითარცა ტრედი, მახესა მას მტერისასა...“

ორიგინალურადაა დამუშავებული სიკეთის მოკლების ქრისტიანული მოტივი. მინჩხთან ამ მოტივს ჰეშმარიტად ტრაგიკული და ამავე დროს ადამიანური შინაარსი ახლავს. შთამბეჭდავია მინჩხის საგალობლის მომდევნო 2 სტრიქონიც, სადაც პოეტური ხედვა მიმართულია უაღრესად სუბიექტური ემოციისაკენ, ლირიკული განცდა თითქოს „გაორმაგებულია“.

მოტანილი ფრაგმენტი კარგი ნიმუშია იმისა, თუ როგორი თავშეკავებული, ზომიერი ფორმითაა გადმოცემული მინჩხის შემოქმედებაში უკიდურესად დაძაბული და მძაფრი ემოციები.

მხატვრულ სახეებთან ერთად მინჩხის საგალობლებში ორიგინალურადაა გაანრებული სინანულის, ლოცვის, მოღუაწების, გლახაკთმოწყალების, სიწმიდისა და მადლის მოტივები.

მარხვანისათვის განკუთვნილ სტიქარონებსა და მინჩხის მთელ შემოქმედებაში განსაკუთრებული ძალითაა დამუშავებული ამქვეყნიური ცხოვრების ამაოების მოტივი. მინჩხთან ეს მოტივი, ჩვეულებრივ, უაღრესად ლირიკული განწყობილებების სათავედაა ქცეული. შეიძლება ითქვას, რომ მარხვანისათვის განკუთვნილი მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების უმეტესობა თავისებურად ეხმიანება „ამაოება ამაოებათას“ ყოვლისმომცველ მოტივს. მავრამ ამქვეყნიური ამაოების „ეკლესიასტეში“ მოცემულ გაანრებას მინჩხთან ცვლის საქვეყნო საზრუნავის, „მოღუაწების“ აუცილებლობა. მოვიტანთ დიდმარხვის II სამშაბათის, III ორშაბათის და V ორშაბათისათვის განკუთვნილი მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების დასაწყის ტროპარებს:

„ამაო არს ცხორებაჲ ჩუენი,
ვინაჲთგან დაჰკსნის მას სიკუდილი
და ცუდად ხატად ვალნ კაცი,
ამაოდ შურებინ, იუნჯებნ
და არა უწყინ, ვისდა იყოს იგი.
ჯერ-არს ჩუენდა გულისკმის-ყოფაჲ
და ზრუნვაჲ ცხორებისა საუკუნოჲსა...“

„გულისკმა-ვყოთ
ამაოებაჲ ჩუენი,
რამეთუ ყოველნი მოკუდავ და
მიწა ვართ,
და ჟამნი ჩუენნი — ვითარცა
სიზმარნი,
და არა ვერჩდეთ ჩუენ
წუთისა ამას ცხორებასა,
რამეთუ ვითარცა აჩრდილი წარვალს
და ვითარცა მტუერი ქუეყანისაჲ
განიბნევის“

„ჟამნი ჩუენნი,
ვითარცა-რაჲ სიზმარნი
ღამისანი, განქარდებიან,
და დღითი დღედ
შოაკლდების რიცხუსა მას

აღრიცხულთა დღეთა ჩუენთასა
და ყოვლისავე დამკსნელ არს
სიკუდილი,

ვიღუაწოთ, ძმანო, მოსლვადმდე მისსა".

მიუხედავად იმისა, რომ მინჩხის ეს ტროპარები სხვადასხვა საგალობლებიდანაა მოტანილი, ისინი ერთიანია მსოფლმხედველობის თვალსაზრისით. ძლისპირი „ჟამნი ჩუენნი", სტილის მიხედვით პ. ინგოროყვამ იოანე მინჩხს მიაკუთვნა[15]. მანვე აღნიშნა, რომ „... X საუკუნის ეს ძლისპირი, კერძოდ ბოლო ტაეპი (დასკვნა: „აწ ვიღუაწოთ მოსლვამდე მისა") შორეულად ეხმაურება ბარათაშვილის სტრიქონებს („მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან...")[16].

მოტანილი მაგალითების შესწავლა ნათელყოფს, რომ ეს არ უნდა იყოს მინჩხის პოეზიასთან ბარათაშვილის „შორეული" შეხმიანება. V ორშაბათისათვის განკუთვნილი მინჩხის სტიქარონის I ტროპარის მიმდევრობა ზუსტად თანხვდება ბარათაშვილის აზრთა მდინარებას ლექსში — „ფიქრნი მტკვრის პირას". მინჩხის საგალობლის მოტანილ ტროპარში უაღრესად ლაკონური ფორმითაა წარმოდგენილი ბარათაშვილის ამ ლექსის იდეური შინაარსი. ბარათაშვილის ამ ლექსს აშკარად გვაგონებს II სამშაბათისათვის განკუთვნილი მინჩხის სტიქარონის I ტროპარიც. ამ ტროპარში გამოხატული „საუკუნო ცხორებისათვის" ზრუნვაში სწორედ ამქვეყნიური „მოღუაწება" უნდა იგულისხმებოდეს. ანალოგიური შინაარსისაა III ორშაბათისათვის განკუთვნილი მინჩხის სტიქარონის

„... არა ვერჩდეთ ჩუენ
წუთისა ამას ცხორებასა".

ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას" აგრეთვე უკიდურესი სიმძაფრითაა დამუშავებული ამქვეყნიური ამაოების ქრისტიანული მოტივი. როგორც მინჩხის, ისე ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის კარგადაა ცნობილი, რომ

„ამაო არს ცხორებაჲ ჩუენი,
ვინაჲთგან დაჰკსნის მას სიკუდილი..."

„ეულისკმა-ეყოთ
ამაოებაჲ ჩუენი,
რამეთუ ყოველნი მოკუდავ და მიწა
ვართ..."

„ჟამნი ჩუენნი,
ვითარცა-რაჲ სიზმარნი
ღამისანი, განქარდებიან..."

„და ცუდად ხატად ვალნ კაცი,
ამაოდ შურებენ, იუნჯებენ
და არა უწყინ, ვისდა იყოს იგი"[17].

„არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი
ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა
ამაოება?..
... და აღიძვრიან იმავ მიწისთვის, რაც
დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!.."

მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს
ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ
სადღა იყოს?.."

მეტად საინტერესოა, რომ ყოველივე ამის მიუხედავად, ორივე პოეტი მიდის ერთსა და იმავე დასკვნამდე:

---

15 პ. ინგოროყვა, ვიორგი შერჩულე, გვ. 690; აგრეთვე თხზულებანი, ტ. III, გვ. 152.

16 იქვე.

17 შდრ. ფს. 38,7.

„ჯერ-არს ჩუენდა გულისკმის-ყოფაჲ
და ზრუნვაჲ ცხორებისა საუკუნოჲსა...“
„და არა ვერჩდეთ ჩუენ წუთისა ამას
ცხორებასა...“
„და ყოვლისავე დამკსნელ არს სიკუდი-
ლი, ვიღუაწოთ, ძმანო, მოსლვად-
მდე მისსა“

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან —
შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას
მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი
მკვდარსა ემსგავსოს
იყოს სოფელში და სოფლისთვის
არა იზრუნვოს!“

ეს უკვე ახალი სიტყვაა ამქვეყნიური ამაოების „ეკლესიასტეში“ გამოხატულ გაზრებასთან შედარებით. ამ მეტად პრინციპულ საკითხში იოანე მინჩხი და ნიკოლოზ ბარათაშვილი კვლავ ხვდებიან ერთმანეთს. ეს ორი დიდი პოეტის ტიპოლოგიური შეხვედრის უტყუარი მაგალითი უნდა იყოს.

მინჩხის შემოქმედების ზემოთნაჩვენები მხარეები, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე ტიპიური მაგალითით წარმოვადგინეთ, ნათელს ხდის მისი შემოქმედების საერთო კანონზომიერებას, რაც ტრადიციული მასალის პ ი რ ვ ე ლ ხ ი ლ ვ ი ს, სათავეებისაკენ სწრაფვაში მდგომარეობს. ამ მხრივ საყურადღებოა I სამშაბათის მწუხრისათვის განკუთვნილი მინჩხის მცირე ფორმის საგალობლის უკანასკნელი ტროპარი, რომელიც ქრისტიანული ლიტურგიის ძირითადი და ყველაზე ტრადიციული ლოცვის — „მამაო ჩვენოს“ პოეტურ გადამუშავებას წარმოადგენს (იხ. გვ. 161). ასეთი შემთხვევები ჰიმნოგრაფიის ისტორიაში ძალზე მცირეა. საინტერესოა ის გარემოება, რომ იოანე მინჩხი საკუთარ ხელწერას ტოვებს თვით რიტმულ-მელოდიურ საზომებში — შუა საუკუნეების სასულიერო პოეზიის ყველაზე კანონიკურ სფეროში.

მინჩხის შემოქმედების აღნიშნული თავისებურება ემყარება ბიბლიისა და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის, ლიტურგიკისა და თეოლოგიის ვრცელი სამყაროს პირველხილვის, ხელახლა აღმოჩენისაკენ სწრაფვას.

როგორც აღვნიშნეთ, წინამდებარე ნაშრომი მინჩხის პოეტიკის საგანგებოდ შესწავლას არ ითვალისწინებს. მცირე ფორმის საგალობლების მაგალითზე ჩვენს მიერ ზემოთგანხილული მხატვრული თავისებურებები მინჩხის სხვა ფორმის საგალობლებზედაც ვრცელდება.

იოანე მინჩხის ახლადგამოვლენილი მემკვიდრეობა მცირე ფორმის საგალობლებთან ერთად მოიცავს 2 ჰიმნოგრაფიულ კანონს. მინჩხის ეს კანონები განკუთვნილია დიდმარხვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დღესასწაულების — ლაზარეს შაბათისა და ბზობის კვირიაკისათვის. იოანე მინჩხის ჰიმნოგრაფიული კანონების არსებობა ქართულ მარხვანში დღემდე ცნობილი არ იყო.

ლაზარეს შაბათის განგება გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში ვრცელი რეპერტუარითაა წარმოდგენილი. ეს განგება შეიცავს 11 მცირე ფორმის საგალობელს და 4 ჰიმნოგრაფიულ კანონს[18]. ამ კანონებს შორის მინჩხის კანონს II ადგილი უჭირავს. მას წინ უძღვის ხელნაწერში „ანდრიას“ სახელით წარწერილი კანონი, მოსდევს 2 კანონი, რომელთაგან I ავტორწაუწერელია, II კი „იოვანეს“ სახელითაა წარწერილი.

მინჩხის ავტორობის აღმნიშვნელი მონოგრამა „Თ“ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში მიწერილია აშიაზე, კანონის დასაწყისის გასწვ-

[18] ლაზარეს აღდგომისადმი მიძღვნილი მცირე ფორმის საგალობლები დაუდებულია VI პარასკევის მწუხრზეც.

რივ. მინჩხის კანონი 9 ოდისაგან შედგება, შეიცავს II ოდას — „მოიხილესა“. კანონს მოსდევს ავტორწაუწერელი „აქებდითსა“.

მინჩხის კანონი გამოირჩევა გალობების სიმოკლით. მისი II—IX ოდები 3—3 ტროპარს შეიცავს, 1 ოდა — „უგალობდითსა“ კი 4 ტროპარისაგან შედგება.

ჰიმნოგრაფიული კანონების ტროპართა ჩვეულებრივ მოცულობასთან შედარებით, მინჩხის კანონის ტროპარებს აგრეთვე ახასიათებს სიმოკლე.

კანონი შინაარსობრივად ლაზარეს ცნობილი ეპიზოდის პოეტურ გადამუშავებას წარმოადგენს, რაც სავსებით შეესაბამება მის ლიტურგიკულ ფუნქციას. საგალობელში წამყვანია სახარებისეული სიუჟეტი და ფრაზეოლოგია. ამავე დროს, ლაზარეს აღდგინების ჰიმნოგრაფიაში მრავალგზის დამუშავებული ეპიზოდი იოანე მინჩხის მიერ გამდიდრებულია ახალი, ორიგინალური მხატვრული სახეებითა და ლირიკული წიაღსვლებით.

კანონის თითოეულ ოდასთან დასაწყისი სიტყვებით მითითებულია შესაბამისი ძლისპირები:

უგალობდითსა — არარაჲ არს სახედ; მოიხილესა — ისმენდინ ქუეყანაჲ სიტ; განძლიერდასა — არაჲ სიბრძნითა, არცა; უფ. მესმასა — მოსდრიკენ; ღამითგანსა — უღმრთოთა; ღაღატყავსა — შთავარდი მე; კურთხეულარსა — ბაბილოვნს სამთ; აკურთხევდითსა — მკსნელო; ადიდებდითსა — უწინარეს შობი.

ძლისპირთა ეს აკოლუთია („მოიხილესას“ ძლისპირის გარდა) შესულია ქართულ ძლისპირთა I რედაქციაში[19]. აქ სრული ტექსტებითაა წარმოდგენილი მინჩხის კანონში დასაწყისი სიტყვებით მითითებული ძლისპირები და ღმრთისმშობლისანები. ძლისპირთა ეს აკოლუთია („მოიხილესას“ ძლისპირის ჩათვლით) შესულია ქართულ ძლისპირთა III რედაქციაში[20]. ბერძნული ირმოლოგიონის ს. ევსტრატიადისის გამოცემაში ძლისპირთა ეს აკოლუთია იოანე ბერის სახელითაა წარწერილი[21].

მინჩხის კანონი რიტმულად ზუსტად თანხვდება ძლისპირთა ამ აკოლუთიის ძველ-ქართულ თარგმანებს.

კანონთან ერთად ლაზარეს აღდგინების დღესასწაულისთვისაა განკუთვნილი მინჩხის სტიქარონი „კმაჲ დ. მკნეონი. — მკსნელო ჩუენო, ქრისტე ღმერთო...“, რომელიც დადებულია მეექვსე პარასკევის მწუხრზე.

ამრიგად, დიდმარხვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დღესასწაულს — ლაზარეს აღდგინებას ეძღვნება მინჩხის 2 საგალობელი.

მინჩხის ზემოთგანხილული კანონი სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში შესული არ არის. დღეისათვის ეს საგალობელი ცნობილია მხოლოდ Georg. 5-ში დაცული გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანით.

მინჩხის ახლადგამოვლენილი მეორე კანონი — უგალობდითსა. კმაჲ ა. ბუნებაჲ იგი მდინ. — ღირსმყავ, უფალო...“, როგორც აღვნიშნეთ, ბზობის კვირიაკისათვისაა განკუთვნილი. კანონის დასაწყისის გასწვრივ აშიაზე მიწერილია გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში მინჩხის ავტორობის აღმნიშვნელი მონოგრამა — „Შ“. კანონი 9 ოდისაგან შედგება, შეიცავს მეორე ოდას — „მოიხილესა“. კანონს მოსდევს ავტორწაუწერელი „აქებდითსა“.

---

19 ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი.

20 ნევმირებული ძლისპირნი.

21 *Εἱρμολόγιον*...

ბზობის კვირიაკის განგება — დიდმარხვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაული გეორგ. 5-ის I ნაწილში აგრეთვე ვრცელი რეპერტუარითაა წარმოდგენილი: შეიცავს 11 მცირე ფორმის საგალობელს და 4 ჰიმნოგრაფიულ კანონს. ამ კანონებს შორის მინჩხის კანონს I ადგილი უჭირავს. მას მოსდევს ამავე დღესასწაულისათვის განკუთვნილი 3 კანონი, რომელთაგან პირველი 2 ეკუთვნის კოზმას და ქრისტეფორეს, III კი სახელწაუწერელია.

მინჩხის კანონი წარმოადგენს მაცხოვრის იერუსალიმში შესვლის ეპიზოდის მხატვრულ დამუშავებას, რაც სავსებით შეესაბამება მის ლიტურგიკულ ფუნქციას. აქაც, ისევე როგორც მინჩხის ლაზარეს აღდგომისადმი მიძღვნილ კანონში, წამყვანია სახარებისეული სიუჟეტი და ფრაზეოლოგია. ამავე დროს, საგალობელი შეიცავს ორიგინალურ მხატვრულ სახეებსა და პასაჟებს. კანონის თითოეულ ოდასთან მითითებულია შემდეგი ძლისპირები: უგალობდითსა — ბუნებაჲ იგი მდინ; მოიხილესა — ზეშთა ბუნებისა ხი; განძლიერდასა — ბზისა მპყრობელი და; უფ. მესამასა — იგავმან წინაჲსწარმეტყუელთ; ღამითგანსა — ბრწყინვალედ შუე; ღაღატყავსა — ცუდ იქმნა სიმჴ: კურთხეულარსა — გულისწყრომასა მძლა; აკურთხევდითსა — სიბრძნით სიმ: ადიდებდითსა — ძლეულ იქმნნეს ბუ.

ძლისპირთა ეს აკოლუთია შესულია ქართულ ძლისპირთა I და III რედაქციებში[22]. ბერძნული ირმოლოგიონის ს. ევსტრატიადისის გამოცემაში ძლისპირთა ეს აკოლუთია კოზმა ბერის სახელითაა წარწერილი[23].

მინჩხის კანონი რიტმულად სავსებით შეესაბამება ქართულ ძლისპირთა I და III რედაქციებში დაცულ შესაბამის ძლისპირთა თარგმანებს.

კანონთან ერთად გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში მეექესე შაბათის მწუხრზე შესულია მინჩხის 2 მცირე ფორმის საგალობელიც: „ქმაჲ ა. ზეცისა განწე. — ასულო სიონისაო...“ და „სხუანი. ქმაჲ ა. ქრისტე, კაცთმოყუარე. — წინაჲსწარმეტყუელთა პირველვე...“

ამრიგად, ბზობის დღესასწაული, ისევე როგორც ლაზარეს აღდგინება, მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილ შემოქმედებაში საკმაოდ ფართოდაა ასახული.

ბზობის კვირიაკისათვის განკუთვნილი მინჩხის კანონი სახელწაუწერლად აღმოჩნდა შესული სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში. გეორგ. 5-სა და სინ. 5—სინ. 75 ხელნაწერებში დაცულ კანონის ტექსტებს შორის გეხვდება ვარიანტული სხვაობები.

საინტერესოა, რომ X საუკუნის სინურ იადგარებში — სინ. 1, სინ. 14, სინ. 59, სინ. 64 და ა. შ. დიდმარხვის 2 უმნიშვნელოვანესი დღესასწაული — ლაზარეს აღდგინება და ბზობა შედარებით მცირერიცხოვანი ჰიმნოგრაფიული მასალითაა წარმოდგენილი. იოანე მინჩხის მიერ აღნიშნული დღესასწაულებისათვის ჰიმნოგრაფიული კანონების შექმნა სწორედ ამ გარემოებით უნდა იყოს განპირობებული.

ამრიგად, სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე ცნობილ მინჩხის 6 ჰიმნოგრაფიულ კანონს ემატება 2 ახალი კანონი, რომლებიც კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებს იოანე მინჩხის შემოქმედებას იადგარიდან

---

22 ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი; ნეემირებული ძლისპირნი.

23 Εἱρμολόγιον...

ცალკე კრებულად გამოყოფილ I ქართულ მარხვანთან.

მცირე ფორმის საგალობლებსა და ჰიმნოგრაფიულ კანონებთან ერთად, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში მინჩხის სახელით წარწერილია საგალობელთა კიდევ ერთი ჯგუფი — 8 „მოიხილესა“, რომლებიც წარმოადგენს ბიზანტიელ ჰიმნოგრაფთა მარხვანისათვის განკუთვნილი კანონების II ოდებს. მინჩხის I „მოიხილესას“ გასწვრივ (რომელიც შესულია ყველიერის კვირიაკისათვის განკუთვნილ ელია იერუსალიმელის კანონში) გეორგ. 5-ში აშიაზე მიწერილია „მინჩ“, დანარჩენი 8 „მოიხილესას“ გასწვრივ კი — მისი ავტორობის აღმნიშვნელი მონოგრამა — „ᲨᲘ“. ყველიერის კვირიაკისათვის განკუთვნილი კანონის II ოდასთან მინჩხის ავტორობის სრულად აღნიშვნა გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ესაა გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში დაცული მინჩხის I „მოიხილესა“. როგორც ვნახეთ, ანალოგიური მდგომარეობაა გეორგ. 5-ის I ნაწილში შესულ მინჩხის მცირე ფორმის საგალობლებთანაც.

კანონები, რომლებიც მინჩხის „მოიხილეებს“ შეიცავს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში წარწერილია ელიას, კოზმას, იოსებისა და თეოფანეს სახელით. მოვიტანთ მინჩხის „მოიხილეების“ შემცველი კანონების ნუსხას ხელნაწერში მათთვის განკუთვნილი დღეებისა და ავტორებზე არსებული მითითებებით:

ყ ვ ე ლ ი ე რ ი ს ა კ ვ რ ი ა კ ე ს ა. „უგალობდითსა. გ. ღელვათა და. — ამაღლდა ქრისტე ჯუარსა ზედა...“ 40r—41v. კანონის დასაწყისთან აშიაზე მიწერილია — „ელია“.

მ ე ს ა მ ე ს ა კ ვ რ ი ა კ ე ს ა. „უგალობდითსა. ა გ̅ი. ეტლთა სიმრა. — ძლიერმან ბრძოლასა...“ 93r—94r. კანონის დასაწყისთან აშიაზე მიწერილია — „ელია“.

მ ე ო თ ხ ე ს ა კ ვ რ ი ა კ ე ს ა უგალობდითსა. ბ გ̅ი. უკულევ. — შენ, რომელმან თავს იდევ...“ 116r—117r. კანონის დასაწყისთან აშიაზე მიწერილია — „ელია“.

მ ე ე ქ უ ს ე ს ა პ ა რ ა ს კ ე ვ ს ა. „უგალობდითსა. დ გ̅ი. ეტლთა მფლ. — უგალობდეთ მეუფესა...“ 173v—175v. კანონის დასაწყისთან აშიაზე მიწერილია — „ელ[ია]“.

ბ ზ ო ბ ი ს ა კ ვ რ ი ა კ ე ს ა. „უგალობდითსა. დ. იხილვა კმელა. — პირითა ყრმათა...“ 187r—188r. კანონის დასაწყისთან აშიაზე მიწერილია — „კო[ზმან]“.

დ ი დ ს ა ხ უ თ შ ა ბ ა თ ს ა. „უგალობდითსა. ბ გ̅ი. ზღუაჲ მეწამული. — ღმრთისა სიბრძნემან...“ 202r—203r. კანონის დასაწყისთან აშიაზე მიწერილია — „კოზ[მან]“.

დ ი დ ს ა პ ა რ ა ს კ ე ვ ს ა. „უგალობდითსა. ბ გ̅ი. უკულევსლად. — შენ, რომელი მოსლვად ხარ...“ 204v—205v. კანონის დასაწყისთან აშიაზე მიწერილია — „იოსებ“.

დ ი დ ს ა შ ა ბ ა თ ს ა. „უგალობდითსა. ბ გ̅ი. რომელმან დაფარა...“ 209r—210r. კანონის დასაწყისთან აშიაზე მიწერილია — „თ[ეო]ფ[ა]ნე“.

ამრიგად, მინჩხის „მოიხილეების“ შემცველი კანონები განკუთვნილია ყვე-

ლიერის კვირიაკის, დიდმარხვის III კვირიაკის, IV კვირიაკის, VI პარასკევის[24], ბზობის კვირიაკის, დიდი ხუთშაბათის, დიდი პარასკევისა და დიდი შაბათისათვის. ეს დღეები დიდმარხვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან დღესასწაულებს წარმოადგენს. საინტერესოა ისიც, რომ გეორგ. 5-ში მინჩხის სახელით წარწერილი 9 „მოიხილედან" 4 განკუთვნილია ელია იერუსალიმელის კანონებისათვის. ამ ავტორის შემოქმედებასთან, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, იოანე მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილი მცირე ფორმის საგალობლები განსაკუთრებით მჭიდროდაა დაკავშირებული.

მინჩხის „მოიხილეების" შემცველი ელია იერუსალიმელის, კოზმა იერუსალიმელის, იოსებ მგალობელისა და თეოფანე აღმსარებლის ეს კანონები სახელწაუწერლად აღმოჩნდა შესული X ს-ის სინურ იადგარებში — სინ. 1, სინ. 14, სინ. 59, სინ. 64 და ა. შ. ავტორი — „კ[ო]ზმ[ა]ნ" მიწერილია მხოლოდ სინ. 1-ში დიდი ხუთშაბათის კანონთან. სინურ იადგარებში ეს კანონები შესულია 8-ოდიანი შემადგენლობით — II ოდის (მოიხილესას) გარეშე.

II ოდის გარეშეა შესული აღნიშნული კანონები ბგრძნული და სლავური მარხვანების არსებულ გამოცემებშიც.

მინჩხის 9 „მოიხილესა" და მათი შემცველი კანონები სახელწაუწერლად აღმოჩნდა შესული სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში[25]. დღეისათვის სინ. 5 და სინ. 75 მინჩხის „მოიხილეების" შემცველი უძველესი ნუსხებია.

X საუკუნის სინურ იადგარებში, სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებსა და გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში დაცული ამ კანონების ქართული თარგმანები რედაქციულად სხვაობს ერთმანეთისაგან. აღნიშნული კანონების ქართული თარგმანი იოანე მინჩხს II ოდებით უნდა შეეესო იადგარიდან ცალკე კრებულად გამოყოფილი I ქართული მარხვანისათვის, რომელთანაც მისი შემოქმედება ძალზე მჭიდროდაა დაკავშირებული.

მინჩხის ახლადგამოვლენილი „მოიხილეები" ძირითადად 3—4 ტროპარისაგან შედგება. როგორც შინაარსობრივად, ისე სტერეოტიპულად მათში სრულიად გაწყვეტილია კავშირი II ბიბლიურ გალობასთან. აქ ასახულია სახარებისეული სცენები და გამოყენებულია სახარებისეული ფრაზეოლოგია. მინჩხის ყველა „მოიხილესა" ასახავს იმ დღეების ლიტურგიკულ შინაარსს, რომლებზედაც შესაბამისი კანონებია დადებული. შესაბამისი დღეების ძირითადი ხსენებები და სხვა ლიტურგიკული მაჩვენებლები, ჩვეულებრივ, ასახულია მინჩხის „მოიხილეების" უკანასკნელ (III—IV) ტროპარებში; მინჩხის „მოიხილეების" დასაწყისი (I—II) ტროპარები კი, ჩვეულებრივ, ჯვარცმასა და აღდგომას ეძღვნება. ეს მინჩხის ყველა ახლადგამოვლენილი „მოიხილესას" საერთო ნიშანია. მინჩხის „მოიხილეები" ფრაზეოლოგიით თანხვდება შესაბამისი კანონების ქართულ თარგმანებსაც. როგორც ჩანს, იოანე მინჩხს ისინი საგანგებოდ დაუწერია ელიას, კოზმას, იოსებისა და თეოფანეს ამ კანონების ქართული თარგმანებისათვის.

მინჩხის „მოიხილეები" მისთვის ჩვეული ოსტატობითაა დაწერილი. ენი-

---

24 ეს კანონი თავდაპირველად V კვირიაკისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი (იხ. ამის შესახებ ზემოთ, გვ.

25 ამ ხელნაწერებში დაცული საგალობლების უმეტესობა, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ავტორწაუწერელია.

სა და მხატვრული თავისებურებების მიხედვით თითოეული მათგანი მინჩხის შემოქმედების ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

მინჩხის ყველა „მოიხილესთან“ დასაწყისი სიტყვებით მითითებულია შესაბამისი ძლისპირ-ღმრთისმშობლისანები, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის შესწავლამ გამოავლინა იოანე მინჩხის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობის აქამდე უცნობი სფერო — მისი წვლილი კანონების II ოდების, „მოიხილეთა“ რეპერტუარის შექმნაში[26]. ეს საკითხი ყურადღებას იმსახურებს ჰიმნოგრაფიული კანონის II ოდის მეტად საინტერესო ისტორიის შესწავლისათვის[27].

ჰიმნოგრაფიული კანონის II ოდის — „მოიხილესას“ თავისებური ისტორია დიდი ხანია მკვლევართა ინტერესის საგანს წარმოადგენს.

სხვადასხვა დროს ამ საკითხს იკვლევდნენ ალაციუსი, პიტრა, კრისტი, პაპადოპულო-კერამევსი, ვაი, ლოვიაგინი, ვოზნესენსკი, ველეში, ბეკი, სქირო[28]. კანონის II ოდის შესახებ საინტერესო გამოკვლევა ეკუთვნის ლ. ბერნარდს[29]. დასახელებულ მკვლევართა ნაშრომებში სხვადასხვა მხრივ, სხვადასხვა კუთხითაა გაშუქებული ჰიმნოგრაფიული კანონის II გალობის ისტორია. მიუხედავად ამისა, მოღწეული მასალების სიმცირის გამო, II გალობის ისტორიის საკვანძო საკითხები დღემდე საკამათოდ რჩება.

II გალობა კანონის თავდაპირველი კომპოზიციის აუცილებელი ნაწილია. ამ ოდას კანონი კარგავს უკვე VIII ს-ში. იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის კანონებში II ოდა, ჩვეულებრივ, არ გვხვდება. მერყეობა იწყება შემდეგ — თეოფანე გრაპტოსის ეპოქიდან. IX—X საუკუნეების ბერძენ ჰიმნოგრაფთა შემოქმედებაში გვხვდება როგორც 8-ოდიანი, ისე სრული — II ოდის შემცველი კანონები.

კანონების II ოდის რედუქციის მიზეზად მკვლევართა უმეტესობა (კრისტი[30], ლოვიაგინი[31], ვოზნესენსკი[32], ველეში[33]) ამ ოდის სამგლოვიარო ხასიათს მიიჩნევს; მკვლევართა II ნაწილი (პიტრა, პარანიკასი) ამ მოვლენას რვახმიანი სისტემის გავლენით ხსნის[34]; II გალობის რედუქციის მიზეზად დასახელებუ-

---

[26] იხ. Х а ч и д з е Л., Один из неизвестных аспектов деятельности Иоанна Минчхи, Всесоюзная научная конференция молодых ученых-филологов, тезисы докладов, Тб., 1983, с. 98—100.

[27] ა. პაპადოპულო-კერამევსის სიტყვით ყოველი მეორე გალობის („მოიხილესას“) გამოვლენა — „არის მნიშვნელოვანი მოვლენა ფილოლოგიური თვალსაზრისით“. *А. П. Керамевс*, Δεύτεραι ᾠδαὶ ἁσματικῶν κανόνων, Византийский Временник, СПб, 1906, XIII, с. 484.

[28] საკითხის ისტორიის შესახებ იხ. ლ. კ ვ ი რ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია, თბ., 1982, გვ. 21—25.

[29] B e r n h a r d L., Der Aufbau der 2. Ode im byzantinischen Neuredenkanon. Heuresis. Festschrift für Andreas Rehracher, Salzburg, 1969, s. 91—101.

[30] Christ W., Prolegomena, Anthologia graeca carminum christianorum, Lipsiae, 1871, p. LXIV.

[31] Богослужебные каноны, перевод Е. Л о в я г и н а, СПб., 1875, с. VI.

[32] В о з н е с е н с к и й И., О церковном пении православной греко-российской церкви, Рига, 1890, с. 84.

[33] W e l l e s z E., A History of Byzantine Music and Hymnography, p. 198.

[34] იხ. ამის შესახებ: W. Weyh, Die Akrostichis in der byzantinischen Kanonesdichtung, Byzantinische Zeitschrift, Leipzig, 1908, t. 17, s. 66.

ლია მისი სიდიდეც[35]; მკაცრი, სამგლოვიარო ხასიათი კანონის 11 ოდამ მიიღო 11 ბიბლიური გალობიდან, რომელსაც ის გენეტიკურად უკავშირდება. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ დროთა განმავლობაში 11 ოდა შეეგუა ლიტურგიკის მოთხოვნებს და დაკარგა თავისი პირვანდელი ხასიათი[36].

II გალობის ისტორიის შესწავლისათვის დიდ ყურადღებას იმსახურებს ძველ-ქართული წყაროები, რადგან ქართულ ჰიმნოგრაფიაში მიმდინარე პროცესების სათავეს, როგორც წესი, შესაბამისი პერიოდების ბიზანტიური ჰიმნოგრაფია წარმოადგენს.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ უძველეს იადგარში, რომელშიც იერუსალიმური ლიტურგიკის არქაული სახეა დაცული, 11 გალობა კანონის კომპოზიციის აუცილებელი ელემენტია[37]. უძველეს იადგარში „ამ (11 — ლ. ხ.) გალობათა სტროფების დასაწყისებად გამოყენებულია ათიოდე სტერეოტიპული დასაწყისი, რომლებიც ძირითადად ბიბლიური მეორე გალობიდან მომდინარეობს"[38].

ქართულ ძლისპირთა I რედაქციაში, რომელიც შეიცავს იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის ძლისპირთა აკოლუთიებს, ეს გალობა შესული არ არის[39].

II ოდის გარეშეა წარმოდგენილი ბერძნულიდან თარგმნილი კანონები[40] X ს-ის სინურ იადგარებში — სინ. 1, სინ. 14, სინ. 34, სინ. 59, სინ. 64, სინ. 65.

ყველაფერი ეს შესაბამისი პერიოდების ბერძნული ჰიმნოგრაფიის ტრადიციით უნდა იყოს განპირობებული.

X საუკუნის II ნახევარში ქართულ ჰიმნოგრაფიაში კანონის II გალობისადმი დამოკიდებულება იცვლება. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღეისათვის კარგადაა ცნობილი მიქაელ მოდრეკილის ანდერძი, რომელიც დართულია მის მიერვე შედგენილ იადგარზე: „... შეეკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვპოენ ენითა ქართველთაჲთა: მეხურნი ბერძულნი და ქართულნი. სრულნი ყოვლითა განგებითა, წესისაებრ საეკლესიოჲსა: უფალო ღაღატყავითა, ოხითა, მოიხილითა და აქებდითითა ძლიერად და სიწმიდით და სიმართლით, სისწორითა კილოჲსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა..."

ეს ანდერძი ნათლად მოწმობს მიქაელ მოდრეკილისა და მისი თანამედროვეების დამოკიდებულებას კანონის II გალობისადმი. ანდერძის მიხედვით, მიქაელ მოდრეკილს შეუკრებია ბერძნულიდან თარგმნილი ისეთი კანონები, რომლებიც შეიცავს II ოდებს. S 425-ში შესული კანონებია „მოიხილეების" დიდი ნაწილი თვით მიქაელ მოდრეკილის მიერ უნდა იყოს მოპოვებული. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს S 425-ში დაცული ის კანონები, რო-

---

35 H.-G. Beck, Kirche und theologische Literatur im Byzantinischen Reich, München, 1959, s. 265.

36 W. Christ, Prolegomena, p. LXIII.

37 ელ. მეტრეველი, II გალობა უძველესი იადგარის კანონში, უძველესი იადგარი, გვ. 858.

38 იქვე, გვ. 857.

39 ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ელ. მეტრეველის გამოცემა.

40 ზოგიერთი გამონაკლისის გარდა იხ. ამის შესახებ ლ. ჯღამაია, მეორე გალობის საკითხი X საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიულ კანონში, მრავალთავი, X, გვ. 115.

მელთა II ოდები კანონის საერთო აკროსტიქის გარეშე დგანან[41]. ეს ოდები აღნიშნული კანონების ქართულ თარგმანებზე შემდგომში უნდა იყოს დამატებული.

ზემოთმოტანილი ანდერძიდან, ვფიქრობთ, ყურადღებას იმსახურებს გამოთქმა — „წესისაებრ საეკლესიოჲსა“. როგორც ჩანს, მიქაელ მოდრეკილის იადგარის შედგენის დროისათვის — X საუკუნის 80-იან წლებში კანონებისათვის II ოდების აუცილებლობა განსაზღვრულია უკვე არსებული საეკლესიო წესის მიხედვით. მაშასადამე, მიქაელ მოდრეკილი ამ მხრივ უკვე არსებულ ტრადიციას აგრძელებს. დღეისათვის ჩვენთვის ცნობილი მასალების მიხედვით ამ ტრადიციის სათავე იოანე მინჩხთან მიდის. მიქაელ მოდრეკილის იადგარის შექმნის დროისათვის იოანე მინჩხი უკვე გარდაცელილია. მაშასადამე, დასრულებულია მის მიერ გაწეული საგანგებო სამუშაო კანონების II ოდების შესაქმნელად. მეორე მხრივ, ყურადღებას იმსახურებს ის გარემოებაც, რომ კანონები, რომლებიც იოანე მინჩხს II ოდებით შეუვსია, X საუკუნის სინურ იადგარებში შესულია II ოდების გარეშე. მაშასადამე, უშუალოდ მინჩხის წინადროინდელ ქართულ ტრადიციაში II ოდა კანონის შემადგენლობაში არ შედის. ამის მიხედვით, შეიძლება დაახლოვებით განისაზღვროს ქართულ ჰიმნოგრაფიაში კანონების II ოდებით შევსების დასაწყისი, რომელიც იოანე მინჩხის სახელს უკავშირდება — ეს უნდა იყოს X საუკუნის 50-იანი წლები. ამავე ტრადიციას აგრძელებს მინჩხის უფროსი თანამედროვე — მიქაელ მოდრეკილი. S 425-ზე დართული ზემოთმოტანილი ანდერძისა და მინჩხის შემოქმედების ახლადგამოვლენილი სფეროს გათვალისწინებით S 425-ში დაცული კანონების „მოიხილეების“ ერთი ნაწილი, რომლებიც ჩვენამდე სახელწაუწერლადაა მოღწეული, შესაძლებელია იოანე მინჩხს ეკუთვნოდეს. საინტერესოა, რომ II ოდებს შეიცავს მინჩხის დღეისათვის ცნობილი ყველა (8) ორიგინალური კანონი. ეს ოდები თითოეულ შემთხვევაში მინჩხის შესაბამისი კანონების ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

ამრიგად. X საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართულ ჰიმნოგრაფიაში იწყება კანონების შევსება II ოდებით, რაც ამავე პერიოდის ბერძნულ ჰიმნოგრაფიაში მიმდინარე პროცესს უნდა ასახავდეს.

იოანე მინჩხის ახლადგამოვლენილი მემკვიდრეობა მოიცავს დიდი ოთხშაბათისათვის განკუთვნილ სამსაგალობელსაც. სამსაგალობლის 1 გალობის „განძლიერდასას“ გასწვრივ მიწერილია გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში მინჩხის ავტორობის აღმნიშვნელი „ᲗᲐ“ მონოგრამა.

გეორგ. 5-ის I ნაწილში დიდი ოთხშაბათის განგება წარმოდგენილია 3 სამსაგალობლითა და 13 მცირე ფორმის საგალობლით. დიდი ოთხშაბათის სამსაგალობლებს შორის მინჩხის სამსაგალობელს II ადგილი უჭირავს. ხელნაწერში მას წინ უძღვის კოზმას სახელით წარწერილი სამსაგალობელი, მოსდევს ანდრიას სამფსალმუნი.

ამრიგად, მინჩხის ახლადგამოვლენილი სამსაგალობელი განკუთვნილია დიდმარხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაულის — დიდი ოთხშაბათისათვის. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში იგი შესულია კოზმა იერუსალიმელის და ანდრია კრიტელის კარგად ცნობილ სამსაგალობელთა გვერდით.

41 ლ. კვირიკაშვილი, ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია, გვ. 32—34.

მინჩხის სამსაგალობელი შინაარსობრივად სავსებით შეესაბამება თავის ლიტურგიკულ ფუნქციას. მასში ასახულია დიდი ოთხშაბათის ზოგადი შინაარსი — მაცხოვრის მიერ ნელსაცხებლის ცხება. საინტერესოა, რომ მინჩხის სამსაგალობლის თითოეული ოდის უკანასკნელი ტროპარები „სამებისანებს“ წარმოადგენს.

სამსაგალობლის თითოეულ ოდასთან დასაწყისი სიტყვებით მითითებულია შემდეგი ძლისპირები: განძლიერდასა — ღმერთო მოხედენ მ; აკურთხევდითსა — ყრმანი ბაბილოვნს; ადიდებდითსა — ჯერ არს დუმი.

ეს ძლისპირები სრული ტექსტებითაა დაცული ქართულ ძლისპირთა I რედაქციაში. ბერძნული ირმოლოგიონის ს. ევსტრატიადისის გამოცემაში ისინი იოანეს სახელითაა წარწერილი (Ἰωάννης τῶν Ἀρχλᾶ).

მინჩხის სამსაგალობელი რიტმულად სავსებით შეესაბამება ამ ძლისპირების ძველ-ქართულ თარგმანებს.

ახლადგამოვლენილი სამსაგალობელი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ფორმის თვალსაზრისით. სამსაგალობლის ფორმის არსებობა მინჩხის შემოქმედებაში აქამდე არ იყო ცნობილი.

სამსაგალობელი, როგორც ცნობილია, მარხვან-ზატიკის სპეციფიკურ სალექსო ფორმას წარმოადგენს. ამ სალექსო ფორმიდან მომდინარეობს მარხვან-ზატიკის ბერძნული სახელწოდებაც — „Τριῴδιον“.

ამრიგად, მცირე ფორმის საგალობლებთან, ჰიმნოგრაფიულ კანონებთან და მოიხილეებთან ერთად, ქართული მარხვანისათვის იოანე მინჩხს დაუწერია მარხვანისათვის ყველაზე ორგანული ფორმის მქონე საგალობელიც — „სამფსალმუნი“ ანუ „ხუედრნი“.

ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი შეიცავს იოანე მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილ 101 საგალობელს. აქედან 31 მცირე ფორმის საგალობელი მინჩხის სახელითაა წარწერილი სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებშიც, 70 კი მის აქამდე უცნობ მემკვიდრეობას წარმოადგენს. გეორგ. 5-ის I ნაწილში მინჩხის ავტორობა მის ტრადიციულ და ახლადგამოვლენილ საგალობლებთან აღნიშნულია ერთი წესით — ასომთავრული მანით [„ᲗᲐ“].

მინჩხის ახლადგამოვლენილი მემკვიდრეობის ძირითად ნაწილს შეადგენს 58 მცირე ფორმის საგალობელი. გეორგ. 5-ის I ნაწილში მინჩხის სახელით წარწერილი სტიქარონები განკუთვნილია დიდმარხვის მთელი პერიოდისათვის — ხორცის აღების შაბათიდან დიდი შაბათის ჩათვლით. სტიქარონთა ეს რეპერტუარი გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს. დიდმარხვის კვირა დღეებსა და განსაკუთრებით მნიშვნელოვან დღესასწაულებზე, ჩვეულებრივ, ხელნაწერში ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილია მინჩხის 2,3 ან მეტი მცირე ფორმის საგალობელი. ამ დღეებისათვის განკუთვნილი მინჩხის სტიქარონები ტროპართა მოცულობითა და რაოდენობით აგრეთვე აღემატება მინჩხის სხვა მცირე ფორმის საგალობლებს. მათი შექმნისას, როგორც ჩანს, იოანე მინჩხს გაუთვალისწინებია შესაბამისი დღეების ლიტურგიის ხანგრძლივობა.

მინჩხის 9 მცირე ფორმის საგალობელი გეორგ. 5-ის I ნაწილში გაერთიანებულია სხვა სტიქარონებთან. სტიქარონების კომპილაცია თითოეულ შემთხვევაში ემყარება „დასაწყვილებელ“ სტიქარონებში გამოყენებულ ერთსა და იმავე ძლისპირებს. საგალობელთა კომპილაცია საერთოდაა დამახასიათებელი გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანისათვის, რაც მისი თა-

ნამედროვე ბიზანტიური ლიტურგიკული პრაქტიკით უნდა იყოს განპირობებული.

გეორგ. 5-ის I ნაწილის შესწავლამ ნათელყო, თუ რა სიზუსტით იცნობს გიორგი მთაწმიდელი იოანე მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილ თითოეულ საგალობელს: ხელნაწერში მინჩხის ავტორობა მითითებულია კომპილაციურ საგალობლებში შესულ მის თითოეულ ტროპართანაც კი. საინტერესოა, რომ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში მინჩხის საგალობლები შეტანილია მათი ტექსტებისა და რიტმული პუნქტუაციის საგანგებოდ დადგენის შემდეგ.

მინჩხის ახლადგამოვლენილი სტიქარონები ზუსტად თანხვდება მარხვანის შესაბამისი დღეების ლიტურგიკულ შინაარსს, მათში ზედმიწევნითაა ასახული მარხვანების რთული „რეგლამენტაცია". ამასთან, მინჩხის ახლადგამოვლენილი სტიქარონები იერუსალიმური მარხვანების ტრადიციას მისდევს.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანისა და სინ. 5 ხელნაწერში დაცული მრავალმხრივ საინტერესო სათაურის მიხედვით, ვფიქრობთ, შესაძლებელი ხდება იადგარიდან ცალკე კრებულად გამოყოფილი, ქართული ჰიმნოგრაფიისათვის მეტად საყურადღებო I ქართული მარხვანის რეკონსტრუქცია. როგორც ირკვევა, მარხვანის ამ რედაქციაში კვირიაკეების — კვირა დღეებისათვის განკუთვნილი კანონები ეკუთვნოდა ელია იერუსალიმელს, სამსაგალობლების 2 სრული ციკლი — თეოდორე სტუდიელსა და სტეფანე საბაწმიდელს, მთელი სტიქარონული ნაწილი კი — იოანე მინჩხს. გეორგ. 5-ის I ნაწილისა და სინ. 5—სინ. 75 ხელნაწერების მიხედვით ირკვევა, თუ რომელი საგალობლები ეკუთვნოდა I ქართულ მარხვანში დასახელებულ ავტორებს*. I ქართული მარხვანის რეკონსტრუქცია ყურადღებას იმსახურებს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის კვლევისათვისაც, რადგან ნათელს ფენს ბერძნული მარხვანის ერთ-ერთ თავდაპირველ, დღეისათვის უცნობ ეტაპს. მარხვანის ამ რედაქციის გეგმაზომიერი „გაქართულება" დაუსახავს მიზნად იოანე მინჩხს.

მინჩხის ახლადგამოვლენილი საგალობლები ქართული ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს. მათში დიდი ტრადიციულობა შერწყმულია დიდ ორიგინალობასთან, რაც მინჩხის შემოქმედებას განუმეორებელ სახეს ანიჭებს. ორიგინალურია მინჩხის საგალობლთა მრავალრიცხოვანი მსატვრული სახეები, განწყობილებები, რიტმულ-მელოდიური საზომები. ეს დიდი ორიგინალურობა უნდა იყოს მიზეზი მინჩხის შემოქმედების უჩვეულო აღიარებისა.

მცირე ფორმის საგალობლებთან ერთად, ქართული მარხვანისათვის იოანე მინჩხს შეუქმნია 2 ჰიმნოგრაფიული კანონი, 9 „მოიხილესა" და 1 სამსაგალობელი. ეს საგალობლები, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იმსახურებს პოეტური ფორმების თვალსაზრისით. დღემდე მინჩხის შემოქმედებაში ცნობილი არ იყო მარხვანისათვის განკუთვნილი ჰიმნოგრაფიული კანონებისა და მარხვანისათვის ყველაზე ორგანული ფორმის მქონე საგალობლის — სამფსალმუნის ანუ ხუედრნის არსებობა.

მინჩხის ახლადგამოვლენილი საგალობლების შესწავლამ ნათელყო მისი მოღვაწეობის აქამდე უცნობი სფერო — მინჩხის წვლილი კანონების 11 ოდე-

---

* მარხვანისათვის განკუთვნილი თეოდორე სტუდიელისა და სტეფანე საბაწმიდელის საგალობლებს სწავლობს ლ. ხევსურიანი.

ბის — „მოიხილეთა“ რეპერტუარის შექმნაში. მინჩხის 9 ახლადგაცნობილი „მოიხილესა“ საგანგებოდაა დაწერილი ელია იერუსალიმელის, კოზმა იერუსალიმელის, თეოფანე აღმსარებელისა და იოსებ მგალობელის მარხვანისათვის განკუთვნილი კანონების ქართული თარგმანებისათვის. ეს საკითხი ყურადღებას იმსახურებს ჰიმნოგრაფიული კანონის II გალობის მეტად საინტერესო ისტორიის შესწავლისათვის. როგორც ირკვევა, X ს-ის 50-იან წლებში ქართულ ჰიმნოგრაფიაში იწყება კანონების შეცვლა II ოდებით, რაც ამავე პერიოდის ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში მიმდინარე პროცესს უნდა ასახავდეს. დღეისათვის არსებული მასალების მიხედვით, ამ ტრადიციის სათავე იოანე მინჩხთან მიდის. შემდგომში ეს ტრადიცია გრძელდება მიქაელ მოდრეკილისა და მისი თანამედროვეების მიერ.

ამრიგად, ქართულ მარხვანზე იოანე მინჩხს ჩატარებული აქვს მეტად რთული და მიზანდასახული სამუშაო. იგი ავტორია იადგარიდან ცალკე კრებულად გამოყოფილი I ქართული მარხვანის მთელი სტიქარონული ნაწილისა. მარხვანის ამ კრებულისათვის იოანე მინჩხს შეუქმნია სხვა აუცილებელი კომპონენტებიც — ლაზარეს შაბათისა და ბზობის კვირიაკისათვის განკუთვნილი კანონები და „მოიხილეების“ რეპერტუარი მარხვანისათვის განკუთვნილი ბერძნულიდან თარგმნილი კანონებისათვის. ნიშანდობლივია მინჩხის საგალობლების თემატური და ფრაზეოლოგიური კავშირიც I ქართულ მარხვანში წარმოდგენილი ბერძნი ავტორების შემოქმედებასთან. ყოველივე ამის მიხედვით, იოანე მინჩხი იადგარიდან ცალკე კრებულად გამოყოფილი I ქართული მარხვანის რედაქტორი და შემადგენელი უნდა იყოს. მინჩხი ერთადერთი ავტორია ქართველ ჰიმნოგრაფთა შორის, რომელსაც ამგვარი სირთულისა და მოცულობის სამუშაო აქვს ჩატარებული. I ქართული მარხვანი საფუძვლად დაედო ამ კრებულის შემდგომდროინდელ რედაქციებს, მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილი სტიქარონები კი ძლისპირებად იქნა დაკანონებული ქართულ ჰიმნოგრაფიაში.

მინჩხის განსაკუთრებულ წვლილს ქართული მარხვანის ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებული სიზუსტით აღბეჭდავს გიორგი მთაწმიდელი — ქართული და ბიზანტიური მწერლობის ზედმიწევნით მცოდნე სწავლული, რომლის ნაშრომებში ქართული საგალობლები, ჩვეულებრივ, მცირე რაოდენობითაა შესული. ეს საგალობლები, გიორგისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ფრიად კეთილ არიან და საწადელ...“ ამრიგად, XI საუკუნის საქართველოს ყველაზე ავტორიტეტულ წრეებში იოანე მინჩხის შემოქმედება უჩვეულო აღიარებით სარგებლობს.

თავი V

იოანე მინჩხის საგალობლები ახლადგამოვლენილ ხელნაწერებში

იოანე მინჩხის საგალობლები აღმოჩნდა მთელ რიგ ხელნაწერებში, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ცნობილი არ იყო, როგორც მინჩხის საგალობლების შემცველი ნუსხები. ამ ხელნაწერებში შესულია მინჩხის ტრადიციული და გეორგ. 5-ით გამოვლენილი საგალობლები; ათონური კოლექციის ქართული ხელნაწერებისა და იერ. 130-ის შესწავლამ კი გამოავლინა მინჩხის აქამდე უცნობი საგალობლების კიდევ ერთი ჯგუფი.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანით გამოვლენილი მინჩხის საგალობლები აღმოჩნდა X საუკუნის სინურ იადგარებსა და სინ. 5—სინ. 75 ხელნაწერებში. სინ. 5-სა და სინ. 75-ში შესული მინჩხის ტრადიციული საგალობლები ნაშრომის II თავში განვიხილეთ. ქვემოთ განვიხილავთ სინ. 5-სა და სინ. 75-ში სახელწაუწერლად შესულ მინჩხის ახალ საგალობლებს.

მინჩხის ტრადიციული და გეორგ. 5-ით გამოვლენილი საგალობლები შესულია A 568 და იერ. 130 ხელნაწერებში. ეს ხელნაწერები სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა შესწავლილი. ამიტომ, პირველ ყოვლისა, საჭირო გახდა მათში წარმოდგენილი მარხვანის რედაქციული სახის დადგენა. A 568 და იერ. 130 ხელნაწერებში (აგრეთვე ათ. 59-ში) დაცული მარხვანის რედაქციული სახის დადგენა შესაძლებელი გახდა გეორგ. 5-ში დაცული გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის მიხედვით. ტრადიციულ და გეორგ. 5-ით გამოვლენილ საგალობლებთან ერთად, იერ. 130 შეიცავს მინჩხის უცნობ მცირე ფორმის საგალობელსაც.

მინჩხის შემოქმედების კვლევისათვის საინტერესო სურათი მოგვცა ათონური კოლექციის ქართული ხელნაწერების შესწავლამ.

ათონური კოლექციის ქართულ ხელნაწერში — ათ. 59 შესული აღმოჩნდა მარხვანისათვის განკუთვნილი მინჩხის საგალობლების უმეტესი ნაწილი; ათ. 59 შეიცავს მინჩხის აქამდე უცნობ 2 მცირე ფორმის საგალობელსაც. ეს ხელნაწერი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია რ. ბლეიკის ძალზე სქემატური აღწერილობით, დიდ ყურადღებას იმსახურებს ქართული მარხვანის ისტორიისა და გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობითი მუშაობის შესწავლის თვალსაზრისითაც. ამიტომ მას შედარებით ფართოდ განვიხილავთ.

მინჩხის აქამდე უცნობი საგალობლები შესული აღმოჩნდა ათ. 45 და ათ. 58 ხელნაწერებშიც. ათ. 58-ით გამოვლენილი მინჩხის მცირე ფორმის საგალობელი სახელწაუწერლადაა შესული იერ. 100 ხელნაწერშიც.

მინჩხის საგალობლების შემცველი 10 ახალი ხელნაწერი წარმოადგენს სხვადასხვა ხასიათისა და დანიშნულების ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრე-

ბულებს — მარხვანებს, იადგარებს, თუენებს, პარაკლიტონს. ეს ხელნაწერები მიეკუთვნება სინურ, იერუსალიმურ, ათონურ და ადგილობრივ კოლექციებს. მინჩხის შემოქმედების გავრცელების არეალთან ერთად, აღნიშნული ხელნაწერები აზუსტებს მისი შემოქმედების გავრცელების ქრონოლოგიასაც. ეს ხელნაწერები ყურადღებას იმსახურებს მინჩხის საგალობლების ტექსტის დადგენის თვალსაზრისითაც.

ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ მინჩხის საგალობლების შემცველ თითოეულ ახლადგამოვლენილ ხელნაწერს, შევეხებით მხოლოდ მათ არსებით მხარეებს; ამ ხელნაწერებში დაცულ მინჩხის როგორც ტრადიციულ, ისე გეორგ. 5-ით გამოვლენილ საგალობლებს ვუთითებთ ნაშრომში გამოქვეყნებულ მინჩხის საგალობელთა ტექსტებიდან. თითოეულ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ, თუ რა სიახლეს შეიცავს ეს ხელნაწერები მინჩხის შემოქმედების შესწავლისათვის; იერ. 130-ითა და ათონური ხელნაწერებით გამოვლენილი მინჩხის უცნობი საგალობლების ტექსტები აგრეთვე ქვეყნდება ქვემოთ.

სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერებსა და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანებში დაცულ მინჩხის ტრადიციულ და გეორგ. 5-ით გამოვლენილ საგალობლებს, აგრეთვე ათონური კოლექციის ქართულ ხელნაწერებში დაცულ მინჩხის საგალობლებს ცალ-ცალკე ქვეთავებად განვიხილავთ.

1. იოანე მინჩხის ტრადიციული და გეორგ. 5-ით გამოვლენილი საგალობლები სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერებსა და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანებში

მინჩხის საგალობლები X საუკუნის სინურ იადგარებში — სინ. 59 და სინ. 64

X საუკუნის სინური იადგარებიდან იოანე მინჩხის საგალობლები შესული აღმოჩნდა 2 ხელნაწერში — სინ. 59 და სინ. 64. ამ ხელნაწერებში, ისევე როგორც სინ. 49-სა და სინ. 65-ში, ახალი ტიპის იადგარი წარმოდგენილია გავრცობილი და გაფართოებული სახით[1]. სინ. 59 X საუკუნით, სინ. 64 კი X საუკუნის II ნახევრითაა დათარიღებული[2]. ეს ხელნაწერები ერთი რედაქციისაა. მათში წარმოდგენილ „დასდებელთა უმეტესობა ხედმიწევნით თანხვედრილია შედგენილობით და ტექსტობრივად"[3].

იადგარის შემადგენელი ნაწილებიდან სინ. 59-სა და სინ. 64-ში წინადროინდელ სინურ იადგარებთან (სინ. 1, სინ. 14...) შედარებით გაცილებით განვითარებული და გავრცობილია მარხვანისათვის განკუთვნილი მასალა[4]. ეს მასალა სინ. 59-სა და სინ. 64-ში უკვე შეიცავს თეოდორე სტუდიელის მარხვანისათვის განკუთვნილი სამსაგალობლების მთელ კომპლექტს[5]. წინადროინდელი სინური იადგარებიდანაა გადასული ამ ხელნაწერებში დიდმარხვის კვი-

---

1 ელ. მეტრეველი, წინასიტყვაობა, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვეთი I, გვ. 10.

2 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვეთი I, გვ. 162, გვ. 187.

3 იქვე, გვ. 186.

4 იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 25.

5 ლ. ხევსურიანი, უძველესი იადგარის ვნების კვირა, უძველესი იადგარი, გვ. 775.

რიაკეებისათვის განკუთვნილი ელია პატრიარქის კანონები[6]. სინ. 59-სა და სინ. 64-ში მარხვანისათვის განკუთვნილი მასალა შეიცავს მცირე ფორმის საგალობლებსაც. კანონებისა და სამსაგალობლებისაგან განსხვავებით, სინ. 59-ისა და სინ. 64-ის სამარხვო ნაწილში მცირე ფორმის საგალობლები აშკარად არასაკმარისი რაოდენობითაა შესული.

ამ ხელნაწერებში სახელწაუწერლადაა შესული იოანე მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილი 4 ახლადგამოვლენილი მცირე ფორმის საგალობელი. ეს საგალობლები მინჩხის საგალობელთა ტექსტებში 28, 56, 58 და 86 ნომრებითაა შესული. მინჩხის ამ საგალობლების სინ. 59—სინ. 64 ხელნაწერებსა და გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში დაცული ტექსტები ვარიანტულ სხვაობებს გვიჩვენებს.

სინ. 59 და სინ. 64 ხელნაწერები ძირითადად ბერძნულიდან თარგმნილ ჰიმნოგრაფიულ მასალას შეიცავს. ქართული მასალა ამ ხელნაწერებში ძალზე მცირე რაოდენობითაა შესული. ესაა აბო თბილელის, წმ. ნინოს და ლონგინოზისადმი მიძღვნილი საგალობლები, აგრეთვე ფილიპე ბეთლემის აკროსტიქული საგალობელი. სინ. 59-სა და სინ. 64-ში შესული ეს მასალა ვამოვლენილ იქნა ნ. მარის მიერ[7]. სინ. 59-სა და სინ. 64-ში დადასტურებული მინჩხის 4 მცირე ფორმის საგალობელი ამ ხელნაწერებში შესული დღემდე უცნობი ქართული მასალაა.

სინ. 59 და სინ. 64 დღეისათვის მარხვანისათვის განკუთვნილი მინჩხის საგალობლების შემცველი უძველესი ნუსხებია. ამ საგალობლების შემცველი შემდგომდროინდელი ხელნაწერები — სინ. 5 და სინ. 75 1052 წლითა და XI საუკუნით თარიღდება[8].

გეორგ. 5-ით გამოვლენილი იოანე მინჩხის საგალობლები სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში

სინური კოლექციის ქართული ხელნაწერები — სინ. 5 და სინ. 75, როგორც ზემოთ გავარკვიეთ, იოანე მინჩხის შემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით მრავალმხრივ ყურადღებას იმსახურებს. ამ ხელნაწერებში მინჩხის სახელით წარწერილია 32 მცირე ფორმის საგალობელი. სინ. 5-სა და სინ. 75-ში სახელწაუწერლად შესული მთელი რიგი საგალობლებისა და სინ. 5-ში დაცული მრავალმხრივ საინტერესო სათაურის მიხედვით, ეს ხელნაწერები მინჩხის სახელით წარწერილ საგალობლებთან ერთად მის სხვა, სახელწაუწერელ საგალობლებსაც უნდა შეიცავდეს[9]. სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის სახელწაუწერელი საგალობლების გამოყოფა შესაძლებელი ხდება გიორგ. 5-ში დაცული გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის მიხედვით, სადაც ავტორზე ზუსტი მითითებებით შესულია მარხვანისათვის განკუთვნილი მინჩხის ყველა საგალობელი.

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, გეორგ. 5-ის I ნაწილში ავტორზე ზუსტი მითითებებით შესულია სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის სახელით წარწერილი 31 მცირე ფორმის საგალობელი. ტრადიციულ საგალობლებთან ერთად, გიორ-

---

6 იხ. ზემოთ, გვ. 31.

7 Марр Н., Описание грузинских рукописей Синайского монастыря, с. 100—107,

8 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, II, გვ. 8, 45.

9 იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 34, 39, 54.

გი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის შესწავლამ გამოავლინა მარხვანისათვის განკუთვნილი მინჩხის 70 აქამდე უცნობი მცირე ფორმის საგალობელიც.

მინჩხის ახლადგამოვლენილი 70 მცირე ფორმის საგალობლიდან 47 სახელწაუწერლად აღმოჩნდა შესული სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში. სინ. 5-სა და სინ. 75-ში სახელწაუწერლად შესული ეს სტიქარონები ქვემოთ, მინჩხის საგალობელთა ტექსტებში შემდეგი ნომრებითაა შესული: 9, 10, 12, 15, 16, 20, 22, 23, 24, 25, 28, 30, 31, 32, 35, 39, 40, 46, 48, 51, 53, 54, 55, 56, 57, 62, 63, 64, 65, 66, 69, 70, 71, 72, 73, 74, 76, 77, 78, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86 და 89.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანისაგან განსხვავებით, სინ. 5-სა და სინ. 75-ში ცალ-ცალკე სტიქარონებადაა შესული პუბლიკაციაში 20, 22, 35 ნომრებით აღნიშნული მინჩხის მცირე ფორმის საგალობლები. ამ სტიქარონების კომპილაცია გიორგი მთაწმიდელს მათი პოეტური საზომების (ძლისპირების) იგივეობის საფუძველზე უნდა მოეხდინა. როგორც ზემოთ გავარკვიეთ, საგალობელთა კომპილაცია საერთოდაა დამახასიათებელი გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანისათვის.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში ცალკე სტიქარონებადაა შესული ჩვენს პუბლიკაციაში 23, 57 ნომრებით აღნიშნული მინჩხის მცირე ფორმის საგალობლებიც, რომლებიც გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში გაერთიანებულია იოსებ მგალობელის სტიქარონებთან.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანისაგან განსხვავებით, პუბლიკაციაში 73 და 74 ნომრებით შესული მინჩხის მცირე ფორმის საგალობლები სინ. 5-სა და სინ. 75-ში შეიცავს თითო ახალ ტროპარს, რომლებიც მინჩხის ამ სტიქარონების დასაწყის ტროპარებს წარმოადგენს. ამგვარ შემთხვევებში გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი უფრო ახლოს უნდა იდგეს მინჩხისეულ ტრადიციასთან (იხ. ამის შესახებ ნაშრომის VI თავი).

მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების საზომების შესწავლის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: დიდმარხვის VI ორშაბათისათვის განკუთვნილ უფ. ღაღატყავსას „სხუანი ბ გ~ი. — ნეტარ არს რომელმან...“ სინ. 5-ში სათაურშივე მითითებული აქვს — „თჳთნი“. ანალოგიურად, სინ. 5-ის მოწმობით, მინჩხის ეს სტიქარონი „თჳთ-ძლისპირი“ ანუ „თჳთ — ავაჯია“.

როგორც ზემოთ გავარკვიეთ, მცირე ფორმის საგალობლებთან ერთად, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში მინჩხის სახელით წარწერილია 8 „მოიხილესა“, რომლებიც წარმოადგენს ელია იერუსალიმელის, კოზმა იერუსალიმელის, იოსებ მგალობელის და თეოფანე აღმსარებელის ჰიმნოგრაფიული კანონების II ოდებს. ეს კანონები ავტორწაუწერლადაა შესული სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში; გამონაკლისს წარმოადგენს VI პარასკევასათვის განკუთვნილი კანონი, რომელსაც სინ. 5-სა და სინ. 75-ში ავტორი სათაურშივე აქვს მითითებული[10]. ამ კანონების შემადგენლობაში სინ. 5-სა და სინ. 75-ში სახელწაუწერლად აღმოჩნდა შესული გეორგ. 5-ით გამოვლენილი მინჩხის 8-ვე „მოიხილესა“.

---

[10] ამის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 31.

სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერები შეიცავს ბზობის კვირიაკისათვის განკუთვნილ მინჩხის ახლადგამოვლენილ ჰიმნოგრაფიულ კანონსაც. ეს კანონი სინ. 5-სა და სინ. 75-ში ავტორწაუწერლადაა შესული.

სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში შესული აღმოჩნდა მინჩხის დიდი ოთხშაბათისათვის განკუთვნილი სამსაგალობელიც. სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის სამსაგალობლის თითოეული ოდა „სხუანის“ სახითაა დართული დიდი ოთხშაბათისათვის განკუთვნილი კანონის — „უგალობდითსა. ზღუსა ღელ. — რომელმან მოსცა...“|III, VIII და IX გალობებზე. სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში მინჩხის სამსაგალობლის თითოეული ოდა ავტორწაუწერლადაა შესული.

ამრიგად, სინური კოლექციის ქართული ხელნაწერები — სინ. 5 და სინ. 75 სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულ 30 მცირე ფორმის საგალობელთან ერთად, სახელწაუწერლად შეიცავს მინჩხის ახლადგამოვლენილ 47 მცირე ფორმის საგალობელს, 8 „მოიხილესას“, ერთ ჰიმნოგრაფიულ კანონს და ერთ სამსაგალობელს. მინჩხის ეს საგალობლების გეორგ. 5-სა და სინ. 5—სინ. 75 ხელნაწერებში დაცული ტექსტები ვარიანტულ სხვაობებს გვიჩვენებს. ამ განსხვავებების ერთი ნაწილი გიორგი მთაწმიდელს უნდა შეეტანა მინჩხის საგალობლების ტექსტებში მათი დადგენის მიზნით. ავტორწაუწერელ საგალობლებთან ერთად, სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის სახელით წარწერილია 2 მცირე ფორმის საგალობელიც, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე არ იყო ცნობილი[11].

ამრიგად, იოანე მინჩხის საგალობლები სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში დაცული მარხვანის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს. სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის ყველა საგალობელი გადასული უნდა იყოს პროტოტიპული ქართული მარხვანიდან, რომლის შედგენაში იოანე მინჩხს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის.

A 568. ხელნაწერი აღწერილია თ. ჟორდანიას მიერ[12]. ესაა ძალზე მოკლე აღწერილობა. ხელის მიხედვით თ. ჟორდანია ხელნაწერს XII საუკუნის დასაწყისით ათარიღებს. ხელნაწერის რაობა თ. ჟორდანიას მიერ ზოგადადაა განსაზღვრული: „Экземпляр этот заключает в себе порядки служб по древнему чину (Палестинскому), хотя помещены несколько песнопений и по чину „Греческому“, т. е. Константинопольской церкви...“[13].

შემდგომში ხელნაწერი აღწერა კ. კეკელიძემ[14]. კ. კეკელიძის განსაზღვრებით ხელნაწერი შეიცავს ნაწყვეტს მარხვანიდან.

A 568-ში წარმოდგენილი მარხვანის რედაქციის დასადგენად ჩვენ იგი შევუდარეთ ქართული მარხვანის 2 რედაქციას: სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში დაცულს და გეორგ. 5-ში დაცულ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანს. შედარებამ აჩვენა, რომ A 568-ში დაცულია გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანი.

ხელნაწერი ჩვენამდე ნაკლულადაა მოღწეული. იგი იწყება დიდმარხვის

---

11 იხ. ნაშრომის IV თავი, გვ. 137.

12 Описание рукописей Тифлисского церковного музея, кн. II, Тифлис, 1902, с. 89—90.

13 იქვე.

14 К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, с. 399—400.

I კვირიაკისათვის განკუთვნილი თავნაკლული კანონით, მთავრდება V ორშაბათის ცისკრის მასალით.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის შესაბამის მასალასთან შედარებით A 568-ში წარმოდგენილი მარხვანი შეიცავს შედარებით მცირე ჰიმნოგრაფიულ მასალას. მასში შესული არ არის მინჩხის სტიქარონების ერთი ჯგუფი, აგრეთვე კვირა დღეების — კვირიაკეებისათვის განკუთვნილი სხვადასხვა ავტორთა რიგი ჰიმნოგრაფიული კანონები.

A 568-ში სახელწაუწერლადაა შესული მარხვანისათვის განკუთვნილი მინჩხის 10 მცირე ფორმის საგალობელი. აქედან 5 სტიქარონი მინჩხის სახელითაა წარწერილი სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებშიც. მინჩხის საგალობელთა ტექსტებში ეს სტიქარონები 20, 22, 24, 30 და 53 ნომრებითაა შესული, 5 კი გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანითა და ათ. 59-ით იქნა გამოვლენილი (ეს სტიქარონები ჩვენს პუბლიკაციაში შესულია 23, 31, 32, 57 და 75 ნომრებად).

A 568-ში მინჩხის მცირე ფორმის საგალობლები შესულია იმავე დღეებზე და იმავე ტექსტებით, როგორც გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში. გიორგისეულ ტრადიციას A 568-ში დაცული მინჩხის სტიქარონები შედგენილობითაც ემთხვევა. ასე მაგ. დიდმარხვის II სამშაბათისათვის განკუთვნილი მინჩხის სტიქარონი „კმაჲ დ. რომელი მოხუე. — ცანი ეგე მაღალნი...“ გეორგ. 5-ში შეიცავს დამატებით ტროპარებს. ეს ტროპარები სინ. 5-სა და სინ. 75-ში სახელწაუწერლად შესული ცალკე სტიქარონია. A 568-ში დაცული მინჩხის ეს სტიქარონი შედგენილობით ზუსტად თანხვდება გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის ჩვენებას. ანალოგიური მდგომარეობაა II ოთხშაბათის და III სამშაბათის მწუხრისათვის განკუთვნილ მინჩხის სტიქარონებშიც.

სინ. 5-ისა და სინ. 75-გან განსხვავებით, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში IV პარასკევისათვის განკუთვნილი მინჩხის სტიქარონი „გ გ̄ი. მჯდომარე ეტ. — ჭეშმარიტისა მეძიებელო ქრისტე...“ გაერთიანებულია იოსებ მგალობელის ამავე საზომით დაწერილ სტიქარონთან. გეორგ. 5-ში ამ კომპილაციური საგალობლის დასაწყისთან მიწერილია „იოსებ“, საგალობლის IV ტროპარის გასწვრივ კი — „მ[ინჩხი]“. A 568-ში ეს საგალობელი ამავე სახითაა შესული; აქ ავტორზე მითითებები არ გვაქვს, მაგრამ საგალობლის IV ტროპარი (რომელიც გეორგ. 5-ის მიხედვით მინჩხის სტიქარონის I ტროპარს წარმოადგენს) A 568-ში სინგურითაა დაწყებული. საზოგადოდ, ამავე წესითაა გამიჯნული A 568-ში სხვა კომპილაციური საგალობლების შემადგენელი ნაწილებიც.

მინჩხის შემოქმედების თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს შემდეგი გარემოება: დიდმარხვის II კვირიაკისათვის განკუთვნილ მინჩხის სტიქარონს „კმაჲ გ. გულისკმავყოთ ამაოებაჲ ჩუენი...“, რომელიც სხვა ხელნაწერებში ყოველგვარი აღნიშვნის გარეშეა შესული, A 568-ში დასაწყისის გასწვრივ აშიაზე მიწერილი აქვს — „თ̄ონი“. ამრიგად, A 568-ის მოწმობით მინჩხის ეს სტიქარონი „თ̄ ო̄ — ძ ლ ი ს პ ი რ ი“ ა ნ უ „თ̄ ო̄ — ა ვ ა ჯ ი ა“.

ი ე რ. 130. ხელნაწერი აღწერილია ა. ცაგარლისა[15] და რ. ბლეიკის[16] მიერ. ორივე აღწერილობა ძალზე მოკლე და სქემატურია. ბლეიკის სამართლიანი დაკვირვებით ხელნაწერი 2 ნაწილისაგან შედგება. მისი I ნაწილი (1—91 გვ.) შეიცავს მარხვანს, II ნაწილი კი (92r—295v) — ძველი აღთქმის საკითხავებს. ხელნაწერის ორივე ნაწილი ნაკლულადაა მოღწეული.

იერ. 130-ის I ნაწილს რ. ბლეიკი XI—XIII საუკუნეებით ათარიღებს. ხელნაწერის ეს ნაწილი იწყება დიდმარხვის II კვირიაკისათვის განკუთვნილი კანონის V ოდის („ღამითგანსას") ტექსტით[17]. ამის შემდეგ ხელნაწერში საკმაოდ მნიშვნელოვანი დეფექტებით წარმოდგენილია მარხვანის შემდგომი პერიოდის მასალა, რომელიც მთავრდება დიდი ხუთშაბათის „ხუედრნის" არასრული ტექსტით.

იერ. 130-ში დაცული მარხვანისათვის განკუთვნილი მასალა საკმაოდ დეფექტურია. დიდმარხვის ცალკეული დღეების ჰიმნოგრაფიულ მასალასთან ერთად, ხელნაწერს მთლიანად აკლია ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანი" და ა. შ.

იერ. 130-ში დაცული მარხვანის შედარებამ გეორგ. 5-ში დაცულ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანთან ნათელყო, რომ ი ე რ. 130-ის I ნ ა წ ი ლ ი ზ უ ს ტ ა დ თ ა ნ ხ ვ დ ე ბ ა გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ა ვ ტ ო გ რ ა ფ უ ლ ი მ ა რ ხ ვ ა ნ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ნ ა წ ი ლ ებ ს. ამ 2 ხელნაწერს შორის განსხვავებულია მხოლოდ ლაზარეს შაბათისა და ბზობის კვირიაკის განგებები, სადაც გეორგ. 5-ში დაცული ჰიმნოგრაფიული მასალიდან იერ. 130-ში ამოღებულია რამდენიმე საგალობელი, მათ შორის იოანე მინჩხის ჰიმნოგრაფიული კანონები.

საინტერესოა ის გარემოება, რომ იერ. 130-ში დიდმარხვის ეითოეული დღის განგებაში შესულია რამდენიმე მცირე ფორმის საგალობელი, რომლებიც გაერთიანებულია სათაურით „სტიქარონნი". ეს საგალობლები იერ. 130-ში შესული უნდა იყოს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანზე დართული სტიქარონების კრებულიდან. იერ. 130-ში უშუალოდ მარხვანის შემადგენლობაშია შესული გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანზე დართული ფერხთაბანის განგებაც.

გეორგ. 5-ში დაცულ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანს იერ. 130-ში დაცული მარხვანისათვის განკუთვნილი საგალობლები თანხვდება სტრუქტურულად, ტექსტობრივად, საგალობელთა ავტორებზე მითითების წესით და ა. შ. საინტერესოა, რომ იერ. 130-ში საგალობელთა ავტორები მითითებულია ზუსტად იმ სახით და იმავე ადგილებზე, როგორც გეორგ. 5-ში; ხშირად თანხვედრილია საგალობელთა ტროპარების ადგილმდებარეობა; საგალობელთა შესახებ არსებული შენიშვნები და ა. შ. ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით იერ. 130 გეორგ. 5-ში დ ა ც უ ლ ი ა ვ ტ ო გ რ ა ფ უ ლ ი მ ა რ ხ ვ ა ნ ი დ ა ნ ა ნ მ ი ს ი უ შ უ ა ლ ო პ ი რ ი დ ა ნ უ ნ დ ა ი ყ ო ს გ ა დ ა წ ე რ ი ლ ი.

---

[15] Ц а г а р е л и А., Памятники грузинской старины... с. 169.

[16] B l a k e R., Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque a Jérusalem, Revue de l'Orient Chrétien 3e Série, t. IV (XXIV), Paris, 1924, p. 137—138.

[17] ეს კანონი გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში კომპილაციურია; წარწერილია თეოფანესა და ელიას სახელით.

იერ. 130 დღემდე მოღწეული სახით შეიცავს მინჩხის 35 ტრადიციულ და გეორგ. 5-ით გამოვლენილ საგალობელს. იერ. 130-ში დაცული მინჩხის ტრადიციული საგალობლები მინჩხის საგალობელთა ტექსტებში 24, 25, 28, 31, 32, 35 ნომრებითაა შესული; იერ. 130-ში დაცული გეორგ. 5-ით გამოვლენილი მინჩხის საგალობლები კი ჩვენს პუბლიკაციაში, შემდეგი ნომრებითაა აღნიშნული: 28, 30, 31, 32, 39, 54, 55, 56, 57, 69, 70, 71, 72, 73, 74, 76, 77, 78, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 88, 90, 91.

იერ. 130-ში, ისევე როგორც გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში, ამ სტიქარონებთან მინჩხის ავტორობა აღნიშნულია ასომთავრული მანით — „ᲨᲐ“. ამ მონოგრამითაა აღნიშნული მინჩხის ავტორობა იერ. 130-ში დაცულ 29 მცირე ფორმის საგალობელთან, 6 სტიქარონთან კი, ტექნიკური მიზეზების გამო, იერ. 130-ის როტოპირებსა და მიკროფირზე მინჩხის ავტორობის აღნიშვნა არ ჩანს.

იერ. 130-ში დაცული მინჩხის მცირე ფორმის საგალობლები ტექსტობრივად და სტროფული შემადგენლობით ზუსტად თანხვდება გიორგი მთაწმიდელისეულ ტრადიციას. იერ. 130-სა და გეორგ. 5-ში თანხვედრილია მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების ძლისპირ-ღმრთისმშობლისანებიც.

გეორგ. 5-ში მინჩხის სახელით წარწერილი „მოიხილეების“ შემცველი 8 ჰიმნოგრაფიული კანონიდან იერ. 130, დღემდე მოღწეული სახით, შეიცავს დიდმარხვის VI პარასკევისათვის განკუთვნილ ელია იერუსალიმელის კანონს (თაენაკლულად), აგრეთვე ბზობის კვირიაკისა და დიდი ხუთშაბათისათვის განკუთვნილ კოზმა იერუსალიმელის კანონებს. ელია იერუსალიმელის კანონის I გალობა, აგრეთვე II გალობის — „მოიხილესას“ დასაწყისი ტროპარები იერ. 130-ში დღეისათვის დაკარგულია, ბზობის კვირიაკისა და დიდი ხუთშაბათისათვის განკუთვნილი კანონების დასაწყისებთან კი იერ. 130-ში მიწერილია ავტორი — „კ[ო]ზ[მან]“. ამ კანონების II ოდების — „მოიხილეების“ გასწვრივ, იერ. 130-ში, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის მსგავსად, მიწერილია მინჩხის ავტორობის აღმნიშვნელი მონოგრამა — „ᲨᲐ“. იერ. 130-სა და გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში დაცული მინჩხის „მოიხილეების“ ტექსტები ზუსტად თანხვდება ერთმანეთს.

იერ. 130 შეიცავს დიდი ოთხშაბათისათვის განკუთვნილ მინჩხის სამსაგალობელსაც. სამსაგალობლის დასაწყისთან აშიაზე მიწერილია მინჩხის ავტორობის აღმნიშვნელი „ᲨᲐ“ მონოგრამა.

ამრიგად, იერ. 130 დღემდე მოღწეული სახით შეიცავს მინჩხის ტრადიციულ და ახლადგამოვლენილ 35 მცირე ფორმის საგალობელს, 3 „მოიხილესას“ და დიდი ოთხშაბათისათვის განკუთვნილ სამსაგალობელს. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანით გამოვლენილი მინჩხის დანარჩენი 24 მცირე ფორმის საგალობელი და 5 „მოიხილესა“ შესული უნდა ყოფილიყო იერ. 130-ის დღეისათვის დაკარგულ ნაწილში. ამ ნაწილის რეკონსტრუქცია შესაძლებელი ხდება გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის — - გეორგ 5-ის მიხედვით, რომელთანაც თანხვედრილია იერ. 130-ში დაცული ჰიმნოგრაფიული მასალა.

ტრადიციული და გეორგ. 5-ით გამოვლენილ საგალობლებთან ერთად, იერ. 130 შეიცავს მინჩხის აქამდე უცნობ მცირე ფორმის საგალობელსაც. საგალობელი დადებულია დიდმარხვის VI სამშაბათის მწუხრზე (39r), დასაწყისთან

აშიაზე მიწერილია მინჩხის ავტორობის აღმნიშვნელი მონოგრამა — „Შ“. საგალობელი 3 ტროპარისაგან შედგება.

მინჩხის ეს სტიქარონი შესულია გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანშიც (165v—166r), სადაც მისი აშია დაზიანებულია და ავტორის აღნიშვნა არ ჩანს. პარიზული ხელნაწერის როტოპირებზე ცუდად იკითხება თვით ამ საგალობლის ტექსტიც.

ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანით გამოვლენილ მცირე ფორმის საგალობელთან ერთად, იერ. 130-ის მოწმობით, დიდმარხვის VI სამშაბათისათვის იოანე მინჩხს დაუწერია II მცირე ფორმის საგალობელიც. მისი ტექსტი ჩვენს პუბლიკაციაში წარმოდგენილია 79 ნომრად.

2. იოანე მინჩხის საგალობლები ათონური კოლექციის ქართულ ხელნაწერებში

ათ. 59. ხელნაწერი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია რ. ბლეიკის მოკლე აღწერილობით[18]. აღწერილობაში მითითებულია, რომ ათ. 59 წარმოადგენს მარხვანს; მისი ძირითადი ნაწილი გადაწერილია ზომიერი ათონური ხელწერით. ბლეიკი ხელნაწერს XI საუკუნით ათარიღებს; ამავე დროს მიუთითებს, რომ ათ. 59-ის პირველი 2 რვეულის ხელი შედარებით გვიანდელია. სხვა ცნობები ხელნაწერის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არ გვხვდება.

ათ. 59-ის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული მიკროფირის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ხელნაწერი მრავალმხრივ იმსახურებს ყურადღებას.

ათ. 59 დღემდე მოღწეული სახით იწყება ყველიერის შვიდეულის მასალით, მთავრდება დიდი პარასკევის მწუხრით.

ათ. 59-ში დაცული ყველიერის შვიდეულის მასალა (19 გვ.) გადაწერილია XII—XIII სს-ების ნუსხურით. ამავე ხელითაა გადაწერილი ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანის“ დასაწყისი 16 გვერდი. ხელნაწერის ძირითადი ნაწილი — 199 გვერდი კი გადაწერილია XI საუკუნის ტიპიური ათონური ხელწერით. ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანზე“ დართულ სათაურში, აგრეთვე დიდმარხვის VI ოთხშაბათისათვის განკუთვნილი მასალის ბოლოს დასახელებულია ხელნაწერის ძირითადი ნაწილის გადამწერი — ბასილი.

ათ. 59-ში დაცული მარხვანის ჰიმნოგრაფიული მასალის შედარებამ სინ. 5, სინ. 75 ხელნაწერებში მარხვანისათვის განკუთვნილ მასალასა და გეორგ. 5-ში დაცულ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანთან ნათელყო, რომ ათ. 59-ში წარმოდგენილია გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანი.

ათ. 59-ში დაცული მარხვანის თითოეული დღის ჰიმნოგრაფიულ მასალაში დასტურდება ის რედაქციული ცვლილებები, რაც გიორგი მთაწმიდელმა შეიტანა მარხვანის საკუთარ რედაქციაში ქართული მარხვანის წინადროინდელ რედაქციასთან შედარებით[19]. მეორე მხრივ, ათ. 59-ში წარმოდგენილი გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანი სინ. 5-ში დაცულ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანთან შედარებით გაცილებით მოკლეა. ათ.

---

[18] Blake R., Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au mont Athos, Revue de l'Orient Chrétien. 3e Série, t. IX (XXIX), Paris, 1934, p. 249.

[19] იხ. ამის შესახებ ნაშრომის III თავი.

59-ში წარმოდგენილი მარხვანის თითოეული სადა დღის განგება შეიცავს საგალობლების მინიმალურ რაოდენობას: ცისკრის განგებაზე — სამსაგალობელსა და აქებდითსას, მწუხრის განგებაზე — 2 მცირე ფორმის საგალობელს. შაბათ დღეებზე საგალობელს ცვლის ოთხსაგალობელი, კვირა დღეებზე — ჰიმნოგრაფიული კანონი. მარხვანის ლიტურგიის ამ მაქსიმალურ სიმოკლეს ნათლად მოწმობს ათ. 59-ში დაცული ჰიმნოგრაფიული მასალის შედარება გეორგ. 5-ში დაცულ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანთან, სადაც მარხვანის სადა დღეებზე, ჩვეულებისამებრ, დადებულია 2, 3 ან 4 სამსაგალობელი და სტიქარონების მთელი ჯგუფი; განსაკუთრებით ვრცლადაა წარმოდგენილი გეორგ. 5-ში შაბათი და კვირა დღეების განგებები.

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ „თუენზე" გიორგი მთაწმიდელის მუშაობის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს მცირე ფორმის საგალობლის — „წარდგომანის" სისტემატური ხმარება[20]. ანალოგიური მდგომარეობაა გეორგ. 5-ში დაცულ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანშიც[21]. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანებში — A 568, იერ. 130, აგრეთვე მარხვანის გიორგი მთაწმიდელის შემდგომდროინდელ რედაქციაში „წარდგომანი" აგრეთვე სისტემატურად გვხვდება. ათ. 59-ში დაცული გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანისათვის კი „წარდგომანი" დამახასიათებელი არ არის. ამ სახის საგალობელი ხელნაწერში მხოლოდ რამდენჯერმე დასტურდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ მარხვანის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი — ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანი" ათ. 59-ში შესულია ექვთიმე მთაწმიდელისეული თარგმანით.

გეორგ. 5-ში დაცულ ავტოგრაფულ მარხვანში გიორგი მთაწმიდელი საგანგებოდ მიჯნავს ერთმანეთისაგან „გალობანის" ექვთიმესეულ და საკუთარ თარგმანებს, გვაცნობს საკუთარი თარგმანის მიზანსა და თავისებურებებს. გეორგ. 5-ის შემდგომდროინდელ გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ყველა მარხვანში ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანი" შესულია გიორგისეული თარგმანით. ათ. 59-ში არსებული ვითარება მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ ათ. 59-ის ტიპის მარხვანის შედგენისას, გიორგი მთაწმიდელს, როგორც ჩანს, ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანი" ჯერ კიდევ არ ჰქონდა თარგმნილი.

ათ. 59-ში დაცული მარხვანის ჰიმნოგრაფიული მასალის მაქსიმალური სიმოკლე, გიორგი მთაწმიდელის მუშაობისათვის დამახასიათებელი „წარდგომანების" ნაკლებობა, მარხვანის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის — ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანის" ექვთიმესეული თარგმანით მოტანა საფუძველს გვაძლევს ათ. 59-ის ტიპის კრებული მარხვანზე გიორგი მთაწმიდელის მუშაობის I ეტაპად, გიორგი მთაწმიდელის თავდაპირველი რედაქციის მარხვანად მივიჩნიოთ.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ათ. 59-ში მითითებების — „დიდებაჲ" და „აწდაჲ" სისტემატური ხმარება. უმეტეს შემთხვევაში, „დიდებაჲ" და „აწდაჲ" მიწერილია ათ. 59-ში დაცული საგალობლების უკანასკნელი ტროპარების — ე. წ. „სამებისანებისა" და „ღმრთისმშობლისანების" წინ. ათ. 59-ში

---

20 ლ. ჯ ღ ა მ ა ი ა, XI საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (გეორგი მთაწმიდელის „თუენი"), 191.

21 იხ. ზემოთ გვ. 106.

სისტემატურად მითითებული „დიდებაჲ“ და „აწდაჲ“ ღვთისმსახურებაში „მცირე დოქსოლოგიის“ სახელით ცნობილი განგების უცვლელი ელემენტებია. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „დიდებაჲ“ და „აწდაჲ“ ხშირად ერთმანეთისაგან ტროპარითაა გაყოფილი[22]. ამ მხრივაც ათ. 59-ში არსებული ვითარება საკვლევ შეესაბამება საერთო წესს.

საინტერესოა, რომ „დიდ სჯნაქსარში“, რომელიც გიორგი მთაწმიდელმა თავისი მთარგმნელობითი მუშაობის დასაწყისში თარგმნა „დიდებაჲ“ და „აწდაჲ“ აგრეთვე სისტემატურადაა მითითებული. ამრიგად, ათ. 59-ის ტიპის მარხვანი ამ ნიშნით (და ქრონოლოგიურადაც) ახლოს დგას გიორგი მთაწმიდელის „სჯნაქსართან“ ანუ მისი მთარგმნელობითი მუშაობის დასაწყისთან. გეორგ. 5-ში დაცულ ავტოგრაფულ მარხვანში, რომელიც მარხვანზე შემდგომდროინდელი მუშაობის შედეგია, „დიდებაჲ“ და „აწდაჲ“ მითითებულია მხოლოდ „დიდნი გალობანის“ ტექსტში.

ათ. 59-ის შესწავლისას ყურადღებას იქცევს რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარი მითითებები, რომლებიც სისტემატურადაა მიწერილი ხელნაწერში დაცული სამსაგალობლების, ოთხსაგალობლების, კანონებისა და აქებდითსების თითოეული ტროპარის გასწვრივ. ეს მაგ.: დიდმარხვის V სამშაბათის სამსაგალობლის („მოიხილე დღეს ცაო და ვიტყოდი...“) II ოდის — „მოიხილესას“ ტროპარებთან მიწერილია შემდეგი მითითებები:

I ტროპართან — „აღვლესო ვითარცა“; II ტროპართან — „დავა...“; III ტროპარის დასაწყისი დაზიანებულია და ტექსტი არ ჩანს; IV ტროპართან — „იხარებდით ცანი მის“; V ტროპართან — „იხარებდით წარმა“; VI ტროპართან — „რამეთუ სისხლი ძეთა“; VII ტროპართან — „მოძულეთა თჳს“; VIII ტროპართან — „დიდებაჲ“; IX ტროპართან — „აწდაჲ“.

„მოიხილესას“ თითოეულ ტროპართან გაკეთებული ეს მითითებები II ბიბლიური გალობის 41, 42 და 43-ე მუხლებისა და ნახევარმუხლების დასაწყისი სიტყვები აღმოჩნდა. VIII ბიბლიური გალობის 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15-ე მუხლები (და ნახევარმუხლებია) მითითებული სამსაგალობლის მომდევნო ოდის — „აკურთხევდითსას“ თითოეულ ტროპართან. ამავე სამსაგალობლის უკანასკნელი ოდის — „ადიდებდითსას“ თითოეულ ტროპართან კი მითითებულია IX ბიბლიური გალობის 4, 6, 8, 9, 10, 11 და 12-ე მუხლები (და ნახევარმუხლები).

ბიბლიური გალობების სხვადასხვა მუხლები და ნახევარმუხლებია მითითებული ათ. 59-ში დაცული დანარჩენი სამსაგალობლების, ოთხსაგალობლებისა და კანონების თითოეულ ტროპართანაც. ათ. 59-ში დაცულ „აქებდითსების“ თითოეულ ტროპართან კი მითითებულია 150-ე ფსალმუნის სხვადასხვა მუხლები.

ჰიმნოგრაფიული კანონის გენეტიკური კავშირი ბიბლიურ გალობებთან მეცნიერებაში კარგადაა ცნობილი, მაგრამ საგალობლების თითოეულ ტროპართან არსებული უშუალო მითითებები ბიბლიური გალობების განსაზღვრულ მუხლებსა და ნახევარმუხლებზე ხელნაწერებში იშვიათად გვხვდება. ამ თვალსაზრისით ათ. 59-ში არსებული ვითარება ყურადღებას იმსახურებს. გეორგ. 5-ში დაცულ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში ათ. 59-დან გადასული მთელი ჰიმნოგრაფიული რეპერტუარი ბიბლიურ გალობებზე მითი-

---

[22] Arranz M., Le Typicon du monastère du Saint-Sauveur à Messine, Roma, 1969, p. 392.

თებების გარეშეა შესული. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანი“, რომლის თითოეულ ტროპართან გეორგ. 5-ში მითითებულია შესაბამისი ბიბლიური გალობების ცალკეული მუხლები და ნახევარმუხლები.

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ფსალმუნისა და ბიბლიური გალობების გიორგი მთაწმიდლისეული რედაქცია ემყარება წინადროინდელ ქართულ თარგმანებს და ხელახლაა შედარებული ბერძნულთან[23]. ამ ბიბლიური წიგნების ძველ ქართულ თარგმანებსა და გიორგისეულ რედაქციას შორის გვხვდება მთელი რიგი ტექსტობრივი განსხვავებები. ათ. 59-ში დაცული სამსაგალობლების, ოთხსაგალობლების, კანონებისა და აქებდითსენის თითოეულ ტროპართან არსებული მითითებების შესწავლამ ნათელყო, რომ ათ. 59-ში ყველა შემთხვევაში მითითებულია ფსალმუნისა და ბიბლიური გალობების გიორგი მთაწმიდელის წინადროინდელი თარგმანების ტექსტი. ეს გარემოება ორმხრივ იმსახურებს ყურადღებას. ბიბლიურ გალობათა ძველი ქართული თარგმანების ტექსტისა და გიორგი მთაწმიდელის მუშაობის ეტაპების შესწავლის თვალსაზრისით. ირკვევა საინტერესო გარემოება: მარხვანის I — მოკლე რედაქციის შედგენისას გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ს, რ ო გ ო რ ც ჩ ა ნ ს, ჯ ერ კ ი დ ე ვ ა რ ჰ ქ ო ნ დ ა თ ა რ გ მ ნ ი ლ ი ფ ს ა ლ მ უ ნ ი დ ა ბ ი ბ ლ ი უ რ ი გ ა ლ ო ბ ებ ი.

განსხვავებული სურათია გეორგ. 5-ში დაცულ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში, რომელიც ყველა ნიშნით, მარხვანზე გიორგი მთაწმიდელის შემდგომდროინდელი მუშაობის შედეგია. გეორგ. 5-ში ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანის“ თითოეულ ტროპართან (როგორც ექვთიმესეულ, ისე გიორგისეულ თარგმანებში) მითითებულია ბიბლიური გალობების გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ე უ ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ი ს ტ ე ქ ს ტ ი. ამ დროისათვის გიორგი მთაწმიდელს, როგორც ჩანს, უკვე დამთავრებული აქვს ფსალმუნისა და ბიბლიური გალობების თარგმნა. გეორგ. 5-ის I ნაწილში „დიდნი გალობანის“ ტექსტში არსებული მითითებები ბიბლიურ გალობებზე ყურადღებას იმსახურებს ტექსტობრივადაც, რადგან ფსალმუნისა და ბიბლიური გალობების გიორგი მთაწმიდელისეული რედაქციის არსებული გამოცემა XII საუკუნის შემდგომდროინდელ ხელნაწერებს ემყარება[24], გეორგ. 5-ში დაცული გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის შექმნა კი XI საუკუნის 60-იან წლებს ვერ გადასცილდება.

ამრიგად, მარხვანი გიორგი მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი ერთ-ერთი პირველი ლიტურგიკული კრებულია. მასზე გიორგი მთაწმიდელს უმუშავია ხანგრძლივი დროის განმავლობაში. გეორგ. 5-ში დაცულ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანს, რომელიც გამოირჩევა თავისი სისრულით, როგორც ირკვევა, წინ უძღოდა გიორგისავე რედაქციის მოკლე, ათ. 59-ის ტიპის მარხვანი. მარხვანის ამ მოკლე რედაქციის შედგენისას გიორგი მთაწმიდელს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ ჰქონდა თარგმნილი ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანი“, ფსალმუნი და ბიბლიური გალობები. მისი მუშაობის I ეტაპისათვის ჯერ კიდევ არაა დამახასიათებელი მცირე ფორმის საგალობლების — „წარდგომანების“ სისტემატური ხმარება. მარხვანის ამ (მო-

---

23 მზ. შ ა ნ ი ძ ე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1979. გვ. 184.

24 ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მზ. შანიძემ, თბ., 1960, გვ. 012.

კლე) რედაქციის პირვანდელობაზე უნდა მიუთითებდეს მცირე დოქსოლოგიის ელემენტების „დიდებაჲ“ და „აწდაჲ“-ს სისტემატური აღნიშვნა, აგრეთვე საგალობელთა ტროპარებთან არსებული მითითებები შესაბამის ბიბლიურ გალობებზე.

მარხვანის ეს რედაქცია გეორგ. 5-ში დაცულ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანთან შედარებით, შეიცავს გაცილებით მცირერიცხოვან საგალობლებს. ამავე დროს ათ. 59-ის ტიპის მარხვანში თითქმის მთელი ჰიმნოგრაფიული რეპერტუარი შესულია ახალი — გიორგისეული რედაქციით[25].

გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანის ისტორიისა და მისი მთარგმნელობითი მუშაობის ეტაპების შესწავლასთან ერთად, ათ. 59 ყურადღებას იმსახურებს ქართული მასალის — კერძოდ, ქართული მარხვანის ერთ-ერთი ძირითადი ავტორის — იოანე მინჩხის საგალობლების შესწავლის თვალსაზრისითაც. ათ. 59-ში შესული აღმოჩნდა მარხვანისათვის განკუთვნილი იოანე მინჩხის 15 ტრადიციული და 29 ახლადგამოვლენილი მცირე ფორმის საგალობელი. ათ. 59-ში დაცული მინჩხის ტრადიციული საგალობლები მინჩხის საგალობელთა პუბლიკაციაში 14, 15, 16, 23, 24, 30, 32, 35, 39, 40, 43. 47, 51, 53 და 55 ნომრებადაა შესული. ამავე ხელნაწერში დაცული მინჩხის ახლადგამოვლენილი მცირე ფორმის საგალობლები კი პუბლიკაციაში 6, 12, 23, 24, 25, 28, 31, 32, 40, 48, 51, 53, 54, 55, 56, 58, 63, 64, 65, 70, 72, 73, 74, 76, 77, 81, 83, 84, 90 ნომრებადაა შესული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გეორგ. 5-ში დაცულ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანსა და სინ. 5—სინ. 75 ხელნაწერებში დაცულ მინჩხის საგალობლებს შორის გვხვდება გარკვეული ტექსტობრივი და სტრუქტურული განსხვავებები, რომელთა ერთი ნაწილი საგალობელთა ტექსტებში გიორგი მთაწმიდელის მიერ უნდა იყოს შეტანილი. ამგვარ შემთხვევებში ათ. 59 და გეორგ. 5-ის I ნაწილი ყოველთვის ზუსტად თანხვდება ერთმანეთს.

გეორგ. 5-გან განსხვავებით, ათ. 59-ში დაცულ მინჩხის სტიქარონებში სრული ტექსტებითაა შესული გეორგ. 5-ში დასაწყისი სიტყვებით მითითებული ძლისპირები. ათ. 59-ში სრული ტექსტებითაა შესული მინჩხის სტიქარონების ღმრთისმშობლისანებიც, რომლებიც გეორგ. 5-ში დასაწყისი სიტყვებითაა მოტანილი ან საერთოდ არაა მითითებული.

როგორც აღვნიშნეთ, ათ. 59-ში დიდმარხვის თითოეული დღის განგება, ჩვეულებრივ, შეიცავს 3 მცირე ფორმის საგალობელს — „აქებდითსას“ და 2 „უფ. ღაღატყავსას“. ამ პირობებში მინჩხის 46 მცირე ფორმის საგალობელი ათ. 59-ის ტიპის მარხვანის სტიქარონული რეპერტუარის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს[26]. ათ. 59-ში დაცული მინჩხის 46 მცირე ფორმის საგალობლიდან 17 „აქებდითსაა“, 29 — „უფ. ღაღატყავსა“. მინჩხის „აქებდითსების“ თითოეულ ტროპართან, ისევე როგორც ათ. 59-ში დაცულ სხვა „აქებდითსებთან“, მითითებულია 150-ე ფსალმუნის სხვადასხვა მუხლები; მინჩხის „უფ. ღაღატყავებში“ კი (ისევე როგორც ათ. 59-ში მწუხრის განგებაზე შესულ სხვა მცირე ფორმის საგალობლებში) ბიბლიურ გალობებსა და ფსალმუნებზე მითითებები არ გვხვდება.

---

25 გარდა ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანის“ ექვთიმესეული თარგმანისა.

26 საფიქრებელია, რომ ათ. 59 შეიცავს მინჩხის სხვა მცირე ფორმის საგალობლებსაც, რომელთა ავტორი ათ. 59-ის მიკროფირსა და ფოტოპირებზე არ ჩანს ან თვით ხელნაწერში სახელწაუწერლადაა შესული.

ათ. 59-ის ჩვენს ხელთ არსებული მიკროფირი და ფოტოპირები საკმაოდ დაზიანებულია. მინჩხის ავტორობა, რომელიც, ჩვეულებრივ, აღნიშნულია ხელნაწერის აშიებზე, იკითხება მხოლოდ 21 მცირე ფორმის საგალობელთან. ათ. 59-ში მინჩხის ავტორობის აღნიშვნის წესს, რომელიც ყურადღებას იმსახურებს მინჩხთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის დადგენისათვის, ნაშრომის VI თავში განვიხილავთ.

სტიქარონებთან ერთად, ათ. 59-ში შესულია გეორგ. 5-ით გამოვლენილი მინჩხის 4 „მოიხილესა". მინჩხის ეს „მოიხილეები" განკუთვნილია დიდმარხვის III, IV, VI კვირიაკეებისა და დიდი ხუთშაბათის კანონებისათვის. მინჩხის „მოიხილეები" და შესაბამისი კანონები ათ. 59-ში ავტორწაუწერლადაა შესული[27]. გამონაკლისს წარმოადგენს დიდი ხუთშაბათისათვის განკუთვნილი კანონი, რომელსაც ათ. 59-ში მიწერილი აქვს ავტორი — კ[ო]ზმ[ა]ნ".

აღნიშნული კანონები ავტორებზე მითითებებით (ელია, ელია, კოზმა, კოზმა) შესულია გეორგ. 5-ში დაცულ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში, სადაც 4-ვე კანონთან მითითებულია II ოდების — „მოიხილეების" ავტორი — მინჩხი. კანონებისა და მინჩხის „მოიხილეების" ტექსტები სინ. 59-სა და გეორგ. 5-ში თანხვედრილია. გეორგ. 5-საგან განსხვავებით, ათ. 59-ში მინჩხის თითოეული „მოიხილესა" ძლისპირისა და ღმრთისმშობლისანის სრულ ტექსტებს შეიცავს. ამასთან, ათ. 59-ში მინჩხის „მოიხილეების" თითოეულ ტროპართან მითითებულია II ბიბლიური გალობის ცალკეული მუხლები.

ამრიგად, გეორგ. 5-ში დაცულ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში მინჩხის სახელით წარწერილია 88 მცირე ფორმის საგალობელი და 9 „მოიხილესა". აქედან ათ. 59-ში მარხვანის ამ რედაქციის სიმოკლის გამო, შესულია 46 მცირე ფორმის საგალობელი და 4 „მოიხილესა". მცირე ფორმის საგალობლების მთელ ჯგუფთან ერთად, ათ. 59-ში შესული არ არის გეორგ. 5-ში მინჩხის სახელით წარწერილი კანონები და სამსაგალობელი.

ათ. 59-ის შესწავლამ გამოავლინა იოანე მინჩხის 2 აქამდე უცნობი საგალობელი (მათი ტექსტი პუბლიკაციაში შესულია 44 და 75 ნომრებად).

პირველი მათგანი წარმოადგენს დიდმარხვის III კვირიაკის მწუხრისათვის განკუთვნილ სტიქარონს. სტიქარონის დასაწყისთან აშიაზე მიწერილია ავტორი — „მინჩხი". მინჩხის სტიქარონი 4 ტროპარისაგან შედგება, უკანასკნელი (IV) ტროპარი ღმრთისმშობლისას წარმოადგენს.

მინჩხის ახლადგამოვლენილი სტიქარონი შესული აღმოჩნდა გეორგ. 5-ში დაცულ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში (97r), სადაც საგრძნობლადაა დაზიანებული მინჩხის სტიქარონის შემცველი ფურცლის აშიები და თვით ტექსტიც, ამიტომ მინჩხის ავტორობის აღმნიშვნელი მონოგრამა არ ჩანს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სტიქარონის გეორგ. 5-სა და სინ. 59-ში დაცული ტექსტები ზუსტად თანხვდება ერთმანეთს. ათ. 59-გან განსხვავებით, გეორგ. 5-ში მინჩხის სტიქარონი არ შეიცავს ღმრთისმშობლისანს.

მინჩხის ეს სტიქარონი სახელწაუწერლადაა შესული სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებშიც (143r). აქ იგი IV ოთხშაბათის „აქებდითსას" წარმოაღგენს. სინ. 5 და სინ. 75-ში მინჩხის ამ სტიქარონთან მითითებულია განსხვავებული

---

27 ყოველ შემთხვევაში, ათ. 59-ის მიკროფირსა და ფოტოპირებზე ამ საგალობლებთან ავტორობის აღნიშვნა არ ჩანს.

ძლისპირი და ღმრთისმშობლისა (იხ. ამის შესახებ ნაშრომის VI თავი). განსხვავებულია მინჩხის ამ სტიქარონის სინ. 5—სინ. 75-სა და ათ. 59—გეორგ. 5-ში დაცული ტექსტებიც. ეს განსხვავებანი ვარიანტულია.

მინჩხის ამ სტიქარონში მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა I ტროპარი, რომელშიც დამუშავებულია წარწყმედული ცხვრის მოტივი. ამ ტროპარის II ნაწილი:

„... რომელმან დაუტევნა ოთხმეოცდაცხრამეტნი
იგი ცხოვარნი
და გარდამოჴდა ძიებად შეცთომილისა
მის ჴაცისა
და მამასა მიჰგუარა“

მთლიანად სახარებითაა შთაგონებული — იხ. მათე 18, 12—14; აგრ. ლუკა 15, 3—7. თვით სახარებაში წარწყმედული ცხვრის მოტივი ფსალმუნიდან მომდინარეობს (იხ. 118 ფსალმუნი, 176 მუხლი). მინჩხის საგალობლებში ეს მოტივი სხვადასხვაგვარადაა დამუშავებული და განსხვავებულ მხატვრულ სახეებს ქმნის. მოცემულ შემთხვევაში კი, როგორც შედარებამ გვიჩვენა, მინჩხის შთაგონების წყარო სახარებაა.

მინჩხის მეორე აქამდე უცნობი საგალობელი წარმოადგენს დიდმარხვის V კვირიაკისათვის განკუთვნილი კანონის II ოდას — „მოიხილესა“. ძითითება ავტორზე — „მინჩხი“ მიწერილია კიდეზე, „მოიხილესას“ გასწვრივ. თვით კანონის ავტორი ათ. 59-ის ფოტოპირებსა და მიკროფირზე არ ჩანს. მინჩხის „მოიხილესა“ 6 ტროპარისაგან შედგება. I ტროპარი წარმოადგენს სტიქაროონის ძლისპირს, VI — ღმრთისმშობლისანს. მინჩხის „მოიხილესას“ თითოეულ ტროპართან, ისევე როგორც ათ. 59-ში დაცულ ყველა „მოიხილესთან“, მითითებულია II ბიბლიური გალობის ცალკეული მუხლები. სტიქაროონის V ტროპარის დასაწყისთან მიწერილია „დიდებაჲ“, VI ტროპარის დასაწყისთან — „აწდაჲ“.

მინჩხის „მოიხილესა“ ამავე კანონის შემადგენლობაშია შესული გეორგ. 5-ში დაცულ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში (159r). ტექნიკური მიზეზების გამო, გეორგ. 5-ის მიკროფირსა და ფოტოპირებზე „მოიხილესას“ აშია დაზიანებულია, ამიტომ ავტორის აღნიშვნა არ ჩანს. თვით კანონი გეორგ. 5-ში „ელიას“ სახელითაა წარწერილი.

ათ. 59-სა და გეორგ. 5-ში დაცული მინჩხის „მოიხილესას“ ტექსტები თანხვდება ერთმანეთს. ათ. 59-გან განსხვავებით, გეორგ. 5-ში „მოიხილესას“ ძლისპირი და ღმრთისმშობლისა დასაწყისი სიტყვებითაა მითითებული. გეორგ. 5-ში არ გვაქვს ათ. 59-თვის დამახასიათებელი მითითებები ბიბლიურ გალობებსა და მცირე დოქსოლოგიის ელემენტებზე.

მინჩხის „მოიხილესა“ და შესაბამისი კანონი სახელწაუწერლადაა შესული სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში. „მოიხილესას“ სინ. 5—სინ. 75-სა და ათ. 59—გეორგ. 5-ში დაცულ ტექსტებს შორის გვაქვს ვარიანტული სხვაობები.

მინჩხის „მოიხილესა“, ისევე როგორც ელია იერუსალიმელის შესაბამისი კანონი, დიდმარხვის V კვირიაკისათვისაა განკუთვნილი. დიდმარხვის V კვირიაკე და მომდევნო (VI) შვიდეული კი ლაზარესა და მდიდრის ხსენებას ეძღვნება. უწყალო მდიდრის ხსენება ორიგინალურადაა გადააზრებული მინჩხის „მოიხილესას“ III ტროპარში.

სახარების კარგად ცნობილ იგავზეა აღმოცენებული მინჩხის საგალობლის IV ტროპარი — იხ. მათე 13,3—30; მარკოზ 4, 3—20; ლუკა 8, 5—15. ესაა იგავი „მთესვარის“ შესახებ. მარკოზისა და ლუკას სახარებებში ამ იგავის ერთ-ერთი ძირითადი სიმბოლო — „თესლი კეთილი“ განმარტებულია, როგორც უფლისაგან მოცემული სიტყვა:

„მთესვარმან მან სიტყუაჲ დასთესის“ (მრ. 4,14)
„თესლი იგი არს სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ“ (ლ. 8,11)

მხოლოდ მათეს სახარებაში ვხვდებით განსხვავებულ განმარტებას: „ხოლო კეთილი იგი თესლი ესე არიან ძენი სასუფეველისანი, და ღუარძლი იგი არიან ძენი უკეთურისანი“ (მ. 13,38); „ეითარცა-იგი შეკრიბიან ღუარძლი და ცეცხლითა დაწჯან, ეგრე იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ“ (მ. 13,40). მათე მახარებლის ამ განმარტების მიხედვით უნდა გაიხსნას მინჩხის IV ტროპარის სიმბოლიკაც. მიუხედავად იმისა, რომ მინჩხის ეს ტროპარი კონკრეტულ მასალას ემყარება, იგი ყურადღებას იქცევს მხატვრულობით. ის, რაც მათეს სახარებაში მხოლოდ მინიშნებულია („თესლი კეთილისა“ და „ღუარძლის“ ადამიანური შინაარსი), მინჩხთან პოეტურ სახედაა გარდაქმნილი.

ელია იერუსალიმელის აღნიშნული კანონი II ოდის გარეშე შესულია X საუკუნის სინურ იადგარებში — სინ. 1, სინ. 14, სინ. 59, სინ. 64.

კანონის II ოდა, რომელიც იოანე მინჩხს ეკუთვნის, პირველად სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში გვხვდება[28].

სინ. 5-ისა და სინ. 75-თვის სავარაუდო „პროტოტიპულ“ მარხვანში ელია იერუსალიმელს ეკუთვნოდა საკვირაო (კვირა დღეების) კანონები[29]. ამ „პროტოტიპულ“ მარხვანში, აგრეთვე სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში ელია იერუსალიმელის კანონები შესულია დიდმარხვის ყველა კვირიაკეზე[30].

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, სხვა ავტორთა კანონებთან ერთად, სინ. 5-ში მინჩხის სახელით წარწერილია ყველიერის კვირიაკის, დიდმარხვის III, IV და VI კვირიაკეებისათვის განკუთვნილი ელია იერუსალიმების კანონების II ოდები. საინტერესოა ის გარემოება, რომ დიდმარხვის დანარჩენი (I, II და V) კვირიაკეებისათვის განკუთვნილი ელია იერუსალიმელის კანონები გეორგ. 5-ში[31] აგრეთვე შეიცავს II ოდებს. ამ ოდების აშიები გეორგ. 5-ის მიკროფირსა და ფოტოპირზე დაზიანებულია. ათ. 59-ის მოწმობით იოანე მინჩხს ეკუთვნის ელია იერუსალიმელის დიდმარხვის V კვირიაკისათვის განკუთვნილი კანონის II ოდაც.

იადგარიდან ცალკე კრებულად გამოყოფილი I ქართული მარხვანის ფორმირებისათვის იოანე მინჩხს ჩატარებული აქვს რთული და საგანგებო სამუშაო. გაირკვა ისიც, რომ მარხვანის ამ რედაქციისათვის განკუთვნილი მრავალრიცხოვანი სტიქარონების შექმნისას იოანე მინჩხი ითვალისწინებდა ელია იერუსალიმელის საკვირაო კანონებს. ყოველივე ამის მიხედვით შეიძლება ვი-

---

28 ბერძნული და სლავური მარხვანების არსებულ გამოცემებში ელიას ეს კანონი აგრეთვე II ოდის გარეშეა შესული.

29 იხ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 33.

30 სინ. 5-სა და სინ. 75-ში VI პარასკევზე შესული ელია იერუსალიმელის კანონი თავდაპირველად დიდმარხვის VI კვირიაკეზე უნდა ყოფილიყო დადებული.

31 ისევე როგორც სინ. 5-სა და სინ. 75-ში, სადაც ეს ოდები სახელოვანწერლადაა შესული.

ვარაუდოო, რომ დიდმარხვის 5 (ყველიერის, III, IV, V და VI) კვირიაკისათვის განკუთვნილი ელია იერუსალიმელის კანონების II ოდებთან ერთად, იოანე მინჩხს უნდა ეკუთვნოდეს დიდმარხვის დანარჩენი 2 (I და II) კვირიაკისთვის განკუთვნილი ელია იერუსალიმელის კანონების II ოდებიც. ამას მხარს უჭერს იოანე მინჩხის მარხვანზე მუშაობის სისტემატური და გეგმაზომიერი ხასიათი.

ამრიგად, ათონური კოლექციის ქართული ხელნაწერი — ათ. 59 მრავალმხრივ იმსახურებს ყურადღებას. ხელნაწერის შესწავლა ნათელყოფს გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობითი მუშაობის რამდენიმე ეტაპს, აგრეთვე გიორგი მთაწმიდელის I, მოკლე რედაქციის მარხვანის რაობას. ხელნაწერი დიდ ყურადღებას იმსახურებს იოანე მინჩხის შემოქმედების შესწავლის თვალსაზრისითაც.

ათ. 45. ხელნაწერი მოკლედაა აღწერილი ალ. ცაგარლის მიერ[32]. ალ. ცაგარელი ხელნაწერს X—XI სს-ებით ათარიღებს.

შემდგომში ხელნაწერი აღწერა რ. ბლეიკმა. ბლეიკის აღწერილობის მიხედვით ათ. 45 წარმოადგენს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ პარაკლიტონს. ბლეიკი ხელნაწერს დაახლოებით ათარიღებს 1050 წლით. ხელნაწერის მოკლე აღწერილობასთან ერთად, რ. ბლეიკს გამოქვეყნებული აქვს ათ. 45-ზე დართული გიორგი მთაწმიდელის ვრცელი ანდერძის ბოლო ნაწილი[33].

გიორგი მთაწმიდელის ეს ანდერძი სრულადაა გამოქვეყნებული ივ. ლოლაშვილის მიერ, რომელიც ხელნაწერს 1057—1060 წლებით ათარიღებს[34].

ხელნაწერი ჩვენთვის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ შეიცავს იოანე მინჩხის აქამდე უცნობ ჰიმნოგრაფიულ კანონს — „სხუანი გალობანი. უგალობდითსა. კმაჲ ა. მხილველი. — გალობითა ახლითა უგალობდეთ...“ (გვ. 15). კანონის სათაურის გასწვრივ ათ. 45-ში აშიაზე მიწერილია „მინჩ“.

მინჩხის კანონი აღდგომის დღესასწაულისთვისაა განკუთვნილი. აღდგომის ა ხმის მასალა[35] ათ. 45-ში შეიცავს 5 მცირე ფორმის საგალობელს და 8 ჰიმნოგრაფიულ კანონს. ამ კანონებს შორის მინჩხის კანონს VI ადგილი უჭირავს. ათ. 45-ის ზანდუკში, რომელშიც ჩამოთვლილია ხელნაწერში შესული ჰიმნოგრაფიული მასალა, მინჩხის კანონი ასეა მითითებული: „მეექუსედ — მხილველნივე, სხუანი“.

მინჩხის კანონი 9 ოდისაგან შედგება, შეიცავს II ოდას — „ მოიხილესა“. კანონის თითოეულ ოდასთან დასაწყისი სიტყვებით მითითებულია შემდეგი ძლისპირები: უგალობდითსა — მხილველი; მოიხილესა — მოელოდა ვითარცა; განძლიერდასა — შენ, რომელმან პირველად; მესმასა — უსხეულოთა; ღამითგანსა — ნაკუერცხალი; ღაღატყავსა — რომელმან თავს იდვა; კურთხეულარსა — ყრმანი; აკურთხევდითსა — არაჲ ვინაჲ შეიგინნეს; ადიდებდითსა — შენ, რომელმან ღმერთი; მიზეზი. ძლისპირთა ეს აკოლუთია შესულია ქართულ ძლისპირთა I და III რედაქციებში. ბერძნული ირმოლოგიონის ს. ევ-

---

[32] Цагарели А., Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I. СПб., 1886, с. 77.

[33] Blake R., Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au mont Athos, p. 238—239.

[34] ი. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბ., 1982, გვ. 20—33.

[35] ათ. 45 ამ მასალით იწყება.

სტრატიადისის გამოცემაში ძლისპირთა ეს აკოლუთია კოზმა ბერის (იერუსალიმელის) სახელითაა წარწერილი. მინჩხის კანონის თითოეული ტროპარი რიტმულად ზუსტად თანხვდება ქართულ ძლისპირთა I და III რედაქციებში სრული ტექსტებით დაცულ შესაბამის ძლისპირებს.

მინჩხის კანონი აღდგომის დღესასწაულისთვისაა განკუთვნილი, ამიტომ მასში წამყვანია მაცხოვრის აღდგომის სახარებისეული სცენები და ფრაზეოლოგია. საგალობელში უურადღებაა გამახვილებული ქრისტეს ორბუნებოვნებაზე („... და აღვიარებთ ერთსა მას ორითა ბუნებითა...“); გვხვდება ორიგინალური მხატვრული სახეები; ასე მაგალითად: კანონის „განძლიერდასას“ II ტროპარში ორიგინალურადაა გააზრებული მაცხოვრის მიერ ადამის მოდგმის ფიზიკური — ხორციელი ბუნების განახლება. კანონის სხვადასხვა გალობებში უურადღებას იქცევს ბიბლიური რეფრენების ხშირი ხმარება.

მინჩხის ეს კანონი სახელწაუწერლად აღმოჩნდა შესული მიქაელ მოდრეკილის იადგარში. აღდგომის ა ხმის კანონებს შორის S 425-ში მინჩხის კანონს V ადგილი უჭირავს. მინჩხის ამ კანონის S 425-სა და ათ. 45-ში დაცული ტექსტები ძირითადად თანხვდება ერთმანეთს. თანხვედრილია S 425-სა და ათ. 45-ში აღდგომის ა ხმის დანარჩენი კანონები და მათი ტექსტებიც[36].

მინჩხის ტრადიციული, აქამდე ცნობილი საგალობლებიდან აღდგომის დღესასწაულისთვისაა განკუთვნილი დ ხმის იამბიკური კანონი „უგალობდითსა. საღმრთომან ნისლ. — ჩემთჳს დაადგრა...“ და „თჳთნი“ სტიქარონი „რაჟამს მოხუედი...“ მინჩხის ეს საგალობლები ცნობილია მიქაელ მოდრეკილის იადგარით. აღდგომის დღესასწაულისათვის განკუთვნილი მინჩხის იამბიკური კანონი სახელწაუწერლადაა შესული A 93 ხელნაწერშიც. ეს ხელნაწერი შეიცავს გიორგი მთაწმიდელის რედაქციის პარაკლიტონს. იგი გადაწერილია გიორგი მთაწმიდელის ნუსხიდან[37]. A 93-ში მინჩხის იამბიკურ კანონს ერთვის შემდეგი შენიშვნა — „არა მთაწმიდელისანი არიან“. ხელნაწერის გადამწერის — ათანასე არვანდ-ყოფილის მიერ დართული ამ შენიშვნის მიხედვით, გიორგი მთაწმიდელის რედაქციის პარაკლიტონში მინჩხის ეს კანონი შესული არ უნდა იყოს. ეს ვარაუდი დაადასტურა გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული პარაკლიტონის — ათ. 45-ის შესწავლამ, რომელშიც მინჩხის აღდგომის იამბიკური კანონი მართლაც არ აღმოჩნდა შესული.

ამრიგად, მიქაელ მოდრეკილის იადგარით ცნობილ ჰიმნოგრაფიულ კანონსა და „თჳთ-ძლისპირ“ სტიქარონთან ერთად, იოანე მინჩხს ეკუთვნის აღდგომის დღესასწაულისათვის განკუთვნილი კიდევ ერთი საგალობელი — ა ხმის ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელიც ავტორზე მითითებით შესულია გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ პარაკლიტონში.

ათ. 45-ზე დართულ ანდერძში გიორგი მთაწმიდელი საგანგებოდ ამახვილებს უურადღებას ხელნაწერში შეტანილ ქართულ მასალაზე: „... და იშჳთანი არიან ქართულისაგან და რომელნიცა ქართულნი არიან და ჩუენ აღგჳწერიან, ფრიად კეთილ არიან და საწადელ...“ ეს სიტყვები ათ. 45-ში შესულ სხვა ქართულ მასალასთან ერთად, ითვალისწინებს იოანე მინჩხის ახლადგამოვლენილ კანონსაც და კიდევ ერთხელ ნათელყოფს მინჩხის შემოქმედებისადმი გიორგი მთაწმიდელის დამოკიდებულებას.

---

36 ამრიგად, ეს იადგარისეული მასალაა, რომელიც გიორგი მთაწმიდელს გადაუტანია თავის „პარაკლიტონში“.

37 იხ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 73—74.

ათ. 58. ხელნაწერი მოკლედაა აღწერილი ალ. ცაგარლის მიერ (ათ. 35-დ). აღწერილობაში მითითებულია, რომ ხელნაწერი წარმოადგენს „თუენს“, შეიცავს სექტემბერ-აგვისტოს თვეთა მასალას. ცაგარელი ხელნაწერს X საუკუნით ათარიღებს[38].

შემდგომში ხელნაწერი აღწერა რ. ბლეიკმა (ათ. 57-დ). რ. ბლეიკი ათ. 58-ს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფად მიიჩნევს. აღწერილობაში მითითებულია, რომ ათ. 58 წარმოადგენს „თუენს“, შეიცავს სექტემბერ-მაისის თვეთა მასალას[39].

ათ. 58-ში მინჩხის სახელით წარწერილია 2 აქამდე უცნობი მცირე ფორმის საგალობელი, რომლებიც განკუთვნილია 14 იანვრისა და 2 თებერვლისათვის (ამ სტიქარონების ტექსტები პუბლიკაციაში წარმოდგენილია 105 და 108 ნომრებად). ორივე მათგანის დასაწყისთან აშიაზე მიწერილია მითითება ავტორზე — „მინჩ“.

ათ. 58-ში 14 იანვარს დადებულია 2 ხსენება — სინა-რაითელ მამათა და წმ. ნინოსი. მინჩხის სტიქარონი სინა-რაითელ მამათა ხსენებას ეძღვნება. 14 იანვრის პოეტურ მასალაში იგი I ადგილზეა წარმოდგენილი. მინჩხის სტიქარონი 5 ტროპარისაგან შედგება.

ათ. 58-ით გამოვლენილი მინჩხის II ახალი სტიქარონი განკუთვნილია მიგებების დღესასწაულისათვის. ამ დღეზე ათ. 58-ში წარმოდგენილია 18 მცირე ფორმის საგალობელი. ამ საგალობლებს შორის მინჩხის სტიქარონს VI ადგილი უჭირავს. საგალობელი 3 ტროპარისაგან შედგება, დასაწყისთან მითითებულია ძლისპირი — „თანასწორნი“.

მინჩხის ეს სტიქარონი სახელწაუწერლადაა შესული იერ. 100 ხელნაწერში, რომელიც შეიცავს გიორგი მთაწმიდელის რედაქციის თებერვლისა და მარტის თვეთა მასალას[40]. ათ. 58-სა და იერ. 100-ში დაცულ მინჩხის ამ სტიქარონის ტექსტებს შორის არსებობს მცირე ვარიანტული სხვაობები. იერ. 100-ში მინჩხის ამ სტიქარონთან მითითებულია განსხვავებული ძლისპირი — „მკნეონი“.

გიორგი მთაწმიდელის რედაქციის „თუენებში“ მინჩხის საგალობლების არსებობა აქამდეც იყო ცნობილი. კერძოდ, სინ. 2 და სინ. 56 ხელნაწერები შეიცავს მინჩხის წმ. გიორგისა და ფერისცვალების დღესასწაულისადმი მიძღვნილ კანონებს. მინჩხის ფერისცვალების დღესასწაულისადმი მიძღვნილი კანონი შესული აღმოჩნდა იერ. 107 ხელნაწერშიც[41]. ათ. 58-ის მოწმობით, გიორგი მთაწმიდელის რედაქციის თუენებში შესულია მინჩხის მცირე ფორმის საგალობლებიც.

ამრიგად, იოანე მინჩხს საგალობლები უწერია უძრავი საეკლესიო დღესასწაულებისათვისაც.

ამრიგად, სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე ცნობილი იყო მინჩხის საგალობების შემცველი 11 ხელნაწერი: სინ. 5, სინ. 75, S 425, იერ. 42, A 93, სინ. 2, სინ. 56, H 2337, A 160, A 425 და S 1133; ამას ემატება გიორგი მთა-

---

[38] Цагарели А., Сведения о памятниках грузинской письменности, с. 81.

[39] Blake R., Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au mont Athos, p. 248.

[40] Blake R., Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque a Jérusalem, p. 17.

[41] იხ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 53—54.

წმიდელის ავტოგრაფული მარხვანი, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. მინჩხის ფერისცვალების დღესასწაულისადმი მიძღვნილი კანონი შესული აღმოჩნდა იერ. 107 ხელნაწერშიც. დასახელებულ ხელნაწერებს გარდა, იოანე მინჩხის საგალობლები შესული აღმოჩნდა სინური, იერუსალიმური, ათონური და ადგილობრივი კოლექციების 10 ქართულ ხელნაწერში: სინ. 59, სინ. 64, სინ. 5, სინ. 75, A 568, იერ. 130, ათ. 59, ათ. 45, ათ. 58, იერ. 100. ეს ხელნაწერები წარმოადგენს სხვადასხვა ხასიათის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებს — იადგარებს, მარხვანებს, თუენებს, პარაკლიტონს. მინჩხის საგალობლების შემცველი ახლადგამოვლენილი ხელნაწერები მოწმობს მისი შემოქმედების ფართოდ გავრცელებას ძველ ქართულ ტრადიციაში.

მინჩხის საგალობლების შემცველი ახლადგამოვლენილი ხელნაწერების შესწავლამ ნათელყო, რომ A 568, იერ. 130 და ათ. 59 ხელნაწერები გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანებს წარმოადგენს. ამ ხელნაწერებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ათ. 59, რომლის შესწავლამ გამოავლინა გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობითი მუშაობის რამდენიმე ძირითადი ეტაპი, აგრეთვე გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანის ისტორია.

მინჩხის საგალობლების შემცველი ახლადგამოვლენილი ხელნაწერების უმეტესობა (A 568, იერ. 130, ათ. 59, ათ. 45, ათ. 58, იერ. 100) გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებს წარმოადგენს. ეს გარემოება ნათლად მოწმობს იოანე მინჩხის შემოქმედებისადმი გიორგი მთაწმიდელის დამოკიდებულებას. გიორგი მთაწმიდელის ვრცელი რედაქციის მარხვანებთან ერთად, მინჩხის საგალობლები დიდი რაოდენობითაა შესული გიორგი მთაწმიდელის I, მოკლე რედაქციის მარხვანში (ათ. 59); მინჩხის საგალობლები შესულია აგრეთვე გიორგი მთაწმიდელის რედაქციის პარაკლიტონსა (ათ. 45) და თუენებში (ათ. 58, იერ. 100). გიორგი მთაწმიდელის რედაქციის პარაკლიტონში იოანე მინჩხის საგალობლების არსებობის ფაქტი აქამდე არ იყო ცნობილი. საყურადღებოა, რომ ამ კრებულში შესული მცირერიცხოვანი ქართული საგალობლები, გიორგი მთაწმიდელის სიტყვით „ფრიად კეთილ არიან და საწადელ".

იოანე მინჩხის ახლადგამოვლენილი საგალობლები შესული აღმოჩნდა X ს-ის სინური იადგარებშიც — სინ. 59 და სინ. 64.

სინური კოლექციის ქართული ხელნაწერებიდან იოანე მინჩხის ახლადგამოვლენილი საგალობლები სახელწაუწერლადაა შესული Sin. 5 და Sin. 75 ხელნაწერებშიც. მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილი მრავალრიცხოვანი საგალობლები ამ ხელნაწერებში გადასული უნდა იყოს პროტოტიპული ქართული მარხვანიდან, რომლის შედგენაში იოანე მინჩხს განსაკუთრებული წელილი მიუძღვის.

ათონური კოლექციის ქართული ხელნაწერების — ათ. 59, ათ. 45, ათ. 58 და იერ. 130-ის შესწავლამ გამოავლინა მინჩხის 6 აქამდე უცნობი საგალობელი, რომელთა ტექსტები პუბლიკაციაში წარმოდგენილია 44, 75, 79, 102, 105 და 108 ნომრებად. ათ. 45-ით გამოვლენილი მინჩხის აღდგომის კანონი სახელწაუწერლად აღმოჩნდა შესული მიქაელ მოდრეკილის იადგარში, რაც შესა-

ძლებელს ხდის S 425-ში მინჩხის სხვა სახელწაუწერელი საგალობლების არსებობასაც. იოანე მინჩხს უნდა ეკუთვნოდეს გეორგ. 5-ში სახელწაუწერლად შესული დიდმარხვის I და II კვირიაკეებისათვის განკუთვნილი ელია იერუსალიმელის კანონების II ოდებიც.

ზემოთგანხილული ხელნაწერები ყურადღებას იმსახურებს მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების პოეტური საზომების შესწავლის თვალსაზრისითაც.

თავი VI

იოანე მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების რიტმულ-მელოდიური საზომები

მინჩხის ტრადიციული და ახლადგამოვლენილი ჰიმნოგრაფიული კანონების პოეტური საზომები განხილულია ნაშრომის წინა თავებში. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, მინჩხის 7 ჰიმნოგრაფიული კანონის თითოეულ ოდასთან დასაწყისი სიტყვებით მითითებულია შესაბამისი ძლისპირები. ეს ძლისპირები ბერძნული ირმოლოგიონის ს. ევსტრატიადისის გამოცემაში იოანე დამასკელის, კოზმა იერუსალიმელისა და ანდრია კრიტელის სახელითაა წარწერილი. მათი ქართული თარგმანები დაცულია ძლისპირთა I და III რედაქციებში. მინჩხის კანონები რიტმულად ზუსტად მისდევს შესაბამისი ძლისპირების ქართულ თარგმანებს. ამრიგად, მინჩხის ეს კანონები დაწერილია ძლისპირ-დასდებლის შესატყვისობაზე დამყარებული ჰიმნოგრაფიის ტრადიციული წესის მიხედვით.

სინ. 2 ხელნაწერში დაცული მინჩხის წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი კანონი „თუთ-ავაჯია“ — შეიცავს საკუთარ სალექსო საზომსა და მუსიკალურ კილოს. ამ კანონის გალობათა პირველი ტროპარები შემდგომდროინდელ ტრადიციაში (მიქაელ მოდრეკილის იადგარსა და A 603 ხელნაწერში) ძლისპირებადაა შეტანილი[1]. პ. ინგოროყვას აზრით, მინჩხის აღნიშნული კანონის თავისებურებას ქმნის 9 მუსიკალურ კომპოზიციასთან 5 სალექსო საზომის შეწყობა; მინჩხის მიერ შემოღებული ეს სალექსო საზომი — „სპადუქნი“ შემდგომში გამოუყენებია მიქაელ მოდრეკილს და 2 ანონიმ ავტორს[2].

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, იოანე მინჩხს განსაკუთრებული წელილი მიუძღვის კანონების II ოდების — „მოიხილეთა“ რეპერტუარის შექმნაში. მინჩხის ახლადგამოვლენილ „მოიხილეებთან“ გეორგ. 5-ში დასაწყისი სიტყვებით მითითებულია შემდეგი ძლისპირები: ყველიერისა კვრიაკესა. კმაჲ ბ. — ვიხილეთ ჩუენ; მესამესა კვრიაკესა. კმაჲ ა გ´ი. — იხარებდით წარმართნი; მეოთხესა კვრიაკესა. კმაჲ ბ გ´ი. — შენ, ღმერთი ეჩუენე ღრუბლით. გამოვ; მეხუთესა კვრიაკესა — კმაჲ გ გ´ი. — მოიხილე მაღალო მაღლით...; მეექუსესა პარასკევესა. კმაჲ დ გ´ი. — უცებმან ერმან ცოფმან; ბზობისა კვრიაკესა. კმაჲ დ. — ისმენდინ ქუეყანაჲ; დიდსა ხუთშაბათსა. კმაჲ ბ გ´ი. — შენ ღმერ-

---

1 იხ. ლ. ხ ა ჩ ი ძ ე, იოანე მინჩხის საგალობლების პოეტური საზომები, ამიერკავკასიის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია „საბჭოთა ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალური პრობლემები“, თელავი, 1982, მუშაობის გეგმა და თეზისები, გვ. 100—102.

2 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, გვ. 669, 673; აგრ. თხზულებანი, III, გვ. 131, 135.

თი ეჩუენე ღრ[უბლით გამო]; დიდსა პარასკევსა... კმაჲ ბ გ̅ი. — რომელმან განავლო ზღუაჲ. მეწ[ამული]; დიდსა შაბათსა. კმაჲ ბ გ̅ი. „თომელმან განავლო ზღუაჲ...“

მინჩხის „მოიხილეებთან“ მითითებული ეს ძლისპირები ქართულ ძლისპირთა I რედაქციასა და ბერძნული ირმოლოგიონის ს. ევსტრატიადისის გამოცემაში შესული არ არის[3]. ძლისპირები „ვიხილეთ ჩუენ“ და „მოიხილე მაღალო...“[4] არ დასტურდება არც ქართულ ძლისპირთა III რედაქციაში (A 603 ხელნაწერი), დანარჩენი 5 ძლისპირი კი (იხარებდით წარმართნი, შენ ღმერთი ეჩუენე ღრუბლით გამო, უცებმან ერმან ცოფმან, ისმენდინ ქუეყანაჲ და რომელმან განავლო ზღუა მეწამული) ქართულ ძლისპირთა III რედაქციაში სრული ტექსტებითაა შესული. მინჩხის „მოიხილეები“ რიტმულად თანხვდება A 603-ში დაცულ ამ ძლისპირებს.

ძლისპირთა დასახელებული გამოცემებიდან მხოლოდ ქართულ ძლისპირთა I რედაქციაშია შესული დიდი ოთხშაბათისათვის განკუთვნილი მინჩხის სამსაგალობლის თითოეულ ოდასთან მითითებული ძლისპირები (ღმერთო მოხედენ, ყრმანი ბაბილოვნს, ჯერ არს დუმილი).

რიტმულ-მელოდიური საზომების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იოანე მინჩხის მცირე ფორმის საგალობლები. ქართულ ხელნაწერებში (სინ. 5, სინ. 75, გეორგ. 5, ათ. 59, A 568, იერ. 130, S 425, H 2337, სინ. 59, სინ. 64, S 1133, A 160, A 425, ათ. 58 და იერ. 100) მინჩხის სახელით წარწერილია 98 მცირე ფორმის საგალობელი. მათი უმეტესობა (90 სტიქარონი) მარხვანისათვისაა განკუთვნილი.

მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების რიტმულ-მელოდიური საზომების შესწავლა დღეისათვის დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რადგან სტიქარონების ძლისპირები, როგორც ბერძნულ, ისე ქართულ მასალაზე, დღეისათვის თითქმის სრულიად შეუსწავლელია. ეს საკითხი საგანგებო კვლევას მოითხოვს და ჩვენს ამოცანას არ შეადგენს. ჩვენს მიერ ქვემოთ წარმოდგენილი დაკვირვებები და დასკვნები ემყარება ერთი მხრივ, მინჩხის თანამედროვე ჰიმნოგრაფიული კრებულების — სინური იადგარების მასალას; მეორე მხრივ —. მინჩხის შემდგომდროინდელ ტრადიციას — მიქაელ მოდრეკილის იადგარს, სინ. 5 ხელნაწერს, სტიქარონების ძლისპირთა კრებულებს — A 85, K 564, K 22, ათ. 86 და Q 298. ამ ხელნაწერებში დადასტურდა მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების რიტმულ-მელოდიური საზომები. დასახელებული ხელნაწერების ქრონოლოგიისა და ჩვენებების გათვალისწინება მინჩხის სტიქარონების რიტმულ-მელოდიური საზომების შესწავლისათვის საინტერესო სურათს იძლევა[5].

იოანე მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების უმეტესობა — 75 სტიქარონი შეიცავს მითითებებს შესაბამის ძლისპირებზე, მინჩხის 23 სტიქარონი კი ხელნაწერებში ძლისპირებზე მითითების გარეშეა შესული, ისინი უშუალოდ ტროპარების სრული ტექსტებითაა დაწყებული.

---

[3] იმის გამო, რომ აქ წარმოდგენილია 8-ოდიანი ძლისპირთა აკოლუთიები (აქლია II ოდის ძლისპირები).

[4] უძველეს იადგარში დაცულ ჯვართა აპყრობის კანონის II ოდასთან მითითებულია შემდეგი ძლისპირი: „მოიხილე მაღალო წყ“. იხ. უძველესი იადგარი, გვ. 300, 856.

[5] მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების ერთი ნაწილი, რომელთა რიტმულ-მელოდიური საზომები ამ საგალობლებისადმი მინჩხის ავტორობის საკითხს უკავშირდებოდა, ზემოთ განვიხილეთ.

მინჩხის თანამედროვე ჰიმნოგრაფიულ ტრადიციაში — X საუკუნის სინურ იადგარებში — სინ. 1, სინ. 14, სინ. 34, სინ. 59, სინ. 64 დადასტურდა მინჩხის სტიქარონებთან დასაწყისი სიტყვებით მითითებული 24 ძლისპირი. რომლებიც ბერძნულიდანაა თარგმნილი (იხ. ამის შესახებ ქვემოთ). ამ დროისათვის ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში ცნობილი უნდა ყოფილიყო მინჩხის სტიქარონებთან დასაწყისი სიტყვებით მითითებული სხვა ძლისპირებიც, რომლებზედაც იოანე მინჩხს დაუწერია საკუთარი საგალობლები. გამორიცხული არ არის, რომ ამ ძლისპირების ერთი ნაწილი თვით მინჩხის მიერ იყოს გადმოღებული ბერძნულიდან. ქვემოთ მოტანილ ცხრილში თავმოყრილია მინჩხის მცირე ფორმის საგალობლებთან დასაწყისი სიტყვებით მითითებული ძლისპირები[6]:

1. ამაო არს ცხორებაჲ ჩუენი. კმაჲ დ. A 85, სინ. 5, K 22.
2. ანგელოზთა მკედრობაჲ. კმაჲ ბ გ´ი. სინ. 1, სინ. 59, სინ. 5.
3. გიხაროდენ. კმაჲ ა გ´ი. A 85.
4. გუნდი მარტჳლთაჲ. კმაჲ ბ. A 85, ათ. 86, K 564, სინ. 59, სინ. 5.
5. დაიძინა საფლავსა. კმაჲ ბ გ´ი. A 85, K 564, Q 298.
6. დიდი მღდელთმოძღუარი. კმაჲ ა. S 425, A 85, K 564, სინ. 1, სინ. 59.
7. დღეს აღდგა ქრისტე. კმაჲ გ გ´ი. S 425, A 85, ათ. 86, K 564, სინ. 1, სინ. 59.
8. დღესა მას შობისასა. კმაჲ გ გ´ი. S 425, A 85, K 564, სინ. 5.
9. ეჰა დიდებული. კმაჲ ა. A 85, ათ. 86, K 564, სინ. 1, სინ. 64, სინ. 5, Q 298.
10. ვერ გულისკმა-ყვეს. კმაჲ ბ. A 85, K 564.
11. ვითარმედ გხადოდით თქუენ. კმაჲ დ გ´ი. A 85, ათ. 86, სინ. 1, სინ. 5, Q 298.
12. ვითარცა-იგი პირველადვე. კმაჲ გ. A 85, K 564, Q 298.
13. ვითარცა მონათა უკმართა. კმაჲ დ გ´ი. A 85.
14. ზეცისა განწესებულთა. კმაჲ ა. A 85, სინ. 1, სინ. 59.
15. თანასწორნი კმაჲ დ. A 85, K 564.
16. იშევ შენ. კმაჲ დ გ´ი. სინ. 1, სინ. 59.
17. კაცთათჳს კაც იქმნა. კმაჲ ბ გ´ი. A 85, K 564, ათ. 86, სინ. 5.
18. ლბილ იყუნეს სიტყუანი. კმაჲ ა გ´ი. A 85, K 564.
19. მოგიცემიეს. კმაჲ დ. სინ. 1, ათ. 86, K 564, სინ. 59, სინ. 5, Q 298.
20. მოვედითნი. კმაჲ დ გ´ი. S 425, ათ. 86, A 85, K 564, სინ, 1, სინ. 59.
21. მე განვწირე. კმაჲ ა გ´ი. A 85, ათ. 86.
22. მომიჯსენენ ჩუენ. კმაჲ დ გ´ი. A 85, ათ. 86, K 564, სინ. 1, სინ. 59, Q 298.
23. მოღუაწენო წმიდანო. კმაჲ გ გ´ი. A 85, სინ. 59.
24. მჯდომარე ეტლთა. კმაჲ გ გ´ი. A 85, ათ. 86, K 564, სინ. 1, სინ. 59, Q 298.
25. მკნეონი. კმაჲ დ. A 85, K 564, სინ. 1, სინ. 59, Q 298.
26. ნაცვლად კეთილთა. კმაჲ ბ გ´ი. A 85, ათ. 86, სინ. 1, სინ. 5.
27. ნუგეშინისმცემელი. კმაჲ გ გ´ი. A 85, S 425, სინ. 1, სინ. 5.
28. ნუმცა ვემსგავსებით. კმაჲ გ. A 85, K 564.
29. პირველითგან იყო. კმაჲ ბ. A 85, ათ. 86, K 564.

---

[6] აქვე ვუთითებთ ამ ძლისპირების შემცველ სხვა ხელნაწერებს.

30. ჟაბხი ჩუენნი. კმაჲ გ გ´ი. A 85, ათ. 86, S 425, K 564.
31. რაჟამს იხილნა. კმაჲ ა გ´ი. A 85.
32. რაჟამს შევიდეს. კმაჲ ა გ´ი. A 85, K 564, სინ. 59, სინ. 5.
33. რომელი მოხუედ ზეცით. კმაჲ დ. A 85, K 564.
34. რომელი შეიკრა. კმაჲ ა. S 425, A 85.
35. სამგზის სანატრელთა. კმაჲ დ. სინ. 5.
36. სასწაულთა მოქმედი. კმაჲ ა. A 85, ათ. 86, K 564, Q 298.
37. სასოწარკუეთილთა. კმაჲ ბ გ´ი. ათ. 86, სინ. 59, Q 298.
38. სატფურებისა დღესა. კმაჲ, დ. A 85, K 564, სინ. 1.
39. სუფევს ღმერთი წარმართთა. კმაჲ ა გ´ი. A 85, ათ. 86, K 564, სინ. 1, სინ. 59, სინ. 5.
40. უბიწოო ღმრთისმშობელო. კმაჲ ბ გ´ი. ათ. 86, სინ. 1.
41. უფალო, დაღაცათუ. კმაჲ დ გ´ი. A 85, ათ. 86, K 564, სინ. 1.
42. უფალო, საკსენებელსა. კმაჲ ბ გ´ი. A 85, K 564.
43. ქრისტე კაცთმოყუარე. კმაჲ ა. A 85, ათ. 86, K 564, სინ. 5.
44. ქრისტე მეუფეო. კმაჲ დ. A 85, K 564.
45. ქრისტეს მოწამენი. კმაჲ დ გ´ი. A 85, ათ. 86, K 564, სინ. 1.
46. ღმრთისმშობელო უზეშთაეს. კმაჲ დ.
47. ყოველი სასოებაჲ. კმაჲ ბ გ´ი. A 85, ათ. 86.
48. შენდა მომართ. კმაჲ ა გ´ი. K 564.
49. შჯულმან მან. კმაჲ ბ. A 85, K 564, სინ. 1, სინ. 59.

მინჩხის სტიქარონებთან მითითებული ეს ძლისპირები, როგორც ჩანს, კარგადაა ცნობილი შემდგომდროინდელ ტრადიციაშიც — სინ. 5|სინ. 75 ხელნაწერში, გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანებში — გეორგ. 5, ათ. 59, A 568, იერ. 130, აგრეთვე სტიქარონების ძლისპირების კრებულებში. მინჩხის თითოეული სტიქარონის ძლისპირის აღნიშვნაში მათი შემცველი ყველა ხელნაწერი, ჩვეულებრივ, თანხვდება ერთმანეთს, რაც ტრადიციის სიმყარით უნდა აიხსნას.

სტიქარონების ძლისპირების სპეციალური შესწავლის შემდეგ შესაძლებელი გახდება დაახლოებით მაინც განისაზღვროს ქართულ ჰიმნოგრაფიაში თითოეული ამ ძლისპირის შემოსვლის დრო. მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების შესწავლას დღეისათვის ჩვენ იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მისი მოღვაწეობის დროისათვის სტიქარონების ძლისპირების ეს რეპერტუარი ქართულ ენაზე უკვე არსებობს. იოანე მინჩხს, მეხელთა თაობის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს, როგორც ჩანს, კარგად ხელეწიფებოდა ბერძნულიდან თარგმნილ ძლისპირებთან ორიგინალური საგალობლების შეწყობა.

მინჩხის საგალობლების შემცველ ყველა ხელნაწერში ძლისპირებზე მითითების გარეშე, უშუალოდ ტროპარების სრული ტექსტებითაა დაწყებული მინჩხის 23 მცირე ფორმის საგალობელი. ზოგიერთ მათგანს სხვადასხვა ხელნაწერებში ახლავს მითითება — „თჳთნი". ასე მაგ. აღდგომის დღესასწაულისადმი მიძღვნილ მინჩხის სტიქარონს "კმაჲ გ გ´ი. — რაჟამს მოხუედი..." მიქაელ მოდრეკილის იადგარში სათაურშივე მითითებული აქვს „თჳთნი". I ორშაბათისათვის განკუთვნილ მინჩხის სტიქარონს "კმაჲ დ. — მიეხედნეთ შინაგანისა..." სინ. 5 და გეორგ. 5 ხელნაწერებში აგრეთვე მიწერილი აქვს „თჳთნი". სინ. 5-ში ანალოგიური მითითება ახლავს დიდმარხვის VI სამშაბათისათვის განკუთვნილ მინჩხის სტიქარონს „კმაჲ ბ გ´ი. — ნეტარ არს, რომელმან".

A 568-ში „თუთნია“ მიწერილი დიდმარხვის III ორშაბათისათვის განკუთვნილ მინჩხის მცირე ფორმის საგალობელთან „კმაჲ გ. — გულისკმავყოთ ამაოებაჲ ჩუენი...“

უშუალოდ ტროპარების სრული ტექსტებით დაწყებული მინჩხის დანარჩენი 19 სტიქარონი აგრეთვე „თუთ-ძლისპირი“ ანუ „თუთ-ავაჯი“ უნდა იყოს[7]. ამას მხარს უჭერს შემდეგი გარემოება: X საუკუნის სინურ იადგარებში მინჩხის აღნიშნული სტიქარონების პირველი ტროპარები არ დასტურდება. მაშასადამე, მინჩხის წინადროინდელი და მისი თანამედროვე ტრადიცია მათ ძლისპირებად გამოყენებას არ იცნობს. მეორე მხრივ, მინჩხის აღნიშნული სტიქარონების „თუთ-ძლისპირობას“ მხარს უჭერს ის გარემოება, რომ გეორგ. 5-ის I ნაწილში ისინი ძლისპირებზე მითითების გარეშეა შესული[8]. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში კი, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, მინჩხის სტიქარონები შესულია მათი რიტმულ-მელოდიური საზომების საგანგებოდ დადგენის შემდეგ. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ხელნაწერებში უშუალოდ ტროპარების სრული ტექსტებით დაწყებული მინჩხის 23 სტიქარონი „თუთ-ძლისპირი“ ანუ „თუთ-ავაჯი“ უნდა იყოს. მოვიტანთ მათ ნუსხას:

1. ამაო არს ცხორებაჲ ჩუენი. კმაჲ დ. A 85, სინ. 5, K 22.
2. გულისკმა-ვყოთ ამაოებაჲ ჩუენი. კმაჲ გ. A 85, K 22.
3. დღესა მას შობისასა. კმაჲ გ გ˜ი. S 425, A 85, K 564, სინ. 5.
4. ვერ გულისკმა-ყვეს. კმაჲ ბ. A 85, ათ. 86, K 564.
5. ვითარცა-იგი პირველადვე. კმაჲ გ. A 85, K 564, Q 298 (ულაღადა ღმრთისმშობელსა...)
6. ვითარცა მონათა უკმართა. კმაჲ დ გ˜ი. A 85.
7. იხილეთღა, აწ, უმადლონო. კმაჲ გ გ˜ი. S 425, A 85, K 564.
8. კაცთათჳს კაც იქმნა. კმაჲ ბ გ˜ი. A 85, ათ. 86, K 564, სინ. 5.
9. ლბილ იყვნეს სიტყუანი. კმაჲ ა გ˜ი. A 85, K 564.
10. მე განვწირე სული ჩემი. კმაჲ ა გ˜ი. A 85, ათ. 86, სინ. 5.
11. მეუფეო ქრისტე. კმაჲ გ გ˜ი. S 425.
12. მივხედნეთ შინაგანითა. კმაჲ ბ. A 85, სინ. 5.
13. ნათელმან დაუღამებელმან. კმაჲ დ. ათ. 86, K 564, სინ. 5, Q 298.
14. ნეტარ არს, რომელმან. კმაჲ ბ გ˜ი. A 85.
15. ნუმცა ვემსგავსებით. კმაჲ გ. A 85, სინ. 5, K 564, K 22.
16. პირველითგან იყო. კმაჲ ბ. A 85, ათ. 86, K 564.
17. ჟამნი ჩუენნი. კმაჲ გ გ˜ი. A 85, ათ. 86, S 425, K 564.
18. რაჟამს მოხუედი. კმაჲ გ გ˜ი. K 22.
19. სასწაულთამოქმედი. კმაჲ ა. A 85, ათ. 86, K 564, Q 298.
20. სიბრძნე ღმრთისაჲ მოვიდა. კმაჲ ა გ˜ი. A 85, ათ. 86, K 564, სინ. 5, Q 298.
21. უკუეთუ ვიქმოდით. კმაჲ ბ გ˜ი. A 85.
22. ჯუარსა ზედა იხილეს. კმაჲ გ. A 85.
23. კრებულნო მამათანო. კმაჲ ა გ˜ი.

---

7. აღნიშნული 23 სტიქარონიდან 15-ს პ. ინგოროყვა აგრეთვე მინჩხის „თუთ-ძლისპირ“ სტიქარონებად მიიჩნევს: იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 686—691; აგრ. თხზულებანი, III, გვ. 148—153.

8. ანალოგიური მდგომარეობაა ამ საგალობლების შემცველ ყველა სხვა ხელნაწერში.

ყურადღებას იმსახურებს შემდეგი გარემოება: მინჩხის „თუთ-ძლისპირი“ სტიქარონების ცხრილში 1, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 15, 16, 17 და 19 ნომრებად შესული სტიქარონების დასაწყისი სიტყვები ძლისპირებადაა მითითებული მინჩხის სხვა მცირე ფორმის საგალობლებთან (I ცხრილი). როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში, აგრეთვე სინ. 5, სინ. 75, ათ. 59, A 568 და იერ. 130 ხელნაწერებში აღნიშნული დასაწყისები ჯერ უშუალოდ ტროპარების სრულ ტექსტებს იწყებენ და მხოლოდ ამის შემდეგ არიან მითითებული ძლისპირებად.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ხელნაწერებში უშუალოდ ტროპარების სრული ტექსტებით დაწყებული მინჩხის 23 მცირე ფორმის საგალობელი „თუთ-ძლისპირი“ ანუ „თუთ-ავაჯი“ უნდა იყოს. იოანე მინჩხი ერთადერთი ავტორია ქართველ ჰიმნოგრაფთა შორის, რომელსაც მთელი რიგი „თუთ-ძლისპირი“ სტიქარონები ეკუთვნის. ამ სტიქარონების სახით მან ქართულ ჰიმნოგრაფიაში შემოიტანა ახალი სალექსო საზომები და ახალი მელოდიები.

იოანე მინჩხის მცირე ფორმის საგალობლები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დადასტურდა მთელ რიგ ქართულ ხელნაწერებში — X საუკუნის სინურ იადგარებში, მიქაელ მოდრეკილის იადგარში, სინ. 5 ხელნაწერზე დართულ სტიქარონების ძლისპირ-ღმრთისმშობლისანების კრებულში, ძლისპირთა კრებულებში — A 85, K 564, K 22, ათ. 86 და Q 298. ეს ხელნაწერები შეიცავს მინჩხის სტიქარონებთან დასაწყისი სიტყვებით მითითებული ძლისპირების უმეტესობას. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ S 425, A 85, K 564, K 22, ათ. 86 და Q 298 ხელნაწერებში ძლისპირებად აღმოჩნდა შესული მინჩხის „თუთ-ძლისპირი“ სტიქარონების დასაწყისი ტროპარები[9]. ზემოთმოტანილ ცხრილებში ნაჩვენებია, თუ რომელ ხელნაწერებშია შესული მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების რიტმულ-მელოდიური საზომები. ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ ამ ხელნაწერების ჩვენებებს.

X საუკუნის სინურ იადგარებში — სინ. 1, სინ. 14, სინ. 34, სინ. 59, სინ. 64 დადასტურდა მინჩხის სტიქარონებთან დასაწყისი სიტყვებით მითითებული 24 ძლისპირი. ამ ძლისპირებთან სინურ იადგარებში ხშირად ქართული ტრანსკრიპციით მოტანილია შესაბამისი ბერძნული ძლისპირების დასაწყისები. ასე მაგ. ძლისპირს „ეჰა დიდებული საკვრველი“ დასახელებულ ხელნაწერებში წინ უძღვის მითითება შესაბამის ძლისპირზე „უ ტუ პარადოქსო თავმატს“ (Ὦ τοῦ παραδόξου θαύματος). ამგვარი მოვლენა დადასტურებულია ქართულ ძლისპირთა I რედაქციაშიც[10]. ბერძნულიდან თარგმნილი ყველა ეს ძლისპირი მინჩხის სტიქარონებთან დასაწყისი სიტყვებითაა მითითებული. ბერძნულიდან უნდა იყოს თარგმნილი მინჩხის სტიქარონებთან მითითებული ძლისპირების უმეტესი ნაწილიც.

მიქაელ მოდრეკილის იადგარზე დართულ ძლისპირთა კრებულში, რომელიც ჩვენამდე ნაკლულადაა მოღწეული, სრული ტექსტებითაა შესული მინჩხის სტიქარონებთან მითითებული 5 ძლისპირი. საინტერესოა, რომ ძლისპირთა ამ კრებულში მინჩხის 4 "თუთ-ძლისპირი“ სტიქარონის დასაწყისები (მეუფეო

---

[9] K 22 და K 564 ხელნაწერებში დაცული მინჩხის 7 ორიგინალური ძლისპირი მითითებული აქვს პ. ინგოროყვას: იხ. გიორგი მერჩულე, 688—689, აგრეთვე თხზულებანი, III, გვ. 151—152.

[10] ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გვ. 031—037.

ქრისტე; დღესა მას შობისასა; იხილეთღა აწ უმადლონო; ყამნი ჩუენნი) ასომთავრულითაა მითითებული სხვა ძლისპირებთან, რომლებიც მიქაელის იადგარში სრული ტექსტებითაა დაცული. შედარებამ გვიჩვენა, რომ S 425-ში „წყვილ-წყვილად" წარმოდგენილ ამ ძლისპირებს საერთო რიტმული საზომები აქვთ და ამდენად, შესაძლებელია მათი ურთიერთშენაცვლება.

ამრიგად, კრებულის გადაწერის დროისათვის (978—988 წწ.) მინჩხის „თუთ-ავაჯი" სტიქარონების ერთი ნაწილი უკვე ძლისპირებადაა ქცეული.

მინჩხის სტიქარონების პოეტური საზომები დადასტურდა სინ. 5-ზე დართულ სტიქარონების ძლისპირ-ღმრთისმშობლისანების კრებულშიც. კერძოდ, აქ შესულია მინჩხის სტიქარონებთან მითითებული 10 ძლისპირი და მისი 5 „თუთ-ძლისპირი" სტიქარონის დასაწყისები. ყველა ეს ძლისპირი სინ. 5-ში დასაწყისი სიტყვებითაა მითითებული სრული ტექსტებით წარმოდგენილ შესაბამის ღმრთისმშობლისანებთან.

მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილი სტიქარონების საზომები დიდი რაოდენობითაა შესული A 85-ის I ნაწილში, რომელიც XIII საუკუნითაა დათარიღებული. ხელნაწერი წარმოადგენს საგალობლების კრებულს[11]. მასში სრული ტექსტებითაა დაცული მინჩხის სტიქარონებთან მითითებული 22 ძლისპირი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ხელნაწერში ძლისპირებად აღმოჩნდა შესული მინჩხის 11 „თუთ-ძლისპირი" სტიქარონის დასაწყისი ტროპარები. ამ 11 „თუთნიდან" 8 სტიქარონი სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში შეიცავს თითო „ზედმეტ" ტროპარს, რომლებიც გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში ამოღებულია. A 85 ადასტურებს გიორგისეული ტრადიციის სიზუსტეს. აქ ძლისპირებად შესულია მინჩხის აღნიშნული სტიქარონების ის ტროპარები, რომლებიც გეორგ. 5-ში მინჩხის ამ სტიქარონების I ტროპარებადაა მიჩნეული. საინტერესოა, რომ A 85-ში ძლისპირადაა შესული II სამშაბათისათვის განკუთვნილი მინჩხის „თუთ-ავაჯი" სტიქარონის — „კმაჲ გ. გულისკმავყოთ ამაოებაჲ ჩუენი..." II ტროპარიც — „გუეკიცხევს ჩუენ საწუთროჲ ესე..."

მინჩხის სტიქარონებთან მითითებული 17 ძლისპირი და მისი 10 „თუთ-ძლისპირი" სტიქარონის პირველი ტროპარები ძლისპირებადაა შესულ საგალობელთა კრებულში — K 22, რომელიც XIII საუკუნეშია გადაწერილი[12]. ამ ხელნაწერში დაცული მინჩხის 6 ორიგინალური ძლისპირი მითითებული აქვს პ. ინგოროყვას[13]. მინჩხის სხვა ძლისპირებთან ერთად, K 22-ში, ისევე როგორც A 85-ში, ძლისპირადაა შესული მინჩხის II სამშაბათისათვის განკუთვნილი „თუთ-ძლისპირი" სტიქარონის II ტროპარიც — „მეკიცხევს ჩუენ..."

მინჩხის სტიქარონებთან მითითებული 16 ძლისპირი სრული ტექსტებითაა დაცული K 564 ხელნაწერშიც. ხელნაწერი წარმოადგენს ძლისპირთა კრებულს, გადაწერილია 1481 წელს[14].

---

11 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. I_1, თბ., 1973, გვ. 287. ვისაც გგბლეთ A 85-ის ძლისპირების ეღ. მეტრეველის მიერ შედგენილი საძიებელი, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

12 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, თბ., 1953, გვ. 101.

13 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ 687—690; აგრ. თხზულებანი, III, გვ. 151—152.

14 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, თბ., 1964, გვ. 175—176.

K 564-ში დადასტურდა მინჩხის 8 „თჳთ-ძლისპირი“ სტიქარონის დასაწყისები. აქაც, ისევე როგორც A 85-ში, ძლისპირებად შესულია ძინჩხის სტიქარონების ის ტროპარები, რომლებიც გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში I ადგილზეა წარმოდგენილი.

მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების პოეტური საზომები დადასტურდა ათონური კოლექციის ქართულ ხელნაწერშიც — ათ. 86, რომელიც XIV—XV საუკუნეებითაა დათარიღებული[15]. ხელნაწერი წარმოადგენს ძლისპირთა კრებულს. აქ სრული ტექსტებითაა შესული მინჩხის სტიქარონებთან მითითებული 17 ძლისპირი, აგრეთვე მინჩხის 8 „თჳთ-ძლისპირი“ სტიქარონის დასაწყისები.

მინჩხის სტიქარონებთან მითითებული 9 ძლისპირი დადასტურდა Q 298 ხელნაწერში, რომელიც XIX საუკუნეშია გადაწერილი[16]. გადამწერის ანდერძის თანახმად, Q 298 გადაწერილია ძველი ტრადიციის მქონე „ფიტარულის სძლისპირიდამ“. მინჩხის სტიქარონებთან მითითებულ ძლისპირებთან ერთად, Q 298-ში დადასტურდა მინჩხის 4 „თჳთ-ძლისპირი“ სტიქარონის დასაწყისი ტროპარები. საერთოდ, Q 298-ში სტიქარონების ძლისპირების რეპერტუარი შედარებით მცირეა. თითოეული ხმის მასალა ხელნაწერში, საშუალოდ, 4—8 ძლისპირითაა წარმოდგენილი.

ამრიგად, X—XIX სს-ების ჰიმნოგრაფიული კრებულები კარგად იცნობს მინჩხთან დადასტურებულ ძლისპირებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ამ კრებულებში ძლისპირებადაა შესული მინჩხის 23 „თჳთ-ძლისპირი“ სტიქარონის პირველი ტროპარები. ამრიგად, ამ ხელნაწერების მოწმობით, მინჩხის მიერ შემოღებული ახალი რიტმულ-მელოდიური საზომები ძლისპირებად დაკანონდა შემდგომდროინდელ ქართულ ჰიმნოგრაფიაში. როგორც ჩანს, ეს პროცესი დაიწყო X საუკუნეშივე (მიქაელ მოდრეკილის იადგარი) და გაგრძელდა საუკუნეების მანძილზე. ორიგინალური ქართული საზომების დამკვიდრება ძლისპირთა რეპერტუარში — ჰიმნოგრაფიის ყველაზე დაკანონებულ სფეროში თანამედროვეებისა და მემკვიდრეების მიერ იოანე მინჩხის შემოქმედების უჩვეულო აღიარებად უნდა ჩაითვალოს. იოანე მინჩხი ერთადერთი ავტორია ქართველ ჰიმნოგრაფთა შორის, რომელსაც მ თ ე ლ ი რ ი გ ი ორიგინალური ძლისპირები ეკუთვნის. ამ ძლისპირებზე იქმნებოდა არაერთი ქართული საგალობელი, რომელთა ავტორებისათვის მინჩხის პოეტური სამყარო სხვა მხრივაც შთაგონების ერთ-ერთი ძირითადი წყარო უნდა ყოფილიყო.

მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილი მცირე ფორმის საგალობლების შესწავლა მინჩხთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის დადგენის საშუალებას იძლევა. სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში მინჩხის საგალობლებს ახლავს შემდეგი მითითებები: „მინჩნი, მინჩხისანი, თჳთნი არიან მინჩხნი, მინჩხ..., მინჩხურნი, თქუმულნი მინჩხისანი, მინჩხნი არიან, მინჩხნია ესე“. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტერმინი „მინჩხურნი“ აღნიშნავს მინჩხის მიერ შემოღებული სალექსო ფორმების მიხედვით დაწერილ საგალობლებს[17]. რამდენადაც იოანე მინჩხი ქართულ ჰიმნოგრაფიაში

---

[15] B l a k e R., Catalogue des manuscrits géorgiens... de la Laure d'Iviron, p. 269.

[16] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, თბ., 1957, გვ. 311—312.

[17] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 172.

დამკვიდრებული მთელი რიგი ორიგინალური საზომების ავტორია, ეს მოსაზრება თითქოს ახლოს უნდა იყოს სიმართლესთან. ამიტომ იგი გაზიარებულ იქნა შემდგომი დროის მკვლევართა მიერ[18]. პ. ინგოროყვას აზრით „მინჩხური“ „მინჩხის“ მონაცვლე ფორმაა და მის ზედწოდებას აღნიშნავს[19].

მინჩხთან დაკავშირებული ტერმინოლოგია დღემდე სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. ამიტომ ამ საკითხზე გამოთქმული მოსაზრებები ვარაუდების სფეროში რჩება. მინჩხთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის დადგენის შესაძლებლობას იძლევა თვით ტრადიციული მასალა — სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის სახელით წარწერილი სტიქარონები. მარხვანისათვის განკუთვნილ მინჩხის 33 სტიქარონს სინ. 5-ში ახლავს შემდეგი მითითებები: „მინჩხურნი, მინჩხნი (19-ჯერ), მინჩხ, მინჩხნია ესე, მ“. ამავე სტიქარონებს სინ. 75-ში მიწერილი აქვს: „მინჩხნი (3-ჯერ), მინჩხურნი (6-ჯერ), მინჩხორნი (5-ჯერ), მინჩხისანი, მინჩხნი (3-ჯერ), მინ˜ჩნი (2-ჯერ) მნ˜ხრნი“. სინ. 5-სა და სინ. 75-ში მინჩხის ავტორობაზე ერთდროული მითითება ახლავს მხოლოდ 13 მცირე ფორმის საგალობელს. „მინჩხურნის“ ტრადიციულ (I) გაგებას ეწინააღმდეგება სინ. 5-სა და სინ. 75-ში „მინჩხურნით“ წარწერილი ის სტიქარონები, რომლებსაც ამავე ხელნაწერში მითითებული აქვთ ძლისპირები და ამდენად, არ წარმოადგენენ მინჩხის „თვთ-ძლისპირ“ სტიქარონებს. ასე მაგ. II ორშაბათის „აღვივსენითსა“, II პარასკევის „აღვივსენითსა“, III ორშაბათის „უფ. ღაღატყავსა“ და ა. შ.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე სტიქარონს სინ. 5-ში მიწერილი აქვს „მინჩხნი“, სინ. 75 კი — „მინჩხურნი“ ან პირიქით. ასე მაგ. II კვირიაკისათვის განკუთვნილ მინჩხის „უფ. ღაღატყავსას“ სინ. 5-ში მიწერილი აქვს „მინჩხნი“, სინ. 75-ში კი — „მინჩხურნი“. ანალოგიური მდგომარეობაა II ორშაბათის „უფ. ღაღატყავსაში“, II პარასკევის „აღვივსენითსაში“, III კვირიაკის „უფ. ღაღატყავსაში“, III ოთხშაბათის „უფ. ღაღატყავსაში“, IV კვირიაკის „უფ. ღაღატყავსაში“ და ა. შ. ამრიგად, სინური კოლექციის ქართული ხელნაწერების — სინ. 5-ისა და სინ. 75-ის მიხედვით ტერმინები „მინჩხნი“ და „მინჩხურნი“ ერთმანეთის მონაცვლეა და მინჩხის ავტორობას აღნიშნავს. ეს განსაკუთრებით ცხადად ჩანს დიდმარხვის I ხუთშაბათის კომპილაციური სტიქარონიდან. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ამ სტიქარონის პირველი 2 ტროპარი სინ. 5-სა და სინ. 75-ში იადგარიდანაა გადმოსული, უკანასკნელი 3 ტროპარს კი სინ. 5-ში მიწერილი აქვს „მინჩხნი“. აღნიშნული სტიქარონის ძლისპირი (მოგიცემიეს ღმერთო...) სინ. 5-სა და სინ. 75-ში აგრეთვე იადგარიდანაა გადმოსული. ამდენად, მინჩხს ვერ მივიჩნევთ „მინჩხნით“ აღნიშნული ტროპარების საზომის ავტორად, მინჩხი თვით ამ ტროპარების ავტორია.

სინ. 5-სა და სინ. 75-ში დაცული მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ტერმინი „მინჩხნი“ „მინჩხურნის“ დაქარაგმებული ფორმა უნდა იყოს. ამას ადასტურებს ის შემთხვევები, როცა სინ. 5-სა და სინ. 75-ში ეს ტერმინები ერთმანეთის მონაცვლედაა ნახმარი მინჩხის ერთსა და იმავე საგალობელთან. ასე მაგ. დიდმარხვის II კვირიაკის „უფ. ღაღატყავ-

---

18 ლ. ჯ ღ ა მ ა ი ა, იოანე მინჩხის საგალობლები მიქაელ მოდრეკილის პიმნოგრაფიული კრებულის მიხედვით, გვ. 1.

19 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, თხზულებანი, III, გვ. 131—132, აგრ. გიორგი მერჩულე, გვ. 670.

სას“ სინ. 5-ში მიწერილი აქვს „მინჩხნი“. სინ. 75-ში — „მინჩხურნი“. ანალოგიური მდგომარეობაა II ორშაბათის „უფ. ღაღატყავსასთან“, II პარასკევის „აღვივსენითსასთან“, III კვირიაკის „უფ. ღაღატყავსასთან“ და ა. შ. ამასვე ადასტურებს სინ. 75-ის II გადამწერის ხელით გადაწერილ ნაწილში ფორმა „მინ˜ჩხნი“-ს უშუალოდ არსებობა. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებით ცნობილი მინჩხის ყველა სტიქარონი, ისევე როგორც მისი აქამდე უცნობი მცირე ფორმის საგალობლები, აღნიშნულია ერთადერთი წესით — მინჩხის ავტორობის აღმნიშვნელი „ᲗᲐ“ მონოგრამით. ამავე მონოგრამითაა აღნიშნული მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილი მცირე ფორმის საგალობლები იერ. 130 ხელნაწერში.

ამ მხრივ კიდევ უფრო ნათელია ათ. 59-ის ჩვენება. ათ. 59-ის ჩვენს ხელთ არსებული მიკროფირები და ფოტოპირები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკმაოდ დაზიანებულია. მინჩხის ავტორობა, რომელიც, ჩვეულებრივ, აღნიშნულია ხელნაწერის აშიებზე, იკითხება მხოლოდ 21 მცირე ფორმის საგალობელთან. აქედან 17 სტიქარონთან. ათ. 59-ში მიწერილია „მინჩხი“. მინჩხის 2 (№№ 20, 35) სტიქარონი „სხუანის“ სახით მოსდევს მინჩხისავე სტიქარონებს, რომლებთანაც ათ. 59-ში მიწერილია ავტორი; ამიტომ ეს სტიქარონები ათ. 59-ში სახელწაუწერლადაა შესული. № 5 სტიქარონის გასწვრივ ათ. 59-ში მიწერილია მონოგრამა, რომელიც მინჩხის ავტორობას უნდა აღნიშნავდეს, № 30 სტიქარონის დასაწყისთან კი მიწერილია „მ˜ნჩ“. ამრიგად, ათ. 59-ში მინჩხის ავტორობა ძირითადად აღნიშნულია ფორმით — „მინჩხი“.

სტიქარონებს, რომლებსაც ათ. 59-ში მიწერილი აქვს „მინჩხი“ სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში ახლავს შემდეგი მითითებები: „მინჩხნი; მინჩხისანი; თჳთნი არიან მინჩხნი; მინჩხურნი; თქუმულნი მინჩხისანი; მინჩხნი არიან; მინჩხ...; მინჩხნია ესე“. ყველა ამ ტერმინის მონაცვლედ ათ. 59-ში გვაქვს ერთადერთი ფორმა — „მინჩხი“.

ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში — გეორგ. 5, იერ. 130, ათ. 59, აგრეთვე სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში დაცული იოანე მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილი მცირე ფორმის საგალობლების შესწავლა ნათელყოფს, რომ ტერმინები „მინჩხნი, მინჩხისანი, მინჩხურნი“ მინჩხის ავტორობას აღნიშნავს. ამასთან, ტერმინი „მინჩხნი“ წარმოადგენს „მინჩხურნის“ დაქარაგმებულ ფორმას.

ამრიგად, იოანე მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების ერთი ნაწილი (75 სტიქარონი) შექმნილი ჩანს ძველ-ქართულ ტრადიციაში გავრცელებულ ძლისპირებზე; მინჩხის 23 მცირე ფორმის საგალობელი კი, ხელნაწერთა მოწმობით, „თჳთ-ძლისპირი“ ანუ „თჳთ-ავაჯი“ უნდა იყოს. X—XIX საუკუნეების ძლისპირთა კრებულებში სრული ტექსტებითაა შესული მინჩხის სტიქარონებთან მითითებული ძლისპირები, აგრეთვე მინჩხის 23 „თჳთ-ძლისპირი“ სტიქარონის I ტროპარები. შუა საუკუნეების სასულიერო პოეზიის თავისებურებათა გათვალისწინებით, ეს ფაქტი მინჩხის შემოქმედების უჩვეულო აღიარებით უნდა აიხსნას.

მინჩხის მიერ შემოღებული ორიგინალური სალექსო საზომები ქართულ ჰიმნოგრაფიაში ყოველგვარი ტერმინის გარეშეა დამკვიდრებული. ხელნაწე-

რებში დადასტურებული მინჩხთან დაკავშირებული ტერმინოლოგია მხოლოდ მინჩხის ავტორობას აღნიშნავს.

ბერძნულ ძლისპირთა რეპერტუარში — ჰიმნოგრაფიის ყველაზე დაკანონებულ სფეროში ორიგინალური საზომების შემოტანა მინჩხის შემოქმედების უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ნათელყოფს მინჩხის შემოქმედების დიდ ორიგინალურობას.

ძირითადი დასკვნები

იოანე მინჩხის ტრადიციული, აქამდე ცნობილი მემკვიდრეობა მოიცავს 6 ჰიმნოგრაფიულ კანონს და 41 მცირე ფორმის საგალობელს. ამ საგალობლების ირგვლივ არსებობს გარკვეული სამეცნიერო ლიტერატურა (იხ. ნაშრომის I თავი). მინჩხის ტრადიციული, აქამდე ცნობილი მემკვიდრეობის შესწავლამ გამოავლინა მისი შემოქმედების ახალი ასპექტები, რომლებიც ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიის რიგი საკითხების კვლევისათვის.

სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერებში — სინ. 5 და სინ. 75 დაცული იოანე მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების შესწავლამ ნათელყო, რომ ისინი საგანგებოდ მარხვანისთვისაა დაწერილი. მათში დაცულია მარხვანების რთული „რეგლამენტაცია", რაც მინჩხისაგან მოითხოვდა დიდ დახელოვნებას ლიტურგიკისა და ჰიმნოგრაფიის სფეროში.

სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში დაცულ მარხვანს საფუძვლად უნდა ედოს პროტოტიპული ქართული მარხვანი, რომელიც შეიცავდა 4 ავტორის: ელია იერუსალიმელის, სტეფანე საბაწმიდელის, თეოდორე სტუდიელისა და იოანე მინჩხის საგალობლებს. მინჩხის საგალობლები განსაკუთრებით მჭიდროდაა დაკავშირებული ელია პატრიარქის (ანუ იერუსალიმელის) შემოქმედებასთან. ორივე ავტორის საგალობლები ძველი, იერუსალიმური მარხვანების ტრადიციას მისდევს. ამასთან დაკავშირებით ნაშრომში შესწავლილია დიდმარხვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულის — ჯვართაყვანისცემის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში მინჩხის სახელით წარწერილია 33 მცირე ფორმის საგალობელი, რომელთაგან 3 სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე ცნობილი არ იყო.

მინჩხის რამდენიმე საგალობელი დაცულია მიქაელ მოდრეკილის იადგარში. ამ საგალობლების სპეციალურმა კვლევამ ნათელყო, რომ მიქაელ მოდრეკილის იადგარში იოანე მინჩხს უნდა ეკუთვნოდეს ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი ორიგინალური კანონი „კმაჲ დ. ზღჳსა მის მეწამულისა. — ქრისტესა სიჩჩოჲთგან შენით...", რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე ეზრას მიეწერებოდა. ეზრა ჰიმნოგრაფი ამ კანონზე დართული მცირე ფორმის საგალობლის („უფ. ღაღატყავსას") ავტორი უნდა იყოს. ამ გარემოებამ ნათელყო, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იოანე მინჩხის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ საფუძველსაა მოკლებული; ამასთან, ზუსტად განისაზღვრება ეზრა ჰიმნოგრაფის მოღვაწეობაც. კვლევამ ნათელყო, რომ მიქაელ მოდრეკილის იადგარში დაცული მინჩხის აღდგომის იამბიკური კანონი დაწერილია ჰიმნოგრაფიაში საყოველთაოდ გავრცელებული წესის მიხედვით — ძლისპირ-დასდებლის რიტმული შესაბამისობის დაცვით. ამით საბოლოოდ გაირკვა ამ კანონის რიტმული საზომი, რომელიც სამეცნი-

ერო ლიტერატურაში ხანგრძლივი დისკუსიის საგანი იყო. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ აღდგომის იამბიკურ კანონზე დართული აქებდითსა, ტრადიციული თვალსაზრისისაგან განსხვავებით, იოანე მინჩხს არ ეკუთვნის; გარკვეულია მინჩხის აღდგომის „თჳთნი“ სტიქარონთან მოხსენიებული სტეფანეს ვინაობა და ა. შ.

მინჩხის შემოქმედების კვლევისათვის ყურადღებას იმსახურებს მისი 2 გამოუქვეყნებელი კანონიც, რომლებიც გიორგი მთაწმიდელის „თუენში“ გადასული უნდა იყოს ე. წ. „თუენის“ I რედაქციიდან. ნაშრომში გამოვლენილია მათი შემცველი ახალი ნუსხები და მინჩხის შემოქმედებასთან მათი ორგანული კავშირი.

მინჩხის შემოქმედების კვლევისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი ახლადგამოვლენილი მემკვიდრეობა — 77 უცნობი საგალობელი, რომელთა უმეტესი ნაწილი (70 საგალობელი) გამოვლენილ იქნა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერში — გეორგიკა 5.

მინჩხის საგალობლები დაცულია ხელნაწერის I ნაწილში (i--216v). გეორგ. 5-ის I ნაწილის რედაქციული და პალეოგრაფიული თავისებურებების შესწავლამ ნათელყო, რომ იგი წარმოადგენს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანს. ეს გარემობა საბოლოოდ დაადასტურა გეორგ. 5-ის I ნაწილის შედარებამ ათ. 45 ხელნაწერთან, რომელიც გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ პარაკლიტონს წარმოადგენს. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანი აქამდე სრულიად შეუსწავლელი იყო, დადგენილი არ იყო თვით ამ კრებულის შემცველი ხელნაწერები. ამ პირობებში გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის გამოვლენა დიდ ინტერესს იმსახურებს ქართული და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორიის, აგრეთვე გიორგი მთაწმიდელის მუშაობის პრინციპების შესწავლისათვის. ხელნაწერში დაცული ჰიმნოგრაფიული მასალა თავისი სისრულით ბევრჯერ აღემატება დღეისათვის გამოცემულ და სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ბერძნულ და სლავურ მარხვანებს. ხელნაწერს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის გარემობა, რომ მასში დიდი სიზუსტითაა მითითებული საგალობლების, აგრეთვე კომპილაციური საგალობლების ცალკეული ნაწილების ავტორები. ამ საგალობლების უმეტესობა სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ბერძნულ და სლავურ მარხვანებში სახელწაუწერლადაა შესული. ნაშრომში შესწავლილია გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანის წყაროები, მისი რედაქციული თავისებურებები, ხელნაწერში წარმოდგენილ ავტორთა აღმნიშვნელი მონოგრამები. 14 ბერძენი ჰიმნოგრაფის მრავალრიცხოვანი საგალობლების გვერდით გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში წარმოდგენილია ერთადერთი ქართველი ავტორი — იოანე მინჩხი. ხელნაწერი შეიცავს მინჩხის 30 ტრადიციულ და 70 აქამდე უცნობ საგალობელს.

იოანე მინჩხის ახლადგამოვლენილი საგალობლები დიდ ყურადღებას იმსახურებს როგორც მისი შემოქმედების, ისე ზოგადად, ქართული ჰიმნოგრაფიის კვლევისათვის. მათი შესწავლა ახლებურად განსაზღვრავს მინჩხის ადგილს ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში, აგრეთვე ორიგინალური ქართული ჰიმნოგრაფიის დონეს და შესაძლებლობებს. საგალობელთა რაოდენობის მხრივ იოანე მინჩხის დღეისათვის ცნობილი მემკვიდრეობა ბევრჯერ აღემატება სხვა ქართველ ჰიმნოგრაფთა საგალობლებს. იოანე მინჩხის მრავალრიცხოვანი საგალობლები განკუთვნილია ბერძნულიდან თარგმნილი ლიტურგიკულ-

ჰიმნოგრაფიული კრებულებისათვის. ისინი დაწერილია ამ კრებულების რთული მოთხოვნების გათვალისწინებით. იოანე მინჩხი ავტორია იადგარდან ცალკე კრებულად გამოყოფილი I ქართული მარხვანის მთელი სტიქარონული ნაწილისა. ამავე დროს, იგი I ქართული „მარხვანის“ შემდგენელი და რედაქტორიც უნდა იყოს. მინჩხი ერთადერთი ავტორია ქართველ ჰიმნოგრაფთა შორის, რომელსაც ამგვარი სირთულისა და მოცულობის სამუშაო აქვს ჩატარებული. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანისა და სინ. 5 ხელნაწერის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფისათვის მეტად საყურადღებო I ქართული მარხვანის რეკონსტრუქცია. ქართული მარხვანის შედგენით იოანე მინჩხმა შექმნა მთელი ერა ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში. ქართული მარხვანის ყველა შემდგომდროინდელ რედაქციას საფუძვლად უდევს I ქართული მარხვანი. მარხვანისათვის განკუთვნილი მრავალრიცხოვანი ორიგინალური საგალობლებით ბიზანტიური ტიპის მარხვანს მინჩხმა შეჰმატა ორიგინალური, ქართული ფენა. ქართულ ჰიმნოგრაფიაში ეს არის ბერძნულიდან თარგმნილი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულების გამიზნულად გაქართულების ერთადერთი შემთხვევა.

მინჩხის ახლადგამოვლენილი საგალობლები, რომლებიც ქართული ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს, იერუსალიმური მარხვანების ტრადიციას მისდევს. დიდი ტრადიციულობის გვერდით მათ ახასიათებთ დიდი ორიგინალურობაც. ამ 2 ფაქტორის შერწყმა განუმეორებელ სახეს ანიჭებს იოანე მინჩხის პოეზიას. მინჩხის მთელი პოეტური სამყარო — საგალობელთა ენა, მხატვრული სახეები, საგალობელთა ძირითადი მოტივები, განწყობილებები ჰიმნოგრაფთათვის უჩვეულო ორიგინალობითაა აღბეჭდილი. იოანე მინჩხი საკუთარ ხელწერას ტოვებს თვით რიტმულ-მელოდიურ საზომებში — ჰიმნოგრაფიის ყველაზე დაკანონებულ სფეროში. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანისა და სხვა ქართული ხელნაწერების მოწმობით, მინჩხი ავტორი უნდა იყოს 23 „თჳთ-ძლისპირი“ საგალობლისა, რომელთა სახით ქართულ ჰიმნოგრაფიაში მან შემოიტანა ორიგინალური სალექსო საზომები და ახალი კილოები. მინჩხის „თჳთ-ძლისპირი“ საგალობლების დასაწყისი ტროპარები ძლისპირებად იქნა დაკანონებული შემდგომდროინდელ ქართულ ჰიმნოგრაფიაში. მინჩხისეულ ძლისპირებზე დაიწერა ქართული ჰიმნოგრაფიის არაერთი ნიმუში. მინჩხის საგალობლების ძირითადი ნაწილი შექმნილია ბერძნულიდან თარგმნილ ძლისპირებზე, რომლებსაც კარგად იცნობს მისი თანამედროვე ლიტურგიკული პრაქტიკა. ამრიგად, იოანე მინჩხს ხელეწიფებოდა როგორც საგალობელთა რიტმულ-მელოდიური შეწყობა ბერძნულიდან თარგმნილ ძლისპირებთან, ისე „თჳთ-ძლისპირი“ ანუ „თჳთ-ავაჯი“ საგალობლების შექმნა. ამ ნიშნით და ქრონოლოგიურადაც იგი „მეხელთა“ შესანიშნავი თაობის უდიდესი წარმომადგენელია.

მინჩხის ორიგინალური ძლისპირები ქართულ ძლისპირთა კრებულებში შესულია ავტორზე ყოველგვარი მითითების გარეშე. მინჩხის საგალობელთა შემცველ ხელნაწერებში დადასტურებული მინჩხთან დაკავშირებული ტერმინოლოგია (მინჩხნი, მინჩხისანი, თჳთნი არიან მინჩხნი, მინჩხურნი, თქუმულნი მინჩხისანი, მინჩხნი არიან, მინჩხ..., მინჩხნია ესე), როგორც სპეციალურმა შესწავლამ ცხადყო, მხოლოდ მინჩხის ავტორობას აღნიშნავს. ამასთან, ტერმინი „მინჩხნი“ წარმოადგენს „მინჩხურნის“ დაქარაგმებულ ფორმას.

იოანე მინჩხის ახლადგამოვლენილი საგალობლების შესწავლამ ნათელი მოჰფინა მისი მოღვაწეობის ახალ სფეროს — მინჩხის წვლილს კანონების II ოდების — „მოიხილეთა“ რეპერტუარის შექმნაში.

მინჩხის ახლადგამოვლენილი „მოიხილეები“ დაწერილია ბიზანტიელ ჰიმნოგრაფთა მარხვანისათვის განკუთვნილი კანონებისათვის. II ოდებს შეიცავს მინჩხის დღეისათვის ცნობილი ორიგინალური კანონები. X ს-ის I ნახევარში ქართულ ჰიმნოგრაფიაში მიმდინარე ეს პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს ჰიმნოგრაფიული კანონების შევსებას II ოდებით (ანუ კანონის თავღაპირველი კომპოზიციის აღდგენას) ამავე პერიოდის ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში მიმდინარე პროცესს უნდა ასახავდეს. X ს-ის ქართული ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ამ მეტად საინტერესო მიმართულების დასაწყისის განსაზღვრა ქართულ ჰიმნოგრაფიაში — ეს უნდა იყოს X ს-ის 50-იანი წლები. ეს ტრადიცია გრძელდება X ს-ის II ნახევარშიც მიქაელ მოდრეკილისა და მისი თანამედროვეების მიერ. დღეისათვის არსებული მასალების მიხედვით, ამ ტრადიციის სათავე X ს-ის ქართულ ჰიმნოგრაფიაში იოანე მინჩხის სახელს უკავშირდება. ამ მხრივაც იოანე მინჩხი კლასიკურ ქართულ ჰიმნოგრაფიაში ნოვატორად გვევლინება.

მცირე ფორმის საგალობლებსა და „მოიხილეებთან“ ერთად, ქართული მარხვანისათვის იოანე მინჩხს უწერია ორიგინალური კანონები და სამფსალმუნიც, რომელთა შექმნა I ქართული სამარხვო კრებულის მოთხოვნებითაა განპირობებული.

მარხვინთან ერთად, იოანე მინჩხის ახლადგამოვლენილი საგალობლები შესული აღმოჩნდა გიორგი მთაწმიდელის რედაქციის პარაკლიტონსა და თუენებში. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის პარაკლიტონში იოანე მინჩხის საგალობლების არსებობის ფაქტი აქამდე არ იყო ცნობილი. ტრადიციული და ახლადგამოვლენილი საგალობლების შესწავლა ნათელყოფს, რომ იოანე მინჩხს გარკვეული სამუშაო აქვს ჩატარებული ამ ტიპის კრებულებზეც.

მინჩხის ახლადგამოვლენილი საგალობლები შესული აღმოჩნდა მთელ რიგ ქართულ ხელნაწერებში, რომლებიც X—XIII საუკუნეებით თარიღდება და მიეკუთვნება ქართულ ხელნაწერთა სინურ, იერუსალიმურ და ათონურ კოლექციებს. ზოგიერთი მათგანის (A 568, იერ. 130, ათ. 59) რაობის დადგენამ საგანგებო კვლევა მოითხოვა. მინჩხის საგალობლების შემცველ ხელნაწერებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ათ. 59 ხელნაწერი, რომელიც გიორგი მთაწმიდელის მარხვანის I, მოკლე რედაქციას შეიცავს. ამ ტიპის კრებულის არსებობა სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე არ იყო ცნობილი. ტრადიციულ და გეორგ. 5-ით გამოვლენილ საგალობლებთან ერთად, ეს ხელნაწერები შეიცავს მინჩხის 7 აქამდე უცნობ საგალობელს.

მინჩხის საგალობლების შემცველი ახლადგამოვლენილი ხელნაწერები მოწმობს მისი შემოქმედების ფართო გავრცელებას ქართული კულტურის სხვადასხვა კერებსა და ტრადიციებში. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებს. მინჩხის საგალობლები ამ ხელნაწერებში დიდი სიზუსტითა და სისრულითაა წარმოდგენილი, რაც ნათლად მოწმობს გიორგი მთაწმიდელის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იოანე მინჩხისადმი. ამავე დროს, ესაა XI საუკუნის საქართველოში ყველაზე ავტორიტეტული წრეების დამოკიდებულება მინჩხის

შემოქმედებისადმი. მინჩხის შემოქმედების დიდ აღიარებას შუა საუკუნეების ქართულ ჰიმნოგრაფიაში მოწმობს აგრეთვე მისი ორიგინალური ძლისპირების შემცველი კრებულები, რომლებიც X—XIX საუკუნეებით თარიღდება.

ამრიგად, იოანე მინჩხი წარმოგვიდგება როგორც მხოლოდ ორიგინალური ჰიმნების ავტორი, რომელსაც საგალობელთა რაოდენობის, მხატვრული ღირსებების და შემდგომდროინდელ ქართულ პოეზიაზე გავლენის თვალსაზრისით ქართულ ჰიმნოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ტექსტისათვის

იოანე მინჩხის საგალობლები, რომლებიც ცნობილი იყო ივ. ჯავახიშვილისა და პ. ინგოროყვას პუბლიკაციებით (ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა თბ. 1947; პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტექსტები, VIII—X სს. ტფ. 1913) წინამდებარე გამოცემაში ქვეყნდება კრიტიკული ტექსტების სახით, მათი შემცველი ყველა ძირითადი ხელნაწერის გათვალისწინებით. მათთან ერთად, პირველად ქვეყნდება იოანე მინჩხის 77 აქამდე უცნობი საგალობელი, რომლებიც ჩვენს პუბლიკაციაში შესულია შემდეგი ნომრებით: №№ 4, 5, 6, 7, 9, 10. 11, 12, 14, 15, 16, 23, 24, 25, 28, 30, 31, 32, 39, 40, 43, 44, 46, 47, 48, 51, 53, 54, 55, 56, 57, 58, 60, 62, 63, 64, 65, 66, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 102, 105, 108. დღემდე არ იყო ცნობილი და პირველად ქვეყნდება გამოცემაში 20, 22, 35 და 61 ნომრებით აღნიშნული მინჩხის საგალობლების ცალკეული ნაწილებიც.

მინჩხის საგალობლები განკუთვნილია მარხვანის, აღდგომისა და სათვეო ნაწილისათვის. მარხვანისათვის განკუთვნილი მინჩხის შემოქმედება, რომელიც ერთ მთლიან სისტემას ქმნის, ქვეყნდება 3 ხელნაწერის მიხედვით:

Georg. 5—A
Sin.5—B
Sin. 75—C

მინჩხის ამ საგალობლების პუბლიკაციის საფუძვლად აღებულია გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი — Georg. 5, რომელშიც მინჩხის საგალობელთა ტექსტები შეტანილია უძველესი ხელნაწერების საფუძველზე გიორგი მთაწმიდელის მიერ მათი საგანგებოდ დადგენის შემდეგ. რამდენიმე შემთხვევაში მინჩხის საგალობელთა ტექსტის აღდგენისათვის გამოყენებულია გიორგისავე რედაქციის მარხვანის მოგვიანო ხანის ხელნაწერები — Ath. 59 (D), A 568 (E) და Jer. 130 (F). მათი ჩვენებები ვარიანტებში ასახული არ არის, რადგან ისინი Georg. 5-დან მომდინარე ნუსხებიდანაა გადაწერილი და ამდენად, მინჩხის საგალობელთა ტექსტის დადგენისათვის ახალს არაფერს იძლევიან. სქოლიოების გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად Sin. 75 (C) ხელნაწერისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ორთოგრაფიული თავისებურება — „უი“ კომპლექსის ხმარება „ჳ“-ს ნაცვლად, „ო“-სა და „უ“-ს აღრევა, ᲲᲐ-სა და ᲔᲨ-ს სისტემატური ხმარება — სქოლიოებში არ აისახა.

აღდგომისა და სათვეო ნაწილისათვის განკუთვნილი მინჩხის საგალობლები შესულია სხვადასხვა ხელნაწერებში და მათი პუბლიკაციისას საერთო ლიტერების შემოღება არ ხერხდება. ამიტომ თითოეულ შემთხვევაში სქოლიოში

ვუთითებთ პუბლიკაციის საფუძვლად აღებულ ძირითად ხელნაწერს A ლიტერით და ვარიანტებში ასახულ ხელნაწერებს, აგრეთვე მათში მინჩხის საგალობელთა შემცველ გვერდებს. აქაც პუბლიკაციის საფუძვლად აღებულია უძველესი და მეცნიერული თვალსაზრისით ყველაზე სანდო ნუსხები.

მინჩხის საგალობლებთან ვუთითებთ მათ ლიტურგიკულ ფუნქციას: შესაბამის დღეს, განგებას, საგალობლის რაობას და ხმას. საგალობლებზე დართულ სქოლიოებში ვაჩვენებთ, რა სახითაა აღნიშნული ხელნაწერებ'ში მინჩხის ავტორობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. მინჩხის საგალობლების ტექსტები ტაეპებად დაყოფილია ხელნაწერებში დაცული რიტმული განკვეთის ნიშნების მიხედვით, რაც დღეისათვის საყოველთაოდაა მიღებული. საგალობელთა ტექსტებიდან ძლისპირებსა და ღმრთისმშობლისებს გამოვყოფთ აღნიშვნებით „ძლ" და „ღმრთ" და მოგვაქვს ხელნაწერებში მითითებული სახით. დაქარაგმებულ სიტყვებს ვხსნით კავების გარეშე, ჩვეულებრივი წესით. რამდენადაც საქმე გვაქვს პოეტურ ტექსტთან, სადაც ნახევარხმოვან ი-ს (ჲ) შესაძლებელია მნიშვნელობა ჰქონდა რიტმული დაყოფისათვის — უარყოფითი ნაწილაკი „არაჲ" მოგვაქვს ხელნაწერებში წარმოდგენილი სახით. საგალობელთა ტექსტები გამართულია თანამედროვე პუნქტუაციის მიხედვით.

მ ა რ ხ ვ ნ ი

ჯორციელსა შაბათსა. მწუხრი. უფალო ღაღატყავსა. მინჩხი. ჯმაჲ ა

B სიტყუაჲ დაუსაბამოჲ, რომელი 1
5 მამისა
მაღლისა თანა იყო
შობილი გამოუთქუმელად,
თანაარსი და თანასწორი
მამისა და სულისაჲ,
10 უხილავი და გარე —
შეუწერელი ღმერთი
კაცთმოყუარებით გარდამოკდა
ზეცით ქუეყანად სიმდაბლით
და შეიმოსა მსგავსებაჲ ადამისი
15 საშოსა შინა ქალწულისასა,
ხატიერებაჲ სხეულონი ორითა მით
ბუნებითა და მისგან იშვა ღმერთი და კაცი
და აცხოვნა მსგავსი მსგავსებითა თჳსითა*.

AB სასწაულთა მოქმედი კუერთხი
20 მოსესი,
რომელმან შეაძრწუნა
ფარაო და ერი მისი,
სახე იყო ძელისა მის
ჯუარისა ცხოველისა,
25 რომელმან შეაძრწუნა
ეშმაკი და ჯოჯოხეთი,
რამეთუ მას ზედა დამსჭუალეს
მკსნელი ჩუენი ჰურიათა,
რომელი კორციითა გამოჩნდა ქუეყანასა ზედა
30 და პატიოსან ყო ერი წარმართთაჲ
პირველითა მით პატივითა ადამისითა.
ესე შეშურდა უშჯულოთა მათ
და თჳთ განეშორნეს წყალობათა მისთა.

---

2 მწუხრი შაბათსა კორციითა აღებასა. უფალო ღაღატყავსა. ჯმაჲ ა. მინჩხურნი B. უფალო ღაღატყავსა—A 24 ცხოელისა B. 29 ზედა—B.

* უფალო ღაღატყავსას I ტროპარის შესახებ, რომელიც არ არის A-ში იხ. გამოკვლევა, გვ. 79—80.

მოადგეს, ვითარცა ფუტკარნი,
სიმრავლე
ურწმუნოთა ერისაჲ
მაცხოვარსა სოფლისასა
5 და გულისწყრომით ხრიდეს თავთა
მათთა მღდელთმოძღუართა თანა,
მწიგნობარნიცა იგი
ჰბასრობდეს უგუნურებით
და დასძინეს ძჯრი ძჯრსა მათსა
10 და განიყვანეს გოლგოთას
და ძჯრისმოქმედთა შორის ჯუარსა შემშჭუალეს,
არამედ ჩუენისა ცხორებისათჳს
დაითმინა ესე ყოველი, ხოლო იგინი
შეიწუნეს, ვითარცა ეკალნი ცეცხლითა
15 და ქრისტე ცხოველ არს უკუნისამდე.

ცათა დაუტევნელი ღმერთი
ვითარცა
მკუდარი, დაიტია
დღეს საფლავისა სივიწრემან,
20 ბუნებაჲ იგი კაცობრივი
შეიცვა მან კორცითა,
6r არამედ შე|უცავმან
ღმრთეებისა ბუნებამან
ყოველითურთ შეიცვა ჯოჯოხეთი
25 და დაჰკუეთა ძალი მისი,
და რისხვით იავარ-ყვნა საუნჯენი მისნი
და იკსნნა ყოველნი მისგან დაშჯილნი
და ყოველი რაჲ აღასრულა, აღდგა საფლავით,
არცხუნა ფარისეველთა კრებულსა,
30 ხოლო ადიდნა მადიდებელნი თჳსნი.

ჭეშმარიტად დღენი ცისანი
და წესნი
ღმრთისა ანგელოზთანი,
შჯდნი სუეტნი სოფლისანი
35 შჯდთა მათ შორის ათასეულთა,
ვითარცა შჯდნი მთიებნი
შჯდთა მათ სამყაროთანი,
მსგავსად მზისა ბრწყინვალენი,
სავსენი ნაყოფითა საღმრთოჲთა —
40 მოიწინეს დღენი ესე
სულთა და კორცთა ჩუენთა განმანათლებელნი.
შევინანოთ ბრალთა ჩუენთა სიმრავლე

---

3 ურწმუნოთა] უმჯულოთა B. 9 და—B. 18 მკუდარი+რაჲ B. 21 შეჲცვა A. 24 შეჲცვა A. 30 თჳსნი] მისნი B. 35 შჯდთა—B. 37 მათ—B. 41 განმანათლებელნი] განმანათლებელად B.

და განვეყენნეთ ამიერითგან ბოროტისაგან,
აღვიღოთ მარხვაჲ და ლოცვაჲ სიწმიდით
და მოვიძულოთ ნოვაგთმოყუარებაჲ.

მარხვის მოყუარებითა მოსე
5 თუალით
ღირს იქმნა ხილვად პირსა
ღმრთისა უხილავისასა
და მიიხუნა ათნი მცნებანი
მარხვითა მით ძლიერითა
10 მთასა მას ზედა სინასა
დღეთა მათ ორმოცთაჲთა,
აწ გულისკმა-ვყოთ ძალი მარხვისაჲ,
ქრისტეს მოყუარენო ერნო,
და სიხარულით შევიწყნარნეთ დღენი ესე,
15 და ყოვლად ვეკრძალნეთ ნაყროვანებასა
და ნუმცა ვიქცევით წესითა პირუტყუებრითა,
არამედ წესითა ანგელოზთაჲთა
და მათ თანავე აღმიყვანნეს ქრისტემან.

ოდეს მოვიკსენნით ცთომანი
20 დედისა
პირველისა — ევაჲსნი,
ავივსნით მწუხარებითა,
ხოლო ოდეს მიგხედნით შენ,
წმიდაო დედოფალო,
25 მიუწდომელითა მით
აღვივსნით სიხარულითა.
მან პირველ მოგუატყუა ჩუენ სიკუდილი,
ხოლო შენგან მოგუემადლა
იგივე პირველი პატივი და უკუდავებაჲ,
30 რამეთუ საშოჲსაგან შენისა
გამოგუბრწყინდა მკსნელი ჩუენი და მაცხოვარი
და შენ ხარ მიზეზი კსნისა ჩუენისაჲ
და ცხორებაჲ საუკუნოჲ სულთა ჩუენთაჲ.

39v ყველიერისა კჳრიაკესა. [ცისკრად]. ᲮმაᲐ Ბ*

BC 35 პირველითგან იყო 2
სიტყუაჲ მამისა და ღმრთისა თანა,
განუშორებელი
სულისაგან თანაარსისა

3 ნოვაგთ] ნუაგთ B. 8 მიიხუნა+მან B. 11 ორმიოცთა B. 16 პირუტყუებრითა] პირუტ-ყუთაჲთა B. 19 მოვიკსენნით+ჩუენ B. 24 დიდუფალო B. 32 და—B. 34 ყველიერისა შაბათსა. მწუხრი. უფალო ღაღატყავსა. ᲮᲛაᲐ Ბ BC+მინჩხურნი C.

* მითითება მინჩხზე — „მინჩ“ A-ში მიწერილია კიდეზე, სტიქარონის დასაწყისის გასწვრივ.

და ჟამთა დაწყებასა
გამოვიდა პირისაგან მამისა
საქმე ცისა და ქუეყანისაჲ,
სულითა მით გონიერითა
5 დაგუბადნა არარაჲსაგან
ხილულნი
და უხილავნი ბუნებანი,
განაგნა საქმენი
ძლიერნი და მიუწდომელნი,
10 აწ იხარებს მათ ზედა,
მამისა და სულისა თანა
იქების უკუნითი უკუნისამდე*.

ABC პირველითგან იყო
სიტყუაჲ მამისა და ღმრთისა თანა,
15 უკორცოდ შობილი
და არაჲ ქმნული, მსგავსი მამისაჲ,
აღსასრულსა ჟამთასა
კორცითა დაებადა მკსნელად ჩუენდა,
რომელნი შევიპყრენით წყუდიადსა
20 და დამონებულ ვიყვენით
მთავარსა მას ბნელისასა,
რომელი
უვნებელმან მოკლა ვნებითა,
რამეთუ დამდაბლდა
25 მაღალი და ჩუენთჳს ჯუარს-ეცუა,
ჯუარს-ვეცუნეთ მის თანა
და მოვიღოთ სასუმელი იგი,
რომელი მიიღო ჩუენთჳს მკსნელმან ჯუარსა ზედა.

მაცხოვარო ჩუენო,
30 სიტყუაო და ძალო მამისაო,
ჩუენდა მკსნელად მოხუედ
და სოფელმან შენ არაჲ გიცნა
და ისრაელთა ერმან
სუეტისა წილ და ღრუბლისა ნათლისა —
35 ჯუარსა ზედა ქელნი განგიპყრნეს
ორთა ავაზაკთა შორის;
და მკუდართა აღდგინებისა წილ —
საფლავსა
დაგდვეს და დაგფარეს დაფლვითა,
40 ხოლო უძლეველმან
ძალმან და ღმრთეებამან შენმან

---

3 საქმე] საქმედ C. 4 სულითა] სულიერითა C. 16 არა BC. 19 შევეპრენით B. 28 მიიღო] მოიღო; BC. ჩუენთჳს—BC. 32 არა C. 36~შორის ორთა ავაზაკთა B. 37 მკუდართა C. და — BC. 39 დაფარეს B.

* სტიქარონს I ტროპარის შესახებ, რომელიც არ არის A-ში იხ. გამოკვლევა, გვ. 79—80.

დასცა ჯოჯოხეთისა
ძალი და კელმწიფებაჲ მისი
და სულნი იგი დაშჯილნი იკსნნა მისგან.

ერი უსხეულოთაჲ
5 ღმრთივ შემწყნარებელსა მას საფლავსა
გარემოჲს მდგომარენი
უღაღადებდეს მკსნელსა ჩუენსა:
„აღდეგ და შეიწყალე
სიონი და დაიმკჳდრენ წარმართნი!
10 რად გძინავს შენ, ვითარცა მკუდარსა,
მღჳძარეთა მეუფესა?!
ვერ დაითმენენ მნათობნი,
არცაღა
თავს-იდებენ ზეცისა ძალნი
15 უფროჲს ბუნებისა
სიმდაბლესა შენსა, მაღალო,
არამედ აწ აჩუენე
ღმრთეებისა შენისა ძალი
აღდგომითა მკუდრეთით მესამესა დღესა“.

20 სულთა ჩუენთა მკსნელმან
წინაჲსწარ სოფლის დაბადებისა,
გამოგჳრჩინა ჩუენ
სამწყსოდ თჳსად — ერი წარმართთაჲ,
ჩუენთჳს მოვიდა ზეცით
25 და გჳკსნნა დიდისა საცთურისაგან
საღმრთოჲთა სიტყჳთა ტკბილითა
თჳთ ზრახა ცხორებაჲ ჩუენი
და გუამცნო ქველისსაქმითა
მარადის
30 ლმობიერად გლახაკთმოწყალებაჲ.
ვერჩდეთ სიხარულით
ბცნებათა და ბრძანებათა მისთა,
შევიყუაროთ გზაჲ იგი,
რწროჲ და ფრიად საჭირველი,
35 რომელსა მივჰყავთ ცხორებად საუკუნოდ.

რომელი მოვიდა
მაღლით სიმდაბლედ სიტყუაჲ მამისაჲ,
სიბრძნით განმგებელი,
ღმერთი დამბადებელი ჩუენი,
40 მან ზრახა ჴეშმარიტი

---

4 უსხეულოთაჲ] უსხეულო BC. 5 მას—BC. 6 მდგომარენი] მდგომარე BC. 7 უღაღადებდეს] უღაღადებდა BC. 9 დაიმკჳდრენ C. 10 მკუდარსა] კაცსა BC. 12 დაითმენენ C. 13 არცაღა] და არცა C; და არცაღა B. 22 გამოგჳრჩია C. 27 ზრახა] ბრძანა BC. 33 შეიყუაროთ] შეიწყნაროთ B. და შეიწყნაროთ C. 35 მიჰყავთ C. 38 სიბრძნით] სიბრძნე B, სიბრძნᲲ C.

წესი სულთა ჩუენთა ცხორებისათჳს —
ლოცვაჲ დაუცადებელი,
მარხვაჲ და სიწმიდე კორცთაჲ,
უპოვარებაჲ, სიგლახაკე
5 და ყოვლად
საწუთროჲსა უზრუნველობაჲ.
ნუ ზრუნავთ ხორცთათჳს,
შემოსისა გინა ჭამადთა,
არამედ ეძიებდით
10 უპირატეს სასუფეველსა
და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ!

გარდაჰკდა მცნებასა
დამბადებელისა თჳსისასა
პირველ ქმნული იგი
15 ევა-ყოველთა ცხოველთა დედაჲ,
მოგუატყუა ჩუენ სიკუდილი
სმენითა მოშურნისა განზრახვითა,
არამედ შობითა შენითა,
დიდებულო დედოფალო,
20 ვიჯსნენით ხრწნილებისაგან
და კუალად
ღირს ვიქმნენით უხრწნელებასა,
რამეთუ რომელსა
დავებადენით ხატად თჳსად,
25 მანვე შემიწყალნა ჩუენ,
ჴეშმარიტად ღმრთისა სიტყუამან
შენგან კორცთა შესხმითა და გუაცხოვნნა ჩუენ.

40r სხუანი. ჰმაჲ გ*

BC 3
30 ვერ თავს-იდევ ხილვად, სახიერო,
სამეუფოჲსა ხატისა შენისა,
რომელი დამონებულ იყო
ფლობასა მთავრისა მის ბნელისასა,
არამედ გამოიჯსენ ჴელმწიფებით
კორცთა შესხმითა შენითა, ქრისტე,
35 ქალწულისაგან — ცხორებად ჩუენდა**.

ABC ვერ გულისკმა-ყვეს უშჯულოთა
ბუნებაჲ იგი ღმრთეებრი ქრისტესი

---

2 დაუცადებელი] დაუცადებელად BC. 3 სიწმიდე C. 4 უპუარებაᲲ C. სიგლახაკე C. 5 ᲧᲝᲔᲚᲐᲓ] ᲧᲝᲔᲚᲐᲓᲓᲔ BC. 7 ᲮᲠᲣᲜᲐᲕᲗ BC. 10 უპირატეს სასუფეველსა] პირველად სასუფეველსა BC. 13 თჳსისა C. 17 განძრახვითა C. 19 დედუფალო C. 24 თჳსა BC. 25 მანვე] მუნვე BC. შემიწყალნა] შემიწყალნარნა BC. 27 კორცთ BC. მაცხოვნნა C. 23 ᲧᲕᲔᲚᲘᲔᲠᲘᲡᲐ ᲙᲐᲠᲘᲐᲙᲔᲡᲐ. ᲐᲥᲔᲑᲓᲔᲜᲘᲡ BC+მინაჩხერნი C. 32 ბნელისასსა C. 36 უშჯულოთა] უღმრთოთა მათ B, ურწმუნოთა C.

* A-ში მინაჩხის „სხუანი“ მოსდევს მის წინა სტიქარონს. ** სტიქარონის I ტროპარის შესახებ, რომელიც არ არის A-ში, იხ. გამოკვლევა, გვ. 79—80.

და დასაჯეს მათ ჯუარსა ზედა
ნათელი იგი სოფლად მომავალი,
შეიყუარეს ბნელი უფროჲს ნათლისა
და მისცნა ღმერთმან წყუდიადსა მას,
5 სადა არა არს ხილვად ნათელი.

წყუდიადი იგი ქუესკნელისაჲ
განათლდა უფროჲს ნათლისა მზისა,
რაჟამს სულითა შთავიდა მუნ
სამ დღე საფლავსა შინა მდებარე,
10 ხოლო ჯოჯოხეთი შეიწუებოდა
და ზარგანჭდილმან მოჰგუარნა მას
ადამისითგან პყრობილნი სულნი.

ესრეთ ეტყოდა ანგელოზი
მგლოვარეთა მათ მტირალთა დედათა:
15 „უკუდავი იგი აღდგა მკუდრეთით,
აჰა, საფლავი მისი ცალიერ არს,
აჰა, მცველნი მისნი, ვითარცა მკუდარნი;
შეცვალეთ გლოვაჲ სიხარულად
და ახარეთ მისთა მოწაფეთა!“

20 წარმართთა ცხორებად მოსრული
სიტყუაჲ. ღმრთისაჲ, სიბრძნე და ძალი მისი
აჰა ესერა, განგუაკრძალებს
და გუასწავებს ყოველთა უმჯობესსა:
„ეკრძალენით ქველის საქმესა თქუენსა,
25 და ნუ ჰყოფთ სახილველად კაცთა
და განსცხადნეთ თქუენ საუკუნესა!“

განივრცენით ლოცვითა სულნი,
და განიწმიდენით მარხვითა ჴორცნი,
რომელი ითხოვდეს — მიიღოს
30 და რომელი ირეკდეს — განეღოს მას!
ითხოვდით მამისა მოწყალისაგან,
ეძიებდით სასუფეველსა

და მოგეცეს თქუენ უფროჲს თხოვისა!
კარავმან აბრაჰამისმან
35 დაიტია ღმერთი დაუტევნელი
და მოასწავა საშოჲ შენი
მიუწდომელად ღმრთისა დამტევნელი,
უქორწინებელო სძალო წმიდაო,
შენგან იშვა ღმერთი და კაცი
40 და მოსცა წყალობაჲ სულთა ჩუენთა.

---

1 დასაჯეს] დამშჯეალეს BC. 2 მომავალი[მიმავალი C. 4 ღმერთმან] იგინი BC. 8 მუნ—BC. 9 მდებარე] მძინარე B, მძინარეს C. 12 ადამისითგანნი B. 13 ანგელოსი B ეტყოდა B. 14 მგლოვარეთა B, მგლუარეთა C. მათ] და BC. 16 ცარიელ BC. 21 სიბრძნეს C, სიბრძნე ღმრთისაჲ და ძალი მისი B. 25 და—B. სახილავად B. 26 თქუენ—B. 28 და—BC. 29 მოიღოს B, მოჲღოს C. 33 მოგეცეს] მოგცეს BC, თხოვისა] თხოისა B, თხოჲსა C. 34 კარავმან+მან C. 35 დაჲტია C. 37 დამტევნელო B. 38 წმიდაო] ღმრთისაო C.

40v

მოიხილესა. [ᲡᲛᲐᲥ Ბ]*.

ძლ. ვიხილეთ ჩუენ ქრისტე

ვიხილეთ ჩუენ ქრისტე 4
ჯორცითა ვნებულად,
5 ვნებულთა განკურნებად და აღდგინებად
დაცემულთა სულთა განწირულთა
და გუამთა სასოწარკუეთილთა,
რომელმან ჯუარცუმისა მიზეზითა
მოკლა სიკუდილისა იგი მიზეზი.

10 სამ დღე დაიძინა
ჯორცითა მკუდართაებრ
ზეცისა მღუძარეთა დამბადებელმან,
ხოლო აღდგა მესამესა დღესა
და განაბნინა მტერნი მისნი
15 ძლიერმან ძალითა მეუფემან,
უფალმან ცათა და ქუეყანისამან.

ნუმცა მივადეენებთ
გონებათა ჩუენთა
ᲒᲔᲛᲝᲗᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲗᲥᲣᲛᲐᲡᲐ, ᲡᲐᲔᲨᲛᲐᲙᲝᲡᲐ
20 შუებასა, ჯორცთა განსუენებასა,
სულისა დამაბნელებელსა,
შევიყუაროთ მარხვაჲ და სიწმიდე —
სულთა და ჯორცთა განმანათლებელი.

იქმოდეთ საქმეთა
25ᲙᲔᲗᲘᲚᲗᲐ ᲤᲐᲠᲣᲚᲐᲓ
და ნუ ჰყოფთ სახილველად წინაშე კაცთა.
არამედ იყავნ ყოველთა შორის
ქველისსაქმე თქუენი უჩინო,
და მოგაგოს ცხადად დაფარულთა
30 მეცნიერმან მამამან მაღალმან.

ᲦᲛᲠᲗ. ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲐ

ᲛᲬᲣᲮᲠᲘ. [ᲡᲛᲐᲥ Ა.] ᲡᲮᲣᲐᲜᲘ**

43v

ძლ. სასწაულთა მო

A აჰა, წარმოდგეს დღენი ესე 5
35 სურნელნი,

---

1 ყველიერისა] ამასვე BC. 8 ჯუარცუმისა B. 14 განაბნინა C. 15 ~ ძალითა ძლიერმან BC. 17 მევადეენებთ B. 21 დადაბნელებელსა B. 22 სიწმიდეᲨ C. 24 საქმესა C. 25 კეთილსა C. 28 საქმᲨ C. 30 მამამან მაღალმან] სახიერმან მამამან BC. 31 სოფლისა+სასოო BC.

* მინჩხის მოიხილესა შესულია ამ დღეზე დადებულ ელია იერუსალიმელის კანონში „უგალობდითსა გ. ღელვათა და. — ამაღლდა ქრისტე ჯუარსა ზედა...“ კანონის მოიხილესას გასწვრივ A-ში კიდეზე მიწერილია „მინჩ“.

** მითითება მინჩხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე სათაურის გასწვრივ.

სოფლისა განმწმედელნი
და განმასურნელებელნი
და მზეებრ განმანათლებელნი
სულთა და ჴორცთა ჩუენთა
5 სიმჴნით მოტუაწებითა უბიწოჲსა მარხვისაჲთა,
რომელი [გუასწა]ვა მარხვითა
მჴსნელმან ჩუენმან ორმეოც დღე,
ოდეს-იგი განვიდა უდაბნოდ წყობად ეშმაკისა
შემდგომად ნათლისღებისა მისისა
10 და განიცადა იგი მისგან, ვითარცა კაცი,
და გუჩუენა ძლევაჲ მაცთურისაჲ —
მარხვითა და ლოცვითა დაცემაჲ მისი.

ნუმცა ვემსგავსებით ჩუენ, ძმანო,
გულითა
15 ჯაბანთა ჟამსა შინა
წყობისასა მტერთა მიმართ,
რამეთუ მოიწია ჟამი
გამომცდელი გულთა ჩუენთა
ახოვნებისაჲ მბრძოლთა მათ მიმართ უხილავთა.
20 ფრთოვან ვქმნნეთ სულნი ჩუენნი მარხვითა,
რაჲთა ამით თანა-წარეჰკდეთ
ირეკსა ბოროტსა მომნადირებელთა ჩუენთასა
და ნუმცა ვიძლევით ნაყროვნებითა,
სასუმელთა და სანოვაგეთა მოყუარებითა,
25 ვითხოვდეთ პირველად სასუფეველსა
და ყოველი შეგუეძინოს ღმრთისა მიერ.

ვითარცა გონიერთა მნეთა
სიწმიდით,
გულითა წადიერად
30 შევიწყნარნეთ დღენი ესე,
ვითარცა ორმეოცნი მთიებნი,
საღმრთოჲთა მით ნათლითა
კიდეთა სოფლისათა ბრწყინვალედ განმანათლებელნი,
და დავიცვნეთ მცნებანი ესე
35 მაცხოვრისა ჩუენისანი,
რომელნი-იგი დღეს ესმნეს სასმენელთა ჩუენთა.
ვეკრძალნეთ ქველისსაქმესა ჩუენსა
44r |და ნუმცა რას ვჰყოფთ სახილველად წინაშე კაცთა,
მივსცეთ ფარულად დაფარულთა მხედველსა
40 და მოგუაგოს ჩუენ ცხადად საუკუნესა.

44r

სხუანი. [ჰმაჲ ა]*

ძლ. რომელი შეიკრა მჩური

A დასაბამი სიბრძნისაჲ არს შიში ღმრთისაჲ, 6
ვითარცა თქუა დავით ღმრთის მგალობელმან;
5 ხოლო ჩუენ თჳთ გუესმა ღმრთისა სიტყჳსაგან
ყოველივე სულთა ცხორებისათჳს,
რამეთუ წიაღთაგან
მამისათა გამოჩნდა ჩუენთჳს.

არაჲ გუაქუს მიზეზი ცოდვათა ჩუენთათჳს,
10 ვინაჲთგან თჳთ მოვიდა ზეცით
სიტყუაჲ ღმრთისაჲ და მასწავა ჩუენ ყოველი.
ამიერითგან ვჰმონებდეთ მას შიშით
და დავიცვნეთ საღმრთონი
სიტყუანი და მცნებანი მისნი.

15 ნუმცა ვართ მოსურნე ჭამადთა მრავალთა
და ნუმცა ვემსგავსებით პირუტყუთა
მიდევნებითა ჯორცთა გულისთქუმისაჲთა,
არამედ მივემსგავსნეთ ანგელოზთა
მარხვითა და ლოცვითა,
20 მღჳძარებითა და სიწმიდითა.

47v

პირველსა ორშაბათსა. მწუხრსა. სხუანი. ბ**

ძლ. ვერ გულისკმა-ყ

A ამაოებითა ამაო არს 7
სოფელი ესე სავსებითურთ თჳსით,
25 ხოლო შუებაჲ მისი მაცთურ არს
საწუთროჲსა ამის მოყუარეთათჳს.
სულითა გულისკმიერნი ივლტიან
მისგან, ვითარცა-იგი ჯერ-არს
და ეძიებენ საუკუნესა.

30 ადვილად მოინადირების
ნაყროვნებითა კაცი მაცთურისაგან,
რამეთუ დაუბნელის გული
და დასცის და მოკლის სული ჯორცთა შინა!
ვინაჲთგან არა უმეცარ ვართ ამას,
35 აღვიკრძალნეთ მარხვითა ჯორცნი
და მით განვერნეთ მახეთა მისთა.

---

* მითითება მინჩხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე სათაურის გასწვრივ. მინჩხის „სხუანი“ მოსდევს მის წინა სტიქარონს.

** მითითება მინჩხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე სტიქარონის დასაწყისის გასწვრივ.

შეგივრდებით მონანი შენნი,
შეგვწყალენ, ქრისტე, ღმერთო ჩუენო,
ნუ იხილავ ცოდვათა ჩუენთა
და ნუ მომაგებ საქმეთაებრ ჩუენთა,
5 არამედ ტკბილითა მაგით თუალითა,
სახიერ, წყალობით მოგუხედენ
და შეგვწყალენ უღირსნი ესე.

47▼ სხუანი. ᲐᲛᲐᲥ ბ. ᲗᲥᲗᲜᲘ*

8

მივხედნეთ შინაგანითა
10 გონებისა თუალითა,
უხილავთა მხილველისა,
მოუგონელსა ჩუენგან
და ყოვლად უხილავსა
თუალთაგან ზემხილვარეთა —
15 საყოფელთა საკჳრველთა,
სავანეთა საუკუნეთა,
რომელთა შინა ბრწყინვენ მართალნი,
დაუტევოთ სოფელი ესე
და მას ვეძიებდეთ ღმრთისაგან!

20 ირეკდით და განგეღოს თქუენ,
ეძიებდით და ჰპოვოთ
საწადელი სულთა თქუენთაჲ,
ითხოვდით და მოიღოთ
მამისა მოწყალისაგან,
25 რომელ არს მაღალთა შინა!
ესრეთ გუბრძანა ქრისტემან
მოსავთა და მადიდებელთა
გამოჩინებისა მისისათა;
ვიღუძებდეთ და ვილოცვიდეთ
30 და ვაქებდეთ სახელსა მისსა!

შევიდეთ შინაგანსა მას
გონებითა ჩუენითა
საუნჯესა სულიერსა
და მიუდგინნეთ კორცნი
35 სულსა გულსმოდგინესა
სულიერთა შრომათასა;
დავიკშათ გარეშე კარი

---

8 თკუნი] თკუნი არიან მინჩხნი B, თქუმულნი მინჩხისანი C. 9 მივეხედნეთ] შინაგანისა BC. 11 მხილველისა] მხედველითა BC. 12 მოუგონელსა] მოუგონებელსა BC. 17 ᲛᲐᲛᲘᲡᲐ] რომელსა BC. 18 დაუტევოთ სოფელი] დაუტევოთ საწუთროჲ BC. 20 თქუენ — BC. 21 ᲰᲞᲝᲕᲝᲗ] ᲰᲞᲝᲕᲝᲗ C და—B. 23 მოიღოთ C. 26 ესრეთ] ესე BC. და—BC. 36 სულიერთა] სა-ღმრთოთა მათ BC. 37 დავიკშათ] დაეკშათ C.

* მითითება მინჩხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე სტიქარონის დასაწყისის გასწვრივ. A-ში მინჩხის „სხუანი“ მოსდევს მის წინა სტიქარონს.

და ვილოცვიდეთ ჩუენ დაფარულად
დაფარულთა მხედველისა მიმართ
და ნუმცა გუეწყინების მარხვაჲ —
ძირი ყოვლისა კეთილისაჲ.

5 ღმრთისმშობელსა ვადიდებდეთ —
მშობელსა და ქალწულსა,
დედასა მეუფისასა,
49r ვენაჯსა გო|ნიერსა,
ტაძარსა პირმეტყუელსა,
10 ტაკუკსა მას სულიერსა,
სადგურსა მანანაჲსასა,
ღრუბელსა სავსესა ნათლითა,
მაგრილობელსა სულთა ჩუენთასა,
საღმრთოსა ზღუდესა მტკიცესა,
15 მცველსა ყოვლისა სოფლისასა.

50v

პირველსა სამშაბათსა. მწუხრი. სტიქარონი. სხუანი. გ*

ძლ. ვითარცა-იგი პირველადვე

დავით წინაჲწარმეტყუელმან 9
20 რაჟამს იწყო შენანებად ბრალთა წინაშე ღმრთისა,
ღამდაბლდა იგი სინანულად
და ილოცვიდა მღჟარებით დაუდუმებელად,
არა სცა ძილი თუალთა,
არცა ყოლადვე ჰრული წამთა თჳსთა.
25 რაოდენ აწ უფროჲს ჩუენ გჳღირს ეგრეთვე
გულითა სიმჯნით სინანული და სულთქუმით
და ცრემლით შენანებაჲ ბრალთაჲ მჯურვალედ,
და დღე და ღამე მოუკლებელად ვედრებაჲ ღმრთისაჲ.

დანიელ წინაჲწარმეტყუელი
30 შთა-რაჲ-აგდეს ლომთა თანა მღჟესა მას ბნელსა,
განიპყრნა ჯელნი ღმრთისა მიმართ,
ილოცვიდა დღე და ღამე დაუდუმებელად,
რომლითა მოამდოვრა
მჯეცთა ბუნებაჲ ბოროტად მძჯნვარე.
35 ეგრეთვე შეეწევის მათ ლოცვაჲ,
რომელნი ითხოვენ დაუცადებელად

---

10 სულიერსა] ოქროჲსასა BC. 17 სტიქარონი—A. სხუანი—BC. 20 შენანებად] შენდობად B. 22 და—BC. დაუდუმებელად] დაუძინებელად BC. 24 რული C. 25 რაოდენ] რაოდენ BC. უფროჲს] უფროჲსად C. 27 და ცრემლით შენანებაჲ] ცრემლითა შენდობაჲ BC. მჯურვალედ—BC. 28 და—BC.~დაუკლებლად დღე (დღᲲ B) და ღამე BC.~ღმრთისა ვედრებაჲ BC. 30 მას—BC. 32 დაუდუმებელად] დაუძინებელად B. 36 ითხოვენ C.] ილოცვენ B.

* მითითება მინაწერზე — „მ" A-ში მიწერილია კიდეზე, სტიქარონის დასაწყისის გასწვრივ.

და არაჲ მოუძლურდებიან მარხვასა,
და არცა ყოლად დააცადებენ მოღუაწებასა.

თჳთ მასწავა ჩუენ მჴსნელმან ჩუენმან
ლოცვად ესრეთ ღმრთივ ბრწყინვალედ ყოლად სამარადისოდ:
5 „მამაო ჩუენო ზეცათაო,
შეგჳნდვენ და მოგჳტევენ თანანადებნი ჩუენნი,
და ნუ შემიყვანებ ჩუენ
განსაცდელსა მას წინამდებარესა,
არამედ მიჴსნენ ჩუენ ბოროტისა
10 მისგან ამპარტავანისა მტერისა,
სულთა და ჴორცთა ჩუენთა მომსრველისა,
სოფლისმპყრობელისა, ბნელისა ბელიარისა“.

ღმრთ. „სათნო-იყო სიკეთე“.

52v 15 [ᲐᲛᲐᲐ Დ]*

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡᲐ. ᲛᲬᲣᲮᲠᲘ. ᲡᲮᲣᲐᲜᲘ.

ძლ. ღმრთისმშობელო, უზეშ

განღებულ არს 10
ჴარი სინანულისაჲ, შევიდეთ მას შინა, ძმანო,
შევინანნეთ
20 შეცოდებანი ჩუენნი,
რაჲთა მიერ გამოვიდეთ
წმიდანი ჴორცითა
და განათლებულნი სულითა.

ვიჴსენებდეთ,
25 რაჲ-იგი შეგუემთხუევის შემდგომად სიკუდილისა —
საუკუნოჲ
განკითხვაჲ საშინელი
და სატანჯველთა მიცემაჲ
ცოდვილთა და მწარედ
30 აქაევე ვსტიროდით თავთა ჩუენთა.

შორის დღეთა
და ჟამთა წელიწადისათა სულიერად ნათობენ
დღენი ესე,
აღბეჭდულნი მარხვითა

---

2 და არცა ყოლად დააცადებენ მოღუაწებასა] არამედ განმჴდებიან სულიერსა მას შრომასა BC. 4 ლოცვად ესრეთ ღმრთივ ბრწყინვალედ] ლოცვაჲ ესე ჯეროვნად BC. 9 ჩუენ+უფალო BC. 11 ჩუენთა—BC. 12 სოფლისა B. ბნელისა+მის BC. 13—A. 15—C. 17 განღებულ არს] განხუშულ არიან BC. 18 ჴარი სინანულისაჲ] სინანულისა ბჴენი BC. ძმანო—BC. 21 რაჲთა] და BC, გამოვიდეთ+ჩუენ BC. 22 წმიდანი[განწმედილნი BC. 25 რაჲ-იგი] მას რაჲ B, მარადის+რაჲ-იგი C. შეემთხუევის BC. 28 სატანჯველთა] ცეცხლსა უშრეტსა BC. 29 მწარედ] მსგავსად B. და მსგავსად C. 30 აქაევ—C. აქაევ] პეტრესა B. ეტიროდით B. 32 და—BC. 34 აღბეჭდულნი C.

* მითითება მინჩხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე სათაურის გასწვრივ.

და შემოსილნი ნათლითა
და განანათლებენ
ერსა ქრისტეს მორწმუნეთასა.

ესე არი —
5 ან დღენი ცისანი, კურთხეულნი ღმრთისაგან,
ორმეოცნი,
ყოლად საგალობელნი,
რომელთა შინა ცოდვილნი
ჰპოვებენ ღმრთისაგან
10 შენდობასა და წყალობასა.

52v

სხუანი. ჯმაჲ დ.*

ძლ. მოგიცემიეს

რაჟამს აღვიდა მოსე 11
დიდი მთასა ზედა სინასა —
15 წარდგომად წინაშე ღმრთისა,
ილოცვიდა
და იმარხვიდა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე
და მეყსეულად იხილა
უხილავი იგი დიდებაჲ ღმრთისაჲ
20 და განბრწყინდა
პირი მისი ჴეშმარიტად მსგავსად ანგელოზისა,
ესე მოეცა მარხვითა
და ლოცვითა ღმრთისა მიერ.

მოსეს შური აღვიღოთ
25 და ზოგს რაჲმე მივემსგავსნეთ ჩუენ
მისთა მათ სათნოებათა,
დავიმარხნეთ ჩუენ დღენი ესე ორმეოცნი უბიწოებით
და აღჳრ-ვასხნეთ ენათა
ჩუენთა უწესოთა ზრახვათათჳს
30 და კუალად მივემსგავსნეთ წმიდად ქცევითა წესსა ანგელოზთასა
დაუცონელად ლოცვითა
და ფრთხილად მღჳძარებითა.

მარხვაჲ სიწმიდე კორცთაჲ
და სურნელებაჲ სულთა ჩუენთაჲ,

---

3 ქრისტეს] საღმრთოსა BC. 11 პირველსა ხუთშაბათსა. მწუხრი. უფალო ღაღატყავსა-ჴმაჲ დ BC. BC-ში მინჩხის ეს სტიქარონი დართულია იადგარიდან გადმოსულ საგალობელზე (იხ. ამის შესახებ გვ 27). მინჩხის ტროპარების დასაწყისთან B-ში აშიაზე მიწერილია „მინჩხნი". 14 დი. დი—BC. სინასა+პირველ BC. 15~ღმრთისა წინაშე C. 17 დღჱ B. 21 ანგელოსისა B. 22 მოეცა] ბოიტყუა BC. 23 მიერ] მიმართ C. 25 ზოგს-რაჲმე] ზოგად BC. ჩუენ] ჩუენცა BC. 27 და დავიმარხნეთ BC. ჩუენ—BC. 28 და+ყოლადვე BC. 29 უწესოთა ზრახვათათჳს] უწესოჲსა სიტყუსათჳს BC. 31 დაუცონელად] დაუცხრომელად BC. 39 ფრთხილად´მღჳძარებითა] უწყინოჲთა მარხვითა BC. 33 სიწმიდეჱ C, კორცთაჲ+არს BC. 34 სულთა ჩუენთაჲ] სულისაჲ BC.

* მითითება მინჩხზე — „მ" A-ში მიწერილია კიდეზე სტიქარონის დასაწყისის გასწვრივ. მინჩხის „სხუანი" მოსდევს მის წინა სტიქარონს.

და სინათლე გონებისაჲ,
განმამტკიცებელი დაცემადთაჲ და აღმმართებელი დაცემულთაჲ
და ბნელთა მათ გულის სიტყუათა
და მწიკულეევანთა მაოტებელი,
5 გოდოლი მტკიცე, უძლეველი წინაშე პირსა მტერისასა
და მომაუძლურებელი
ცოდვათა ნებისა ძალსა.

ღმრთ. მოვედით, ვადიდებდეთ სამოთხესა

55r 10 ## პირველსა ხუთშაბათსა. მწუხრი. სხუანი. ჴმაჲ ა გუერდი*

ძლ. ლბილ იყუნეს სიტყუანი შენნი

ნუმცა დავიყდუნებებთ სულთა ჩუენთა 12
უდბად ძილითა მით მძიმითა,
სული გულსმოდგინე არს,
15 ხოლო ჯორცნი უძლურ და მოწყინე;
სულსა აქუს ხატებაჲ ანგელოზთაჲ
და ბუნებით არს ცოდვის მოძულე,
მიუდგინოთ გონებაჲ
და მას დავამონნეთ ჯორცნი.

20 ქრისტეს მოციქული ჩინებული,
ჯუარითა მოქადული პავლე,
რომელი მიიწია სამ ცადმდე,
ესრეთ ნუგეშინის-სცემს ცოდვილთა,
ვითარმედ: „სადა იპოვის ცოდვაჲ,
25 მუნ უფროჲს გარდაემატის შადლი“
ლოცვითა და მარხვითა,
ცრემლითა და სინანულითა.

ჴმაჲ მღაღადებელი უდაბნოსა
გუქადაგებდა სინანულსა,
30 ეტყოდა რაჲ ერსა გულფიცხელსა,
ღმრთისა განმამწარებელსა:
„ცოდვილნო, იქედნისა ნაშობნო,
ვინ გიჩუენა რისხვისაგან სივლტოლაჲ?

---

1 სინათლჱ C. 2 და განმამტკიცებელი BC. დაცემელთაჲ B. აღმმართებელი დაცემულთაჲ] განმაოტებელი BC. 3 და—BC. 4 და—BC. მწიკულეევანთაჲ BC. მაოტებელ›—BC. 5 მტკიცჱ C, უძლეველი+ფარი BC. 7 ნებისა] ენებისა C. 8—AC. 9 ხუთშაბათსა] პარასკევსა BC. მწუხრი, სხუანი] აღვივსენითი B, აღვივსენითსა C. 12 დავიყდუნებებთ] დავიყდუნებთ BC, 13 უდბად] გარეგნით+უდბად BC. მით—BC. 14 სული] რამეთუ+სული BC. 15 უძლორ A. 16 ხატებაჲ] ცხორებაჲ BC. ანგელოსთაჲ B. 17 ბორებით BC. მეძულე A. 18 მიუდგინოთ] მოვიდგინოთ BC. 22 მიჲწია C. 23 სცემს] მცემს B, ცოდვილთა—BC. 24 სადა] სადაც BC. ადოის C. 25 უფროჲს] უფროჲსად BC. 27 ცრემლითა და სინანულითა] და ცრემლით სინანულითა B. 31 განმამწარებელსა+კრებულსა BC.

* მითითება მინაწერზე — „ჴ“ A-ში მიწერილია კიდეზე სტიქარონის დასაწყისის გასწვრივ.

შეინანეთ, რამეთუ
ახლოს არს სასუფეველი!“

ღმრთ. დიდებულსა და ყოვლად ქებულსა

55r ხხუანი. ᲡᲛᲐᲥ Ა ᲒᲣᲔᲠᲓᲘ*

5 ძლ. შენდა მომართ მოვივ

ვისხნეთ ჩუენ ცათა შინა 13
მეგობარნი
მამონაჲსა მისგან სიცრუვისა
და შეეჰრაცხოთ ჩუენ
10 საწუთროჲ ესე, ვითარცა სიზმარი
და შიშით ეჰმონებდეთ მჴსნელსა ჩუენსა.

ჴსნად ჩუენდა მოხუედ, ქრისტე,
და მოასწავე
სამი ესე გზაჲ სულთა ცხორებად:
15 მარხვაჲ და ლოცვაჲ
და სინანული ცად აღმყვანებელი
და მით შემიყვანებ სასუფეველსა.

შეგუწყალენ ჩუენ, ქრისტე,
მეუფეო,
20 ძეო ღმრთისაო, მაცხოვარო ჩუენო,
და დაივიწყენ
ცოდვანი ჩუენნი და შემიყვანენ ჩუენ
სადგურსა წმიდათა ანგელოზთასა.

შეძრწუნდა ქერაბინი
25 მოტყინარე,
ცეცხლებრ მგზებარე მცველი ედემისაჲ,
რაჟამს იხილა
ჯუარი ქრისტესი ჰყვანდა-რაჲ ავაზაკსა
განმღებელად კარსა სამოთხისასა.

BC 30 შენდა მომართ მოვივლტით**,
უბიწოო,
ლოცვათა ჩუენთა ნუ უგულებელს-ჰყოფ
ლმობიერებით,
არამედ მიჴსნენ განსაცდელთაგან
35 მხოლოო დიდებულო ღმრთისმშობელო!

3—A. 4 B-ში სტიქარონის სათაურში მითითებულია ავტორი—„მინჩხნი“. BC-ში სტიქარონი დადებულია I ხუთშაბათის მწუხრზე. 5—BC. 8 აწ მამონაჲსა BC, სიცროაჲსა B. 9 შეეჰრაცხოთ C. 10 საწოთროჲ B, ეითარცა] ვითარ BC. 11 ეჰმონებდით (ჰვმონებდეთ C)+ჩუენ BC. 14 ცხორებად] ცხორებისაჲ BC. 17 შემიყვანებს BC. 21 დაჲეიწყენ C. 25 მოტყინარეᲲ C. 26 მგზებარᲲ C. 30 მოვილტით BC. 32 ლოცვასა ჩუენსა C, უგულებელს-ჰყოფ] შეეარაცხ-ჰყოფ C.

* მითითება მინჩხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე სტიქარონის დასაწყისის გასწვრივ. A-ში მინჩხის „ხხუანი“ მოსდევს მის წინა სტიქარონს.

** ეს ღმრთისმშობლისა A-ში შესული არ არის.

პირველსა შაგათსა ფმიდათა მარხვათასა.
მწუხრი. სხუანი*

ძლ. პირველითგან იყო

14

პირველითგან იყო
5 სიტყუაჲ მამისა და ღმრთისა თანა,
უჟამოდ შობილი,
ღმერთი, ღმრთისაგან გამოსრული,
ნათელი — ნათლისაგან,
განკაცნა ჩუენისა ცხორებისათჳს,
10 ივნო უვნებელმან კორციოთ ჩუენთჳს
და მოკუდა უკუდავი კაცობრივ,
რომელმან აღუთქუა მეგობართა თჳსთა
შესუმად ცხოველსმყოფელი სასუმელი
ვნებათა მათ მისთაჲ
15 და მის თანა მარადის სუფევაჲ,
რომელთა ხატ ექმნა
ახოვანი მოწამე თეოდორე
და მის თანა იდიდა აღთქუმისაებრ.

აღეგზენ ცეცხლითა
20 საღმრთოჲსა შურისაჲთა, მოწამეო,
და განჰკურდი, მკნეო
თეოდორე, ქრისტეს სიყუარულითა.
ამისთჳს მოიძაგე
წარმავალისა საწუთროჲსა სუფევაჲ
25 და ყოველსავე უწოდე ნაგევად,
რაჲთა ქრისტე შეიძინო
მხოლოჲ, უსასყიდლოდ იგი საფასე,
სოფლისა განმამდიდრებელი,
და მოჰკუედ შენ მისთჳს,
30 რომელი ნეფსით მოკუდა ჩუენთჳს,
უკუდავი — მოკუდავთათჳს.
და აწ ცხოველ ხარ მის წინაშე,
ნათელსა მას შინა უსხეულოსა.

ვითარცა მთიები,
30 სამყაროსა ცათასა განჰბრწყინდი
და ელვარებამან
ღუაწლთა შენთამან, მოწამეო,
განანათლნა მხცინვარედ
კიდენი სოფლისანი, ახოვანო,
35 რამეთუ ძალი საღმრთოჲ გაქუნდა შემწედ,
რომლითაცა განსძლიერდი

---

24 წარმაეალისაწუთროჲსა A. 25 უწუდე A.

* მითითება მინიხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე სტიქარონის დასაწყისის გასწვრივ.

და აღუდეე ცეცხლი ღმერთთა მტყუვართა,
რომლითა დასწუენ კერპნი მცბიერნი
და თჳთ შეიწირე
მსხუერპლად ცხოველად, სათნოდ ღმრთისად
5 მრგულიად-დასაწუველად
28r და ჰსუფევ უკორცო|თა თანა,
მას ევედრე ცხორებად სულთა ჩუენთათჳს.

28r

სხუანი. ა გუერდი*

ძლ. სუფევს ღმერთი წ

10 დღესა ამას ღმრთივ ბრწყინვალესა, 15
მორწმუნეთა საგალობელსა,
საკსენებელსა მოღუაწისა
თ[ეოდორ]ესსა კრებულ[ნი] მორწმუნეთანი
საღმრთოჲთა შესხმითა
15 ვადიდებდეთ სიხარულით
და ვაქებდეთ სიმკნეთა მისთა.

შეგშურდა შური აბელისი,
ღვაწლით შემოსილო თეოდორე
და მსხუერპლთა მათ წილ ცხოვართაჲსა,
20 სული შენი შესწირე მსხუერპლად ცხოველად
და უბიწოდ ზუარაკად
ცეცხითა წამებისაჲთა
და ქრისტეს თანა ჰსუფევ მარადის.

მეუფისა მის უკუდავისა
25 მკედარ იქმენ, ღუაწლისა მძლეო,
ხოლო მოკუდავისა მეფისა
მკედრობაჲ განიშორე, მკნეო თეოდორე,
და წარსდეგ წინაშე
საყდარსა უსჯულოთასა
30 და ჰქადაგე ქრისტე ჯუარცუმული.

A ნაყოფი მარხვისა ჩუენისაჲ,
ღმრთისა სიტყუაო, შეიწირე

---

10 ღმრთივ ბრწყინვალესა] განბრწყინებულსა BC. 13 კრებული მორწმუნეთაჲ BC. 15 ვადიდებდეთ] შევასხმიდეთ BC. 19 და—BC. ცხოართაჲსა B. 20 სული შენი შესწირე] შესწირე თაეი შენი BC. 21 და უბიწოდ ზუარაკად] უბიწოჲ ზუარაკი BC. 22 ცეცხლითა წამებისაჲთა] საკეშლსა მას წამებისსა BC. 23 სუფევ BC. მარადის] მკნეო BC. 24 უკუდავისა] ზეცათაჲსა BC. 26 ხოლო მოკუდავისა მეფისა] და მეფისა მის მოკუდავისა BC. 27 განიშორე] განაგდე BC. 28 და—BC. წარსდეგ] წარსდეგი BC. 29 საყდარსა უსჯულოთასა] მაქსიმიანე მძლავრისა BC+ და+პირველად BC. ქრისტე—BC.

* მითითება მინაბზე — „ბ“ A-ში მიწერილია კიდეზე, სტიქარონის დასაწყისის გასწერეე. მინაბის „სხუანი“ მოსდევს მის წინა სტიქარონს. BC-ში მინაბის ეს სტიქარონი დადებულია I შაბათის მწუხრზე და წინ უძღვის მითითება — „ნეტარ არიანთა ზედა“.

და ლმობიერებით ვედრებაჲ
ჩუენ, უღირსთა მონათა შენთაჲ, მიითუალე
და წყალობა ყავ ჩუენთჳს,
მოწყალე, მეოხებითა
5 ახოვნისა თეოდორესითა.

ღმრთ. საღმრთოსა ტაკუ

28r

სხუანი. დ გუერდი*

ძლ. მოვედითნი

მოვედით, მორწმუნენო,
10 სულიერითა ქებითა
ერთობით პატივ-ვსცემდეთ
მოღუაწესა უძლეველსა,
მოწამესა ჭეშმარიტსა,
გჳრგჳნითა შემკობილსა
15 თეოდორეს,
ქრისტეს მქადაგებელსა,
მთიებსა მას
ბრწყინვალესა, პირმეტყუელსა,
რომლისა ბრწყინვალებითა განქარდა ძალი
20 უღმრთოებისაჲ,
ბნელი — კიდეთაგან სოფლისათა,
რომელი
ბრძოლასა მტერთა ბოროტთასა
ახოვნად გამოჩნდა
25 და შეიმოსა
გჳრგჳნი ძლევისაჲ ქრისტესგან.
ამას უგალობდეთ,
ღუაწლით შემოსილო თეოდორე,
მეოხ გუეყავ სულთა ჩუენთათჳს.

30 საღმრთოჲსა მის შურისა
საკუმილითა ეგზებოდა
ახოვანი მოწამე
და დაწუნა ღმერთნი მტყუვარნი,
რამეთუ შეიმოსა მან
35 ძალი საღმრთოჲ ზეგარდამო,
და იქმნა
მსხუერპლად შესაწირავად

6—AB. 8—BC. 14 შემკობილსა] შემოსილსა BC. 20 ეღმრთოებისა C. 25 შემოსა B. 26~ძლევისა გკრგჳნი BC. 31 საკუმილითა] ცეცხლითა BC. ეგზებოდა B. 32 ახოანი მოწამე C. 33 მტყუარნი C. 34 შე:მოსა BC. 35 ზეგარდამო] მაღლით გამო BC.

* მითითება მინჩხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე სტიქარონის დასაწყისის ჯასწერივ. მინჩხის „სხუანი“ მოსდევს მის წინა სტიქარონს. BC-ში მინჩხის ეს სტიქარონი აღვილესენით — სადაა შესული ამაევე დღეზე.

სათნოდ ღმრთისად,
და საკუმილისა მდუღარებაჲ
ახოვნად დაითმინა ქრისტეს ღმრთისათჳს,
რომლისათჳსცა
5 გურგჳნი ძლევისაჲ შეიმოსა
და ზეცას,
ანგელოზთა თანა იშუებს, ვითარცა
აღუთქუა ქრისტემან
და ვედრებასა
10 ჰყოფს მაქებელთა მისთათჳს.
ამას უგალობდეთ,
ღუაწლით შემოსილო თეოდორე,
მეოხ გუეყავ სულთა ჩუენთათჳს.

ყოველივე დიდებაჲ
15 ამაოჲსა საწუთროჲსაჲ
მოიძულა ახოვნად
და შეიყუარა ჯუარცუმული
ქრისტე ღმერთი ცხოველი
და მცნებისაებრ მისისა
20 აღიღო
ჯუარი და შეუდგა მას
მოსწრაფებით,
რომლისა ვერ შემძლებელ იქმნა
განშორებად ქრისტეს სიყუარულისაგან
25 ტანჯვაჲ მძლავრთაჲ მათ,
საპყრობილე, ცეცხლი და მახჳლი —
არამედ
ყოველი შეძინებაჲ ძჳრთაჲ
სიმკნით შეურაცხ-ყო,
30 მსგავსად სიზმრისა
და იშუებს წინაშე ღმრთისა.
ამას უგალობდეთ,
ღუაწლით შემოსილო თეოდორე,
მეოხ გუეყავ სულთა ჩუენთათჳს.

35 ღმრთ. მოვედით, მორწმუნენო, ღმრთისმშობ

---

წინაშე ღმრთისა,
ხოლო ვაჲ არს მისსა,
35 რომელი შეიკრებს
ანგაჰრებით,
უწყალოებით.

---

10 უფ. ღალატყავსა—A. 11 ყოველ... მათ] უფ.ყრელ B. 12 სიწმიდით] საწადელ B. 13 სულნელ B. 14 ნეფსით B. 15 დააგლახაკნენ B. 18 ჰრწმენეს] ჰრწმენ B. 22 ნებით B. 26 მონანი შენნი] შენნი მორწმენენი, ქრისტე B. სახიერო B. 27 უფერთ] ჰეეეეო და B. 28—B. 30 სიმდიდრე B. 35 შეიკრებს +მონაგებთა B. 36 ანგაჰრებითა B. 37—B.

* ეს ღმრთისმშობლისა ABC-ში მითითებულია დასაწყისი სიტყვებით.

** მითითება მინაწერზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე სათაურის გასწვრივ.

მიხედეთ მდიდარსა
მას უწყალოსა, რომელი-იგი
ეწყალო იქმნა ლაზარეს
და შეითხია
5 ცეცხლსა უშრეტსა
და საწყალობელად ევედრებოდა მამათმთავარსა აბრაჰამს
და ითხოვდა ნაწუეთსა წყლისასა
განგრილებად ენისა.

დავემრწემნეთ ყოვლითურთ
10 სულსა — ჯორცთა უმთავრესსა,
ბუნებით უცოდველსა
და მოძულესა მას
ბოროტისასა
და ყოვლით ქერძოვე
15 მას დავამორჩილნეთ
ურჩნი ესე
ჯორცნი განხრწნადნი,
ნუმცა ვართ ფრიადსა
ღუნოსა მორჩილ, რომელი შეიქმს
20 ჯორცთა განკურვებასა
და გულისთქუმასა ბილწებისასა,
არამედ ამიერითგან
ვიწურთიდეთ მარადის შიშსა ღმრთისასა
და ვიქმოდით, რაჲ-იგი სათნო არს
25 წინაშე თუალთა მისთა.

163v

მეექუსესა ორშაბათსა. მწუხრი. სხუანი. ჰმაჲ გ გუერდი*

ძლ. მოღუაწენო წმიდანო, ცხ

AB ანგელოზნი ძლიერნი, 77
30 სულნი გონიერნი,
უხილავნი ალნი ცეცხლისანი,
მდგომარენი წინაშე საყდართა სამეუფოთა
მარადის ევედრებიან ღმერთსა
ქუეყანისა მყოფთათჳს
35 და არაჲ მოშურნე არიან
ყოლადვე ჩუენდა მომართ
მაცხოვრისა წინაშე, არამედ უხარის მათ

---

2 უწყალოსა—B, რომელი-იგი] რომელი B. 4 და—B. 6 და—B, მამადმთავარსა B. 7 წყლისასა + ლაზარეს | მიმართ, რაჲთა B. 8 განგრილებად ენისა] განუგრილოს ენაჲ მისი B. 12 მას—B. 22 არამედ—B. 23 მარადის—B. 24 რაჲ-იგი] რომელიცა-იგი B. 31 ცეცხლისანი] ცეცხლისფერნი B. 35 არა B. 37 მათ—B.

* მითითება მინაწერზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე სტიქარონის დასაწყისის გასწვრივ. B-ში სიგალობელი წარმოადგენს მეექვსე საშაბათის აქებდითსას, „სხუანს“.

მკჳდრ ყოფად კაცებაჲ ჩუენი
მათ თანა საუკუნესა.

არაჲ თუმცა უფალი
შემეწეოდა ჩუენ,
5 კნინღადა და-მცა-ვემკჳდრენით ჩუენ,
ერთბამად ყოველნი, სულით და კორცით ჯოჯოხეთს,
არამედ გჳძღჳს წყალობაჲ მისი,
ვითარცა-იგი უძღოდა
უდაბნოს ისრაეშლთა ერსა
10 და გუფარავს სული წმიდაჲ,
ნუგეშინისმცემელი და მართლუკუნ-აქცევს
ყოველთა მათ განსაცდელთა
მტერისა ბოროტისათა.

ღმრთისმშობელი მარიამ,
15 წმიდაჲ დედოფალი
და იოანე ნათლისმცემელი
და წმიდანი მოციქულნი და ყოველნი წმიდანი
აღვძრნეთ ჩუენ მეოხებად წინაშე ღმრთისა
და ვითხოვოთ სულთა ჩუენთა
20 სიტკბოებაჲ მაცხოვრისაგან,
რამეთუ ეწყალის მას
კაცებაჲ ესე ჩუენი მიწად მიმავალი
და სინანულით მოგუცემს
მოტევებასა ცოდვათასა.

163v 25 სხუანი. [გ გუერდი]*

ძლ. დღესა მას შობისასა მაცხ

AB საშინელსა მას დღესა, 78
განკითხვასა ყოველთა ადამეანთასა,
164r ბრძანებითა საღმრთოჲთა
30 შეკრებასა ყოველთა დაბადებულთასა
ელმოდის ქუეყანასა
ჭეშმარიტად მკუდართა იგი აღდგომა, ვითარცა
სალმობაჲ შობადისაჲ,
[და დღე იყოს]** დაუღამებელი,
35 იძრვოდიან ცანი ძალითურთ

---

13 მტერისა ბოროტისათა] აღძრულთა მტერისა მიჯრ B. 16 ოვანე B. 17 და—B. 19 ჩუენთა] ჩუენთოჳს B. 20 სიტკბოებაჲ+წმიდისა B. 23 სინანულითა B. 25 B-ში საგალობელი წარმოადგენს ამ დღის „აქებდითსას“, სხუანს. 27 ~ დღესა მას საშინელსა B. 28 ადამეანთასა] დაბადებულთასა B. 30 დაბადებულთასა] ადამიანთასა B. 32 აღდგომაჲ B. 34 დღ B.

* მითითება მინჩხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე სტიქარონის I ტროპარის გასწერივ. მინჩხის „სხუანი“ მოსდევს მინჩხის წინა სტიქარონს. A-ში სტიქარონის ტექსტის ძირითადი ნაწილი დაზიანებულია, ჩანს ცალკეული ფრაზები და ასოები.

** აღდგენილია B-ს მიხედვით.

და ძრწოდიან შეძრწუნებულნი,
ქრისტე, შეგვწყალენ ჩუენ.

მეუფეო მაღალო,
[სასწაულთა მოქმედო], მკსნე[ლო ჩუენო ქრისტე],
5 [რაჟამს და]ზჯდე საყდართა
[სუფევისა შენისა მწრაფლ განკ]ითხვის[ათა],
უვარისმყოფელნი იგი
შენნი მისცნე მაშინ რისხ[ვით მწარესა პატიჟსა],
ცეცხლსა გეჰენიისასა
10 და წყუდიადსა განუნათლებელსა.
სახიერო, ღირს] მყვენ წყალობით
[რჩეულთა შენთა თანა].

[ვის-მე] არაჲ სურ[ოდის]
ჟამი იგი კეთი[ლთაჲ ნიჟთა მოგებისაჲ,
15 ოდეს-იგი მეფეთა]
მორ[წმუნეთა] დაედგას გჯრგჯნი [ზეცისაჲ
და საუნოთა მთავართა
მთავრობანი ზეცისანი მისცემდენ პატივსა
და მართალნი ბრწყინვიდენ,
20 ვითარცა მზენი სამარადისოდ
და ერთბამად განმხიარულდენ
ჰეშმარიტნი ქრისტეს მორწმუნენი,
ერნი ნათელღებულნი]

ღმრთ. ქალწულსა

165v–166r 25 მეექუსესა სამშაბათსა. მწუხრი. სხუანი. ᲰᲛᲐᲐ Დ Ბ᾽ᲘᲐ*

ძლ. უფალო, ლაზარეს

ABF ნეტარ არიან, რომელთა აწვე 79
დაიტირნენ თავნი თჳსნი
საწუთროსა ამას შინა,
30 რამეთუ მერმე განმხიარულდენ
სიხარულითა უოხჳნოჲთა,
რომელნი აქა მგლოვარე იქმნენ,
რამეთუ ანგელოზთა თანა
სუფევასა მას წინაშე ღმრთისა
35 იხარებდენ ნათლითა
განუქარვებელითა
პირისა მისისაჲთა.

---

1 შეძრწუნებულნ] დაცემელნი ცოდეულთა B. 2 ქრისტე+ჰაშენ B. 3 მაღალო] ტეუდაეო B. 8 ~რისხვით მისცნე B, მაშინ—B. 9 გეჰენიისა B. 10 განუნათლებელსა+ჰის კაცსა ჩუენ მონანი შენნა B. 28 დაიტირნეს B. 35 იხარებენ F.

* მითითება მიწისზე „ᲨᲐ“ იერ. 130-ში მიწერილია კიდეზე სტიქარონის დასაწყისთან. B-ში საგალობელი წარმოადგენს მეექვსე ოთხშაბათის „აქებდისას“, სხუანს.

ნეტარ არიან, რომელნი აქა
განეშორნენ ნეფსით თჳსით
საწუთროჲსა საშუებელთა,
ჰეშმარიტად ღირს იქმნენ იგინი
5 განსუენებასა და შუებასა
დაულევნელსა საუკუნესა.
და რომელთა აქა ჰშიოდის
სიმართლისათჳს, განაძღნეს ქრისტემან
განუძღომელითა მით
10 საღმრთოჲთა საზრდელითა —
პურითა ცხოველითა.

რაჟამს-იგი გამოჩნდეს მაღალთაჲთ
მომავალი სიტყუაჲ ღმრთისაჲ,
მაშინ ღრუბელი ნათლისაჲ
15 აღიტაცებდეს რჩეულთა მისთა
თაყუანისცემად და შემთხუევად,
ხოლო ცოდვილნი დაშთებოდიან*
კდემულნი და სირცხჳლეულნი,
აღვიღოთ შური რჩეულთაჲ მათ,
20 რაჲთა ჩუენცა ღირს ვიქმნეთ
შემთხუევასა ქრისტესსა
და მოგუეცეს დიდი წყალობაჲ.

ღმრთ. უფალო, კიდობ

165v 25 მეექჳსესა სამშაბათსა. მწუხრი. უფ. ღალატჟამსა
სხუანი. ბ გუერდი*

AB ნეტარ არს, რომელმან გულისკმა-ყო 80
გლახაკისა და დავრდომილისაჲ,
უფალმან დაიცვას იგი
[და აცხოვნოს იგი
30 და სანატრელ ყოს ქუეყანასა ზედა,
რამეთუ თჳთ ღმერთი არს
მამაჲ ობოლთაჲ და მსაჯული ქურივთაჲ

---

2 ნებსით B. 9 განეძღომელითა] გამოეთქმელთა B. 16 თაყუანისცემელად B. 17 ხოლო— B. 19 რჩეულთა მათ +თანა და ვიღუაშოთ კეთილად B. 20 ვიქმნეთ B. 22—B. 23—A. 24 უფ. ღალატყაესა—A. 25 სხუანი+თჳთნი B. 26 გულისკმა-ყოს B.

* მითითება მინჩხზე — „მ" A-ში მიწერილია კიდეზე სტიქარონის დასაწყისის განმარტებ. მინჩხის სტიქარონის ტექსტი A-ში ძალიან დაზიანებულია, დასაწყისი 2 სტრიქონის შემდეგ არ იკითხება. ტექსტი აღდგენილია H-ის მიხედვით.

და გლახაკთა მეგობარი
და მჯნელი ყოველთა დაწუნებულთაჲ
და შემწე, რომელნი ხადიან მას
და ჴეშმარიტად ნეტარ არს კაცი,
5 რომელი ესავს უფალსა.

წყალობაჲ ღმრთისაჲ ჰფარავს მარადის,
რომელთა ეწყალიან გლახაკნი,
ობოლნი და უღონონი,
ხოლო უწყალო არს
10 სამართლად საშჯელი უწყალოთათჳს,
იხილეთ მდიდრისაჲ მის,
რომელი მარადის იმოსებოდა
სამოსლითა ბრწყინვალითა
და გლახაკთაჲ არაჲ შეიწყალებდა,
15 აწ ჰმოსიეს ბნელი ალი ჯოჯოხეთს შინა,
იწუების და არაჲ დაიწუების.
და არა ოდეს ჰპოვებს განსუენებასა.

მამაო, ტკბილო და მოწყალეო,
რაჲმცა ვილოცეთ, არა უწყით ჩუენ,
20 რამეთუ შეგინებულ ვართ
და განმაცუბრებს ჩუენ
ბრალთა და ცოდვათა ჩუენთა სიმრავლე,
არამედ გევედრებით,
დააწთვე ჩუენ ზედა წყალობაჲ შენი
25 და ნუ დამსჯი საქმეთაებრ,
რამეთუ შენნი დაბადებულნი ვართ
და მარადის მაქებელნი სახელსა შენსა,
ღირს მყვენ სადგურსა ლაზარეს თანა
და ნუ მდიდარსა მას თანა.

30 დაასხა ღმერთმან აღმოსავალით
ედემი საშუებელად კაცთათჳს
შესაქმესა ხილულთასა
და აღმოაცენა
მას შინა ნერგი იგი, ნაყოფგანმხრწნელი
35 და ჟამთა აღსასრულსა
დაასხა სამოთხე სულიერი
და თჳთ აღმოსცენდა მისგან,

---

10 საშჯელი] მსაჯული B. 14 შეიწყალებდა] შეიწყნარებდა B. 16 იწუების] იწროებით B, არა- B, დაიწუების] ელხინების B. 17 არა ოდეს] არცა B, ჰპოებს B. 25 დამსჯი] მშჯი B.¶ 28 მყვენ+ჩუენ B. 34 მას] და მას B. 35 აღსასრულსა] გარდასლვასა B. 36 დაასხა] და არცა B.

ბუნებითი ნერგი დაუნერგველი
ნივთიერთა ბუნებათა,
სიტყუაჲ სიბრძნით დამბადებელი,
უნივთოჲ ღმერთი ბუნებათაჲ].

167v 5 მეექუსესა ოთხშაბათსა. მწუხრი. უფ. ღაღატყავსა
სხუანი. ჰმაჲ ა*

ძლ. ეჰა, დიდებული

AB ერნო მორწმუნენო, გიხაროდენ! 81
მოვიდა უფალი
10 სიონისა დიდებად,
წყალობით და სიტკბოებით
და კსნად სულთა ჩუენთა,
შეუვრდეთ და თაყუანის-ვსცეთ
და მიუძღუანოთ, რომელი შევსძინეთ ჩუენ
15 საღმრთოსა მას ტალანტსა,
შემსგავსებულად უძღურებისა ჩუენისა
და სარწმუნოთა მათ თანა
გონიერთა მნეთა
შევიდეთ სიხარულსა
20 უფლისა ღმრთისა ჩუენისასა.

|ცანი და ქუეყანაჲ იხარებდით
და განმხიარულდით
დასი ადამეანთაჲ
და უმეტეს განსცხრებოდეთ
25 ერნი წარმართთანი,
გიხაროდენ მონანულთა,
რომელთა შეგინანებიან ცოდვანი,
მივეგებნეთ უფალსა
განწმედილნი და განბრწყინვებულნი მადლითა
30 და მარადის სიხარულით
ვაქებდეთ ყოველნი
წყალობით მომავალსა,
მაცხოვარსა სულთა ჩუენთასა.

არაჲ თუ სიმართლეთა ჩუენთა ვესავთ,
35 არამედ შენთა მათ
დიდთა მოწყალებათა
და მრავალთა, ქველისმოქმედ,
სახიერებათა

---

1 ბუნებით B. 3 სიბრძნით] სიბრძნე B. 5 უფ. ღაღატყავს—A. 12 და—BC. ჩუენთა] ჩუენთათჳს BC. 13 შეურდეთ C. და—BC. 14 შევსძინოთ BC. 23 ადამიანთაჲ BC. 24 და—BC. უმეტესად B, უმეტჱს C. 28 მივგებენით BC. უფალსა] ღმერთსა BC. 30~სიხარულით მარადის BC. 34 ვესავთ] ვესვიდეთ B. 37~ქველისმოქმედ და მრავალთა BC.

* მითითება მინიხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე სათაურის გასწვრივ.

და გულსმოდგინედ შევსწირავთ
მცირედსა და უნდოსა მსახურებასა,
შეიწირე, სახიერ,
ცრემლით ლოცვაჲ, სინანული და მარხვაჲ ჩუენი
5 მეოხებითა წმიდისა
ღმრთისმშობელისაჲთა
და მარადის დაგუცვენ
უცოდველად ყოველსა ჟამსა.

ღმრთ. ეჰა, დიდებული საკ

168г 10

სხუანი. ბ გუერდი*

ძლ. სასოწარკუეთილ

AB საღმრთოჲთა ნათლითა 82
განათლებულნო,
მართლმადიდებელნო
15 ერნო ქრისტესნო,
რომელთა წადიერებით
იღუაწეთ სულიერად
სიმკნით
დღეთა ამათ წმიდათა
20 და განჰბრწყინდით სულითა,
ქრისტეს
მიერ აწ დაწერილ ხართ
წიგნსა მას ცხოველთასა,
აწ ეკრძალენით
25 მტერსა მას მოშურნესა
და ნუმცა აღვიჴოცებით ჩუენ
წიგნისა მისგან [საღ]მრთოჲსა.

ქრისტეს მოყუარენო,
ღმრთივგანბრძნობილნო,
30 თქუენ, შარავანდედნო
და ჯელმწიფენო,
რომელთა მოუდრიკენით
თავნი თქუენნი სიმდაბლით,
შიშით
35 ქრისტეს მსახურებასა
მარხვითა და ლოცვითა,
მერმე

---

1 და—BC. 2 მცირედსა] მცირესა C. უნდოსა[ეღირსსა BC. 4~მარხვაჲ და სინანული B. 7 მარადის—BC. დაგუცვენ-ყოველნი BC. 9—AB. 14 მარდლმადიდებელთა B. 27 საღერთოჲსა] სულიერსა B. 29 ღმრთივგანბრძნობილნო] ღმერთშემოსილნო B. 31 და ჯელმწიფენო] მეფენო და მთავარნო B.

* მითითება მინიხზე — „მ" A-ში მიწერილია კიდეზე, სტიქარონის დასაწყისის გასწვრივ.

გლახაკთმოწყალებითა,
რომელთა მოწყალე ჰყავთ
ღმერთი მოწყალე,
აწ მიიღეთ ერთისა წილ
5 ესი წილი ამას ცხორებასა
და მრჩობლი — საუკუნესა.

რომელსა გადიდებს
ცაჲ და ქუეყანაჲ
და იმსახურები
10 ანგელოზთაგან,
ჩუენ, ვითარ-მე გმსახუროთ შენ,
168v მტუერთა ქუეყანისათა?
უწყით,
რაჲ-იგი ჯერ-არს ჩუენდა
15 და ვიცით ნებაჲ შენი,
გარნა
ვერ ჯეროვნად გმონებთ შენ,
რამეთუ მიწანი ვართ,
არამედ, ტკბილო,
20 სიტკბოებით ჯერ-იჩინე
კნინი ესე სათნოებაჲ ჩუენი
და მოგუეც წყალობაჲ შენი.

აწ გჳდგების მტერი
იგი მოშურნე
25 და ეძიებს ჟამსა,
რაჲთა მაცთუნნეს
და წარწყმიდნეს შურისგებით
სათნოებანი ჩუენნი,
ხოლო
30 შემწე ჩუენდა არიან
ყოველნი ანგელოზნი,
წმიდაჲ
ღმრთისმშობელი მარიამ
და ნეტარნი მოციქულნი
35 და ყოველნივე
წმიდანი, რაჲთა ჩუენ ვსძლოთ მა[ნ]
ძალითა ღმრთისა ჩუენისაჲთა
და დავსცნეთ ღონენი მისნი.

---

2 მოწყალე] მოვალე B. 3 მოწყალ B. 5 ამას ცხორებასა] აქაეე B. 6 მრჩობლი] უმრავლესი B. 11 მე ვითარ A. 14 ჩუენდა] ჩუენგან B. 18 რამეთუ—B. 19 ტკბილო+უფალო B. 23 გჳდგების] გუეძიებს B. 25 ჟამსა+მარჯუესა B. 27 წარწყმიდნეს+მან B. შურისგებით] შურით B. 29 ხოლო] არამედ B. 30 ჩუენდა არიან] ვიყუნეთ B. 31 ანგელოსნი B. 34 ნეტარნი] წმიდანი B. 35—B. 36 წმიდანი—B. 37 ძალითა+მით უძლეველთა B, ღმრთისა] ქრისტეს ღმრთისა B. 38 ეს სტრიქონი B-ში XXXVII სტრიქონდაა.

სხუანი. უფ. ღალატყაესა დ. გუერდი*

ძლ. ვითარცა მონათა უკმართ

AB ვითარცა ღრუბელთა ცისათა 83
მხიარულ რაჲ ყვნიან
5 ცუარითა მცენარენი ქუეყანისანი,
ეგრეთვე მხიარულ ყვნის
სულნი და ჯორცნი წჯმამან
თუალთა მგლოვარეთამან
და რომელნი-იგი ინანიან ცრემლით
10 ჭეშმარიტად განწმდებიან
და განიბანებიან
ყოვლისაგან ცოდვისა
და განწმედილნი
ღირს იქმნებიან სასუფეველსა.

15 ძალითა ძლიერმან უფალმან
შეძრის შერისხვითა
ქუეყანაჲ ესე საფუძველითურთ თჳსით
და ძრწოლით აღუტევის
შეშფოთებულმან კმაჲ თჳსი
20 გოდებით ზეცად მიმართ
და ძრწიან ძალისაგან შემოქმედისა,
ხოლო ჩუენ არაჲ გუეშინის
მომავალისა მისგან
რისხვისა საშჯელისა
25 საარებისა,
რომელი ყოფად არს საუკუნესა.

უკუეთუ ცოდვათა ჩუენთაებრ
მომაგებდე ჩუენ
უფალი, უფალსა ვინ-მე დაგითმოს შენ?
30 არამედ გეწყალიან
ქმნულნი შენნი, სახიერო,
და არა მომაგებ ჩუენ
ცოდვათა მათ ჩუენთა მოსაგებელსა,
ვინაჲცა შეგივრდებით, ქრისტე,
35 შეიწირე უღირსი
ლოცვაჲ მონათა შენთაჲ
და შეგვწყალენ,
მრავალმოწყალეო ღმერთო ჩუენო.

---

1 უფ. ღალატყაესა:—A, ეს სტრიქონი B-ში დადებულია მეექვსე სამშაბათის მწუხრზე. 4 ყვნიან] ყვნან B. 9 და—B, რომელნი-იგი] რომელნი B, ინანიან+სულთქუმით B, ცრემლითა B. 19 თჳსი] მისი B. 21 შემოქმედისა] შემძლებელისა B. 24 სასჯელისა B. 28 ჩუენ—B. 29 უფალი] უფალო B. 32 მომაგებ] მოგუაგებ B, ჩუეო—B, 33 მათ—B. 34 ვინაჲცა შეგივრდებით] და აწ ევედრებით B.

* მითითება მინაწერზე — „მ" A-ში მიწერილია კიდეზე სათაურის გასწვრივ. მინაწერი „სხუანი" მოსდევს მის წინა სტიქარონს.

ბზოგბისა ხუთშაბათსა. მწუხრი. სტიქარონი სხუანი. ჰმაჲ ბ ბუერდი

ძლ. სასოწარკუეთილ

ABC მოგუეცა წამალი 84
5 სალხინებელი,
მკურნალი სულთაჲ —
ძალი მარხვისაჲ,
მოგზაური ფრთემალე,
მიმყვანებელი სიმაღლედ,
10 ამან
გამოაჩინა მოსე
ღმრთის მხილველად პირველად,
ამან
ელია თეზბიტელი
15 აღამაღლა ეტლითა,
ამან ბაბილოვს
სამნი ყრმანი ცეცხლისაგან იკსნნა
და ამით მკდომსა არცხუნა
მკსნელმან სიმდაბლით ჩუენთჳს.

A 20 დავთრგუნოთ სიმდიდრე,
დავსცეთ ზუაობაჲ,
დავჰკსნათ მტერობაჲ,
დავშრიტოთ შური,
აღვიღოთ მარხვაჲ უბიწოჲ
25 და შეუვრდეთ უფალსა.
ეჰა,
ქველისმოქმედ, სახიერ,
ნუ მიმცემ მტერთა ჴელსა,
ნუცა –
30 – მცა ჰპოვებს იგი ჩუენ თანა
ნივთსა საქმეთა მისთასა,
არამედ ღირს მყვენ
მარჯუენეთა შენთა თანა,
რაჲთა აღვასრულნეთ ჟამნი ჩუენნი
35 ღირსად მცნებათა შენთა.

ABC მოვედით ყოველნი
ქრისტეს სამწყსონი,
რომელთა წმიდანი
ესე მარხვანი
40 განვლენით მოღუაწებითა

---

1 სტიქარონი—A. 7 ძალი] წესი B. 8 ფრთემალეს C. 12 პირველად ღმრთის მხილველად B. 16 ბაბილონს BC. 17 იკსნა B. 18 და—B. ამით] ამითვე BC. არცხუნა B. 37 სამწყსონო C. 38 რომელთაცა BC. 39 მარხვანი] დღენი BC. 38—39~ესე წმიდანი დღენი BC.

• მითითება მინაწერზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე სტიქარონის დასაწყისს გასწერილ.

და მართლსარწმუნოებითა
და აწ
ვიწყოთ ქრისტეს ვნებათა,
რამეთუ აჰა ესერა
5 კრავი
ღმრთისაჲ განმზადებულ არს
დაკლვად ჩუენ ცოდვილთათჳს
და შეიწირვის
მსხუერპლად ღმრთისა მამისა,
10 რაჲთა ღირს ვიქმნნეთ ჩუენ ზიარებად
ცხორებისა პასექსა.

ABC კრებული ღმრთის მბრძოლთაჲ
შეკრბა ამაოდ
და განიზრახეს მათ
15 ზრახვაჲ უშჯულოჲ,
რაჲთა მოკლან, რომელი
მოვიდა მჴსნელად სოფლისა,
ამან
განარინნა ეგჳპტით
20 ჴელთაგან მტერთა მათთაჲსა,
ამან
უწჯმა მათ მანანაჲ
და პური ზეცით მოსცა,
ამან კლდისაგან
25 წყაროჲ აღმოუცენა მათ,
ამან მკუდარი ოთხისა დღისაჲ
სიტყჳთ აღადგინა ლაზარე.

A 171v ენება აღვსებაჲ
საწყაულისა
30 მამათა მათ მათთაჲ
მტერთა ღმრთისათა,
შეკრბა კრებული უშჯულოჲ,
ბოროტი, სისხლისმსუმელი,
რაჲთა
35 მწყემსი იგი კეთილი
მოკლან ძჳრისმოქმედებრ,
ხოლო
მჴსნელმან ჩუენ ვნებულთათჳს
ვნებაჲ ნებსით თავს-იდვა,
40 ვინაჲცა ჩუენ დღეს
მადლობაჲ მისსა შევწირო̈თ,

---

1 და—BC. მართლსარწმუნოებით] მართლითა სარწმუნოებითა C. 9 მსხუერპლად ღმრთისა მამისა] ჴელითა მღდელთმოძღუართაჲთა BC. 10 ჩუენ—C. 14 განიძრახეს C. 15 განზრახვაჲ B. 19 ეგჳპტით B. 30 მიათთაჲ A.

რომელი ვისწავეთ პირისაგან
წმიდათა მღდელთმოძღუართაჲსა.

A რომელი საყდართა
ქერობინთასა
5 მჯდომარე ხარ ზეცას
საშინელებით,
ქრისტე, ღმერთო ყოველთაო,
აწ მოხუალ შენ დაჯდომად
კიცუსა,
10 ვითარ კაცი ჯორცითა,
ბეთანიაჲ იხარებს
მისსა
შესლვისა შენისათჳს,
იერუსალემი იშუებს,
15 რამეთუ მიგელის
და სიკუდილი ძრწის, რამეთუ ჰხედავს
აღდგომასა ლაზარესსა,
ხოლო ჩუენ გადიდებთ შენ.

მოხჳდოდე რაჲ შენ,
A 20 ქრისტე, ბეთბაგედ
და ბეთანიად,
ქმაჲ ფერჯთა შენთაჲ
ოხრით ესმოდა ქუესკნელსა
და ლაზარეს ეტყოდა:
25 „რაჟამს
ქმა-გიყოს ცხორებამან
საუკუნემან, ქრისტე,
მეყსა
შინა განვედ, ნუ სდროებ,
30 რამეთუ მიცნობიეს
წარწყმედაჲ ჩემი
და დაჯსნაჲ ქელმწიფებისა
ჩემისაჲ, მის მიერ ყოფადი
დაჯსნაჲ ადამეანთაჲ“.

A 35 ეტყოდა მეუფე
ჩუენი წინაჲსწარ
მოწაფეთა თჳსთა:
„აღვალ ქალაქად
მკლველთად — იერუსალემად
40 და ქელსა უღმრთოთასა
ნეფსით
მივეცე და ჯუარითა
სიკუდილი თავს-ვიდვა მე,
რაჲთა

ვიკსნა ხრწნილებისაგან
ადამ ნათესავითურთ
და წარწყმედულნი
ცხოვარნი მოვიძინე
5 და აღვიყვანნე ზეცას შერთვად
უცთომელთა მათ თანა".

ღმრთ. წინაჲწარმეტყველთა ქადაგებული

173r Mასვე პარასკევსA. [ციsკრაd]. ᲰMაᲓ d გUერᲓი*

ვითარცა მონათა უკმართა, 85
10 არაჲ თუ ჯეროვნად,
არამედ მსგავსად შეძლებისა ჩუენისა,
ვითარცა მოხარკეთა,
თანამდები აღვასრულეთ
წმიდათა ამათ დღეთაჲ,
15 რომელნი მოგუცნა ღმერთმან საკსრად სულთა ჩუენთა
და მათ მიერ აღვივსენით
საღმრთოჲთა მით მადლითა,
ვჰმადლობდეთ მაცხოვარსა,
ქრისტესა მკსნელსა,
20 სულთა ჩუენთა კეთილისმყოფელსა.

შეიწირე, ქრისტე, წყალობით
ლოცვაჲ და ვედრებაჲ
და მარხვაჲ უძლური უღირსთა მონათა შენთაჲ
და მომეც მადლი შენი
25 უხუთა შენთა საუნჯეთაგან,
განგუანათლენ მარადის
და დაგუამტკიცენ შიშსა შენსა, მაცხოვარ,
და აწ კუალად ღირს მყვენ ჩუენ,
რაჲთა თანახატ ვექმნნეთ
30 ვნებათა შენთა, მკსნელო,
და ვიხილოთ ჩუენ
ყოველად დიდებული აღდგომაჲ შენი.

ნათლითა შემოსილნო ერნო,
მართალთა კრებულნო,
35 რომელთა ლმობიერად მოიღუაწენით

7—A. 13 თანამდები] თანანადები B. აღვასრულოთ C. 14 დღეთა C. 15 მოგუცნა] მომცნა BC. 16 მათ] მას C. 18 ვჰმადლობდეთ] ვჰმონებდეთ C. 19 მკსნელსა] ღმერთსა BC+ ჩუენსა B. 20 და სულთა B. 23 მონათაჲ BC. შენთაჲ—B C. 25 უხუთაჲ] ეხუად BC. 26 მარადის] ჩუენ მკსნელო C. 27 დაგუამტკიცენ] დამამტკიცენ ჩუენ C. მაცხოვარ—BC. 29 ვექმნეთ] ვექმნეთ B, გექმნეთ C. 30 მკსნელო] ქრისტე BC. 32 ყოველად] ნათლად B. ~ადგომაჲ შენი დიდებული BC. 35 მოიღუაწენით C.

* მითითება მინიხზე — „მ" A-ში მიწერილია კიდეზე სტიქარონის დასაწყისის გასწვრივ. BC-ში საგალობელი წარმოადგენს მეექვსე ხუთშაბათის უფ. ღაღატყავსას.

ლოცვითა და მარხვითა
ორმეოცნი ესე დღენი,
აღგწერნა თქუენ ქრისტემან
ღმერთმან ცათა შინა ანგელოზთა თანა,
5 დაემწყსენით შიშსა მისსა
და უცონილ იყვენით
კეთილთა საქმეთათჳს,
რაჲთა მარადის
წმიდა იყვნეთ ძალითა ღმრთისაჲთა.

10 მოსე ოდესმე შჯული დადვა,
არამედ მადლი და
ჭეშმარიტებაჲ ქრისტეს მიერ იქმნა
და მან მოსცნა მადლითა
მწყემსად საცხოვართა თჳსთა
15 წმიდანი მღდელთმოძღუარნი —
საღმრთონი იგი მარილნი და მათ მიერ
დაემტკიცა სარწმუნოებაჲ,
რომელი გჳქადაგეს
ყოველად სანატრელთა მათ
20 და ღმრთის მხილველთა
და ცეცხლისა ენათა მეტყუელთა.

სიბრძნემან ღმრთისამან განაბრძნვნა
და განამტკიცნა,
ვითარცა მთათა — ირემნი პირმეტყუელნი,
25 რომელნი დაადგინნა
სიონთა ზედა მაღალთა,
მნათობნი სოფლისანი —
წმიდანი და ყოველად ქებულნი მღდელთმოძღუარნი,
ვერჩდეთ ბრძანებათა მათთა,
30 სიტყუათა სულიერთა,
რაჲთა ჩუენცა მაცხოვნნეს
ქრისტემან ღმერთმან
ოხითა და ლოცვითა მათითა.

მამათმთავარნი ქადაგებდეს
35 განცხადებულად
173v საიდუმლოთა|შენთა, სძალო ღმრთისაო,
და წინაჲწარმეტყუელნი

1~მარხვითა და ლოცვითა C. 4 ღმერთმან—BC. 6 უცონილ იყვენით] უქცეველ იყვენით BC. 9 იყენეთ] ვიყუნეთ+ჩუენ B. იყუნეთ C. ძალითა] მადლითა BC, ღმრთისაჲთა] უფლისაჲთა C. 13 მოსცნა] მომცნა B. 14 საცხუეართა A. საცხოართა B. 16 საღმრთონი] სულნელებისა B, სურნელებისა C. მარილნი] ხუეელნი B. 17 დაემტკიცა+წმიდაჲ BC. 19—BC. 20 და—BC. მხილველთა+მათ BC. 21 ენათა] ენითა C. 22 განაბრძნა C. 23 განამტკიცნა+მან BC. 26 სიონსა BC. 27 სუფლისანი A. 28 წმიდანი] ქრისტემან წმიდანი BC. და ყოველად ქებელნი—BC. 29 მათთა] მისთა C. 31 მაცხოვნეს B. 32 ღმერთმან+ჩუენმან BC. 33~ლოცვითა და ოხითა C. 34 მამადმთავარნი BC. 36 საიდუმლოთა C.

სულისა მიერ წმიდისა
წინაჲსწარვე იტყოდეს
შენგან ჯორციოთა ჩუენთჳს შობასა ქრისტესსა,
ესაია გუქადაგა
5 სიწმიდით საჲდუმლოჲ
მიდგომილებაჲ შენი
ძისა და ღმრთისაჲ,
რომლისა სახელი — ემმანუელ.

173v

სხუანი. დ გუერდი*

10 იხარებს ბეთანიაჲ 86
და მხიარულ არს მის თანა ბეთბაგე,
რამეთუ ბჭეთა მისთა
იხილვების მომავალი
მეუფე ჩუენი,
15 ცხორების მომცემელი,
აღმადგინებელი მკუდართაჲ, რომელმან-იგი
უწოდა ლაზარეს საფლავით და აღადგინა.

ჩჩჳლთა მათ ყრმათა იცნეს
ძე ღმრთისაჲ და მეუფედ ხადოდეს მას,
20 ხოლო დაძუელებულნი
იგი დღეთა ბოროტთანი
იტყოდეს მისთჳს:
„ვინ არს ესე, რომელი
ესრეთ დიდებით შემოვალს დღეს ჩუენ ზედა?!“
25 მჭსნელო და მაცხოვარო ჩუენო, დიდებაჲ შენდა!

მწყემსთა კეთილთა დადვეს
სული თჳსი სამწყსოთა თჳსთა ზედა
მცნებისაებრ მჭსნელისა,
რომელმანცა თავი თჳსი,

---

2 იტყოდეს] ხედვიდეს BC. ჩუენთჳს—BC.~შობასა ჯორციოთა C. 4 ესაჲა C. 5 საიდუ?-ლოდ B. 7 ძისა და ღმრთისაჲ] ძესა და ღმერთსა BC+ჩუენსა B. 8 ემმანუელ] ენმანუელ B, ევმანუელ C. B-ში საგალობელი წარმოადგენს მეექვსე პარასკევის აქებდითსას (სხუანს), C-ში „აღვივსენითსას“. 11 არს+დღეს C. მის თანა—C. ბეთბაგეᲨ C. 14 მეუფᲨ BC. ჩუენ] დიდებისაჲ C. 15 და ცხორების C. 16 აღმადგინებელი] დღეს აღმადგინებელი B, და აღმადგინებელ C. მკუდართაჲ[ყოველთა მკუდართაჲ BC. რომელმან-იგი] რომელმან BC. 17~საფლავით ლაზარეს B, საფლავით] საფლავისაგან C. და აღადგინა—BC. 18 მათ ყრმათა] მცირეთა B, მცირედთა C. 19 ძᲨ B, ძეᲨ C. ჰხადოდეს B. 22 იტყოდეს] ქმობდეს C. მისთჳს—C. 24 დღეს ჩუენ ზედა—C. ზედა+ხოლო ჩუენ B, შემოვალს+ხოლო ჩუენ C. 25 მჭსნელო] ესრეთ ქმა-ყოფ „მჭსნელო“ B, მჭსნელო] ესრეთ ეღაღადებდეთ „მჭსნელო“ C. 27 სამწყსოთა] პირმეტყველთა ცხოვართა B, საკსრად პირმეტყველთა ცხოვართა C. 28 მცნებისაებრ] მსგავსად BC. მჭსნელისა+ჩუენისა BC. 29 რომელმანცა თავი თჳსი] რამეთუ მან თავადმან BC.

* ამ სტიქარონის დასაწყისი 3 ტროპარი, როგორც ჩანს, ეკუთვნის სხვა ავტორს. სტიქარონი მოსდევს მინჩხის წინა სტიქარონს. მითითება მინჩხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე, სტიქარონის IV ტროპარის დასაწყისის გასწვრივ. მოგვაქვს მინჩხის (IV—VIII) ტროპარები.

ვითარცა მწყემსმან
ყოვლითურთ სახიერმან,
მისცა ნეფსით შეცოდებათა ჩუენთათჳს,
რომლისა ვნებათა აცხოვნეს ყოველი სოფელი.

5 ევედრენით ქრისტესა
სამწყსოთა თქუენთათჳს, ღმერთშემოსილნო,
სანატრელნო, წმიდანო
მღდელთმოძღუარნო, ყოვლად ბრძენნო,
რაჲთა თქუენ მიერ
10 მოგუმადლოს ჩუენ შენდობაჲ
და შეუძრველად დაიცვას ეკლესიაჲ
და მეფე ჩუენი ძლევით მტკიცედ შარავანდედ ყოს.

იტჳრთე წიაღითა
სიტყუაჲ ღმრთისაჲ, ქალწულო უბიწოო,
15 რომელსა პირველითგან
წინაჲწარმეტყუელნი იტყოდეს,
ესე დღეს კაცთა
ჴორცითა გამოუჩნდა
და იკსნნა წყევისაგან დაბადებულნი
20 და ჩუენ, მორწმუნენი, მაცხოვნნა, ვითარცა ღმერთ არს.

მოიხილესა. დ გუერდი*

ძლ. უცებმან ერმან ცოფმან

რომელთა საშუებელნი **87**
25 სოფლისანი დასთრგუნენით
და სიმკნით ფრთოვან ჰყავთ
გონებაჲ ღმრთისა მადლითა,
იხარებდით სულითა
და ჰმადლობდით ნიჴთა მომცემელსა
30 უფალსა, განმანათლებელსა სულთასა
და არაჲ ვერჩდეთ
მოშურნესა მას მაცთურსა,
დაუძინებელსა მტერსა ჩუენსა.

1—2—BC. 3 მისცა+თავი თჳსი BC. ნებსით BC+მოწყალებ-თ BC. 4 რომლისა ვნებათა აცხოვნეს ყოველი სოფელი] რაჲთა ენებანი მისნი გუექმნენ სულთა ცხორება BC. 6 სამწყსოთა თქუენთათჳს] სამწყსოსა თქუენისათჳს BC. ღმერთშემოსილნო—BC. 7 სანატრელნო] ბრწყინვალენო, ნეტრფულნო BC. 9 თქუენ მიერ] სარწმენოებით BC. 10—BC. 11 და—BC. შეუძრველად] შეურყეველად BC. და ცვას C. 12 მეჴუ C. ყოს+ვითარცა ღმერთ ხარ B, ვითარცა ღმერთ არს C. 24 რომელთა] რომელთა BC. საშუებელნი] გეშონი BC. 25 სოფლისანი+მკნენ BC. 26 და სიმკნით] სულმრთოჲთა მადლთა B, სულმრთოჲთა მით ძალთა C. ღრთოან ჰყავთ BC. 27 ღმრთისა მადლითა—BC. 30 სულთასა] სულთა ჩუენთასა BC. 31 არა C. 32 მაცთურსა—B.~ დაუძინებელსა მტერსა მაცთურსა C. 33 ჩუენსა—C. ჩუენსა] სულთა ჩუენთასა B.

* მინაწერი მოიხილესა შესულია მეექვსე პარასკევის ცისკარზე დადებულ ელია იერუსალიმელის კანონში „ეულალობელთსა. დ გუერდი. ეტლთა მღდ.— ეულალობელთ მეოუესა...". მოთავსებულია მინაწერზე — „ეჰ" A-ში მიწერილია კიდეზე კანონის მოიხილესას გა.ეწერილ.

ვითარცა-რაჲ მზისთუალმან
მყის განაჭურვის ქუეყანაჲ
და ზამთრისა იგი
სიმძიმე განიოტის,
5 ეგრეთვე დღენი ესე,
ქრისტეს ღმრთისა მიერ მოცემულნი
აჴოცად ცოდვათა განსდევნიან ბრალთა
ჩუენთა ზამთარსა,
ვინაჲცა ამიერითგან
10 ვეკრძალნეთ, ძმანო, ბოროტსა.

რომელთა განაქარვეთ
ნისლი ცოდვათაჲ ლოცვითა
და საღმრთოჲ ნათელი
შეიმოსეთ დამარხვითა,
15 აწ კუალად იხილენით
სასწაულნი ღმრთისა სიტყჳსანი —
ოთხისა დღისა მკუდრისა ლაზარეს აღდგინებაჲ
და საუფლოთა
ვნებათა ძალნი და ვჰმადლობდეთ
20 სახიერებათა მისთა.

წმიდათა მღდელთმოძღუართა,
სათნოთა, სამეუფოთა,
სანატრელთა, ღირსთა,
ქრისტეს სამწყსოჲსა მწყემსთა,
25 ყოვლისა ქუეყანისა
მნათობთა, თუალთა პატიოსანთა,
სულისა წმიდისა მნეთა გონიერთა
სარწმუნოებით
უგალობდეთ, სულთა ჩუენთა
30 ცხორებისა წინამძღუართა.

ღმრთ. კარავსა

---

1 ვითარცა-რაჲ მზისთუალმან] მზისა აერმან B, მზ:ისა ჰაერმან C. 2 მყის—BC. და+განდევ-ნის სიფიცხლე (სიფიცხლეᲘ C) BC. იგი[მის B, იგი—C. 4 სიმძიმე] მძიმისაჲ BC. განოტის—BC. 5 დღენი] დღეთა BC, ესე] ამათ B, მათ C. 6 ქრისტეს ღმრთისა მიერ მოცემულნი] ღრ-მეოცთა, რომელნი მომცნა ჩუენ ქრისტემან BC. 7 აჴოცად] აღსაჴოცელად BC. ცოდ-ვათა] ცოდ-ვათითჳს BC. განსდევნიან] და განდევნად BC. 8 ჩუენთა ზამთარსა] სიმრავლესა B, ჩუენთა სიმრავლᲘ C. 9 ვინაჲცა—BC. 10 ძმანო—BC. 11—12 ნისლი ცოდვათაჲ განაქარვეთ BC. 14 დღეს შეიმოსეთ B. და—BC. 17 ოთხისა დღისა] საფლავით BC.~ლაზარეს მკუდრისა BC. 19 და—B. 22 სამეუფუთა A. 29 უგალობდეთ] ღირსად ეაქებდეთ BC.

მეექუსესა პ[არასკევსა]. მწუხრი. დასდებელნი ლაზარეს აღდგომისანი. სხუანი. დ*

ძლ. მკნეონი

88

მკსნელი ჩუენი ქრისტე ღმერთი
5 დღეს ეტყოდა მოწაფეთა:
„მოვედით და წარვიდეთ ბეთანიად, რაჲთა
სასწაული ღმრთივ შუენიერი
მუნ იხილოთ, რამეთუ
ლაზარე, მეგობარმან
10 ჩემმან, სიკუდიდ დაიძინა,
ხოლო მე ღმრთეებრ
აღვადგინო ბრძანებით,
რაჲთა ჰრწმენეს
ყოველთა, ვითარმედ მე ვარ
15 ცხოველთა და მკუდართა მფლობელი“.

სანატრელთა მათ დედათა —
ღირსთა დათა ლაზარესთა,
რომელნი ღირს იქმნნეს ჴელით მსახურებად
სიტყუასა მას ცხორებისასა,
20 ვითარცა ესმა მისი
ბეთანიად მოწევნაჲ,
დაუტევეს კრებული იგი,
მიეგებვოდეს
და ტირილით ეტყოდეს:
25 „მეუფეო,
თუმცა აქა ყოფილ იყავ,
არაჲმცა მომკუდარ იყო ლაზარე“.

ცრემლოოდა მაცხოვარი
და ვითარცა უმეცრებით
30 ეტყოდა მათ: „მიჩუენეთ მე საფლავი მისი“
და უბრძანა აღებად ლოდი,
რომლითა დაეფარა
და ჴელმწიფედ ჴმა-უყო:
„ლაზარე, გამოვედ გარე!“
35 და მეყსეულად
განცოცხლდა მკუდარი იგი
და რომელთა
იხილ[ეს ესე], განკჳრდეს
და ადიდებდეს ძალსა მისსა.

---

* მითითება მინჩხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე სტიქარონის I ტროპარის გასწვრივ.

180r [მეეჭუსესა შაბათსა]. სხუანი გალობანი ლაზარესნი. ჴმაჲ დ.* [უგალობდითსა]

ძლ. არარაჲ არს სახედ

89

სიტყუაჲ წინაჲსწარ მცნობელი
5 ეტყოდა მოწაფეთა:
„მეგობარმან ჩემმან დღეს
დაიძინა.-- ლაზარე
და მე განვაღუძო იგი".

კუალად ჰრქუა განცხადებულად
10 უფალმან მოწაფეთა:
„მოგუალეთ და წარვიდეთ
ბეთანიად, რამეთუ
მოკუდა მეგობარი ჩემი".

წყალობაჲ და სიყუარული
15 სასწაულთამოქმედი,
ყოვლისა შემძლებელი,
ღმერთი სრული და კაცი
დღეს აღადგინებს ლაზარეს.

აწ მივიწინეთ ჩუენცა დღეს
20 გონებით ბეთანიად
და ღირსებით ვიხილოთ
სასწაული უფლისაჲ —
აღდგინებაჲ ლაზარესი.

ღმრთ. უზეშთაეს დი

25 მოიხილესა

ძლ. ისმენდინ ქუეყანაჲ სიტ

აუწყა უფალმან
იერიქოს მოწაფეთა თჳსთა
გარდაცვალებაჲ იგი ლაზარესი
30 და ეტყოდა მათ, ვითარმედ: „მიხარის თქუენთჳს,
აწ იხილოთ სასწაული ძისა კაცისაგან,
რაჲთა დაემტკიცნეთ
სიყუარულსა ჩემსა,
რომელმან შეგიყუარენ თქუენ".

35 მოვიდა საფლავად
რეცა რისხვით თაესა შორის თჳსსა,

* მითითება ე-ნაზე — „ბ" A-ში მიწერილია კიდეზე კანონის დასაწყისის გასწორებამინაჩხერ კანონი მოსდევს ამავე დღისათვის განკუთვნილ ანდრია კრიტელის კანონს. მინაჩხის კანონს მოსდევს ამავე დღისათვის განკუთვნილი 2 კანონი, რომელთაგან უკანასკნელი ეკუთვნის ოთხნე ღამასკელს.

რამეთუ ჰრისხვიდა იგი სიკუდილსა
და ბრძანა აღებად ლოდი საფლავისაგან
და წყალობით განიცადნა ჯორცნი ლაზარესნი
180v |და სცრემლოოდა მათ,
5 რამეთუ სწყალობდა
ხრწნილებასა კაცობრივსა.

ესმა რაჲ ლაზარეს
ჴმაჲ დამბადებელისა თჳსისაჲ,
მეყსეულად განჰკრთა, ვითარცა ძილისაგან
10 და მსწრაფლ აღემართა ფერჴთა თჳსთა ზედა,
შეხუეული სახუეულითა და შეკრ[ული] მჩურითა,
მაშინ ზარი განჰქდა
ყოველსა მას ერსა
და ადიდებდეს ქრისტესა

15 ღმრთ. საღმრთოსა ვე

განძლიერდასა

ძლ. არაჲ სიბრძნითა, არცა

მოკუდა ლაზარე,
რომელი-იგი უყუარდა იესუს,
20 არამედ მაცხოვარმან
კუალად – მოაქცია სული მისი
და განაღჳძა იგი, ვითარცა მძინარე.

გარე-მომადგეს
სალმობანი იგი სიკუდილისანი
25 და ჯოჯოხეთისა ჭირთა
მპოვეს მე, ამისთჳსცა გიკმობ შენ,
ყოველთა მჴსნელო, მეწიენ წყალობაჲ შენი!

აჩუენნა მჴსნელმან
ორნი ბუნებანი ლაზარეს ზედა,
30 კაცებით ცრემლოოდა,
ხოლო ღმრთეებით აღადგინებდა
ჴელმწიფებით ოთხისა დღისა უსულოსა.

ღმრთ. უსძლოო სძა

უფალო მესმასა

35 ძლ. მოსდრიკენ

ტიროდა მართა წინაშე უფლისა
და გოდებით იტყოდა:
„უფალო, უკუეთუმცა აქა ყოფილ იყავ,

არაჲმცა მომკუდარ იყო
ძმაჲ იგი ჩემი — მეგობარი შენი“.

წყალობით ეტყოდა უფალი მართას:
„უკუეთუ გრწმენეს ჩემი,
5 მეყსეულად იხილო დიდებაჲ ღმრთისაჲ,
რამეთუ აღვადგინო
ლაზარე — ძმაჲ შენი, მეგობარი ჩემი.

რამეთუ მე ვარ ნათელი სოფლისაჲ,
მე ვარ აღდგომაჲ მკუდართაჲ
10 და რომელსა ჰრწმენეს ჩემდა მომართ,
მო-ღა-თუ-კუდეს ყორციოთა,
ვაცხოვნო სულითა უკუნისამდე“.

ღმრთ. ცანი და ქუეყანა

ღამითგანსა

15 ძლ. უღმრთოთა

ერი იგი, რომელი
დღეს მოსრულ იყო ზრუნვად,
ესრეთ იტყოდეს, ვითარმედ:
„რომელმან აღუხილნა თუალნი შობითგან ბრმასა,
20 ვითარმცა არაჲ ეძლო
აწცა ჩუენებაჲ სასწაულისაჲ?!“

მი-რაჲ-ვიდა საფლავად
ქრისტე, მეუფე ჩუენი,
ილოცა, ვითარცა კაცმან:
25 „მამაო, რომელი მარადის ისმენ ჩემსა,
აჩუენე ერსა ამას
სასწაული და ნიში ჩემ მიერ!“

რომელი შეიწირავ
ლოცვასა ყოველთასა,
30 ლოცვაჲ შემწედ არაჲ გიკმდა,
გარნა კაცებაჲცა იგი თანამოდგამ ჰყავ
სულითურთ გონიერით
და ორ კერძოვე აჩუენებდ ნიშთ.

ღმრთ. ჰურიათა კრე

35 ღალატუამსა

ძლ. შთავარდი მე

ბუნებით თანამდებმან სიკუდილმან
წარიტაცა ლაზარე
და მწყემსმან კეთილმან — ქრისტემან ღმერთმან

დაჰყარა მას,
ვითარცა კრავი მჭეცსა
და იკსნა შუვათაგან მისთა.

რამეთუ მოვალს ჟამი და აწვე არს,
5 ოდეს მკუდართა ისმინენ
სიტყუანი ღმრთისანი, ვითარ წერილ არს,
აჰა ესმა
უსულოსა ლაზარეს
ჴმაჲ უფლისაჲ და აღდგა მკუდრეთით.

10 სულოოდეს ჯორცნი ლაზარესნი,
რამეთუ ოთხ დღე აქუნდა,
ვინაჲთგან დაფლულ იყო იგი საფლავსა,
ხოლო კუალად
შეასურნელნა იგი
15 ღმრთეებისა ბრწყინვალებამან.

ღმრთ. იქმნა საშოჲ

კურთხეულარსა

ძლ. ბაბილოვნს სამთ

რაჟამს იხილა ერმან ლაზარე მკუდრეთით აღდგომილი,
20 ადიდებდეს ქრისტესა
და მადლობით უღაღადებდეს:
„კურთხეულ ხარ...

ვითარცა ხუროთმოძღუარმან ყოვლისა შემძლებელმან
ღმრთეებისა ძალითა
25 ტაძარი იგი დაცემული
და დარღუეული —
ჯორცთა ლაზარესთაჲ
კუალად აღაშენა.

მომკუდრისა ლაზარესნი საუკუნოდ დაკშულნი
30 თუალნი დაბნელებულნი
კუალად განუნათლნა ქრისტემან,
რომელი მწარედ
ჰელთ ეგდო წყუდიადსა
ჯოჯოხეთისასა.

35 ღმრთ. ღმრთისმშობ

აკურთხევდითსა

ძლ. მჭსნელო

აღივსნეს შურითა
ბოროტნი იგი

დრკუნი ჰურიანი,
დაბნელებულნი
181r |და შეითქუნეს ურთიერთარს,
რაჲთა მოკლან სასწაულთამოქმედი,
5 აღმადგინებელი ლაზარესი.

ეჰა უშჯულოთა
უგუნურებაჲ,
რამეთუ ანტაკრად
წინა-აღუდგეს
10 მარადის სულსა წმიდასა
და შეუდგეს ეშმაკისა ნებასა,
რომელმან განაშორნა ღმრთისაგან.

უმზირდეს ლაზარეს
ფარისეველნი
15 და განიზრახვიდეს
მოკლვასა მისსა,
რაჲთა არაჲ ქადაგებდეს
ქრისტეს ღმრთეებასა და დიდებასა,
რამეთუ ერჩდა ყოველი ერი.

20 ღმრთ. მორწმუნეთა ერი

ადიდებდითსა

ძლ. უწინარეს შობი

სამწყსოთა მოღუაწემან მწყემსმან კეთილმან
წყალობით მოიძია
25 თჳსი ცხოვარი და გამოუღო
ბნელსა სიკუდილსა ნათელმან სულთა ჩუენთამან.

საკჳრველთმოქმედო ქრისტე, ღმერთო ჩუენო,
ვიხილეთ ძალი შენი
და გულისკმა-ვყავთ ღმრთეებაჲ შენი
30 და გადიდებთ შენ მარადის უკუნისამდე.

მომიკსენენ, უფალო, ლაზარეს თანა,
რომელთა წადიერად
მოვისწრაფეთ კსენებასა მისსა
და გჳკსნენ მის მიერ ბოროტთა განსაცდელთაგან.

35 ღმრთ. დამტევნელ

183r [მეეჭუსესა] შაბათსა. მწუხრი. დასდებელნი გზოგბისანი. ჰმაჲ ა*

ძლ. ზეცისა განწე

ასულო სიონისაო, 90
5 ქრისტე მოვალს შენდა,
შემოსილი ძალითა
მამისაჲთა დიდებით,
გიხაროდენ ფრიად,
სასძლოჲ შენი
10 შეამკვე და განსცხრებოდე
და დაიდგ გჳრგჳნი სიკეთისაჲ თავსა
შენსა და მიეგებვოდე მას.

ერმან მან ებრაელთამან,
ცოფმან გონებითა,
15 არაჲ გიცნეს შენ, მჯსნელი
მათი მონებისაგან
მწარისა ეგჳპტით,
ხოლო ყრმათა
ჩჩჳლთა გიცნეს და გადიდეს
20 და ესრეთ ღაღადებდეს: „კურთხეულ არს,
ოსანა, ძე ღმრთისა მაღლისაჲ!“.

ზეცისა ძალნი შეძრწუნდეს,
რაჟამს გიხილეს შენ,
დამბადებელი, ნეფსით
25 კიცუსა ზედა მჯდომარე
და განკჳრვებულნი
ადიდებდეს
ნეფსით სიმდაბლესა შენსა,
ხოლო ებრაელთა ყრმანი განბრძნობილნი
30 რტოებითა მიგეგებვოდეს.

183r სხუანი. [ჰმაჲ ა]**

ძლ. ქრისტე, კაცთმოყუარე

წინაჲწარმეტყუელთა პირველვე 91
ქადაგეს მოსლვაჲ მჯსნელისაჲ ქუეყანად
სიმრავლითა მით მოწყალებისაჲთა
35 და აჰა ესერა

* სტიქარონის დასაწყისი 3 ტროპარი, როგორც ჩანს, ეკუთვნის სხვა აეტორს. მითითება მინჩხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე IV ტროპარის დასაწყისის გასწვრივ. მოგვაქვს მინჩხის (IV—VI) ტროპარები.

** მითითება მინჩხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე სტიქარონის დასაწყისის გასწვრივ. მინჩხის „სხუანი“ მოსდევს მის წინა სტიქარონს.

ზე ზის იგი კარაულსა ზედა ახალსა,
რომელსა ყრმანი
ებრაელნი უღაღადებდეს: „გუაცხოვნენ ჩუენ,
რომელნი შენ
5 გალობასა შეგასხამთ!“.

რომელსა უპყრიან ცანი
და ქუეყანაჲ წამისყოფითა საღმრთოჲთა,
მსგავს ჩუენდა იქმნა ქუეყანასა ზედა
და ვითარცა კაცმან,
10 ჯერ-იჩინა დაჯდომაჲ კიცუსა ახალსა,
რომელსა ყრმანი
ღმრთივ ბრწყინვალედ უღაღადებდეს: „გუაცხოვნენ ჩუენ,
რომელნი შენ
გალობასა შეგასხამთ!“.

15 რომელსა ურიცხუნი კრებულნი
მთავარანგელოზთანი ჰმსახურებენ,
ესე ჯორცითა სიმდაბლით იხილეა
ქუეყანასა ზედა
და ყრმათა უმანკოთაგან ქებაჲ შეიწირა,
20 რომელთა თანა
ჩუენ მორწმუნენი უღაღადებთ და ვიტყჳთ:
„გუაცხოვნენ ჩუენ,
ქრისტე, ძეო ღმრთისაო!“.

185v [ბზობისა კჳრიაკესა]* უგალობდითსა ჰმაჲ ა

25 ძლ. ბუნებაჲ იგი მდინ

ღირს მყავ, უფალო, 92
და მომეც სიტყუაჲ
აღებასა პირისასა
და აღმავსე მადლითა
30 სულისა წმიდისაჲთა
ქებად შენდა, შემოქმედო
ყოველთა ბუნებათაო,
მხოლოდ სიბრძნეო და სიტყუაო
და ძალო მამისაო,
35 რომელი მოხუედ მკსნელად სოფლისა.

აღიძრვიან დღეს
ჴმანი მგალობელად

29 და—BC. 33~სიტყუაო და (და—C.) სიბრძნეო BC. 37 ჴმანი მგალობელად] სარწმუნოებით BC.

* მითითება მინჩხზე — „ბ“ A-ში მიწერილია კიდეზე კანონის დასაწყისის გასწვრივ. მინჩხის კანონი ბზობის კვირიაკის ცისკრის განგების პირველივე კანონია. მას მოსდევს ამავე დღისათვის განკუთვნილი 3 კანონი, რომელთაგან პირველი 2 ეკუთენის კოზმასა და ქრისტეფორეს, III კი სახელწოდებულია.

და მეფენი მთავართა თანა
და მიეგებვიან
მთავარსა მას ყოვლისა
უმთავრესსა სიონისა,
5 სიძესა და მეუფესა,
სიტყუასა უკორცოთა მფლობელსა,
ჯორცითა მომავალსა,
წყალობით მჯნელსა სულთა ჩუენთასა.

იხილეთ, ერნო
10 მორწმუნეთანო,
და გულისკმა-ყავთ სიმდაბლე
ღმრთისა მეუფისაჲ,
რომელი მჯდომარე არს
მარჯუენით ღმრთისა მამისა
15 საყდართა დიდებისათა,
დღეს კიცუსა პირუტყუთა ნაშობსა
დაჯდა, ვითარცა კაცი
და მჯნელად მოვალს სულთა ჩუენთათუს.

შეითქუნეს შენთუს
20 ჩჩჯლნი იგი ყრმანი,
უსწაველელნი, უმეცარნი,
სულითა განბრძნობილნი,
შვილნი ებრაელთანი
და ებნითა ენისაჲთა
25 გაქებდეს: „ოსანა, რომელი
მაღალთა შინა მყოფ ხარ,
კურთხეულ არს მოსლვაჲ შენი ქუეყანად!“.

ღმრთ. დაბადებულთა ცხ

მოიხილესა

30 ძლ. ზეშთა ბუნებისა ხი

ყრმათა ებრაელთა,
რაჟამს იხილეს დამბადებელი
სიმდაბლით მჯდომარე
კიცუსა ზედა, რომელსა ცანი ვერ იტევენ,
35 განვიდეს მიგებებად
ბაჲაჲსა რტოჲთა და უღაღადებდეს:

---

1 და—BC. 3 მას—B, ყოვლისა] ყოველთასა B, ყოველთა C. 5 სიძესა] ძეთასა BC. 8 და წყალობით BC. 11 სიმდაბლ B. 12 ღმრთისა] ცათა BC. 18 ~ მოვალს მჯნელად BC. ჩუენთათუს] ჩუენთა B. 20—21 ~ უსწაველნი ყრმანი B. 24 ენისაჲთა+რტოჲთა ბაჲაჲსათა B] ენისაჲთა+ქნარითა ბაჲაჲსაჲთა C. 25 მსანა B. 32 იხილეს] გიხილეს B. 33 მჯდომარეს C. 35 და განვიდეს BC. მიგებებად] შემთხუეად BC. 36 ბაიაჲსა B. რტოჲთა] რტოჲითა BC. და—C.

„წმიდა არს და მართალ სახელი შენი
უფალო, სასწაულთამოქმედო!“

მკსნელი ჩუენი ქრისტე,
რომელი მჯდომარე არს საყდართა
5 მარჯუენით მამისა,
კიცუსა ზედა სიმდაბლით დაჯდომაჲ ინება
და ყრმანი ებრაელნი
ებნითა სულიერითა უღაღადებდეს:
„წმიდა არს და [მართალ სახელი შენი,
10 უფალო, სასწაულთამოქმედო!]*

განიღუძე სიონ,
და იხილე შენ დიდებაჲ ღმრთისაჲ
და მიეგებვოდე
ყრმათა თანა ებრაელთა, რომელნი მოგცნა
15 და აღიხილენ თუალნი
და განიცადე სიძე შენი, რომელი მოვალს
მჯდომარე კიცუსა კარაულისასა,
რომელი ზის მარჯუენით მამისა.

სასოსა და მკსნელსა,
20 ერნო, ნათლითა განბრწყინვებულნო,
მივეგებვოდით ჩუენ
მკურვალედ გონებისა ებნითა მეტყუელითა,
ხოლო სამოსელთა წილ
წევწიროთ ქებაჲ და ესრეთ ვღაღადებდეთ:
25 „წმიდა არს და მა[რთალ სახელი შენი,
უფალო, სასწაულთამოქმედო!]*

ღმრთ. დიდებულ იქმ

განძლიერდასა

ძლ. ბზისა მპყრობელი და

30 დაამტკიცენ, ქრისტე,
წინაჲწარმეტყუელთა სიტყუანი
პირითა ყრმათა უმეცართაჲთა,
რაჟამს მოხუედ ქუეყანად

6~დაჯდომაჲ სიმდაბლით ინება C. 8 სულიერითა] სულისაჲთა BC. 12 შენ—BC. ღმრთისაჲ] უფლისაჲ BC. 13 და—C. მიეგებოდე+დღეს C. 16 და განიცადე სიძე შენი] ჯმასა მას სიძესსა BC. 17 მჯდომარეᲂ C. 21 მივეგებოდით C. ჩუენ] დღეს C. 22 მკურვალედ—BC. ებნითა] ბობღნითა BC. მეტყუელითა—BC. 23 ხოლო—BC. 24 შევწიროთ+მისსა B, მისა C ესრეთ+სიხარულით BC. ეღაღადებდეთ] უღაღადებდეთ BC. 29 ძლ. ბზისა მპყრობელი და] ბოვლისა მპყ BC. 30 დაამტკიცენ] განამტკიცენ BC. 31 სიტყოანი] ქებანი BC. 32 უმეცართაჲთა] მწუალართაჲთა BC.

* აღდგენილია B-ს მიხედვით.

სიტყუაჲ ცათა დაუტევნელი
და გიცნა ერმან წარმართთამან
ღმერთი ყოველთაჲ, რომელი წმიდა ხარ.

ვინ არიან ესე,
5 რომელნი ფრინვენ ორბთა სახედ
დასეულად, ვითარცა ტრედნი
განმხიარულებულნი,
კრებულნი ერთა მორწმუნეთანი,
აღძრულნი მიგებებად
10 მომავალსა, ნეფსით ვნებად ჯორცითა.

ვინ იხილა ღმერთი,
ანუ ვინ თანა-მზრახვალ ეყო?
ვინ განზომნა ცანი მტკავლითა
და ქუეყანაჲ ბრჭალითა?
15 არამედ რომელი გამოვიდა
წიაღთაგან საღმრთოთა
და მან გამოთქუა მამაჲ დაუსაბამოჲ.

კურთხეულ არს ძელი,
რომლისაგან იქმნა სიმართლე
20 და კურთხეულ არს მომავალი
ვნებად ძელსა მას ზედა,
რომელმან პირველისა ძელისა
186r საცთური განა|ქარვა
და მისგან დაცემული აღადგინა.

25 ღმრთ. ცათა უვრცელესად

მესმასა

ძლ. იგავმან წინაჲწარმეტყუელთ

წინაჲსწარვე ხედვიდა სულითა
ამბაკუმ განათლებული
30 სამხრით მოსლვასა ქრისტესსა
მთით ჩრდილოჲთ მაღნართაჲთ
დედისაგან ყოლად წმიდისა,
ესე აწ ვიხილეთ ჩუენ
კიცუსა ზედა მჯდომარე
35 და ვადიდებთ ძალსა მისსა მარადის.

რომელმან დასხნა საზღვარნი შენნი
მშჯდობით, იერუსალემ,

---

2 და—BC. 5 ორბთა] ღრუბელთა BC. 12 თანა-მ[ზ]რახვალ C. [13 მტკავლ[ითა] მკლავ[ითა C. 19 სიმართლ[ე] BC. 28 ჰხედვ[ი]და C. 29 ამბაკუმ] ამბაკომ B, ანბაკომ C. განათლებულ[ი] წინაჲწარმეტყუ[ელი BC. 32 დედისაგან ყოლად წმიდისა] საშო[ჲ]საგან სიჩრდოებისა BC. 34 მ[ჯდ]ომარ[ე] BC.

და აკურთხნა შვილნი შენნი,
აჰა ესერა მოვალს
ღმერთი ძლიერი და კელმწიფე,
მთავარი მშჯდობისაჲ,
5 შეამკვე სასძლოჲ შენი
და ადიდებდი ძალსა მისსა მარადის.

მოვიდა მოლოდებაჲ წარმართთაჲ
და ძალითა ძლიერითა.
სძლო ძალსა ბელიარისსა
10 და დასცა ღონე მისი
და შეაჩუენა ძალი მისი,
ესე არს ღმერთი ჩუენი,
ჩუენ — ერი სამწყსოჲ მისი
და ვადიდებთ ძალსა მისსა მარადის.

15 შეშურდა შურითა ბოროტითა
ნათესავსა მოშურნესა
ძიებად გარდამოსრული
წარწყმედულთა ცხოვართა
სახლისა ისრაელისათა
20 და შეითქუნეს მის ზედა,
რაჲთა ზაკუვით შეიპყრან
და მიაგონ კეთილთა წილ ბოროტი.

ღმრთ. ძუელი შჯული

ღამითგანსა

25 ძლ. ბრწყინვალედ შუე

მნათობთა განმანათლებელი
ნათელი, არსება დაუბადებელი,
ხატი და ძლიერებაჲ
ღმრთისა მამისაჲ
30 სულით წმიდითურთ,
ბუნებაჲ უვნებელი
სიგლახაკისა ხილვითა
მოვიდა ჯსნად გლახაკთა,
მსხდომარეთა მათ ბნელსა და აჩრდილთა.

35 რომელსა საყდრად ჰქონან ცანი
და ქუეყანაჲ კუარცხბეკ არს ფერჯთა მისთაჲ,

---

3 და—B. ჯელმწიფე C. 6 მარადის—B. 8 და—BC. ძალითა +მით C. 10 და—C. 13 და ჩუენ BC. 14 მარადის—B. 15 შეჰშურდა B. 20 მის] მას B. 21 ზაკვით C. 22 კეთილთა] კეთილსა BC. 27 არსებაჲ B. დაუბადებელი] დამბადებელი B. 29 ღმრთისა—BC. 30 სულით+ყოველად BC. 31 ბუნება C. 32 ხილვითა] ხატითა BC. 33 ჯსნად გლახაკთა] გლახაკთათჳს BC. 34 მსხდომარეთათჳს BC. მათ—BC. 35 ~ცანი საყდრად ჰქონან BC. 36 და—B. ქუეყანაჲ—C. ~კუარცხლბეკ არს ქუეყანაჲ B.

მისგან ძრწიან ყოველნი
დაბადებულნი,
განკჳრვებულნი
და ჰხედვენ ზარგანკდილნი
5 კიცუსა ზედა მჯდომარესა
და ვნებად მომავალსა
მსხდომარეთათჳს ბნელსა და აჩრდილთა.

იხარებდით მთანი მაღალნი
და განმხიარულდით ცანი და ქუეყანაჲ,
10 და ჴმა-სცემდით მაღნარნი
ჴმათა საღმრთოთა,
ქებით შემასხმელთა,
რომელნი ესრეთ ჴმობენ:
„ჳურთხეულ არს მომავალი
15 მზე იგი სიმართლისაჲ
მსხდომ[არეთათჳს ბნელსა და აჩრდილთა]“.

ამაღლდი, მსაჯულო მართალო,
და მიაგე მისაგებელი სამართალი,
რომელნი განიზრახვენ
20 უკეთურებით
შენსა ჯუარცუმასა,
დასცენ და განაბნიენ,
რამეთუ არაჲ გიცნეს შენ,
ღმერთი მჴსნელად მოსრული
25 მსხდომარ[ეთათჳს ბნელსა და აჩრდილთა]*

ღმრთ. სიქადულო მორწ

ღალატყავსა

ძლ. ცუდ იქმნა სიმჴ

გზაჲ იგი ჳეშმარიტი
30 დადვეს საცთურად უღმრთოთა
და შეურაცხ-ყვეს ლოდი იგი საკიდური—ქრისტე,
რომელი იქმნა თავ კიდეთა,
ჩუენ თანა ღმერთი!
იძლიენით წარმართნი და გულისჴმა-ყავთ
35 ესე უშჯულოთა

---

1 ყოველნივე C. 11 ჴმათა საღმრთოჲთა B. 15 მზჱ B. ივი—B. 17 აჰმაღლდი C. მართალო] სიმართლესაო BC. 18 სამართალი] სიმართლით BC. 19 განიძრახვენ C. 20 უკეთურებით] უგუნურებით BC. 23 რამეთუ] და C. 29—30~დადვეს საცთურად გზაჲ იგი ჳეშმარიტი BC. 31 ქრისტე—BC. 35 ესე—BC. უშჯულოთა] ურწმუნოთა BC.

* აღდგენილია წინა ტროპარების რეფრენის მიხედვით.

ერმან, დიდებაჲ ღმრთისაჲ
ჩუენ ზედა გამობრწყინდა.

ვითარცა მიეახლნეს
ბეთანიად ბეთბაგედ,
5 წარავლინნა ქრისტემან ორნი მოწაფეთაგანნი
და ჰრქუა მათ: „შე-რაჲ ხჳდეთ
დაბასა, ჰპოოთ
დაბმული კარაული, მოიყვანეთ ჩემდა“,
ესე სახე იყო
10 მოქცევისათჳს პირუტყუთ —
სახეთა მათ წარმართთა.

„სული, რომელ წარვიდის
ჴორცთაგან, არაჲ მოიქცის“ —
თქუა ოდესმე გალობით დავით მამათმთავარმან,
15 ხოლო ძედ მისდა წოდებულმან
ღმრთისა სიტყუამან
ჴელმწიფებით აღადგინა ლაზარე,
რამეთუ მოაქცია
სული მისი მისდავე
20 და შემუსრა სიკუდილი.

ჴმობდეს საღმრთოჲთა ჴმითა
დღეს შვილნი სიონისანი,
ვითარცა ჰასაკითა სრულნი — ჩჩჳლნი უსრულნი
ქრისტესა, ძესა ღმრთისასა,
25 მიეგებვოდეს
სასოსა და მჴსნელსა ჭირვეულთასა,
186v |გალობით აქებდეს
და ტკბილად აკურთხევდეს
მჴსნელსა სულთა ჩუენთასა.

30 ღმრთ. ცეცხლმან ღმრთეები

კურთხეულარსა

ძლ. გულისწყრომასა მძლა

ვითარცა მზესა ბრწყინვალესა,
სიონისა განმანათლებელსა,

---

2 გამობრწყინდა] გამობრწყინვებული BC. 4 ბეთანიად+და C.~ბეთბაგედ და ბეთანიად B. 5 ქრისტემან—BC. 6 შე-რა-ხუიდეთ C. 7 დაბასა] დაბად BC. დაბად+და BC. ჰპოოთ BC. 8 დაბმული—C. 9 სახჱ B. 10 პირუტყუთ] პირუტყთ B, პირუტყუ C. 13 ჴორცთაგან—BC. არაჲ] არცა B, და არღარა C. 14 დავით—BC. მამადმთავარმან BC. 15 მისდა] მისსა B, მისი C. 17 ლაზარჱ B. 18 რამეთუ] რაჟამს BC. 19 მისი—BC. 20 და შემუსრა სიკუდილი] ამისთჳს ერნი მიეგებვოდეს BC. 21 ჴმითა] ჴებითა B. 23 ჩჩჳლნი უსრულნი] ნინეველნი ყრმანი BC. 28 ტკბილად—BC. 29 მჴსნელსა სულთა ჩუენთასა] ღმერთსა B, ღმერთსა მაცხოვარსა სულთასა C. 33 ბრწყინვალესა+დღეს BC.

სიმდაბლით მომავალსა
რტოჲთა ბაჲაჲსაჲთა,
ერნო, მიეგებვოდით,
სულიერითა
5 გონებისა ბობღნითა მეტყუელითა
დაუდუმებელად
უღაღადებდეთ:
„ყოლად დიდებულო
მამათა ჩუენ[თა ღმერთო,
10 მარადის კურთხეულ ხარ]*.

აწ აღიხილენ თუალნი შენნი,
სიონ, და განათლდი, იერუსალემ,
ჯმასა მას სიძისასა,
რომელი მოვალს შენდა
15 მაღალი და ძლიერი,
მდაბალი და მშჯდი,
მჯდომარე კიცუსა კარაულისასა.
და მიეგებვოდე
ყრმათა თანა დღეს,
20 რომელნი მოგცნა შენ
და საღმრთოჲთა ძნობითა
განსცხრებოდე მათ თანა.

წინაჲთვე აუწყა უფალმან
ვნებაჲ თჳსი მოწაფეთა და ჰრქუა:
25 „აწ ესერა თქუენ თანა
აღვალ იერუსალემად
და მოიწიოს ჟამი,
ოდეს მივეცე
მოძღუარი თქუენი ჰურიათა ჯელსა,
30 რომელთა დამსაჯონ
და სიკუდიდ მიმცენ,
ხოლო აღვდგე მკუდრეთით,
იგინი განვაბნინე
და წარმართნი შეეკრიბნე“.

35 ზეცისათა მიმსგავსებულნო
ერნო, ნათლითა განბრწყინვებულნო,
რომელთა ჟამნი ესე
დღეთა ორმეოცთანი
სიწმიდით და სიმართლით

---

1 და სიმდაბლით C. 2 ბაიაჲსაჲთა C. 3 ერნო] ერნი BC. მიეგებოდით C. 5 გონებისა] ბუნებისა B, გონებასა—C. 11 აწ—BC. 12 სიონო C. განათლდი] განიღჯე B, განეღუიძე C. 17 მჯდომარე C. 18 და—B. 21 და—B. 27 მოვიწიოს C. 30 დამშაჯონ C. 31 სიკუდიდ] სიკუდილად B. 32 ავდგე C. 33 განვაბნიენ C. 38 დღეთა+ამათ B, დღეთა+მათ C. 39 სიმართლით] სიმჯნით BC.

* აღდგენილია B-ს მიხედვით.

მოიღუაწენით,
აწ განწმედილნი სულითა და კორცითა
კორცშესხმულსა ღმერთსა
მიეგებვოდით
5 და სამოსელთა წილ
შეეწიროთ უქცეველი
წმიდაჲ სარწმუნოებაჲ.

შურმან შეიპყრნა ჰურიანი
უგულისკმონი, საწყალობელნი
10 და ეტყოდეს იესუს:
„ნუ ისმენ უმეცართა
ამათ ყრმათა ქებასა,
რამეთუ კაცი ხარ,
ხოლო ესენი ღმრთად ‘ბზადიან შენ“
15 და ჰრქუა მათ უფალმან:
„დაღაცათუ თქუენ
ეგენი დააღუმნეთ,
არამედ დიდებასა
ჩემსა ქვანიცა კმობდენ“.

20 სამებასა ერთ

აკურთხევდითსა

ძლ. სიბრძნით სიმ

საღმრთოჲსა მზისა მოფენასა
და ნაყოფთა აღორძინებასა
25 ნაყოფნი იგი პირმეტყუელნი სახედ ყუავილთა
აღმოსცენდეს, ყრმანი სიონისანი,
სულისაგან წმიდისა განათლდეს
და საღმრთოჲთა მით მადლითა აღივსნეს
და სიბრძნით წინაჲწარმეტყუელებდეს
30 მოსლვასა უფლისასა
და მიეგებვოდეს მკსნელსა
მას სულთა ჩუენთასა.

დაიდგა დღეს სიონმან ხჳრი
იგი დიდებისაჲ აწ თავსა,
35 დღესასწაულობენ მთავარნი შარავანდედნი,
განბრძნობილნი საღმრთოჲთა მით სიბრძნითა

---

1 მოვიღუაწენით B, მოიღუაწენით C. 2 სულით და კორცით BC. 8 კორცთშესხმულსა C. 7 წმიდაჲ] მისსა B, მისა C. 13 რამეთუ+შენ BC. 16 თქუენ—B. 18 თქუენ არამედ B. დიდებასა—BC. 19 ჩემსა—BC. კმობდენ] ღაღადებდენ+ჩემდა მომართ BC. 24 და—BC. 25~ ყუავილთა სახედ BC. 26 ყრმანი] შვილნი BC. 28 მით—C. 31 მიეგებოდეს C. 32 მას—BC. 33 დაიდგა—BC. დღეს+აღივსო BC. სიონმან] სიონი BC. ხჳრი—BC. 34 იგი—BC. აწ თავსა—BC. დიდებისაჲ] დიდებითა+და უფროჲსად C,~და უფროჲსად დიდებითა B. 36 მით—BC. სიბრძნითა] მადლითა BC.

და სიხარულით მიეგებვიან
მღდელთა თანა და ერთა მორწმუნეთა
მადიდებელსა სიონისა,
შესწირვენ უსისხლოსა
5 და მსხუერპლსა მას უბიწოსა —
სამებისა ქებასა.

ტკბილმან და მოწყალემან უფალმან,
მჯნელმან და მაცხოვარმან ჩუენმან
ინება მოძიებაჲ ჩუენი, რომელნი პირველ
10 ცთუნებით წარვეწყმიდენით მტერსა,
აჰა მოვიდა მწყემსი კეთილი,
რომელმან დადვა სული თჳსი ცხოვართათჳს
და ნეფსით სიკუდილითა თჳსითა
მოკლა მტერი, მკლველი ჩუენი,
15 ხოლო ჩუენ, მომწყდარნი ესე,
კუალად განმაცხოველნა.

ადამ დასცა მტერმან მაცთურმან
ცნობადისა ხისა ჭამითა
და შეაცთუნა იგი, რამეთუ არწმუნა მას
20 ყოვლითავე მსგავსებაჲ ღმრთეებისაჲ
და აწ კუალად აცთუენებს იუდას
და მოჰკლავს უწყალოდ უკუნისამდე,
არამედ ჯუარი აღემართების
ადამ მეორისათჳს
25 და იგი მას ზედა ვნებითა
აცხოვნებს სოფელსა.

რამეთუ არა იყო ჟამი
ვნებისა შენისაჲ, მაცხოვარ,
ოდეს მოკლვათ გეძიებდა შენ უღმრთოჲ ჰეროდე

30 და ეგრეთვე მრავალგზის ჰურიათა
ჯელ-ყვეს უღმრთოებით მოკლვაჲ
შენი,
არამედ ცუდ იქმნა სიცბილი მათი
და აწ რაჲ ნეფსით მოხუედ ვნებად,
თავს-იდევ ჯუარცუმაჲ ბილწთა
35 მათგან, მჯნელო, ხოლო ჩუენ
ვცხოვნდით
ვნებითა მით შენითა.
ღმრთ. ცხორებისა სასოდ

BC

განრისხებულმან დასხნა ათასნი
მარცხენით შენსა და ბევრნი მარჯუენით
და შენ ვერაჲ მოგეახლნეს ვნებად,
რამეთუ იგივე ღმერთი აწ მოხუედ
ნებსით ვნებად მოწყალე
და მიეგებვიან ერნი სარწმუნოებით.

---

2 მღდელთა] მათ BC. და—B. ერთა მორწმუნეთა+ჯალობად C] ერსა მორწმუნესა ჯალობად B. 3 სიონისასა BC. 5 და—BC. მას—B. 10 ცთუნებითა C. 13 და—B. ნებსით BC. 14 მკლველი ჩუენ] მომსრეველი BC. 15 ესე—BC. 16 კუალად] წყალობით BC. განმაცხოველნა B. 18 ცნობადისა +მის BC. ხისა—C. ჭამითა] ჭამადითა C. 19 და რამეთუ BC. რამეთუ] და BC. 21 და—BC. აცთუენებს BC. 22 უწყალოდ] საუკუნოდ BC. 25 ვნებითა—BC. 26 სოფელსა] დაცემულსა BC. 32 ეერაჲ] ვერ C. 33 რამეთუ—C.

ძლ. ძლეულ იქმნეს ბუ

ვინ არს ესე,
რომელი სახითა გლახაკ
5 და ხილვითა შეურაცხ არს?
რამეთუ მჯდომარე არს,
ვითარცა კაცი კარაულსა ზედა
და ერნი დაუფენენ
სამოსელსა მათსა ძრწოლით გზასა ზედა
10 და სიმრთოჲთა გალობითა აქებენ.

ამხილა დღეს
მჭსნელმან სიონისამან
კრებულსა ჰურიათასა
შეურაცხებაჲ იგი
15 ტაძრისა მის სალოცველისაჲ და ჰრქუა:
„რაჲსათჳს ჰყავთ ესე ქუაბ
ავაზაკთა, აწ მივსცე იგი წარმართთა
და მას შინა მადიდებდენ მარადის“.

უკ-მოიქცა
20 დილაჲთ ქალაქისაგან
და მივიდა ლეღჳსა მის
და არაჲ პოვა მის თანა
ნაყოფი ხეთაებრ ნაყოფიერთა
და ესე სახე ექმნა
25 მიმცემელსა უნაყოფოსა იუდას,
ამისთჳს წყევით განაჯმო უფალმან.

გიხაროდენ,
ღმრთისა სამკჳდრებელო
სიონ, საყდარო ქრისტესო,
30 სუეტო და სიმტკიცეო
და შესაგედრებელო ყოველთაო,
რამეთუ მოვიდა დღეს
მაცხოვარი შენი, მჭსნელი სულთა ჩუენთაჲ
და წმიდა გყო კორცითა და სისხლითა.

35 შეიწირე
უმეცრებით გალობაჲ

---

5 ხილვითა] ხილეაჲ + მისი მდაბალ BC. შეურაკს არს—BC. 8 და] არამედ BC. ერნი] ერი+ესე BC. დაუფენენ—BC. 9 მათსა—BC. ძრწოლათ—BC. გზასა ზედ] გზათა მისთა BC.~ გზათა მისთა მოუფენენ სამოსელსა BC. 15 მის—B. ჰრქუ+ჰით BC. 16 რაჲსათჳს] რაჲსა BC. 17 ავაზაკთა+და BC. 19 უკუ-მოიქცა BC, მოჲქცა C. 22 არა B. 24 სახჱ B. 25 მიმცემელსა+ მას BC. 26 ამისთჳსცა C. განაჯმო+იგი C. 30 სუეტო და სიმტკიცეო] სასოო და სადგურო BC. 31 და—BC. 34 და წმიდა გყო] სიმრთოჲთა მით BC.

ბაგეთა ჩუენთა უღირსთაჲ
და ყოვლითა გულითა
სიყუარული ღმრთეებისა შენისაჲ,
მჴსნელო ჩუენო ქრისტე,
5 და ღირს მყოფ მიწევნად დღესა მას დიდებულსა
დიდებით აღდგომისა შენისასა.

ღმრთ. დიდებულო ღმრთისმშო

167г МИСՅՕ ДՕИСА [ԳՕՅՕԳՕИСА ԿՅՐИԱԿՕՅՕСА] ՅՕИԽՕИԼՕՅՕСА. [ՅՅԱՕ Դ]*
ძლ. ისმენდინ ქუეყ

AC 10 გიცნეს ყრმათა ჩჩულთა 93
ებრაელთა ზეცისა მეუფე,
ჴმითა მაღლითა იწყეს ქებად შენდა
და ჴმასა მათსა შეძრწუნდეს მღდელთმოძღუარნი,
ესმოდა-რაჲ უცებთაგან ღმრთეებრ ქებაჲ შენი,
15 აღივსნეს შურითა
და დაადუმებდეს,
რაჲთა არაჲ გადიდონ შენ.

ჰურიათა ერმან
უვარ-გყოფეს შენ, შემოქმედი თჳსი,
20 ხოლო წარმართთა ერმან ღმრთად აღგიარეთ
და მათ ვენაკი ცხორებისაჲ ჯუარს-გაცუეს,
ხოლო ჩუენ მოვისთულეთ სიტკბოებაჲ შენი, მჴსნელო,
იგინი დაეცნეს,
ხოლო ჩუენ აღვდეგით
25 და გადიდებთ შენ მარადის.

აღესრულა თქუმული
მეფისა დავით მამათმთავრისა:
„პირითა ყრმათა ჩჩულთა მწოვართაჲთა
დაემტკიცოს ქრისტეს განკაცებისა ქებაჲ“,
30 აჰა ესერა აქებენ ებრაელთა ყრმანი
საღმრთოჲთა ქებითა
და მიეგებვიან,
ვითარცა ღმერთსა და მჴსნელსა.

ღმრთ. საღმრთოსა ვე

---

1 ჩუენთაჲ B. უღირსთა B. 4 ქრისტე+ღმერთო BC. 5 და—C. ~მიწევნად ღირს მყოფ BC 6 დიდებით] აღესებასა BC. 11 ზეცისა—C. მეუფე] მეუფე+მათ ქრისტე C. 15 დაადუმებდეს] განიერაჰვიდეს C. 17 რაჲთა არა გადიდონ შენ] წარწყმედასა შენსა, მჴსნელო C. 20 ერმან] ერი C, აღგიარეთ] აღგიარებთ C. 21 და—C. 25 მარადის] მჴსნელო C. 27 მამადმთავრისაჲ C. 28 მწოვართაჲთა C. 29 განკაცებისაჲ C.

* მინჩხის მოიხილესა AC-ში შესულია ამ დღეზე დადებულ კოზმა იერუსალიმელის კანონში „უგალობდითსა. ქმაჲ დ. იხილეა ჴმელ. — პირითა ყრმათა...“ კოზმას ეს კანონი A-ში მოსდევს მინჩხის წინა კანონს. მითითება მინჩხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე კანონის მოიხილესას გასწერივ. B-ში ამ კანონის უგალობდითსას მოსდევს „სხუანი“ [უგალობდითსა], B-ში მოიხილესას კანონი არ შეიცავს.

199r

მასვე დღესა [დიდსა ოთხშაბათსა]. სხუანი. ხუედრნი. ჰმად ა* [განძლიერდასა]

ძლ. ღმერთო, მოხედენ მ

ABC ბოროტი იგი 94
კრებული ჰურიათაჲ
დღეს გონებითა ღმრთიხ მკლველითა შეკრბების,
რაჲთა მართალი იგი ძჳრისმოქმედებრ
დასაჯონ ჯუარსა ზედა,
10 რომელი ნეფსით
მოვიდა ჩუენთჳს,
წარწყმედულთა ძიებად.

სურნელებითა
შენმიერითა, ქრისტე,
15 აღივსებოდა შეცოდებული იგი
დედაკაცი და მისთა ცოდვათა დიდი
სულმყრალობაჲ განაგდო,
რამეთუ შენ ხარ
წყაროჲ საღმრთოჲსა
20 სურნელებისაჲ ტკბილი.

უმადლოჲ იგი
მოწაფე განეშორა
ღმრთეებისა შენისა სურნელებასა
და უშჯულოთა მღდელთა ეზავებოდა
25 მიცემასა მას შენსა
და სასყიდელი
წარწყმედისა მის
თჳსისაჲ მოიწონა.

AC ვითარცა სამთა
30 მზეთა შორის ნათელი
ერთი, ესრეთ არს ყოლად წმიდაჲ სამებაჲ,

---

4 ღმერთო მოხედენ მ] განკსნილნი B. 5 ბოროტი] უშჯულოჲ B. 7 შეკრბების] შემოკრბების B. 8 რაჲთა] რაჲთამცა C. იგი—C. ძჳრისმოქმედებრ] ესგვესად ძჳრისმოქმედთა B.~ დასაჯონ მსგავსად ძჳრისმოქმედთა B. 9 დასაჯეს C. 10 რომელი] რომელი-იგი C. ნეფსით—BC. რომელი მოვიდა ჩუენთჳს] მოსრული B. 12~ ძიებად წარწყმედულთათჳს+მჳსნელი დაბადებულთაჲ B. წარწყმედულთა] წარწყმედილთათჳს C. 16—17 დედაკაცი და] განაგდო სიმყრალეჲ იგი ცოდვისაჲ B. 18 რამეთუ შენ ხარ] რაჲვამს გბოვა შენ B. 19 საღმრთოჲსა—B. 20 სურნელებისაჲ B. ტკბილი] მჳსნელი დაბადებულთაჲ B. 22 მოწაფე B. 23~ სურნელებასა შენისა ღმრთეებისასა C. 24 მღდელთა] მოძღუართა B. ეზავებოდა] ეზრახა B. 25 მიცემასა] მიცემად B, მას—B, შენსა] შენდა B. 26 და] ღმრთისა სიტყჳთ და სასყიდელი+იგი BC. 27 წარწყმედისაჲ B, მის—B. 28 თჳსისაჲ] მისისაჲ C, თჳსისაჲ—B, მოიწონა] მოიღო B, მოიწონა C.

* მითითება მინაწერზე „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე სამსაგალობლის დასაწყისის გასწვრივ. BC-ში მინაწერს სამსაგალობელი ერთეის ამ დღეზე დადებული კანონის „ჰმად ბ. ზღუსა ღელ. — რომელმან“ შესაბამის ოდებს.

რამეთუ მამაჲ და ძე და სული წმიდაჲ
გუამოვნებითა სამ არს,
ხოლო ბუნებით
ერთღმრთეებაჲ არს,
5 განუყოფელი ძალი.

ღმრთ. წმიდაჲ წმიდათაჲ ქ

აკურთხევდითსა

ძლ. ყრმანი ბაბილოვნს

ინაკით მჯდომსა
10 მოგიჴდა დედაკაცი
და ფერჴთა შენთა შეუვრდებოდა, მჴსნელო,
ნელსაცხებელსა დაგასხმიდა თავსა
შენსა, უფალო, ნელსაცხებელსა მაგას
ცხორებისასა
15 და შენდობაჲ მიიღო.

ნელსაცხებელი
მრავლისა სასყიდლისაჲ
მეძავმან მან დღეს ცრემლთა თანა შეზავა
და დაგასხმიდა თავსა და ამბორს-უყოფდა
20 ფერჴთა მათ შენთა ყოვლად წმიდათა, ქრისტე,
და მიიღო მან
მოტევებაჲ ცოდვათაჲ.

ტრფიალებითა
ვეცხლისაჲთა იუდა,
25 რაჟამს იხილა ნელსაცხებელი იგი,
დასხმული თავსა ქრისტეს მეუფისასა,
იწუართა დრკუმან მიცემაჲ მოძღურისა მის
სახიერისაჲ,
რომელმან გუაცხოვნნა ჩუენ.

30 ერთარსებასა
სამებით თაყუანის-გცემთ
და გუამოვნებით სამთჳთებით გქადაგებთ,
მამაო, ძეო და სულო სახიერო,

---

1 და—C, ძეO C. 2 გუამოვნებითა] გუამითა C, არს] არიან C. 9 მჯდომსა] მჯდომარე სა C, მყოფსა C. 11 და... მჴსნელო] შეგივრდებოდა ფერჴთა შენთა, მაცხოეარ BC. 13 ნელს აცხებლიხა მაგის BC. 14 ცხორებისასა] უკუდაეებისა BC. 15 მიიღო C. 18 მან—B. 26 ამბორს უყოფდა] ამბაურს-გიყოფდა C. 21 მიიღო] მით მოიღო C. 22 მოტეეებაჲ] შერდობაჲ C. 26 თაყისა+ზედა B. ~მეუფისა ქრისტესასა C. 27 იწუართა] იწყო რაჲ B, მიცემაჲ] მიცემად B. მოძღურისაჲ C. 28 სახიერისა B. 29~ჩუენ გუაცხოვნნა C. 31 სამებით] ბუნებით BC. თაყუანის-გცემ თ] გადიდებთ BC+ჩუენ B. 32 გუამოვნებით სამთჳთებით გქადაგებთ] სამთა თჳთებათა (სამთჳთებად C) გუამითა აღგიარებთ BC.

და ვაკურთხევთ შენსა მიუწდომელსა ძალსა
და ავამაღლებთ
მეუფებასა შენსა.

ღმრთ. შენ, უბიწოო

5 ადიდებდითსა

ძლ. ჯერ-არს დუმი

უსასყიდლოსა
ნელსაცხებელსა — ქრისტეს
მეძავი იგი შეჰმურავს დღეს მკურვალედ
10 და შენდობასა ცოდვათასა მიიღებს
და განერების სულმყრალობისა მისგან
სულიერისა
მადლითა უფლისაჲთა.

მზაკუვარი იგი
15 და ბოროტი მოწაფე
დღეს ზავსა მას იქმს უშჯულოებისასა
და ეზრახების განსყიდასა ქრისტესსა,
ჰ სული იგი უმადლოჲ და უშჯულოჲ,
რომელმან ღმერთი
20 და მოძღუარი განყიდა!

მეძავი იგი
დედაკაცი მიუპყრობს
ნელსაცხებელსა მას სურნელსა უფალსა
და შენდობასა ცოდვათასა მიიღებს,
25 ხოლო იუდა მიუპყრობს განსყიდასა
ქრისტესსა მღდელთა
და მოიღებს შიშთვილსა.

ერთღმრთეებაო,
სამებით დიდებულო,
30 დიდებაჲ შენდა, რამეთუ დაღაცათუ
თჳთოეული ვუამი ღმერთ ხართ, არამედ
ერთი ღმერთი ხარ მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ
და სამ თჳთებით
ერთ ბუნებად იქები.

35 ღმრთ. ღირსად ადიდა

---

1 და—BC. 2 აღვამაღლებთ B. 9 შეჰმურავდა B. 10 მიიღებს C. 14 მზაკვარი C. 15 მოწაფჱ B, მოწაფჱ C. 16 ~ უშჯულოებისასა იქმს BC. 17 ეძრახების C. 20 მოძღუარი+ თჳსი B. 23 ~ უფალსა ნელსაცხებელსა მას სურნელსა (სულნელსა B) BC. 24 მიიღებს C. 27 მოიღებს] მიიღებს B. შიშთვილსა] ზარწყმდასა BC. 29 სამებით] სამებაო C. 31 თითოეული B, თუითეული C. ღმერთ ხართ] ღმერთი არს C, ღმერთ ხარ B. 32 ერთი ღმერთი ხარ] ერთ ხარ ბუნებით BC; ჰ B, ჱ C. 33 და—BC. სამი თჳთებითა B, სამი თუითებით C. 34 ერთ ბუნებად იქები] ერთ არსებად შეჰკრბები BC.

202r ᲬᲛᲘᲓᲐᲡᲐ ᲓᲘᲓᲡᲐ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡᲐ. ᲛᲝᲘᲮᲘᲚᲔᲡᲐ.
[ᲨᲛᲐᲯ Ბ ᲒᲘ]*

ძლ. შენ ღმერთი ეჩუენე ღრ

ცხორებისა თავსა, 95
5 მნათობსა საუკუნეთასა,
ცათა და ზღუათა შემოქმედსა,
ანგელოზთა უფალსა
დღეს ოცდაათ ვეცხლად მისცემს იუდა.

უფალი ეტყოდა
10 წარწყმედისა შვილსა იუდას:
„ᲐᲐ შენდა, მიმცემელო ჩემო,
უმჯობეს იყო შენდა
ყოლად, თუმცა არაჲ შობილ იყავ!“.

ეშმაკი შევიდა
15 ისკარიოტელისა გულსა
და დააბრმო სულით და კორცით,
განაკუა მოციქულთა
და განაშორა შემოქმედსა თჳსსა.

„აღვესრულები მე,
20 რამეთუ მოიწია ჟამი,
ილოცევდით, მოწაფენო ჩემნო,
უნაყოფოჲ იუდა
ზაკუვით მიმცემს ბილწთა ჰურიათა“.

ღმრო. შენ გესავთ, სა

204v 25 ᲓᲘᲓᲡᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡᲐ. ᲛᲝᲘᲮᲘᲚᲔᲡᲐ. [ᲨᲛᲐᲯ Ბ ᲒᲣᲔᲠᲫᲘ]**

ძლ. რომელმან განაელო ზღუაჲ მეწ

AB ეტყოდა უფალი ათერთმეტთა მათ: 96
„თქუენ სწუხდეთ, ხოლო სოფელსა უხაროდის,
არამედ მწუხარებაჲ თქუენი
30 მსწრაფლ გარდაიცვალოს სიხარულად,
ხოლო ოდეს მიხილოთ მე,
ჯუარსა ზედა მოძღუარი თქუენი,

---

10 წარწყმედილსა C. 11 მ] რამეთუ C. 13 ყოლ B. არა B. 17 განეკუა C 18 განეშორა C. 23 მიმცემს+მე B. ბილწთა+მათ C. 24 შენ გესავთ, სა] შენ ღმრთისა დე B. 28 ხოლ] და B. 30 მწრაფლ B. 32 ჯუარსა] ძელსა B.

* მინაჩხის მოიხილესა შესულია ამ დღეზე დადებულ კოზმა იერუსალიმელის კანონში: „ᲥᲛᲐᲯ Ბ ᲒᲘ. ზღუაჲ მეწამული. — ღმრთისა სიბრძნემან...“ მითითება მინაჩხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე კანონის მოიხილესას გასწვრივ.

** მინაჩხის მოიხილესა შესულია ამ დღეზე დადებულ იოსებ მგალობელის კანონში: „ᲥᲛᲐᲯ Ბ ᲒᲘ. უკულეველად. — შენ, რომელი მოსლვად ხარ...“ მითითება მინაჩხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე კანონის მოიხილესას გასწვრივ.

ნუ შესძრწუნდებით, არამედ ილოცევდით,
რადთა განსაცდელსა
არად შეხვდეთ“*

ჯუარცუმასა ყოველთა მეუფისასა
5 მნათობთა მოაკლდა ბრწყინვალებასა,
ექუს ჟამითგან ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე
ბნელი იქმნა ყოველსა ქუეყანასა
და დაეცნეს პირსა ზედა
უღმრთონი იგი ჯუარისმცუმელნი,
10 მას ჟამსა შეძრწუნდა ასისთავი და თქუა:
„ჭეშმარიტად ესე
ძე ღმრთისად იყო“.

წინადთვე ეტყოდა უფალი პეტრეს:
„ყოფადსა მას მე აწვე გაუწყებ შენ:
15 ქათამსა ვიდრე არღა ყმა-ეყოს,
სამგზის უვარ-მყო მე ფიცით განცხადებულად,
ვითარმედ არა მიცი მე,
ხოლო არად დაგიტეო შენ,
არცა წარგწყმიდო განმცემელსა თანა,
205r 20 რამეთუ გიყუ|არ მე
უფროდს ყოველთა“.

ვითარცა იხილა საწყალობელმან
მოშურნემან — იუდა მიმცემელმან,
რამეთუ დაისაჯა იესუ,
25 კუალად აღიღო მან უძვრესი ცოდვად —
წარვიდა და შიშთვილ-იბა
და მოკუდა იგი სულით და ჯორცით
და დაეფლა გულსა ჯოჯოხეთისასა
და ჰმწყსის მას სიკუდილი
30 უკუნისამდე.

შეძრწუნდა ქუეყანად და ძრწიან ცანი
და იძრვიან ძალითურთ სამყარონი,
რამეთუ ცათა მეუფესა
ქუეყანისანი სტანჯვენ ჯუარსა ზედა,
35 მარიამ, მშობელი მისი,
მწუხარე არს შეურვებული,
რამეთუ ჰხედავს სამშჳულითა დამსჳალულსა
და ეგლოვს გულითა,
ვითარცა კაცსა.

---

4 ყოველთა] მნათობთა B. 7 ბნელ იქმნა B. 12 ძᲂ B. 15 არღა] არა B. 16 უარ-მყო B. 18 არა B. 19 წარგწყიმიდო A. განმცემელსა] განმსყიდველსა B. 25 მან უძვრესი] უდიდესი B. 27 და— B. 29 მას— B. 33 რამეთუ+ღრეს B. 37 ხედავს B. 38 იგლოვს B.

* ამის შემდეგ B-ში გადმონაცვლებულია V ტროპარი.

სასოჲ ხარ ყოველთა ქრისტეანეთაჲ
და შემწე, რომელნი ყოლად გხადიან,
სიმტკიცეო დაბადებულთაო
და მშობელო ცათა მეუფისაო,
5 ყოველთა ნათესავთაგან
დაუცხრომელად იქები
და მარადის გნატრის ყოველი თესლები,
შენ გესავთ მეოხად
წინაშე ღმრთისა.

20 6r 10 ᲓᲘᲓᲡᲐᲕᲔ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡᲐ. ᲮᲣᲔᲓᲠᲜᲘ. ᲚᲐᲛᲘᲗᲒᲐᲜᲡᲐ.
ᲰᲛᲐᲐ Ბ ᲒᲣᲔᲠᲓᲘ*

ძლ. შენდა აღვიმსთობთ

ძრწიან ძალითურთ 7
15 ცანი ცათანი დღეს,
ოხრიან გოდებით
უფსკრულნი, იძრვის ქუეყანაჲ,
წუხან მნათობნი,
იგლოვენ ჰაერნიცა
20 დღეს უშჯულოთა მიერ სი-
კუდილსა ღმრთისა სიტყუსასა.

207v [ᲓᲘᲓᲡᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲡᲐ]. ᲐᲥᲔᲑᲓᲘᲗᲡᲐ. ᲰᲛᲐᲐ Ⲁ**

ძლ. ეჰა დიდებულნი

AB მზემან ბრწყინვალებაჲ თჳსი დაიფარა,
25 ცანი და ქუეყანაჲ
საფუძველითურთ ძრწოდეს,
ზარგანკ̣დილ იქმნნეს ქუესკ̣ნელნი,
ჰაერნი იგლოვდეს,
შეძრწუნდეს მთავრობანი,
30 ზეცისა კრებულნი, უსხეულოთა ერნი,
რამეთუ იხილეს მათ
ხილვაჲ ზეშთა ბუნებისაჲ საკჳრველი:
შემოქმედი ყოველთაჲ და მჴსნელი
მკუდრად კაცად, უსულოდ,

---

2 გხადიან+შენ B. 6 იქები] იდიდები B. 27 იქმნეს B, ქუესკ̣ნელნი] უფსკრულნი B. 33 ყოველთაჲ და მჴსნელი] თჳსი ღმერთი B.

* ეს „ხუედრნი“ ეკუთვნის კოზმა იერუსალიმელს. „ხუედრნის“ I ოდა „ღამ.თგანსა“ 4 ტროპარს შეიცავს. აქედან მინჩხს უნდა ეკუთვნოდეს III ტროპარი, რომლის დასაწყისის გასწვრივ A-ში აშიაზე მიწერილია მითითება მინჩხზე — „მ“. მოგვაქვს მინჩხის ტროპარის ტექსტი.

** მითითება მინჩხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე სტიქარონის დასაწყისის გასწვრივ. B-ში საგალობელი წარმოადგენს ამ დღის აღვევსენითსას. B-ში I და II ტროპარები გადანაცელებულია.

რომელმანცა შთაჰბერა
ადამს ზეცით სული ცხოველი.

ეჰა დიდებული საკჳრველი,
რამეთუ მაღალთა
5 ცათა ზედა მფლობელი,
ანგელოზთა უფალი,
მეუფე უკუდავი,
მკუდართა აღმადგინებელი,
ვითარცა მკუდარი შემურა დღეს იოსებ
10 და დადვა სამარესა,
თუალთშეუდგამი ნათელი — მღჳმესა ბნელსა,
აწ იხარებდით, პყრობილნო
ჯოჯოხეთისანო,
მკჳდრნო ქუესკნელისანო,
15 მოიწია გამოკსნაჲ თქუენი.

ტირილად განმზადებულნი იგი
წმიდანი დედანი
ჰკითხვიდეს დღეს იოსებს:
„ვითარ უკუე დაჰკრძალეთ
20 საფლავი უფლისაჲ?“
რამეთუ ეგულებოდა
კუალად სურნელითა შემურვად გუამი მისი
და იტყოდეს ურთიერთარს:
„ვინ გარდაგჳგორვოს ჩუენ მძიმე იგი ლოდი
25 კარისა მისგან საფლავისა,
რაჲთა ვიხილოთ ჩუენ,
რომელსა-იგი სძინავს
სახედ მკუდრისა ყოველთა მკსნელსა?“

A ეჰა დიდებული საკჳრველი,
30 რამეთუ რომელი
დაიდვა სამარესა,
ესე შთაჴდა ქუესკნელად
ღმრთეებისა ძალითა,
ღმერთი ძალთაჲ ძლიერი
35 და ჴელმწიფე, მთავარი საუკუნეთაჲ,
დასცა ძალი მტერისაჲ
და იავარ-ყვნა საუნჯენი წყუდიადისანი
და ადამეანნი სულნი იკსნნა
პყრობილებისაგან
50 და ძლევით შემოსილი
აღდგა ღმრთეებისა ძალითა.

---

2 ~ ზეცით სული ცხოველი ადამს B. 3 დ(ედებული] საშინელი B. 6 ანგელოზთა] ანგელოსთა B. 7 მეუფ0 B. 18 დღეს—B. 19 დაჰკრძალე B. 20 უფლისაჲ] მკუდრისაჲ მის 22 სულნელითა B. 23 ურთიერთას B. 28 მკსნელსა] ღმერ:სა B.

A ეჰა საკვრველი საკვრველებათაჲ,
რამეთუ საფლავით
დაბეჭდულით დღეს აღდგა
სასოებაჲ მოკუდავთაჲ —
5 ქრისტე, ღმერთი ყოველთაჲ
და უვნებელად ეგნეს
და აღუტეხელად საფლავისა ბეჭედნი,
სირცხვლეულ არს დასი
ღმრთისმბრძოლთა, უშჯულოთა ჰურიათაჲ,
10 აჰა ტილონი და სუდარი,
მცველნი დაცემულნი
და ანგელოზი მახარებელი
სიხარულსა აღდგომისასა.

AB სულოა საპყრობილემან მწარემან,
208r 15 |ჯოჯოხეთმან ბნელმან,
წყუდიადისა უფსკრულმან,
შურისგებით დამსჯელმან
ადამეანთამან,
მიიღო მისაგებელად
20 შჯდგზის შურისგებაჲ ძლიერისაგან,
რაჟამს შთაკდა ქუესკნელად,
კელმწიფებით წარმოტყუენა და აღაოკრა
და ადამ ნათესავითურთ
ზე აღმოიყვანა
25 და ღირს ყო პირველსავე
აგებულებასა უხრწნელსა*.

208r

სხუანი. ჰმაჲ ა გუერდი**

ძლ. სუფევს ღმერთი წარმართ

99

A დაღაცათუ ნათელი მზისაჲ
30 დაბნელდა ქუეყანასა ზედა
ჯუარცუმასა ღმრთისა სიტყჳსასა,
არამედ ბნელი წყუდიადისაჲ განათლდა,
რამეთუ მუნ შთაკდა
სამწუხაროჲ იგი ნათელი
35 და ნათელ-სცა ქუესკნელისათა.

დაღაცათუ მგლოვარე იქმნეს
ერნი იგი ზესკნელისანი
დაფლვასა შემოქმედისასა,

---

17 დამშჯელმან B. 18 ადამიანთამან B. 19 მისაგებელი B. 20 ძლიერისაგან] დღეს ძლიერისა მისგან B. 21 ქუესკნელად] ჯუარითა და B. 23 ადამს B. 24 აღმოიყვანა] აღმოეგზოდა B.

* ამის შემდეგ B-ში მიწერილია „ეჰა დიდებული“. ** მითითება მინიხსზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე სტიქარონის დასაწყისის გასწვრივ.

ხოლო განმხიარულდეს ქუეყანელისანი,
რამეთუ განბრწყინდეს
დაშჯილნი წყუდიადსა შინა
აწ საღმრთოჲთა ბრწყინვალებითა.

5 აწ იგუემების ჯოჯოხეთი,
აწ შეიძრვის სიმტკიცე მისი,
აწ შეიწუვის საშინელებით
საღმრთოჲთა მით სულითა იესუსითა,
რომელი დაიდვა
10 მღჳმესა, ქუეყანელსა ბნელსა
და აჩრდილთა სიკუდილისათა.

აწ განთავისუფლდების ადამ,
აწ იკსნების ნათესავითურთ
და აღმოიყვანების ნათლად
5 მის მიერ, რომელსაცა სძინავს მკუდართაებრ
და მცველნი, ვითარცა
ცხოველსა სცვენ განკრძალულად
და იგი არს მცველი ყოველთაჲ.

იუდას ეტყოდა ეშმაკი:
20 „ვითარცა შენ წარსწყმდი ჩემ მიერ,
ეგრეთვე შენ მიერ მე წარვწყმდი
და დავემკჳდრე გეჰენიასა შინა
ჯუარცუმულისა მისგან
და აწ შენცა ჩემ თანავე
25 საუკუნოდ ისაჯებოდე“.

„აწ [აღვ]დგე — იტყჳს უფალი,
აწ დავდვა ცხორებაჲ წარმართთაჲ
და აწ მოვიძ[ინე] ცხოვარნი
წარწყმედულნი სახლისა ისრაელისანი,
30 ხოლო ურწმუნონი
და რომელთა არაჲ ვჰრწმენე,
განვაბნინე სირცხჳლეულნი“.

209r

დიდსა შაბათსა. მოიხილესა. [ბ ბ´ი]*

ძლ. რომელმან განავლო ზღუაჲ

35 რომელმან ქუეყანით შექმნა ადამი 100
და მისცა მას ზეცით სული ცხოველი
და დაუმორჩილა მას ყოველი —

---

36 მას] მან B.

* მინჩხის მოიხილესა შესულია ამ დღეზე დადებულ თეოფანეს კანონში: „უგალობდითსა. კმაჲ ბ´ი. რომელმან დაფარა...“. მითითება მინჩხზე — „მ“ A-ში მიწერილია კიდეზე კანონის მოიხილესას გასწვრივ.

ზღუაჲ და ქუეყანაჲ ძალით მათითურთ,
ამას ნაშობთა მისთა დღეს
ჯუარსა ზედა კელნი განუპყრნეს
და მოკლეს იგი უმსჯავროჲთა ბჭობითა
5 და დადვეს მღუმესა,
ქუესკნელსა ბნელსა.

რომელმან მიხედვით შეძრის ქუეყანაჲ
და შეაძრწუნნის მთათა საფუძველნი,
დამბადებელსა მღუძარეთასა,
10 ვითარცა ლომსა, სძინავს სამარესა.
დუმილი არს ქუეყანისაჲ,
შიშით შეიმუსრვიან მთანი
და ჰაერნიცა შეშფოთნეს,
მგლოვარე არიან
15 ზეცისა წესნი.

რომელმან მიუხუნის სულნი მთავართა,
მეფეთა და მზრახვალთა ქუეყანისათა
და კელსა შინა მისსა არიან
სულნი და კორცნი დაბადებულთანი,
20 მკუდართაებრ დაიძინა დღეს
სამ დღე და სამ ღამე კორცითა,
არამედ სული მისი წარვიდა კელმწიფებით
ჯოჯოხეთისათა
გამოყვანებად.

25 ღმრთ. მთაჲ წმიდაჲ, მთაჲ საღ

2r

ყველიერისა ხუთშაბათსა დასდებელნი წმიდისა მამისა ჩუენისა შიოსნი. უფალო ღალატყავსა.

სხუაჲ. ჰმაჲ ა გუერდი. სტიქარონთა ზედა. დიდებაჲ. მიჩხი*

101

კრებულნო მამათანო, იშუშბდით
30 და აღიტყუშლენით დღეს კელნი თქუენნი
და სიხარულით აქებდით ღმერთსა,
რამეთუ დღეს წინამძღურისა თქუენისა
და ჩუენ ყოველთა მეოხისა
კრება წარმოდგა ბრწყინვალე,
35 იშუშბდ ბერწი უდაბნოჲ,
რამეთუ განმამრავლებელისა
შენისა კსენებაჲ მოიწია
და განწმედილნო

* A:S 1133, 2r; B:A 160, 297v—298r, C:A 425, 637v—638r

1 ~ ქუეყანაჲ და ზღუაჲ B. ზღუაჲ+ყოველით B. 4 იგი—B. უმჯავროჲთა B. 12 შიშით] რამეთუ B. 18 ~ მისსა შინა B. 21 სამ... ღამე] საფლესა შინა B. 34 კრებაჲ BC. 35 უდაბნო C. 36 განმამრავლებისა AC.

ნაპრალებნო
აღიმღერებდით ჩუენ თანა
და აქებდით ანგელოზსა
ქუეყანისასა და კაცსა ზეცისასა
5 და მკურვალესა,
კადნიერსა,
მეოხსა ჩუენ ცოდვილთასა
და სენთა უჩინო მყოფელსა,
გლახაკთა სიმდიდრესა,
10 მდიდართა განმაბრძნობელსა და ყოველთა დიდსა შემწესა
და საკჳველთმოქმედსა შიოჲს ვადიდებდეთ
ყოველნი.

---

11 შიოს C.

15r

აღდგომის საგალობლები

უგალობდითსა. ჰმაჲ ა*

ძლ. მხილველი

102

გალობითა ახლითა
5 უგალობდეთ მომცემელსა ცხორებისასა,
რომელმან აღმადგინნა ჩუენ, მომწყდარნი, აღდგომითა თჳსითა,
მას მხოლოსა ღმერთსა უგალობდეთ დღეს.

ბრწყინვალედ შუენიერ არს
დღესასწაული ესე ქრისტეს აღდგომისაჲ,
10 რამეთუ მთავარი იგი შესუენებულთაჲ აღმობრწყინდა საფლავით
და ცხორებაჲ მოჰმადლა მოსავთა მისთა.

იესუს აღდგომასა
დაეცნეს მცველნი იგი გარემოჲს საფლავსა
და თავად იგი, ვითარცა სიძე რაჲ გამოვიდა სამარით
15 და სირცხჳლეულ იქმნა დასი ღმრთის მბრძოლთაჲ.

ლმობიერად ცრემლითა
ნელსაცხებელი მოაქუნდა ღირსთა დედათა
და აღდგომისა შენისა ხილვითა აღვსებულნი მადლითა
მოციქულთა ექმნნეს დღეს მახარებელ.

20 ღმრთ. ღრუბელსა სულ

მოიხილესა

ძლ. მოელოდა, ვითარცა

რაჟამს ივნო
ჯუარსა ზედა ნეფსით დამბადებელმან,
5 ბრწყინვალებამან
მზისამან დაიფარა

ძლ. დიდებულ იქმნა პირი

დაიკლა ოდესმე კრაკი ეგვიპტეს,
რომლისაცა სისხლისა
აღნიშნვითა მით
მომსრველმან მან მოჰრიდა
და პირმშონი ცხომდეს,

---

* A:ათ. 45. 15r—16r; B:S 425, 177v—178r

5 ცხოერებისასა B. 6 თჳსითა] მისითა B. 9 ქრისტეს B. 10 იგი—B. 12 იესუს B. 14 სიძეჲ B. რაჲ—B. 19 დღეს—B.

* მითითება მინჩხზე — „მინჩ“ ათ. 45-ში მიწერილია კიდეზე კანონის დაბაჟკისის გასწვრივ. აღდგომის I (ა) ხმაზე ათ. 45-ში შესულია 9 კანონი. მინჩხის კანონს A-ში VI ადგილი უჭირავს, B-ში — V.

ნათელი და ჰურიანი ბნელსა
მიეცნეს
განუნათლებელსა.

5

და-რაჲ-გდვეს შენ
საფლავსა შინა, ქრისტე, მეუფეო,
ვითარცა მკუდარი
ლიტონი და დაგბეჭდეს,
10 ხოლო შენ აღსდეგ მკუდრეთით
მესამესა დღესა
და შენ თანა
აღადგინე ადამ.

ცისკარსა მას
15 სწრაფით მოვიდეს დედანი საფლავად
ნელსაცხებლითა
შემურვად ჯორცთა შენთა,
ხოლო შენ აღდგომილი ეჩუენე მათ
და აღავსენ
20 სიხარულითა.

ეგრეთვე სისხლისა
შენისა დათხეითა, ქრისტჱ,
აღვიბეჭდენით ჩუენ
და დაეყენა
მიზეზი სიკუდილისაჲ.

დაჰკსენ ძალი სიკუდილისაჲ, ქრისტჱ,
ძალითა ღმრთეებისაჲთა
და განანათლე
სიბნელეჲ ქუესკნელისაჲ
შთასლვითა . . . . . .
ნათელო შეუხებელო,
და მას შინა მყოფთა
აღმოუწოდე
ნათლად უკუდავებისა.

დადუმნეს ენანი მგმობართანი
და ... დღეს პირნი
უშჯულოთა მათ
ღმრთისა წინააღმდგომთა
ბილწთა მწვალებელთანი;
აჰა, ქრისტე ვნებული
ჯორცითა და უვნებელი
ღმრთეებითა აღდგა
და განაბნია
კრებული უშჯულოთაჲ.

ღმრთ. ძირისაგან

ღმრთ. დაიტიე

25

განძლიერდასა

ძლ. შენ, რომელმან პირველად მუც

15v |ივნე ჯორცითა ნეფსით, სიტყუაო ღმრთისაო,
და ვნებითა შენითა
წარტყუენულთა სულნი
30 ვნებათაგან აღადგინენ,
რომელნი ღაღადებდეს და იტყოდეს:
„განაძლიერენ აწცა, უფალო, გულნი ჩუენნი“.

ვაშურვო აწ მჯდომსა ჯორცითა ამით ჩემითა,
რომლითაცა წარმწყმიდა
35 სამოთხესა შინა,
რამეთუ რომლითა მოვკუედ,
მითვე აწ განვცხოველდი უხრწნელად
და განვრცნა პირი ჩემი ზედა მტერთა ჩემთა.

---

29 წარტყუენულთა] წარწყმედულნი B. 31 ღაღადებდეს და იტყოდეს] ღაღადებით იტყვან B. 33 მჯდომსა+მას B.

ნელსაცხებელი შემურვისაჲ დედათა
მსთუად მოაქუნდა საფლავად,
მგლოვარეთა, შიშით,
ძიებად დაფლულისა მის
5 და კმაჲ რაჲ ესმა ანგელოზისაჲ,
განძლიერებულნი ახარებდეს აღდგომასა.

ღმრთ. შენ, რომელმან მზე სიმარ

მესმასა

ძლ. უსხეულოთა თა

10 ბეჭდად სიმართლისად დამბადა
და ხატად თჳსისა თჳსობისა მადიდა,
ხოლო მე ურჩებითა ხრწნილებაჲ ვპოე,
არამედ კუალად ვნებული მის თანა აღმადგინა
და უღაღადებ: „უფალო, დიდებაჲ ძალსა შენსა“.

15 ნისლი იგი ცოდვისაჲ განქარდა
და ქუეყანაჲ დაწყეული კუალად იკურთხა,
რაჟამს სიტყუაჲ ღმრთისაჲ ძელსა დამოეკიდა,
შეერთებული გუამსა მას კორციელებისასა
და აღვიარებთ ერთსა მას ორითა ბუნებითა.

20 ადამ პირველსა ნეტარებასა
მიიცვალა, რაჟამს ქრისტე საფლავით აღდგა
და ევა მხიარულ არს ქალწულისა თანა
აღდგომისათჳს მკუდართა აღმადგინებელისა
და ღაღადებენ: „უფალო, დიდებაჲ ძალსა შენსა“.

25 მენელსაცხებლეთა მათ დედათა
მოაქუნდა, რაჲ-იგი მოემზადა საფლავად,
ხოლო თუალნი მათნი სავსე იყვნეს ცრემლითა
და მი-რაჲ-იწინეს, ახარა ანგელოზმან აღდგომაჲ
და ღაღადებდეს: „უფალო, დიდებაჲ ძალსა შენსა“.

30 ღმრთ. დაუსაბამოჲ

ღამითგანსა

ძლ. ნაკუერცხალი ცე

ვითარცა მა[მა]მან სახიერმან წყალობით მომხედნა
და თანაარსი ბუნებით

---

2 მოაქუნდა] მოიღეს B. 7 მზℳ B. 8 უფალო მესმასა B. 12 ვპოე B. 14 უღაღ:დ:ებთ B. უფალო—B. 17 რაჟამს—B. ღმრთისაჲ+რაჲ B. 19 ერთსა] მხოლოსა B. 22 ქალწულისა] ქალწულსა მას B. 24 ღაღადებენ] უღაღადებთ B. 25 მათ—B. 27 სავსეჲ B. 28 და—B. 33 ვითარცა—B. მომხედა B.

სიტყუაჲ დამბადებელი სოფლად მოავლინა
და მკჳდრთა ქუეყანისათა
ისწავეს სიმართლე,
რამეთუ დადუმნა უღმრთოჲ.

5 სენი იგი ძუელთა ცოდვათაჲ განიკურნა*,
რაჟამს საფლავით გამოხუედ
და რომელნი-იგი მძლავრ შთაენთქნეს სიკუდილსა,
შენ თანა აღადგინენ
და წარუდგინენ, ქრისტე,
10 მამასა განახლებულნი.

ნათლად წარმართთა გამოუჩნდი მზე ეგე სიმართლისაჲ,
აღვსებაო დიდებულო,
და მყოფთა ბნელისათა ნათელი მიჰმადლე
აღდგომისა შენისაჲ,
15 რომლითა განათლდეს
კიდენი სოფლისანი.

ღმრთ. უცხოდ მუცლად

ღალატყავსა

ძლ. რომელმან თავს-იდვა

20 რომელმან თავს-იდვა
დამსჴუალვაჲ ჯუარსა ზედა,
უვნებელმან ღმერთმან ჯორცითა
ჩუენ ვნებულთათჳს ივნო,
რაჲთა განკურნნეს
25 ვნებანი იგი
წყლულებათა ჩუენთანი
და კუალად-მაგნეს პირველსავე ნეტარებასა.

რომელმან დაამჯუა
სიმაღლე მაცთურისაჲ
30 და დაამდაბლა იგი ღმრთეებრ
მახითავე თჳსითა,
საფლავსა შინა
რაჟამს დავეფალ
ქრისტეს თანა ჯორცითა,
35 აღვდეგ მის თანა განღმრთობილი მადლითა*.

---

2 ქუეყანისათა] სოფლისათა B. 3 სიმართლ B. 9 ქრისტე—B. 11 გამოუჩნდი] გამოშჩნდი B. მზეჲ B. ეგე—B. 13 მოჰმადლე B. 14 აღდგომითა შენითა B. 21 დამშჴუალვაჲ B. 27 პირველსა B. 29 სიმაღლეჲ B. 30 ღმრთეებრ—B. 31 მახითავე[საფრჯითაე B. 35 აღვდეგი B.

* ეს B-ში გადანაცვლებულია II და III ტროპარები.

B რომელმან შემუსრა
სიმტკიცეჲ სიკუდილისაჲ
უძლეველმან ღმერთმან ღმრთეებით,
აღმობრწყინდა საფლავით
5 და აღადგინნა
მკუდარნი სამარით
და მენელსაცხებლენი
წარავლინნა ხარებად თჳსთა მოციქულთა.

ღმრთ. შენ, რომელმან მოსპე

10 კურთხეულარსა

ძლ. ყრმანი

A

აჰმაღლდი ძელსა ზედა,
სახიერ, ნეფსით თჳსით
15 ყოველთათჳს
და განჰხეთქე შენ თანამდები
ადამის, მამისა ჩუენისაჲ,
ამისთჳს ყოველნი მადლობით
გიღაღადებთ:
20 „მამათა ჩ[უენთა ღმერთო,
კურთხეულ ხარ შენ]*.

ძლ. შენ ცეცხლად საცნა

B

შენ ვნებად
ნეფსით მოხუედ, უვნებელო,
განკურნებად ჩუენ ვნებულთათჳს
და კორციითა ჯუარს-ეცუ
ჩუენთჳს, უცოდველო,
და საღმრთოჲ გუერდი შენი
განეღო ლახურისა მიერ,
რომლითა გამომიჯსნენ ჩუენ
წყევისაგან
პირველისა შჯულისა
ქებულმან მამათა ჩუენთა ღმერთმან
და უფროჲსად დიდებულმან.

25 გამო-რაჲ-ხუედ საფლავით
მესამესა დღესა, ვითარცა სიძე,
გამომავალი ეზოჲთ თჳსით,
განჰკესენ კრულებათაგან ადამ
და შენ თანა აღადგინე, ქრისტე
30 სახიერ,
მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ
ხარ შენ.

შენ ცეცხლად
საცნაურად, ღმრთისა სიტყუაო,
შეგიწყნარა ქუესკნელმან
ჯოჯოხეთმან
შანთი უსხეულოჲ, დაუსაბამოჲ
მუცლად-გიღო უმეცრებით,
ხოლო შენ, ვითარცა ბრძმეთმან
დასწუ
სიმტკიცეჲ მისი და პყრობილნი
გამოიკსნენ.

35 ღმრთ. სამითა თჳთე

ქებულმან მა

შენ, ქრისტე
ცხოველი, დღეს განეცხადე
ნელსაცხებლის მიმღებელთა
დედათა,

* აღდგენილია VII ბიბლიური გალობის რეფრენის მიხედვით.

რომელნი მოკუდავად გეძიებდეს,
სახიერ,
ეტყოდე მათ: „გიხაროდენ!
უთხართ მოციქულთა და პეტრეს“,
5 რომელთაცა გლოვას თაყუანის-გცეს.

ღმრთ. არსებით დი ქებულსა მა

16r

აკურთხევდითსა

ძლ. არაჲ ვინაჲ შეიგინნეს

A

რაჟამს განიპყრენ ჴელნი თჳსნი
10 ჯუარსა ზედა ჯორცითა,
შეძრწუნდეს მეკარენი ჯოჯოხეთისანი
და ჩუენ მოგუმადლე უხრწნელებაჲ
და ვიტყჳთ:
„აკურთხე[ვდით საქმენი უფლისანი
15 უფალსა]“

B

მიუწდომელ არს ჩუენგან განგებაჲ
საიდუმლოთა მათ ღმრთისათაჲ,
ვითარ მაღალი იგი სიმდაბლით
ზეცით ქუეყანად
გარდამოკდა, რომელსა უგალობთ:
„აკურთხევდით საქმე[ნი უფლისანი
უფალსა]“

ქადაგა შჯულისმდებელმან მოსე
ცხორებაჲ ჩუენი, ძელსა
დამოკიდებული და ამხილა ღმრთის მკლველთა მათ
უშჯულოთა ჰურიათა ურწმუნოებაჲ,
20 ხოლო წარმართთა ერი
ცხოვნდა სარწმუნოებით.

ელვარე ანგელოზი გამოჩნდა
მჯდომარე ლოდსა ზედა
საფლავისასა და ეტყოდა წმიდათა მათ დედათა:
25 „რაჲსა ეძიებთ ცხოველსა მას მკუდართა თანა?
აღდგომილ არს საფლავით,
ნუღარა ხართ მწუხარე!“

ღმრთ. სამებაჲ ერთარს

ადიდებდითსა

30 ძლ. შენ, რომელმან ღმერთი, მიზეზი ყ

B შენ, რომელი ზეცით
მოხუედ სიტყუაჲ დაუსაბამოჲ
წარწყმედულთათჳს მოძიებად
და მოღუაწებისა ჩუენისა საიდუმლოჲ
25 ვანკაცებულმან უქცეველად აღასრულე,
მჴსნელო სოფლისაო,
გალობით გადიდებთ*.

---

17 ცხოერებაჲ B. 18 ამხილა] აუწყა B, მკლველთა] მბრძოლთა B. 19 ურწმუნოვებაჲ B. 21 ცხომდა სარწმუნოებითა B. 22 ელვარეჲ B. 23 მჯდომარე—B. ზედა—B. 27 მწუხარეჲ B.
* ეს ტროპარი არ არის A-ში.

შენ, რომელმან წყევაჲ
იგი პირველისა მამისაჲ
შორის ორთა ავაზაკთაჲსა
ძელსა დამოჰკიდე საფასედ ცხორებისად
5 და უბიწოჲთა სისხლითა იკსენ სოფელი,
მკსნელო ცოდვილთაო
ქრისტე, გალობით გადიდებთ.

შენ, რომელი მკუდართა
თანა შეირაცხე, სახიერ,
10 და გემოჲ იგი სიკუდილისაჲ
სამ დღე უსულომან ხაფლავსა შინა
და ხრწნილებაჲ ჴორცთაჲ უხრწნელებად შესცევალე,
მკსნელო სოფლისაო
ქრისტე, გალობით გადიდებთ.

15 შენ, რომელი ასდეგ
საფლავით მესამესა დღესა
და ადამ შენ თანა აღადგინე
და დედათა მათ აღდგომაჲ შენი არწმუნე
და მსწრაფლ წარავლინენ ხარებად მოციქულთა,
20 მკსნელო სულთა ჩუენთაო,
ქრისტე ღმერთო, გადიდებთ.

შენ, რომელი ზეცას
ჴორცითა აღჰმაღლდი დიდებით,
შენ, რომელმან ბუნებაჲ ჩუენი
25 თავსა თჳსსა შეურევნელად შეაერთე
და მით წარგჳმართე გზასა მშჳდობისასა,
მკს[ნელო სოფლისაო,
გალობით გადიდებთ].

ღმრთ. შენ, რომელმან გჳშევ

218r 30 უგალობდითსა. ჰმაჲ დ. ყოველსა მუჰლსა ᲂᲾ
შეტყუებაჲ აქუს: ᲔᲾ-ᲯᲔრ ᲘᲾ. იამბიკონნი, თქუმულნი
ნეტარისა ი[ო]ვანე მინჩხისანი. Ჩ, ფრთხილო,
გულისხმა-ყავ და ჩემ ცოდვილისათჳს ლოცვა ქავ,
მღდელო, ღმრთის მგალობელო*

35 ძლ. საღმრთომან ნისლ

AB ჩემთჳს დაადგრა ქალწულისა საშოსა 103
მეორე მიზეზი ყოველთა მიზეზთაჲ,

3 ავაზაკთაჲსა] ავაზაკთა B. 4 ცხორებისად] ცხოვრებისა B. 5 იკსნენ B. სოფელი] ყოველნი B. 6 ცოდეღლთაო] სოდღლსაო B. 7 ᲩᲠᲘᲚᲔ—B. 11 ᲦᲡᲔᲦᲚᲝᲛᲐᲜ] დაᲦᲔᲦᲚᲝᲛᲐᲜ B, შინა+ იხილვე B. 12 შესცეალე+მაცხოვრ B. 17 და—B. 19 მწრაფლ B. 20 სულთა ჩუენთაო] სოფლისაო B.

* A:S425, 218r—219r; B:A 93, 127v—128v.

B-ში საგალობლის სათაურია: „სხჳანი [აღდგომისაჲ გალობანი, საღმრთომან ნის. არა მთაწმიდელისანი არიან“ (იხ. ამის შესახებ გამოკვ. გვ 48—49).

რამეთუ
მიხილა ქმნული ხატად თჳსა
მტერისა დაცემული,
თანამოდგამ მექმნა ვნებითა ვნებულსა
5 და კუალად აღმადგინა.

რომელმან სიბრძნით დაჰრთნა ცანი უფსკრულთა
და დააფუძნა ქუეყანაჲ წყალთა ზედა,
ესე აწ
დაეფლა ქუეყანისა გულსა
10 ჩემთჳს, რომელი მომკლა
სამოთხეს შინა მაცთურმან და დამფლა
ჯოჯოხეთისა გულსა.

არაჲ დაადგრა საფლავსა შინა გუამი
საუფლოჲ, არცა ეუფლა მას განხრწნადი ბუნები-
15 თი, არამედ
აღდგა უხრწნელად
და თანა აღმადგინნა
ძლიერმან ურჩებითა დაცემულნი და
მომწყდარნი მოწყალემან.

A 20 მოკლა უკუდავმან სიკუდილი სიკუდილითა*
და აღდგა მკუდრეთით, ვითარცა იტყოდა
და დასცა
სიკუდილისა იგი მიზეზი —
მტერი სულთა მკლველი
25 და განანთლნა ძლევით მქადაგებელნი
სასწაულთა მისთანი.

ღმრთ. სძალო წმიდაო, დე

მოიხილესა

ძლ. მაყულოვნით გამო

30 აღმართებითა
ძელისაჲთა გოლგოთას
დაეცა მოქადული მტერი ბელიარ
და დაცემული
მის მიერ მამაჲ ჩუენი
35 აღემართა დაცემისაგან თჳსისა
და განწმიდნა
უბიწოთა მით სისხლითა.

დადვეს საფლავსა,
ვითარცა-რაჲ მოკუდავი

2~ხატად თჳსად ქმნული B. 8 აწ] დღეს B. 14 საუფლოჲ—B. მას—B. განხრწნადი] განხრწნაჲ B. 16 უხრწნელად] უკუდავი ძლიერად B. 18 ძლიერმან—B. 19 მოწყალემან] მოწყალებით B. 27 შენ, ღმრთისა დამტ B. 29 მაყულოვანით B. 36 განწმიდნა] განეხოველდა B. 20 უბიწოჲთა B.

* ეს ტროპარი არ არის B-ში.

მეუფეჲ მეუფეთაჲ ღმერთი უკუდავი
უგულისხმოთა,
დრკუთა ისრაიტელთა,
ხოლო მან ღმრთეებით შემუსრა ქუესკნელი
5 და პყრობილნი
სულნი აღმოიყვანნა.

რომელნი ეგე
ურწმუნო ხართ აღდგომასა
ქრისტესსა, მიისწრაფეთ საფლავად მისა
10 და იხილენით
ტილონი და სუდარი,
საფლავი ცალიერი, მცველნი დაცემულნი
სასწაულად
აღდგომისა მისისა.

15 ღმრთ. ტაკუკი იგი მტკრთ

განძლიერდასა

ძლ. ლოცვამან ანა წინა

ილოცევდი შენ
ყამსა მას ვნებისასა
20 გარე-წარსლვად სასუმელსა სიკუდილისასა,
218v რომლისა|ნეფსით
მოხუედ მისა მოღებად,
არამედ სიბრძნით იყო განგებულებაჲ,
რაჲთა გგონებდეს
25 მტერი კაცად მოშიშად.

განუკუეთელი
განიკუეთა ქუეყანაჲ
და დაეფლა აბელი, რომელ მოიკლა
ძმისა კელითა —
30 შეიწყეევა ქუეყანაჲ,
ხოლო ოდეს დაეფლა ღმერთი და კაცი,
იკურთხა მის წილ
აწ და უკუნისამდე.

„აწ განიღუძე,
35 რომელსა ეგე გძინავს
ნეფსით ჯორცითა, ზეცისა მეუფეო“,
ესრეთ გალობდეს
დასნი მღუძარეთანი

---

22 მოღებად] ძიებად B. 24 გგონებდეს] ეგონო B. 25 მტ̣ერსა B. 28 აბელ B, რომელი B. 30 შეიწყეევა] დაიწყეევა B. 31 ოდეს] რაჟამს B. და კაცი] ჯორცითა B. 33 აწ და] მიერ B. 36 ნებსით B.

გარემოჲს სიმრთოსა მას საპყრობილესა
და რაჟამს აღდგა
შიშით თაყუანის-სცეს.

ენაჲ მეტყუელთაჲ*
5 მოუძლურდების ქებად
შობისა შენისათჳს, სძალო ღმრთისაო,
რამეთუ დაჰკსნდა
პირველი იგი წყევაჲ
დედისა ჩუენისა ევაჲსი შენ მიერ
10 მუცლად-ღებითა
კრავისა მის ღმრთისაჲთა.

ღმრთ. მოვედით ერნო, ნათ

უფალო მესმასა

ძლ. შენ, მეუფეო მეუ

15 ღმრთისა სიტყუაო, ბუნებით უვნებელო,
ბუნებაჲ ჩემი მიიღე და მით ივნე
და მავნებელი ჩემი
მოჰკალ ჯუარითა და ლახურითა, რომლითა განიგუმირე,
ვითარცა კაცი,
20 ძალსა შენსა დიდებაჲ!

შენ, მეუფეო დაბადებულთა, ღმერთო,
ვითარცა კაცი შეგიწყნარა საფლავმან,
შეუცავი ნათელი
შეგიცვა ბნელმან კაცობრივითა ბუნებითა ჴორცთაჲთა,
25 ყოველთა მცველო,
ძალსა შენსა დიდებაჲ!

სიკუდილსა შენსა განმხიარულებული
მგლოვარეჲ იქმნა, ქრისტე, რაჟამს გიხილა
აღდგომილი საფლავით
30 ღმერთი ძლიერი და მეოტ იქმნა პირისაგან შენისა
სირცხჳლეული
მტერი ჩუენი ბელიარ.

დამბადებელმან მღჳძარეთამან ღმერთმან,
ვითარცა ლომმან მიყრდნობით მიიძინა
3 ბუნებითა ჴორცთაჲთა
საფლავსა შინა, არამედ აღდგა უძლეველი ძალითა

---

2 აღდგა] აღსდეგ B. 3 თაყუანის-სცეს] თაყუანის-გცემდეს B. 12—B. 18 რომლითა] რომელ B. 19 ვითარცა კაცი] ყოველთა მჴნელო B. 21 შენ, მეუფეო] დამბადებელო B. 24 ~ ბუნებითა კაცობრივთა ჴორცთაჲთა B. 28 მგლოვარე B.

*ეს ტროპარი B-ში მხოლოდ მითითებულია.

და დასცნა ძლევით
ძალნი წინააღმდგომნი.

ღმრთ. მთით ჩრდილოჲთ მაღ

ღამითგანსა

5 ძლ. მოვედით დღეს, შვილნო

დამდაბლდა მოშურნისა ცუდი სიმაღლეჲ,
ოდეს სიტყუაჲ მაღალი
აღმაღლდა ჯუარსა
და ლახურითა მოიწყლა,
10 ვითარცა კაცი
და სიკუდილითა მოაკუდინა სიკუდილი
და შვილნი მოკლულთანი
განმაცხოველნა.

შეიცვა შეუცავი სიტყუაჲ საფლავმან,
15 უხილავი და გარე —
შეუწერელი
შეიწერა ჴორცითა
განგებულებით,
რომელმან შეძრა ქუესკნელი ჴელმწიფებით
20 და იჴსნნა მისგან ტყუენი
ადამეანნი.

ეჩუენნეს მგლოვარეთა უსხეულონი,
სპეტაკითა მოსილნი
საფლავსა ზედა,
25 რომელნი ეტყოდეს მათ:
„ნუ შესძრწუნდებით,
აჰა, იხილეთ საფლავი ცალიერი
და ქადაგეთ უფლისა
მკუდრეთით აღდგომაჲ“.

30 ღმრთ. წმიდათა უწმიდესმან სძალ

ღაღატუაჰსა

ძლ. შენ, ქრისტჱ ღმერთო ჩუენო, გა

გამოკსნად ჩუენდა მოხუედ,
დამბადებელო,
35 რომელნი შთავენთქენით
მძლავრებით მტერსა,

---

2 ძალნი—B. წინააღმდგომნი + თჳსნი B. 6 სიმაღლე B. 8 ამაღლდა B. 13 განაცხოველნა B. 30 მოვედით დღეს შ B.

ვეშაპსა კაცისმკლველსა და მოჰკალ იგი
სიკუდილითა მით
შენითა ჯუარსა ზედა
და მაცხოვნენ ჩუენ სახიერ, კაცთმოყუარე.

5 აღდგომაჲ და ცხორებაჲ
დაბადებულთაჲ
ჯუარსა ზედა მოიკლა
მოშურნეთაგან
და დაიდვა საფლავსა, ვითარცა მკუდარი
10 დავიწყებადი
და მის თანა აღადგინნა ყოველნი მკუდარნი.

დაუკდა თავსა მათსა
სიცრუვე მათი
ჯუარისმცუმელთა მათ ცრუთა
15 და განიბნინეს
რისხვეულნი ღმრთისაგან, ოდეს საფლავით
აღდგა უკუდავი,
სასწაულთამოქმედი
ღმერთი ძლიერი, მთავარი მშჯდობისაჲ.

20 ღმრთ. ვითარცა მკეცისა მის

კურთხეულარსსა

ძლ. მძლავრმან მიმ

AB სიტყუაო, სიბრძნეო გამოუთქუმელო,
გამოხუედ მამი —
25 საგან და მოხუედ სოფლად,
რამეთუ მიხილენ ჩუენ
Გტერისა მიერ
საწყალობელად ენებითა დაცემულნი
და აღმადგინენ
30 ენებითა ჯუარსა ზედა.

რაჟამს დადვეს საფლავსა საუფლოჲ გუამი,
მაშინ ეტყოდეს
პილატეს უშჯულონი:
„ბრძანე დაფლულისაჲ მის
35 დაცვაჲ მცველითა,
ნუუკუე ღამე წარიპარონ მოწაფეთა
და განთქუან იგი,
ვითარმედ აღდგა მკუდრეთით“.

---

23 სიტყუაო+და B. 31 ~ საუფლოჲ გუამი საფლავსა B. 32 მაშინ—B. 33 პილატეს—B. უშჯულონი] ჰურიანი B. 36 ნუუკუᲗ B.

219r ეჩუენა ლოდსა ზედა, ვითარცა ელვაჲ
უფლისა ანგე —
ლოზი მომავალთა მათ
მტირალთა, მგლოვარეთა,
5 ღირსთა დედათა
და ახარა მან ქრისტეს მკუდრეთით აღდგომაჲ,
ხოლო მცველთა მათ
შესწუვიდა საშინელად.

A სამებისა ერთარსებისა თუთებაჲ,
10 გამოუთქუმელი,
მიუწდომელი ძალი
ვიცანთ ჩუენ, მორწმუნეთა,
სარწმუნოვებით
და თავყუანის-ვსცემთ დაუბადებელსა მას
15 და აღვიარებთ
აწ და უკუნისამდე.

ღმრთ. ჟამსა სამჟამისასა მიიღეს

აკურთხევდითსა

ძლ. სამსახეობაჲ. სამებისაჲ სამთა მათ

AB 20 რომელი პირველ
ზეცით გარდამოვარდა,
ვითარცა ელვაჲ ქუეყანასა, მან დამაბნელნა
და დამცნა ედემს,
არამედ მკსნელი ჩუენი
25 შემეწია ჩუენ და დასცა იგი ჯუარითა
და მის მიერ დაცემულნი
აღმადგინნა ჩუენ.

რომელი პირველ
ისრაჱლთა ბანაკსა
30 უძღოდა უდაბნოს სუეტითა ცეცხლისაჲთა
და აგრილობდა
ღრუბლითა ნათლისაჲთა,
დღეს შვილთა მისთა დასაჯეს ჯუარსა ზედა
და დაფარეს დაფლვითა
35 საფლავსა შინა.

A ქაცებაჲ, პირველ
ხისაგან დაცემული,
აწ აღდგა ძელისა მის აღმართებითა,
რომელსა ზედა

17 ჟამსა... მიიღეს] წუმად საწმი B. 22 ქუეყანასა+ზედა B. 23 ედემს+შინა B. 25 და—B. იგი—B. 26 და... დაცემულნი—B. 27~ჩუენ აღმადგინნა B.

ივნო მკსნელმან კორციოთა
და დაფლვითა მით სამ დღე საფლავსა შინა
მოკლა უკუნისამდე
კაცთა მაცთური.

AB 5 მოასწავებდა
უფალი ჰურიათა
დაფლვასა თჳსსა და სამ დღე აღდგომასა:
„დაარღჳეთ თქუენ
დიდი ესე ტაძარი,
10 დაჰკსენით და მე სამ დღეჲ აღვჰმართო იგი“,
ხოლო უმადლოთა მათ
ვერ გულისხმა-ყვეს.

ღმრთ. მოგუასწავებდეს პირ

ადიდებდითსა

15 ძლ. გიხაროდენ შენ, წმიდაო დედოფალო. დედათა დი

ბუნებით ღმერთმან
ბუნებაჲ კაცობრივი
შემოსად ჯერ-იჩინე,
ღმრთისა სიტყუაო,
20 და მითვე ბუნებითა მიეცი ვნებად,
რაჲთა განჰკურნნე
ენებანი მისნი და მარადის გალობით შენ გადიდებდეს.

რომელი ჩუენთჳს
კაც იქმნა ღმრთისა სიტყუაჲ,
25 შეურაცხ-ყო ჰეროდე
და ერმან მისმან,
ხოლო პილატე მისცა ბოროტის მზრახთა
ჯუარსცუმად და ვნებად,
რაჲთა მოკლან უკუდავი და დადვან საფლავსა,
30 ვითარცა კაცი მოკუდავი.

შური იძია
ღმრთის მოძულეთა მათგან,
აღდგა რაჲ ქრისტე მკუდრეთით
და მიაგო მათ
35 სამართლად მრჩობლი იგი მისაგებელი,
განასხნა რისხვით
პირისა მისისაგან და წარმართთა გჳწოდა
სასუფეველსა.

---

7 თჳსსა და—B. აღდგომასა+და ეტყოდა B. 10 დღე B. ავჰმართო B. 11—12 ხოლო... გულისხმა-ყვეს] ხოლო უწოდა. ტაძრად გუამსა თჳსსა B. 13 მოგუასწავებდეს პირ] მოვედით B. 22 ვნებანი] ეენებელმან ენებანი B. მისნი] პირველნი; და... გადიდებდეს] მამჱსა ჩუენისა ადამისნი B. 27 ბოროტისა B. 30 ვითარ B. 33 აღდგა რაჲ] აღ-რაჲ-დგა B.

შენ, მეუფეო,
ანგელოზთა უფალო,
ღმრთეებით უხილავო,
კაცთმოყუარებით
5 შეიწირე დღეს ჩუენ უღირსთა გალობაჲ
მონათა შენთაჲ,
რომელნი მაცხოვნენ ჩუენ ჯუარსცუმითა, დაფლვითა
და აღდგომითა.

ღმრთ. შენ სამებაო, ღმრთეებრ მიუწ

243r 10 დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე.
უფ. ღალატუავსა. ჰმაჲ ბ ბუერდი. სხუანი.
ქრისტე, შეიწყალე სტეფანე. თჳთნი*

104

რაჟამს მოხუედი
ზეცით ქუეყანად, მკსნელო ჩუენო,
15 და ინებე შენ
შობაჲ საშოჲსაგან უბიწოჲსა,
ცხოვრებისათჳს
ადამის ნათესავისა
შეცთომილისა, მრავალმოწყალე,

20 ჯუარს-ეცუ ჯორცითა
ბუნებით უვნებელი ღმრთეებაჲ,
შთაჰკედ ქუესკნელად
და განაქარვე მთავრობაჲ ბნელისაჲ
და აღადგინე
25 ბუნებაჲ კაცთაჲ, დანთქმული
243v |ბუნებაჲ კაცთაჲ და გადიდებდა.

რაჟამს დაეფალ
მაცხოვარ, გულსა ქუეყანისასა,
ცანი იგლოვდეს
30 და აღივსნეს მნათობნი მწუხარებითა,
ხოლო განათლდეს
ბნელისა მყოფნი ნათლისა
უხილავისა ბრწყინვალებითა.

საგლოველ იყო
35 მიხედვად პირსა მგლოვარეთასა,
რაჟამს ტიროდეს

---

8 ჯუარცუმითა+და B.
* A:S 425, 243r-v.

ფურცლის ქვემო კიდეზე მიწერილია: „მინჩხი“. სტეფანეს მოხსენიება ამ სტიქარონის სათაურში გამოწვეულია იმით, რომ იგი კრებულის შემდგენლის — მიქაელ ჰოცრეკელის ჭოძღვარია. იხ. ამის შესახებ ზემოთ გვ. 50.

მწუხარედ, აღვსებულნი ცრემლითა
და ეძიებდეს
გუამსა მას სამეუფოსა
სამ დღე კაცთაებრ მკუდრად შერაცხილსა.

5 საღმრთოჲ საფლავი
ცხოვრება გუექმნა ჩუენ, მორწმუნეთა,
რომლისაგანცა
აღმობრწყინდა მზეჲ სიმართლისაჲ
და განანათლნა
10 კიდენი ქუეყანისანი
აღდგომისა მისისა მადლითა.

აღჰმაღლდი ზეცად
თანამფლობელი მამისა და სულისაჲ
და შეაერთე
15 კაცებაჲ ღმრთეებასა, მოწყალე,
და აღიყვანე
საღმრთოსა დიდებასა
ადამ, დანთქმული ნათესავითურთ.

რაჟამს მოხვდე
20 განშჯად, მსაჯულო სიმართლისაო,
მიკსნენ, სახიერ,
საშჯელთა მათგან საუკუნეთა
და ღირს ყვენ სულნი
მიცვალებულნი წიაღთა
25 აბრაჰამისთა და განუსუენე.

შეურვებული
გულითა, მგლოვარე გონებითა,
ეგლოვდა ძესა
თჳსსა ჯუარცუმულსა ღმრთისმშობელი,
30 ესე დღეს აღდგა
საფლავით, ვითარცა ღმერთ არს,
იხილე უსძლოო და გიხაროდენ!

შეუხებელმან
საღმრთომან ცეცხლმან უსხეულომან
35 არაჲ აღაგზნა
მსგავსად მაყულისა წმიდაჲ ქალწული
და განაკურვნა
ძალნი ზესკნელს ცათანი,
ვითარცა მოსე — მთასა სინასა.

ს ა თ ვ ე ო ნ ა წ ი ლ ი

იანვარსა იდ. წმიდათა მამათა სინელთა და რაჲთელთაჲ და მსგეფსი განცხადებისაჲ. ჰმაჲ ა გ´ი*

244 ძლ. გიხაროდენთა ზედა

5 გიხაროდენ ღმრთისმოყუარენო 105
და საღმრთოჲთა მადლითა განმტკიცებულნო,
ღრუბელნო,
სავსენო სულისა წმიდისა ცუარითა
და მაგრილებელნო
10 საყურძენსა მას
ქრისტეს
მოციქულთა დანერგულსა სოფელსა შინა,
თქუენ ხართ სუეტნი
სულიერნი, ცად აღწევნულნი
15 და ცათა შინა
წინაშე ღმრთისა მდგომელნი,
ანგელოზთა მოდასენო
სანატრელნო მამანო,
მომიკსენენით ჩუენცა
20 წინაშე ღმრთისა, ყოლად ქებულნო,
რაჲთა
ჩუენცა ღირს მყვნეს
პოვნად წყალობასა მისსა
თქუენ თანა, წმიდანო.

25 ვითარცა ხატნი უკორცონი,
ჯორციתა გამოხატულნი, სოფელსა შინა
გამოსჩნდით,
ნების მყოფელნო სულისა წმიდისანო
და ყოველთა კაცთა
30 სახე ექმნენით
სიმჯნით,
მოღუაწებითა საღმრთოჲთა, ღმერთშემოსილნო,
ციბედ გაქუნდა

* A:Ath. 58, გვ. 244—245
საგალობლის დასაწყისთან აშიაზე მიწერილია „მინჩ“.

ცად აღმყვანებელად სიმდაბლე,
ლოცვაჲ ძლიერი
და მარხვაჲ სამარადისოჲ,
რომელმან შეგიყვანნა თქუენ
5 თუალით უხილავთა მათ
საყოფელთა, სავსეთა
ყოლად ყოვლითა სურნელებითა
და აწ
ეეედრენით
10 ქრისტესა მოცემად ჩუენდა
დღეს დიდი წყალობაჲ.

შფოთთა სოფლისათა მოჰრიდეთ
და საწუთროჲსა საცთურსა განეშორენით,
სიმდიდრე
15 და განსუენებაჲ კორცთაჲ მოიძულეთ თქუენ,
ჭურნო რჩეულნო,
მნენო ქრისტესნო,
ღირსნო,
უდაბნოჲსა სამკაულნო პატიოსანნო
20 და გამოსჩნდით
კორცითა სწორად უკორცოთა
და მსგავსად მზისა
ჰბრწყინევდით თქუენ ქუეყანასა,
ხოლო აწ ცათა შინა
25 წინაშე მდგომარე ხართ
სამებისა წმიდისა
წმიდათა თანა ანგელოზთა
და აწ
ეეედრენით
30 ქრისტესა მოცემად ჩუენდა დღეს
დიდი წყალობაჲ.

245 |ეშმარიტად პატიოსან არს
წინაშე ღმრთისა მისთჳს მოკლულთა სიკუდილი
და კუალად
35 ვნებათაგან განწმედილთაჲ მოღუაწებითა
უპატიოსნეს არს,
ამისთჳსცა დღეს
ღირსთა
მამათა უგალობდეთ, რომელნი განშუენდეს
40 ღვაწლთა მიერ
და განბრწყინდეს სისხლთა დათხევითა
და ანგელოზთა
თანა ზეცას იხარებენ,
რომელთა მოქალაქობაჲ
45 მოიგეს კორცთა შინა

და ყოველნი ბანაკნი
უხილავთა მტერთანი აოტნეს
და აწ
ევედრებიან
5 ქრისტესა მონიჴებად ჩუენდა
დღეს დიდი წყ[ალობაჲ].

გიხაროდენ, ღირსნო მამანო,
ყოლად ქებულნო, ღმერთშემოსილნო, რამეთუ
სიჩჩოჲთგან
10 სიბერემდინ წარჰმართენით სათნოებანი
და სახე გუექმნენით
მოღუაწებისა,
მკნენო,
მკუდარ იქმნებით კორცითა და ცხოველ—სულითა,
15 სიმტკიცითა
ღმრთისმსახურებისაჲთა — უძლეველ,
ამისთჳს მოსრვაჲ
ბარბაროზთაჲ ახოვნებით
დაითმინეთ, დიდებულნო,
20 და შჯულიერად იღუაწეთ,
ქრისტესა ევედრენით
მარტჳლთა თანა, მოწამენო,
რაჲთა
მეოხებითა
25 თქუენითა მოგუანიჴოს შენდობაჲ
ცოდვათა ჩუენთაჲ.

110r თთუესა იანვარსა ი˜თ. ჴსენებაჲ ღმრთივ გჳრგჳნოსანისა
მეფისა თევდოსი მორწმუნისა სასწაულთამოქმედისაჲ.
ჴმაჲ ა გუერდი*

30 ძლ. სუფევს ღმერთი წარმართთა

106

სიბრძნით განმგებელო იესუ,
სიტყუაო დაუბადებელო,
დაბადებულნი გადიდებენ
მამისა თანა სულით წმიდითურთ მარადის
35 დაუდუმებელად,
გიგალობენ ანგელოზნი
და გამონებენ ადამეანნი.

სუფევაჲ შენი სუფევა არს
უკუნითი უკუნისამდე,

* A:S 425, 110r—111v.

ამ გვერდის ბოლო მინაწერია „†. ი[ო]ვანე მინჩხისანი. ქრისტე, განუსუენე სულსა მისსა“.

შენ გადიდებენ, ქრისტე,
ერნი ზაცისანი, სულნი უკორცოთანი,
შენ მოსცემ ლოცვასა
მდაბალთა ქუეყანისათა,
5 მორწმუნეთა, სათნოთა შენთა.

რაჟამს იყო ურვასა შინა
უმწყემსოვებისა ზრუნვასა
ერი იგი სამწყსოჲ ქრისტჲსი,
მაშინ მოვიდა მათა კაცი ღმრთისაჲ,
110v 10 |რომელი ეტყოდა:
„ევედრენით ღმერთსა ფრიად
და მოგცეს თქუენ მწყემსი კეთილი“.

მაშინ იწყო მარხვად და ლოცვად
სიმრავლემან მორწმუნეთამან,
51 ერთობით კმობდეს ქრისტეს მიმართ:
„მოჰხედე, მკსნელო, ვენაკსა ამას შენსა,
რომელი დაასხი
ჯელითა პირველ მეფისა
კოსტანტინე მორწმუნისაჲთა“.

20 ესმა ღმერთსა კმაჲ ვედრებისა
მორწმუნეთა თჳსთა თხოვისაჲ,
შეიწირნა ლოცვანი მათნი
და მოსცა მათ სარწმუნოჲ და გონიერი
თევდოსი მართალი
25 სათნოდ მეფედ და წინამძღურად,
ვითარცა დავით ისრაჵლთა.

სამოელ წინაჲწარმეტყუელმან
სცხო დავითს მწყემსობასა შინა,
ხოლო აწ თევდოსის მართალსა
30 სიგლახაკესა შინა სულმან წმიდამან
სცხო გონიერებაჲ,
გარდაცვალა გული მისი
და მეფეჲ ყო იონთა ზედა.

შრომანი შენნი სულიერნი
35 და კეთილნი სათნოვებანი
და გულისა სიწრფოვებანი,
დიდო თევდოსი, იხილნა-რაჲ მაღალმან,
მოხედვა ყო წყალობით,
რომელი ჰხედავს მდაბალთა
40 და გადიდა სულით და ჯორცით.

ღმრთ. საღმრთოსა ტაკუკსა წ

ვითარცა ებანი კმატკბილი,
შუენიერი დღესასწაული შენი წმიდაჲ
ენითა შემასხმელთა ღმრთისმეტყველთა მგალობელთაჲთა
5 დღეს ოხრის კმამაღლად
ეკლესიასა
შინა
შენთა მათ სათნოვებათა და სიმდაბლეთა,
ღმრთისმსახურო
10 და მის მიერ პატივცემულო,
დიდო მეუფეო, თევდოსი ღმერთშემოსილო,
რამეთუ სახე ექმენ
შემდგომთა მათ მეფეთა
და რომელნი გემსგავსნეს,
15 იშუებენ ედემს შინა შენ თანა,
ღმერთსა
ეეედრე აწ
მონიჭებად სულთა ჩუენთა დღეს დიდი
წყალობაჲ.

20 უგალობდითსა

ძლ. ეტლთა სიმრავლეჲ მ

ქრისტეს მოყუარეო თევდოსი,
ვერ შემძლებელ ვართ ჩუენ
შემსგავსებით ქებასა
25 სათნოვებათა შენთასა,
არამედ მადლი შენი შემეწიენ
მგალობელთა და ვადიდოთ
კსენებაჲ შენი.

შიში ღმრთისაჲ გაქუნდა მარადის,
30 ნეტარო თევდოსი,
და მით მოიძულე შენ
ყოველივე ნებაჲ კორცთაჲ
და ვითარცა უკორცო იქცეოდე,
რომლისათჳსცა საცნაურად
35 გადიდა ღმერთმან.

ღმრთისა მამისა სიმდიდრეო,
გიყუარან გლახაკნი
და აცხოვნებ მდაბალთა,
რომელმან აღამაღლე დღეს
40 შენთჳს ნათესავთაგან უცხოქმნული,
შენთჳს დაგლახაკებული
ღირსი თევდოსი.

ღმრთ. დაჰკსნ

მოიხილესა

ძლ. მივსცეთ, ერნო, დი

ვინ არს, რომელსა ჰნებავს ცხორებაჲ
და უყუარან მას ხილვად.
5 დღენი კეთილისანი?!
მარადის იქცეოდენ კრძალულად,
სიმართლით და სიმდაბლით
და სიწმიდით წინაშე ღმრთისა,
რამეთუ ჰხედვენ უჩინოთა
10 და ცხადთა საქმეთა
თუალნი მისნი დაფარულთა მხედველნი.

აღიღო უღელი იგი ტკბილი
უფლისა იესჲსი
სიყრმითგანვე თევდოსი,
15 შეუდგა კუალსა მოციქულთასა,
შეიყუარა მან ღმერთი
და ღმერთმან შეიყუარა იგი,
გჳრგჳნოსან ყო და ადიდა
საწუთროსა ამას შინა
20 და საუკუნოდ უკუნისამდე.

ღმრთისა შიშმან უშიშ ყვნის მოშიშნი,
გონებაჲ სულთა მიმართ
ბოროტთა, უკეთურთა
და სული ღმრთისა ძლიერებისაჲ
25 დაადგრების მის თანა,
რომელი ვიდოდის უბიწოდ,
მართალი იყო და მოშიში
ქრისტესი ღირსი თევდოსი
და მადლი მისი დაადგრა მის თანა.

30 ღმრთ. გაკურთ

განძლიერდასა

ძლ. რომელმან დააფუძნე

გჳრგჳნი
სამეუფოჲ საღმრთოთაგან ყუავილთა,
35 რომელი
შეგითხზა სიმდაბლემან შენმან,
ვერ დააჭნო იგი
აღმაღლებამან ჯორციელებრმან,
რამეთუ უფროჲსად მოიპოე
40 სრული სიმდაბლჱ,
ღირსო თევდოსი.

ქრისტემან მოგცა მადლი სასწაულთაცა საქმედ
და ესრეთ
პატივ-გცა საწუთროსა ამას,
არამედ შემდგომად
5 სიკუდილისა უფროჲს გადიდა
წინაშე მისსა პატივცემული
მეფეთა თანა
საუკუნესა.

ყოლადვე
10 არასადა შეაპყრა თავი თჳსი
თევდოსი სიმდიდრეთა მათ გარდარეულთა,
ილოცავენ ღამეᲗ ყოველ
მარადის ფარულად სამოსლითა
პირველითა და ითხოვენ ქრისტესაგან
15 საწუთროჲსა წილ
საუკუნესა.

ღმრთ. დედაო ძისა ღ

უფალო მესმასა

ძლ. ესმა მოსლვაჲ შ

20 აღმაღლდებიან მდაბალნი სულითა
და რომელთა ეშინის შენგან,
მიიღებენ გჳრგჳნსა და ესვენ
ძალსა შენსა ძლიერსა
და ადიდებენ ძალსა შენსა, ქრისტᲗ.

25 დღეს ზეცით მოვლინებულმან მფრინველმან
სამეუფოჲ გჳრგჳნი
შეჰმოსა თავსა თევდოსისსა
და გულისხმა-ყვეს ყოველთა,
ვითარმედ სთნდა იგი ღმერთსა მაღალსა.

30 რამეთუ საყდართა სამეუფოთა
ბრძანებითა მამისაჲთა,
სიყუარულითა ძისაჲთა,
სულისა წმიდისა ნებითა
ღირს იქმნა დაჯდომად თევდოსი.

35 ღმრთ. განუხრწ

111r

ღამითგანსა

ძლ. რომელმან შეიმოსე ნათელი

ყუავიან მარადის მართლმადიდებელთა მათ
ქრისტესმოყუარეთა მეფეთანი
40 საღმრთონი სათნოვებანი —

სიწმიდე, სიმშჯდე და სიმდაბლეჲ
და გლახაკთმოწყალებაჲ.

შენ თანა დაიმკჳდრა სულმან სახიერმან,
ვითარცა დავითს მამათმთავარსა
5 და ვითარცა-რაჲ სოლომონს, მოგცა
სიბრძნეჲ უზეშთაესი,
ღმრთისმსახურო თეოდოსი.

დაგამორჩილნა მდინარენიცა ქრისტემან,
ღმერთშემოსილო, დიდო თეოდოსი,
10 მიუწერე შენ ნილოსსა
და მოუწოდე, რაჲთა მორწყოს
ქუეყანაჲ წყურიელი.

ღმრთ. დაჰკს

ღაღატყავსა

15 ძლ. შთავრდომილი სიღრ

ერნი იგი ურიცხუნი,
შვილნი სიონისანი,
სიონს შინა შეკრებულნი
ილოცვიდეს დაუდუმებელად
20 სამ დღე და
სამ ღამეჲ ცრემლითა,
უკმობდეს ღმერთსა მოწყალესა,
რომელი ჴმა-სცემს კეთილად
ჴმასა მოშიშთა მისთასა.

25 მიიღებენ მართალნი,
ქრისტეს ნების მყოფელნი
აღთქუმასა მას ჴეშმარიტსა
პირითა მით უტყუველითა,
ვითარცა
30 თჳთ ბრძანა ქრისტემან-
ას წილად აქა პატივი
და მერმე საუკუნესა
მკჳდრ ყოფაჲ სასუფეველსა.

მეფეთა სიმტკიცეო,
35 მთავართა დიდებაო,
უძლურთა ძლიერებაო,
მდაბალთა აღმამაღლებელო,
გლახაკთა განმამდიდრებელო,
სათნოდ სიგლახაკესა შინა

თევდოსი შარავანდედ ჰყავ,
მართლგანმგებელო უფალო.

. ღმრთ. ტაკუკი ხარ

კურთხეულარსსა

5 ძლ. უფროჲსად აღმად

ქრისტემან, ღირსო თევდოსი,
მოგცა მწყემსად სამწყსოთა
თჳსთა
და განმხიარულდეს დღეს,
10 რამეთუ ჰეშმარიტად
სადა არნ მწყემსი კეთილი,
მუნ მხიარულ არნ სამწყსოჲ იგი.

ვითარცა ეკლესიასტჱ,
იყავ შენ სიბრძნითა საესეჲ,
15 მართლგანგებით მსაჯული,
ობოლთა მწყალობელი,
შემწეჲ დაწუნებულთაჲ
და მსაჯული ქურივთაჲ.

ვითარცა მზისა ნათელმან
20 განანათლნა გონებანი
შენთა მგალობელთანი,
შუენიერო თევდოსი,
ყოველად საგალობელმან
დღესასწაულმან შენმან.

25 ღმრთ. ერთი გუა

აკურთხევდითსა

ძლ. შენ. მხოლოსა დაჰ

დღეს ადიდებენ
ანგელოზთა კრებულნი
30 დღესასწაულსა შენსა, ნეტარო თევდოსი,
მეფენი და მთავარნი ჩუენ თანა იტყჳან:
„ვაკურთხევდეთ ქრისტესა უკუნისამდე".

იხილნა ღმერთმან
დაფარულთა მხედველმან
35 დაფარულნი და ცხადნი 'შენნი სათნოებანი
და გამოაბრწყინვა, ვითარცა ნათელი მზისაჲ
სიმართლეჲ შენი, პატიოსანო მეფეო.

არა ხუდოდე
მდიდართა თანა, არცა

იქცეოდე უღირსთა თანა, თევდოსი,
არამედ დამსდაბლდი და აღგამაღლა ქრისტემან
საყდართა ზედა ქალაქსა სამეუფოსა.

ღმრთ. შენ ხარ სამებაჲ, გარეშეუ

5 ადიდებდითსა

ძლ. ესაია, მხიარულ იყავ, ქალ

დადვა მდინარეთა ზედა
მარჯუენე შენი ქრისტემან,
თევდოსი, და ყოველსა
10 ქუეყანასა
განსცა ჴმაჲ შენი
და ურიცხუსა იონთა ერსა
დასცა ზარი შენი
და შიშნეულად
15 გერჩდეს ყოველნი.

აეროვნებაჲ პირისა
შენისაჲ და სიმკლეჲ გუამისაჲ
წამებდა სულიერთა
სიმჯნით შრომათა
20 შენთა, თევდოსი,
ხოლო სიმდაბლით ქცევაჲ შენი —
უბიწოვებასა
შინაგანისა
გონებისასა.

25 საწუთროსა ამას შინა
კეთილად პატივ-გცა ქრისტემან
და მერმე საუკუნოდ
მიგიწოდა
წმიდათა თანა,
30 დიდებითა და პატივითა
გჯრგუნოსან-გყო,
თევდოსი, ჩუენთჳსცა მეოხ გუეყავ.

პატიოსანო მეფეო,
სათნოდ ღმრთისა ჰმოქალაქობდი,
35 ამისთჳსცა აწ ღირსად
ცათა შინა
მართალთა თანა
ჰმოქალაქობ სასუფეველსა,
ეეედრე ღმერთსა
40 და მოსცეს ძლევაჲ მეფესა ჩუენსა.

ღმრთ. არაჲთუ გ

აქებდითსა

ძლ. რაჟამს იხილნა დამბა

მწყემსო კეთილო
საღმრთოთა სამწყსოთაო,
5 ღირსო მეფეო, შენ ემსგავსე მნესა მას გონიერსა
და მიიღე ტალანტი უფლისა შენისაჲ,
განამრავლე იგი
და მიუძღუანე
მრავალ ნაწილად
10 მიმნიჭებელსა.

გარე-წარჰკედ შენ
საწუთროჲსა საცთურთა,
დაღათუ გაქუნდა სიმაღლეჲ ჯორციელი, დიდებულო,
არამედ სულითა დამდაბლებული
15 ჰმსახურებდი ღმერთსა,
არაჲ შესცვალე
ტალანტი შენთა
სათნოებათაჲ.

ღმერთმან მხოლომან
20 აღამაღლა რქაჲ შენი,
ღირსო თევდოსი და გადიდა ჯორციელთა შორის
და მერმე შემდგომად მიცვალებისა
უჯორცოთა თანა
დაგამკჳდრა შენ,
25 სადა თჳთ ნათობს
ნათელი მისი.

ღირსო მეფეო,
სანატრელო თევდოსი,
მოგიგებს მეოხად
30 მეფეჲ ჩუენი — მადიდებელი შენი
და პატივ-სცემს დღესასწაულსა შენსა,
ითხოვე ქრისტესგან
და შენთანავე
გჳრგჳნოსან ყოს
35 სასუფეველსა.

უზეშთაეს ხარ
ქებულებათა, ღირსო,
და უშუენიერეს
ყოველთა სამკაულთა, ღმრთისმშობელ,
111v 40 უნათლეს მნა|თობთა სამყაროჲსათა,
რამეთუ საღმრთოჲთა
ნათლითა სავსე

მარადის ჰნათობ
წინაშე ღმრთისა.

ღმრთ. შენ, სიქადულო

112v—113v თთუესა იანვარსა კ. დასდებელნი ევთჳმი მოღუაწისანივე.
5 უგალოგდითსა. ჰმაჲ დ*

ძლ. ზღჳსა მის მეწამულისა ღელ

ქრისტესა სიჩჩოჲთგან შენით
მიგიძღუანეს მშობელთა შენთა
მსხუერპლად სულნელად, ღირსო ევთჳმი,
10 რამეთუ წინაჲთვე შობისა შენისა უწყებულ იყვნეს
მადლთა მათ შენთა
სულნელებასა.

რამეთუ ჩუეულებაჲ აქუს
ერსა მართლმადიდებელთასა
15 და იხარებენ საკსენებელსა
ყოველთა წმიდათასა და უმეტესად ღღეს იშუებენ
ღღესასწაულსა შენსა, ევთჳმი.

იხარებდეს მორწმუნეთა გულნი
მართლმადიდებელთანი, ოდეს შენ
20 იყავ, ღირსო ევთჳმი, ზეცით
მონიჭებულ სიმტკიცე მართლმადიდებლობისაჲ
და სიხარული
ეკლესიათაჲ.

ღმრთ. მიდგო

25 მოციხილესა

ძლ. ისმენდინ ქ

სულიერსა ამას
კრებასა, ყოვლად საგალობელსა,
სულისა მიერ წმიდისა მოწოდებულნი,
30 წადიერებით შემოკრებულნი ერნი
ვგალობდეთ და ვიხარებდეთ ღირსად საკსენებელსა
ღმერთშემოსილისა

---

* A:S 425, 112v—113v; B:ოერ. 42, 251r—254r

S 425-ის 112r-ზე მიწერილია „მინჩხისანი“, რომელიც როგორც ჩანს, მოტანილ კანონს ეკუთვნის (იხ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 40—43). კანონის ტროპარების დასაწყისი ასოები ქმნიან აკროსტიქს: „ქრისტე, ადიდე საურმაგ და ძეჲ მისი — მირეან“.

7 სიჩჩოჲთგან შენით] სიჩჩოჲთ შენითგან B. 9 სულნელად] სულიერად B. 16 უმეტესად ღღეს იშუებენ] აწ უმეტეს იხარებენ B. 20 ზეცით] ქრისტესგან B. იყავ] იშენ B. 21 მონიჭებული სიმტკიცე B. 31 ვგალობდეთ] უგალობდეთ B.

მამისა ჩუენისა —
მოღუაწისა ევთვმისსა.

ტაძარსა ქრისტესსა,
სადგურსა სულისა წმიდისასა,
5 წმიდათა ეკლესიათა სულნელებასა,
წინამძღუარსა უდაბნოჲს მოუუარეთასა,
ცათა შინა ანგელოზთა თანამოდასესა,
ღმრთისა საყუარელსა,
ნეტარსა ევთვმის
10 ერთობით ჩუენ პატივ ვსცემდეთ.

ელია ამკედრდა
საშინელთა ეტლთა ცეცხლისათა
და ჴორცითა აღვიდა უჴორცოთა თანა,
ხოლო ნაწილნი შენნი, ღირსო ევთვმი,
15 მოგუენიჭნეს წყლულებათა ჩუენთა საკურნებელად
და შენ ცათა შინა
სულითა მარადის
ჰნათობ წინაშე ღმრთისა.

აღუწოდა ღმერთმან
20 მოსეს სინად, მთისა თავსა ზედა
და მუნ განათლდა პირი მისი, ვითარცა მზჲ,
ხოლო შენ ზედა, სანატრელო მამაო,
თჳთ მოვიდა სული იგი სახიერი,
დაადგრა შენ თანა
25 და განგანათლა შენ
უნათლეს ნათელსა მზისასა.

დამდაბლდეს, რომელნი
მაღლად რაჲ იტყოდეს სიცრუვესა —
ბოროტად შეცთომილნი ბილწნი მწვალებელნი
30 და აღმაღლდეს მართლმადიდებელნი,
ოდეს-იგი აღიზარდე ნერგი უდაბნოს,
სუეტი და სიმტკიცეჲ
სარწმუნოებისაჲ,
დიდებაჲ ეკლესიათაჲ.

35 ღმრთ. საღმრთოსა ვე

---

6 უდაბნოჲსა B. მოუუარეთასა] მყოღთასა B. 10 ჩუენ] ეოგლნი B. 18 ღირსისა] ქრისტესა B. 20 სინად] სინას B. 23 მოვიდა+ზეცით B. 26~მზისა ნათელსა B. 27 რომელნი] ეოველნი B. 30 აღმაღლდეს] განმხიარულდეს B. 31 ეკლესიათა] ეგიწოჲ B. 32 სიმტკიცჲ B. 33 სარწმუნოებისაჲ B. 34 და დიდებაჲ B.

განძლიერდასა

ძლ. იხარებს ეკ

AB იხარებს ეკლესიაჲ
და ჰმადლობს ღმერთსა შენთჳს, ევთჳმი,
5 რამეთუ მოენიჭე
სიმტკიცე მართლმადიდებლობისაჲ.

დამბადებელმან გიცნა
საშოსავე დედისა შენისასა,
შუენიერო ევთჳმი,
10 და განგიკუთნა შობით შენითგან.

ეძიებდი გონებითა
და ჰრბიოდე სარბიელთა ცისათა,
სული წმიდაჲ გიძღოდა
და მისწუდებოდე მიუწდომელსა.

A 15 სამებისა ნათლითა
ჰნათობდი, ღირსო, ყოველსა სოფელსა,
ჰბრწყინევდი რაჲ სანთელი
მაღალსა მას ზედა სასანთლესა*.

ღმრთ. შენ, მხოლოჲ, ხარ მი

20

უფ. მესმასა

ძლ. იხილა რაჲ ეკლესიამან

113r |არაჲ ირწმუნებდეს უღმრთონი**,
უგულისხმონი მკსნელსა ორითა ბუნებითა,
ხოლო ნეტარი
25 ევთჳმე შეასწავებდა
შეურწყმელად ღმრთეებისა
და კაცებისა შეერთებასა.

უფალმან ძალითა ძლიერმან
მოგცა, ევთჳმი, ძალი სულთა ზედა ბოროტთა
30 და განასხემდი მათგან,
რომელთაცა სტანჯვიდეს,

---

4 შენთჳს+ღირსო B. 5 მოენიჭ B. 6 სიმტკიცჱ B. 8 დედისა შენისასა] შინა მშობელისასა B. 10 განგიკუთნა] განგითჳსა B. 11 გონებით B. 12 სარბაელთა ცისათა] ზესკნელთა სარბიელსა B. 22 უღმრთონი] უცებნი B. 26 შეურწყუმელად B. 31 რომელთაცა] რომელთა B.

* ეს ტროპარი არ არის B-ში. ** ეს ოდა B-ში იწყება შემდეგი ტროპარით:
„საშოჲთვე დედისაჲთ წმიდა გყო
სულმან წმიდამან და სავანედ თესა შეგმზადა,
ღირსო მამაო,
რომლისათჳს სასწაულთა
საკჳრველთა იქმოდე
უაღრეს ბუნებისა, ევთჳმი“.

განთავისუფლებოდეს
და ადიდებდეს ძალსა ქრისტესსა.

რაჟამს მოაკლდენ მნათობნი
ნათელსა ამას მერმე აღსასრულსა ჟამთასა,
5 ხოლო შენ, ღირსო
ევთუმი, არაჲ მოაკლდე
ნათელსა ბრწყინვალესა,
თუალთშეუდგამსა სამებისასა.

ღმრთ. უქორ

10 ღამითგანსა

ძლ. შენ, უფალო, ნა

მო-რაჲ-ჰხუედი
ჴევსა მას უვალსა, საშინელსა,
განიხარე გონებითა
15 ხილვაჲ მისი, ევთუმი,
სწორად სამოთხისა, ღირსო.

აღაშენე
ნეალავრაჲ ნებითა ღმრთისაჲთა
და მას შინა განამრავლენ
20 მსგავსნი შენნი, მამაო,
ნების მყოფელნი ღმრთისანი.

გძულდა ფრიად
საწუთროჲ ესე წარმავალი
და გიყუარდა საუკუნოჲ,
25 სადა-იგი აწ მკჳდრ ხარ
და სუფევ უკუნისამდე.

დაუტევე
ნებაჲ კორცთაჲ და შეუდეგ ღმერთსა,
ევთუმი, და მიემთხუე
30 საღმრთოთა მათ კეთილთა,
ჩუენგან მოუკლებელთა.

ღმრთ. შენ საჭურველი ხარ

ღალატუავსა

ძლ. გალობით, ჴმითა სიხა

35 აღიესნეს
საყნოსელნი ჩუენნი სულნელებითა

4 ამას] მას B, მერმე B. 8 სამებისასა] ღმრთეებისასა B. 12 მი-რაჲ-ხუედი B. 13 უვალსა] ღრმასა+და B. 16 სამოთხისა] ანგელოზთა B. 18 ნეალავრაჲ] ლავრაჲ+დიდი B. 21 ღმრთისანი] ქრისტესნი B. 23 ესე+მსწრაფულ B. 25 სადა-იგი] სადა B. მკჳდრ] დამკჳდ რებულ B. 26 ჰსუფევ B. 31 მოუკლებელთა] მოეგონებელთა B.

მადლთა შენთაჲთა, ევთჳმი,
და ეკლესიამან
შეიწყნარა დღეს,
ვითარცა ალოჲ სულნელი
5 შენთა სიწმიდეთა ქებაჲ.

ძლიერი
შური გაქუნდა შენ, ვითარცა ელიას,
პატიოსანო მამაო,
რამეთუ აღეგზენ,
10 ვითარცა ცეცხლი
საღმრთოჲ მწვალებელთა ზედა
და შესწუენ ენანი მათნი.

ეჰა შენ,
კაცთა შორის ანგელოზო
15 ევთჳმი, რაჲ-მცა სიტყუაჲ მოვიპოვეთ
სიწმიდეთა შენთა
შემსგავსებული,
რომლითამცა ღირსად ვაქეთ
დღეს საკსენებელი შენი.

20 ჲქების
შუენიერად დღესასწაული შენი
მოყუარეთა შენთა მიერ,
მართალო ევთჳმი,
და ანგელოზნი
25 მგალობელთა გალობასა შესწირვენ
წინაშე ღმრთისა.

ღმრთ. უვაღრეს,
უზეშთაეს არს ყოველთა სასწაულთა .
ქალწულისა მუ

30 კურთხეულარსა

ძლ. საკუმილსა შინა აბრამეანნი ყ

მიიღო მრჩობლი
მისაგებელი გლახაკისა მისთჳს,
რაჟამს ფუცა ურწმუნომან
35 კადნიერად
საფლავსა ზედა ევთჳმისსა
და განიპატიჟა მწარითა მით სენითა საწყალობელი.

ითხოვა შენგან
სარწმუნოებით კურნებაჲ, ევთჳმი,

3 შეიწყნარა დღეს] აკუმია ღირსად B. 10—11 ~ საღმრთოჲ ცეცხლი B. 19 დღეს საკსენელი] ჩუენ დღესასწაულ B. 20 ჲქების B. 21 შუენიერად... შენი] შუენიერი შენი დღესასწაული B. 27 უაღრეს B. 37 მწარითა] მეორითა B. 39 სარწმუნოებით B.

და მწრაფულ მოიღო ლხინებაჲ
ჭაპუკმან მან
და განძლიერებულმან კმა-ყო:
„კურთხეულ ხარ, ღმერთო,
5 ტაძარსა მას სიწმიდისა შენისასა“.

სულმან წმიდამან
არწმუნა ურწმუნოთა მადლი შენი
ნათლის მიცემად ბარბაროზთა,
სანატრელო,
10 და განათლებულნი იტყოდეს:
„კურთხეულ ხარ, ღმერთო,
ტაძარსა მას სიწმიდისა შენისასა“.

იხარებენ დღეს
მნათობნი, ელვენ აერნი
15 ბრწყინვალედ, ქუხან კმატკბილად
ღრუბელნი თავთა ზედა
მაღალსა ეკლესიათასა
ყოვლად საწადელსა
კსენებასა შენსა დღეს, ღირსო ევთუმი.

20 ღმრთ. გიხაროდენ შენ, ღმრთისმშობელო

აკურთხევდითსა

ძლ. კელთაგან

მიიხუენ მცნებანი ქრისტესნი
და გამოიწერენ გონებასა შენსა
25 და აღასრულენ ყოვლითა
ძალითა შენითა, ნეტარო,
და მსგავს შენდა ჰყვენ მარტოდ
ცხოვრებულნი და კმა-ყვეს:
„აკურთხევდით
30 ყოველი საქმენი
უფლისანი უფალსა“.

იქცეოდე შენ მკეცთა თანა
ველურთა უშიშად,
ძალითა ღმრთისაჲთა
35 და უბოროტესთა მათ
მკეცთა ჰბრძოდე მწვალებელთა,
ევთუმი, დაუყვენ პირნი

---

1 მსწრაფულ B. მოიღო] მოიღო B. 2 ჭაპუკმან B. 3 ნათლის მიცემად] ნათელ-სცემდი B 9 სანატრელო] სიმრავლესა B. 14 პაერნი B. 16 თავთა] მთათა B. 17 მაღალთა B. 24 გამოიწერენ] გამოსწერენი B, გონებასა] გულსა შინა B. 25 აღასრულენი B. 26 ძ ლითა] გულითა B. 27 ჰყვენი B. 36 ჰბრძოდე B. 37 პირნი+მათნი B.

და მართლმადიდებელთა კმა-ყვეს:
[„აკურთხევდით
ყოველნი საქმენი
უფლისანი უფალსა“].

5 რამეთუ გრწმენა სასოვებით
უხილავი იგი ზეცისა დიდებაჲ,
რომელ განუმზადა ქრისტემან
მოყუარეთა თჳსთა, ევთჳმი,
და მას დაგამკჳდრა სულმან
10 წმიდამან და კმა-ჰყავ:
„აკურთხევდით
ყოველნი საქმენი
უფლისანი უფალსა“

ღმრთ. ყოველთა ნ

15 ადიდებდითსა

ძლ. ლოდი საკი

ელვარე სულითა, ევთჳმი,
ჰნათობდი ქუეყანასა ზედა,
ხოლო ოდეს განხუედი ჯორცთაგან,
20 განჰვლენ ცანი სათნოვებათა კიბითა
და მიიწიე, წმიდაო,
წინაშე ღმრთისა
გჳრგჳნოსანი.

აღჰყვანდა რაჲ ანგელოზი
25 სული შენი — მსხუერპლი ქრისტესი,
ნათობდა, ვითარცა მზეჲ ბრწყინვალჱ
და შიშით გზა-სცემდეს აერთა
მცველნი, სულთა მპყრობელნი ბოროტნი
და უჯორცოთა შეგიწყნარეს შენ.

113v 30 ნათელსა სამარადისოსა,
რომლისა გსუროდა, აწ მკჳდრ ხარ,
მამაო, ნუ დამივიწყებ ჩუენ,
ევედრებოდე ქრისტესა, მჴსნელსა ჩუენსა,
რაჲთა სრულიად განაქარვნეს
35 მზაკუვარებანი მტერთა ჩუენთანი.

ღმრთ. არსებითა მიუწ

---

5 სასოვებით] უეჴუელად B. 9 და მას] ამას B. 17 ელვარჱ B. 19 ხოლო]˙და B. 20 განაღჰვლენ B. სათნოებისა B. 24 ანგელოზი] ზეცას მიჰაელს B. 25 შენი+წმიდაჲ B. ქრისტესი] ღმრთისაჲ B. 26 ვითარცა მზეჲ ბრწყინეალჱ] ჴელთა შინა მისთა B. 27—28~მცველნი ჰაერთანი B. 29 უჯორცოთა... შენ] ანგელოზნი მიგვგებვიდეს B. 33 ქრისტესა+ღმერთსა B. 35 მზაკუვარებანი] სიბოროტენი B. 36 არსებითა მიუწ] სარწმუნოებით აღ B.

აქებდითსა. დ გუერდი

ძლ. ქრისტე მეუფეო, მოსლვამან

აღიწიე ზეცად
ძლიერთა თანა ზეცისა ძალთა
5 და მათ თანა მკჳდრ ხარ, ნეტარო,
ქრისტეს მოყუარეო ევთჳმი,
და ჰსუფევ სიკეთითა
მათითა უკუნისამდე.

მამაო ევთჳმი,
10 უბიწოვებით განჰვლე საწუთროჲ,
ვითარცა ანგელოზმან ღმრთისაჰმან
და ვითარცა მსხუერპლი ცხოველი
მიუძღუანა ქუეყანამან
ცათა მაღალთა სული შენი.

15 ელვარე გყო ნების —
მყოფელთა მისთა თანა, ნეტარო —
ამბა პაველს და დიდსა ანტონის,
ღმერთშემოსილო ევთჳმი,
და ჰნათობ სასუფეველსა
20 მათ თანა უკუნისამდე.

ნუ დამივიწყებ ჩუენ
მადიდებელთა შენთა, მამაო,
მოგჳკსენენი წინაშე ღმრთისა
და ითხოვე სულთა ჩუენთათჳს
25 ცხოერებაჲ სამარადისოჲ
საუკუნოდ უკუნისამდე

ღმრთ. ქრისტეს დედა იქმენ. გამო

ფეგერვალსა გ. მიგებებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. სხუანი. [ჯმაჲ] დ*

30 ძლ. თანასწორნი

რომლისა გარემოჲს დგანან 108
ბევრეულნი ანგელოზნი,
უხილავად ჰმსახურებენ ქერობინნი,
სიტყუაჲ, კორციელად შობილი

---

2 ქრისტე... მოსლვამან] ქრისტეს მოწამენი B. 5 მკჳდრ ხარ, ნეტარო] იხარებ მარადის B. 8 მათითა] მით შენითა, ღირსო B. უკუნისამდჱ B. 10 უბიწოებით B. 15 ელვარჱ-გყო+ღმერთ-მან B. 16 ნებისმყოფელთა+მათ B, მისთა] თჳსთა B. ნეტარო—B. 18 ღმერთშემოსილო] ნეტარო მამაო B. 20 უკუნისამდე] ვიდრე უკუნისამდე B. 26 საუკუნოჲ B. 30 თანასწორნი] მჴნეონი B. 33 უხილავად] და უხილავად B.

* A:ათ. 58, გე. 291; B:იერ. 100, გვ. 9.

მითითება ავტორზე — „მინჩ“ A-ში მიწერილია კიდეზე, I ტროპარის გასწკრივ.

უმამოდ დედისაგან,
აღსრულებად თქუმულსა მას
წინაჴწარმეტყუელთასა,
დღეს ტაძრად მოვალს,
5 რაჲთა უჩუენოს სჯმეონს
განკაცებაჲ
თჳსი ქალწულისაგან
ცხორებად ყოვლისა სოფლისა.

მოხუცებულმან სჯმეონ
10 განკაცებული უფალი
იხილა რაჲ მომავალი ერსა შორის,
მირბიოდა შემთხუევად მისდა,
მიიქუა მკლავთა ზედა,
ღაღადებდა ბრწყინვალედ
15 სიღრმითა გონებისაჲთა:
„შენ ხარ მეუფე
ხილულთა და უხილავთაჲ
და სიმტკიცე
ჩუენი, რამეთუ იხილეს
20 თუალთა ჩემთა ღმრთეებაჲ შენი!“

ლამპრითა სულიერითა
სჯმეონ მართლისა თანა
განვიდეთ ჩუენ მიგებებად მეუფისა,
რამეთუ მოვიდა ღმრთეებით
25 ღრუბლითა სულმცირითა
აღსრულებად შჯულისა,
გამობრწყინვებად ნათელი
წარმართთა ზედა,
აწ შევწიროთ მისსა ქებაჲ,
30 რაჲთა ვპოოთ
მის მიერ დიდი წყალობაჲ
მოსლვასა მას მისსა დიდებით.

161v აგჳსტოსსა ᲗᲘᲒ. ფერისცვალებაჲ უფლისა ჩუენისა
იესუ ქრისტესი. უგალობდითსა. ᲰᲛᲐᲜ Ა*

35 ძლ. მხილველი ღმრთისაჲ მოსჱ

განმხიარულებულნი 109
ზჱგარდამო საღმრთოჲთა მით სასწაულითა
ქრისტეს მსახურთა მათ თანა და თუალით

---

5 უჩუენოს B. 8 ყოვლისა სოფლისა] მორწმუნეთა მისთა B. 11 ~ერსა შორის მომავალ B. 12 მისსა B. 24 ღმრთეებითა B. 32 მოსლვასა... დიდებით] დღესა მას დიდსა განკითხვისასა B. 37 ზეგარდამო BC. 38 მსახურთა] მზრახველთა B. თუალითა B.

* A:H 2337, 161v—164v; B: სინ. 56, 76v—77v; C: იერ. 42, 282v—284r. „უგალობდითსას“ გასწვრივ სინ. 56-ში აშაზე მიწერილია „მინჩხი“.

მხილველთა მოციქულთა
მკსნელსა ჩუენსა ღმერთსა უგალობდეთ დღეს.

პირველ შჯულისმდებელსა
ღრუბლით გამო ჰზრახვიდა ღმერთი უხილავი
162r 5 და მაყულო|ვანსა საუცრად ეჩუენა
ხილვითა ცეცხლებრითა
და დღეს მთასა ზედა ცხადად — ჯორცითა.

ნიავწულილსა მას შინა
თეზბიტელსა ელიას ეუწყა უფალი
10 და ჰზრახვიდა უხილავად, ხოლო დღეს
მთასა ზედა თაბორსა
ეჩუჱნა ჯორცთშესხმული განცხადებულად.
ღმრთ. ღრუბელსა სულ

მოიხილესა

15 ძლ. მოელოდა, ვითარცა

უჩუჱნა დღეს
ქრისტემან მკსნელმან
თჳსთა მოწაფეთა
მთასა თაბორსა
20 უხილავი დიდებაჲ
და ბრწყინვალებაჲ იგი ბუნებითი,
დაცკვეს ში —
შისაგან ქუეყანასა.

აღადგინნა
25 და განამტკიცნა
გონებანი მათნი,
ნუგეშინის-სცა
და აღავსნა იგინი
სიხარულითა მიუწდომელითა
30 და ჰმადლობდეს
ღმრთეებასა მისსა.

ამცნებდა მათ:
„ნუვის უთხრობთ
თქუენ ხილვასა ამას,
35 ვიდრემდის მკუდრეთით
აღვდგე საფლავისაგან,

---

2 მხილველთა] მხედველთა C. 3 შჯელისა მდებელსა C. 4 ზრახვიდა B. 5 საუცრად] იგავით B. ეჩუჱნა B. 8 ნიავწულილსა] ნიავწულილმან B. მას შინა] მყუდრომან B. 9 თეზ-ბიტელმან B. აუწყა B. 10 ზრახვიდა+მას B. 12 ეჩუენა C. ჯორცშესხმული BC. განცხადებული C. 16 უჩუენა C. 17 მკსნელმან] ღმერთმან B. 22 დაცკვეს] და დაეცნეს B. 22—23 შიშისაგან] შიშით B. 23 ქუეყანასა+ზედა B. 33 უთხრობთ] აუწყებთ B. 34 თქუენ—B. 36 საფლავისაგან] ღმრთიეშუჱნიერად B.

ხოლო მერმჱ იწყეთ განცხადებულად
ქადაგებად
სასწაულთა ჩემთა“.

ღმრთ. ძირისაგან

5 ᲒᲐᲜᲫᲚᲘᲔᲠᲓᲐᲡᲐ

ძლ. შენ, რომელმან პირველად მუც

შენ, რომელი ღმრთეებით გამოუთქუმელ ხარ.
არსებით უხილავი,
სიტყუაჲ თანასწორი
10 მამისაჲ სულით წმიდითურთ,
ბუნებითა მამულითა ნათლითა
მოციქულთა დღეს მთასა ზედა ეჩუენე, ქრისტე.

ექუსისა დღისა შემდგომად აღიყვანნა
მთასა ზედა მაღალსა
15 პეტრჱ და იაკობ
და იოვანე ქრისტემან,
რაჲთა უჩუენოს მათ ბუნებითი
იგი ნათელი და დიდებაჲ მიუწდომელი.

162r |რაჟამს განეხუნეს ცანი შენთჳს, უფალო,
20 მთაბორი და ერმონი
სახელითა შენითა
იხარებდეს, მაცხოვარო,
ხოლო მოციქულნი ზარგანკდილნი
წინაშე შენსა დაცჳვეს ქუეყანასა ზედა.

25 ღმრთ. შენ, რომელმან მზჱ

ᲣᲤᲐᲚᲝ ᲛᲔᲡᲛᲐᲡᲐ

ძლ. უსხეულოთა თანა დგა

პირველ გამოჩნდა დიდებაჲ ღმრთისაჲ
ისრაჱლთა მათ ზედა ღრუბლითა ნათლისაჲთა,
30 რომლისაგან შეძრწუნდა კრებული იგი მათი,
ხოლო დღეს მთასა თაბორსა თავთა მათ მოციქულთა
იხილეს ქრისტე — ნათელი იგი სამარადისოჲ,
მოიწინეს წინაჲწარმეტყუელნი
გარდაცვალებულნი საღმრთოჲთა წამისყოფითა,
35 რაჲთა წამონ მათ დღეს ჰეშმარიტად ქრისტესთჳს

---

1 მერმე C. იწყჱთ B. 11 ბუნებით B. 12 ეჩუჱნე B. 15 პეტრე BC. და—C. 17 უჩუჱნოს C. 19 განეხუნეს+ქრისტე B. შენთჳს] შენ ზედა B. უფალო—B. 20 თაბორი BC. 22 მაცხოვარ B. 25 მზე C. 29 ღრუბელთა შინა ისრაელთა ერსა ზედა B. 30 კრებული] ბანაკი B. იგი—B. 33 მოიჲწინეს B. 35 მათ—B. ქრისტესთჳს] მჳსნელისათჳს B.

ჴელმწიფედ მეუფებაჲ ცხოველთა და მკუდართა ზედა
და თაყუანის-სცენ თუსსა უფალსა გამოუთქუმელად.

ვინ არაჲ შეძრწუნდეს გონებითა
საშინელსა მას საკჳრველსა სასწაულსა,
5 რამეთუ ღმერთი ღმრთეებისა ბუნებითა,
ნათლითა უსხეულოჲთა ქუეყანასა გამოჩნდა
და მოწყალებით არაჲ შეწუნა დაბადებულნი.

ღმრთ. დაუსაბამოჲ

ღამითგანსა

10 ძლ. ბრწყინვალედ შუენი

რაჟამს ფერი იცვალᲗ, ქრისტე,
გამოჰბრწყინდი ნათლითა მით უსხეულოჲთა,
შეძრწუნდეს მოციქულნი
ზარისა მისგან
15 საშინელისა,
რამეთუ შესწუვიდა მათ
ცეცხლი იგი ღმრთეებისაჲ,
ხოლო შენ ღრუბლითა მით
ნათლისაჲთა დაიფარენ, სახიერ.

20 დღეს განეხუნეს ცანი ცათანი
163r და ქმაჲ იგი|მამისა დაუსაბამოჲსაჲ
ღრუბლით გამო ზრახვიდა
შენთჳს, მაცხოვარ,
და ამტკიცებდა
25 ესრეთ, ვითარმედ: შენ ხარ
ძᲗ მისი საყუარელი და
თანასწორი არსებაჲ
და ჩუენთჳს მჴსნელად მოსრული მეუფᲗ.

ვითარცა მოიწია ჟამი
30 მოციქულთა სასწაულთა ჩუენებისაჲ,
წარიყუანნა თუსაგან
და აღიყვანნა
მთასა მაღალსა
და გამოუცხადა მათ
35 დიდებაჲ იგი მამული,
რომელი აქუნდა პირველ,
უწინარეს სოფლისა დაბადებისა.

ღმრთ. სიქადულო მორწმ

---

6 ქუეყანასა+ზედა B. 11 იცვალ C. 12 გამოჰბრწყინდი] და განჰბრწ ყინდი B. მით—C. უსხეულოჲთა] უხილავითა B. 19 დაიფარენ B. 21 ~დაუსაბამოჲსა მამისა ჲ B. 25 შენ] ბუნებით B. 26 ძე BC. 29 მოაწია B. 37 სოფლისა B. 38 მორწმ] ჩუენ B.

ღალატუაბსა

ძლ. ცუდ იქმნა სიმკუ

მთასა ზედა თაბორ —
სა დღეს აღკდა სიმართლისა მზჲ
5 და ნათელი მზისა ამის დამბადებელი,
ბუნებით ღმრთეებრ მნათობი,
ანგელოსთაგან
ხილვად შეუძლებელი მბრწყინვალებაჲ,
ხატი და დიდებაჲ
10 სამარადისოჲ, ჩუენთჳს
მკსნელად განკაცებული.

ტალავარ ექმნა ღრუ —
ბელი ნათლითა შემოსილი
სიცხესა მას მზისა ნათლისა ცხოველისასა,
15 სანატრელთა მოციქულთა
და აგრილობდა,
ხოლო ზეცით კმაჲ საშინელი ესმა მათ:
„ეგე არს ძჲ ჩემი
თანასწორი და ყამთა
20 უწინარეს შობილი“.

ვითარცა წადიე —
რად მოსურნენი მორწმუნენი
გონებითა აღვიწინეთ მთასა მას წმიდასა
მოსეს და ელიას თანა,
25 თავყუანის-ესცემდეთ
დღეს ქრისტესა და მოციქულთა თანა
შევძრწუნდეთ ელვარედ
163v ხილვასა|საშინელსა
ნათლისა უხილავისასა.

30 ღმრთ. ცეცხლმან

კურთხეულარსა

ძლ. გულისწყრომასა მძლა

შორის ერსა ისრაჲლთასა
ადიდა ღმერთმან მონაჲ თჳსი მო-
35 სჲ და უბრძანა მას საქმედ

---

6 ღმრთეე ბრ] თუთ B. 7 ანგელოზთაგან BC. 8 ბრწყინვალებაჲ BC. 10 სამარადისოჲ] ღმრთისა მამისაჲ და B. ჩუენთჳს] ჩუენდა B. 11 განკაცებული] ხორცშესხმული B. 13 ნათლით B. 14 ნათლისა] საღმრთოჲსა B. 17 ზეცით+ოხრაჲ B. მათ] სასმენელთა B. 18 ძე BC. 19 თანასწორი და—B. 22 მოსურნენი] მოსრულნი B. 25 თაყუანის-ესცემდეთ BC. 26 დღეს—B. და—B. 28 სა შინელსა] ბუნებითსა B. 35 მოსე B.

კიდობანი შჯულისაჲ
ძელთაგან უპოლველთა,
რომელსა შინა
დაისხნეს ფიცარნი ღმრთივ დაწერილნი,
5 ხოლო დღეს უბრძანა აღდგომაჲ მკუდრეთით
და კუალად მხილველ ყო
განჭეშმარიტებულსა
დიდებასა მას თჳსსა.

რომელი უცხოჲთა ეტლითა
10 ჰაერთა შინა აღტაცებული
ქმნა საღმრთოჲთა ბრძანებითა —
ელია თეზბიტელი,
ესე აწ უხილავად
წამისყოფითა
15 ქრისტე საკჳრველთმოქმედისაჲთა
მეყსეულად ზეცით მოიწოდა დღეს
და აღიარებდა
ღმერთად განკაცებულად და
მეუფედ საუკუნოდ.

20 სამებისა მაქებელ იყვნეს
ალსა შინა სამნი იგი ყრმანი წმიდა-
ნი, რომელნი დაცულ იქმნნეს
მეოთხისა ხილვითა,
ხოლო დღეს სამნი იგი
25 ღმრთისმეტყუელთა თავნი
იტყოდეს საქმედ სამტალავარსა,
ღმრთისა განგებითა ეუწყებოდა
გულისკმისმყოფელთა,
ძეთა ქუხილისათა
30 სამებისა ერთარსებაჲ

ღმრთ. სამებისა ერთარსებისა

აკურთხევდითსა

ძლ. სიბრძნით სიმკჳდ

თუალით უხილავი ნათელი
35 და სასმენელთა უსმენელი,
რომელი გონებასა კაცთასა არაჲ მოუკდა
ვითარმცა ვინ გამოთქუა ჭეშმარიტად?
ესე ნათელი დღეს გამოეცხადა
საყუარელთა მათ თჳსთა მოწაფეთა

3—4 რომელსა შინა დაისხნეს] სადა ისხნეს B. ღმრთივეწერილნი B. 18 ღმერთად+და B. 19 მეუფოდ B. 21 იგი—B. 27 ეუწყებოდა] ესწავებოდა B. 30 სამებისა] სამებაჲ B.

164r და ქმა-ყვეს:|„ამაღლებულო ღმერთო,
დაბადებულთაგან
მღდელნი და მონანი
გაკურთხევენ შენ მარადის“.

5 დღეს გამოუცხადა ქრისტემან
ბუნებითი იგი ნათელი
პეტრეს, იაკობს, იოვანეს და ამცნებდა მათ:
„ნუვის უთხრობთ, რაჲ-ესე იხილეთ თქუენ,
ვიდრემდის მკუდრეთით აღვდგე უხრწნელად
10 ცხოვრებისათჳს ყოვლისა სოფლისა
და აღგავსნე სულითა წმიდითა
მგალობელნი ჩემნი,
რომელნი მიღაღადებდეთ
აწ და უკუნისამდჱ“.

15 ღმერთი ზეცით ქუეყანად მოხუედ*
და კაცნი ზეცად აღიყვანენ,
ნათელი ხარ დაუღამებელი, თჳთმნათობი
ნათლისაგან მამისა გამოსრული,
სულით წმიდითურთ თანა დიდებული,
20 შეურევნელი და განუყოფელი,
ღმერთი მხოლოჲ, კეთილისმყოფელი
შენთა დაბადებულთაჲ,
რომელნიცა გაკურთხევენ
აწ და უკუნისამდე.

25 ღმრთ. ცხორებისა სასოდ

ადიდებდითსა

ძლ. შენ, რომელმან ღმერთი, მიზეზი ყოველ

შენ, რომელი ზეცას
მამისაგან განუშორებელ ხარ —
30 სიტყუაჲ ღმრთისაჲ დაუსაბამოჲ,
დასაბამი მიიღე დაბადებულთათჳს,
განჰკაცენ და ცათა არაჲ დააკლდი,
ქრისტე სახიერო, უფალო, გალობით გადიდებთ.

შენ, რომელი ჰნათობ
35 ყოველთავე საუკუნეთა
ნათლითა მით უსხეულოჲთა,
დღეს ქუეყანასა ზედა ძენი კაცთანი ღირს ჰყვენ
ხილვად უხილავსა მას ნათელსა შენსა და
გალობით მარადის ყოველნი გადიდებენ.

---

5 დღჱს BC. 7 მათ—B. 8 ესე+აწ B. თქუენ—B. 37 ღირს ყვენ C. 38 და—C.
* ამის შემდეგ B-ში ტექსტი ცუდად ჩანს.

შენ, რომელმან დაჰკსენ
მნათობნი სამყაროსა ქუეშჲ
და ჰნათობენ ყოველსა სოფელსა,
164v დღეს|ბრწყინვალებამან ღმრთეებისა შენისამან,
5 ქრისტე, დაფარა ნათელი იგი მათი
და განათლდეს მადიდებელნი შენნი, მკსნელო.

ბნელი იგი წყუდია —
დისაჲ მყის განქარვებულ იქმნა,
რაჟამს საღმრთოჲ შანთი განჰნათლდი
10 მთასა მას მაღალსა უფროჲს ნათლისა მზისა,
ცანი და ქუეყანაჲ ერთობით იხარებენ
და ყოველივე ენაჲ გალობით გადიდებს.

ღმრთ. შენ, ყოველთა შემოქმედო, ერთო

210v
15 აგვსტოსა იᲔ. მიცვალებაჲ ყოლად წმიდისა
ღმრთისმშოგელისაჲ ქუეყანით ზეცად. სხუანი
ყოლად წმიდისა ღმრთისმშოგელისა
მიცვალებისანი, ოდესცა გინდეს,
უფალო ღაღადვყავსა. ჰმაჲ გ*

ძლ. ვითარცა-იგი პირველადვე უღაღადა

20 მთაჲ იგი ცათა მობაძავი 110
და საყდარი იგი ღმრთისა ქუეყანად მოსლვისაჲ,
რომლისა მიერ შეიერთნეს
ორნი იგი ბუნებანი შეერთებულნი
თანამდებსა მას ჴორცთა
25 ბუნებისასა დაემორჩილების,
ქუეყანით ცად მიიცვალების და
ცასა ცათასა აღმატებულ იქმნების
და სასმენელთა უსმენელსა ნათელსა
და თუალით უხი —
30 ლავსა სადგურსა დაემკჳდრების.

დღეს შეიძრნეს ზეცისა ძალნი
და განეხუნეს სამყარონი ცათა მაღალთანი,
ქუეყანად გარდამოიწოდნეს
ზეცათანი გესამანიად, ტაძრად დედუფლისა,
35 რამეთუ მოიწია
211r |ჟამი მიმკჳდელი ჴორცთა ბუნებისაჲ,

---

* A:H 2337, 210v—213r; B: იერ. 42, 295v—297r.

AB-ში საგალობლის დასაწყისის გასწვრივ აშიაზე მიწერილია „მინჩხურნი“.

1 დაჰკსენ] დაჰსხენ C. 2 ქუეშე C. 5 ქრისტე—B. 6 ~შენნი მადიდებელნი B. მკსნელო] ქრისტჲ B. 7 იგი—B. 9 საღმრთოჲ+იგი B. განჰნათლდ] განათლდა B. 10 მას] ზედა B. 11 ერთობით—B. 12 ყოველივე] ყოველი B. ენაჲ] სოფელი B. 13 ღმრთ. შენ, რომელმან გუშეე BC. 26 ცად] ზეცად B. 34 გესამანიად B.

შემოკერბით აწ ქუეყანისანი
და შეეხუენით ზეცისა მგალობელთა
და მოგზაურ ვექმნეთ გუამსა და წმიდასა
და მათ თანავე
5 ვადიდებდეთ მიცვალებასა მისსა.

დღეს წარმართთა ჯსნისა მიზეზი
და სულთა ჩუენთა ცხოვრებისა იგი კარი
ქუეყანით გარდაიცვალების,
მივიწინეთ გონებითა აწ გესამანიად
10 და ერთობით ყოველნი
სარწმუნოებით ვკმობდეთ მისა მიმართ:
„რომელი მიიცვალები დღეს
ძისა და ღმრთისა — მეუფისა შენისა
ნათელსა საღმრთოსა სამარადისოსა,
15 ნუ დამივიწყებ
წინაშე მისსა მოსავთა შენთა!“

ღმრთ. სათნო-იყო სიკე

უგალობდითსა

ძლ. რომელმან წამისყოფით

20 ნათელო ბუნებითო,
მოეც სინათლე
გონებასა ჩემსა დაბნელებულსა,
რაჲთა ღირ —
სად აღმოვთქუა ქებაჲ დედუფლისაჲ
25 უაღრეს ბუნებათა და განვნათლდეთ ყოველნი
შემოკრებულნი ესე ქებად დღესასწაულსა ამას.

მოვედით დღეს, ასულნო
სიონისანო,
დედასა თანა მეუფისასა
30 მოისწრა —
ფეთ, ზეცისა უსხეულოთა კრებულნო,
ქუეყანისათა თანა და უგალობდეთ დღეს
გარდაცვალებასა ამას დედუფლისა ჩუენისასა.

სახლი, რომელ იშენა
35 ღმრთისა სიბრძნემან —
დედაჲ თჳსი, წმიდაჲ ქალწული უბიწოჲ,
სულიე-
რი სადგური ცათა მობაძავი,
წმიდათა უწმიდესი, ბუნებათა უაღრესი,
40 დღეს აღიყვანა იგი ნათლად ღმრთეებისა თჳსისა.

---

9 გესმანიად B. 33 ამას] მას B.

211v |დედაო მჴსნელისაო,
მონანი შენნი
მგლოვარჲ ვართ მიცვალებასა შენსა,
რამეთუ
5 დღეს განგუეშორები შენ ჩუენგან და
კუალად მიხარის, რამეთუ მიხუალ სუფევად
ძისა შენისა თანა სასოჲ და მეოხი ჩუენი.

ღმრთ. ვითარმედ ჴეშმარიტად

მოიხილეთა

10 ძლ. უხილავთა მხილვე

განუმზადეს საფლავი
გუამსა ღმრთისა შემმწყნარებელსა
და მისცეს იგი დაფლვად
სამარესა, ვითარცა მკუდარი,
15 არამედ მისგან შობილმან ღმერთმან
მიიცვალა საფლავით სასუფეველად.

მიუძღუანნეს საფლავსა
ჴორცნი იგი უბიწოჲსანი,
ხოლო შიშით საფლავმან
20 მიუძღუანნა სასუფეველსა,
რამეთუ ცათა შინა ჯერ-იყო
მშობელი ცათა მეუფისაჲ.

აღიმსთობენ მთავარნი
შორის მაქებელთა ქალწულთა
25 მიცემად გალობისა
საღმრთოთა მათ დღესასწაულთა
და დღეს უფროჲსად ადიდებენ
დღესასწაულსა დედისა ღმრთისასა.

არაჲ სადა ხილულ არს
30 მშობელი და კუალად ქალწული,
არცაღა გუამი მკუდრისაჲ
ზეცად აღსლვად სამარისაგან,
არამედ ბუნებათა წარჰკედ შენ
ძისა შენისა მიერ, ღმრთისმშობელო.

35 ღმრთ. აღესრულნეს

განძლიერდასა

ძლ. ეჰა, ბერწო სუ

მოიწინეს წარყვანებად

---

3 მგლოვარე B. 9 მოიხილესა B. 12 ღმრთის B. შ.მწყნარებელსა B. 16 მიცვალა B.

სულსა უბიწოჲსასა
დასნი უკორცოთანი,
ხოლო უბიწომან სძალმან წმიდამან
არა მისცა სული
5 მოლოდებისათჳს
ძისა და ღმრთისა.

შეჰმურვიდეს ღმრთისმეტყუელნი
212r სამკუდ|როჲთა მით წესითა,
ხოლო უსჯეულონი
10 აგრილობდეს შიშით ფრთითა მათითა
და უღაღადებდეს:
„გიხაროდენ, ღირსო,
სასუფეველსა!“

გარემოჲს დგეს ქერაბინნი
15 გუამსა მას უბიწოსა,
სიწმიდით დამტევნელსა
უხილავისა ღმრთისა სიტყჳსასა
და კმითა ტკბილითა
გალობდეს მის ზედა
20 და ადიდებდეს.

ღმრთ. მსგავსებაჲ უცვ

უფალო მესმასა

ძლ. მოსლვისა შენი

მოიწია ჟამი
25 ჯორცთაგან განსლვისა დედუფლისაჲ
და ღმრთისმეტყუელნი შემოკრბებიან
ღრუბლითა და ნიავითა,
უწყებულნი სულისაგან წმიდისა.

გამოუთქუმელითა
30 სათლითა განათლდა ღმრთისმშობელი,
რაჟამს მოვიდა თჳთ მაცხოვარი
და საუფლოთა მათ ნებთა
შეიწყნარა დღეს მშობელისა სული.

ეტყოდა უფალი
35 უბიწოსა დედასა მარიამს:
„ბუნებისაებრ თანამდებისა
მოჰკუდი სოფელსა შინა,
აწ გადიდო შენ ჩემ თანა მარადის!“

მიუგო მარიამ
40 უბიწომან ცათა მეუფესა:

---

19 მის] მას B.

„გევედრები შენ, კაცთმოყუარეო,
ვითარ იგი მე მადიდე —
დაიცვენ ყოველნი შენნი მოსავნი!“

ოხრიან მაღნარნი
5 კმათა თანა ქებით შემასხმელთა,
კმა-სცემენ მთანი და ბორცუნი შიშით
და ჰაერნიცა მათ თანა
ადიდებენ დღესასწაულსა ამას.

ღმრთ. მარიამ, შენ ხარ სა

10 ᲓᲐᲛᲘᲗᲒᲐᲜᲡᲐ

ძლ. ჩუენებით ესაია იხი

შორით რაჲ მოიწინეს
ღრუბლითა ღმრთისმეტყუელნი,
შიშით ზარგანკდილთა
212v 15 შემურეს|გუამი იგი მშობელისა ღმრთისაჲ
და ძრწოლით,
ვითარცა შეჰგვანდა
მსახურებასა დედოფლისასა
აღასრულებდეს და ერთობით ჰმადლობდეს ღმერთსა.

20 სული იგი მართალი
მშობელისა თჳსისაჲ
ჭეშმარიტად ღირს ყო
თანამოდგამ სუფევასა თჳსსა ძემან
და კუალად
25 კორცნი იგი
უბიწონი, ვითარცა სადგურნი მეუფისანი
და საღმრთონი საყდარნი ცათა შინა დაიდგნეს.

დედათა სიქადული
და ქალწულთა გჳრგჳნი
30 და სასოჲ მამათაჲ
და ყოვლისა კეთილისა წინამძღუარი
განვიდა
ხილულსა მის
აგებულებისა ამაოჲსაგან
35 და მიიცვალა უხილავთა საღმრთოთა კეთილთა.

ღმრთ. ქალწულო დიდებულო

---

5 შემსხმელთა B. 17 შეგვანდა B.

ღალატუაცსა

ძლ. დამკჳდრებაჲ

ქებულსა და დიდებულსა
გარდაცვალებასა
5 დედისა და ქალწულისასა
ორთა ბუნებათა
მეტყუელებანი
შეამკობენ შემურვისა ქებასა.

ბუნებათა უაღრესსა
10 დედაკაცსა მკუდარსა
ზეცისა და ქუეყანისანი,
ვითარცა ებნითა —
კმითა ტკბილითა
უგალობენ გალობითა საღმრთოჲთა.

15 პატიოსან — დაძინებაჲ
და სიკუდილი — შუენიერ
უბიწოჲსა მის დედუფლისაჲ,
რომლისა მიზეზმან
ცად აღმიყვანნეს
20 საღმრთოთა მათ საყოფელთა საკჳველთა.

ღმრთ. სიღრმეთაგან ც

კურთხეულარსა

ძლ. ვითარცა სამთა ყრმათა

ვითარცა ეტლთა ზედა
25 მსხდომარენი ჰაერთა
ღრუბლისა მის სულმცირისა დღეს
სიონად მოიწინეს
ცხოვრებისა ქადაგნი
და ცხორებისა თუალი
213r 30 |შიშით შემურეს და ვითარცა მკუდარი დადვეს საფლავსა.

ჴელთა მათ კადნიერთა,
ბოროტად მოშურნისა,
ურწმუნოჲსა მგმობარისათა
საღმრთოჲთა რისხვითა
35 მიიღეს მათ პატიჟი
და მორწმუნეთა კმა-ყვეს:
„კურთხეულ ხარ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო!“

ვითარმე გონებამან
ჴორციელმან გამოთქუას

---

8 შემორვისა B.

ქებაჲ შენი, ღმრთისა დედაო,
რამეთუ ზეშთა ხარ
ყოველთა ბუნებათა,
ხოლო მსგავსად ძალისა
5 შევსწირავთ გალობასა ამას შემურვისასა.

ღმრთ. სულსა მას სახიერსა

აკურთხევდითსა

ძლ. ცეცხლი იგი შემწ

ცეცხლებრნი იგი სულნი,
10 უნათლესნი ნათელსა მზისასა
ჰნათობდეს გუამსა მას წმიდასა და კმობდეს:
„გიხაროდენ,
უცხოდ მშობელო მეუფისა ჩუენისაო,
გიხაროდენ
15 სასუფეველსა ძისა შენისასა!“

ენითა ცეცხლისაჲთა
სოფლისა განმანათლებელნი დღეს,
ვითარცა რაჲ სანთელნი ენთებოდეს
გარემოჲს გუამ —
20 სა მას წმიდასა დედუფლისა მათისასა
და გალობდეს
შემურვისა გალობასა წმიდასა.

ცაჲ იგი სულიერი
და სადგური სიტყჳსა ღმრთისაჲ —
25 ქალწული დღეს აღმაღლდა ცასა ცათასა
და მარადის
იქების ანგელოსთა და კაცთაგან ღირსად,
საუკუნოდ
იდიდების, ვითარცა დედაჲ ღმრთისაჲ.

30 ღმრთ. სარწმუნოებით ვჰმ

ადიდებდითსა

ძლ. წერილთა მიერ შჯუ

ბუნებათა უზეშთაესმან,
უაღრესმან ქერობინთაჲსა —
35 მარიამ
უსძლომან და უქორწინებელმან დედამან
აღავსნა სიხარულითა
ანგელოსნი და კაცნი

27 ანგელოზთა B. 36 უქორწინებელმან+მან B. 38 ანგელოზნი B.

ევმანუელის შობითა
და დღეს მიცვალებითა მის თანა.

13v |აღიპყრნა კელნი ძისა მიმართ,
ილოცვიდა მორწმუნეთათჳს:
5 „უფალო,
მეუფეო ხილულთა და უხილავთაო,
რომელი განჰკაცენ ჩემ მიერ,
შეიწყალენ ყოველნი,
რომელთა ღირსად შეგიწყნარეს
10 და მე აღმიარებენ ღმრთისმშობელად!“

ნეტარ არს დაძინებაჲ შენი,
მშობელო ღმრთისა სიტყჳსაო,
რამეთუ
გონებათაგან მოუგონებელთა კეთილთა,
15 თუალით უხილავსა ნათელსა,
სადაცა თჳთ ღმერთი არს,
მუნ დამკჳდრებულ ხარ და აწ
ნუ დამივიწყებ მონათა შენთა.

ღმრთ. აღმოსავალით ბჭ

20 აქებდითსა

ძლ. ჯუარსა ზედა იხილეს

ზეცით მოიწინეს დღეს
ზეცისა მთავარნი ქერაბინნი
გარდაცვალებასა შენსა, ღმრთისმშობელო,
25 ფრთითა გაგრილობდეს შენ
და გალობით ესრეთ კმობდეს: „ალელუა“
და გიღაღადებდეს: „გიხაროდენ, სასუფეველსა!“

შემოკრბეს ღმრთისმეტყუელნი
საღმრთოჲთა ეტლითა სიონს შინა
30 დღეს დაძინებასა შენსა, უბიწოო, შიშით
შეგიწყნარებდეს შენ და
ანგელოსებრ გალობდეს: „ალელუა“
და გიღაღადებდეს: „გიხაროდენ, სასუფეველსა!“.

დღეს დედისა უფლისა
35 კრებასა მიცვალებისასა
სიონს შინა უგალობენ ერნი მღდელთა თანა,
მოსაყდრენი მეფენი
და მსახურნი მათნი მთავარნი ადიდებენ
დღესასწაულსა ამას მისსა ყოვლად მბრწყინვალესა.

40 ღმრთ. რომელი პირველითგან იყო

1 ემმანოელის B. 15 ნათელსა—B. 26 ალელუია B. 32 ანგელოზებრ B. ალელეა ა B.
39 ბრწყინვალესა B.

3r ნოენგბერსა ი. სხუანი გალოგანი წმიდისა გეორგისნი,
თჟუმულნი ნეტარისა მინჩხისანი. თავედნი*

უგალოგდითსა. ჯმაჲ გ გუერდი

წმიდაო ღმერთო,
5 დამბადებელო და გამოუთქუმელო,
ძლიერებითა მკლავისა შენისაჲთა
იკსნნეს ისრაჵლნი ჭირისაგან
და გზა ექმნა სიღრმე ზღჳსა მის მეწამულისაჲ
ოტებულთა ფარაოჲსაგან,
10 გან-რაჲ-იწინეს კმელად
გიგალობდეს მხოლოსა
ძლიერსა ღმერთსა და მკსნელსა უფალსა.

მოეც სინათლე
გონებასა ჩემსა, ტკბილო იესუ,
15 და გულსა — ცნობაჲ გონიერად განმგონე,
ბრძათა განმაბრძნობელო უფალო,
რომელმან მიეც სიტყუაჲ უსმსა, შობითგან უტყუსა —
იგივე მადლი, სახიერ,
მომეც უღირსსა ამას,
20 რაჲთა აღმოვთქუა ქებაჲ
შენისა მოწამისა გეორგისი.

იძლევიან დღეს
სულნი — მავნებელნი სულთა ჩუენთანი,
სილაღით ამაღლებულნი უკეთურნი,
25 დამდაბლდებიან ამპარტავანნი
და ამაღლდებიან მდაბალნი სარწმუნოებითა,
გჳრგჳნოსან იქმნებიან
ქრისტეს აღმსაარებელნი
დღეს ახოვანსა თანა
30 მჴედარსა ქრისტესსა, მძლესა მტერთა ზედა.

3v დაჰბერეთ კუალად
ნესტუსა მას სულიერად მკმობარესა
და კმობდით სიმკნეთა და ახოვნებათა
ქრისტეს მოწამისა გეორგისათა,
35 ხოლო პირველად ეევედრნეთ, რაჲთა შეგუსწიოს,
რომელნი წადიერებით
აღმზადებულ ვართ შესხმად

---

* A : Sin. 2,3r—4v; 24r—25r; B : Ath. 52, 47r—49v.

ამის შემდეგ AB-ში სათაურშივე მიწერილია: „ხოლო ესე გალობანი მას კარგსა გეორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერვებიან მინჩხიხადა, რომელთა თავნი იტყჳან [ესრეთ B]: „წმიდავო გეორგი, შეეწიე გეორგი მეფესა წინაშე მეუფეთა მეუფისა და ალიდე".

26 სარწმუნოებით B. 28 აღმსარებელნი B. 30 მტერთა ზედა] მტერთასა B. 35 შეგუეწიოს B.

დღესასწაულსა მისსა
და ქებით ვადიდოთ კსენებაჲ მისი.

არაჲ თუ ღირს ვართ
მოკსენებად ნეტარებასა შენსა,
5 არამედ აღმძრავს ჩუენ სიყუარული შენი,
დაღაცათუ არა არს ჩუენ თანა
სიტყუაჲ, შემსგავსებული ქებად შენდა, გეორგი,
არამედ არაჲვე ჯერ-არს
დუმილი ბაგეთა ჩუენთაჲ,
10 რაჲთა არაჲ მოვიღოთ პატიჟი ტალანტთა დამფლველისაჲ.

ვითარცა ვარდი
სურნელი; ფერითა შუშნიერითა
გამოშჩნდი ეკალთაგან უნაყოფოთა
და ვითარცა სანთელი აღენთე
15 შორის ბნელსა ნათესავთა მათ უგულისკმოთა,
დიდებულო მოწამეო,
სძაგებდ განცხადებულად
კერპთა მათთა მტყუართა,
ამისთჳს აღემზადნეს მოკლვად შენდა.

20 ოჯფალო ღმერთო,
სიტყუაო ყოვლისა დამბადებელო,
რომელი ჩუენთჳს იშევ ქალწულისაგან,
აწ შეიწირე ვედრებაჲ მისი
და მოგჳტევენ ჩუენ ყოველნი ცოდვანი ჩუენნი,
25 რომელნი მას ღმრთისმშობელად ვხადით
და ვითარცა უღრესსა
ბუნებათა ჩუენთასა
შემდგომად შენსა ყოველნი ვადიდებთ.

მოიხილესა

30 განჰკრთა გულითა
მოსე, ოდეს იხილა უცხოჲ ხილვაჲ —
მაყულოვანსა მას შინა ცეცხლი იგი მგზებარე,
რამეთუ ალი ამაღლდებოდა,
ხოლო მაყუალსა მას
35 არაჲ ევნებოდა მისგან;
სახედ აჩუენა უფალმან
და მოასწავა, ვითარმედ:
არაჲ შეწუას შობასა
სალმრთომან ცეცხლმან საშოჲ ქალწულისაჲ.

---

10 არა B. დამკლველისაჲ] დამფარველისაჲ B. 12 შეუნიერითა B. 13 გამოსჩნდი B. 16 მტყუვართა B. 24 ჩუენ—B.

ეჰა, ვითარღა
ბრმა იყვნეს გონებისა იგი თუალნი
ბილწთა მათ უსჯულოთა მეკერპეთანი,
რამეთუ ხედვიდეს სასწაულთა,
5 რომელთა იქმოდეს სულისა მიერ წმიდისა
დიდებულნი მოწამენი —
არაჲ ჰკუსთდა მახჳლი,
არცა ცეცხლი შესწუვიდა
და არცა ზარ-სცემდა შიში სიკუდილისაჲ.

10 ოხრიან ცანი,
ზღუაჲ და ყოველი, რაჲ არს მას შინა,
იხარებენ ანგელოზნი ცათა შინა,
რამეთუ მძლე იგი ადამისი
იძლია დღეს მჯნისა წმიდისა გეორგის მიერ
15 და დაეცა სირცხჳლეული,
აღვიპყრნეთ ქუეყანისათა
ჴელნი ჩუენნი და მივსცეთ
დიდებაჲ ყოველთა დამბადებელსა.

რაჟამს აღეგზნა
20 შენ თანა საცნაური იგი ცეცხლი
და ღმრთისა მიერ გული შენი,
მან განანათლა გონებაჲ შენი
უნათლეს ნათლისა მზისა, მჯნეო გეორგი,
მიერითგან მორბედ იქმენ გზასა მას მარჯუსნეთასა
25 ჴეშმარიტსა, რომელი
მიგიძღუა წინაშე ღმრთისა შენისა.

გულისკმა-ჰყავ შენ
ამის საწუთროჲსა ამაოებაჲ
და ყოვლითურთ მოიძულე იგი, მჯნეო,
30 ხოლო შეიყუარე საუკუნოჲ
განუქარეებელი ცხორებაჲ ანგელოზებრი,
რომელ აღუთქუა ქრისტემან
ყოველთა წმიდათა მისთა
და აწ ჰსუფევ მათ თანა
35 კეთილთა შათ მოუგონებელთა.

იხილა პირველ
მოსე მთით სინაჲთ გარდამომავალმან
სახე შენი, ღმრთისმშობელო დედოფალო,
რამეთუ უნდოჲ მაყუალი ზრდიდა
40 ბუნებითსა ცეცხლსა ძლიერად თუთმგზებარესა
და დაიცვებოდა მისგან,
მასვე ცეცხლსა შენ მზრდელ ექმენ

---

7 ჰკუეთდა B. 11 ყოველიე B. 21 მიერ+განკურდა B. 25 მარჯუენეთასა B.

საშოჲთა ჯორცშესხმულსა,
რომელმან დაგიცვა და არაჲ შეგწუა.

განძლიერდასა

შურისმგებელი
5 მძლავრი, მტერი ბელიარ
დასითურთ მისით
მოაუძლურა ქრისტემან,
ხოლო უძლურსა ბუნებასა —
ძლეულსა და ვნებულსა შთააცუა ძალი,
10 აღამაღლა დავრდომილი
და დასუა ძლიერთა თანა
ერისა მისისათა ძლიერმან ღმერთმან.

ეტრფიალე შენ,
ახოვანო გეორგი,
15 მეუფესა მას
ყოვლისა დამბადებელსა
და განჰგმე უღმრთოჲ იგი მეფე
და განჰბასრენ მათნი უგუნურებანი,
აღირაცხე გუნდსა თანა
20 ანგელოზთასა და მკუდრ ხარ მათ თანა
ცათა შინა სამარადისოდ.

4г ეჰა, ვითარ ვინ
ღირსად და ჯეროვნებით
გამოთქუას ქებაჲ
25 შენი, დიდო მოწამეო,
ანუ ვინმე შემძლებელ იქმნეს
მითხრობად სიმრავლესა ღუაწლთა შენთასა
და არცა ვინ მისწუთების ნიჭთა მათ საუკუნეთა,
რომელნი მოიგენ შენ მაცხოვრისაგან.

30 წმიდათა სულნი
ჯელთა შინა ღმრთისათა
ცხოველ არიან
ქრისტეს მქადაგებელთანი,
ჰქონან ედემსა სამკაულად,
35 ვითარცა მარგალიტნი მნათობიერნი,
რომელთა თანა შენ ჰნათობ,
ყოველად ქებულო გეორგი,
რამეთუ ჰსწამე ქრისტე და მოჰკუდ მისთჳს.

ისწრაფე, მძლეო,
40 სლვად გზასა ჭეშმარიტსა —
ბუნებითსა მას

38 სწამე B, მოჰკუედი B.

სავალსა ანგელოზთასა,
ამისთვსცა ღირსად მიგიძღუა
დაუსაბამოჲ სული სასუფეველსა,
ხოლო ქუეყანასა ზედა
5 წმიდათა შენთა ნაწილთა
ემთხუევიან მთავარნი მეფეთა თანა.

ევაჲსმიერი
გლოვაჲ და მწუხარებაჲ,
რომელ მოუგო
10 ყოველთა ნაშობთა მისთა,
აწ შენ მიერ, სძალო ღმრთისაო,
გარდაცვალა სიხარულად საუკუნოდ
შენგან შობილმან ქრისტემან,
აჰკოცა წყევაჲ და კუალად
15 დაწერა პირველი იგი კურთხევაჲ.

მესმასა

გამოხუშდ, ქრისტე,
წიაღთაგან საღმრთოთა
და სცხე წარმართთა
20 ნათლისღებაჲ ერად შენდა,
ხოლო შეპმუსრენ თავნი იგი
ძლიერთანი და დააპენ ღაწუნი მათნი,
აღსძრენ წყალნი მრავალნი
ნათესავთა მათ ურიცხუთა
25 და ენანი მადიდებელად ძალსა შენსა.

ერნი ფიცხელნი —
ღმრთისმბრძოლნი მეგუბტელნი
დასცნა სახითა
ჯუარისაჲთა დიდმან მოსე,
30 ხოლო დღეს დიდმან მოწამემან —
ახოვანმან გეორგი
ქრისტეს ჯუარითა
დასცნა უარისმყოფელნი,
ურწმუნონი და მგმობარნი
35 სულისა წმიდისანი, მბრძოლნი ქრისტესნი.

ოვტყუველისა
პირისა ბრძანებული
აღთქუმაჲ წმიდათაჲ
დღეს მიემადლა გეორგის,
40 მძლავრთა მიმართ სიტყუს-გებასა

---

14 აკოცა B. 17 გამოხუედ B. 23 აღსძრენ] და აღსძრენ B. 25 დ:—B. 33 უარისმყოფელნი B.

მოსცემდა მას უხუებით სული მამისაჲ,
რომლისა წინააღდგომად
ვერ შეუძლებდეს უღმრთონი,
არამედ იძლეოდეს სირცხელეულნი.

5 რომელნი სმენად
მოხუედით სიმკნეთა მათ
ახოვნისათა
და გონცდად განსაცდელთა მათ
მის ზედა მოწევნულთა ჭირთა,
10 აწ ვიხილნეთ ძურ-ძურად
გუემანი მისნი
და მუმუნვარენი გულითა,
ვითარცა მას ჟამსა შინა,
ჭირთა და ღუაწლთა მისთა თანახატ ვექმნნეთ.

15 განიმსტურენ სიბრძნით
გზანი საუკუნოჲსა
ცხორებისანი
და გულისკმა-ჰყავ საზღვარი
ცუდისა ამის საწუთროჲსაჲ,
20 რამეთუ ყოვლით კერძო ამაო არს
და სიხარულით შეეყავ
წმიდათა გზასა, გეორგი,
და განეშორე გზათა სიცრუვისათა.

ისარნი იგი
25 ძლიერისა ლესულნი
განაწონნა დღეს
გულსა მგლისასა წმიდანაან
და ვითარცა მონადირემან
ქრისტემან დასცა მკეცი იგი მძჯნვარე
30 და იხარებენ ცხოვარნი
პირმეტყუველნი და გალობენ:
„დიდებაჲ ძალსა შენსა, ძლიერო ქრისტე“.

ხულმან წმიდამან
აღაშენა საყდარი
35 ღმრთისა სიტყუსაჲ
სულიერი ქუეყანასა ზედა,
ცათა მაღალთა უმაღლესი,
ქერობინთა საყდართა უზეშთაესი,
ვითარცა მზისა ნათელი,
40 მაოტებელი ბნელისაჲ,
მშობელი კეთილთა მომატყუებელისაჲ

---

31 პირმეტყუელნი B. 32 ძლიერო] ძლიერსა B.

მიდგომილებაჲ საღმრთოჲ
უბიწოებით ქალწულისაჲ
პირველვე ქადაგა
5 ღმრთისმეტყველმან ესაია,
ხოლო მართალმან სჯმეონ
ახარა ჯოჯოხეთისათა:
„გიხაროდენ, დაშჯილთა წყუდიადსა შინა,
მოვიდა განმანათლებელი,
10 ნათელი თჳთ აღმადგინებელი
დაცემულთა და დაბნელებულთა!“.

ეელტოდა საწუთროჲსა
საცთურთა ბნელთა, ნივთიერთა,
4v რამეთუ განათლდა უნივთოჲთა მით ნათლითა
15 იესუჲსითა გეორგი,
საშუებელნი მოიძაგნა მან
და შუებად შეჰრაცხნა გუემანი მჴნემან,
ამისთჳს დაადგრა მის თანა
საღმრთოჲ სული საკჳრველთმოქმედი
20 და მის მიერ ზარ-სცემდა უღმრთოთა.

ფრიად მაცთურთა კერპთა
პირველად ესვიდა ერი უცები
და არაჲ იცოდეს
უკუდავი ღმერთი ცხოველი,
25 სტანჯვიდეს ქრისტეს მოსავთა
უსჯულონი ერისმთავარნი —
ველურნი იგი მჴეცნი განძჴნებულნი,
ხოლო გეორგი ეტყოდა მათ:
„იცანთ, უღმრთონო, ღმერთი მაღალი
30 და ჴელით ქმნულთა ღმრთად ნუ ესავთ თქუენ“.

ეკუეთნეს ქარნი იგი
საშინელნი განსაცდელთანი
გოდოლსა სულისა
წმიდისა აღშენებულსა —
35 წმიდასა მას მოწამესა
და ზღუდესა მორწმუნეთასა,
ხოლო ვერ შეარყიეს სიმტკიცჱ მისი,
რამეთუ დამყარებულ იყო
არაჲ ქჳშასა ზედა, არამედ
40 კლდესა ზედა ქრისტეს მცნებათასა.

---

8 დასჯილთა B. 16 მოიძაგნა] მოიძულნა B. 26 უშჯულონი B. 34 აღშენებჲსა B. 37 სიმტკიცე B.

საღმრთოსა მას ბანაკსა
აყუჱდრებდა მბრძოლი გოლიათ,
რომელი ვერ მოკლა
საულ, გარნა მჴნემან დავით
5 დასცა სასოჲ უცხოთესლთაჲ,
ეგრეთვე დღეს მჴნემან ქრისტესმან —
ახოვანმან გეორგი ქრისტეს ძალითა
დასცა გონიერ გოლიათ —
უწყინოდ მბრძოლი, მტერი უჩინოჲ,
10 სასოჲ უღმრთოჲსა მის კრებულისაჲ.

არაჲ ხედვენ ნათელსა,
რომელთანი დაუბნჱლნა მტერმან
შინაგან გულისა
თუალნი ურწმუნოთანი
15 და ეშუჱბიან ბნელსა,
ხოლო გულსა მორწმუნეთასა
ჰნათობს ნათელი მზისა მის სიმართლისაჲ,
რომელმან ჯორცნი შეიმოსნა
წარწყმედულთათჳს ადამეანთა
20 და სასოდ მოსცა მშობელი თჳსი.

ღალატჟამსა

წინა-აჩუჱნა სახე
სახიერმან ჴსნისა ჩუენისაჲ
მჴეცისა მუცელსა
25 შთასლვითა იონაჲსითა,
მოასწავა შთასლვაჲ თჳსი
მუცელსა ჯოჯოხეთისასა
და შევიდა ორითა მით ბუნებითა
და შეწუა ღმრთეებისა ცეცხლითა
30 და იჴსნა მისგან იონაჲს სახედ
შთანთქმული ადამ ნათესავითურთ.

იწდიეს რაჲ უმშჯავროდ
სისხლი უბიწოჲ მოწამეთა უღმრთოთა კრებულმან,
მიეცა მათ. დასასჯელად,
35 მიეგო მისაგებელი —
მიეცნეს ულხინებელსა მას
სატანჯველსა,
ბნელსა განუნათლებელსა,
ხოლო მოწამენი ქრისტესნი
40 შეიმოსნეს საღმრთოჲთა ნათლითა
და ბრწყინვენ ზეცისა ერთა თანა.

---

2 აყუედრჯბდა B. 12 დაუბნჱლნა] დაუბრმნა B. 15 ეშუებიან B. 19 ადამეანთა] ადამიანთ ა B. 22 აჩუენა B. 32 უმსჯავროდ B. 34 დასაშჯელად B.

ნათელსა განეშორნეს
და შეუდგეს ბნელსა უღმრთონი,
იუფლეს ეშმაკი
და არაჲ დამბადებელი
5 და დღეს დასაჯეს ურწმუნოთა
სატანჯველითა ბოროტითა
ახოვანი ქრისტესი — წმიდაჲ გეორგი,
რამეთუ ესრეთ ეტყოდა მათ:
„იცანთ ნათელი და დაჰკსნდით ბნელსა,
10 მტერსა მჯდომსა და მკლველსა სულთასა!“

აღიხილნა წმიდამან
თუალნი ზეცად და ესრეთ კმა-ყო:
„რომელი-ეგე ხარ შემწე შენთა მორწმუნეთაჲ,
მომხედენ მონასა შენსა,
15 ღმერთო ჩემო და შემეწიე,
რაჲთა არა ვიძლიო ბოროტისაგან“
და ესმა დაუსაბამოჲსაგან:
„გეორგი, მე მარადის შენ თანა
და შენ ჩემ თანა უკუნისამდე!“.

20 შეძრწუნდა უგულისკმოჲ
იგი მეფე და დასი მისი,
რამეთუ დამდოვრდეს
სატანჯველნი იგი მათნი
არა ვნებად წმიდასა მას
25 და ლიქნით იწყეს სიტყუად მისსა:
„გეორგი, აწ გუშრჩდი ჩუენ და გადიდოთ შენ“,
ხოლო იგი მიუგებდა მათ:
„დიდებაჲ თქუენი თქუენდავე იყავნ
წარსაწყმედელად თქუენდა, უღმრთონო!“

30 ერნი. იგი ძლიერნი,
უნილავნი, უსხეულონი,
მნათობნი, მარადის
მსახურნი სამებისანი
განმხიარულებულ იქმნნეს
35 კაცთა ღმრთისად გებისათჳს
და გადიდებენ, მშობელო მაცხოვრისაო,
რამეთუ შენ მიერ განქარდა
და დაჰკსნდა პირველითგანი იგი
შორის ჩუენსა და მათსა მტერობაჲ.

40 კურთხეულარსა

მეუფეთა მეუფისა ღმრთისა
მგალობელნი სამნი ყრმანი

26 გუერჩდი B. 35 ღმრთისად აგებისათჳს B.

24г შესთხინეს რაჲ უღმრთოთა საკუმილსა შინა,
არაჲ აღედვა მათ ცეცხლი იგი მგზებარე,
რამეთუ თჳ.მგზებარე იყვნეს
სულისა მიერ წმიდისა
5 და საღმრთოჲთა მით შურითა,
ვითარცა ერთითა პირითა
ქებით აგამაღლებდეს
საკჳრველთმოქმედსა ღმერთსა მაღალსა.

ელია ურმის თუალედთა ეტლთა
10 ცეცხლებრ მგზებარეთა ზედა
მჯდომარე ჯორცითა ამაღლდა ოდესმე,
ხოლო დღეს მოწამე წმიდაჲ გეორგი
ამაღლდა ურმის თუალითა მით,
არაჲ ცეცხლებრ მგზებარითა,
15 დაჰმშუალდეს რაჲ მას ზედა
უსჯულოთა ჰგონებდეს, რაჲთამცა
მით მოაკუდინეს იგი,
არამედ ცხოველ არს უკუნისამდე.

უხილავთა და გამოუთქუმელთა
20 აღთქუმულთა მათ საშუებელთა
წინაჲსწარ მხედველ იქმენ, ახოვანო,
თუალითა სულისაჲთა, მჭნეო გეორგი,
ამისთჳსცა არად შეჰრაცხენ
წარმავალნი საშუებელნი
25 ამის საწუთროჲსანი
და ვითარცა ზუარაკი სამსხუერპლოჲ —
ნებსით დაჰკალ თავი შენი
და შესწირე მსხუერპლად სათნოდ ქრისტესა.

30 ფრიად მრავალთა მათ განსაცდელთა,
საზარელთა სატანჯველთა,
შეთხზულთა ღონითა მით ეშმაკისაჲთა
ვერ დასცეს შიში საზარი მოღუაწესა,
რამეთუ ქრისტესთჳს ჰბრძოდა მათ
35 და ანგელოზნი ჰფარვიდეს,
ხოლო ზარი ბელიარის დაეცა დღეს
და დადნა, ვითარცა
ცვლი წინაშე ცეცხლსა
შემწუველსა ქრისტეს წინაღმდგომთასა.

40 ელისე ელიაჲს ხალენითა
მსწრაფლ განაპნა მდინარენი
და განვლეს ძეთა მათ ძლიერებისათა,
ხოლო დღეს ქრისტეს მოწამემან ჯუარითა

---

15 დამშუალეს B. 33 საზარი] და ზარი B. 36 ბელიარს B.

განაპნა ურწმუნოებისა
სიმძლავრეთა მდინარენი
და განვლეს მორწმუნეთა
და ღაღად-ყვეს: „დიდებაჲ ქრისტესა,
5 შემწესა წმიდათასა აწ და უკუნისამდე!“.

თავსა ზედა მთათა მაღალთასა
დაშენებულსა ქალაქსა
ვერ შეუძლეს მბრძოლთა ღმრთისათა დაფარვად —
დიდთა მათ სასწაულთა მოწამისათა,
10 არამედ იხილნეს ყოველთა
კიდეთა ქუეყანისათა
სიმკნენი ესე მისნი
და იტყჳან:
„დიდებაჲ ქრისტესა, შემწესა წმიდათასა
15 აწ და უკუნისამდე!“.

აღექჳნ ენაჲ სასასა მათსა
და დაიყავნ პირი მათი
სიცრუჲთ ამაოჲსა ძჳრის-მეტყუელი,
რომელნი ჰგმობენ ღმრთისმშობელსა მარიამს,
20 უარისმყოფელნი ქრისტესნი,
საძაგელნი ჰურიანი,
შურითა დაქცეულნი
და დანთქმულნი,
ვითარცა დათანი.
25 რამეთუ განეშორნეს
საღმრთოსა ნათელსა სამებისასა.

აკურთხევდითსა

მაღალსა ღმერთსა, დამბადებელსა,
ანგელოზთა მეუფესა,
30 უხილავთა და ხილულთა შემოქმედსა,
მიუწდომელსა, ყოლად გამოუთქუმელსა —
მამასა და ძესა და სულსა,
რომელსა ყრმანი აქებენ,
მას ჩუენცა უღაღადებდეთ:
35 „აკურთხევდით ყოველნი საქმენი
აქებდით, უგალობდით
და ამაღლებდით მას უკუნისამდე!“.

ერი იგი უსმი და უმადლოჲ,
რომელთანი ყურნი მათნი
40 დაიყვნეს მსგავსად ყრუჲსა ასპიტისა,

---

1 ურწმუნოებისა B. 4 ღაღატყვეს B.

არაჲ ისმინეს ჴმაჲ მსახრვალისაჲ მის
ბრძნისა, კეთილად მეტყუელისაჲ,
არცა მიიღეს წამალი
წყლულებათა მათთათჳს,
5 ამისთჳსცა შეყროლდეს იგინი
სულითა და ჯორცითა
და დალპეს წყლულებანი მათნი.

უბრძანა სანდალთა რკინისათა
ბნელმან დიოკლიტიანე
10 ფრიად განჯურვებაჲ და
აღმოცუმაჲ ტერფთაჲ
გეორგისთაჲ, ხოლო იგი ილოცვიდა:
„ყოვნ ესე მჯსნელ ფერჯთა ჩემთა,
სანთელ აღნთებულ
15 და გზა მორბედებისა ჩემისა
შენდა მომართ,
რამეთუ მრწმენა მე კეთილი შენი, ქრისტე,
ხილვად ქუეყანასა მას ცხოველთასა!“

ფერი განბოროტებულისაჲ მის
20 უღმრთოჲსა და უწყალოჲსა
მეფისაჲ იქცეოდა გეორგის ზედა
და ბრძანა მისი კუალად საპყრობილესა
მიცემაჲ, რაჲთა განიზრახნეს
უძჳრესნი სატანჯველნი,
25 ხოლო იგი იტყოდა:
„მომეც სიმჯნე
და ძალი ძლევისაჲ
ძალსა უშჯულოთასა
მოსავთა შენთა, მაცხოვარო ქრისტე!“.

:24v 30 იღრჩენ დღეს გულისწყრომით კბილთა მათთა
მართალთა მკლველნი უღმრთონი,
რაჟამს იხილეს, რამეთუ კერპნი მათნი
განკიცხნა
აღმსარებელმან ქრისტესმან
35 და ჴმა-ყოვეს უღმრთოთა ესრეთ:
„განცჯბრებულ არს გეორგი,
რამეთუ არა ჰრწმანან ღმერთნი ჩუენნი
ყოვლისა მპყრობელნი“,
ხოლო იგი იტყოდა:
40 „მრწამს ღმერთი — მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ!“

სიმაღლესა შინა მაღალთასა
მნათობნი მწუხარე იქმნნეს

---

1 მსახრვალისა B. 2 ბრძნისაჲ B. 7 და] რამეთუ B. 11 ამოეუმაჲ B. 12 გეორგისთა B. 13 მჯსნელო B. 30 იღრჩენ დღეს] იღრჩენდეს B.

ბოროტად გუემასა მოღუაწისასა,
არამედ ანგელოზნი მხიარულ იქმნნეს
კეთილად მოღუაწებასა მას
ქრისტეს სიყუარულისათჳს
5 და ჰმობდეს ქრისტეს მიმართ:
„მიეც ძალი,
ძლიერო, მონასა
შენსა, რომელი წამებს
უღმრთოთა წინა დიდებასა შენსა!“.

10 აღმსაარებელნი შენნი, ქრისტე.
ერნი მართლმადიდებელნი
ურწმუნოთაგან მტერთა აგარეანთა,
ზუაობით მწუნობართა
იკსნენ, სახიერ,
15 რაჲთა გადიდებდენ შენ მარადის
მამით და სულით წმიდითურთ —
სამებასა წმიდასა,
გაკურთხეედენ ერთობით უშიშად,
ქებით აღგამაღლებდენ აწ და უკუნისამდ!

20 ᲐᲓᲘᲓᲔᲑᲓᲘᲗᲡᲐ

დიდებითა მით
ბუნებათა უაღრესითა ზეგარდამო
განათლდა წმიდაჲ დედოფალი,
რაჟამს უხილავნი და დაფარულნი
25 ქრისტეს მოსლვისა საიდუმლონი,
კაცთა კსნისა განგებულებანი
მის თანა საცნაურ იქმნნეს,
შეიყვნეს ბუნებანი შეურევნელნი
და არა ერთ ბუნება იქმნნეს,
30 რამეთუ არა იცვალნეს
ბუნებითისა მისგან ბუნებისა.

აჩუენა ღმერთმან
უღმრთოთა მათ უზეშთაესი სასწაული,
რომელნი განსცდიდეს გეორგის
35 და ლოცვითა მისითა აღადგინა
საფლავით მკუდარი დაძუᲚებული,
ურწმუნოებით დაძინებული
კერპთმსახურებასა შინა,
აღაღო პირი და ჰმადლობდა გეორგის
40 და ღმერთად აღიარებდა ქრისტესა,

---

1 გუემასა+მას B. 17 აგამაღლებდენ B. 23 [illegible] B. 26 განგებულებანი] განგებულებანი B. 29 და] არაჟად B. 35 დაძეულებული B.

სძაგებდა კერპთა მცბიერთა
და უარისყოფით შეაჩუენებდა.

აღეგზნა საღმრთოჲთა შურითა,
სულისა წმიდისა მადლითა
5 ნეტარი იგი დედოფალი,
მსწრაფლ დაუტევა სადედოფლოჲ თჳსი
და განეშორა დიოკლიტიანეს —
ვეშაპსა მას ჯოჯოხეთისასა,
მოწაფესა ეშმაკისასა
10 და კმა-ყო წინაშე ყოვლისა ერისა:
„ესე უწყოდით ამიერითგან,
მე მკეთალი ვარ ქრისტესი,
რომელსა ქადაგებს წმიდაჲ გეორგი“.

დაელინეს ღონენი იგი
15 სატანჯველთანი უღმრთოსა მას
და ვერარაჲ ავნო წმიდასა მას
და სირცხჳლეულ იქმნა განლიგნებული
და სიტყუად იწყო ერისა მიმართ:
„აჰა ესერა ვერაჲ ვავნეთ ჩუენ
20 ტანჯვითა განდგომილსა მას,
არამედ
აცთუნნა სხუანიცა მრავალნი“,
მაშინ მისცეს კელთა მეკრმლეთასა
და თავისა მოკუეთითა მოკლეს მათ მკედარი ქრისტესი.

25 იძლინეს აწ მანქანებანი
მრავალღონისა მტერისანი,
დაასრულნა ისარნი მისნი
და მართლუკუნ იქცა ძალმოკლებული
სიმკნეთა შენთა მიერ, გეორგი,
30 ხოლო შენ ღუაწლი კეთილი მოიღუაწე
და აღასრულე სრბაჲ შუშნიერი
და აწ ანგელოზთა თანა
წინაშე ღმრთისა ჰნათობ მარადის.

დაამორჩილე ერი ურჩი,
35 ურწმუნოჲ, ნათესავი უცხოჲ
მეფესა ქრისტესმოყუარესა
და დაამდაბლენ ქუეშჱ ფერკთა მისთა
მტერნი და წინააღმდგომნი მისნი
ვედრებითა შენითა ქრისტესა,
40 გეორგი და შეიწირე
უღირსი ესე ჩუენმიერი გალობაჲ

---

2 უვარისყოფით B. 11 ღწყოდეთ B. 17 განლიგებული B. 31 შუენიერი B. 37 ქუეშე B.

და გუთხოვე ღმრთისაგან წყალობაჲ,
ვითარცა-იგი ითხოვე ჟამსა აღსრულებისა შენისასა.

A ერთარსებით მოსწავებულსა*,
სამგუამოვნებით საცნაურსა,
5 ბუნებასა სამებისასა,
ერთსა ძალსა, ერთსა ქელმწიფებასა,
განუყოფელსა მეუფებასა
25r უსხეულონი სამსა წმიდასა გალობასა უღაღადებენ:
„წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი,
10 მეუფე უხილავი — საბაოჲთ
და დიდებითა მისითა
სავსე არიან ცანი და ქუეყანაჲ“.

---

2 [ითხოვე] ილოცე B.
* [ეს ტროპარი არ შედის B-ში.

ПОЭЗИЯ ИОАННА МИНЧХИ

Резюме

Иоанн Минчхи является выдающимся представителем грузинской гимнографии X века. В научной литературе творчество этого автора изучено мало, что и обусловило необходимость его монографического исследования. Во многих отношениях интерес вызывает сама эпоха, в которой жил и творил Иоанн Минчхи, когда оригинальная грузинская гимнография достигла вершины своего развития.

Иоанн Минчхи привнес в грузинскую гимнографию целый ряд новшеств, благодаря которым его творчество стало важным этапом в развитии грузинской гимнографии. Без учета его творчества изучение проблем классической грузинской гимнографии не представляется возможным.

Рукописи, содержащие песнопения Минчхи, представляют собой значительные литургико-гимнографические сборники, переведенные с греческого в ранний период развития византийской гимнографии. Литургические сборники палеовизантийской эпохи претерпели большие изменения, в силу чего их восстановление в первоначальном виде в настоящее время невозможно. Поэтому особенно важное значение приобретают ранние, в том числе грузинские, переводы этих памятников, позволяющие воссоздать истоки византийской гимнографии и ранний этап ее развития. В силу этого рассматриваемые в работе вопросы представляют интерес и с точки зрения изучения ранневизантийской гимнографии.

При исследовании творчества Иоанна Минчхи прежде всего заслуживает внимания его т. н. традиционное, известное на сегодняшний день наследие—6 гимнографических канонов и 41 песнопение малой формы. Большинство этих произведений хранятся в грузинских рукописях синайской коллекции—Sin. 5 (1052 г.) и Sin. 75 (XI век). Изучение этих рукописей свидетельствует, что один из самых значительных литургико-гимнографических сборников—„Постная Триодь" подвергся в Грузии интенсивной разработке еще в начале X века. В основу Постной Триоди из Sin. 5 и Sin. 75, по-видимому, была положена прототипическая грузинская Постная Триодь, к которой в Sin. 5 и Sin. 75 добавлен целый ряд песнопений (о структуре этого сборника см. ниже).

Песнопения Минчхи, предназначенные для Постной Триоди, написаны с учетом сложной «регламентации» этого сборника. В них затрагиваются характерные для периода великого поста темы, традиционные образы и поминания; в них отражены также изменения, происходившие в догматическом мышлении того времени, постановления церковных соборов и т. д. Наряду с этим «общим» содержанием в песнопениях Минчхи отражен литургический устав каждого дня великого поста — календарь, ветхозаветные и евангельские чтения, основные поминания соответствующих седмиц и т. д. В песнопениях Минчхи для Постной Триоди широкое отражение нашел также репертуар современных ему греческих Постных Триодей. На основе специального исследования материала в работе показано, что помеченные в Sin. 5 и Sin. 75 именем Минчхи песнопения в точности соответствуют своему назначению и написаны специально для Постной Триоди.

На основании данных ряда грузинских источников в работе установлено, что IV неделя великого поста по старой (иерусалимской) традиции содержала поминание мытаря и фарисея. Отнесение к этой неделе крестопоклонения имело место в константинопольской традиции. Каноны византийского гимнографа II половины VIII в. Ильи иерусалимского на этот период, а также песнопения Минчхи (8 стихир) написаны в соответствии со старым, иерусалимским календарем.

Прослеживается тесная связь творчества Минчхи с песнопениями Ильи иерусалимского для Постной Триоди, влияние грузинских переводов канонов Ильи на творчество Минчхи.

Традиционные песнопения Иоанна Минчхи включены и в Тропологии (Иадгари) Микаэла Модрекили (978—988 гг.), в котором собраны известные к тому времени оригинальные и переведенные с греческого языка песнопения. В этом сборнике Иоанну Минчхи принадлежат каноны, посвященные царю Феодосию и Евфимию Великому, ямбический пасхальный канон и пасхальная стихира «самогласен». Изучение этого песнопения показало, что бытующее в научной литературе мнение о переводческой деятельности Иоанна Минчхи лишено оснований: в Иадгари Микаэла Модрекили Иоанну Минчхи принадлежит оригинальный канон, посвященный Евфимию Великому, который до сих пор в научной литературе приписывали гимнографу Эзре. Песнопение это отличается высокими художественными достоинствами. В песнопении использовано «Житие» Евфимия Великого.

Рукописи Sin. 56 (XI—XII вв.), H 2337 (1049 г.), Ier. 42 (X—XI вв.) и Ier. 107 (1300 г.) содержат каноны Минчхи на Преображение и Успение Богородицы. Таким образом, стало очевидным, что в творчестве этого автора нашло отражение и другой период литургического года — т. н. «летний канон».

Для исследования творчества Минчхи особое значение приобретаю неизвестные до настоящего времени песнопения Минчхи (77), большинство которых (70 песнопений) были обнаружены в грузинской рукописи Georg. 5, хранящиеся в Парижской Национальной библиотеке. Палеографический и филологический анализ этой рукописи показыва-

ет, что I часть Georg. 5 написана рукой известного деятеля грузинской культуры — Георгия Святогорца. Это обстоятельство значительно увеличивает ценность Georg. 5. Выявление автографической Постной Триоди Георгия Святогорца открывает большие возможности для изучения этого важного сборника и принципов работы его составителя — Георгия Святогорца.

По своему объему автографическая Постная Триодь Георгия Святогорца во много раз превышает опубликованные или упомянутые в научной литературе греческие Постные Триоди, что следует объяснить большим количеством греческих источников, которыми пользовался Георгий Святогорец. Отдельные совпадения Постной Триоди из Georg. 5 с существующими публикациями греческой Постной Триоди можно объяснить отражением в них современной Георгию Святогорцу византийской гимнографической традиции. Вообще же в автографической Постной Триоди Георгия Святогорца сохраняется гораздо более древний вид греческой Постной Триоди, чем в существующих на сегодняшний день изданиях этого сборника. Большая точность, соблюдаемая при указании автора каждого песнопения и отдельных частей песнопений, каждого тропаря свидетельствует об уникальности этой рукописи. Большая часть этих песнопений либо включена во многие грузинские рукописи, а также в существующие издания греческой Постной Триоди без указания на автора, либо вовсе отсутствует в них.

В I части Georg. 5 многочисленными песнопениями для Постной Триоди представлены 14 греческих гимнографов: Феодор Студит, Иосиф Песнописец, Стефан Саввaит, Илья иерусалимский, Феофан Исповедник, Андрей Критский, Иоанн Дамаскин, Козьма Майюмский, Христофор, Антон Студит, Роман Сладкопевец, Георгий, Марк Монах, Василий.

Из грузинских гимнографов в Georg. 5 представлен единственный автор — Иоанн Минчхи. Его именем в этой рукописи помечены 101 песнопение. 31 из них было известно в научной литературе по Sin. 5 и Sin.75, остальные же 70 и составляют неизвестную доселе часть наследия Минчхи. Примечательно, что в многочисленных гимнографических сборниках, составленных Георгием Святогорцем, грузинский материал обычно представлен в малом количестве. Тот факт, что в I части Georg. 5 песнопения Минчхи приведены с такой необычной полнотой и точностью, свидетельствует об особом отношении Георгия Святогорца к творчеству этого автора. Анализ стихир, помеченных именем Минчхи в Sin. 5/Sin. 75 и Georg. 5 показывает, насколько досконально знаком Георгий Святогорец с сочинениями Минчхи, предназначенными для Постной Триоди.

Анализ новооткрытых стихир Минчхи показывает, что их автор проделал работу, необычную для грузинских гимнографов по сложности и объему. Он является автором всей стихирарной части первой грузинской Постной Триоди, выделенной из Иадгари (Тропология) в отдельный сборник. Этот репертуар стихир закрепился в традиции последующих времен — в рукописях Sin. 5/Sin. 75 и Постной Триоди в редакции Георгия Святогорца.

Автографическая Постная Триодь Георгий Святогорца и сообщение, содержащееся в рукописи Sin. 5, дают основание считать Иоанна Минчхи редактором-составителем первой грузинской Постной Триоди. Этим Минчхи создал целую эпоху в истории грузинской гимнографии. Первая грузинская Постная Триодь легла в основу последующих редакций этого сборника.

На основании анализа данных рукописи Sin. 5 и автографической Постной Триоди Георгия Святогорца в работе сделана попытка реконструкции первой грузинской Постной Триоди.

В этом сборнике все воскресные каноны принадлежали Илье иерусалимскому два полных цикла трипенцев — Стефану Саввaиту и Феодору Студиту, а целый комплект песнопений малой формы — грузинскому гимнографу Иоанну Минчхи. По автографической Постной Триоди Георгия Святогорца можно дифференцировать все эти песнопения с большой точностью. В переведенный с греческого сборник Иоанн Минчхи внес свой значительный вклад в виде оригинальных песнопений. В грузинской гимнографии это единственный случай последовательного, систематического «огрузинивания» сборника византийского типа. Кроме того, первая грузинская Постная Триодь проливает свет на один из первых почти не изученных этапов развития греческой Постной Триоди.

Сопоставление нововыявленных стихир Минчхи с их литературными источниками (Евангелие, Псалтырь, репертуар греческих Триодей) показывает традиционные корни его поэзии и вместе с тем не обычную для средневековых гимнографов оригинальность его художественного языка.

В 1 части Georg. 5. именем Минчхи помечены 9 «Вонми», являющихся II песнями канонов Ильи иерусалимского, Козьмы Майюмского, Иосифа Песнописца и Феофана Исповедника, предназначенных для Постной Триоди. Те же каноны в грузинских Тропологиях X в. и существующих изданиях греческой и славянско4 Постных Триодей представлены без II од.

На основе изучения грузинских гимнографических сборников выясняется, что в 50-х годах X в. в грузинской гимнографии начинается целенаправленная и последовательная работа по пополнению гимнографических канонов II одами, что, по-видимому, соответствовало византийской традиции того же периода. Согласно выявленным материалам у истоков этой традиции в грузинской гимнографии X в. стоит Иоанн Минчхи.

Нововыявленные песнопения Минчхи включены в 11 грузинских рукописей. Изучение этих рукописей показало, что сочинения Минчхи были широко распространены в разных древнегрузинских культурных центрах, литургико-гимнографических сборниках различных назначений (Иадгари, Минея, Постная Триодь, Параклитик). Эти рукописи, наряду с традиционными и выявленными по Georg. 5 песнопениями Иоанна Минчхи, содержат и 6 неизвестных его стихир.

Большинство (75) стихир Минчхи написаны по ирмосам, переведенным с греческого. Грузинские переводы этих ирмосов внесены в грузинские Иадгари I половины X века. Другая часть стихир Минчхи —

23 песнопения, по свидетельству грузинских рукописей, являются самогласными (ἰδιόμελον). Следовательно, Иоанн Минчхи — блестящий представитель школы — Мехели» — обладал способностью не только перекладывать свои стихиры на греческие ирмосы, но и создавать стихиры с собственными ритмическими размерами и напевами. Иоанн Минчхи является единственным среди грузинских гимнографов автором, создавшим целый ряд самогласных песнопений.

В работе выявлены 11 грузинских рукописей, содержащих ритмико-мелодические размеры стихир Минчхи. В этих рукописях, наряду с греческими ирмосами, использованными Минчхи, в качестве ирмосов включены начальные тропари самогласных стихир Минчхи. Таким образом, ритмико-мелодические размеры этих стихир Минчхи в грузинской традиции последующего времени были канонизированы в качестве ирмосов. Этот факт еще раз свидетельствует о большой популярности творчества Иоанна Минчхи в средневековой грузинской гимнографии.

ტაბულები



ფ. № 1 სინ. 5,28v; პროტოტიპიდან გადასული „სათაური“ მომდევნო ჰიმნოგრაფიული მასალისა



ფ. № 2 სინ. 5,20v; მინჩხის ერთ-ერთი საგალობლის სათაური და ტექსტი



ფ. № 3 გეორგ. 5,119r; მინჩხის საგალობელი და მისი ავტორობის
აღმნიშვნელი მონოგრამა



ფ. № 4 გეორგ. 5,123r; იოსებ მგალობელისა და იოანე მინჩხის საგალობლები და მათი ავტორობის აღმნიშვნელი მონოგრამები.



ფ. № 5 ათ. 45, გვ. 15r; მინჩხის ახლადგამოვლენილი კანონის დასაწყისი



ფ. № 6 S 425, 218r; მინჩხის იამბიკური კანონის სათაური და დასაწყისი



ფ. № 7 S 425, 509v; მინჩხის აღდგომის „თვთნი“ სტიქარონის სათაური და დასაწყისი

შინაარსი

რედაქტორისაგან 5

წინათქმა 7

თავი I. იოანე მინჩხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და მინჩხის საგალობლების პუბლიკაციების მიმოხილვა 8

თავი II. იოანე მინჩხის შემოქმედების ტრადიციული ნაწილი 13

1. მინჩხის საგალობლები სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერებში — სინ. 5 და სინ. 75 19

2. მიქაელ მოღრეკილის იადგარში დაცული იოანე მინჩხის საგალობლები . 37

3. იოანე მინჩხის გამოუქვეყნებელი საგალობლები 50

თავი III. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი 59

თავი IV. იოანე მინჩხის საგალობლები გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის მიხედვით 75

1. სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებით ცნობილი იოანე მინჩხის საგალობლები გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში 76

2. იოანე მინჩხის უცნობი საგალობლები 81

თავი V. იოანე მინჩხის საგალობლები ახლადგამოვლენილ ხელნაწერებში . . 110

1. მინჩხის ტრადიციული და გეორგ. 5-ით გამოვლენილი საგალობლები: სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერებსა და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანებში 111

2. მინჩხის საგალობლები ათონური კოლექციის ქართულ ხელნაწერებში . 118

თავი VI. იოანე მინჩხის მცირე ფორმის საგალობლების რიტმულ-მელოდიური საზომები 131

ძირითადი დასკვნები 142

ტექსტისათვის 147

ტექსტი 149

Поэзия Иоанна Минчхи (Резюме) 350

ტაბულები 355

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3099

გამომცემლობის რედაქტორი დ. ლ ე ე ა ვ ა
მხატვარი გ. ლ ო მ ი ძ ე
მხატვრული რედაქტორი ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე
ტექრედაქტორი ნ. ო კ უ ჯ ა ვ ა
კორექტორი ე. გ ო გ ა ვ ა
გამომშვები ლ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 31.10.86; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.5.1987;
ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი; გარნიტურა ვენური;
ბირობითი საბეჭდი თაბახი 32.2; პირ. საღ. გატ. 32.2; საღრიცხვო-
სგამომცემლო თაბახი 23.7;

უე 00917; ტირაჟი 4000; შეკვეთა № 3389;

ფასი 4 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

იოანე მინჩხის პოეზია

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო

ლ ე ლ ა ხ ა ჩ ი ძ ე მ

თბილისი
„მეცნიერება"
1987